კახაბერ ჯაყელი “ჯაყელთა – ათასი წელი”

II ტომი

დოკუმენტებზე აგებული დრამა

ნაწილი მეხუთე

914 წელი - ლაზარობა - ოქროსფერი მიმინოს გამოჩენა

ობოლი იყო ნესტან ფანასკერტელი, მხოლოდ შობილი ასული ქველი ფანასკერტელისა. დედა, სახელგანთქმული ქალი სამძივრისა დარდმა მოჰკლა სამი წლის წინ, მამა კი ათი წლის წინ გაემგზავრა სალაშქროდ ჯიქეთს. იმ ლაშქრობიდან არავინ დაბრუნებულა, ხუთი ათეული შუბოსანი რომ მიჯირითობდა ფანასკერტის ციხის ზეგანზე, ეს დაამახსოვრდა ნესტანს. მამის მუზარადი ლაპლაპებდა აგვისტოს მზეზე. შემდეგ როდესაც ზეგანი თავდებოდა, მამამ წამით შეაყენა ცხენი, მუზარადის თასმა შეიხსნა და ჭაღარა თმები მესხეთის ნიავს შეუშვირა. მაშინ დაიყვირა ნესტანმა:

- მამა, ოქროსფერი მიმინო მომიყვანე ჯიქეთიდან, მამااااა....

- ჰეჰჰეეეეჰჰეეეეეიიიიი - გამოსცეს მთებმა ხმები

მუდამ მომღიმარმა ფანასკერტელმა პასუხად მთებს შესძახა, თუ თავის ნესტანს არავის იცის, ერისთავის ხმა ქარს დაეხშო და გაეფანტა, მაგრამ ნესტანმა მაინც გაიგონა ქველის სიტყვები:

- ელოდეეე ... ოქროოოსფერი მიმინოოოოო... მოვა...შვილო...ნესტან...

ეს იყო და ეს, მამა სამუდამოდ გაუჩინარდა. ღრუბლები მას შემდეგ საავდროდ მოიჯარნენ ფანასკერტის ციხის ქონგურებთან. შეჰყურებდა მათ ნესტანი და გრძნობდა, რომ შავი ღრუბლები, ჭორიკანა დედაბრებივით დაჰყურებდნენ, ნესტისაგან დაშლის პირას მიმდგარ ციხის ქონგურებს.

- დედა, ჩურჩულებენ ჩვენზე შეხე - მიანიშნა ერთხელ ღრუბლებზე ნესტანმა დედამისს და როდესაც სამძივრის ქალმა მათასიმ ზევით აიხედა, ნესტანმა იგრძნო, რომ დედამისს ცხოვრების ილაჯი წართმეული ქონდა.

ციხე-კოშკი აშინებდა ნესტანს, ის და დედა, გაზაფხულის დადგომიდან მზის გულზე იჯდნენ და იმ ზეგანს გაჰყურებდნენ, სადაც მამა და მისი შუბოსანთა რაზმი გაუჩინარდა.

- არ დაბრუნდებიან, არასდროს... - ჩაიჩურჩულა მათასიმ ერთხელ და ცრემლის მარცვალი დააგორა მიმჭკნარ ღაწვებზე.

ეს იყო პირველი ცრემლი, რომელიც შეუმჩნია ნესტანმა დედას. სამძივართა ამაყი ქალი ზეზეულად დადნა, უგრძნეულად დაპატარავდა და თავისსავე თავს მიუსაჯა მდუმარება. ასევე აღესრულა იგი. მდუმარედ. სანამ ჩაწვებოდა იჯდა და უყურებდა იმ წერტილს, საიდანაც ქველი ფანასკერტელის ღიმილს მის გულამდე მოეღწია.

ერთხელაც დედა აღარ წამოდგა დილიდანვე. ნესტანს გადაედო მდუმარება. შეხედა მათასის და შემდგომ ციხის სახლიდან, მზის გულზე გავიდა. ყვაოდა არემარე. ბუზები უბზუოდნენ, დაძველებულ კოშკებს. ერთადერთი მცველი, „ცალფეხგამხმარი“ იდგა, ერთ დროს ვებერთელა ციხის ქონგურზე. ხუთი ათეული წარჩინებული შუბოსნის გაუჩინარებამ ციხის ახლოს მდებარე სოფელიც გადააშენა,

ასე რომ ციხე მარტოდ-მარტო იდგა. დედა, ორშაბათს ჩაწვა და ხუთშაბათს აღესრულა. ნესტანი სამი დღე ეხუტებოდა დედის ცივ სხეულს. შემდეგ იგი მღვდელმა წამოაყენა და გულში ჩაიკრა. როდესაც დედას მიასვენებდნენ, ნესტანმა ზეგანს გახედა და თითქოს კიდევ ერთხელ მოჰკრა თვალი გაღიმებულ მამას. ესეც ალბათ, თითქოს.

ასე დაობლდა ნესტან ფანასკერტელი. რადგანაც ფანასკერტის ციხის კედლებში გოგონას ცხოვრება სამარეში ცოცხლად ყოფნას ჰგავდა, იგი იქვე სოფელში დაბინავდა. უციხო აზნაურის ქვრივმა ბერძენმა ქალმა ლასკარემ ნესტანი შვილად მიიღო. ბერძნის ქალს ორი შვილი ჰყავდა, სებასიანე და იუსტინიანე. მაღალი, ხუჭუჭთმიანი ჭაბუკები იყვნენ. დღე და ღამ ერთ ბერძნულ წიგნს უკირკიტებდნენ, ქართული ესმოდათ, მაგრამ ნაკლებად საუბრობდნენ. ნესტანს რომ შეხედავდნენ, ორივეს, ღაწვებზე ვარდისფერი გადაეკვრებოდათ და თავს ჩაჰღუნავდნენ.

ამასობაში ნესტან ფანასკერტელი თხუთმეტი წლის შეიქნა. ვარდის კოკორი ამ დროს იხსნება ხოლმე მესხეთის მთებში. გოგონაც, ვარდის კოკორს ემსგავსა. მასში მდუმარება, უეცარმა ჟინმა შესცვალა. ნაკადულივით მოვარდა, რაღაც მსხლტომიარე, ურჩი ჭინკა, გოგონას მკერდში ჩაუსახლდა და მისი ხასიათის შეცვლა მოინდომა.

დილას სებასტიანეს მიუტანა ნესტანმა ადუღებული რძე. თვალი შეავლო მის ხუჭუჭა შავ თმებს და საკინძე შეუკვრელი მიუახლოვდა მას. სებასტიანე თაფლს, ხის კოვზით სჭამდა და წიგნის ერთ ნაწილს ჩაჰყურებდა. რძეს ვერც მოჰკრა თვალი ბერძენმა ჭაბუკმა, მაგრამ როდესაც ნესტანმა მას ჭიქა ახლოს მიუჩოჩა და გაუღიმა, მაშინ შეხედა მას სებასტიანემ. ეს მზერა იყო არა ჭაბუკის, არამედ ბრძენკაცის. თვალებში შუქის ალი ბრიალებდა თითქოს, მაღალ თეთრ შუბლზე სებასიანეს ღრმა ნაოჭები დატყობოდა, მაგრამ მისი სწორი და ლამაზი ცხვირი, ღაწვები, ნიკაპი, რომელიღაც წმინდანის ფრესკას მოგაგონებდა.

- მიირთვი სებასტოს - თავანკარა წყაროსავით უმანკო ღიმილით უთხრა ნესტანმა ეს სიტყვები ჩაფიქრებულ სებასტიანეს, რომელიც იმავე წამს ადგა, მადლობის ნიშნად თავი მდაბლად დაუკრა ფანასკერტელის ქალს და უეცრად სასწრაფოდ მოშორდა მაგიდას. რძე დაულეველი დარჩა. ნესტანმა თვალი გააყოლა სებასტიანეს და მიხვდა რომ იგი ტაძრისაკენ მიიჩქაროდა.

- ბერად უნდა რომ აღიკვეცოს, ამიტომაც არ გესაუბრება, ეჩვევა მდუმარებას ჩემი სებასტიანე - ჩაილაპარაკა ლასკარემ და ნესტანს გვერდით მიუჯდა.

- მართლა? - იკითხა გაოცებულმა ნესტანმა და საჩქაროდ შეიკრა საკინძე.

- დიახ შვილო, იცოდე, იუსტინიანეც იგივეს ფიქრობს, მასაც ბერობა სურს - ყრუდ ჩაილაპარაკა ბერძენმა ქალმა.

- საოცარია - ჩაილაპარაკა ნესტანმა და საკუთარი თავის შერცხვა.

- ვარდს ჰგავხარ ნესტან, მეცოდები აქ, ამ სოფელში, შენ მეფის კარს უნდა სცხოვრობდე. იცი რა არის მეფის კარი?

- არა ლასკარე, არაფერი ვიცი მსგავსი - თქვა ნესტანმა.

- მე ადრე ვიყავი, ბიზანტიელი დუკას, და მისი მეუღლის ბენექტიონის სეფე ქალი, მაშინ მეც ვყვაოდი და ჩემს სილამაზეზე ლეგენდებს სთხზავდნენ, პოეტნი, დიდ და სახელგანთქმულ ქალაქ ტრაპიზონტში. მაგრამ ერთხელ ჩემი სატრფო გამომიჩნდა, აი ამ ვაჟკაცების მამა. მომიახლოვდა ლასკარისი, მომართვა შავი ტიტა, შემდეგ ჩემის ხათრითა და დაფასებით, დიდი ტურნირი მოიგო ტრაპეზინუს დუკას ამფითიატრზე და საჯაროდ განაცხადა - ეს ქალი მიყვარს და მასზე დამაქორწინეთო.

- რა ლამაზია, თქვენთვის ტურნირი, მოიგო, ესეიგი როგორ გეტრფოდათ? - გახალისდა ნესტანი და კვლავაც ქარაფშუტა ჯინები ჩაუსახლდნენ მას მკერდში.

- დიახ, ლამაზი დღე იყო. თავად ბიზანტიის დუკამ შეაერთა ჩვენი საჩვენებელი თითები და ტრაპიზონის ეკლესიაში ჯვარი დაგვწერა, შემდეგ მეგონა რომ იქ ვიცხოვრებდით, მაგრამ, თურმე იბერიელი ყოფილა ლასკაროსი და მეორე დილას აქეთ წამომიყვანა. მას შემდეგ ვცხოვრობდით ბედნიერად. გავზარდეთ ორი ვაჟი და წამართვა უფალმა ლასკაროსი. აი ასე დავრჩი მარტო, ეხლა სებასტიანე და იუსტინიანე აპირებენ ტაძრად მისვლას. სულ მარტოდ მარტო ვიქნები შემდეგ და დამრჩება მხოლოდ მოგონება, რომელიც ისევე განქარდება და გაქრება როგორც კვამლი ჩამქრალი ბუხრისა, მაშ რა არის მარადიული ამ ქვეყნად ნესტან?

- არ ვიცი ჩემო ქალბატონო!

- მარადიული არის სიყვარული ნესტან, მე არ ვიზიარებ ჩემი ვაჟების ლტოლვას სიწმინდისაკენ, მათ ადგილას რომ ვიყო ათასჯერ კიდევ მეტად გავეხვეოდი სიყვარულში, მაგრამ აბა მე რაღა ვქნა, მხოლოდ ყვითელი ფოთოლი ვარ ქარიშხლის მოლოდინში. შენთვის მითქვამს მხოლოდ ეს მე...

- მე არც არაფერი ვიცი ქალბატონო - გაწითლდა ნესტანი.

- არ გინდა გაგათხოვო? - ჭინკები აუკიაფდნენ თვალებში ქალბატონ ლასკარეს.

- არა, მე მამას ველი და მის ოქროსფერ მიმინოს - მკაცრად და მტკიცედ თქვა უეცრად ფანასკერტელის ქალმა ნესტანმა და მაგიდიდან წამოდგა.

- ხვალ ლაზაროობაა - ჩაილაპარაკა უეცრად დამწუხრებულმა ქალბატონმა ლასკარემ და ისიც წამოდგა.

- რძე ჭიქაში კი მაგიდაზე იდგა და ცივდებოდა.

***

ნესტან ფანასკერტელს გოგო ბიჭები შემოეხვივნენ და უძველესი წესის თანახმად მისი მორთვა დაიწყეს. ნესტანსაც უხაროდა და ღიმილით უშვერდა ხელს მაჯაზე სახვევ ყვავილების გვირგვინებს, კისერზე შესამკობელ მინდვრისაგან დაწნულ ავგაროზებს, წელზე შესარტყმელ - ვერცხლის ქამარს, შუბლზე მოსარგებ, ყვავილნარის ბოწკოებისაგან ერთმანეთში ჩაწნულ იისფერ, მწვანე და ოქროსფერ სადედოფლო გვირგვინს.

ახალგაზრდები ცეკვავდნენ ნესტანის გარშემო. ბიჭები როკავდნენ, გოგონები შვლებივით ხტოდნენ, მზის სხივებს წააგავდნენ ზეციდან და მზის საცეკვაოს ასრულებდნენ მესხნი.

„გვალვიანობას ქალწულები შეიკრიბებიან, ობოლსა და მშვენიერს ამოარჩევენ და დედოფლად მორთავენ, მას აქეთ იქით თანაბარი ოდენობით მოუდგებიან გვერდით, ხელებს ხის რტოებივით მაღლა აღაპყრობენ და დედოფლის ირგვლივ ტრიალებენ და თანაც მღერიან - ლაზარ მოადგა კარსა...“ - გაახსენდა დედოფალს, დიდი ხნის წინ ნათქვამი დედის სიტყვები და გული თავის თავის მიმართ სიბრალულით ჩაეწვა.

- ნუთუ მანუგეშებენ ამგვარად, უფალო! - ჩურჩულებდა ნესტანი და თვალებდახუჭული ტრიალებდა.

„ლაზარ მოადგა კარსა

აბრიალებს თვალსა

აღარ გვინდა გოროხი

ცხრილი აგორებული

წვიმა გაჩქარებულ ა“- მღეროდნენ ქალწულები და ზეცას შეჰყურებდნენ.

- დედოფალო სთხოვეთ მანანა, სთხოვეთ ჟუჟუნა...გაჰყვიროდნენ ბიჭები და ნესტანი მათი თხოვნით მიწაზე დაეცა, ზეცისაკენ ხელები აღაპყრო და წაიმღერა:

- „ლაზარ მოადგა კარსა...აბრიალებს თვალსა...აღარ გვინდა გოროხი, ცხრილი აგორებულ ა....წვიმა.....წვიმა გაჩქარებულ ა ...“

ამ დროს ოჯახიდან გამოტანილი წყალი შეასხეს დედოფალს, მას კი თვალები ჰქონდა დახუჭული, ისე თითქოს ფარულ კოცნას ელოდა, უეცრად ჭის ყინულივით ცივი წყალი მოხვდა და თვითონაც ფეხზე წამოიჭრა...

- მაშ ვწუწავთ ერთმანეთს არა...? - იყვირა ერთმა ბიჭმა და წყლით სავსე ტიკით გაეკიდა გოგონებს, რომლებიც ატკვარცალდნენ და აქეთ იქით გაიქცნენ.

- მოიცათ ჯერ, მეც მაქვს საწუწარა - დაიძახა ნესტან ფანასკერტელმა და წყლით სავსე ვერცხლის სურა გამოაძვრინა მოსხმული მანტიიდან.

ბავშვები ხტოდნენ და დარბოდნენ, წვიმის დედოფალი, მიუხედავად თექვსმეტი წლისა, ანცად დაფარფატებდა მათ შორის, ზოგს ის სწუწავდა და ზოგი კი მისკენ აშხეფებდა, წყლის გამაგრილებელ წვეთებს.....ეჰეჰეიიჰჰჰჰ...გაჰკიოდნენ ბიჭები, სად იყო დანდობა?

- ჰეჰეჰეი...დაიძახა ვიღაცამ ფანასკერტის ციხის გოდლიდან. ყველამ მისკენ გაიხედა და ერთადერთ მცველს ციხისას თვალნი ჰკიდა....

- ჰეჰეჰეიიიიი - გაჰყვიროდა ციხის მცველი და ხელს ზეგნისაკენ იშვერდა, მაწუწარათი მოხტუნავე ბავშვებს რაღაცას ანიშნებდა და მათ მშობლებსაც ალბათ რაღაცით აფრთხილებდა.

„დიდი ხანია მტერი აქეთ აღარ ენახათ....მაშ ვინ ჯანდაბა იყო“- გაიფიქრა მკერდში ჭინკებ დაბუდებულმა დედოფალმა, რომ ზეგნიდან მომავალი ცხენოსანი გამოჩნდა.

ყველა უეცრად შეჩერდა, ბავშვები გაშეშდნენ, მოხუცები წამოდგნენ, ქალებმა თავშლები მოიხსნეს....სიცხე იყო...თაკარა მზე შუბისტარიდან გადახრილიყო....

- ჰეჰეჰეიიიი - შესძახა ციხის მცველმა შუბოსანმა თავისი ჩვეული შეძახილი, მაგრამ მას მგზავრი არ გამოეხმაურა, ესეიგი ჩვენი არ იყო, იქნებ მომხვდური გახლდათ. მარტო კი მოდიოდა, მაგრამ იქნებ, ტყეში გადაემალა რაზმელები. სოფელი შეჩოჩქოლდა. მაგრამ კაცი ნასახად აღარ ყავდათ, უმეტეს წილად ქალები იყვნენ, მოხუცი პაპა სარდიონი უკვე ვეღარ სდგებოდა, ბიჭებს შორის უმრწესი ნესტანს რამდენიმე წლით ჩამორჩებოდა, იყო მხოლოდ ერთი შუბოსანი კედლის მცველი, რომელიც თავად ძლივს დაიარებოდა და ამიტომაც სოფელი თითქმის შეუიარაღებელი იყო. ხო მართლა სებასიანი და იუსტინიანე მოსწრებული ყმაწვილები იყვნენ, მაგრამ ისინი ამ ჟამს, მონასტრეში იყვნენ წასულნი.

- მამა-პაპის ჯაჭვი უნდა ავისხა, შუბი ავიღო და მომხვდურს წინ გადაუდგე - შესძახა უეცრად ნესტან ფანასკერტელმა და ლასკარეს სახლში, თავისივე ოთახში შევარდა, უკან გოგო-ბიჭები გამოუდგნენ, მაგრამ ნესტანმა სუყველა ოთახიდან გარეკა, მუხის მძიმე კიდობანს პირი გაუღო და შიგ ჩადებული, ჯაჭვ-კურტაკი ამოიღო, მამისეული ხმალიც ამოაძვრინა, დედისეული მუზარადიც მონახა და თავს მოირგო, აიღო შუბი, კურტაკის საიღლიებში ხელი გაჰყო, საკისრეში თავი გაუყარა და კურტაკი მოირგო. „მამისაა“ გაუელვა თავში გოგოს და რადგან მას „დედისეული სამძივართა ჯაჭვ-კურტაკი“ ეგულვოდა სადღაც, თვალი კიდევ მიმოავლო კოდობანს. მაგრამ ამაოდ. დრო არ ითმენდა, მხედარი ზეგანს ჩამოათავებდა და ციხის კედლის შემდეგ კიბეებს ჩაჰყვებოდა სოფლისაკენ, ამიტომაც სადმე ზევით უნდა დახვედროდა და ისეთი მრისხანე სახე მიეღო, რომ მომხვდურს სათემო

რაზმის მეთაური ჰგონებოდა. რამდენიმე ჩქამში ნესტანი კატაფრაქტს ჰგავდა და ფანასკერტის ციხის კედელზე არბოდა. მისი დანახვისას, კოჭლმა მეციხოვნემაც მოუჩქარა ფეხს და მაღალი კოშკიდან დაბა ჩამოსვლა დააპირა.

- „ეჰ სანამ ფეხგამხმარი მეციხოვნე დაბლა ჩამოვა სოფელს მტერი გადაბუგავს“ - გაიფიქრა ფანასკერტელის ქალმა და ციხის წინ მოსწორებულ მოედანზე მოლოდინით დადგა.

- ვინ ჯანდაბაა ან რა უნდა, ღმერთო დამეხმარე - გაიფიქრა მან და მამის შუბი აღმართა.

***

არდებილის სულთანის გამოლაშქრება

აბილ-საჯ დევდედის ვაჟი, დიდი აზერბაიჯანის ამირა, აბულ ყასიმი გახლდათ გვარად - საჯიდ. 901 წელს მოვარდა ის მმართველობაში და უმალვე დედაქალაქი არდებილში გადაიტანა.

ამგვარად დაუპირისპირდა აბულ-ყასიმი სომეხი ბაგრატიდების ინტერესებს ქალაქ არდებილის გავლენის ველზე.

- „ართავილა“ ჩაიგდეს ხელში აზერებმა - ყურში ჩაუჩურჩულეს სომეხთა მეფე ს,მბათ ბაგრატუნს.

- „ართავილა“ ჩაიდგეს აზერებმა? - მრისხანედ იკითხა ს,მბათ ბაგრატუნმა და წელის ტკივილის მიუხედავად ფეხზე წამოდგა.

არდებილი, იგივე „ართავილა“, საუკეთესო ხალიჩების სამშობლო, აბრეშუმის გზის ცნობილი ველი, ვნებას ჰმატებდა სომეხ ბაგრატუნებს. რამდენიმეჯერ მიუახლოვდნენ ისინი ამ ქალაქს. მაგრამ რადგანაც ართავილაში, სახელგანთქმული შეიხის, საიფ-ადინის აკლდამა ეგულებოდათ, ვერ გაბედეს შეტევა სომხებმა ამ ქალაქზე მაშინ.

კასპიის ზღვასთან სიახლოვე პოლიტიკურ მომხიბვლაობას მმატებდა არდებილს. მეორეს მხრივ თავრიზიც ახლოს იყო და ქალაქი მძვინვარებდა. ზორაოსტრაიზმის მიმდევრებმა მას წმინდა ალაგი უწოდეს ერთ დროს, ეხლა კი ის ჭრელი ქალაქი იყო.

საბალანის მთის სწორედ იმ კალთაზე, რომელიც ავესტას წმინდა წიგნში არის მოხსენიებული, სპარსულად ზარდოშტმა, ავესტას ენაზე - ზარათუშთრამ, ბერძნულად ზორაოსტრაომ, ანუ მან ვინც მწყემსია კეთილშობილი აქლემებისა თავის დიადი მოძღვრება შექმნა. სწორედ საბალანის მთებიდან მოედო მსოფლიოს ზარათუშთრას სიბრძნე.

მაგრამ სომხები საბალანს, უწოდებდნენ - შაჰვარზანს. მაშინ როცა უდაბნოს ქურთი მწყემსები მორჩილად მისჩერებოდნენ იდუმალ მთას, რადგანაც ერთმა თავის დროზე ამგვარად სთქვა - „როდესაც საბალანის მთაზე თოვლი დადნება, მაშინ დროც დამთავრდება“.

არდებილის სულთანმა, ზარათუშრას მედიტაციების ალაგს შეკრიბა „ოქროსფერი სარანჩა“ - მცირე აზიის ერთ-ერთი უძლეველი ცხენოსანი ჯარი. ოქროსფერი ძაფის გორგლები გადასცა ახალთექურ ულაყებზე ამხედრებულ ბაჰადირებს და შემდეგ აფაფრული დროშების წინ გაიჭენ-გამოიჭენა:

„მარზბანის (პროვინცია იყო ირანის აზერბაიჯანში) ლომებო, აჰა თქვენ გზა გამარჯვებისა. მივალთ რა სომხეთს, მთავარ დამნაშავეს ს,მბათს დავამხობთ, შემდეგ იბერიას ავლაგმავთ, ქართველთა სამეფოს დავაქცევთ, პონტოს ზღვაში გავიბანთ ხელებს, შევმუსრავთ ეგრისს, თფილისის ამირას დავაჩოქებთ და მთელს კავკასიას ვიპყრობთ...“

- რაო რას ამბობს დიდი ამირა? გადაულაპარაკა ხაზართა მხედართმთავარმა არგონქ ბაბა-ყარამ მის გვერდით მდგარ ნორჩ, იოანე სულას ძე „ხაზარს“, რომელიც უკვე 17 წლის გამხდარიყო და გაუჩინარებული მამისაგან მემკვიდრეობით დატოვებულ - ყარაფჩაის ლაშქარს ედგა სათავეში.

- თუ სწორად გავიგე დიდი ამირას არაბული, სალაშქროდ გვამზადებს იგი ჩვენ - მიუგო იოანე ხაზარმა თავის სარდალს და აბულ ყასიმის მიერ მათი მიმართულებით გადმოგდებულ ოქროსფერი ძაფის გორგალს ჰკიდა თვალი. უმალ გაჰქანდნენ მხედრები ძაფის გორგლისაკენ, მაგრამ თავად გორგალი იოანესკენ მოჰგორავდა და ცხენი ასკუპა სულა კალმახელის პირმშომ მის შესახვედრად.

- ყველამ ცხენის მოსართავები და ქუდები ამ ოქროს გორგლით უნდა მოვრთოთ, რათა აბულ-ყასიმის ლაშქარს ზღაპრული ფერი და ჟრუანტელის მომგვრელი ელვარება მიეცეს - ბრძანა არგონქ ბაბა-ყარამ და იოანეს მიერ მირთმეული ოქროსფერი გორგალი ხელში შეათამაშა.

***

ს,მბათ ბაგრატუნი რჩევებს მდუმარედ ისმენდა

- გაგიკ არწრუნი გღალატობს, აბულ ყასიმის ლაშქარს შეხვდა და აქეთ მოიწევს, „სრულიად სომეხთა მეფედ“ აცხადებს თავს და სპეციალური მახვილიც გააჭედვინა, როგორც ამბობენ... შეფიქრიანებული ამბობდა სომეხთა სარდალი აშოტი

- რისთვის გააჭედინა მახვილიო რას ამბობდი? - იკითხა სომეხთა ნაჰარარმა არზამასამ.

მცირე ხანს დუმდა აშოტ სარდალი, მაგრამ როდესაც მის მზერას ს,მბათ მეფის ჩასისხლიანებული თვალები მისწვდნენ, მაშინ იგიც დაეჭვდა, თუ რატომ უნდა დაემალა სიმართლე რომელსაც უკვე ყველა აღიარებდა, ამიტომაც აშოტმაც აღარ შეიკავა თავი და თქვა:

- სომეხთა - ს,მბათ მეფის მძლავრი კისრისათვის, ფართო მახვილი შევქმენიო - ამბობს აბულ ყასიმი - თქვა აშოტამ და უმალ მიხვდა, რომ იყბედა. სიტყვები მახრჩობელა გველივით დატრიალდა მოთათბირე სომეხთა შორის და ს,მბათს შემოეხვია. სომხები დუმდნენ, მეფეს თვალები კიდევ უფრო ჩაუსისხლიანდა. იგი საგონებელში ჩავარდნილ კაცს არ გავდა, გამოცდილი მმართველი იყო. რადგანაც ისლამის მძვინვარების საზღვარზე მოუწია ცხოვრება, ზურგს მუდამ რამდენიმე სხვადასხვა რწმენის მბრძანებლით იმაგრებდა. ადრე „ვრაცებს“ (ქართველებს) ზევიდან უყურებდა, რადგანაც მას თავად ისლამის მბრძანებელი, ბაღდადის ხალიფა ემეგობრებოდა. „ეჰ ვრაცებო, ვრაცებო, ჩემს იმედად იყავით, ხომ იცით ბაღდადის ხალიფას ვსტუმრობ“, ამბობდა ხშირად მეფე ს,მბათ, ქართველთა მეფე-მთავრებთან საუბრის დროს. მაგრამ ეხლა ყველაფერი მოიშალა, პოლიტიკის „ორთაღი“, აზრის შექმნის ჯებირი მოინგრა. მოხდა ის საოცრება, რასაც ს,მბათ მეფე არასდროს ელოდა. აბულ ყასიმმა არდებილში რეზიდენციის გადმოტანის შემდგომ, უკმეხად განუცხადა სომეხთა ელჩს - „მე ხალიფას არ ვემორჩილებიო“. ეს რას ნიშავდა, არავინ იცის.

- იქნებ ხალიფას მივწეროთ სასწრაფოდ წერილი, რათა შეაჩეროს უგუნური აბულ-ყასიმი, თორემ „ართავილასაც“ წავართმევთ და ტიგრან დიდის სომეხთა იმპერიას მისი სასახლის ნანგრევებზე ავაგებთ, როდესაც იქნება მაშინ... - კვლავ უგუნურად გამოუვიდა ეს სიტყვები აშოტ სპასპეტს და როდესაც კვლავ შეამჩნია მეფე სისხლიანი თვალებით მიყურებსო, უმალ გაჩუმდა.

დუმდნენ სომეხნი, „ტიგრან დიდი სომხეთის“ აღდგენა კი არა, პატარა სომხეთიც ეცლებოდათ თითქოს ხელიდან. არ გაამართლა ს,მბათ მეფის დიპლომატიურმა თამაშებმა ბაღდადის ხალიფასთან. ხმალამოწვდილ, გიჟმაჟ საამიროებად დაიშალა მშვიდობიანი ისლამის სივრცე.

- ქართველთა მეფე დაგვეხმარება - იჭვნეულად ამბობდა ნაჰარარი არზამასა და თავის მეფეს შეჰყურებდა, თითქოს თავის ბედსაც და მეფის ბედსაც ერთად გლოვობდნენ მისი თვალები, რადგანაც მოულოდნელად ცრემლები წამოუვიდა ნაჰარარს.

- ცოცხალს მტირი არზამას? - გაეცინა უეცრად ს,მბათ სომეხთა მეფეს, რომელსაც ქართველები თავიდანვე მოძულებული ჰყავდა, მაგრამ ეხლა რა უნდა ექნა? სომეხთა წმინდა მიწაზე „ართავილას სულთნის“ შემოტევას ვერც „ხალიფათან მეგობრობით“ შეაფერხებდა და ვერც ხმლით.

- „რა სახე ჩამოგტირით სომეხნო, განა ასე ნირწამხდარნი ელიან სიკვდილს თუნდაც ქართველნი, ერთი მითხარით რაიმე ხაფი ხმითა და სამხედრო შეძახილით, რომ მართლაც ისე მოვკვდე, როგორც მეფეს ეგების“ - გაიფიქრა მხოლოდ ს,მბათ სომეხმა, მაგრამ ასე თქვა ბოლოს:

- ჩემს ვაჟს, აშოტს გადაეცით ჩემი სპა, სახლი ჩემი და სახელმწიფო ხაზინა, მონასტერს მივალ, იქ სადაც ჩემი ვაჟი, პრინცი მუშეილი მარხია - სომეხთა მეფემ მოიხსნა სამეფო მანტია, არც კი დაელოდა მსახურს, ნელი მოძრაობით შუბლიდან ჩამოიღო, მძიმე გვირგვინი, დასდო თაჯი. ყველაფერი ეს გადასცა ნარჩევ მსახურს ლაზარეს და ტახტიდან ნელა წამოდგა.

ცხენზე ჯდომა უჭირდა სომეხთა მეფეს, წელის ტკივილი ყოველ წამს ახსენებდა თავს, ამიტომაც ს,მბათმა ტახტრევანი ამჯობინა და დვინისაკენ გაემართა.

როდესაც მისი უბედური შვილები 4 წლის წინ, 910 წელს ერებუნთან, სომეხთა სპით დახვდნენ შემოჭრილ აბულ-ყასიმს, მაშინაც მონასტერს იყო ს,მბათ მეფე. აბულ ყასიმმა მაშინაც სასტიკად დაამარცხა სომხები, აშოტი ბრძოლას დაჭრილი გამოარიდეს, მუშეილი კი ტყვედ ჩავარდა და ციხეში გარდაიცვალა. „მოწამლეს მუშეილი“ - ფიქრობდა ს,მბათ მეფე და აბულ ყასიმის მოგერიებაზე გეგმებს უკვე აღარ ადგენდა, ჰაზრად ეძებდა იმ ადგილს, თუ სად გახიზნულიყო, როდესაც აშოტის დამარცხების ამბავს აცნობებდნენ.

„ეგრისს წავალ, ან ტაოს“- ფიქრობდა იგი, როდესაც დვინის მონასტრის წინ, მონავნავე ყაყაჩოები შენიშნა.

***

მოხდა ისე, როგორც სომეხთა მეფე ფიქრობდა, აბულ ყასიმის, „ოქროსფერმა სარანჩამ“ უბრწყინვალესი იერიშით არივ-დარია სომეხთა ჯარი. შავ და შვინდისფერ სამოსში გამოწყობილი სომეხი „ნაჰარარები“ თავგაჩეხილი ცვიოდნენ, მათივე ბრძანებით ამოჭრილ თავდასაცავ თხრილში, რომელიც იმაზე უფრო მოკლე აღმოჩნდა, რასაც ახალთექური ულაყი ნახტომით ფარავს.

სომეხთა სპასპეტი აშოთანი და თავად ბატონიშვილი, ტახტის მემკვიდრე აშოტ ბრძოლის ველიდან გაიქცნენ. მარზბანის კავალერიამ ალყა რამდენიმე წამში შემოარტყა, აკანკალებულ მებრძოლებს. როდესაც რკალი დაიკეტა, აბულ-ყასიმის ბრძანებით, ბაჰადირებმა ისრები დაუშინეს სომხებს. ზოგიერთმა ბაჰადირმა იუკადრისა ისრებით ბრძოლა და სომეხი მეომრები დაპირისპირებაში გამოიწვია.

ხაზართა ჯარის უფროსმა, ოქროს ძაფებით მორთულმა, არგონქ ბაბა-ყარამ, ერთი სომეხი ნაჰარარი, მუზარდაზე ამოტვიფრული მიმინოს თავითა და ნისკარტით შემკული, ცისფერ მოსასხამიანი შუბ-ნაჯახოსანი მეომარი ხაზარული ხმლის-კილიჯის, რამდენიმე მოქნევით მიწაზე დასცა და თავადაც ცხენიდან ჩამოქვეითდა.

სამხედრო ნადავლს ელტვოდა ხაზართა სარდალი როგორც ჩანს. როდესაც იგი მიუახლოვდა, ბრძაყში, მხარში და ზურგში დაჭრილს, უეცრად სომეხი წამოიმართა და შუბ-ნაჯახი აძგერა ბაბა-ყარას, რომელმაც უსწრაფესად იფარა მოკლე მახვილი, მაგრამ შუბ-ნაჯახის სიმძიმემ მაინც თავისი გაიტანა და ხმალი უკუაგდო. მეორე მოქნევით სომეხმა მხარში დასჭრა ბაბა-ყარა, რომელმაც ტკივილისაგან ჩაიჩოქა და ყმუილის მსგავსი ხმით მიწაზე დაწვა, მესამე მოქნევას აპირებდა გამძვინვარებული სომეხი, მაგრამ ბაბა ყარას იოანე „ხაზარი“, კალმახელი გადაეფარა და შუბნაჯახით შემართულ სომეხ ნაჰარარს, კისერში ხრმალი უსწრაფესად ჩასცა. სისხლმა იფეთქა, დაეშვა მიწაზე სომეხი. ცალ მუხლზე ჩაიჩოქა მან და ხელით ჭრილობის არეს დაუწყო დაფარვა. მოძებნა ძარღვი სისხლისა და შეაჩერა მისი ნთხევა.

იოანე ხაზარ -კალმახელი გაკვირვებული შეჰყურებდა სომეხს, „მოჰკალ, მოჰკალ“, ესმოდა მას ხაზარების შეძახილი ზურგს უკნიდან, როგორც ჩანს სომეხთა თავდაცვითი თხრილის, ეხლა კი სომეხთა საძმო სასაფლაოს, პირას იდგნენ ხაზარნი და იცინოდნენ, სომხის სიკვდილს ელოდნენ.

რაღაც გაუელვა გულში იოანეს, ვერ გაიმეტა ჩაჩოქილი სომეხი, მივიდა მასთან და ხმლის წვერით შუბნაჯახი დაბლა დააწევინა დაჭრილს, შემდეგ შუბის პირს ჩაეჭიდა და იარაღი აართვა სომეხს.

- დამნებდი, იოანე ვარ, ყარაფჩაის ათასეულის ლუგალი-იმ - უთხრა მან სომეხს

***

- დამარცხდნენ ჩემი სომხები? მანამდე თხრილი გათხარეს თუ არა? ესე იგი თავიანთი საძმო სასაფლაო თვითონ გაუჭრიათ ჯერ კიდევ ცოცხლებს, ჩემს მეომრებს, ჩემს გმირებს, აღმოსავლეთში ქრისტიანობის ერთადერთ დამცველებს. ბაგრატუნთა ერთგულ მეომრებს. ჰაოსის შვილებს, ჰოი, ჰოი, ჰოი...მე მეფეს სომეხთა უბედურ მეფეს - ხმამაღლა სტიროდა ს,მბათ მეფე.

- კიდევ კარგი, ტახტის მემკვიდრე გადარჩა, აშოტი ეხლა დვინისაკენ მოჰყავთ, დაჭრილია, გამხნევება უნდა, მეფევ ეხლა უნდა მეფობა. უბედურებას უნდა მეფე, თორემ ბედნიერებას მეფე არ სჭირდება - ჩაილაპარაკა თითქოს თავისთვის სომეხთა კათალიკოსმა და ს,მბათის წინ დაემხო.

•••

- საჯიდ-თა დინასტიას მრავალი გამარჯვება გამოუჭედია, მაგრამ ასეთი, ჯერ არა, სომხები განადგურდნენ, სოღდეადან წამოსული საჯიდის გვარის პრინცები, უშრუშანას პროვინციიდან ეხლა უკვე იბერიასთან დგანან. ის რაც არაბთა ვერ შესძლეს, ჩვენ, საჯიდთა გვარმა და მარზბანის კოალიციამ უნდა შევძლოთ. დავიპყრობთ იბერიას. გავაძლიერებთ მუსლიმთა ბანაკს თბილისში, იქედან გავეშურებით და დავანგრევთ ქართველთა მთავარ ქალაქს უფლისციხეს, შემდეგ გადავალთ კახეთში, შემოვიერთებთ კახეთსა და კუხეთს. ამის შემდეგ დავეშვებით ახლად აღმოცენებულ „ქართველთა სამეფოს“ დასამარცხებლად. იარაღს ავყრით ეგრისს. ტაოს შემოვიერთებთ. ყველას დავინდობ ვინც კი სუნიტი გახდება, მაგრამ ვინც წინააღმდეგობას გამიწევს სასტიკად დავსჯი. ბაგრატიონებს ისევე ავლაგმავ, როგორც მათი ნათესავი სომეხი ბაგრატუნები ავღგავე პირისაგან მიწისა. დამთავრდა ქრისტეს რჯული კავკასიაში. დროა ისლამისა - გაჰყვიროდა აბულ-ყასიმი სამხედრო თათბირზე და ხელთ სომეხთა მეფის გვირგვინი ეჭირა.

•••

დესპანებისა და მეფეების ისტორია

ჯაფარიდების გვარის, ქალაქ თბილისის ამირა, ჯაფარ-ალი 914 წელს მოულოდნელად მიიცვალა და ტახტი მისმა შვილიშვილმა, მანსურ-ჯაფარმა მიიღო. მასაც ისევე სურდა თბილისის საამიროს დამოუკიდებლობა, როგორც, მის არასისხლისმიერ წინაპარს - ისაყ იბნ ისმაილს, რომელმაც სამოცდახუთი წლის წინ, ბაღდადის სახალიფოსაგან - თბილისის საამირო, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა.

მანსურ ჯაფარმა, ბავშვობიდანვე დაიწყო, ასტრონომიული კვლევები, თბილისის უძველესი ობსერვატორიიდან ზეცის დაკვირვებით. მაგრამ წიგნების კითხვით რაც ვერ მოახერხა, სულის დაკვირვებით შეავსო. განსაკუთრებით გაიტაცა იგი ქალაქის ამირების ისტორიამ. მისი წინამორბედის ისაქ-იბნ-ისმაილის, საჰაკად ცნობილი - თბილისის ამირას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შეცნობით.

- „თბილისის ამირა საჰაკმა სახელმწიფო შექმნა, არც ხალიფას ემორჩილებოდა და არც სხვას ვინმეს, გარდა ალაჰისა. ქართველი მთავრები მას ხარკს აძლევდნენ, მაგრამ როდესაც საჰაკმა ქართველებს ხარკი გაუუქმა და ერთიანი სახელმწიფოს შექმნაში მონაწილეობის მიღება შესთავაზა, მაშინ კი განრისხდა ბაღდადის ხალიფა ალ - მუთავაქილი, იბრძნა მან საჰაკის საშიშროება მთელი არაბეთისათვის და თავისი უდიდესი სარდალი ბუღა - თურქი, საჰაკის დასასჯელად გამოაგზავნა. როდესაც ბუღა-თურქი საქართველოს მოუახლოვდა, ტაოელ ბაგრატიონთა დინასტია მისი მორჩილი გახდა, რადგანაც ტაოელებს სურდათ თბილისის აღება, ამ საქმეში ისინი ნებისმიერ დამპყრობელს გამოიყენებდნენ. გამოიყენე თვით მხეცი - სწორედ ამგვარად განსაჯეს ბაგრატ I კუროპალატის სამხედრო ბანაკში, როდესაც ისინი ისანში დაბანაკდნენ ბუღა-თურქთან ერთად. მეორე დილას ზირაქი შეუსია ბუღამ თბილისს, სულ მალე ბაგრატ ბაგრატიონი და არაბნი მოედვნენ დიდი ქალაქის უმდიდრეს სანახებს. კუპრიან ისრებს ესროდა ზირაქი ქალაქს, ისმოდა მისი მოსახლეების საწყალობელი კვნესა და ტირილი. აიღო ბუღამ თბილისი და გმირი ამირა საჰაკი იმწამსვე სიკვდილს მისცა. მარტო თბილისში არაბი ისტორიკოსის ალ ტაბარის თქმით ორმოცდაათი ათასი კაცი დაიღუპა. შემდგომ ბუღა თურქმა და ბაგრატ კუროპალატმა მთელი საქართველო დაიპყრეს, აბხაზეთამდე“ - წაიკითხა ხმამაღლა მანსურმა თბილისელმა აბულ ყასიმის წერილი და დაფიქრდა. საჯიდთა გვარის მეომარი ამირა, მას თბილისის ამირას, ქართლსა და კახეთში სუნიტური ისლამის გავრცელების გარდა ტაოელ ბაგრატიონთა გვარის ამოწყვეტას სთავაზობდა.

- საჰაკის სისხლი ბარგატიონებზეა, ეს მართალია. ხალიფას რომ არ ემორჩილება საჯიდთა გვარის ამირა, ამით თქვენ ბრწყინვალებას წააგავს იგი ცოტაოდენ, მაგრამ ტაოელ ბაგრატიონებთან ბრძოლა ბიზანტიასთან დაპირისპირებასაც უდრის - თქვა თბილელ ბერებს შორის მჯდომმა გაბრიელ ალ ქურდმა, რომელსაც ქალაქში ბრძენი კაცისა და აზრთა გამკითხავის სახელი ჰქონდა გავარდნილი.

- რასაც გვწერს საჯიდ-ი, იმასვე აკეთებს უკვე, მისი ლაშქარი დაძრულია და ღირსეულად დახვედრა გვმართებს. თავად მობრძანდება. ტაოელ ბაგრატიონებს შიშის ზარს დავცემთ - ბრძანა მანსურ ჯაფარიდმა და დარბაზიდან ყველა დაითხოვა გაბრიელის გარდა.

•••

საჯიდთა გვარის ამირამ, აბულ ყასიმმა ქართულ მიწებს 914 წელს შემოუტია. თბილისის არაბმა ამირამ სიხარულით მიიღო მარზბანის „ოქროსფერი სარანჩა“, ქალაქის მდიდარი თავლები გაუღო მათ ცხენოსან ჯარს. შვრიითა და ცვარნარევი

თივის ბულულებით ნაგემი ახალთექური ცხენები გვარიანად გამოკვება და თბილისის მეჩეთში ხოტბა აღავლინა აბულ-ყასიმის სახელზე მან.

სამხედრო თათბირზე აბულ ყასიმმა კახეთში ლაშქრობის გეგმა დაამტკიცა, რადგანაც არვინ ელოდა ეხლა კვირიკე მეფეზე შეტევას.

მარზბანის „ოქროსფერი სარანჩა“ საგარეჯოსაკენ, უჯარმის ციხისკენ დაიძრა. გახურებული სამხედრო მარშის შემდეგ, აბულ ყასიმმა ივრის მარჯვენა სანაპიროზე აღმართული შესანიშნავი ციხე იხილა და ჯარი შეტევაზე შესვენების გარეშე გადაიყვანა.

- ამ ციხეში განუტევა სული იღლიაში დაჭრილმა, იბერთა გოლიათმა მეფემ გორგასლანმა, რომელსაც კავკასიონის მწვერვალის დაპყრობასაც მიაწერენ - გადაულაპარაკა მომცრო ტანის თეთრ არაბულ ფაშატზე ამხედრებულმა თბილისის ამირამ, სულ მუდამ მომღიმარ აბულ ყასიმს, რომელმაც შავი ულვაში აიპრიხა და აქლემოსანი ცეცხლის მფრქვეველებიც ჩაბა ბრძოლაში.

„ურაჰჰჰჰჰ“- შესძახეს აქლემოსანმა მხედრებმა და ცეცხლი, შემდეგ კი კუპრიანი ისრების მერეხი დაუშინეს გოდლებიდან მომზირალ კახელ მეციხოვნეებს. ამგვარი ტაქტიკა, უპრიანი იყო და მრავლისმთქმელი. ციხეში შიგნიდან ცეცხლი აგიზგიზდებოდა. საწყალ მეციხოვნეებს ცეცხლთან და მტერთან ბრძოლა ერთდროულად უხდებოდათ. ამგვარად ისინი გვარიანად იღლებოდნენ და სულიერედ ტყდებოდნენ. მტერი ციხეში ერთდროულად რამდენიმე მხრიდან აღწევდა. საქმეს აგვირგვინებდა ციხისთავის მოჭრილი თავი და აბულ-ყასიმის გაბმული ლოცვა რომელიც უფრო ღრიანცელს წააგავდა.

უჯარმა დაეცა!

შიშმა თავისი გაიტანა, უჯარმის აღების შემდეგ, კახმა მეომრებმა ბოჭორმის ციხე უბრძოლველად დასთმეს და მტერს გაეცალნენ. კვირიკემ ზავი ითხოვა და ხარკის გადახდა იკისრა.

***

- შენ ხაზარს არ გავხარ ჩემო მკვლელო, რა გქვია? - ბოდავდა ძილ-ღვიძილში სომეხი მეომარი, რომელიც იოანეს კარავში, თხის ტყავებში გახვეული იწვა და ციებას ებრძოდა.

ხაზართა ბელადი არგონქ ბაბა-ყარა თავის დიდ კარავში იწვა ამ დროს და მასაც ჭრილობასთან ერთად ციება შეჰყროდა. სომხის შუბ-ნაჯახს ხაზართა „მამისათვის“, ღრმა ჭრილობის გარდა მეშვიდე და მეცხრე მალა გადაემტვრია. იწვა ბაბა-ყარა და როგორც ჩანს მეუღლე, სიმშვენიერით განთქმული „ყარა-ხანუმი“ ენატრებოდა,

რადგანაც, გათეთრებული ტუჩებით დღეში რამდენიმეჯერ წარმოთქვამდა ცოლის სახელს და ამ დროს თვალებს დიდი ხნით ხუჭავდა.

- ხანუმს ნატრულობს, მაგრამ ეხლა მას ვინ გადმოიყვანს კავკასიონზე, თორემ, ისე კი მადლია - ტირილნარევი ხმით ჩურჩულებდა ხაზართა ბელადის შინაყმა აღა-ბაქარუკი და პატრონის ტუჩებთან სპილენძის სარკე ხშირ-ხშირად მიჰქონდა.

ჯერ-ჯეროობით იორთქლდებოდა სპილენძის სარკე, ბაბა-ყარას ფართო, ულაყივით ღრმა ნესტოებიდან მომავალი სასიცოცხლო სითბოთი. ბაქარუკი დაიჭერდა სპილენძის სარკეს და საათობით ლოცულობდა ბელადის სასიცოცხლო ძალების აღსადგენად.

მაგრამ შუა ღამეს შეშფოთდა ბაქარუკი. ბაბა-ყარას ცხვირის წვერი თითქოსდა უჩვეულო ნათელს დაეფარა და ბელადის სახისათვის მოცისფრო ელფერი მისცემოდა. გაშეშდა ბაქარუკი და მიაშტერდა ხაზართა მამის გაყინულ სახეს. „იქნებ შეირხეს და ამოისუნთქოს“ - ოცნებობდა შინაყმა, ერთგული ბაქარუკი, უეცრად ბაბა-ყარამ მართლაც ღრმად ჩაუსუნთქა და ამოისუნთქა. შეშინდა შინაყმა. გაიქცა სარკის მოსატანად, მაგრამ როდესაც ოთახში თაგვივით შემოიპარა იგი, ხაზართა ბელადი თვალებ გახელილი მიშტერებოდა მას.

- რა მოგაქვს ბაქარუკ? მოკვლას ხომ არ მიპირებ - ამოიჩურჩულა ბაბა-ყარამ უეცრად და მსახურს მომწვანო თვალები მახვილივით მიაბჯინა.

- სარკეა დიდო მამაო - თქვა ბაქარუკმა და მოწიწებით დაუკრა თავი, ხაზართა მეთაურს.

- გეგონა ვკვდებოდი ბაქარუკ? ეჰეეჰეი, შენ მინდვრის თაგვო - გაიცინა ბაბა-ყარამ და უეცრად დაიკვნესა ტკივილისაგან.

- სად გეტკინა დიდო მამავ? იკითხა ბაქარუკმა და ბელადის აკანკალებულ ნიკაპს დააკვირდა, ცივი ოფლი სდიოდა ბაბა-ყარას.

- ცოდვილთათვის სიკვდილი უფრო ძნელია, ვიდრე სიცოცხლე ბაქარუკ, მაგრამ უცოდველთათვის სიკვდილი არ არსებობს, სიცოცხლე კი ძნელია - კარვის ჭერს უკვე ხშირ-ხშირად აჰხედავდა ბაბა-ყარა.

- სიკვდილი რა არის ნეტა? - არც ვიცი და არც მიფიქრია, მაგრამ გვარიდოს იგი დიდმა თენგრმა (ხაზართა ღვთაებამ) დიდო მამაო - თავი ჩაქინდრა ბაქარუკმა.

- ჩემი მკვლელის ენა მომიტანე - ჩაილაპარაკა უეცრად ბაბა-ყარამ და ამოიგმინა, სისხლი ამოაყოლა და თვალები გადმოკარკლა.

- რაო დიდო მამაო? - ბაქარუკი განცვიფრებული შედგა და დიდი მამის წინ დაიხარა, მის ტუჩებს დაუწყო თვალიერება და ჩამქრალ თვალებს, მზერა მოარიდა. მსხვერპლს ითხოვდა ხაზართა მეთაური. რად უნდოდა „ენა“, ვერ მიმხვდარიყო

ბაქარუკი მაგრამ, საკუთარ თავს აღარც ეკითხებოდა რა ვქნაო. ყურს უგდებდა მხოლოდ ამ შეყინული ტუჩებიდან ამომავალ დაორთქლილ სიტყვიერებას.

- აიღე სამსხვერპლო დანა ჩემი გვარისა და სომხის სისხლი და მისი ენა მომიტანე - უჩვეულო სიმტკიცით და მჭექარე ხმით წამოიძახა არგონქმა, თავიც კი ასწია და ტუჩები აცმაცურა, ულვაში მოიკვნიტა, ცალი ხელი აუქნია ვიღაცას, თავს ზემოთ მყოფს და დაჭრილ ძერას დაემსგავსა მისი აფოფრილი თმებით.

•••

ბაქარუკი გველივით შესრიალდა იოანე კალმახელის კარავში და შედგა. სიბნელეში ორი საწოლი იხილა. „კარვის მარჯვენა მხარეს იოანე ხაზარი წევს, ხოლო მარცხენა კუთხეში გმინავს ის საზიზღარი ერმენი, რომელსაც ეხლა, გული უნდა გაუპო და ენა უნდა ამოვართვა, რომ ჩემმა ბატონმა იცოცხლოს, ასეა...ასე, მიდი ბაქარუკ, ეს ფართო თავიანი დანა ენის ამოსაგლეჯად მოგცეს ხელთ და გაამართლე პატრონის ნდობა ...მიდი ბაქარუკ, ვინ იცის რა გზები გაიხსნება შენს წინ, სომეხის დასჯის შემდეგ....იოანეს სძინავს და ეძინოს, მას არც შევაწუხებ, მხოლოდ შენ იყავ სომეხო და სუს....არ გავიგონო შენი ხმა...განუტევე...“-უახლოვდებოდა ბაქარუკი დაჭრილს.

მოლურჯო ალი შეტოკდა თითქოს დანის პირზე, ეს მთვარე ათამაშდა ფოლადის ზედაპირზე, ბაქარუკმა მოიმარჯვა სამსხვერპლო დანა და სომხის ფართო მხრებს შორის, ყრონტის ადგილის მოძიებას შეუდგა. „ყრონტიდან უნდა ამოვჭრა ენა....აი აქ უნდა იყოს...უეცრად ჩავცემ, ელვა ვარ შავი ცის...“- გაიფიქრა ბაქარუკმა და სწრაფი მოძრაობით, უეცრად ავაზაკურად ჩაარტყა დანა მის მსხვერპლს...

- ჭახანის ხმა იყო. პასუხად ხელში შემტყდარი დანა შერჩა ბაქარუკს, რომელსაც ქვევიდან ზევით, მუცელსა და ყბაში ისეთი უთავაზეს, რომ თვალთ დაუბნელდა მოძალადეს, რომელიც მიწაზე ზღართანით დავარდა.

იმ წამსვე წამოვარდა სომხის საწოლიდან შავი ლანდი და წაქცეულ ბაქარუკს გადააბიჯა.

- უფალმა შენი თავი გამომიგზავნა ქართველო, თორემ ეხლა ჩემი მოჭრილი თავი, თქვენი არგონქის კარავში, ხელიდან ხელში გადავიდოდა - კარვის მარჯვენა კუთხიდან ქართულად დაილაპარაკა სომეხმა.

- თავი არა მაგრამ ენა კი - ჩაიცინა იოანე კალმახელმა.

- მაგრამ ხვალ ხომ მაინც იგივე მოხდება, ჩემს მოჭრილ თავს ხაზარი ბავშვები ფერდობზე დააგორებენ და სიცილით გაეკიდებიან. რად გადამარჩინე ქართველო მაშინ? - გაეღიმა სომეხს.

- ეხლავე ფერხთ დაგაყენებ ნაჰარარო, ორივე ცხენებზე ავმხედრდებით და სამშობლოსაკენ გავსწევთ, შენ სომხეთს მე კი ჩორჩანს მივალ, იქნებ აბულ - ყასიმის ჯარს ჩავასწროთ და დავხვდეთ!

- გიჟ ელი? - თქვა სომეხმა და ტკივილისაგან ნაძალადევი სიცილით წამოიმართა.

•••

მთვარიანი ღამე უნათებდათ საცალფეხო ბილიკს. ორი ცხენოსანი მდუმარედ მიჰქროდა გამთენიამდე. იოანე „ხაზარ“ კალმახელს ნაბდის „საჩოჩები“ გულმოდგიმედ ამოეკრა ბედაურთა ფლოქვებისათვის და მანამ, სანამ ნაბადი არ დაიხა, არვის უგრძვნია მათი გაქცევის ამბავი.

დილას როცა მზე ამოიწვერა, პირველი ფლოქვის ხმა გამოსცა ცხენმა. მოხსნა იოანემ ცხენებს დაძენძილი „საჩოჩები“, ნახევები შარაზე დაყარა და სომეხს შეხედა, ჭრილობისაგან დასუსტებულ ნაჰარარს მუზარადი შუბლზე ჩამოფხატვოდა და წარბებიდან ოფლი ეწურებოდა.

- თმოგვს მივალ, იქ დავხვდები აბულ ყასიმის ლაშქარს, წამო ჩემთან, ნათესავებიც უნდა მოვძებნო ჩორჩანს - ცხენი შეაყენა სომხის წინ იოანემ და მის დახუჭულ ქუთუთოებს შეხედა.

- შენ რა იცი ხაზარო თმოგვის გზა? - უჩვეულო ეჭვით ამოხედა სომეხმა იოანეს.

- ხაზარო აღარ მითხრა ჰაოსის შვილო, მე იოანე ვარ კალმახელი, ბაჰლაუნდთა და დიდ ჩორჩანელთა პირდაპირი შთამომავალი - ცხენი ყალყზე შეაყენა ყარაფჩაის ბატონმა და მიდამოებს თვალი მიმოავლო.

- განცვიფრდა სომეხი, დიდხანს უყურა მის მხსნელს, შემდეგ ცხენიდან ჩამოხტა და ქვეითად მდგომმა დაუკრა თავი იოანეს.

- შენ რა გქვია ჰაოსის მოდგმავ? - იკითხა იოანე ხაზარმა.

- ტიგრან არწრუნი ვარ, სომეხთა მთავრის - გაგიკ არწრუნის უმცროსი შვილი - თქვა სომეხმა.

•••

მოაჭენებდნენ ცხენებს თმოგვისაკენ, საფიქრალს კი ფიქრობდნენ ორთავე.

- „მამამისი გაგიკ არწრუნი აბულ ყასიმის ჯარს შემოუძღვა სომხეთში, ეს თუ გაგიკის შვილია აქ რა უნდა ნეტავ? ს,მბათ ბაგრატუნს როგორ ემსახურებოდა გაგიკის უმცროსი შვილი, როგორ ამოვხსნა ეს გამოცანა, ეჰეი, თენგრის ვარსკვლავო...“ - თავში ჭიანჭველებივით დაუდიოდა ჰაზრები ჯერ კიდევ წარმართ იოანე „ხაზარს“, სისხლით კალმახელსა, ბაჰლაუნდსა და ჩორჩანელს.

- „ ჩემი გადამრჩენელი, გიჟ-ელი კია, ჩორჩანელი ვარ-ელი-ო ამბობს, საქმე საკვირველია ამ გიჟ - „ვრაცების“ სამთავროებში. რას შლეგობს ელ-ი? მაგრამ ძმაა ჩემი და უნდა მივყვე სანამ სომხეთის გზა გამოჩნდება-ელი!“ - ჭრილობისაგან დასუსტებული, ულაყის ნახტომებზე, გმინავდა ტიგრან არწრუნი.

ბოლოს იოანემ ვერ მოითმინა და ხაზარული პირდაპირობით მიაძახა სომეხს:

- ტიგრან, მამაშენი გაგიკი, სომეხთა მეფედ დაჯდომას აპირებს თუ იცი ეს? აბულ ყასიმის მახვილს მინდობილი აქეთ მოიწევს. მარზბანის მხედრობას, სომეხთა ჯარით უმაგრებს მარჯვენა ფრთას და ივერიის ამოგდებას ლამობს. რა იტყვი ამის გამგონე?

- ბავშვობიდან ვიზრდები ს,მბათ მეფის ოჯახში იოანევ, ჩემ მამად ყოველთა სომეხთა მეფეს - ს,მბათ ბაგრატუნს მივიჩნევდი მუდამ და არა არწრუნს, რომელმაც ჯერ კიდევ ბალღი, მძევლად მიმცა ბაგრატუნებს. ძმობილო მენდე, სადაც შენ იომებ, იქვე შენი გულისთვის მეც მოვკვდე მინდა - ამოიგმინა სომეხმა და თვალთაგან ცრემლი წარსკდა მას.

- გავცვალოთ იარაღი და ძმად გავეფიცოთ ერთურთს ჰაოსის მთავართა მემკვიდრევ - თქვა უეცრად იოანემ და ცხენი ქარაფზე გააშეშა, სომეხმა გადახედა იოანეს თვალწინ ხახა დაბჩენილ უფსკრულს, იგრძნო, კალმახელის ცხენკეთილობის საოცარი სიღრმე და უეცრად შეძრწნდა - „თუ ამგვარად აშეშებენ ცხენებს კლდის ქარაფზე ხაზარები, მაშინ როგორ უნდა ვებრძოლოთ მათ კავალერიას“ გაუელვა თავში, იოანე თავიდან - ბოლომდე შეათვალიერა და მის სიახლოვეს ცხენი მანაც შეაყენა.

- მინდა შენ გისახსოვრო ჯაჭვი ჩემი პაპისა - ბოზორქ ხაზარისა, რომელიც მამას ჩემსას სულა კალმახელს ახლდა სლავებთან ლაშქრობისას - სიამაყით განაცხადა კალმახელმა და ჯაჭვის შემოხსნას შეუდგა.

- მე მსურს მოგიძღვნა მუზარადი არწრუნთა გვარისა, რომელიც ასევე პაპიდან მერგო და რომელზეც ოქროსფერი მიმინო არის ამოტვიფრული - ამოიგმინა სომეხმა და მძიმე მუზარადის თასმების შეხსნას შეუდგა.

- ბრწყინვალე მიმინოა - ნეტავ რას გამოხატავს იგი? - იკითხა გახარებულმა იოანე „ხაზარმა“ და მუზარდაზე ნაქანდაკევი მოოქროვილი მიმინოს მჭრელ ნისკარტს თითები შეავლო.

- მამაჩემს, გაგიკს უსახსოვრია ეს მუზარადი სომეხთა მეფისათვის, უბედურ ს,მბათისათვის, რომლისთვისაც უთქვამს „მიმინო მხოლოდ გმირებს ემორჩილებაო“ და აი შენ ხარ ჩემი გმირი ჩორჩანელთა შთამომავალო - გახარებული შესცქეროდა მაღალ და მხარბეჭიან იოანეს, დაბალი და თმახუჭუჭა ტიგრანი.

- შენ თავად მეფემ გაჩუქა ეს მუზარადი? მაშინ არ მინდა დაიბრუნე - გამჭოლი მზერით შეხედა იოანემ ტიგრანს და მუზარადი მიაჩეჩა.

- არა ჩორჩანელო, არ უჩუქნია მეფეს ჩემთვის ეს მუზარადი. მე თავად მოვძებნე იარაღთ საცავში იგი და როგორც მამის ჩემის ერთადერთი ნივთი, შვილმა იმის იმედით, რომ გაგიკ არწრუნს ბრძოლაში გადავეყრებოდი და მის ყურადღებას მივიპყრობდი მიმინოს ელვარებით - ხელიდან გამოვტაცე იგი სომეხთა ამირახორს და თავს ძალით დავირქვი.

- რად გინდოდა მამასთან შეხვედრა ტიგრან? - იკითხა უმალ იოანემ.

- ს,მბათ მეფისა და ყოველთა სომეხთა მტერი, ერის მოღალატე გაგიკ არწრუნი მსურდა მომეკლა ჩორჩანელო - სახედაღრეჯით თქვა ტიგრანმა.

- ეხლა რა გსურს, რომ მე მოვკლა მამაშენი? - იკითხა იოანე „ხაზარმა“.

- გამიგია მეფე ს,მბათისაგან - ბრძოლის ველზე იარაღი იზიდავსო პატრონს - ყრუდ წარმოსთქვა ტიგრანმა.

***

მემატიანე მოგვითხრობს - „მოვიდა ამირა, სახელით აბულ-კასიმ, ძე აბულ საჯისი, რომელი გამოეგზავნა ამირმუმნსა (ე.ი. ხალიფა) სპითა დიდითა და ურიცხვითა, რომელთა არა იტევდა ქვეყანა. რამეთუ მოვიდა პირველად სომხითს, და მოსრა ყოველი სომხითი, სივნეთი, ვაეძორი და ვასფურაგანი. და სუმბატ სომეხთა მეფემან ვერ დაიდგინა ზარისა მისისაგან, და წარმოვიდა მეოტი და მიმართა მთათა აფხაზეთისათა, და იქ იყოფოდა. და მოვიდა აბუსაჯის ძე ტფილისს, და მას ჟამსა ამირა იყო ჯაფარ, ძე ალისი, მოვიდა და შემდეგ მოადგა უჯარმას. შიგ იდგა სამასი კაცი, და ჰბრძოდეს მრავალთა დღეთა. და ვითარ იხილეს, რამეთუ ვერ დაუდგმიდეს, ადგეს ღამე და გადაიხვეწნენ: რომელნიც წარვიდნენ იმათგან ვისაც დაეწივნეს დახოცეს. ვითარცა ცნეს ბოჭორმელთა ციხოვანთა წაღება უჯარმისა, დააგდეს ციხე და გარდაიხუეწნეს. რაჟამს მოვიდეს საჯნი, იპოვეს იგი უკაცური და თქვეს: „რომელი ბაკი იყო, იქ შინა ფიცხლად შეგუებნეს; და რომელი ციხე არს, იგი უკაცურად დაუგდიათ“. აღიღეს ბოჭორმა და დაიჭირეს ციხედ-ვე, და უჯარმის ზღუდენი დაარღვიეს.

ხოლო კვირიკე ქორეპისკოპოსმან (893-918) ვითარ იხილა, რომელ არა იყო ღონე მისი, მიენდო ფიცითა, მივიდა და ნახა; და ჰკითხა მან: „ვინ გაწვია აქა მოსლვა?" და

უთხრა: „მაწვია დედამან ჩემმან". და თქუა აბულ ყასიმმა: „არა ვატკინო გული ერთისა შემხედვარსა". და შეუყუარდა სიკეთისა მისისათვის და განუტევა, უჯარმა დაუბრუნა, ხოლო ბოჭორმა თვით დაიჭირა.

შემდგომად ამისა შემოვიდა ქართლად, და მოაოხრა ქართლი; და ვიდრე იგი შემოვიდოდა, აფხაზეთის მეფის ბრძანებით მოარღვიეს ზღუდენი უფლისციხისანი, რომელ არ დაიმჭირო მტერმა. შემდეგ შევიდა აბულ ყასიმი შევიდა სამცხეს, და მოაოხრა სამცხე და ჯავახეთი, მოადგა ციხესა თმოგვისასა. და ვითარ იხილა სიმტკიცე მისი და სიმაგრე, აიყარა..."

***

თმოგვი

თმოგვის ციხე-ქალაქს, მდუმარედ იდგნენ მესხნი, შესასვლელ გვირაბს მტკიცედ იცავდნენ და მტკვარში სათევზაო ბადეები ჰქონდათ გადმოსროლილი. როგორც ჩანს ალყისათვის ემზადებოდნენ და თევზს იმარაგებდნენ.

- შემომიშვით, თქვენებური ვარ მეცა - უჩვეულო ქართულით შესძახა იოანემ მეციხოვნე მესხებს.

ერთმანეთს გადახედეს მესხებმა და შემდეგ ერთი გადმოდგა ქონგურზე იოანესთან სასაუბროდ, მოიჩრდილა თვალნი და დაიძახა.

- ვინა ხარ კაცო?

- იოანე ვარ კალმახელი

- ვისი ყმა ხარ ან ვისი პატრონი?

- ძე ვარ სულასი, პატრონი კალმახისა

გაჩუმდნენ მესხნი და შემდეგ რამდენიმე ისარი სტყორცნეს იოანე კალმახელის სიახლოვეს მდგომ ჭადარს.

- გვეუბნენიან წადითო, არ სჯერათ შენი იოანობა - წარმოთქვა ტიგრანმა და ცხენი იქვე მყოფ ფერდობზე ააჭენა.

- თუ მოძმე ვერ მიცნობს ისარსაც დაუკოდივარ - ამოიოხრა იოანემ და რამდენიმე ნაბიჯი წინ წარსდგა.

კვლავ გაიზუზუნა თმოგველთა მშვილდმა და იოანეს წინ სამი ისარი დაესო. ისრებმა ოხვრით შეხვრიტეს მიწა და საზღვრად აღიმართენ იოანესა და თმოგველთ შორის.

•••

ფანასკერტის გზას დაადგნენ, არ შეუშვეს თმოგვში უცხოდ გამოწყობილი მხედრები მესხმა მეციხოვნეებმა. მარზბანის კავალერია თმოგვს რომ მოადგა, მაშინ გამოსწიეს ფანასკერტისაკენ, გზა და გზა დაცლილი და აოხრებული სოფლები შემოხვდათ, კაცის ჭაჭანება აღარ იყო. მამულისათვის ომი უნდოდათ და არ აომეს - ამით იყო გამწარებული კალმახელთა შთამომავალი.

- აი აქედან გამოჩნდა სომხეთისაკენ მიმავალი ბილიკი ჩორჩანის პატრონო, თუ გამიშვებ, ერთ თვეში მოგნახავ და შენთან გავჩნდები გამოსასყიდით, რომელიც შენ გეკუთვნის - იბერიულად წარმოთქვა ტიგრან ბაგრატუნმა და იოანეს მთაში მიმავალ გადალექილ ბილიკზე მიუთითა.

- სომხეთი აოხრებულია, აბულ ყასიმი, ს,მბათ მეფის ხელთ ჩაგდებას ლამობს, ამიტომაც გაფრთხილდი ტიგრან. წადი, ნება შენია. ძმად მიგიღებ როცა კი მოხვალ. თქვენს წმინდა ტაძრებში ილოცე ჩემთვის.

ტიგრან არწრუნი ცხენიდან ჩამოხტა და ქვეითად თაყვანი სცა იოანე კალმახელს, რომელიც ხაზარული ჩვეულების თანახმად ჩამოუქვეითებლად, გულზე მუშტის ბრაგუნით და თავის მოდრეკით, ღიმილით დაემშვიდობა მოძმეს.

გაიყარნენ ბილიკის დასაწყისში. არწრუნი წვიმისა და ქარაშოტებისაგან თითქმის წაშლილ ბილიკს მიუყვა. იოანე კალმახელი კი მარχვენა მხარეს მიმავალ ძველ საქარავნე გზას დაადგა იმის იმდით, რომ ვინმე მოენე ჩაეგდო ხელთ და ახალი ამბები შეეცნო მასაც.

•••

სამი დღის შემდეგ, იარა გახსნილი, სისხლში და მტვერში ამოთხვრილი ტიგრან არწრუნი დვინს გამოცხადდა. ქალაქი ნახანძრალი და გადამწვარი დახვდა, დვინის ეკლესიები, ნაქანდაკევი კედლებით ცნობილი მონასტრები ცეცხლის ალში გახვეულიყო. მოტრიალდა ტიგრანი და ქვაბიანის მონასტრისაკენ აიღო გეზი. როდესაც მიადგა კლდეს, იქვე დამალულ ლოდს მოჰკრა თვალი და როგორც შესწავლილი ჰქონდა ლოდი სომხური მელოდიის რიტმების თანახმად კლდეზე დააბრაგუნა.

უკვე საღამო ახლოვდებოდა, ტიგრანს ძალა ეცლებოდა და მალე გრძნობასაც დაკარგავდა, როდესაც, კლდის ქიმიდან უსწრაფესად ჩამოვარდა, ბაგირზე დაკიდებული დიდი მოწნული კალათა.

ერთი კაცი რომ მოთავსდებოდა იმგვარი კალათა იყო. ტიგრანმა შეხსნა ხაზარულ ცხენს უნაგირი, გაუშვა ულაყი და თავად მძიმე სამხედრო უნაგირიანად კალათაში შეფოფხდა. აქაჩეს კალათა ზევით და წრიაპებითა და კლდის ღარებით წაათრიეს იგი კლდის ქიმისაკენ.

***

აბულ ყასიმი მიადგა შემდეგ ყველის ციხეს, რომელიც ერისთავთ-ერისთავს აშოტ კუხს ეკუთვნოდა. ასოცდაცამეტი რჩეული მეომარი იცავდა ყველს. თავად აშოტ კუხი საზაფხულო რეზიდენციაში - ზემო ყველში გამაგრებულიყო.

ქვაში ნაქანდაკევ მაგიდასთან იჯდა ციხისთავი გობრონი, რომელზედაც გამორჩეულ ამბებს ჰყვებოდნენ მესხნი. ერთმა უკუაგდოო თურქნი არტანუჯიდან, მარტო მაგის გამოჩენამ დაზაფრა ბიზანტიელი მხედრები სპერიდან, მისმა ნასროლმა ისარმა გაუხვრიტა მუზარადიო ბუნ-თურქთა მეფეს ალაფს, სათქმელი მრავალი იყო.

მდუმარედ იყვნენ და ციხისთავს მყუდროებას არ ურღვევდნენ ყველის ციხეში გამაგრებული მესხი მეომრები, რადგანაც ყველას ესმოდა რომ - სახარებას კითხულობდა თვალზე ცრემლმორეული გობრონი.

***

ოქროსფერი ზეგანი რომ უკან მოიტოვა, მაშინ დაინახა ფანასკერტის ვებერთელა ციხის ძირას აღმართული მეომარი იოანე კალმახელმა. შედგა უეცრად იოანე, ხელშუბიანი ციხის კარებთან ელოდა მას, ხოლო ქონგურიდან კიდევ ერთი მეციხოვნე მოსჩანდა.

„მომზადებული ყოფილან ფანასკერტელნიც, რაზმეულიც ჩასაფრებული იქნება, ეხლა დამახლიან ისრებს, უნდა სიტყვით მოვიგო მათი გული“ გაიფიქრა იოანემ, ჩამოხტა ცხენიდან, სადავე ხელთ იპყრა, ტიგრანის ნაჩუქარი - ოქროსფერ მიმინოიანი ჩაფხუტი მოიხსნა და შორს გადააგდო, შემდეგ მკერდზე დაკიდებული კალმახელთა ჯვარი ხელთ იპყრა და ციხისაკენ ფეხით დაეშვა.

ასე გაიარა ორმოცდაათიოდე ნაბიჯი, უკვირდა რომ ისრებს არ ესროდნენ, მიხვდა რომ ხმალიც უნდა შემოეხსნა და ამიტომაც უეცრად შეყოვნდა. ხაზარული „კილიჯ“ ქამრიანად შემოიხსნა და მის წინ აღმართულ ჩაფხუტიან შუბოსანს იმგარად გადაუგდო, რომ ხრმალი მიწაში თითქმის ვადამდე ჩაერჭო.

ჩაფხუტიანმა მოატრიალა თავი შეხედა მიწაში ვადამდე გაუჩინარებულ ხმალს და უეცრად ბობოქრად მოჰყვა შუბით მუქარას, იოანეს მიმართ.

-ოთურ -თურქულად ამბობდა და მბრძანებლობდა შუბოსანი და ამიტომაც იოანე კალმახელი მიწაზე დაჯდა და ჯვრიანი ხელი მაღლა აღმართა.

ჩაფხუტიანი შუბოსანმა რაღაც დაჭყივლა და უმალ გოგო ბიჭები შემოეხვივნენ იოანე კალმახელს, მძიმე ბაწრით გადაუკრეს მას მკერდი, ჯაჭვით შეუკრეს ხელები და ფეხები, შემდგომ სწრაფად განაიარაღეს, უბეში საგულდაგულოდ ჩამალული ტყავის აბგაც უპოვეს, სადაც იოანე ხაზარი მამასთან დაკავშირებულ მოგონებებს მალავდა და მიწაზე დააგდეს.

გოგო ბიჭები გაუჩინარდნენ, ხოლო ჩაფხუტიანი შუბოსნის, რკინის ნიღაბს მიღმა დამალული თვალები, საგულდაგულოდ ათვალიერებდნენ მიწაზე დაგდებულ ტყვეს და შუბის წვერს უღერებდნენ მის გულ-მკერდს.

ბოლოს როგორც იქნა „ფეხგამხმარმა“ მეციხოვნემ მიაღწია იმ ალაგისაკენ, სადაც იოანე იყო მიწაზე გართხმული. „ფანასკერტის ციხის დილეგში ჩაამწყვდიეთო“- მრისხანე ხმით ბრძანა მეციხოვნემ და უეცრად ისევ გამოჩენილმა გოგო ბიჭებმა დაბორკილი ტყვე უძველესი ციხის დილეგში ჩააპირქვავეს.

ყველის ციხის წმინდა მეომართა გზა

- **ეს გზაა წმინდა მეომართა! ასოცდაცამეტივე დაველოდებით აქ უფლის განაჩენს. არ დავთმობთ ამ ციხეს. ეს არის ბოლო სამყოფელი ჩემი, ამას იქით სახლი არ მეგულვის, არწივები დილეგიდან გაანთავისუფლეთ, დაე გაფრინდნენ. ჩვენ ვართ ეხლა არწივები, ცისა და მიწის მეფენი. თქვენია თქვენი ნება, სხვა ყოველი გაგეძარცვებათ და მხოლოდ ნება დარჩება. ჩვენ ხალხი დაგვიმახსოვრებს, როგორც ასოცდაცამეტ მოყმეს, ასოცდაცამეტ არწივს - თავდადებულს ქრისტესათვის - ისმოდა ყველის ციხეს ქონგურებზე გობრონის ხმა.**

მდუმარედ იდგნენ მეციხოვნენი, ნისლი ჩამოდიოდა ფერდობებიდან. ოქროსფერი სარანჩა იკავებდა ციხის ქვევით არსებულ დაცლილ სოფელს

ყველის გარემოცვით იწერებოდა ქრისტეს სჯულის ისტორიაში ყველაზე სახეგანთქმული, უხილავი, სულებს შორის მოლივლივე, წმინდა პერგამენტი.

•••

ნესტან ფანასკერტელი „ფეხგამხმარ“ მეციხოვნეს გვერდით იჯდა და გულიანად კისკისებდა, მის გარშემო გოგო-ბიჭები, ციხის ქონგურებზე ჩამომჯდარიყვნენ და მოწიწებით შეჰყურებდნენ სოფლის „მხსნელს“, ჩვიდმეტი წლის ქალს ფანასკერტელთა.

- მაინც ისე როგორ დააფრთხე ხაზარი, რომ ჩაფხუტიცა და ხმალიც მოიხსნა, ჩამოქვეითდა და ჩაგბარდა ჰა - იცინოდა „ფეხმაგხმარი“.

- არ ვიცი ბაბუ, თითქოს დაგვნებდა თავისით, სიტყვა არ წარმოუთქვამს, მაგრამ რა ვუყოთ? - შეჰყურებდა მეციხოვნეს ნესტანი

- ქართველთა მეფეს უნდა გავუგზავნოთ, მაგრამ ძალები არ გვეყოფა მაგისათვის, ვინ მიაცილებს ოლთისამდე ამხელა ჯეელს? არავინ. ქალებისა და ბალღების ამარა ვართ დარჩენილი. უნდა გავგმიროთ, რად განაც დიდხანს დილეგში ვერ გაძლებს და არც ვარ დარწმუნებული დილეგის ვარგისიანობაში შვილებო.

- დილეგს რა სჭირს? იჯდეს და იყოს - დანანებით თქვა უეცრად ნესტანმა.

- დილეგს უძველესი გასასვლელები აქვს დატანიებული, დიდ ლოდებით არის დაგმანული მანდ ერთი ჭა, როგორც მახსოვს. თუ მაგ დოლაბის ქვას ამოიღებს ტყვე, მაშინ კიბეს დაინახავს და აქედან ორი დღის სავალზე უგრძნობლად გავა - იხსენებდა ფეხგამხმარი.

- დაბმულია და ქვას როგორ გადააგორებს? - კვლავ შეწუხდა ნესტანი

- მანდ ნესტია შვილი, ბაწარი მოირყევა ნესტისაგან და გაიჭიმება, თუ ხელები გაინთავისუფლა მაშინ, რასა იქმს, დაფიქრდით თავად - ამბობდა უტეხი მეციხოვნე.

- იქნებ ქრისტიანია? - ხელთ ჯვარი ეპყრა, თქვა ნესტანმა.

- ეგ სამხედრო ხრიკია ბალღო, უნდა გავგმიროთ და მაგით გავათავოთ - ჯიუტად იმეორებდა ფეხმგამხმარი.

- ტყავის აბგაში რა ედო? - გაახსენდა ტყვის აღჭურვილობა ნესტანს

- წერილია ერთი, სპარსულია თუ არაბული არავინ ვიცით, არც მაინტერესებს, ამ შუბით ღამე ჩავალ და უმტკივნეულოდ გავგმირავ სამხედრო ტყვეს - გამოსცრა კბილებში მეციხოვნემ.

- მანახე წერილი ბაბუუ - ხელი გაიწოდა მისკენ ნესტან ფანასკერტელმა.

- აი პერგამენტი - აიქნია ხელი მეციხოვნემ და უბეში ჩადებული დახვეული გრაგნილი მიწაზე დააგდო.

- წავიკითხავ, არაბულიც ვიცი, სპარსულიც და ბერძნულიცა - თქვა ნესტანმა და გრაგნილით ხელში ფანასკერტელთა ციხის დიდ ქონგურზე განმარტოვდა.

გოგო ბიჭები გაიკრიფნენ. მზე ჩადიოდა და ფეხგამხმარი მეციხოვნე ძალებს იკრებდა. უკანასკნელად უნდა განეგმირა სამტროდ მოსული მხედარი. ფეხს რომ ვეღარ ხმაროობდა, ეს ძალიან სტკენდა მეციხოვნეს გულს. კიბეზე ჩასვლა უმძიმდა. დილეგს კი გააღებდა, თუ იქამდე ჩავიდოდა. ჩაძინებულს ტყვეს წაადგებოდა თავზე და სამმეტრიან შუბს შორიდანაც კარგად ჩაცემდა გულში მას. შემდეგ დაელოდებოდა სანამ გულგანგმირული უკანასკნელად დაიკრუნჩხებოდა და სოფლის ბიჭებს დაუძახებდა. ფანასკერტელთა განაწესის თანახმად, ტყვე ციხის გალავნის დასავლეთ მხარეს უნდა დაეკრძალათ. იქვე „მწარე მინდვრად“ წოდებული მტრად მოსულთა სასაფლაო ეგულებოდა ფეხგამხმარს. უკანასკნელად მანდ დახოცა და დამარხა ქველმა ფანასკერტელმა სამი არაბი მოისარი და ათიოდე ჯიქი მეომარი, რომლებიც საძარცვად დასცემოდნენ სოფელს. „არაბები კარგი მოისარები იყვნენ, დიდხანს ახლოს არ მიგვიშვეს, შემდეგ ისრები გამოელიათ და ჯიქების შურდულის იმედად დარჩნენ, შეუტიეთ მაშინ მწყობრად, ქველი ფანასკერტელის სარდლობით, ოცდაათი ვიყავით, ფარებზე რაკრაკებდა ჯიქების გამოსროლილი ქვები. მივუხტით კორომში. შუბებით მოვკალით ყველანი და დავმარხეთ მანდვე, ამიტომაც დავთქვით ამ მინდვრისათვის „მწარე“ გვეწოდებინა“ - იხსენებდა სიყმაწვილეს ფეხგამხმარი. შემდეგ იგი შუბზე დაბჯენილი, წვალებითა და კვნესით წამოდგა და ციხის დახურულ ბლისკინებს შორის დატანიებულ ციცაბო კიბეებზე დაშვებას შეუდგა. ციხის მიწისქვეშა დილეგს, რომ მიაღწევდა მაშინ უკვე ღამე იქნებოდა. ამიტომაც მიბობღავდა ფეხგამხმარი დილეგისაკენ. კიდევ ერთხელ უნდოდა რომ კაცის სისხლით გაეპოხა საგვარეულო შუბისპირი.

- შესდექ ფეხგამხმარო მეციხოვნევ - უმაღლესი ქონგურიდან გამყინავი ხმით გადმოსძახა ციხეს და მასში დაბუდებულ ღამურათა ჯარს, მკერდგამთბარმა ქალმა ფანასკერტელთა.

- ჰაი, რაი? - თვალები გამოკარკლა ქვევით ჩამავალმა ფეხგამხმარმა, შუბის ტარი ხელთ ჩაბღუჯა, წონასწორობის შენარჩუნებას შეეცადა, მაღალ ქონგურს ახედა, მაგრამ კისერი ტკივილისაგან დაეკრუნჩხა, მუხლი მოეკვეთა, საღი ფეხი წინ წარსდგა, რათა კიბეზე ასულიყო და ნესტანისათვის ეკითხა, თუ რა მოხდა, მაგრამ ამ დროს ეს ჯანმრთელი ფეხი მოუცურდა, გამხმარმა ფეხმა მეციხოვნის სიმძიმეს ვეღარ გაუძლო, შუბლი საისრეს მიასხა, მხოლოდ შუბს არ გაუშვა ხელი მეციხოვნემ და ამ ჭიდილში, დაფეთებულმა საიდანღაც გამოვარდნილმა ღამურათა ჯარმა იერიში მიიტანა ფეხგამხმარზე, რომელიც ეხლა უკვე პირაღმა ჩაცურდა, კბილებით შეეცადა ქონგურს ჩაჭიდებოდა, მაგრამ თავყბა ქვითკირის კედელს კიდევ ერთხელ მიახალა და უმაღლესი კოშკიდან, ციხის ეზოში, გულაღმა გადავარდა.

- გვიშველეეეთ - დაიკივლა ნესტან ფანასკერტელმა, უმალ დაეშვა ქონგურებიდან მომავალ კიბეზე, მიიჭრა დედო-ციხის ეზოს და იქ გაშოტილი, გასისხლიანებული ფეხგამხმარი იხილა.

- მოჰკალ ამ შუბით, სი...სხლ..ი...თ ... - უკვე გაურკვეველი სიტყვები ამოიჩურჩულა მეციხოვნემ და თვალები დახუჭა.

- არა ბაბუ, არა, ის სულა კალმახელის შვილია, ეს არაბული წერილი წავიკითხე, ის იოანე კალმახელია ... - ცხარე ცრემლით ქვითინებდა ნესტან ფანასკერტელი, მაგრამ მეციხოვნის სული აქ აღარ იყო.

***

იოანეს ტყავის აბგაში შენახული წერილი შურტა კუტალმიშისა

„ხაკანს ხაზარეთისას და კეისარს ბიზანტიისას, ამირას ტფილისისას, მეფეს ქართველთა, მეფეს აბხაზთა, ცარაზონს ოვსეთისას, შაჰს და შაჰინშაჰს ყოვლისა აღმოსავლეთისას - მდაბლად გწერთ ესე:

პატრონი ყოველთა, არსთა გამრიგე დამიდგება მოწმედ, რომ მე ვარ შურტა კუტალმიში მეჭურჭლე და მეანდერძე სამ ღვიძლ ძმათა, რომელთა დაბადების მოწმეც ვარ და მხილველიც, მათი საქმეებიც მინახავს და უქმეებიც. სახელები ამ ძმათა არს: სულა კალმახელი, ბეშქენ ჯაყელი, ლაკლაკ უმიწაწყლო, სამივენი ძენი არიან მირიან ბაჰლაუნდისა და დიოფალ ლატავრა ჩორჩანელისა. ამ სულამ და მისმა თანამეცხედრემ შუეს ძე ერთი სულა სულას ძე კალმახელი, მთავარი ჩორჩანისა და ერისთავი კალმახისა. სულა სულას ძემ ცოლად შეირთო ყარაფჩაის ათასისთავის - ბოზორქ ხაზარის ღვიძლი ასული - ჩიჩეკ - ჰანიმი და შუა ძე ერთი - იოანე.

მე შურტა კუტალმიში, თქვენი მბრძანებლობის ფეხის მტუერი, დაჩოქილი გვედრებთ - გამოუშვათ შთამომავალი ჩორჩანელთა და ბაჰლაუნდთა - მემკვიდრე მესხეთისა, ერისთავი კალმახისა - იოანე, მამულსა და დედულსა თვისსა.

მუდმივ თქვენი მლოცველი -

მეჭურჭლე და მეანდერძე

შურტა კუტალმიშ...ჩწყ წელსა“

***

საჩქაროდ ჩარბოდა ნესტან ფანასკერტელი დილეგის ციცაბო საფეხურებზე. თავად უნდოდა გაეხსნა დიდი ბორკილი საკუთარი ტყვისათვის, რომელიც ჩორჩანის მთვარის მემკვიდრე აღმოჩნდა.

ზევით, დედო ციხის ეზოში ფეხგამხმარი მეციხოვნე იწვა უსულოდ.

ჟანგისაგან შეჭმულ რკინა კარს მიადგა ასული ფანასკერტელთა, გაუყარა მოქლონს გასაღები, ცოტა ხანს იწვალა და გააღო კარი დილეგისა.

„აქ როგორ ვამყოფებთ კაცს?“ - ფიქრობდა ფანასკერტელი და კიდევ უფრო ციცაბო კიბეზე ცდილობდა ჩასვლას. ჩაიარა ათი საფეხური და გაიხედ გამოიხედა.

მოსისინე ქვეწარმავალი შეამჩნია ტალანის კუთხეში და ელდა ეცა, გამოქცევა სურდა, მაგრამ თავი დააოკა.

- გამეც ხმა, ცოცხალი ხარ? - იყვირა ნესტანმა გვირაბთა კორიანტელში.

პასუხი არავინ გასცა.

რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ნესტანმა და გაოცებისაგან პირი დააღო. ლოდზე სადაც ხაზარი ტყვე იყო მიჯაჭვული, თოკები და ჯაჭვები უწესრიგოდ ეყარა.

„მოყმეს თავი დაუღწევია ჩვენი დილეგისაგან, მაგრამ სად არის ის ეხლა?“- გაუელვა გონებაში ნესტან ფანასკერტელს - როცა მის წინ ქვაბულის ბოლოში ნათელი შენიშნა და შემდეგ გადმოგორებული დოლაბის ქვაც დაინახა. ქარი ქროდა იდუმალი ხვრელიდან და მღვიმეში მინდვრის სურნელაც საიდანრაც შემოაღწია.

***

აბულ ყასიმი გააოცა ყველის ციხის დამცველთა ქცევამ. მათ მოლაპარაკებას თავი აარიდეს და დუმილით მიანიშნეს ბრძოლისაკენ.

შეუსია აბულ ყასიმმა არდებილიდან წამოყვანილი მთამსვლელები და მოისარები ციხეს. პირველი გოდოლი რომ აიღეს საჯის მეომრებმა, უეცრად გამოიჭრა კაცი ხელოვანი ბრძოლასა შინა. გადმოყარა არდებილის სულთნის მოწინავენი კოშკიდან და თავად ავიდა უმაღლეს ქონგურზე.

მეორე დღეს, სპარსები გაგზავნა აბულ ყასიმ საჯიდმა იერიშზე. ყველის ციხელებს ავიწროვებდნენ სპარსნი, ამ დროსაც ქარიშხალივით მოიჭრა კაცი იგივე. ფოცხვერივით დახტოდა იგი მიუვალ კლდეზე და სათითაოდ გმირავდა სპარსელებს. წინ რომ საშუელი აღარ იყო, უკან უფსკრულისაკენ შეჯგუფდნენ

დაზაფრული სპარსელები და რიგ რიგობით გამოერიდნენ ამ კაცთან პირისპირ ბრძოლას.

- ვინ არის კაცი იგი? - იკითხა საჯიდმა.

- გობრონი აზნაური ქართველთა სამეფოსი - იყო პასუხი.

***

ფანასკერტის ციხის წინ უამრავი ხალხი ირეოდა. კრძალავდნენ მოხუც მეციხოვნეს, რომელსაც „ფეხგამხმარს“ უწოდებდნენ ყოველთვის. იდგა ნესტან ფანასკერტელი და ტიროდა. „აღარც მამა და დედა, აღარც „ფეხგამხმარი“ მეციხოვნე“- ჩურჩულებდა იგი.

უეცრად იუსტინიანე მოიჭრა მასთან და ასე უთხრა ნესტანს:

- აი ეს ჩაფხუტი ვიპოვე აქეთ რომ მოვდიოდი ნესტან, თქვენს მიერ დატყვევებულ ხაზარს მოუხსნია და ტყისაკენ გადაუსვრია თურმე. რატომ მოიქცა ის ამგვარად არავინ იცის.

მუზარადი ხელთ იპყრა ნესტან ფანასკერტელმა, შეატრიალა და გაოგნდა:

- რკინის ჩაფხუტს ფრთა გაშლილი, ოქროსფერი მიმინო ამშვენებდა!

ნაწილი მეექვსე

989 წელი -თბილისისათვის აღმართული სამსხვერპლო

სთუელს ბეშქენ ჯაყელი დიდი ამალით ესტუმრა გარდაბანს. ბიზანტიური აბჯარი - **"გლივარიუმი"** ემოსა ქალაქ ოძრხეს, ჯაყისა და თუხარისის ციხეების პატრონს. მის წინ დაიჩოქა გარდაბნის ციხისთავმა, ტაძარში შეუძღვა ბეშქენ ჯაყელს და ერისთავის ჯალაბს.

- **ამ ალაგს მოჰკლეს დიდი მეფე აშოტ კუროპალატი ერისთავო და სისხლი მისი, რომელი მაშინ დაითხია, აწცა იხილვების ვითარცა ახალი** - ბრძანა ციხისთავმა ჩურჩულით.

აშოტ მეფის შედედებული სისხლის დანახვაზე აფორიაქდა ბეშქენ, ფერხი წინ წარსდგა, ჩაიმუხლა და ჩუმად ილოცა.

სთუელზე ჩამოსულიყვნენ და ბეშქენ ჯაყელის მოსვლას ელოდნენ მისი ბიძაშვილებიც, რომელთა საუცხოო ცხენები მონასტრის მიმდებარე მწვანეზე დასეირნობდნენ, მესაჭურვლეებთან ერთად, თავად ბატონები კი, როგორც ჩანს უკვე გოდოლში ისვენებდნენ.

მხოლოდ ერთი სტუმარი ვერ დააოკეს გოდოლში და ისიც უნაგირმოხდილ ცხენებთან ერთად დახტოდა, უამრავ კითხვას უსვამდა მკაცრ მესაჭურვლეს და მამის სანადიმო ცხენს დიდ ნესტოში ცვრიანი ბალახს უღიტინებდა.

- ციხის გოდლის ჩრდილში იყავი, მზე დაგკრავს და ვაი ჩემი ბრალი შემდეგ - ეუბნებოდა მესაჭურვლე შვიდი წლის არსენს, რომელმაც მოჯარული ცხენების დანახვისას აღარ დაუცადა ბრძნულ სიტყვას და ბიძის შესახვედრად პირდაპირ ტაძრისკენ გამოიქცა

- ბეშქენ ძია.....შემსვი რა შენს ცხენზე, სანამ უნაგირს მოხსნით და დასასვენებლად გაუშვებთ - შეჰყვირა არსენმა და მის შესახვედრად მკლავებგაშლილ ბერძნულ ტალავარში აღჭურვილ თუხარისის ერისთავს შეახტა.

- რამხელა გაზრდილხარ არსენ, მკლავებიც დაგკუნთვია, უკვე შეიძლება შენი გაგზავნა საასპარეზოდ. თუხარისის ქვაბულში ჭაბუკ მეომრებს რომ ვზრდით, იმ ლაბირინთში შეგიშვებ ხმლით და ვაი თუ არ მოგიკლავს შვიდთავა გველ-ვეშაპი - ქშინავდა ბეშქენი და უკვე დამძიმებულ არსენს ჰაერში აგდებდა.

- მირიან ბაჰლაუნდის ხრმალი ხელთ მომე და დრაკონის შვიდივე კუდს მუშტზე დავიხვევ ბიძაჩემო - ხან მიწიდან და ხანაც ჰაერიდან მოისმოდა არსენის ხმა.

- აი ვაჟი შენ ყოფილხარ და აჰა შენ ჩემი ცხენი - ბრძანა გადარეული ბიჭის გაბრწყინებული თვალების მომზირალმა ბეშქენმა და არსენი თავისი მუხლმაგარი სანადირო ცხენის, ფართო უნაგირზე შემოაჯინა..

- არ გაჭენო, იყუჩე ცხენო - გაისმა მესაჭურვლის მკაცრი ხმა...

***

თითქოს სთუელისათვის, სინამდვილეში კი ფარული თათბირისათვის სამცხეს გამოერიდნენ და გარდაბანს მიაშურეს ერისთავებმა. ფართო რკინის ფარებით შეჭედილი კარს მიღმა, მონასტრის წინამძღვრის სახლში, მაგიდას გარშემო უჯდნენ, ბოცო I ჯაყელი - მარზაპანი და სამცხის ერისთავი, რომელსაც მუხლზე ეჯდა მოუსვენარი, მაგრამ ამ წუთას საოცრად ჩაფიქრებული უმცროსი შვილი -არსენი. ბოცოს წინ იჯდა მისვე ბიძაშვილი - ბეშქენ I ჯაყელი - თუხარისელი, ხოლო ბიძაშვილებს შორის, წერილს წითელი მელნით წერდა, მურვან ჯაყელი - ყველის ციხის პატრონი და ყველის მიდამოთა ერისთავი.

ბოცო ჯაყელი მაგიდაზე გადაშლილ დიდ რუქას დასცქეროდა. შემდეგ მან მოიხმო არსენის აღმზრდელი, მისივე მესაჭურვლე - გაგი და ბიჭი სათათბირო ოთახს გარეთ გაისტუმრა.

- საიდუმლოა? - გასვლის წინ მოწყენილი სახით იკითხა არსენმა და ბიძებს თვალი მოავლო, ბეშქენმა და მურვანმა მას პასუხად თვალი ჩაუპაჭუნეს.

- საიდუმლოა მამი აბა რა! - უპასუხა შვილის თავგამოდებით გაკვირვებულმა სამცხის ერისთავმა, ბიძაშვილებს საყვედურით შეხედა და კარები საგულდაგულოდ ჩარაზა.

როგორც კი კარი დაიხურა, მხრებგანიერმა ბოცომ, სარკმლიდან გადახედა სთუელისაგან დაღლილ მეზვრეებსა და მესთუელეებს. გარემოს ყურძნის ტკბილი და თბილი სურნელი ავსებდა.

- აქ მე შეგკრიბეთ, იმისათვის რომ გაცნობოთ ბაღუაშთა საიდუმლო შემონათვალი, ყოველივე რაც ითქმება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩემს სიტყვას არ დაემორჩილებით, ამ ოთახის ზღურბლს არ უნდა გასცდეს. ეს არ არის პირველი თათბირი ჩვენი, მაგრამ ეს გახლავთ მირიანის და ლატავრას ჩამომავალთა პირველი სამხედრო შეკრება - ბრძანა მან და მაგიდას მიუჯდა.

- თუ ჩვენი დიდი პაპის მირიან ბაჰლაუნდისა და დიდი ბებიის ლატავრა ჩორჩანელის ჩამომავალთა შეკრებაა, მაშ სად არის ჩვენი უხუცესი გმირი, „ხაზარად“ წოდებული “იოანე სულას ძე კალმახის ერისთავი, რომელსაც მართებს პირველობა, პირმშოობის წესით და ჰასაკითაც, ბოცო ბატონო? - მისთვის დამახასიათებელი ჩუმი ხმით იკითხა მურვან ჯაყელმა.

- გარდაბანში, მე თქვენ მხოლოდ ჯაყელნი შეგკრიბეთ, ჩვენ აქ არამარტო სულმნათი მირიანისა და ჩვენი დიდი ბეგიის ლატავრას შთამომავლები ვზივართ, არამედ, ისინი ვინც ჯაყის ციხეს სახლად მივიჩნევთ და ჯაყელის გვარს სახელოვნად ვატარებთ. პაპა იოანე „ხაზარს“, აქ რა ესაქმება?

- არ ხარ მართალი ვფიქრობ, თუ ვინმე თათბირზე უნდა მოგვეწვია, მაშინ პირველ რიგში ჩვენი ძმები - კალმახელები, რომელთა შთამომავალი, ისეთივე პატრონია ჯაყისა და ჩორჩანისა როგორც ჩვენ, შენი მონა-მორჩილნი ერისთავო - გაიღიმა მურვანმა.

ბოცო ერისთავი სახეზე უეცრად წამოწითლდა, ასე ჩვეოდათ ჯაყელებს, მუდამ ცეცხლი მოაწვებოდა მათ ყვირიმალებს, ლოყებს, ნიკაპსა და ნესტოებს. ეს რომ იხილა ბეშქენმა, უმალ ბოცოს ვებერთელა მჯიღს, თავისი ხელი დაადო და თქვა:

- ვთქვათ სათქმელი, მგლები ოჯახს არ უბრაზდებიან, გამიგია თქვენგან - გისმენთ ბოცო ბატონო.

ბოცო (იგივე ბოწო რაც მგელს ნიშნავდა იბერიულ-კავკასიურად) ოდნავ დამშვიდდა, ოთახში შეკრებილთ თვალი თვალში რიგრიგობით გაუყარა, ერთი ამოიოხრა და ბრძანა:

- სათქმელი ასეთია - ჩვენ ჯაყელებმა ლიპარიტ ბაღუაშთან ერთად თბილისი უნდა ავიღოთ.

•••

რუქა და ფიქრი

იბერიაში რუქა ხმარებაში, არაბებმა შემოიტანეს და მას ქართველნი ისე დაეწაფნენ, რომ გინდა მეფე და გინა ერისთავი, გინდა ციხისთავი და ათმეთაური რუქის გარეშე, საჭმელადაც არ სჯდებოდა. ამოქარგულ თუ ვიღაც სარდლის ხელით მიწერილ უამრავ წარწერას უმალ აუღეს ალღო, ადგილობრივი ტაძარში განსწავლულმა თუ უვიცმა სპასალარებმა, რომლებმაც თავიანთი ხმალი გვერდით ჩააჩოჩეს და რომელიმე გაქრისტიანებული არაბის მეშვეობით, რუქების გადმოქართულება დაიწყეს.

როდესაც აბულ ყასიმ ალ საჯიდი შემოესია უბედურ ქვეყანას, მაშინაც სწორედ არაბული რუქით შეიმეცნეს ქართველებმა „ოქროს სარანჩას“ დარტყმის მთავარი მიმართულება და სახელგანთქმული ქალაქი - ციხე უფლისა, უფლისციხედ

წოდებული თავისსავე ხელით დაშალეს. საჯიდი გაოცდა. ალაფი ვერ აკრიბა, გამწარებულმა ყველის ციხეს შეუტია და იქაც გობრონ ციხისთავი დაუხვდა. თავად ეწამა და აწამა დამპყრობელი. საჯიდმა უკან დაიხია, ხალიფას წინააღმდეგ ილაშქრა, თავადვე ტყვედ ჩავარდა და წითელთავა მორიელებით გარშემორტყმული, არაბებს დანებდა.

სანადირო მაგიდაზე გადააფარებდნენ ქართველთა სამეფოს მოყმენი, წარწერებით აჭრელებულ, რომელიმე არაბულ რუქას, იქ სადაც თბილისის საამირო ეგულებოდათ, დასდებდნენ ნანადირევს, შემწვარ ტახს, ირემს, დათვის თათს და როდესაც ამას მიირთევდნენ, თვალებ მოცინარი შესცქეროდნენ თავიანთ საბოლოო მიზანს - ნანადირევის ცხიმისაგან დალაქავებულ სიმბოლოს - იბერიულ „თობელისს“.

ქართველთა სამეფო ძლიერდებოდა. არაბეთი კავკასიაში სუსტდებოდა. აფთარივით ჩაფრენოდნენ ქართველნი საამიროს და სანატრელ დედაქალაქს, რომელიც ოდესღაც მათ ეკუთვნოდათ და ეხლა კვლავ უნდა დაეპყროთ.

კამეჩის წითელ ტყავზე დახატული რუქა ეფარა კაკლის ხის მაგიდას. ერთი ხელადა ცივი ღვინო - „ხარის სისხლა“, იდგა თბილისის თავზე. სხვადასხვა ზომის ვერცხლის სასმისები გაებნიათ თრიალეთის საერისთავოზე, ქართველთა სამეფოზე, ყველის, ჯაყის, თუხარისის ციხეებზე, არტანუჯზე. ცოტაოდენი ყველი თასით, იდო სომეხთა სამეფოზეც.

- თბილისზე შეტევა სისხლის მეტს არაფერს მოგვიტანს. რა სურს ლიპარიტს და რა სურს მეფეს ქართველთა? ვის მხარეს დაიჭერს მეფე აბხაზთა? - იკითხა დაბალი ტანის, მაგრამ ბრგე, უჩვეულოდ ძლიერმა მურვანმა, რომელსაც ბიზანტიურ სამხედრო წესებით აღზრდილ, ჭკვიან სარდლად იცნობდნენ ქართველთა სამეფოში.

- რატომ მივყვებით ლიპარიტს და არა თავად კეისარს? ხომ გახსოვთ ძმებო, მამანი ჩვენნი არ ენდობოდნენ, ბაღუაშთა მოდგმას. ჩორთვანელები ხომ ბაღვაშებმა შემოუსიეს ჩვენს დიდ პაპებს. წაიკითხეთ „საოჯახო ქორონიკონი“.

- სწორედაც, ტყვედ ვიგდეთ რა ერთადერთი გადარჩენილი - არდონხ ჩორთვანელი, რომლის ოჯახმა ჩორჩანს და კალმახს შემოუტია, მაშინ დავადგინეთ, უფრო სწორედ მაშინ დაადგინეს ჩვენმა დიდმა პაპებმა სულამ, ბეშქენმა და ლაკლაკმა და მათმა ერთგულმა შურტამ, რომ პირველი ბაღუაში, უკვე იმთავითვე გვემტრო და სასიკვდილოდ გაგვიმეტა. რად ვენდობით ბაღვაშებს?

პასუხად, ბოცო იგივე ბოწო (რაც იჩქერების, იბერიულ-კავკასიურ ენაზე ნიშნავდა მგელს) I ჯაყელი წამოდგა და თბილისის თავზე დადგმული ღვინით სავსე ხელადა აიღო, ქარვისფერი სითხე ჩამოასხა და თქვა.

- ხვალ თბილისია გადარჩენა ჩვენი მამულის! წავიდეთ დავზვეროთ საამიროს საზღვრები და დავადგინოთ სიძლიერე თუ სისუსტე ამირასი.

ბეშქენმა და მურვანმა გადახედეს ერთმანეთს და რადგანაც ბოწოს სიტყვა კანონი იყო საგვარეულოსათვის, დასტურის ნიშნად თავები მოიდრიკეს.

***

ბჭობა მცხეთის გარეუბანში

უთენიას, ციხკრის ვარსკვლავი რომ ამოიწვერა, ათიოდე კაცით სარკინეთის მთაზე, ქვეითად იდგნენ ერისთავები. მცხეთის ქალაქს გადაჰყურებდნენ. უეცრად ანტიოქიის გუმბათზე თოვლივით თეთრი სხივი აელვარდა. მირიანის მიერ ხით ნაშენი ძელიცხოვლის ტაძარი, დროს კიდევ უფრო გაეშავებინა და როგორც ჩანს ვიღაც, ქვის სამოსით უპირებდა მას, შემოძარცვული ხის მაგივრად შემოსვას. მთის მწვერვალზე, ერისთავებთან ერთად, მირიან ბერიც და მის გვერდით მერვე წელში გადამდგარი არსენიც ჩამუხლულიყო.

- ქართლოს მოვიდა ადგილსა მას, სადა შეერთვის არაგვი მტკვარსა და განვიდა მთასა მასზე, რომელსა ეწოდების არმაზი, შექმნა ზედა სიმაგრე, დაერქვა მთასა ამას ქართლი და ყოველსა ქვეყანასა ეწოდების საქართველოი - თქვა უეცრად მირიან ბერმა.

- რა ადგილას იყო მოგვთა უბანი მცხეთაში ღირსო მირიან? - ადრეც უკითხავს ბეშქენს ბოცოს კარის მემატიანე ბერისათვის და როგორც ჩანს მაშინ არ იყო პასუხის გასაცემად მომზადებული ეს უკანასკნელი. დღეს კი იგივე კითხვაზე ხელჯოხიანმა მირიანმა, ერისთავისაკენ იბრუნა პირი და თქვა:

- მოგუთა უბანი, მცხეთაში ქალაქის დასავლეთის გარეთუბანი, უნდა ყოფილიყო, რადგანაც სახლი ელიოზისი, დასავლის მიმართულებით იყო, კარსა მოგვეთისასა. მტკვარსა ზედა, და იყო მცირე სამარხოი მათი, სადაც აღმართა წმინდა ნინომ ჯვარი ქრისტესი, და ნათელს სცემდა ქალაქის მცხოვრებთ წმინდანი ამ ადგილიდან. სწორედ ამიტომაც მცხეთის ამ უბანს ეწოდა მთავართა სანათლოი - აქ მოინათლა ყოველი მთავარი.

- ხოლო სად იყო სამ-ოთხე მირიან? - იკითხა ქარისაგან თმაგაწეწილმა ბოცომ.

- მირიან მეფემ, პირველი ეკლესია ძელისაგან ააგო, თავისივე ტევრში, რომელსაც სამოთხეს უწოდებდნენ ქართველნი მაშინ, აქაც სწერია ერისთავო, შატბერდისეულ წიგნში, რომ „მიყუარან მაყვალნი იგი შენნი და მუნ მინებს გონებითა, არამედ არა ვჰრიდო სამოთხესა მას სამეუფოსა და ნაძუთა სიმაღლესა და ბაბილოთა მათ ნაყოფიერებასა და ყვავილთა მათ სულნელებასა, არამედ მას შინა

აღვაშენო ტაძარი სალოცავად“ - დაკეცა დიდი შატბერდისეული წიგნი მირიან მემატიანემ.

- გაგრძელება მეც ვიცი - „იწყო მეფემან აღშენებად სამოთხესა მას შინა ეკლესიასა“ - ბრძანა ბეშქენმა.

- სწორედ ბრძანებთ ერისთავთ-ერისთავო, რა სასწაული მოხდა შემდეგ ვიცით ყველამ - შუაღამეს, წარმოიქცა ორნი მთანი, არმაზ და ზადენ, მოხდა ის რასაც კლდის ჩამოშლა და მეწყერი ჰქვია. კლდის უზარმაზარმა ლოდებმა ერთდროულად გადაკეტეს ორთავე მდინარე, არაგვი და მტკვარი, წარმოიდგინეთ რა მოუვიდოდა ქალაქს მცხეთას, რომ არ ყოფილიყო მადლი ღმრთისა.

- წყალი ციხის ქონგურებს გადავლებია - ჩაილაპარაკა მურვან ერისთავმა და ფეხზე, „საკლდეური პაჭიჭები“ ჩამოიცვა.

კლდის პირას ბილიკს მიუყვებოდნენ. თბილისს მიუახლოვდნენ დასავლეთიდან და უეცრად წააწყდნენ არაბულ კოშკს, რომელიც მუხათგვერდის გორაკზე აღემართა ქალაქ თბილისის ამირას.

- აქედან თავდასხმას ნაკლებად ელიან, უჩუმრად რომ მივადგეთ, ამ კოშკს უგრძნობლად ხელთ ჩავიგდებთ, დაიტანეთ ეს კოშკი რუქაზედ. ავუქციოთ ეხლა მას გეზი და დიღმის გამოქვაბულში შევიდეთ, იქიდან გვირაბი ვიცი ერთი - ცბიერად გაიღიმა მურვან ერისთავმა და ძუნძულით ჩაიარა მთის წვერიდან ჩამოსასვლელი მოსწორებული ბილიკი.

- აფერუმ შენს სიმხნევეს და სიმსუბუქეს - თქვა ბოცომ და ეს მთაკაცი, როგორც ქვითკირის კედელი ისე დაქანდა ფერდობიდან.

- „მაშ სამ-ოთხე მცხეთაშია?“ - ფიქრობდა პატარა არსენი, რომელიც მამას პირველ ლაშქრობაში წამოეყვანა.

•••

მოუარეს, დიღმის ველს, ავიდნენ საკეჭნაოდ წოდებულ ზეგანზე და პიტიახშ ასპარუგის დროინდელ ხიდს დაუწყეს ჭვრეტა, შემდეგ მიხვდნენ, ამირას შუბოსნები იცდიდნენ დანგრეული, საყარაულო კოშკის, გადარჩენილ საკანში. ჩაიქნიეს ხელი და კვლავ გრძელი გზით შეუდგნენ ნაბერალას ფერდობს და კოჯრის მთის ერთ-ერთ ხევში დაიბანაკეს.

- დააკვირდით ამ რუქას - ბაღვაშების ხმალი ებჯინება პირდაპირ თბილისის საამიროს, ამიტომაც თუ აიღებს ვინმე ამ უკვე გადაგვარებულ ქალაქს, ეს უნდა იყოს ბაღვაში. უნდა შევეკრათ ლიპარიტს - მიმიხვდით? - ამოიქშინა გზისაგან დაღლილმა ბუბმერაზმა ბოცომ.

- თუ ლიპარიტი აიღებს თბილისს, მაშინ ის მეფეებზე მეტად გაძლიერდება - ჩაილაპარაკა მურვანმა.

- ბაღუაში აიღებს თბილისს, დამერწმუნე მურვან, ჩვენ კი მას ამაში დავეხმარებით - გაიმეორა ბოცომ, ბეშქენი კი სდუმდა.

- მამა სამ-ოთხე მცხეთაშია? - იკითხა უეცრად არსენმა. ბიჭს თვალები გაკრიალებოდა, ბოცომ შეხედა თავის პირმშოს და თავი დაუქნია.

- სამ-ოთხე, რომელსაც ეძებს ადამის მოდგმა მცხეთაშია არსენ შვილო, ქრისტეს კვართიც მცხეთაში, ძელიცხოვლის ქვეშაა დაფლული, შენი ქვეყანა სამოთხეა არსენ. მაგრამ ამ სამ-ოთხისათვის უამრავი სისხლი დაიღვრება მომავალში - თქვა მირიან ბერმა.

- რატომ იღვრება სისხლი? - დაინტერესდა არსენი.

- მცხეთა, გაიცისა და ზადენის კერპებს ეჭირათ, შემდეგ მოგვნი მოვიდენ და ზარათუშტრას რწმენა შემოიტანეს ამ ქალაქში და მთლიანად ქართლში, მანამდე ქართლოსი მამა ჩვენი, ერთ ღმერთს ცნობდა მხოლოდ, ეხლა კი მაჰმადიანნი გვართმევენ ჩვენსას, არამარტო ეგენი, ბერძენნიცა და სომეხნიც, ყოველ წუთს მზად არიან თავისად გამოაცხადონ სამოთხე ამ მიწისა. მაგრამ დაიმახსოვრე - მიწას, სადაც ამდენი რწმენა ებრძვის ერთურთს - თავად უფალი, ღმერთი ერთი, იმ საჯილდაო ქვად აქცევს, რითაც ჩვენ კაცნი გამოვიცდებით - თქვა ბოცომ და შვილის საკვირველ თვალებს მიაჩერდა.

***

დაღამებას არაფერი უკლდა, ერთმანეთის გვერდით მიწვნენ ერისთავნი, არსენი ვარსკვლავებით მოფენილ ცას შეჰყურებდა და ხელით ხანჯლის ტარს აწვალებდა. გუშინ მიანდეს მას დამასკური ფოლადისაგან ნახელავი პირბასრა საგვარეულო ხანჯალი. მთვარის სხივის ალიცლიცება მოუნდა არსენს. წამოდგა, ფეხაკრეფით გაიპარა ქვაბულიდან და გორაკზე ავიდა. ცივი ქარი ქროდა. პირბადრი მთვარე, მწიფე გარგარივით დაჰყურებდა არსენს. იშიშვლა არსენმა ხანჯალი და მთვარეს მიუშვირა. გაბრწყინდა ფოლადი, მრავალფერად აელვარდა მისი ტანი. მიმოიხედა არსენმა, მთებს გახედა, ველები, ბინდისაგან გაშავებული გორაკები მიმოათვალიერა და უეცრად, ერთი, როგორც ჩანს ტყით დაფარული მაღლობიდან, ამომავალი ნათება შენიშნა.

- დევის სახლია?- ამოიჩურჩულა ბავშმა, უმალ შიშმა შეიპყრო, მაგრამ რად განაც, პაპისა და დიდი პაპის, ასევე მამისა და ბიძების შესახებ უამრავი საგმირო საქმენი გაგებული ჰქონდა, თავისსავე შიშის შერცხვა და ახლად ფეახადგმული მგლის ლეკვივით გასწია უცხო ნათებისაკენ.

•••

უთენიას გამოეღვიძა ბოცოს, უმალ არსენი მოისაკლისა და რომ ვერ იხილა თავისი საყვარელი ძე, მთელი ბანაკი ფეხზე დააყენა. თავში წამოირტყეს ხელი მურვანმა და ბეშქენმა. დაღონდა მესაჭურვლე და მირიან ბერის შეგონება რომ არა იყვირებდა - „არსენ შვილო სად ხარ-ო“.

- ჩუმად ვიყოთ, ამ გორაკზე საამიროს მესაზღვრეები დღეში სამჯერ ჩამოივლიან, ფეხოსანნი და ცხენოსანნი, ეგ ჯერ არ ვიცი, მაგრამ თუ ვიყვირებთ ბავშვის სახელს, მაშინ ჩვენც შეგვიპყრობენ და მასაც გადამრჩენელი არ ეყოლება, ამიტომაც რაგინდ ძნელი არ უნდა იყოს, სამ რაზმად გავიყოთ და ჩუმად ვეძებოთ ჩემი აღსაზრდელი - ჩურჩულებდა მიწაზე დაჩოქილი მირიან ბერი.

***

როს დაღამდა, კოჯრის ფერდობს ჩამოუყვა ლანდი ერთი კაცისა, მირიან ბერმა მასში ბოცო ჯაყელი შეიცნო და უმალ სიახლის გააზრებისაკენ მოემზადა.

- წააწყდით ბავშვის კვალს ბოცო პატრონო? - ჩურჩულით თქვა მირიანმა.

- აქიდან სამიოდე ვერსზე, მზის ჩასვლისას ეს ვიხილე - თქვა ბოცომ და არსენის ხანჯლის ტყავის ქარქაში გაუწოდა ბერს.

ხანჯალზე მოსჩანდა ასოები „არ-ს-ნ“ და მგლის ტვიფარი, რომელსაც ხელთ ჯვრიანი დროშა ეპყრა, ეს იყო ნიშანი ჯაყელთა.

ცოტა ხანში მეორე ლანდი და მისი მიმყოლი გამოჩნდა, ეს იყო ბეშქენ ჯაყელი. მას არავითარი კვალისათვის არ მიუგნია და ძალიან გამწარებული იყო. ბეშქენი დუმდა.

მალე მურვან ჯაყელიც მოვიდა, ხელთ არაბული, წითელი ისარი ეპყრა, სხვა კვალი არაფერი ენახა.

- ისარი სუფთაა და არა ჩამიწული, დაუვარდა ალბათ, მესაზღვრე არაბს - ჩაილაპარაკა მურვანმა და ჭირის მოლოდინში გაისუდრა.

- ნუ გავიტეხავთ იმედს არსენის აღმოჩენისა, ვაცალოთ ეს დამე, უფალი მოგვივლენს სასწაულს - მკაცრად ჩაილაპარაკა მირიან ბერმა და ლოცვად დადგა.

- წავიდეთ იქით, სადაც სატევარის ქარქაში ეგდო, უეჭველი, მანდ იკარგება არსენის კვალი - ამოიჩურჩულა დარდისაგან გულგანგმირულმა ბოცომ და თავში ხელი წაიშინა.

- ვაცალოთ, კიდევ დაღამდეს - ბრძანა მირიან ბერმა.

***

ტაძარი მთვარის

სამალავიდან გამოვიდნენ სამივენი, მიჰყვნენ გულმკვდარ მამას - ბოცო მარზაპანს, რომელიც იქვე აპირებდა ხმალზე დაგებას, მაგრამ მას მირიან ბერის მკაცრი სიტყვა უმაგრებდა ნებას და მართავდა კიდევაც.

- იქით მივალთ, დაიხარეთ და დათვივით ძუნძულით მომყევით, რათა არავინ ჩაგვთვალოს ადამიანად - ბრძანა მურვანმა და რაზმეული „დათვისებრი“ სვლით დაიძრა.

ბნელოდა, მიაღწიეს იმ ალაგს, სადაც ბოცომ ქარქაში შენიშნა, ჩაიმუხლნენ და გორაკზე დაჯდნენ.

ბოცო უკვე გოდებას იწყებდა, მას მირიან ბერის მტკიცე მარჯვენა ხელთ ეპყრა და აქეთ იქით იყურებოდა.

- ეს რა ნათებაა, იმ გორაკიდან ამომავალი? - იკითხა უეცრად მურვან ჯაყელმა და ბიძაშვილები ფერდობიდან ამომავალი მიმქრალი შუქის სვეტისაკენ მიახედა.

- არაფერი ვიცით რა, ნეტავ მართლა კაცი იყოს - ჩაილაპარაკა გაგი მესაჭურვლემ, რომელსაც აქამდე, მესხთა ჩვეულების თანახმად, სიტყვა არ დაუძრავს, შინაგანად კი დუღდა დარდისაგან.

- თუ გინდ დევი იყოს, ვერ წამივა ხელიდან - ამოთქვა სათქმელი ბეშქენ ჯაყელმაც და მირიან ბერს მიაპყრო მზერა.

ბერი იჯდა და რაღაცას იხსენებდა, უეცრად იგი წამოდგა ბოცოსთან მივიდა და ყურში რაღაც უჩურჩულა მას. ბოწოი აენთო, უმალ ფერხთ დადგა, ბეშქენი და მურვანი, მათი მხლებელთათურთ მოიხმო და მარზაპანის ხმით თქვა:

- მძიმე ომი გველის, ეს ისაა რაც ადრე არც გვინახავს და არც მოგვისმენია, წარმართთა მთვარის ტაძარი ყოფილა ჩვენს წინ, თუ ოდესმე გსმენიათ ამ ალაგს ტაძარი მსგავსი?

- არასოდეს - თქვა მურვანმა

- უძველეს დროში კაცნი, ღმერთებივით სცემენ თაყვანს მზესა, ზევსს და მთვარეს, იბერიელნიც ეტრფოდნენ მთვარეს უმეტესად. რომ იცოდეთ მეფის შემდეგ ყველაზე პატივცემულ კაცად ითვლება ის, რომელიც მთვარის ტაძარს ემსახურება. აქედან წარმოსდგება იბერიული-ქართული სიტყვა მთავარი, ანუ მთვარე! - თითქოს თავის თავთან ბჭობსო, ჩაილაპარაკა მირიან ბერმა.

- რა კავშირი აქვს ყოველივე ამას არსენთან? - იკითხა ბეშქენ ჯაყელმა.

- მომისმინეთ, იმას ვინც მეტად ატაცებული მარტოკა ტყეში დახეტიალობს, მთვარის ტაძრის ქურუმი დაიჭერს, კისერზე ჯაჭვს დაადებს, ერთი კვირის გამავლობაში ზვარაკად ამზადებს - უკვე ყველას გასაგონად ამოთქვა საგონებელში ჩავარდნილმა სწავლულმა.

- ზვარაკად ამზადებენ იქნებ ეხლა ჩემს არსენს, ვიჩქაროთ ძმებო - აღმოხდა ბოცო ჯაყელს და სინათლის შუქისაკენ ძუნძულით გაიქცა.

ყველანი მიჰყვნენ ბოცო მარზაპანს, მოკლე „სამთო“ მახვილები მოიმარჯვეს და ქარქაშნი გზად დაჰყარეს.

•••

ბაწრით დაბორკილი იწვა არსენი, სხვა მონებს შორის, რომელთა სისქე და პირმრგვალობა აოცებდა პატარა ბიჭს. გატყავებულ დათვებს ჰგავდნენ ზოგნი, სიდიდისა და სისქელის გამო. სხვები კი ასევე დაბორკილნი, ღორებივით ლაფში ეყარნენ, მათთვის პურის ნაჭრები მიეყარად ჯალათებს. პურს და სალაფავს დაბორკილებიც კი უხვად ეტანებოდნენ. ზოგს თავი ჩაეყო სალაფავით სავსე ქოთანში, შიშველი უკანალი ზემოთ აეზიკა და ღრუტუნებდა.

- მსხვერპლად შეწირვა ამნაირად იციან, ბიჭო, მსხვერპლად შენ არ შეგწირავენ, მიტომ რომ გამხდარი ხარ, ჯერ გაგასუქებენ, გაგასივებენ, შემდეგ კი, ვინ იცის, როდის, ალბათ იმ წელს შეგწვავენ გოჭივით, მაშინ უკვე კარგი გვარიანი მუტრუკი იქნები - თავი მიადო არსენს ერთმა, სალაფავით გამძღარმა, თითქმის შიშველმა, ლოყა წითელმა და ფაშვიანმა კაცმა, რომლის სიმყრალემ გააოცა არსენი.

- შენი ბიჭი აქ არავინ მეგულება, კაცო! - უდიერად შეესიტყვა ვაჟი, ქონებში მობანავე გვამს და ზიზღით შეხედა მის, სალაფავში ამოსვრილ ტუჩებს, ცხვირსა და ნესტოებს.

- ვინ ხარ? - შიშისაგან, თუ რაღაც სხვა უცნობი გრძნობისაგან გაფითრდა კიდეც ეს უკანასკნელი და ჭაბუკს დააკვირდა.

- მე ვარ ის ვინც შენნაირებზე მუდამ ამხედრდებიან - სიცილით ჩაილაპარაკა არსენმა და კაცს წიხლი მიარტყა გაიწიეო.

- ნუ მირტყამ, ხმას აღარ გაგცემ, მაგრამ მესხეთიდან რომ ხარ გეტყობა, მაინც რა გქვია? - აბლუკუნდა შეშინებული.

- არსენი ვარ გუარს არ გეტყვი, თავად ვინ ხარ, რა გიწოდო მითხარი, სად ვართ ესეც მომიყევი - მამისეული სიმტკიცით თქვა ბიჭმა და დაბუჟებული ფეხის ამოძრავება დაიწყო.

- ქართლოსი ვარ..რა..., დიდმელი უსაქმური.., ვერაფერი ვისწავლე ამ ცხოვრებაში.., შემდეგ გავიგე რომ უფასოდ ჰკვებავენ ამ ტაძარში და მოველ ჩემი ფეხით აქ...რა... - მორჩილი სახე მიიღო ქართლოსმა და ბიჭი გაკვირვებით შეათვალიერა.

- როგორ, ზვარაკად თავად მოხველ, თანაც წარმართთა ტაძარში? - გაოცდა არსენი

- სიღატაკემ იცის...ასე..რა.., უფალი ჩვენი-იესო, თვითონაც ზვარაკად არ შეეწირა კაცობრიობას? იმავ წარმართებს, იმავ რომეებს...მე კი ამათ მოვაშურე...რა...

- ვის ამათ? - გაგულისდა ბავშვი

- მთვარის ტაძარი, ქალაქის ამირამ შექმნა..რა. ზოგს ის არაბული წარმოშობის მაჰმადიანი ჰგონია...რა, სინამდვილეში კი, იბერიელი წარმართია...რა, ჩვენი ქალაქის ქურდის - გაბრიელის ნაბუშარია...რა, თავად სძულს მაჰმადიანნი..რრა, რა ქნას, რა გზას ეგოს, ჰოდა უჩუმრად, აქ ამ მთებში, კოჯრის ციხის მიდამოებში, ამოდის ხშირად, მთვარის საძმოსთან ერთად, ღამ-ღამე დახეტიალობს, მსხვერპლად, ამორჩეულ კაცს სწირავს ამ ალაგს...რა, ...ამბობენ... წმინდა სისხლით განბანს მთვარის ქვას...რა, რომელიც სულ თან დააქვს და თეთრი გიორგის ძალმოსილებით აღვსილი მიდის უკან...რა, თავისსავე თბილისს....რა - სლოკინითა და ენის ბორძიკით სთქვა ქართლოსმა.

- შენ რამდენი წელია აქ ხარ? - ჰკითხა მას გაკვირვებულმა არსენმა.

- ხუთი წელია მისრულდება, რაც ამ ტაძარს მოვაშურე...რა - იყო პასუხი.

- მერე რატომ არ გწირავენ? - გაკვირდა ბავშვი

- მსხვერპლად საუკეთესოს სწირავენ...რა, მე კი მსხვერპლად შეწვირვის ღამეს ფაღარათი ამიტყდება ხოლმე...რა და როგორც უწმინდურს, სამსხვერპლო ქვასთან, არ მიშვებენ...რა - უეცრად გადაიხარხარა ქართლოსმა და ბავშვს უწმინდურად გაუღიმა.

- ქართლოს, ძმა იქნები ჩემი, თუ აქედან გამაქცევ, გადამიკვნიტე შენი ბასრი კბილებით ეს თოკი და მომეხმარე რომ გავძვრე - მტკიცე თქვა ბიჭმა.

- ქართლოსმა ზმუილის ხმა ამოუშვა მხოლოდ და დადუმდა

- შენც გამოიქეცი ჩემთან ერთად, მამაჩემი კაცად გაქცევს - გაამხნევა მოსაუბრე არსენმა.

- რაო? გამოიქეციო? მერე უფასოდ ვინ მაჭმევს და მასმევს? - მოულოდნელად სწორად ამეტყველდა ქართლოსი.

- ჩვენ გასმევთ და გაჭმევთ - ბრძანა ბიჭმა.

- არაფერი ვიცი თქვენი...რა და არაფერი მსმენია შენგან...რა, რად უნდა გამოვიქცე? აქ არამარტო მაჭმევენ, არამედ იმგვარ სანახაობებს ვნახულობ ხოლმე...რა... რომ მენატრება ხელმეორედ მათი ნახვა...რა...

- მაინც რა სანახაობებს ნახულობ შე უბედურო, ღორი ხომ არ ხარ, მომეხმარე გაქცევაში და შენც დააღწიე ამ უბედურ ადგილს თავი - თითქმის ატირდა ბავშვი.

- აი შენნაირ ქართველს...რა, თანაც მთავრის შვილს რომ დაიჭერენ არაბნი და ზვარაკად შესწირავენ მთვარეს, იმას ხომ ვნახავ? იმასაც ვნახავ, რომ ფეხები აგიკანკალდება შუბზე დასობილს და დედაო დაიკვნესებ...რა! დიდ ლახვარს რომ მოამზადებენ, იმასაც ვნახავ....რა, გაწმენდნენ, შემდეგ მღერიან, დაგაწვენენ, ბოლოს გამოვა მთვარის ქურუმი...რა, ლახვარს მარცხენა გვერდიდან შიგ გულში გკრავს...რა. როცა მსხვერპლი დაეცემა მიწაზე, მაშინ ჩვენც მივესევით მას და მის სისხლს ვსვამთ....რა...გამიგე? - ათქლოფინდა ქართლოსი და ბიჭი დარწმუნდა, რომ იგი უკვე ღორად გადაქცეული შეშლილი იყო.

- დავიღუპე - ჩაიჩურჩულა არსენმა.

***

სავსე მთვარიან ღამეში, განათებულ ველზე ბოცო მარზაპანი ყველაზე წინ მიჰქროდა, უკან მისდევდნენ ბეშქენი და მურვანი, მირიან ბერი, მესაჭურვლე და ხუთიოდე რაზმელი. როდესაც ფერდობი ჩაათავეს, უეცრად ფეხი მოუცურდა ბოცოს და შეჩერდა, თითქოს რაღაცისაგან თავს ინთავისუფლებსო, დაიკლაკნა. მახვილით შეუდგა რაღაც უცხოს კვეთას, უეცრად ბუჩქებიდან გამოვარდნილი ლანდები შეამჩნია ბეშქენმა. ლანდები ყოველი მხრიდან უახლოვდებოდნენ მათ. უმალ წრიულად დასდგნენ მესხნი, სატევრები მოიმარჯვეს, მაგრამ უკვე ბოცოს ებრძოდნენ ლანდნი და ბოცოც უმასპინძლდებოდა მათ კარგა გვარიანი მუშტით,

წიხლითა და მახვილით. მოჩვენებებს ვებრძვითო, გაიფიქრა მჯიღებ შეკრულმა მირიან ბერმა, მაგრამ უეცრად ერთი ლანდი აკვნესდა. როგორც მიხვდნენ, ის ბოცოს მჯიღმა და წიხლმა შეიწირა. კაცნი ყოფილანო და გათამამდნენ, შეტევაზე გადავიდნენ, მანამ სანამ ერთი ლანდი არ ალაპარაკდა:

- ბოცოვ „სამცხის მარზაპანო“ აქ რამ მოგიყვანა? - გაისმა ტევრიდან კაცის მტკიცე ხმა და ბრძოლა შეწყდა.

- დიდო ლიპარიტ ბატონო? ყური თუ არ მატყუებს თქვენ უნდა იყოთ - ბოცო გაოგნებული შეუჰურებდა ლანდების გროვიდან გამოსულ მაღალ, მოხდენილ მოყმეს.

- ამ ფერდობს მოვეფაროთ, რამ მოგიყვანათ აქა - იკითხა ლიპარიტ ბაღუაშმა და მის უკან აღმართულ „ლანდებს“, ხელით ბრძანება მისცა გაშეშდითო.

- თქვენ რამ მოგიყვანათ ამ სასტიკ ალაგს? - კითხვაზე კითხვით მიუგო გაოგნებულმა ბოცომ.

- საკუთარ მიწაზე ვდგავარ, ესაა კლდეკარის საერისთავო, ბოცო ბატონო და აქ კითხვების დასმა მე მეგების.

- ვაჟია ჩემი იქ, იმ ქვაბულში, უნდა ვიხსნა თორემ მოკლავენ მას - გამწარებული თქვა ბოცომ და ლიპარიტისაკენ წაიწია.

ათრთოლებული ხელით შეაჩერა ლიპარიტმა გაგულისებული მამა. „ხელი უთრთის, თავადაც ხომ არ არის წარმართთა ტაძრის მრევლი“- გაუელვა, გონებაში ბოცოს. ლიპარიტი მასთან განმარტოებით საუბარს ითხოვდა. „დაგვტოვეთ ყველამ და დაიმალეთ, სანამ არ მოგიხმობთ“ - ბრძანა ბაღუაშმა და ლანდები მას შემოეცალნენ.

„დაგვტოვეთ მცირე ხნით“- იბრძნა ბოცომ.

- კი მაგრამ ბავშვი? - აღმოხდა მესაჭურვლეს, რომელსაც ორივე ხელთ ორლესული მახვილები ეპყრა და გამოქვაბულში შევარდნას ოცნებობდა.

- „მცირე ხნით გაუჩინარდით თქვენცა“ - ბრძანა ბოცომ და ბეშქენმა და მურვანმა უკან დაიხიეს. მესაჭურვლემ კი ათიოდე ნაბიჯით უკანდახევის შემდეგ მიწაზე გაწოლვა და დამალვა არჩია.

***

ათრთოლებული ხელით მოძებნა არსენმა იღლიაში გადამალული ხანჯალი და დაბორკილ მუშტში შემალა. მის ყოველ მოძრაობას იქვე მიწოლილი ქართლოსი

ადევნებდა თვალს. „ხანჯალი ვერ შეამჩნია ამ მონამ, თორემ პირველი ეს ატეხდა ყვირილს“ - გაიფიქრა ბავშვმა და ხანჯლიან მჯიღს მუცლით დააწვა.

გარეთ ჩოჩქოლისა და ხვეწნის ხმა გაისმა. „სამსხვერპლოზე მიიტანეთ ესა...“, გაისმა ტალანთა სიღრმიდან. გამოქვაბულის ქვედა სართულებმა თითქოს დაიქუხესო, იმგვარი ხმა ამოვიდა უეცრად ჯურღმულებიდან. დაფდაფების ხმაც მოისმა და შემდეგ განწურულმა ყვირილმა დაადუმა ყოველი.

- მსხვერპლად შეწირეს არქიფოი...რა, ისიც ხუთი წელი იყო აქ და როგორც ჩანს დღეს მოუთავეს ბოლო - მხიარული ხმით თქვა ქართლოსმა.

- მეც დღეს შემწირავენ? - იკითხა არსენმა.

- უთუოდ, დილამდე გულს გამოგიღებენ...რა, ვინც არ უნდა იყო, ხოსროიანნი, რევიანი, ბაგრატოვანი თუ ბაღუაში...რა - ათქლოფინდა ქართლოსი, სალაფავში თავი ჩარგო და არსენს ზურგი აქცია.

- გვამს რას უშვებიან? - იკითხა არსენმა

- ღორ-ძაღლებს მიუგდებენ...რა... - იყო პასუხი.

„მუცელს გამოვიღადრავ, დავწვები მამის ნაჩუქარ ხანჯალზე“ - გაიფიქრა არსენმა და მის გარშემო დაბინდდა, შემდეგ უეცრად განათდა, როგორც ჩანს მაშხალები გამოცვალეს მემაშხალეთა.

***

საუბარი

მთვარის შუქზე ერთმანეთის თვალებს აკვირდებოდნენ. მაღალ და ბრგე ლიპარიტს, მშვიდი და ოდნავ ცბიერი მზერა შეუმჩნია ბოცომ. თავად ბაღუაში ბოცოს პირდაპირსა და გულმართალ თვალთა მიღმა დარჩენილ გონებას სწონიდა, ისე როგორც ეს საკეისროში ჰქონდა ნასწავლი. „წარბებს მაღლა ესაუბრე კაცთა, მაგრამ როცა თვალებში ჩახედავ, იმგვარი გამჭოლავი რამ მიუგე, რომ დაგემორჩილოს მისი გონება“ - გაახსენდა კეისრის ნათქვამი ლიპარიტს და გაეღიმა. სიმშვიდე იყო მისი ხმალი, და გონება ფარი. ბოცოსა და სხვა ჯაყელებს კარგად იცნობდა ბაღუაში. მუდამ ცეცხლი ეკიდებოდათ მათ. მხოლოდ კალმახელებს უფრთხოდა ლიპარიტი, რადგანაც ეს უკანასკნელნი - დიდხანს უსმენდნენ და სწავლობდნენ ყოველივეს.

- ბოცო ბატონო, როგორც ვიბჭვეთ, თბილისის თავად მინდიხარ შენ და შენი გვარი, მაგრამ ამ ღამეს, შენი აქ ყოფნა არ ეგების. დასტოვე ეს ალაგი და მე შეგატყობინებ გამოლაშქრების დღეს - დაიწყო ლიპარიტმა საუბარი.

- მაგრამ ბალღი ჩემი....არსენი, აქ დაკარგული, აი ამ ალაგს, თუ არ მოვძებნე....როგორ წავიდე უკან მესხეთს - თქვა ლიპარიტის თვალთაგან მონუსხულმა ბოცო მარზაპანმა.

- შენი არსენი, მე ვიცი, შეიპყრეს იმათ - ლიპარიტი გამოქვაბულისაკენ შემოტრიალდა და თითი ჯურღმულიდან ამომავალ ნათებას გააყოლა.

- ვინ იმათ კლდეკარის ბატონო, ვინ იმათ - ამოიგმინა ბოცომ

- თეთრი გიორგი, ხვთაებაა ამ ადგილისა...ბოცო, ეს ტაძარია მთვარის, მანდ შესვლა შენი ხმლითა და მახვილით არ ეგების, შეუძლებელია, გესმის - უეცრად განრისხდა ლიპარიტი.

- როგორ, დიდო ლიპარიტ, ჩემი ვაჟი, მთვარის ტაძარს მსხვერპლად შევწირო...? - განწირული ხმით იკითხა ბოცო მარზაპანმა.

- განა მთელი ჩვენი ცხოვრება, საუკეთესო სულის მსხვერპლად მიტანა არ არის ბოცო ბატონო? ომში ხომ ჯერ უწვერ-ულვაშო ვაჟებით შედიხართ შენ და შენი ოჯახის წევრები, აი იქ ხომ სწირავ შვილთა? წარმოიდგინე, აქაც ომია. ამირა და საამირო ხელთ უნდა ვიგდო. მრავალწლიანი საქმე მაქვს ჩაფიქრებული. თბილისი უნდა გავანთავისუფლო არაბთაგან. ამისათვის რა არ მოვიმოქმედე. ამირა ქალაქისა, რომ ეტრფის მთვარეს ეს დიდი ხანია შევიტყვე და რამდენიმე წლის წინ, კამბეჩიანზე, საიდუმლოდ შემალული, მთვარის ტაძარი აღმოვაჩინე. ერთადერთი იყო გადარჩენილი. მისი ქურუმი ზებულონი, კაცი ბრძენი, მცოდნე თეთრი გიორგისა მოვიძიე და აქ ჩამოვიყვანე. გამოქვაბულები ამოვკაფეთ, სამი სართული. სამსხვერპლო დავდგით და უმცროსნი ქურუმნი განვსწავლეთ. ასე შეიქმნა ტაძარი მთვარისა კოჯორში ჩემო ბოწო. გეტყვი პირდაპირ ამირა მოდის აქ, ხშირად. არაფერს უფრთხის, რადგანაც, ერთის მხრივ მე ვიცავ ალაგს ამას, ხოლო მეორეს მხრივ ადგილია უჩინარი, უცნობი, მიწისქვეშეთში ჩათხრილი და დამალული. ვერც არაბნი იცნობენ ამ ალაგს და ვერც ქრისტეანენი. მხოლოდ მე, შენ და ამირამ ვიცით სად ვსტუმრობთ და რა მიზეზით - ღიმილით ამბობდა ლიპარიტი და ბოცოს წარბებს მიღმა შეჰყურებდა.

- და შვილი ჩემი უნდა შეეწიროს? - ყრუდ იკითხა ბოცომ

- ჩემმა დაზვერვამ ჯერ კიდევ გუშინ მაცნობა, რომ იმათ შეიპყრეს ბიჭი, ამ გორაკებზე მომავალი, ჩვენ კლდეკარელნი არ ვერევით მათ საქმიანობაში, გესმის ალბათ. არც კი ვიცი, თუ როდის სწირავენ ისინი საერთოდ, მაგრამ, ეხლა შენ რომ ამ ქვაბულში ხმლით შევარდე, ჩვენი საქმე დაიღუპება უთუოდ. ჯერაც ერთი ამირა დაფრთხება და პირს იბრუნებს ჩვენი მტრებისაკენ, მეორეც - მის მაგივრად ხალიფა ახალ ამირას გამოგზავნის, რომელიც შესაძლოა გაცილებით ჭკვიანი აღმოჩნდეს და მთელი კავკასია, მათ შორის შენი მამულებიც, ჯაყი, თუხარისი, ყველა და ჩორჩანი გააპარტახოს და დაიპყრას. უნდა კარგად გამიგო ბოცო მარზაპანო - შენი ხმლით

შესვლამ ამ ქვაბულში, იქნებ მთელი საქართველოს დაღუპვა გამოიწვიოს, საქართველოს..., ჩვენი გვარებიც მიჰყვება, რაც მთავარია დედაქალაქს - თბილისს ვეღარ დავიხსნით და ერთიან იბერიას ვეღარ აღვადგენთ. თუ დავრჩით დაქსაქსულნი, მაშინ მუდამ მონები ვიქნებით, მე კი ვიცი რომ შენ მონობა არ გინდა...რადგანაც მგელი გიწოდეს დაბადებისას - მტკიცედ თქვა ლიპარიტმა და ბოცოს თვალი-თვალში გაუყარა.

- სწორს ბრძანებ დიდო ლიპარიტ - ენის ბორძიკით თქვა ბოცომ და ბარბაცით შემოტრიალდა.

- საიდუმლოდ შეინახე ის რაც ეხლა გითხარი - მოისმა პასუხად.

დადუმებული ბოცო ფერდობზე ადიოდა...

ლიპარიტმა მწიფე გარგარივით შევარდისფერებულ, ალაგ შეწითლებულ მთვარეს ახედა და გაუღიმა.

•••

ათრთოლებული მისდევდა მირიან ბერი ბოცო მარზაპანს, ხელის ჩაჭიდვა და მხოლოდ ერთი კითხვის დასმა უნდოდა მისთვის, მაგრამ ბოცო პასუხად შუბლზე შემოიჭდობდა ორთავე ხელს და მდუმარედ მიაბიჯებდა.

ბეშქენი და მურვანი, მომდგარ ცრემლს ვერ იკავებდნენ.

დილა თენდებოდა და ნისლი, რომელიც მთებიდან ბარისაკენ მიჰქროდა სუდარასავით გადაეფარა მათ.

ნაწილი მეშვიდე

975 წელი - ქართლი

ღრეობდნენ ტბელთა საგვარეულოს წარმომადგენლები. ფართო დედაბოძს მიყრდნობოდა „ფოცხვერად“ წოდებული იოანე „დიდი“ ტბელი, რომელიც ფიალას ფიალაზე სცლიდა და სულ უფრო მეტად იბრუჟებოდა ლიახვის ხეობის ქარვისფერი ღვინით - დედოსავაზოთი.

ფოცხვერის ტყავში გამოწყობილმა ქავთარ ტბელმა, საგვარეულო ერდოზე მიიწვია მოცეკვავენი - წრიულად მოეწყვნენ ტბელთა სხვადასხვა ოჯახის თავები. აიქნიეს ხელები და დატრიალდნენ. დაფდაფები სცეს დამკვრელებმა და აგუგუნდა ლიახვის ხეობის სასახლე ტბელთა.

- ორასამდე ფოცხვერი მყავს კოშკში, თუ ვინმე შევა, ნახავს თავის ბედს, თუ გამოვა გამოიტანს...ოქროს ბუნიან შუბს, რომელიც მამისაგან მერგო, იმას პაპისაგან ერგო, იმის მამას კი იმის პაპისაგან. ამ შუბში ებრაელთა მეფის - სოლომონ ბრძენის ისარია მოქცეული. ამ ისრით განგმირა სოლომონ მეფემ ფილისტიმელების სარდალი გედონი, მაშ გაუმარჯოს იმ კაცს, ვინც ამ ისარს მომგვრის - ამბობდა ღაწვებ აწითლებული დიდი ტბელი და მის წინ მონადიმე ჭაბუკებს შეჰყურებდა.

- **ქავთარ ტბელო, ათი-ათასი მოიერიშე ფოცხვერ-მამრი გყავს შემოკრებილი.** კახეთის ქორეპისკოპოსი შემომიერთდება ათიოდე დღეში და საბოლოოდ გავარკვევთ ქართლის ბედს. ივანე მარუშისძეს და მის ლაჩართა მოდგამს მტვრად ვაქცევთ და ვანახებთ ყველას თუ ვინ არის „ქართლის უფალი“, მაგრამ დღეს, უნდა ვნახო ვინმე მოყმე ამ ჯარში ვინც ტბელთა კოშკიდან სოლომონის ისრით დამიბრუნდება. დიდება გმირებს - გაჰყვიროდა დიდი ტბელი და გამომწვევი ღიმილით ათვალიერებდა მის წინ დაფიქრებულ ხევისბერებსა და მოყმეებს.

აქვე იყვნენ პაპია ხელანთაიძე, უჩარდი მამისეული, საბლე საგინაშვილი, ფეჰლევანდ ფეჰლევენდიშვილი და სხვა გმირები, რომლებიც თავიანთ მკლავს მინდობილნი, სახელის მოსაპოვებლად ქართლ-კახეთ-ჰერეთში მოგზაურობდნენ და „შარს“ ეძებდნენ.

- დამისხით ერთი, მე შევალ ფოცხვერთ-კოშკში - წარმოთქვა გმირთა შორის ყველაზე ახალგაზrდამ, მესხეთიდან მოსულმა აზნაურმა - ფეჰლევანდ ფეჰლევანდიშვილმა და ზერდაგზე მჯდარ დიდ ტბელს გამომცდელი მზერით შეხედა.

ათასგვარი ბოროტებით იყო ცნობილი ტბელთა ბელადი, მაგრამ მასზე მხოლოდ სასიკეთოს ამბობდნენ ლიახვის ხეობაში. რატომ იყო ასე ყველამ იცოდა კიდევაც და არც იცოდა. უყვარდა ხალხს დიდი ტბელი. უყვარდათ კიდეც და სძულდათ კიდეც. თუმცა სასწორზე რომ აგეწონა ის რაც დიდ ტბელზე გაეგონა ყოველ მათგანს, იფიქრებდით, ან ლიახვის მცხოვრებნი შეშლილან ან დიდი ტბელის სიკეთე, უბედურებს, ბოლომდე ვერ დაუნახავთო.

- დედოსავაზოს ქარვისფერმა ღვინომ არ გავნოს ბრძოლის წინ, შვილო ფეჰლევანდ - მოწყენილი ღიმილით შეხედა ვაჟს, ხეობის დიდმა ბოროტმა და ერთდროულად კეთილმა სულმა.

- არ მავნებს - მიუგო ფეჰლევანდ ფეჰლევანდიშვილმა და დიდ ტბელს თვალი თვალში გაუყარა. ეს მზერა ნიშნავდა კითხვასაც და სათქმელსაც. ერთის მხრივ მოყმეს აინტერესებდა „იყო გამარჯვების შესაძლებლობა, თუ მართლაც იმდენი ფოცხვერი იყო დამწყვდეული კოშკში რამდენსაც დიდი ტბელი ხალხს უამბობდა - ანუ ორი ზევრი (ორასი ფოცხვერი), და გამარჯვების ბაღნარი დამჭკნარი დახვდებოდა გმირს?“.

- დასტურია, არ გავნებს ფეჰლევანდ! - გაიღიმა და სუროვანდიანი ყვითელი კბილები გამოაჩინა დიდმა ტბელმა, რაც იმასაც ნიშნავდა, რომ მალე მიეწეოდა თავის თავგასულ და შუბლ-ცხელ წინაპრებს „ფოცხვერ-ხარი“.

ამ ღიმილმა დააიმედა უეცრად ფეჰლევანდ ფეჰლევანდიშვილი, უიმედობა დაიჭირა დიდი ტბელის თვალთა გუგებში და იმასაც მიხვდა, რომ იქნებ მისი თავი გადარჩენილი და ძლიერი უფრო სჭირდებოდა, გარეგნულად დიდსა და ძლიერს, მაგრამ იდუმალად წელ-ათრეულ, სამარის პირას მდგარ, პირსისხლიანი ტბელების გვარის მეუფესა და ერთ-დროს „ქართლის უფალს“.

„ივანე მარუშისძე უნდა ცოცხლად შესჭამოს, ძალაც შესწევს ეხლა, ათი ათასი წანარი ჰყავს შემოკრებილი და გმირი სჭირდება, ვინც მას და მის ხროვას, დაგროვილ ცოდვებს გაჰბანს მტრის დანთხეული სისხლით“ - გაიფიქრა ფეჰლევანდ ფეჰლევანდიშვილმა და დიდი ტბელის გაყვითლებულ თითებს ემთხვია.

„სიკვდილის ანგელოზია თავად“ - გაიფიქრა მოყმემ, რომელსაც ორლესული მახვილი მიაწოდეს და ფოცხვერთ-კოშკის კარიბჭე სანახევროდ შეუღეს. ნადირის სუნი ეცა ფეჰლევანდს.

- სძინავს ამ დროს ფოცხვერს შვილო. შედი გულით. იარე პირდაპირ, შემდეგ ადი კიბეზე, განახვნე კარნი, დაამსხვრიე მოქლონნი და შეამტვრიე მცირე კარი სენაკისა. იქ დაინახავ ოქროსფრად მოციმციმე შუბს სოლომონისას. შემდეგ შემოტრიალდი, იგივე გზით გამო, და საბოლოოდ კარს დააკაკუნე. უმალ გაგიღებენ და შეგხვდები როგორც მამა, უძღებ შვილს - თქვა გულცივად დიდმა ტბელმა, რომელმაც ფოცხვერთ-კოშკამდე მიაცილა ფეჰლევანდი და მყისვე შემოტრიალდა, კოშკის ხის კიბეებზე აირბინა და კარში გაუჩინარდა.

***

ფეჰლ ევანდ ფეჰლ ევანდიშვილმა პირჯვარი გადაიწერა და კარში შეიჭვრიტა, ეზოში სიმშვიდე სუფევდა, ფილაქვანის ბილიკი მიუთითებდა მიმართულებას, რომელიც დიდმა ტბელმა ჭაბუკს მოუნიშნა.

როდესაც ფეჰლ ევანდ ფეჰლ ევანდიშვილი ფეხაკრეფით შევიდა კოშკში, მის უკანკარი დარაჯებმა სწრაფად მიხურეს.

იყო 975 წელი პირველი დღე ზაფხულისა

მცხეთის თავს მოფრიალე აბხაზთა სამხედრო შტანდარტი ირყევა...

მცხეთის ქალაქს, შუადღის მზე რომ შუბის წვერიდან გადაიხარა, ჩია ტანის „თუალდაფსებული“ ბერი მოადგა. კარის მცველებს პირჯვარი გადაწერა და იქვე მოლოდინში გაირინდა. მცველებმაც იცნეს „მწეხარე“ ეპიფანე ბერი, ჭის წყალი მიართვეს მას და თავიანთ კოშკში შეიპატიჟეს. უარი თქვა ეპიფანემ და ერთ კარის მცველს უბრძანა:

- უთხარ ქართლის პატრონს - იოანე ერისთავს, ეპიფანე ბერი მწუხრის ჟამამდე აქ იქნება და შემდეგ თავის საქმეზე თბილისს გასწევსთქო. უთხარ პატრონს ეს ყოველივე, გაიქეცი ეხლა.

კარის მცველი მალემსრბოლივით გაქანდა ქართლის მპყრობელის იოანე მარუშისძის სასახლისაკენ.

***

მცხეთის გოდოლზე შავი დროშით დაბოლოვებული აბზახთა სამხედრო შტანდარტი მბძანებლობდა. შუადღის ხვატი რომ იდგა, ძილად იყო მივარდნილი მთელი ქალაქი. აბრეშუმის ფარდები იფაფრებოდნენ ხანდახან, ხტოდნენ ველური ბედაურებივით. ცხელი ქარი ქროდა მთა ქართლიდან მონაბერი. სარკინეს მთაზეც ბიბინებდნენ ბალახნი. მაგრამ ჩვეული სიჩუმე სუფევდა. შუადღის ეშმაკეულს უფრთხოდნენ მცხეთელნი, კარები ჩაეგმანათ მათ. დიდი მთავარი იოანე მარუშისძე, სასახლის ყველაზე პატარა სენაკში - ბიზანტიურ, სამხედრო საწოლზე იწვა და ფიქრობდა. მგლოვიარედ იყო და აზრებს თავს უკრებდა. გრაგნილი გულზე ედო, ხელით გული ეჭირა და გრაგნილსაც გულის მიდამოში იმაგრებდა.

- „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღერიცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვების და ლოცვა ყოველი აღესრულების“ - უკვე მერამდენედ იმეორებდა იგი.

ეს ჰაზრი უკვე რამდენიმე დღე და ღამე არ ასვენებდა და ხიბლავდა აბხაზთა მეფისაგან ქართლს გამთავრებულ იოანე მარუშისძეს-მარუშიანს, რომელიც ერთგული იყო დემეტრე III აბხაზთა მეფისა, რადგანაც მასთან პირველ რიგში ერთგულების ფიცი და ასევე მხედრული მეგობრობა აკავშირებდა.

დემეტრე აბხაზთა მეფე, კავკასიაში ჰეგემონიის მოპოვებისათვის იბრძოდა მუდამ. მან ჯერ კიდევ 961 წელს უსისხლოდ დაიჭირა მთელი ქართლი, ალყა შემოარტყა თბილისს, უკან დაახევინა ტბელებსა და მათ მიმდგომებს, შეიჭრა მცხეთაში და

მოწინავე ჯარის სარდალი, მარუშიანთა გვარის შვილი იოანე - მცხეთელი პიტიახშების ჯერ კიდევ გადარჩენილ, რომაული ტრადიციით გაწყობილ, სპილოს ძვლით, ვერცხლითა და ანთრაკით შეჭედილ ტახტზე დააჯინა.

მაშინ ძლივს გაუძლო ძველმა ტახტმა იოანე მარუშიანის სიმძიმეს. გადაიხარხარა აბხაზთა მეფემ და როდესაც პიტიახშების საბრძანებლო, მასზე გაოგნებული სახით მჯდომარე ახალბედას, ფეხქვეშ უნდა ჩამტვრეოდა, სასწრაფოდ წამოაყენა იგი.

- ახალ ტახტს გიბოძებ ივანე! მხოლოდ მიერთგული. - შესანიშნავი ქართულით სთქვა აბხაზთა მეფემ და მთავარს თვალი ჩაუკრა.

ფიცის ერთგული იყო იოანე. მან გაყარა ქართლიდან დამნაშავენი. განსაკუთრებით დააწიოკა ტბელნი, რომელნიც თავს ქართლის მეფეებადაც თვლიდნენ და თბილისის ამირასთანაც ზავი შეკრა.

ამგვარად მცირე ხანს მშვიდობა გამეფდა ღმრთის ქალაქ მცხეთას.

მაგრამ სწორედ გუშინ, მალემსრბოლმა მოიტანა სამწუხარო ამბავი და ააფორიაქა იოანე მარუშისძის საიდუმლოებებით მოცული გონება.

***

ამ დროს ჩაახველა ვიღაცამ კარს მიღმა. მესტუმრეთუხუცესი გახლდათ. კიდევ ერთხელ ჩაახველა მესტუმრემ.

- შემოდი - ბრძანა იოანემ და მის წინ შევერცხლილ წვერიანი მესტუმრე აღიმართა.

- „მწეხარე“ ეპიფანე ბერი ზის ქალაქის კარიბჭესთან და გელის პატრონო - თქვა მან.

წამოიმართა იოანე მარუშისძე, ტყავკაბის გადაცმაში მიეშველა მას მესტუმრე, ქამარს აწოდებდა მსახური იოანეს, მაგრამ ქართლის პატრონი, უეცრად, ეზოში გაიჭრა და ეპიფანე ბერისკენ გაქანდა, ხელები გაშალა და მისკენ მტკიცე ნაბიჯით წამოსული ეპიფანე გულში ჩაიკრა. „მწეხარედ“ ანუ თვალებდამწვრად, მაგრამ ძლივს-ძლივს მხედველად უხმობდნენ ეპიფანეს ქართლელნი და მესხნი.

- მადლობა უფალო დიდი სიხარულისათვის. როგორ მიატოვეთ მამაო თქვენი მონასტერი? ამ სიცხეში გაგიჭირდებოდათ მგზავრობა? - ეკითხებოდა იოანე ჩიატანის ეპიფანეს.

- შვილო იოანევ, მე არ ვინდობ საკუთარ თავს, ეგ არაფერი, მაგრამ, აი მოისმინე ბერების შემონათვალი - „შენ ხარ უმთავრესი მთავართა შორის, რადგანაც ბატონობ ქართლსა შინა და შენს სამფლობელოს განეკუთვნება, სამოთხის ბაღი,

ძელიცხოვლით და მთაი იგი „ქართლად“ წოდებული“ - თქვა ზეაღმართულმა ბერმა.

- სულ ეს არის მიზეზი იმისა, რომ მე დამეკისროს უმთავრესი პასუხისმგებლობა მამაო? - გაიღიმა იოანემ.

- ძელიცხოველი და მის გარშემო ქართლი მთლიანად და მთაი ქართლი, არის როგორც ღერძი სამყაროისა შვილო იოანე, ამიტომაც გმართებს გაიგო და შეიგნო ჩვენი შემონათვალი - თქვა ჯიუტად ბერმა.

- გუშინ შევიტყვე მამაო, მომკვდარა ჩემი ხელმწიფე, აბხაზთა მეფე დემეტრე III და ამას ვგლოვობთ ყველანი - თქვა იოანემ და ბერს დააკვირდა.

რაღაც წაიბურტყუნა ეპიფანე ბერმა და ისეთი სახე მიიღო თითქოსდა არც კი იცოდა აბხაზთა მეფის სიკვდილის ამბავი. ცოტა ხანს სდუმდა შემდეგ კი იკითხა:

- რად არ გაემგზავრე აბხაზეთს უკეთუ ხარ მგლოვიარე?

- აბხაზეთს გავეგმზავრებოდი მამაო, მაგრამ მე ვარ ის ცოდვილი ვინც, გუშინ აბხაზეთს გამეფებული თეოდოს მეფე, ათი წლის წინ, აწ გარდაცვლილი დემეტრე მეფის ბრძანების თანახმად შევიპყარი და ...

შეყოვნდა ოდნავ სათქმელის დაბოლოებისას იოანე მარუშისძე, ყბა წინ წამოსწია და სახეზე გადაფითრდა, შემდეგ თვალები აემღვრა და ხელი ძოწით მორთული ხანჯლის ტარისკენ ანაზდეულად გაექცა.

გაახსენდა 956 წელი, როდესაც, მან, ბიზანტიაში აღზრდილი უფლისწული თეოდოსი, დემეტრე მეფისა ბრძანებით, სასტიკად სცემა და შემდგომ დასაბრმავებლად ასურელ ჯალათს - ბაჰლას გადასცა:

„ხელები უეცრად გაინთავისუფლა, ტკივილისაგან გაშმაგებულმა თვალებდამწვარმა - მწეხარე უფლისწულმა განსაცვიფრებელი ძალით აქეთ-იქით გადაგვყარა მე და ჯალათი, რომელიც თავისსავე მახვილზე დაეგო, უდიერად“- გაუელვა თავში იოანეს და ბერს დამნაშავე ბავშვივით მიაჩერდა.

- საბრალო, თვალდამწვარი თეოდოსი გამეფდა აბხაზეთს? დაყოვნების უფლება არ გაქვს შვილო იოანე. ისედაც უამრავი ცოდვა მიგიძღვის უფლის წინაშე. ცოდვიანი მარჯვენა საქმეებით უნდა განბანო, თორემ შენი არსებობა, ისევე უდიერად წარმოჩინდება, როგორც იმ ჯალათისა, რომელმაც არასრულად დააბრმავა განსასჯელი და შემდეგ თავის მიერ გახურებულ მაყალზე დალია სული.

გაოგნდა მარუშისძე, გულთამხილავი ბერის დაფსებული თვალების მიღმა მოელვარე გონების შეცნობას შეეცადა იგი, მაგრამ ამაოდ, ბერი თავად გადმოვიდა იერიშზე და საბრძოლო მანქანასავით მიუახლოვდა ქართლის ერისთავის სულის გოდოლს.

- ერთმა გულმოწყალე და ქვრივ-ობოლთა შემწე კაცმა ანაზდათ ქალწული გააუპატიურა. შეკრეს იგი და მიუყვანეს იმ მხარის ეპისკოპოსს. ჩავქოლოთო - მოითხოვა ხალხმა. იცი კი რა უპასუხა ეპისკოპოსმა, რომელიც დიდად წმინდა კაცი იყო?

- არა - განცვიფრებულმა მიუგო ქართლის გამგებელმა.

- გაანთავისუფლეთ ეს კაციო, მიუგო ხალხს, რადგანაც უფალს უყვარსო ქვრივ-ობოლთა შემწენი და მოწყალენი. ამიტომაც თავად მე ხელს მიკრავს ეხლა უჩინარი ანგელოზი, რაიმე განაჩენის გამოტანისაგანო - დაამთავრა ღიმილით ბერმა და უეცრად თვალები გახსნა, იმისათვის რომ მარუშიანს მისი კვერცხის ცილისებრი, ამღრეული, თვალის გუგანი ენახა და შეძრწუნებული იყო.

- დუმდა ერისთავი.

- მოწყალენი უყვარს უფალს, მაგრამ ერთ აკრძალულ სიტყვას გეტყვი და იმედი მაქვს არ გამცემ მარუშიანო - ბერი შეხსნილი წამწამებით შეჰყურებდა მთავარს.

- არ გაგცემ მამაო, უფალმა შეგინდოს, რა საიდუმლო სიტყვას მეტყვი? - გული სწრაფად უცემდა ერისთავს.

- ბრძენი არისტოტელეს წიგნია - „პოლიტიკოს“, ეწოდების, იცი რა არის ამ წიგნის აზრი მთავარო, აზრი - ყოფას ეხება. ვინ ვართ და რანი ვართ ჩვენ. თქვენ მთავარნი მეფეს ემსახურებით მხოლოდ? არამც და არამც! თქვენ ემსახურებით მეფობას, რომელიც მთლიანი და სამყაროსავით სრულქმნილია და რომელსაც თავად ყოველი მეფე ემორჩილება. მეფობა ღმერთის მმართველობის საერო ფორმაა. ღმერთს არ უყვარს ამრევნი ამ ფორმისა. ძლიერი და სრული სახელმწიფო, აი რა არის მთავარი სიკეთე იმ კაცისათვის რომელიც მეფობას ემსახურება.

- ჩემგან რას ითხოვთ წმინდა მამანო, ეპიფანევ მითხარი პირდაპირ, არ ვარ მცნობელი მაგ წიგნისა - გაუმკაცრდა სახე იოანე მარუშიანს და იგი უეცრად კვლავ გადაფითრდა.

- იოანე მარუშიანო - ხომ ხედავ, მცხეთას ზიხარ, იქ სადაც ძელიცხოველმა გაამშვენიერა სამყაროი, ამ ქალაქში ღმერთნი ღმერთობდნენ და მეფენი მეფოდნენ მუდამ, ლაშქარი შენ გმორჩილებს და უბატონო მოყმე ხარ, ამიტომაც უნდა იღონო რაიმე იმისათვის, რომ იმგვარი სახელმწიფო განამტკიცო, რომელიც არც არაბთა შემოსევას შეუშინდება და არც ბიზანტიის იმპერატორთა ქვენა ზრახვებს.

მონანიება

- მცხეთა უნდა იქცეს ქვაკუთხედად სახელმწიფოსი, ხოლო მთა ესე ქართლი - იდუმალ მწვერვალად, სახსოვრად მამისა ჩვენისა ქართლოსისა, რომელიც ერთ ღმერთს აღიარებდა. იოანე ხუცესის ბრძნული სიტყვა, იმის შესახებ, რომ საქართველოა ის მიწა, სადაც ქართულად ჟამი შეიწირვების და ლოცვა აღევლინების - ქრისტეს ნებაა. ჩადექი ამ ნების სამსახურში მარუშიანნო და შენს სახელზე მომავალი ილოცებს - თქვა მზის ჩასვლისას ეპიფანე ბერმა.

- ვდგავარ ქრისტეს ნებაში მამაო, მაგრამ უკვე ხვალ გულში გამიყრის ლიახვურ მახვილს - დიდი ტბელის სარდალი ქავთარი, ზურგიდან კი საკუთარი მეფის თეოდოსის მიერ გამოგზავნილი მკვლელი მომეპარება ხანჯლით, მარჯვენა გვერდიდან ქალაქის ამირა არ დამინდობს და არაბულ ქეიბურს მკრავს, ხოლო მარცხენა ბეჭს, თავისი გრძელი, „ვარანგული“ ხმლით ჩამომათლის რატი - მთავარი კლდეკარისა - ამოიგმინა იოანე მარუშისძემ და ბერს წინაშე თავი ჩაქინდრა.

- მრავალი მტერი გყავს, იოანევ, ცოდვა გადევს გულზე თეოდოსის თვალთა დაწვისა, ეს ერთი, ტბელთა საგვარეულოს გაჟლეტისა ეს მეორე, ქალაქ თბილისის დაწიოკებისა ეს მესამე, მაგრამ რატი კლდეკარელს რა დაუშავე, ეგ ამბავი მიამბე.

- ქართლიდან ჯავახეთს გადასასვლელი გზის მოსაპოვებლად წავიმუშავე ოდნავ, კლდეში გაჭრილი კარის გაფართოვება მინდოდა, მაგრამ უეცრად წამომადგა თავს რატი ბაღვაში, დატყვევება დამიპირა და იქეთ დავატყვევე, შემდეგ რაც დავმართე, სირცხვილით ვერ გეტყვი მამაო - მოულოდნელად გაიცინა მთავარმა.

- ლაზებს აქვთ ერთი ბრძნული სიტყვა „ვაშინერს“, ნიშნავს მძრწუნავს, მაშინებს ამის გაფიქრებაც კიო, მთავარო, არ ეკუთვნის შენნაირ დიდ და გამოჩენილ კაცს, ტყვეთა წამება და მათ მიმართ უდიერება. კაცნი ვართ. სასამართლოს უნდა გადავცეთ ყოველი ძე-ხორციელი, თუნდაც დედ-მამის მკვლელი - ჩაილაპარაკა ეპიფანემ და ზე-წამოდგა.

- დავამთავროთ, მამაო, გითხარი ყველაი ჩემი ცოდვა, და მოვისმინე შენი შეგონებანი, ეხლა უნდა გავწიო და ერთი მხრიდან წანარ-ტბელების შემოტევისათვის, ხოლო მეორეს მხრიდან - ჩემივე მეფის თეოდოსის შურისძიებისათვის, უნდა ვემზადო, მაპატიე მეჩქარება ... - ამბობდა ივანე და ბერის დასტურს ელოდა, რომ მცხეთის სიმაგრეებისათვის გარშემოევლო.

- მარუშიანო, შეიგნე, ეს მონანიება შენი არ არის მხოლოდ, დღეს რაც შენ მითხარ, ავბედითი შეცოდებები, მხოლოდ მაშინ გეპატიება, თუ ღმრთის მიერ დაწესებული, ერთიანი და ბედნიერი სახელმწიფოს შექმნისაკენ იღწვი. თუ მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენისათვის კლავ კაცთა და ანთხევ სისხლს, მაშინ ღმრთისაგან არაფერი შეინანების! - უტეხი იყო ჩია ბერი, რომელიც გრძნობდა მარუშიანის გულის ფეთქვას და მასზე შეტევას აგრძელებდა.

- ეს მონანიება შენი არ არის მხოლოდ მეთქი გეუბნები, შენთან ერთად, შენივე ბრძანებით უამრავი კლავდა და აგინებდათქო გითხარი. ყველას ცოდვა შენზეა საბოლოო ჟამს - ღმრთის სამსჯავროზე. როდესაც მდუღარე კუპრით სავსე ქვაბისაკენ წაათრევენ შენს უბადრუკ სულს, მთავარი აღარ იქნები მაშინ და აღარც იოანე გერქმევა. ერთი წამით კი მოგატარებენ მცხეთის თავს უფლის ანგელოზნი და გკითხავენ - „საცოდავო იოანევ, უფლის ხელმწიფება შეგეძლო შეგექმნა ამ ღმრთის ქალაქში და შენ კი რა შეჰქმენი?“, რას უპასუხებ მაშინ? როდესაც წვერს დაგაგლეჯენ შენ მიერ დაქვრივებულნი, დამახინჯებულნი, შიმშილით მომკვდარნი, დასნეულებულნი, კეთროვანნი, თვალებ-დამწვარნი, მწეხარენი, დაკოდილნი. რისთვის ჩაიდენე ეს საქმენი - გკითხავს საბოლოოდ მთავარანგელოზი. რას ეტყვი მაშინ იოანევ?

- რა უნდა ვთქვა წმინდა კაცო? - ჩაიჩურჩულა იოანე მარუშისძემ.

- უნდა მოასწრო, მარუშისძევ, წამი და ეს ცხოვრება გაფრინდება, სულ ორი წელიწადი დაგრჩა თუ გინდა მართალი, უნდა მოასწრო, მარუშისძევ. უფლის ხელმწიფება უნდა დაარსო და უფლის მიერ დალოცვილი სამეფო უნდა შექმნა, მხოლოდ ეს თუ გადაარჩენს შენს მიერ დატანჯულ სულს ვინმე ივანე მარუშისძისას, რომელსაც ყმაწვილობიდან, ბერად ამზადებდნენ, მაგრამ შემდეგ ჯალათად აქციეს - თქვა ბერმა და ამღვრეული თვალის გუგებით დააკვირდა მის წინ ბავშვივით ჩაცუცქულ მთავარს.

- როგორ უნდა დავაარსო უფლის ხელმწიფება? მე თავად ვერ გავმეფდები, რადგანაც სამეფო გვარის არ ვარ და რომც მეფედ გამოვაცხადო თავი, უმალ ყოველი გამოილაშქრებს ჩემზე და მაშინ მცხეთაც დაინგრევა და მისი შემოგარენიც - თქვა ერისთავმა და სმენად მოემზადა.

- მეფობა ღმრთისაგან მოდის. ჯერ საულს დაადგეს მეფის გვირგვინი, ხოლო შემდეგ ეს გვირგვინი დავითზე და მის მოდგმაზე გადავიდა, ჩემო იოანევ. დავითის შთამომავლები არიან ბაგრატოვანნი. აბხაზთა მეფენი კი თვითმარქვიები არიან. მხოლოდ დავით ბაგრატიონს შესწევს ძალა, იმისა რომ ღმრთის ხელმწიფება, სიმშიდე და გამარჯვება დაამყაროს მცხეთის გარშემო. მაგრამ თავად დავითს III ბაგრატიონს, არ სძალუძს მეფობა. მან უნდა შექმნას სახელმწიფო, მაგრამ მისი სადავეები შვილობილს - ბაგრატ ბაგრატიონს უნდა გადასცეს და იგი მეფედ ჰყოს - იღიმებოდა ეპიფანე, როგორც ჩანს მრავალი ღამის ნაფიქრს აბარებდა ქართლის მთავარს.

- რას მოგვიტანს დავით კურაპალატის შვილობილის, გურგენის ვაჟის, ბაგრატის გამეფება? - იკითხა გაკვირვებულმა იოანემ

- აი რას მოგვიტანს! - თქვა ბერმა და გულის უბეში ჩამალული წიგნი დღის სინათლეზე გამოაჩინა - აი ეს არის გენეალოგია მეფეთა, წაიკითხე ერთი.

იოანემ გადახედა ხანძთის მონასტერში შექმნილ, წიგნს, გადაფურცლა მისი პირველი გვერდი და წაიკითხა „აბხაზ მეფეთა ცხოვრება და დივანი“.

***

ფეჰლევანდ ფეჰლევანდიშვილი კატასავით მოქნილად მიმოდიოდა. საცვეთების წვერებზე შემდგარი უკვე პირველ კართან იდგა, რომლის რკინის მოქლონი ტვიფარით - „ტბელ“ ეხლავე უნდა დაელეწა.

მახვილის ბუნით შეეძლო გაეჭრა მოქლონი, მაგრამ მისი სიბასრე ვერ გაიმეტა ფეჰლევანდმა და კარს მახვილის რკინის სახელური დასცხო. მოქლონი გადაიმტვრა და კარიც შეიღო. იგრძნო ფეჰლევანდმა კარს იქითა მხეცის ამოძრავება. „მრავალი ერთდროულად თუ დამესხა უკან დავიხევ და დაუმთავრებელ კედელზე ავიჭრები“ - გაუელვა მას უეცრად და მყისეულად მოტრიალდა იგი და კედლისკენ გაიქცა.

მისი აზრი მყისიერად გამართლდა, რადგანაც კოშკიდან მრავალი ფოცხვერი გამოიჭრა და მას გამოეკიდა. მოტრიალდა ფეჰლევანდი და პირველი მტერი დალანდა - დინჯად მომავალი ფოცხვერი გამოირჩეოდა ძლიერი, მოქნილი, გრძელი ფეხებით, ძალზე ფართო თათებით, მოკლე კუდი ყურების ბოლოებზე - გრძელი ფუნჯებს უგავდა, ფართო მოწითალო ქილვაშები უთრთოდა, ჩალისფერი სხეული დასჭიმოდა და ჭრელი მოცისფრო თვალებით ფეჰლევანდს მიშტერებოდა. მის უკან ჩამწკრივდნენ დანარჩენნი, ქილვაშები მათაც უთრთოდათ და კბილები ექავებოდათ. „სისხლი სწყურიათ“ - გაიფიქრა მოყმემ, უკან დაიხია, ქვითკირის კედელს, რომელიც შესასვლელს ბაღისაგან ჰყოფდა, ხელი დაადო და უმალ კედლის წვერს მოახტა, შემდეგ წამოიმართა და თავისი თითქოსდა უხიფათო პოზიციით დაიმედებული უშიშრად მიმოიხედა.

„გამწირა კი...დიდმა ტბელმა?“ - თავის-თავს ეკითხებოდა ფეჰლევანდი და ფოცხვერებს კედლის სიმაღლიდან დაჰყურებდა. ამ დროს უდიდესმა ჩალისფერმა კატამ კედელზე ასვლა დააპირა, მაგრამ ჯერ დაბლიდან რომ უყურებდა ქვითკირის ყორეს ეხლა მის თავს შეახტა.

„დაიწყო....კატებთან ომი...“ - შესძახა ფეჰლევანდმა და გაკვირვებით შენიშნა, როგორი სიმსუბუქით ავარდა კედელზე, ჩალისფერი ფოცხვერი და მისი მიმართულებით გამოემართა.

მოახლოვებულ ფოცხვერს რომ შეჰყურებდა, ფეჰლევანდი უკეთეს დგომს ეძებდა, რათა ფოცხვერი ერთი დარტყმით მოეკლა.

„უუუხლუუუ“- გამძინვარდა ჩალისფერი მხეცი, მბზინავი მახვილის დანახვაზე და თათის ქნევით დააპირა მისკენ მიშვერილი მახვილის მოგერიება, მაგრამ უკვე გვიან იყო. ფეჰლევანდმა, საასპარეზო სიმსუბუქით, ისკუპა და ჩალისფერს მახვილი

ზევიდან ქვევით, პირდაპირ გულში ჩასცა.

ფოცხვერი კედლიდან გადავარდა, მისი სისხლით მოირწყო ბანი. გამძვინვარდნენ უცებ დანარჩენი კატანიც და ნახტომისათვის უკანა თათებზე დადგნენ.

***

სწორედ იმ დროს როდესაც, ლიახვის ხეობის, ტბელთა სასახლის „ფოცხვერის კოშკში“ ფეჰლევანდ ფეჰლევანდიშვილი უკვე მეათე გაავებულ ფოცხვერს, თავისი გრძელი მახვილით კლავდა, მცხეთის ქალაქიდან ტაოსკენ მიმავალ გზას ჯოროსანი მხედარი გაუყვა.

ამხედრებული ეპიფანე ბერი აჩქარებდა თავის ჯორს და უნებურად დავიწყებულ მხედრულ ახალგაზრდობას იხსენებდა, როდესაც ის ყველის ციხეში, გმირი გობრონის მარტვილობას შეესწრო, იომა ამ დიადი კაცის ხელმძღვანელობით, თვალისჩინი კი დაკარგა, მაგრამ გულის ჩინი გაისათუთა.

როდესაც აბულ-ყასიმ ალ საჯის ჯალათმა, ორთავე თვალი დაუწვა თხუთმეტი წლის დატყვევებულ გელასის, იგი განთავისუფლებისთანავე ბერად შედგა - ეპიფანედ ეკურთხა და ყოფილი მხედართმთავარის - გობრონის წმინდა ნაწილების მოძიებასა შეუდგა.

ნაწამები გობრონის სხეულის ნაწილების შეკრებისას, საკუთარი სული გაიმთლიანა ეპიფანემ. რამდენიმე წლის ბერული ცხოვრების შემდეგ, ერთ დილას, მზის ამოსვლის ხილვის უნარით დააჯილდოვა იგი უფალმა. როდესაც მარჯვენა თვალში მხედველობა ნაწილობრივ აღუდგა ბერს - იგი გულმხურვალედ ჩადგა ქართულ საქმეთა საწნახელში.

დავით კურაპალატი და ეპიფანე ბერი

ტაოს სასახლის ლანდები ამოძრავდნენ. მაშხალები აანთეს ეპიფანე ბერის სამასპინძლოდ. თავად დავით მეფე „კურაპალატი“ მიუძღვოდა სახლიკაცებს სტუმრის დასახვედრად.

ჯორზე ჯდომისაგან დაღლილი ეპიფანე იმედიანი სახით, მკვირცხლად შეეგება ტაო-კლარჯეთის მეფეს. თითქმის ერთი ხნის იყვნენ. გულმხურვალედ მოიკითხეს მათ ერთმანეთი.

- ზაფხულის ხვატმა შეგვაწუხა ღირსო ეპიფანე ბერო, ღამეები აღარ გვძინავს. რული არ მოდის, ჰოდა ადამის-ძეს ვეძებ ჩვენს საქმეებზე სასაუბროდ. დიდება უფალს რომ შენი თავი, თუნდაც მცირე ხნით გვარგუნა და აქ ჩამოგვიბრძანა - ახალგაზრდული მზერა ედგა თვალებში უჩვეულო სილამაზით გამორჩეულ, თეთრწვერა და თეთრთმიან დავით მეფეს.

- დიდება უფალს-იესო ქრისტეს და დედას ჩვენსას ღმრთისმშობელს, რომლის სამკვიდრო ქვეყანაზე სასაუბროდ გეახელით დიდო ქართველო ხელმწიფევ - დარწმუნებით თქვა ეპიფანე ბერმა და სამეფო დარბაზში დასვენებული ჯვარცმის წინაშე დაიჩოქა.

დავით „კუროპალატმაც“ დაიჩოქა ჯვარცმის წინაშე, შემდეგ ბერი და მეფე წამოდგნენ და სამეფო მაგიდას მიუსხდნენ.

წყალვარდნილში ჩაციებული წითელი და თეთრი ღვინოები შემოიტანეს მესტუმრე აზნაურებმა. ტაოს ხორბლისაგან დამზადებული გემრიელი მესხური პური და კამეჩის ყველ-ჩახარშული ხაჭაპურები, ჩამოალაგეს მეფის სახლეულის სეფე ქალებმა. ვერცხლის ხონჩით, ჯერ კიდევ ცოცხალი, მოსხლმარტალე ციმორი და კალმახი შემოატარეს მაგიდას მენადიმეთა, მაგრამ ეპიფანე ბერი არაფრით ისე არ დაინტერესებულა, როგორც მის წინ ხელადით მდგარი „კლარჯული ღვინით“. თავად მეფემ არავინ მიიკარა მერიქიფედ. ტაოში დამზადებულ მინის ჭიქაში, თავად უსხამდა ბერს ღვინოს და მათ ღირსებაზე ესაუბრებოდა.

- ეს არის შუმი კლარჯული ღვინისა. წმინდა და პირველი წვენი დაწურვისას. სთუელი აგვისტოში იცის ამან. მე თავად უვლი, არვის ვანებებ - ამბობდა დავით მეფე.

- სთუელი, თუ აგვისტოს თუერანგში (ანუ თვეში), იცის მაშინ მეც ცოტა ხანს დავრჩები და მოგეხმარები, რადგანაც თავადაც კლარჯი გახლავარ მეფეო - მიირთმევდა კამკამა კლარჯულს ეპიფანე და საღი თვალით დავით კუროპალატს შეჰყურებდა, ფიქრობდა მთავარი სათქმელი რომელი მხრიდან დაეწყო.

- ვაზი - შვილად გადმოგვცა უფალმა ღმერთმა, ამას წინათ ესაია წინასწარმეტყველის წიგნს რომ ვკითხულობდი, მაშინ კიდევ ერთხელ ჩავწვდი ეპიფანე ბერო თუ ვინ ვართ და რანი ვართ ჩვენ ამ ქვეყანაზე, რისთვის მოგვავლინა უფალმა და რისთვის გვამზადებს იგი - ბრწყინვალე გაუხდა თვალები დავით კურაპალატს.

- მოწყალეო ხელმწიფევ, ჩვენ ყველანი უფალმა სამოთხეში დაგვასახლა, მაგრამ ბედისა თუ ჩვენი უკუღმართობის გამო, სამოთხის მხოლოდ მცირე ნაწილი

თუ დავინარჩუნეთ - მიეგება სიტყვით ეპიფანე, რომლის გონებაში მეფეთა და ეპისკოპოსთა სხვადასხვა სახეები გაცოცხლდა. ეპიფანე მიხვდა, წინასწარმეტყველებს, გაეტაცებინა დიდი მეფე, რომელმაც თავის საუკუნეში ყველა სხვა მოღვაწე დაჩრდილა, მაგრამ რომელსაც უშვილოდ უხდებოდა საკუთარი მეფობის დასრულება და ამის გამო მზად იყო მთელი ქვეყანა - ქართველთა ძედ მიეღო.

- ჩემო ეპიფანევ, ჯერ კიდევ დიდმა წინასწარმეტყველმა ესაიამ, რომელსაც ძველი აღთქმის მახარებელსაც უწოდებენ, ქრისტეს დაბადებამდე 759 წელს იწინასწარმეტყველა მესიის დაბადება „აჰა, ქალწულმა მუცლად იღოს და შვეს ძე და უწოდიან სახელი მის ემანუელ“, ისიც ბრძანა ესაია წინასწარმეტყველმა, რომ ამ ყრმაშია განივთებული უფალი. „აჰა, ღმერთი ჩვენი. თვით მოვიდეს და მაცხოვნეს ჩვენ“ - სრული ზედმიწევნით და საუკეთესო მახსოვრობით თქვა დავით კუროპალატმა ესაიას სიტყვები. შემდეგ ორივე დაკუნთული მკლავი მაგიდაზე ჩამოსდო, თავი ოდნავ დაბლა დასწია, ბერს ქვევიდან ზევით შეჰხედა და როდესაც ეპიფანემაც მას დასტურის ნიშნად თავი დაუქნია, უმალ გააგრძელა:

- როგორც ცნობილია ესაია წინასწარმეტყველი, მკაცრად განსჯიდა თავის ხალხს და ამბობდა: „მთელი თავი დასნეულებული გაქვთ, გული შეღონებული. ტერფიდან თხემამდე საღი ადგილი აღარ შეგრჩათ: ყველგან ჭრილობა და წყლული, დაჩირქებული იარები, გამოურწყველი და შეუხვეველი, მალამოთი დაუამებელი. მოოხრებულია თქვენი ქვეყანა, გადამწვარია თქვენი ქალაქები, თქვენს მინდვრებს გადამთიელნი ჭამენ თქვენს თვალწინ და მოოხრებულია, თითქოს ურდოებს დაერბიოთ“ - მეფე ბერს საღმრთო სჯულის მასწავლებელივით შეჰყურებდა.

- ალბათ ისე იყო დაცემული ხალხი იმ ხანაში, რომ ესაია წინასწარმეტყველი მათ თავისი იგავებითაც ამხელდა და ამბობდა, რა ქნას კაცმა, რომელმაც დიდი რუდუნებით გააშენა ვაზი, მაგრამ ვაზმა პასუხად ველური ნაყოფი მოისხა? ესაიას სიტყვებით ვენახის უფალი გაბრაზდება და ამგვარად მოიქცევა - „რას დავმართებ ჩემს ვენახს: ღობეს მოვურღვევ, რომ გაპარტახდეს; ზღუდეს მოვუნგრევ, რომ გაითელოს. გავაველურებ, არ გაისხლება და არ დაიბარება, და ამოვა იქ ნარი და ეკალი, ღრუბლებს ვუბრძანებ, წვიმა არ აწვიმოს მათზე”. ესაა უფლის განაჩენი - გულმხურვალედ მიუგო ეპიფანემ, რომელსაც ესაიას სიტყვებმა ჟრუანტელი მოჰგვარეს.

გაუხარდა დავით მეფეს, ბერის მიერ მისი აზრის წინასწარმეტყველ ესაიადან - ერემიამდე გადაპატიჟება. ერემიას სიტყვებიც უეცრად მოიგონა და სთქვა:

- ვენახი წმინდა წერილის თანახმად, რჩეულ ერს განასახიერებს, ჩემო ღირსო ეპიფანე ბერო. იერემია წინასწარმეტყველიც ამბობს: „მე დაგრგე რჩეულ ვენახად, ჭეშმარიტ თესლად დაგთესე. როგორ გადაჯიშდი და უცხო ვაზად როგორ შემეცვალე?” - მეფის ანთებული სახე ეპიფანეს გამარჯვების მაცნედ ეჩვენა და თქვა.

- მეფეო, უფალი იესო ქრისტე ამბობს „მე ვარ ვენაჯი ჭეშმარიტი, და მამაჲ ჩემი მოქმედი არს“. ამგვარად იგი გვიმჟღავნებს საიდუმლოს ვაზისას. რჩეული ვაზის თემა უმნიშვნელოვანესია წმინდა წერილის გასაგებად - „დაბარა, ქვები მოაცილა, ჩაყარა რჩეული ვაზი, ჩადგა კოშკი მის შუაგულში, საწნახელიც ამოკვეთა იქ და დაელოდა, ვიდრე სავსე მტევნებს გამოიღებდა, მაგრამ ხენეში ნაყოფი მოისხა”.

- სწორედ აქ არის მთავარი საიდუმლო ეპიფანევ, აქაა გული და სული ცხოვრების შეცნობისა - ამ რჩეული ვენახს, ებრაულ ბიბლიაში, იბერიულ-ლაზურ-მეგრულ-კოლხური სიტყვა „სორექ“, უწოდა უფალმა და მისმა წინასწარმეტყველმა. რა არის ეს „სორექ“? კლარჯი ხარ და იცი - ნიშნავს „სად ხარ?“, ესეიგი, მუდამ ეძებს თავის ხალხს ანუ თავის ვაზს უფალი - მთვარის შუქი ამ სტყვებთან ერთად შუბლზე დაადგა დავით კუროპალატს და ეპიფანემ იგრძნო ამ კაცის საოცარი გონების, ნებისა და სულის სიმთელე.

•••

ხახმატი

„დედოსავაზოთი“, რომ ვერ დათვრა დიდი ივანე ტბელი, მსახურები იხმო და ალანთა მიერ ნაბოძვარი ლუდით სავსე ქვევრის გახსნა ბრძანა. სწრაფად გაიქცნენ მსახურები მარანში, რადგანაც თვითოეულს ჰქონდა გამოცდილი დიდი ტბელის ქვასავით მჯიღი, ნახტომში დატაკებული წიხლი და მწველი მათრახი. ზოგ მათგანს ტბელის ხანჯლით მიღებული იარებიც აუტკივდებოდა ხოლმე, როდესაც „ქართლის უფალი“ იტყოდა „დაგხოცავთო“.

ქვევრში მძინარე, მაგრამ უეცრად ვერცხლის სასმისებში გამოღვიძებული და უდიერი მოპყრობით აფორიაქებული ალანური მძიმე ლუდი, სუფრაზე შემოიტანეს ტბელთა.

მთიელებს ლუდი წმინდა სასმელად მიჩნდათ და მისი სუფრაზე უეცრად გამოჩენა გაუკვირდათ.

- ამირანობაა, კოპალობა, იახსარობა თუ ლაშარობა ტბელთა ბატონო? - იკურთხა ღვინისაგან შებრუებულმა ხახმატ ხევისბერმა და ჩასისხლიანებული თვალებით დიდი ივანე ტბელი შეათვალიერა.

- მარუშისძის სიკვდილია და ქართლის უკან დაბრუნებაა...რა საზეიმოა მეტი... - სიკვდილ ჩამდგარი თვალებით გამოხედა გათამამებულ ხახმატს ივანე ტბელმა და

ჩხუბისთავი ხახმატი, მიუხედავად მისი დაუმორჩილებელი ზნისა უმალ დათრგუნა.

- „შუბზე არ წამოგაგო“ - ჩაიჩურჩულა ხახმატმა და ტბელის უჩვეულოდ ცივ თვალებს, მზერა მოარიდა, თავი ჩაღუნა და ამ დროს მას ჩაციებული ლუდი მიაწოდა აზნაურმა სიბხალმა, რომელიც ტბელს სახლიკაცად ემსახურებოდა.

ხახმატი წამოდგა, გველის ტვიფრით გამორჩეული ვერცხლის სასმისი გამოართვა სიბხალს, ჩახედა მასში აფორიაქებულ ლუდს და უეცრად საოცრად მოწყურდა, მიიდგა მხურვალე ტუჩებთან ვერცხლის ტუჩიანი სასმისი და ლუდის საამური გემოსაგან მიღებული სიამოვნების მოლოდინით ტუჩები გაილოკა.

- გაგიმარჯვდეს ქართლის უფალო დიდო ივანევ, ხვალ ვიქნებით მცხეთას. დიდება ტბელთა - შეჰყვირა ტბელთა დარბაზის ერისათვის ჩვეული სიტყვები ხახმატმა და როდესაც ვერცხლის სასმისი ტუჩზე მიიდგა, მის უკან დაფდაფებისა და გამაყრუებელი ჭიანურის ხმა გაისმა. ვერცხლის გემო დაჰკრავდა ლუდს. ხახმატმა გაიფიქრა ნეტავ თავიდანვე ლუდი მესვაო და მეორე ვერცხლის სირჩაც მოითხოვა.

დიდმა ივანე ტბელმა ხახმატთან ერთად ლუდით სავსე მეორე ვერცხლის სირჩაც შესვა და დარბაზს საკმაოდ მთვრალმა გადახედა. სმისაგან თავები გადიდებოდათ, ერედვის, ლიახვის, ხინჩისა და ქურთის აზნაურებს.

გულით კეთილი, მაგრამ საქმით ბოროტი იყო დიდი ივანე ტბელი, ამიტომაც მან უეცრად ფეჰლევანდ ფეჰლევანდიშვილი მოიკითხა:

- სიმშიდეა „ფოცხვერთ-კოშკში“ თუ არა, ვინ პირველობს, გამჭრიახე ადამის-ძე თუ კბილ-ბასრი ცხოველი? - იკითხა მან და მისი აზნაურები ეხლა ფოცხვერთ-კოშკისაკენ გაქანდნენ.

დიდ ივანე ტბელს პასუხი დაუგვიანეს, რაც მას არამარტო გაუკვირდა, არამედ ეწყინა კიდეც. წამები გადიოდა და უეცრად დიდ ტბელს ფეჰლევანდ ფეჰლევანდიშვილის ქოჩორა თავისა და გადაბმული წარბების გახსენებისას, გულში რაღაც ჩაეწვა. „მოჰკლეს ალბათ ჭაბუკი“- უეცარი სინანულით გაიფიქრა მან და დარბაზს რომ გახედა, ორი თუ სამი კურცხალი ცრემლი შეუმჩნიეს ივანე ტბელს სახლიკაცებმა.

„უმსგავსო წუთი სოფელი, ლიახვის ხევის ბატონი“ - გაიფიქრა ტბელმა და ხახმატ ხევისბერს შეხედა.

უეცრად მოირბინა ლიახვის ხევის სარდალმა და გვარში მეორე კაცმა - ქავთარ ტბელმა, რომელმაც ყურში ამგვარი ამბავი უჩურჩულა დიდ ივანეს:

„თუ არ ვიხსნით, უეჭველ სიკვდილითანაა შეყრილი, თხუთმეტი ფოცხვარი დაუხოცავს, მაგრამ თავადაც დაჭრილა, მახვილი გასტეხვია, დაქანცულია და

დაძინებას ლამობს, მის გარშემო ოცი ფოცხვარი დაბორიალობს, როგორც კი ჩასთვლემს მაშინათვე ჩამოვარდება კედლიდან და ერთ წამში მოუღებენ მას ბოლოს ფოცხვერნი...“

წამოიმართა დიდი ივანე ტბელი, კიდევ ერთი სირჩა ლუდი მოითხოვა და ფეჰლევანდ ფეჰლევანდიშვილის სადღეგრძელო შესვა - უეჭველი გმირიაო მასზე თქვა და ფეჰლევანდის წარსულ სამხდრო საქმეებიც მოიგონა. ისიც გაახსენდა თუ როგორ შეება ფეჰლევანდი ივანე მარუშისძეს სარდალს. დაამარცხა იგი და ტბელთა სამთავროს ნაალაფარი დროშა შეჰმატა. „ეხლა დიდ გაჭირვებაშია ფეჰლევანდი-ო“- დაამატა ივანემ და დარბაზს გადახედა.

- მკვდარია? - იკითხა უეცრად ხახმატმა.

- ცოცხალია ფეჰლევანდი თუ მკვდარი ეხლავ გაიგებ ხახმატ, რადგანაც მისი გადარჩენა და ფოცხვერთ-კოშკიდან გამოყვანა შენთვის მომინდვია - ბრძანა ივანე ტბელმა კიდევ ერთი სირჩა ალანური ლუდი გაუგზავნა გაოცებულ ხახმატს

ხახმატმა ლუდით სავსე ვერცხლის სასმისი უსიტყვოდ შესვა, დარბაზს დასაკლავი ბოჩოლასავით გადახედა და „ფოცხვერის კოშკის კარები გამიღეთო“ მშვიდად უთხრა ქავთარ ტბელს.

ტაოდან - საქართველომდე

ტკბილად მოუბარ მეფესა და ბერს სიმშვიდე - შვილობილმა ბაგრატ ბაგრატიონმა დაურღვია. უფლისწული მემაშხალეების თანხლებით შემოიჭრა დარბაზში, მამობილს - მეფე დავით კოროპალატს ხელზე ემთხვია და ბერისკენ შემოტრიალდა.

ბერმა აკანკალებული ხელი შავ ქოჩორზე გადაუსვა მის მკერდთან დახრილ უფლისწულს და უეცრად კუროპალატის გაბრაზებულ სახეს მოჰკრა თვალი.

„შვილობილზე ნაწყენია მეფეთ-მეფე“ - გაიფიქრა ეპიფანე ბერმა და ბაგრატის არაბულ აბჯარს გაკვირვებით შეხედა.

- თბილისის სანახებში დაზვერვას ვაწარმოებდი, იოანე „ხაზარის“ ათასეული მახლდა, ამიტომაც მაცვია არაბული სამოსი და ჯაჭვი - იცრუა უფლისწულმა და გაწითლდა.

- ჩვენი საგვარეულოს სიძეა იოანე კალმახელ „ხაზარი“, მისი მეუღლე ნესტან ფანასკერტელი ბიძასშვილის-შვილია ჩემი - თქვა გახარებულმა ბერმა და თვალწინ წარმოუდგა ჩანაფიქრის აღსრულების მთავარი მიმართულება.

- მეფეთ-მეფეს დავით კურაპალატს არაფერი უთქვამს, იგი ჩაფიქრებული იჯდა და საკუთარ მაჯებს დაჰყურებდა - მისი მდუმარება, სიტყვის ტოლფასად მიიჩნია ეპიფანემ და მეფეთ-მეფეს გულში დაეთანხმა.

ბაგრატმა (მომავალი ბაგრატ III), ბოდიში მოუხადა მამობილსა და ეპიფანეს, იგი ხმაურით გავიდა. როდესაც კარი დაიგმანა მეფთ-მეფემ ამოიოხრა და ეპიფანეს უთხრა:

- სულსწრაფია, ჩქაროობს, მარტო მახვილის იმედითაა, მამამისი გურგენი უფრო მეტად მიჯერებს ვიდრე თავად ჩემი შვილობილი და მემკვიდრე ბაგრატი.

თითქოს ასპარეზი გაეხსნაო, ამ სიტყვების მოსმენისას ეპიფანე ბერს ისდა დარჩენოდა, მისი სტუმრობის მთავარ მიზეზე და შესაძლო შედეგზე გადასულიყო. ამიტომაც ბერმა აკანკალებული ხელით ამოიღო უბეში საგულდაგულოდ დამალული გრაგნილი, გახსნა იგი და მისი ჩალიჩისაგან გაკვირვებულ დავით კურაპალატს მიართვა.

- ივანე მარუშისძის გერბი? რას წარმოადგენს ეს წერილი ეპიფანევ - გველნაკბენივით შეკრთა მეფეთ-მეფე და ის-ის იყო წერილი უნდა შორს მოესროლა, რომ ეპიფანე დავითს მუხლებში ღაღადით ჩაუვარდა:

- იხსენ საქართველო მეფეო, დიდო მბრძანებელო და ბრძენო დიდო. დაეპატრონე ქართლის გულს, შეჰყარე ჯარები და აიღე მცხეთა, დაეპატრონე სამოთხეს, სიდონიას საფლავს და მთას ქართლისას, რომელიც მუდამ იყო და იქნება გული იბერიელთა, კოლხთა, აბხაზთა, კლარჯთა და ლაზთა, მესხთა ყოველთა, სვანთა და კახთა, ჰერთა და სომეხთა, ალბანელთა და გუგარექის ქვეყანათა, ეგრთა და აჭარელთა, ტაოელთა და შავშ-სპერთა, კავკასის იქით იჩქერთა, ჯიქთა, ხუნანთა და კავკასის აქეთ ძურძუკთა. ნიშანია უფლისა ჩვენისა - რათა ილაშქრო დაუყოვნებლივ ქართლს და გამეფდე იქ, აწ და მარადის და უკუნეთი უკუნისამდე! ამინ! - მუხლებს უკოცნიდა ეპიფანე დავით მეფეს, რომელიც მას გაფართოვებული, ჭკვიანი თვალებით დაჰყურებდა და ბერის წამოყენებას ლამობდა.

- რა ნიშანია ასეთი? - იკითხა ბოლოს დავით კურაპალატმა.

- სამი დღის წინ, მოულოდნელად მიიცვალა მეფე აბხაზთა დემეტრე III და მის ტახტზე დაჯდა ჩემსავით თვალებდამწვარი თეოდოსი, რომელსაც ჯარი უდგას ქართლში, კერძოდ ღვთის ქალაქ მცხეთაში. ეხლა არ იკითხავ ვინ არის ამ ჯარის მხედართუფროსი? თეოდოსის თვალებდამწველი, ივანე მარუშის - ძე, რომელსაც თუ არ უშველეთ სიკვდილით დასჯის საკუთარი მეფე - თქვა ბერმა

- დავით მეფეთ-მეფე დუმდა და ბერს ათვალიერებდა.

- ივანე მარუშის-ძე განწირულია, არამარტო იმიტომ რომ მას საკუთარი ხელმწიფე, მეფე აბხაზთა დაუწყებს დევნას, არამედ იმიტომაც რომ, ქართლის ყველაზე დიდი საგვარეულო, მცხეთაზე გავლენის დაბრუნებას იწყებს. ივანე „დიდი ტბელი“, მომავალ კვირას წანართა ჯარით ცდილობს, ივანე მარუშისძის ხმალზე აგებას და მცხეთის დაპყრობას. ტბელები თავს რატომღაც „ქართლის უფალს“ უწოდებენ. ამიტომაც მათი სისხლიანი განზრახვანი, უნდა შევიცნოთ და გამოვიყენოთ იმისათვის, რომ სიდონიას წმინდა საფლავი - მცხეთა მშვიდობამ მოიცვას და იქ ტბელთა მხეცურმა ზრახვებმა არ გაიჭაჭანოს. ქალაქი უფლისა - მთა ქართლისა - საფლავი - სიდონიასი - ყოველი ეს შენ გელოდება მეფეთ-მეფევ - აღტკინებული ამბობდა ბერი და მეფეთ-მეფეს თვალებში უცქერდა.

- ტბელებს არ ვიცნობ, მაგრამ გამიგია სიმხეცე მათი - ჩაილაპარაკა დავით კურაპალატმა და დადუმდა.

- მცხეთას მდგარი მთავარი ქართლისა - სუსტი და განწირული ივანე მარუშისძე, დღეს გასაღებია კავკასიისათვის. წადი და აიღე მცხეთა მეფეთ-მეფეო - ლამის ტიროდა ეპიფანე ბერი.

- ბიზანტიის კეისარი გავანაწყენო? - უეცრად მკაცრად იკითხა დავით III.

- მეფეთ-მეფეო, ყველაფერი გათვლილი მაქვს. ნიშანია უფლიდან, რომ გაამეფო შვილობილი ბაგრატი და მამა მისი თან გაატანო, ხოლო თავად საკუთარი ჯარით მეურვედ დაუდგე მათ.

ადრეც უფიქრია დავით მეფეს, შვილობილისა და მისი მამის საქმეში გამოცდა. ბაგრატისა და გურგენის ასპარეზზე გაყვანისათვის ეპიფანეს იდეა მეტად მომხიბლავად ეჩვენა ბრძენ ხელმწიფეს. უეცრად კვლავ მიწვდა ივანე მარუშის-ძის წერილს დავით კურაპალატი, გასტეხა გრაგნილის ბეჭედი და წერილის კითხვა დაიწყო.

ეპიფანე ბერი კი ჯვარცმას მიეჭრა, მის წინაშე ჩაიმუხლა და მამლის დაყივლებამდე ლოცვას მიანდო მცხეთის, ქართლის და სიდონიას საფლავის ბედი.

***

ეპიფანე ბერი მარტო არ იყო იმ იდეის განმახორციელებელი, რასაც მისი სულიერი ძმანი ერთიანი იბერიის აღდგენით მოიხსენიებდნენ. არსებობდა იდეის მცირე განშტოებაც, მას საიდუმლოდ „არიან ქართლს“ უწოდენდნენ ბერნი. უძველესი „ჰარურუ -ჰარალე-ჰარი-ჰარ-რალ-ე“, ქართველთა იდუმალ ღვთაების სახელს რომ შეიცავდა, ერთიანი ქვეყნის - საგალობლად მიაჩნდათ ეპიფანეს და მის საძმოს. **„ვიგონებთ რა ჰარი ქვეყანას, ვიხსენიებთ იბერიასა და კოლხეთს, ურარტუს, მითანს, ტიგრისა და ევფრატის დაბლობს, კაპპადოკიას, აქადისა და შუმერის ქვეყანას, რომელსაც ქი-ენგს, უწოდებდნენ ძველნი, ქი-ენგი იგივე ქიანა, ლერწმის ყანას რომ ნიშნავს, ტიგროსისა და ევფრატის ჩამონაშალზე აგებული ყანა იყო იმგვარად, როგორც მტკვრისა და არაგვის შესართავთან აღმოცენებული უხმოსავლიანი მტკაველი მიწისა, რასაც ასევე ლერწმის ყანას უწოდენდნენ შავთავიანნი ანუ შუმერნი.**

სწორედ შუმერებმა, ანუ უძველესი ჰარი ქვეყნის შვილებმა, იგივე ქართლის დამაარსებლებმა გამოიგონეს დამწერლობა, წამოიწყეს მორწყვა მიწისა და გამოგონებები დაამთავრეს იმით, რომ შექმნეს ბორ-ბალი, ანუ ბორიალა ბალი. წარღვნის შემდეგ პირველი მეფენი ჰარის ქვეყნიდან იყვნენ. მათ ველებს „გუუდენა“დაარქვეს და მას ორიათასი წელი იცავდნენ კიდეც, მაგრამ შემდეგ ყველაფერი დაეცა, გამოჩდნდნენ სემის ჩამომავლები, რომლებიც შემოესივნენ ჩვენს ხალხს, დაანგრიეს ჩვენი ქალაქები და შესაბამისად დაიქცა ჰარის ქვეყანა. მხოლოდ მესხები უძლებდნენ დამპყრობლებს. მუსხები იგივე მესხები, მცხეთის ქალაქის დამაარსებლები, ბრძოლით გამოერიდნენ შუამდინარეთს და დადგნენ იქ სადაც ეხლა ვდგავართ.“- უყვებოდა ბერებს ეპიფანე.

სანთელივით იწვოდნენ ეპიფანეს მოძმე ბერებიც. უძველეს წიგნებს ჩაჰკირკიტებდნენ და დროს ელოდნენ.

***

„ჰარურუ – დედამიწის დედა–ღვთაება, სიტყვა დედა-მიწა, არიან - ქართლის უძველესი ქვეყანა, არის ჭიპი სამყაროსი, მაგრამ მიმქრალი, თითქოს დაგლახებული, ენა უძველესი და შეგინებული, დამწერლობა თავად ღმერთისაგან ბოძებული და ესეც ჩვენს თვალთაგან დაუნახავი - რას ვიღონებთ ხვალ?“ -ხშირად ფიქრობდა თვალდამწვარი, სანახევროდ დაბრმავებული ეპიფანე ბერი, რომელსაც სინას მთიდან, თავიანთი ძიების შესახებ, სწერდნენ ხანძთელი ბერები.

***

ეპიფანემ ერთი ღირსი მამის წერილი მიიღო და როდესაც „ან-ჯამ-ური“ შიფრი მიუყენა მას, მხოლოდ ერთი სიტყვა ამოიკითხა - „წელი - ქართლისა“.

„ესეიგი ქართლის წელი მოდის, უკვალოდ ეს წელი არ ჩაივლის, უნდა მოვემზადოთ“ - უთხრა ღირსმა ეპიფანემ ბერებს და მათაც ხილულ და უხილავ მოვლენებზე მიზეზ-შედეგობრივი დაკვირვება იწყეს.

...

კვლავ ფოცხვერთ-კოშკი

ხევსურული დაშნითა და პატარა ფარით შეიარაღებული ხევსური ხახმატი, ყვირილით შეიჭრა ფოცხვერთ-კოშკში. ყოველმა მხეცმა მას მიაშურა ბრდღვივნითა და გაავებით. სწორედ ამ დროს გადმოხტა ფეჰლევანდ ფეჰლევანდიშვილი კედლიდან, მოქლონ დალეწილი ოთახისაკენ გაიქცა და მასში შევარდა.

შუბი ლუსკუმაში იდო. მის წვერში მართლაც მოსჩანდა მცირე ნიშა, რომელშიც ოქროსფერი ნატეხი იდო სამშვილდე ისრისა.

„უეჭველი ესაა ნაშთი სოლომონის ისრის“ - გაუელვა თავში ფეჰლევანდს და უეცრად იგრძნო, რომ უკნიდან ფოცხვერი მოახტა.

„კარი ღია არ უნდა დამეტოვებინა“ - ელვის სისწრაფით ტრიალებდა ფეჰლევანდი, რათა ფოცხვერი ზურგიდან ჩამოეგდო და გაეგმირა, მაგრამ მხეცი მის ჯაჭვის პერანგში გახლართულიყო, კლანჭებს უკვე ხორცში უყრიდა და კისერში კბენას უპირებდა.

ფოცხვრის კლანჭების სიმწარემ გაამხეცა ფეჰლევანდი, მან საბოლოოდ, კედელზე მიასრისა ფოცხვერი ზურგით. შემდეგ შემოტრიალდა და კარებთან მომდგარი ათიოდე ჩალისფერი, ქილვაშებ ათრთოლებული, გამხეცებული ხახა იხილა.

ხახმატი შემოსასვლელთან განწურული ხმით იგინებოდა. ფოცხვერების ლაშქარი კოშკში აქეთ იქით დაშლიგინობდა. ფეჰლევანდის გადატეხილი მახვილი უკვე აღარ ჭრიდა, სარიტუალო შუბი ჩამოხსნა კედლიდან მოყმემ და მხეცებს დაუშინა. სოლომონისეული ოქროს ისარი ერთ-ერთ ჩალისფერ მხეცს შეესო.

უამრავი ფოცხვერი უეცრად ზურგიდან მოეპარა ფეჰლევანდს. მაღალ კედელში დატანიებული სარკმელიდანაც გამოძვრა ერთი, ქარვისფერ ბეწვიანი მხეცი და ზევიდან დაახტა მას.

„...უჰჰჰჰჰ.....ამიტომაც არ უნდა ემსახურო იმას ვინც არ წერია კაცთა შორის....“- სინანულით ფიქრობდა ფეჰლევანდი და გრძნობდა როგორ კბენდნენ, თავზე, კისერზე, მკერდზე, მუხლის თავებზე, მაჯებზე, წვივებზე, გარშემოხვეული ჩალისფერ-ქარვისფერი ხახები, დამშეული ფოცხვერთ ჯოგისა.

ხახმატის ყვირილი უეცრად გაწყდა. ფეჰლევანდმა, მუშტზე შემოსალტული კბილების მქონე კიდევ ერთი მხეცი კედელს შემოარტყა და თვალთ დაუბნელდა.

„....აჰა სიკვდილი...მოვიდა“ - გაიფიქრა მან, აცახცახებული ხელით პირჯვარის გადაწერა სცადა და მოწყვეტით დავარდა.

•••

დავით ტაოელის გამოლაშქრება

უეცრად და იდუმალად მოამზადა სალაშქროდ ტაო-კლარჯეთის სამხედრო ძალა დავით კურაპალატმა. ზანას მიდამოებში აღარ შეკრიბა მეფეთ-მეფემ თავისი ლაშქარი, არამედ პირდაპირ ხელში ჩასაგდებ მიზანზე მიუთითა მეფე-სარდალმა თავის სპასპეტებს. ეპიფანე ბერის გეგმის მიხედვით: ჯოჯიკს უნდა აეღო მცხეთა და ივანე მარუშისძეს კეთილგანწყობის შემთხვევაში, მასთან ერთად აბხაზეთს უნდა ელაშქრა. ბაგრატ უფლისწულს - ქართლში გამეფებისათვის ამზადებდა ეპიფანე ბერი. სწორედ ამ მიზნისათვის ბაგრატის დაცვა - კალმახის ციხის მეპატრონეს, ჩორჩანელთა და ბაჰლაუნდთა მემკვიდრეს იოანე „ხაზარს“ მიანდეს. კალმახის ცხენოსან ჯარს, ტბელთა შემოტევისაგან უნდა დაეცვა მცხეთა და შემდგომ ლიახვის ხეობა დაეკავებინა.

ამ ორივე ლაშქარს, მძიმე ცხენოსანი ჯარით მიჰყვებოდა დავით კურაპალატი, რომლის სამხედრო გეგმაში, იოანე კალმახელს მარჯვენა ფრთა ებარა, ხოლო ჯოჯიკსა და ივანე მარუშისძეს მარცხენა. ცენტრში მდგარი ბატონიშვილი - მამამის გურგენს და ყველის ციხის ქვეითებს მიანდვეს, რომელთაც ნიჭიერი ახალგაზრდა სარდალი - გაბრიელ ოჩოპინტრეს-ძე მეთაურობდა.

•••

უბრძოლველად აიღო ქართლი დავით კურაპალატის მხედრობამ. ჭაღარა თმიანი იოანე კალმახელ ხაზარის ცხენოსნებმა უფლის-ციხესთან დაიბანაკეს. ბაგრატ უფლისწულის შესახვედრად უეცრად მოჯარდა ქართლის მოსახლეობა. კლდეზე გადმოდგა ბაგრატი და ხალხს დაენახა. გუგუნი აღმოხდათ ქართელთ. რამდენიმე წუთს უღიმოდა ბაგრატი სათაყვანებელ ერს და შემდეგ მის გვერდით მეფეთ-მეფე დავით კურაპალატი რომ დადგა და ხალხს ხელის აწევით მიესალმა მაშინ გაორმაგდა ყვირილი და ძალა მოიცა ერმა.

უეცრად დავითმა ერი ხელის ერთი მოძრაობით გააჩუმა და მტკიცე ხმით დაიძახა - „ესე, ბაგრატ არს მკჳდრი ტაოსა, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი მისი და თანაშემწე, ამას დაემორჩილენით ყოველნი“

ბაგრატი რომ ტაოელი იყო, ყველამ კარგად იცოდა, ქართლი რომ ივანე მარუშისძემ მას ნებაყოფლობით გადასცა ესეც ირწმუნა ერმა მაგრამ აბხაზეთი რა შუაში იყო, ვერავინ გაიგო.

•••

როდესაც აბხაზთა მეფეს თეოდოსს ამბავი მიუტანეს - „გიღალატაო ივანე მარუშისძემ“, მუშტზე იმდენად მწარედ იკბინა თვალებდათხრილმა, რომ სისხლის შეჩერებისათვის, ბიზანტიელი დასტაქარი იხმეს პიტიუნტიდან.

- ჩვენს მტერს, მცხეთაში უთქვამს რომ ქართლში შვილობილს - ბაგრატ ბაგრატიონს გაამეფებს, რადგანაც იგია მემკვიდრე ტაოსი, ქართლისა და ... აბხაზეთისა!

შუბლზე ხელი შემოიჭირა უბედურმა თეოდოს მეფემ. უეცრად დაიღმუვლა, კედელს მიეჭრა და თავი მიარტყა იმ ფრესკას, სადაც ქტიტორად მამამისი, აბხაზთა მეფე - გიორგი იყო გამოსახული.

•••

- ნუთუ მართლაც მამის ფრესკას მიარტყა თავი აბხაზთა უბედურმა მეფემ? - იკითხა ანაკოფიის ციხის მეციხოვნემ ანქვაბმა და თავის ყოვლისმცოდნე ამხანაგს მიაჩერდა.

- სწორედ ასე მოხდაო, ბრძანებს მეფის მეანდერძე, რომელიც სასწრაფოდ იქნა გამოძახებული სასახლეში, ამ ამბის მერე - თქვა დემეტრიუსმა

- რატომ? - გულგრილად იკითხა იგივე ხმამ.

- ვაჟების უკითხავად, მიათხოვა ბაგრატიონებს თავის ასული აბხაზთა მეფე გიორგიმ. ამ ქორწინებიდან იშვა ბაგრატ ბაგრატიონი, რომელიც ჩვენი თეოდოსის დისწულია. ეგ იმას ნიშნავს რომ ხვალ შემოგვიტევს ბაგრატ ბაგრატიონი, ივანე მარუშისძესთან ერთად, ამოწყვეტს აბხაზ მეფეთა ოჯახებს, წიწილას არ გაუშვებს ხელიდან ცოცხალს გულმხეცი და ბრძენი ბაგრატიონი. როდესაც მორჩებიან ჟლეტვას, მაშინ აბხაზთა სამეფოს მემკვიდრე იქნება ბაგრატ ბაგრატიონი, რადგანაც იგი დედის მხრივ ერთადერთი სისხლისმიერი ნათესავი იქნება თეოდოსისა - ჩაილაპარაკა დემეტრიუსმა.

- ანუ გადაწყვეტილია ბედი უბედური თეოდოსისა? - გაიცინა ანქვაბმა და კოშკიდან გადააპურჭყა.

- თეოდოსის სვე-ბედი გადაწყვეტილია, ეხლა საკუთარ ბედზე ვიფიქროთ მიუგო დემეტრიუსმა დინჯად.

•••

ამ ამბიდან სამი წლის შემდეგ ივანე მარუშისძის მოთავეობით, აბხაზეთს ილაშქრა ქართველთა სამეფოს ლაშქარმა. ქუთაისის მეფეთა სასახლეში შეიპყრეს აბხაზთა სამეფოს ბოლო მეფე - ყველასაგან მიტოვებული, თეოდოს თვალდამწვარი. წაიყვანეს ტაოსკენ, მაგრამ გზაში ციებამ შეიპყრო იგი და დავით კურაპალატთან შეხვედრამდე მიიცვალა.

დავით კურაპალატმა ბაგრატს მოსწერა წერილი, რომელიც მას აბხაზეთის მეფის ტიტულის მიღების უფლებას სძენდა. ამრიგად ბაგრატიონმა პირველად მიიღო აბხაზეთის სკიპტრა და გვირგვინი. „ქართლისათვის ბრძოლამ აბხაზეთს გამამეფა“ - ფიქრობდა ბაგრატი და თავის მომავალ შეტევას ამზადებდა.

ამ დროს მოიტანეს ამბავი ქართლელ მთავართა ამბოხის შესახებ. ტბელები გაერთიანდნენ ძამელებთან, მათ კი მოიპატიჟეს ფხვნელები, ფავნელები და კორინთლები. სალაშქროდ შეიჭურვნენ და მცხეთისაკენ გამოემართნენ.

ტაოს ლაშქარმა იოანე კალმახელის სარდლობით ეხლა უკვე ლიახვისაკენ გაილაშქრა. სასტიკად დამარცხდნენ და სისხლისაგან დაიცალნენ ტბელ-ძამელ-ფხვნელ-ფავნელ-კორინთელები. ივანე დიდი ტბელი კლდიდან გადააგდეს მისივე აზნავურებმა, სხვა ტბელები კი სომხეთს გადაიხვეწნენ და გასომხდნენ.

მომდევნო წლებში ბაგრატ უფლისწულს, რომელსაც ეხლა ბაგრატ III დაერქვა კლდეკარელი ბაღვაშები არ მოუვიდა თვალში და იგი 989 წელს, უზარმაზარი ლაშქრით თრიალეთის ქედებს მიადგა. რატი რატის ძე ბაღვაში მოურიგდა მეფეს, მისცა მას წინაპრების მიერ ნაგები - პირველი საბაჟო კორპორაცია - კლდეკარი და თავად არგვეთს, ბაღუაშების ძველ მამულში დაბრუნდა.

ბაგრატი მიხვდა რომ ვერავის სძალუძდა წინ აღდგომოდა ქართლითა და აბხაზეთით, მესხეთით განმტკიცებულ ქართველთა სამეფოს და იგი ეხლა უკვე კახეთისა და ჰერეთის წინააღმდეგ დაიძრა.

•••

„ვინც ქართლს წააგებს, იგი კავკასიას დასთმობს, ვინც ქართლს მოიგებს გააერთიანებს საქართველოს და იმეფებს კავკასიაზე“ - მისწერა საქართველოს გამაერთიანებელ მეფეს ეპიფანე ბერმა, დალოცა ბაგრატ III და თავად ფანასკერტის ციხეში, წინაპართა საფლავების გვერდით, სამუდამოდ მიიძინა.

ნაწილი მერვე

წიგნი სელჯუკთა გამოჩენისა (1048-1049)

„კინიკის გვარის ოღუზებს ჰყავდათ ბელადი სახელად სელჯუკი. სელჯუკებმა თავიანთი სახელი სწორედ მისგან მიიღეს. ეს ხალხი სირ-დარიის ნაპირზე ცხოვრობდა. ისინი თავიანთ წინამძღოლს იაბღუთი უხმობენ, ბაიგუ იაბგუს შემდეგ ყველაზე დიდი წინამძღოლია. სელჯუკებმა მაჰმადის სჯული მას შემდეგ მიიღეს რაც ჯენდში დასახლდნენ. ბრძოლებისა და სისხლისღვრის შემდეგ

სელჯუკს ოთხი შვილი დარჩა: ისრაილი უფროსი ვაჟი, მიქაილი, იუნუსი და მუსა-იაბგუ. სელჯუკი არავის ემორჩილებოდა, მაგრამ მისი შვილები ყარა ხანის ძეებს დაემორჩილნენ. ისრაილმა მიიღო ტიტული იაბღუ. მაგრამ ჯენდი დათმო და ბუხარაში დაიდო ბინა. როდესაც მათ მაჰმუდ ღაზნევის ჯარმა შემოუტია, იაბღუ ისრაელ სელჯუკიდი ყარახანიდ ალტეგინთან კავშირის გამო დაზარალდა და ნური - ბუხარაში დაბინავდა.

მაჰმუდ ღაზნევმა სელჯუკიდი იაბღუ ისრაელი შეიპყრო, მას სახელი დაუწუნა და არსლანად მონათლა, შემდგომ ამისა, ისრაელ -არსლანი ინდოეთს გააგზავნა და ყალინჯარის ციხე-სიმაგრეში ჩასვა, სადაც იაბღუ გარდაიცვალა, მაგრამ სიკვდილის წინ ტიტული იაბღუ თავის ძმას გადასცა. მაგრამ მუსას იაბღუობა არავის სჯეროდა, ამიტომაც მიქაილის შვილები ტუღრილ -ბეგი და ჩაღრი ბეგი წინამძღოლებად ექცნენ სელჯუკიდებს და მათ თავიანთ ხალხი ხორასანისაკენ და შემდგომ აზერბაიჯანისაკენ გადმოასახლეს.

სელჯუკების თვისება იყო, როცა იმარჯვებდნენ, მაშინაც გაამაყების ნაცვლად, ძველებურად, თხოვნის კილოთი მიმართავდნენ დამარცხებულ მტერს. სიამაყე უპირატესობად არ მიაჩნდათ სელჯუკებს. როდესაც მაჰმუდ ღაზნევიდის სიძლიერის წინაშე ქედს იდრეკდნენ, სელჯუკები მომავალი ომისათვის ემზადებოდნენ, საბოლოოდ მათ ღაზნევიდების სახელმწიფოს ირანში საბოლოოდ შეუტიეს და დაანგრიეს კიდეც.

მასუდმა, ირანის გამგებელმა, რომელიც აბასიდების შავი დროშით მოდიოდა თავის მტრებზე, ნიშაპურში შეკრიბა ლაშქარი და ერთი ბებერი ბეგტუგდი დაუნიშნა მას მთავარსარდლად, 1035 წელს სალარ ბეგტუგდი მეთაურობით ირანის არმია ნესეს პირას დაეწყო და მოელვარე ყალინჯარების თვალისმომჭრელი სანახაობით მტერს გაავებული მიეჭრა. ამ დროს სელჯუკებმა უკან დაიხიეს და მდიდარი აღალი, ბანაკი და დამცავი ნაგებობები მიუგდეს სალარ ბეგტუგდის საჯიჯგნად. აბა თუ წამოეგებოდა ბებერი სალარი სელჯუკთა ხრიკს? მართლაც უკან დახეული სელჯუკები შორეულ ზეგანზე აჭენდნენ და იქ სასწრაფოდ იწყეს გადაჯგუფება. მზირებმა მოიტანეს ამბავი, რომ ბებერი სარდალი მთლიანად იყო წამოგებული სელჯუკთა სათხრილე ჰოროლს, რომელიც მას მალე გამოფატრავდა. სწორედ იმ დროს როცა მასუდის ირანელები სელჯუკთა ბანაკს ძარცვავდნენ, ამ დროს ისინი ქარისა და ქვიშის ნარევივით აეხვეტნენ ზეგანიდან და ყოველი მხრიდან შემოეყარნენ მასუდის ლაშქარს. ცხვირ პირში დასცხეს სელჯუკებმა ისრები მასუდის მეომრებს და როგორც უდაბნოს სილა თვალს უფსებს ყველაზე მამაც მექარავნეს, მასუდის თვალებდაფსებულებმა გაგლიჯეს ზეცა კივილით, მათი ტყვიისფერი სხეულები მიწაში ჩაეფლნენ და მიწა გაპოხიერდა მათი სხეულთა ცხიმებით.

სულთანი მასუდი დამარცხებული დაბორიალობდა ნესეს სანაპიროზე, იგი სიკვდილს ელოდა და ამ დროს მასთან სელჯუკთა ელჩი გამოცხადდა, რომელმაც

მასუდს იგივე თხოვნით მიმართა, რასაც ადრე სელჯუკნი დაჩოქილნი თხოვდნენ ოდესღაც ძლევამოსილ სულთანს.

გაოცდა მასუდი. იგი დაფიქრდა, ჩამოჯდა თავის სალაშქრო ტახტზე და ელჩს გახედა, „კვლავ მხოლოდ დიხისტანს ითხოვენ, ან დიდი გაიძვერები არიან ან მართლაც ჩვენს დასასჯელად მოვლენილი არწივები“ - თქვა დიდმა მასუდმა.

ნესეს ბრძოლიდან რამდენიმე დღეში სელჯუკების ძალა მთელმა ირანმა აღიარა, ტუღრილ ბეგმა მიიღო ტიტული „დიხკანი“, რომელიც მან ჩაღრი ბეგს და მუსა ბაიღუს გაუყო და ყველა დამშვიდდა. შურმა არ გახეთქა სელჯუკთა საბრძოლო ქვაბი.

სულთანი მასუდი 1035 წლის შემდეგაც იგივე პატივს იღებდა სელჯუკებისაგან, როგორსაც იგი მანამდე დამარცხებამდე ითხოვდა. სულთანი ამგვარი დიპლომატიური მოპყრობით დაბნეული და დამთვრალი სელჯუკებზე არაფერს ფიქრობდა და იგი მოდუნებას მოეცვა.

1038 წელს ნიშაპურში იბრაჰიმ იინალის მეთაურობით შეიჭრნენ სელჯუკნი. მეწინავეთა სარდალს თავად ტოღრილ ბეგი მოსდევდა მთავარი ძალებით.

ორ წელიწადში ამ ამბიდან, მასუდი ბოლოს და ბოლოს გამოერკვა სიზმრებიდან, სულთანი მიხვდა, რომ სამკვდრო სასიცოცხლოდ უნდა შებმოდა მტერს და ხორასანისა და მთელი ირანის ბედის გადასაწყვეტად დანდანაკანის ველზე სპილოებითა და დიდი ლაშქრით განეწყო. სელჯუკებმა სპილოების შეტევა მოიგერიეს, სულთნის სპილოებს ხორთუმებში მიაყარეს ცეცხლიანი ისრები და ისინი უკან გააბრუნეს. სპილოთა მიერ გადათქერილმა ირანის არმიამ ბრძოლის ველი სასწრაფოს დატოვა. დანდანაკანის შემდეგ ტუღრილ ბეგი სულთანი გახდა, მაგრამ იმავე წელს მოკლული იქნა. შემდეგ წელს სელჯუკებმა ღაზნევიდებთან დაზავება არჩიეს.

ხულვანის გასასვლელის დაკავების შემდეგ იბრაჰიმ იინალი ბაღდადზე სალაშქროდ ემზადებოდა, მაგრამ მას გეგმების ცვლილება მოუწია. დაზვერვამ როგორც ჩანს სომხეთისაკენ ლაშქრობა ურჩია სელჯუკთა სარდალს და მანაც 1049 წელს სომხეთისაკენ გამოილაშქრა. სომხეთის ზეგანზე იინალს ქართველები, სომხები და ბიზანტიელები დახვდნენ. ქართველთ ლიპარიტ ბაღვაში სარდლობდა, სომეხთ არწრუნი, ხოლო ბიზანტიელებს კევკამენ კატაკლონი.

მათ წინააღმდეგ განლაგდა სელჯუკთა გამოცდილი არმია. თავად იბრაჰიმ იინალი, რომელსაც უწოდეს „საიფ ად-დოულა“ ანუ „სახელმწიფოს მახვილი“ აკვირდებოდა ამ უცნაურ ლაშქარს. მისთვის ცნობილი იყო რომ რომეები, ანუ ბიზანტიელნი, ქართველების გარეშე ვერ ბედავდნენ სელჯუკებთან პირისპირ შებმას და ბოლო 3 კვირის განმავლობაში აჩქარებდნენ კლდეკარის ერისთავს ჩქარა მოსულიყო მათ

გადასარჩენად. ისიც იცოდა იბრაჰიმ იინალმა, რომ დიდი მეომარი და გამოცდილი სარდალი იყო ლიპარიტი.

არჯოვიტის ალაგს, ციხე სიმაგრე კაპუტრუს მახლობლად იდგნენ სელჯუკნი და მათი მოწინააღმდეგები. იბრაჰიმ იინალს აფიქრებდა იბერიელთა ძლიერი წყობა და უქმად იდგა. ამ დროს მასთან სომეხი ვაჭარი მივიდა და შეხვედრა სთხოვა. „სელჯუკთა სახელმწიფოს მახვილი“, მახვილი ტვინით გამოირჩეოდა და მისი კარვის კალთა ვაჭრისთვის გაიღო. სომეხმა, კარგა გვარიანი მისალმებების შემდეგ, სელჯუკთა სარდალს უთხრა, ის რასაც იინალი არ მოელოდა.

„სამმა გამწარებულმა მეფემ გამომგზავნა შენთან დიდო იბრაჰიმ იინალ, ჩვენ ჩვენი მიზნები გვაქვს, შენ შეუტიე ცენტრს და გამოიწვიე ბრძოლაში ლიპარიტი, იგიც შემოგებმევა, სწორედ მაგ დროს ბიზანტიელნი და სომეხნი მიატოვებენ ბრძოლის ველს, თავად ქართველნი კი არ დაინდო, ლიპარიტი მოჰკალ და ჩვენ შენი სურვილები გვაცნობე, აი ეს არის ის რაც უნდა მეთქვა შენთვის“ - უთხრა სომეხმა ვაჭარმა იბრაჰიმ იინალს და შავი ღვარძლიანი თვალებით ჩახედა მის კეთილშობილ ჭრელ თვალებს. გააოცა სელჯუკი ვაჭრის სიტყვებმა და მას მკაცრად მიუგო:

„დამისახელე სახელები გამწარებული მეფეების ვისაც უნდა ვენდო, თუ არა და მაშინ მე არ გენდობი არმენიელო“.

ისეთი კუშტი იყო იბრაჰიმ იინალი ამ სიტყვების წარმოთქმისას, რომ ვაჭარი მიხვდა, რასაც სთხოვდნენ და სელჯუკთა სარდალს მომუშტული ხელი გაუწოდა, შემდეგ მუშტი გახსნა და გახურებულ ხელისგულზე მოთავსებული სამი ოქროს ბეჭდი, მის ფერხთით დააგდო. თანაც იმეორებდა:

„ესეც ბეჭედი აბხაზთა და ქართველთა მეფეთ-მეფე ბაგრატისა, რომელიც ცნობილია ბიზანტიელთა კუროპალატობით, ეს კი ბეჭედი ვანანდის სომეხთა მეფე გაგიკ ყარსელისა, ესეც ბეჭედი ტაშირ ძორაკერტის მეფისა დავით უმიწაწყლოისა“.

იბრაჰიმ იინალი, მიხდვა რასაც ითხოვდნენ მისგან მეფენი და მან მდუმარედ მიუთითა ვაჭარს გასასვლელისაკენ და თვითონ კუტალმიში, მარცხენა ფრთის სარდალი იხმო. ბრინჯაოს დაფდაფებს ჩამოჰკრეს სელჯუკთა ბანაკში, რაც გადამწყვეტი ბრძოლისათვის მზადებას აუწყებდა ყველას, მიუხედავად ჩინისა თუ ჰასაკისა. იბრაჰიმ იინალი ბრძოლის ნახაზს უდგენდა კუტალმიშს.

წიგნი ლიპარიტ ბაღუაშისა

1048 წელს კვლავ მიმუხთლა ბაგრატმა, თვითმარქვია მეფემ და მაცდურმა. წიგნი მომწერეს ბიზანტიელებმა, არ მიენდოო აბხაზთა და ქართველთა წინამძღოლს, მაგრამ შემდეგ მას თვითონ მიუწერია წიგნი კონსტანტინე IX მონომახისათვის, როგორც ეხლა ტყვეობაში ვხედავ და ვფიქრობ, გაუბრიყვებია იგიც, მოუხერხებია

მისი გაცურება და სარჩულად ამ ყოველივესი გამოუყენებია წყეული სელჯუკების შემოსევა სომეხთა მიწაზე, რასაც ადგილი მართლაც ჰქონდა, რადგანაც სელჯუკებმა დაამარცხეს ყოველი თავიანთი მტერი და 16 წელიწადში უზარმაზარ სახელმწიფოს ჩაუყარეს საფუძველი, პირველ ყოვლისა ირანში და შემდგომ ირანის გარშემო მყოფ დიდ და ძლიერ თემებში. მაგრამ ყოველივე ეს ზღაპარია იმასთან შედარებით, თუ რა მდგომარეობა დამყარდა ჩემს ნეტარ მამულში, ჩემს მხარეში სადაც, მსტოვრებმა და მზირებმა მოყმეებს უწყეს დათრგუნვა და მამულის წართმევა. მოყმე, რაინდი რომ მსტოვარს დაემორჩილება, ის მართლაც რა მოყმეა, მაგრამ ასეა თუ ისე, ბაგრატმა რა კუროპალატის ტიტული მიითვალა, მსტოვრებისაგან ბილწი სახელმწიფო მანქანა შექმნა სადაც, კაცს არაკაცი ჩაგრავს, ხოლო მოყმეს ყმა.

მე აღვუდექი ამ სიმახინჯეს მეფისას და ყოველ ბრძოლაში დავამარცხე აბხაზთა და ქართველთა თვითმარქვია წინამძღოლი, ზოგიერთების მიერ მეფედ წოდებული ლაჩარი ბაგრატი. რატომ არ მოვაშთვე ის მკითხა ჩემმა კეთილის მყოფელმა იბრაჰიმ იინალმა. ვერ ვუპასუხე ვერაფერი. არც კი ვიცი.

უკვე მესამე წელია შემარიგა მეფესთან კათალიკოსმა. მკათათვეს სელჯუკების გამოჩენა მაცნობეს ჩემმა კლდეკაროსნებმა. ვანანდის მეფე გაგიკ ყარსელი, ეგეც ცნობილი თავისი სილაჩრით გამოქვაბულებში შეიმალა თავისი სახლობით და ჩემთან წიგნი გამოაგზავნა, რომელიც დავდე და არც წამიკითხავს სანამ ძორაკერტის სომეხთა მეფემ დავით უმიწომ არ მაახლა კიდევ ერთი წიგნი და თხოვნა, შევბმოდი სელჯუკებს კევკამონ კატაკლონთან ერთად.

მესამე წიგნი ღამე მომიტანეს, ბაგრატისაგან. მამად მიხმობდა მეფის წარმოგზავნილი ბერი ივერი. სიტყვაკაზუმოლობითა და გრძნობებით მიყვებოდა ის იმ სატყვნეველსა და სატირალს, რაც სელჯუკთა დაუტრიალებიათ სომეხთა მხარეში. ბაგრატი როგორც ნათესავი გაგიკისა და დავით უმიწაწყლოისა, მთხოვდა წავსულიყავი სალაშქროდ, რადგანაც არავინ ჩემს გარდა არ უწყოდა, თუ როგორ უნდა შევბრძოლებოდით სელჯუკებს, რომლებმაც მანამდე დანდანაკანის ბრძოლაში თავად მასუდ სულთანი და მისი უძლეველი კავალერია დაჯაბნეს და სპილოებიც კი გამოუკლეს.

მე დავფიქრდი. კი მაგრამ რამდენჯერ ვეუბნებოდი ბაგრატს, ერთად შეგვექმნა ძლიერი მონა სპა, გაგვეწვრთნა ჯარი და ალექსანდრე მაკედონელის საქმენი გაგვემეორებინა. განა ეს ძნელი იყო თუ კაცი და თანაც მეფეთ-მეფობას მოწყურებული მოისურვებდა?

გავხსენი სამივე მეფის ეტრატი და გადაკითხვის შემდეგ ლომად ვიგრძენი თავი. აბა მკლავები და გული რისთვის მქონდა, აბა რად დავდექი მოყმედ თუ არა ბრძოლაში გამოჩენილი სიქველის მიმართ ლტოლვა? ეხლა ვგრძობ რომ სამივე წერილი ერთი კაცის დაწერილი იყო, მაგრამ მაშინ ამაზე არც მიფიქრია. კლდეკაროსნები შემოვიკრიბე. შვიდასი ვარანგი, სკანდინავიიდან ჩემთა შამოსული ტაძრელნი

დავაწყვე, მას თექვსმეტი ათასი საკუთარი მონა სპა შევუერთე, სამი თვის სარჩო საბადებელით აღჭურვილი ეს ლაშქარი კლდეკარიდან დავძარი და არწნისაკენ სამი სხვადასხვა გზით გავემართე.

ბანაკში მისვლისთანავე, ჩემთან გამოცხადნენ გველნი, სარდალნი ბიზანტიისა, კევკამონ კატაკლონი და აარონ ბულღარი, ეს ბოლო ურიულად ხმლის ტარს მიკოცნიდა და დამავალეო მთხოვდა.

ჩანდნენ ბიზანტიელნი ჩაფახულნი, არავის უნდოდა ბრძოლაში გადაშვება და ყველა იბერიელებს გველოდნენ. სომეხნი, მათ მიწა-წყალზე იდგნენ, სელჯუკებს შეჰყურებდნენ და გაპარვას ლამობდნენ. ესეც შენი ლაშქარი. კლდეკაროსნების დანახვისას ბიზანტიელნი შეკრთნენ, არ ვიცი რამ უკბინა მათ, იქნებ შეშურდათ ჩვენი წყობისა და ახოვანების დანახვა. ვინ იცის. ეს ლაშქარი საბრძოლველად არ ვარგათქო გადაულაპარაკე გიორგი ჩორჩანელს, შვილს იბერიის მთავრისას, რომელიც შვილივით მიყვარდა და მანაც დამეთანხმა უსიტყვოდ.

კევკამონ კატაკლონს ვუბრძანე დაეზვერა მტერი, მაგრამ მისმა ქედმაღლობამ ამ არამზადის გაჯოხვა მომანდომა, რაზეც გიორგი ჩორჩანელის მეცადინეობით ხელი ავიღე და ცენტრში დავაყენე კლდეკაროსნები. გალაღდნენ ბიზანტიელნი, შემოგვიტია კუტალმიშმა, რომელსაც სომხები კიდევ ერთი სახელით - ასპან სალიაროსით უხმობდნენ. დაიწყეს სტვენა და ყიჟინა სელჯუკებმა და ველურად იწყეს რბოლა ჩვენს გამოსაწვევად. დინჯად მეთქი ვუბრძანე ბიზანტიელ სარდლებს. არ უნდა აჰყოლოდნენ ისინი სელჯუკთა როკვას. მე თავად კარავში დავჯექი და ყოველ წუთს ვიღებდი ამბებს მალემსრბოლელებისგან.

- აარონ ბულგარი აოტნეს სელეჯუკებმა, მას კუტალმიშ გამოეკიდა, იყვირა ზურგს უკან მალემსრბოლმა ჩიტიძემ. მე ავიქნიე ხელი და არაფერი მითქვამს. ყველაფერი ისე მიდიოდა როგორც დაგეგმილი მქონდა. ჩაებნენ თავად სელჯუკნი და მერე ჩვენც ჩავებმევით, გავიფიქრე.

- კევკამონ კატაკლონი დაჭრეს სელჯუკებმა და ბრძოლის ველი ჩაიგდეს ხელთ, უკან ვიხევთ. ხრინწიანი ხმით დაიბღავლა ჩემს უკან ასევე მალსემსრბოლმა ფანჯაკიძემ. ავიქნიე კვლავაც ხელი, ხმა არ გამიცია მისთვის.

- ცენტრს დაარტყა თავად იბრაჰიმ იინალმა, ჩვენი ფაროსნები ძლივს იკავებენ თავს რომ არ გადავიდნენ საპირისპირო შეტევაზე, აყვირდა გახარებული ხარფუხა ქურთიშვილი. უკვე მზადდებოდა გამარჯვება, მაგრამ თუ მახე დაგიგეს გამარჯვებაც ჯეირანივით გაგექცევა.

- გიორგი ჩორჩანელი, ისრით დაკოდეს წყეულებმა დიდო მთავარო, შემომბღავლა ბიძინა ტბელმა და მაშინ წამოვარდი გააფთრებული. გიორგი ჩორჩანელი, ჩემი ძმა და ძმის გული, ჩემი აღზრდილი, ერთადერთი კეთილშობილი მთელს დიდ ქართლში, მართლაც მეფედ რომ მოუხდებოდა ღვთისმშობლის

წილხვედრ ქვეყანას დამიჭრეს სელჯუკებმა და მე აქ კარავში დიაცივით ვზივართქო გავიფიქრე და უმალ ბრძოლის ველს მივაშურე, ავღმართე ბაღუაშთა დაუმარცხებელი შტანდარტი და კლდეკაროსნებმა მუშტის სიმსხო სპილენძის გახურებული ბურთულაკები და ბიზანტიური ცეცხლი დაუშინეს სელჯუკებს.

გატყდნენ სელჯუკნი იმ წამსვე, როდესაც შვიდასი სკანდინავიელი ვარანგი ჩავაბი ბრძოლის ცენტრში. ფარები ვიფარეთ და თავად იბრაჰიმ იინალის კარვისკენ ავიღეთ გეზი. სწრაფად მივდიოდით წინ. უხმოდ უტევდნენ კლდეკაროსნები სელჯუკებს და გარბოდნენ წყეულნი, დაკოდილნი და გალაჩრებულნი.

სწორედ ამ დროს, ხარფუხა ქურთიშილი მეუბნება -კ ევკამონ კატაკლონი გაიქცა ბრძოლის ველიდან დიდო მთავარო. გაიქცა და ქალის ლეჩაქიც დაუხურია უთხარი ხარფუხს და „იბრაჰიმის კარავი ცეცხლში გაახვიეთ“, - ვუბრძანე შემტევ წყობას კლდეკაროსნებისას. მართლაც შიშხინით დაიწვა სარდლის კარავი და ჩვენ უკვე ბანაკში დავსეირნობდით იმგვარად, როგორც ბუკოლინის სასახლის ბაღში დასეირნობენ ქართველი მთავრები.

აარონ ბულღარიც და მისი მთელი ჯარი გაშპა ბრძლის ველიდან ლიპარიტ ბატონო, დაიყვირა ასკანიო გურმა, რომელიც ჩემს მეჯინიბედ მყავდა იმ ხანებში და მაშინ კი შევფიქრიანდი, ეს რა ჰგავსთქო ვკითხე ჩემს თავს, მე ბრძოლას ვიგებ და ამ დროს ორივე ფრთა ბრძოლის ველიდან გარბის. ვერაფერი გავიგე თავიდან და გურს ვუთხარი:

- ძერები გაფრინდებიან რადგანაც ყველას კლდეკარის არწივის იმედი აქვს ასკანიო.

ამ დროს „ხორასანიტად“ წოდებული სელჯუკის კავალერია დაგვეხსა თავს მარცხენა მხრიდან და ისრები დაგვიშინა, რასაც ჩემმა მეომრებმა ყვირილითა და სიცილით გასცეს პასუხი და ჩვენც დავუშინეთ ისარი მათ. საფრთხე ჯერ არც არსებობდა. ჯარი კლდეკაროსნებისა გამარჯვებას ზეიმობდა როცა, მარჯვენა მხრიდან კუტალმიშმა დაგვარტყა და მისი მძიმედ შეიარაღებულმა სელჯუკთა ცხენოსანმა ლაშქარმა რამდენიმე ნაბიჯით თუ დაგვახვევინა, მაგრამ ჩვენ უმალ გავიმართეთ და კლდეკარის შტანდარტით შეტევა წამოვიწყეთ წუნკლების წინააღმდეს. ზურგიდან დაგვიარა ეხლა ხორასანიტმა და ჩვენც ბორჯღალის ფორმა მივიღეთ და დავტრიალდით. ბორჯღალის საცეცებში მრავალი სელჯუკი იღუპებოდა. არც ეხლა ჩანდა რაიმე საშიში ჩვენი წყობისათის, ვიდექით და გულიანად ვიბრძოდით, რაც მეტი მოდიოდა მით მეტს ვკლავდით.

უეცრად ჩემმა ცხენმა წაიფორხილა. ჩემს ბედაურს, ბეგთარში ჩასმულს რა უნდა მოსვლოდა? თურმე ხარფუხს გადაუჭრია მყესები ცხენისათვის და სწორედ ამიტომაც მომიწია დაქვეითება, მოღალატე ხარფუხი ერთი მოქნევით ორად გავაპე და მტერს მივეტევე, და იყო კლდეკაროსნების შეტევა ყოველი მიმართულებით. უაღრესად ვასახელეთ იმ დღეს სახელი იბერიელთა. მაგრამ ალყაშემორტყმული

ვიყავით, ერთი მეორეს მიყოლებით მიკლავდნენ საუკეთესო ბიჭებს, შვიდასი ვარანგიდან, ნახევარი დაჭრილი იყო და სისხლი სდიოდათ მათ. სელჯუკები ჩემი ხმლის დანახვისას გარბოდნენ და შორიდან მიშენდნენ ისარს, რომელსაც არც ვიგერიებდი, გამწარებული მივსდევდი მათ და ისინი კიდევ უფრო შორიდან მაყრიდნენ ისრის მერეხს და იცინოდნენ.

„ეჰ ლიპარიტო გაგაბრიყვეს, დაგამცირეს, არ აქვს აზრი ამ ბრძოლას, დანებდი, გადაარჩინე შენი ერთ დროს სახელოვანი ლაშქრის თუნდაც ნახევარი, დანებდი, გაბრიყვებულ ხარ და როგორც დათვი ჩავარდნილხარ ორმოში“ - ვიყვირე ხმამაღლა და კიდევ უფრო ხმამაღლა თურქულად დავძახე:

„აქეთ წყეულნო, აქეთ, მე ვარ ლიპარიტი, მე მტყორცნეთ ისარი, მე შემომებით, მე დამიჭირეთ, მოდით თქვენი, მოდით...“.

გარს შემომეხვიენ სელჯუკნი და ღიმილით წითელი ხალათი გამომიწოდეს და თეთრი მიტკალის ნაჭერი გადმომიგდეს, სისხლიანი ხელები გაიწმინდეო. ჩემს წინ ხალიჩა დააგეს უმალ, მოკლულთა ცხედრებისაგან ალაგი გაწმინდეს და თავად იბრაჰიმ იინალი თეთრი ცხენით მომიახლოვდა.

„დიდი მებრძოლი ხარ და საუკეთესო სტუმარი ჩემი, შენ ვერ გაგიმეტებთ, ძმად მიგიღებ“ - მითხრა სელჯუკთა კეთილშობილმა სარდალმა და თვალებში ჩამხედა. მე ვიგრძენი ამ სიტყვების ჭეშმარიტება და იბრაჰიმის წინაშე მახვილი მიწაში ჩავასვე.

დაიწყო საპატიო ტყვეობა. 1048 წელი იდგა.“

ლიპარიტის შეპყრობა სელჩუკთა მიერ - კახაბერ ჯაყელის ციფრული მხატვრობა.

ნაწილი მეცხრე

მე-11 საუკუნის შუახანები - ჯაყელთა ოჯახები და ბაღუაშთა საგვარეულო

1050 - 1068 წლები

რადგანაც ჯაყელთა ისტორიას მხატვრულად გიყვებით, რა თქმა უნდა ისტორიკოსების ნაშრომებს ვიყენებ თარგად. მაგრამ ისტორიული წყაროები ხშირად მშრალი და არაფრის მთქმელია, მათ უკან კი მოვლენების იმგვარი ჯაჭვი ჩანს, რომელიც არ დაწერილა, თუმც სიმართლე მოითხოვს დღეს მაინც დაიწეროს.

ჯაყელების ისტორიას თავად ჯაყელები ძველადაც იკვლევდნენ, სინას მთაზე დაცულია მრავალი ხელნაწერი შექმნილი სამცხის ათაბაგების ოჯახის წევრების მიერ.

შემდგომ პერიოდში მათი პოლიტიკური თუ გენეალოგიური მოვლენების მკვლევართა შორის გამოირჩეოდნენ ისეთი დიდ ისტორიკოსები როგორებიც იყვნენ ივანე ჯავახიშილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კირილე თუმანიშვილი, დარეჯან კლდიაშილი, ქრისტინე შარაშიძე, მიხეილ თამარაშვილი, ენვერ გოგუაძე, შოშიაშვილი, სიხარულიძე, რეხვიაშვილი და სხვანი.

ჯაყელთა ისტორიას დღეს განსაკუთრებით ღრმად შეისწავლის პროფესორი მიშა ბახტაძე. მის მიერ გამოცემული ისტორიული ნაშრომი „ჯაყელთა საგვარეულოს ისტორია XI-XV საუკუნეებში“ დაწვრილებით ასახავს ჯაყელთა გენეალოგიას და მათ სამოხელეო-საგამგეო ძალაუფლებას ამ პერიოდის საქართველოში.

ჯაყელთა ნაწილი, დღეს ისტორიულ მესხეთში, ოსმალთაგან მიტაცებულ ართვინსა და სპერში ცხოვრობს. ამას წინათ თურქეთის მცხოვრებმა, ართვინელმა აშკინ ათაბეიმ გამომიგავნა ჯაყელთა გენეალოგიის ჩემთვის მეტად საინტერესო და მანამდე უცნობი ნიმუში, ართვინელი ჯაყელებისა, რომელიც თავის სათავეს, რა თქმა უნდა ბექა მანდატურთუხუცესის პიროვნებიდან იღებს. განსაკუთრებით საინტერესოა ისაყ-ფაშა ჯაყელის მემკვიდრეთა გენეალოგია.

ათაბაგთა შთამომავალმა აიჰან სურმელიმ და გურსოუ სურმელიმ ასევე მომაწოდეს მათ წინაპართა შესახებ ინფორმაცია. როგორც ცნობილია ისინი დღესაც წინაპრის

სასახლის მესაკუთრეები არიან და „სარაი ოღულარის“ ან „ფაშა-ზადეს“ საპატიო ტერმინით მოიხსენებიან 21 საუკუნის თურქეთში.

შესაბამისად, მე ჩემს მხატვრულ-ისტორიულ თხრობაში ზემოხსენებულ წყაროებს ვეყრდნობი, მაგრამ ახალი წყაროების აღმოჩენასაც ვცდილობ, რათა უკეთ შევავსო და სრულყოფილად მოგიყვეთ ჯაყელთა სამხედრო - პოლიტიკური თავგადასავალი, რომლის პოლიტიკური სცენა იყო საქართველო, ბიზანტია, ხაზარეთი, ყიფჩაღეთი, სელჯუკთა იმპერია, არაბეთი, მონღოლთა იმპერია, ოსმალეთი, სპარსეთი, სირია, ეგვიპტე, შავი და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნები.

***

ჯაყელთა ოჯახები მეთერთმეტე საუკუნეში

მეთერთმეტე საუკუნის შუა ხანებში, მესხეთში, ჩორჩანელ-ჯაყელთა ოთხი ოჯახი გამოიკვეთა, რომელთაც დედაბოძის როლი უნდა ეთამაშათ ერთიანი საქართველოს შექმნასა და მძლავრ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში:

- **კალმახის საერისთაოს განაგებდა კალმახის ერისთავი, სულა მეოთხე კალმახელი, ყარაფჩაიდან დაბრუნებული იოანეს კალმახელის უფროსი ვაჟი, კალმახელთა შტოს გამგრძელებელი (მომავალში სწორედ ეს შტო გადაიბარებს ჯაყელობას და პირველობას მთელს მესხეთში. ეს შტო იქნება მესხეთის გამგებელი 1806 წლამდე და შემდეგ ამ შტოს ჩამომავლები გაიფანტებიან გურიაში, იმერეთში , აბასთუმანში, აჭარაში, თურქეთში და სწორედ ამ შტოს შთამომავლები შეიკრიბებიან 2014 წელს ახალციხეში, წინაპართა სასახლის - რაბათის კედლებთან);**

- **სამცხის ერისთავად აღზევებული იყო - მარზაპანი ქართველთა - ბოცო I ჯაყელი;**

- **თუხარისის ერისთავად ჯდა - ბეშქენ I ჯაყელი,**

- **ყველის ერისთავად ვიხილავდით მურვან I ჯაყელ-ჩორჩანელს**

ბეშქენი და მურვანი ძმები, ხოლი ბოცო მათი ბიძაშვილი იყო, სულა კალმახელი კი მათი დიდ-პაპის ძმის შვილიშვილი. ეს ოჯახები რკინისებური ფიცით იყვნენ შეკრულნი. ისინი ერთმანეთზე არასოდეს გაილაშქრებდნენ. მათში ჩორჩანელთა წმინდა სისხლის კუთვნილება ყოველ წამს იგრძნობოდა. ისინი აგებდნენ ტაძრებს, ქმნიდნენ საძვალეებს, იბრძოდნენ გულმოდგინებით, მაგრამ ბაგრატიონთა და ბაღუაშთა საგვარეულოებს შორის ატეხილ პოლიტიკურ ბრძოლას მეტად ფრთხილად აკვირდებოდნენ.

მე-11 საუკნის შუა ხანებში ორი დიდი მპყრობელი დაეტაკა ერთმანეთს, ორთავე თავიანთი სახელით, მეოთხე იყო საკუთარ საგვარეულოში, ერთი გახლდათ

საქართველოს მეფე ბაგრატ IV ბაგრატიონი, ხოლო მეორე, მისივე დიდი მეტოქე ლიპარიტ IV მეოთხე ბაღვაში.

ჯაყელ-ჩორჩანელებს ახსოვდათ ის ამბავი, რომ ბაღვაშებმა სულ რაღაც ასი წლის წინ, გაღარიბებული ჩორთვანელნი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდეს მათ პაპებს სულას, ბეშქენს და ლაკლაკს. რომ არა შურტა კუტალმიში, რომელმაც სამხედრო ცბიერებით „დასწუა ჩორთვანელნი“, კალმახის ციხის გარშემო, შესაძლოა მეთერთმეტე საუკუნის ჯაყელები ისევე აღგვილიყვნენ პირისაგან მიწისა, როგორც მრავალი სხვა საგვარეულო.

ამიტომაც ფრთხილად იყვნენ ჯაყელ-ჩორჩანელნი, მაგრამ როდესაც თუხარისის ციხის გარშემო, ბიზანტიურად შეჭურვილი კლდეკაროსანი ვარანგები გამოჩნდნენ, მაშინ ამ ციხის მფლობელი ბეშქენი დიდ საგონებელში ჩავარდა.

არვის ენახა მანამდის, სკანდინავიელი მეომრები საქართველოში. ვეება, ოქროსფერთმიანი, ჟღალ-წვერიანი დაუნდობელი, მეომრები, ნაჯახითა და შუბით ხელში, გიგანტებად მოსჩანდნენ ქართველ მეომართა შორის.

ბეშქენი ცხენს მოაჯდა, თუხარისის კარიბჭე განიხვნა და იგი ჭენებით მიეჭრა მისი ციხის წინ, დაბლობზე დაბანაკებულ ოქროსფერ-თმიან და წითელწვერა გიგანტებს, რომლებიც წრიულად განლაგებულიყვნენ და ამავე ფორმის სანგარს თხრიდნენ.

- ვინ ხართ და რა გესაქმებათ ჩემს მიწაზე? - ბრძანებლურად ჰკითხა წამოწითლებულმა ბეშქენმა, ახმახ უცხოელებს შორის გამორჩეულ, ტანდაბალ ქართველ ათისთავს.

- თრიალეთის მთავრის, დიდი ლიპარიტის ყმანი ვართ, ესენი კი მოწვეული ვარიაგები არიან, ლიპარიტის ლაშქრის თავზეხელაღებული მეომრები, ჩრდილოეთიდან მოცურდნენ, დაგვტოვეთ მთავარო, თორემ ამ ხალხს ვერ შევაჩერებ, უმიზეზო სისხლს დაღვრიან - თქვა იქვე მდგომმა კლდეკარელმა ათისთავმა, რომელიც უმალ წითელთმიანთა და ბეშქენის შუა ჩადგა და ერისთავს დაღლილი მზერით მიაჩერდა.

- ჩემს მიწაზე ხართ, იცოდეთ! უტიფრობას არავის ვპატიობ. თუ სტუმარი ხარ, აღიარე სტუმრობა და ჩემს ციხე-ქალაქში შეგიპატიჯებთ, ხოლო თუ „მტერ“ ხარ, მაშინ ასეც განაცხადეთ - ბრდღვინავდა ბეშქენი და ყალყზე შემდგარ საომარ კვიცს იმორჩილებდა.

სკანდინავიელები თმებს და გაფოფრილ წვერებს დროშებივით აფრიალებდნენ და ათისთავს უსმენდნენ, რომელიც მათ ვიკინგურ ენაზე ბეშქენის ნათქვამს უთარგმნიდა.

- „მტერ“ ნა, ნე, მო, ბენე, „სტუმარ“, მონა ბენე „სტუ“ - ახარხარდა ჟღალთმიანი, ორმეტრიანი ვარანგი, რომელიც უეცრად წინ გამოვიდა და ბეშქენს ხელი გაუწოდა.

- მტერი არ ვართ, სტუმრები ვართო ბეშქენ ბატონო - ცალყბად ჩაიცინა კლდეკარელთა ათისთავმა და ცივად შეათვალიერა თუხარისის ციხე.

- ჩავწვდი ამ წითელი კაცის ნათქვამს, სტუმრები კი ხართ, მაგრამ რამდენი ბრძანდებით? - იკითხა ბეშქენმა და გამოწვდილი ხელი ჩამოართვა ახმახ სკანდინავიელს, რომელმაც თავისი სახელიც - „კალიმაქოს“ უთხრა ბეშქენს.

- ხუთასი ვარანგი დგას აქ და თუ ციხეში არ შეგვიპატიჟე ბეშქენ ბატონო, მაშინ კიდევ ორიათასი წითელთმიანი მოუახლოვდება ციხე-ქალაქს თუხარისისას - ცივად თქვა ათისთავმა და ბეშქენმა იგრძნო, რომ მის სიტყვებს ლიპარიტ დიდი ბაღვაშის ჩანაფიქრი ედო საფუძვლად.

- ჭარხლისფერი დაედო სახეზე. მოემზადეთ, რაიმე არ გვიფათერაკოს - ვარანგულად გადაულაპარაკა ქართველმა ათისთავმა მის სიახლოვეს მდგომ წითელთმიან და ჟღალწვერიან მეომრებს, რომლებმაც პასუხად მხოლოდ გაიცინეს და მსხვილი თეთრი კბილები გამოაჩინეს.

- მომყევით „სტუმარნო“! - უეცრად, თითქოს ხალისით, შესძახა ბეშქენმა და გახარებულ სკანდინავიელ მეომრებს თუხარისის ციხისაკენ გაუძღვა.

- კარგა გვარიანად გვიმასპინძლებს, აი ნახავთ, წამოდით, თანაც წერილიც მაქვს - უყვიროდა ათისთავი თავისზე ორჯერ მაღალ და ბრგე „ზღვის მგლებს“ და მათ ციხე-ქალაქისაკენ მიუძღვოდა.

- მიუვალი ქალაქიც უსისხლოდ ავიღეთ!!! - გაჰყვიროდნენ სკანდინავიელნი და ციხისაკენ სამხედრო მწყობრით მიაბიჯებდნენ.

***

- **ხუთას „ვარანგზე“ მეტი ნაღდად არ ყავს ლიპარიტ კლდეკარელს** - ჩაილაპარაკა თუხარისის ციხის საშველად მისულმა ტანდაბალმა სარდალმა მურვან ჯაყელმა, რომელმაც თავის ათას კაციანი რაზმი ციხის ზევით - საჩინო ქვაბულში ჩაასაფრა და ამბის შეკრება დაიწყო.

- პატრონი ბეშქენი, ციხე-ქალაქში გვიწვევს მურვან ბატონო, ბაღვაშებსა და ჯაყელებს შორის სამადჟამიერო ზავის ჩამოსაგდებად - ბრძანა მის წინ აღმართულმა თუხარისის ციხისთავმა, კირითხურომ და არქიტექტორმა ეფრემმა და ყველის ერისთავს ძმის წერილი გადასცა.

ლიპარიტის ვარანგნი - ციფრული მხატვრობა კახაბერ ჯაყელისა

***

გრგვინავდა ბაგრატ ბაგრატიონი:

- კლდეკარელებს ყოველი უღელტეხილის ჩაგდება სძალუძთ და არაფერზე იხევენ უკან. მათი ვარანგები ციხეებს უბრძოლველად იღებენ. სულ მთლად გავლაჩრდით და დავიმცერით. ვარანგების გამოჩენისას ჩვენს მომხრეებს შიშით სული სძვრებათ. თუ არ აღვუდექით წინ, მალე სამხედრო გზები ვარანგების ხელთ გადავა და შემდეგ სამეფოსაც მიიტაცებენ.

- რამდენიმე ციხე კვლავაც ხელთ გვიპყრია მტკიცედ, მაგრამ იქაც მეციხოვნეებს ვეღარ ვამარაგებთ. ციხიონი დამშეული ან ალყაშემორტყმულია ვარანგების მიერ - ამბობდა ნიანია ქვაბულისძე.

- სამცხე - შავშეთის დამაკავშირებელ გზას და აჭარა-ერუშეთის უღელტეხილს ყველისციხიდან განაგებს მურვან ჯაყელი, ხოლო ფოცხოვისა და ქართლის გზას სულა კალმახელი - აი ეგაა რაც დღეს ხელთ დაგვრჩა. ხვალ ლიპარიტ ბაღვაშის ვარანგები ამ ციხეებს მიადგებიან. ყველისა და კალმახის ციხეები დარჩათ აუღებელი. ამ სიმაგრეებშია ჩვენი ხერხემალი ნიანია. ამ ზამთარს ყველისა და კალმახის გარეშე თუ დავრჩით, მაშინ ბაღვაშებს გადავცეთ ქვეყანა - ჩურჩულებდა დედოფალთ-დედოფალი ბორენა, ოვსთა მეფის ასული და შიშით შეჰყურებდა ბურუსით მოცულ მომავალს ბაგრატიონთა.

***

„ერისთავთ - ერისთავო ბეშქენ, ღმრთის სწორო, მიწამან შენმან იოვანე დავწერე“- მიაწერა კორიდეთის სახარებას იოანე ბერმა და ფეხზე წამოდგა. ბინდი სუფევდა. ყველაზე ჩინებული გადამწერი, ელოდა თვალის ჩინის წართმევას. ასეთი ხვედრი ელოდა ყველა გადამწერს სახარებისას. რამდენიმე წელი გატარებული ფოლიანტებთან. მესხეთის ქარი, რომელიც ქვაბულებში აღწევდა და სიცივე, რომელიც ბერის სახსრებს ებრძოდა.

მაინც თავისი გაიტანა იოანემ, ოცდაშვიდი წლის გადამწერმა და უკვე წიგნი, უხვად შემკული, სახარება კორიდეთისა - მის წინ იდო.

უფლის მიერ მინიჭიებულ სიცოცხლეს და თვალის ჩინს აბარებდა უფალს იოანე ბერი.

•••

ლიპარიტ ბაღვაში გველივით უხმოდ ეპარებოდა მესხურ ციხეებს, უბრძოლველად იგდებდა ხელთ მათ და შემდგომ ურთიერთ-მოკიდების ხელშეკრულებას სთავაზობდა ციხის პატრონს. სკანდინავიური კოჰორტა ვიკინგებისა რომ დაუმარცხებელი გახლდათ, ამას ყოველი კაცი გეტყოდათ უკვე მესხეთში.

თუ ადრე ყველაზე ძლიერ მებრძოლებს ქართველნი თავიანთ დიდ მეფეს - თბილისის დამაარსებელ ვახტანგს გორგასლანს შეადარებდნენ, ეხლა სკანდინავიელთა რაზმის უფროსს, ბერძნულად მონათლულ ვარიაგს - „კალიმაქოსს“ უხმობდნენ გმირად და მარჯვე კაცად. კალიმაქეოსი - ბუმბერაზი სკანდინავიელი თავის მეომრებთან ერთად მოუყვებოდა ქართლისა და მესხეთის მინდვრებს და მუდამ გამოცდილი თვალით ათვალიერებდა ციხე-ქალაქებსა თუ სოფლებს.

- ყოველ ციხესა თუ სოფელს სწავლობს და მისი იერიშისათვის უჩუმრად ემზადება კალიმაქეოსი, რომელიც თავად ლიპარიტ ბაღვაშის თვალი, ხმალი და გონია - უთხრა სულა IV კალმახელმა სამხედრო თათბირზე ბაგრატ კურაპალატს და მისი პასუხის მოლოდინში გაირინდა.

- რა უნდა ვიღონოთ სულავ? ვარანგებს როგორ ვძლიოთ? - იკითხა ბაგრატმა და ცხენოსანთა სარდალს მიაპყრო თავისი შავი თვალები.

- ორთაბრძოლაში არ არს საჭირო, ვარანგებთან შესვლა. მათი ღონე, ძალა და იერი ბრძოლისა სულ სხვაა ჩვენი კი სხვა. მთებში, კლდეებში, ქვაბულებში უნდა გამოვიჭიროთ კალიმაქეოსი და მისი რაზმი, უკვე დაღალული მთებზე ცოცვითა და კლდეზე სვლით - ბრძანა სულა კალმახელმა.

ნაწილი მეათე

სულა კალმახელ-ჯაყელის გმირობა

ბაგრატიონთა გადარჩენა - სულა კალმახელის მიერ ლიპარიტ დიდი ბაღვაშის შეპყრობა

დიდი მთავრის ლატავრა ჩორჩანელისა და მისი გმირი მეუღლის მირიან ბაჰლაუნდის შვილთაშვილს, კალმახის ციხე და ქვაბულების დაბლობი ერგო. ციხე კალმახი, პაპის დროს გზაგასაყარზე იყო აღმართული. ასი წლის წინ ამ ადგილს ვაჭართა ქარავანები უფრო დიდი მონდომებით ეტანებოდნენ ვიდრე ეხლა. მეტად ქვიანი იყო არემარე კალმახისა. დიდ სარჩოს ვერ იძლეოდა. განსაკუთრებით სამხედრო ცხენებს ვერ ჰკვებავდა.

სულა "შავი" კალმახელი, ისევე როგორც მისი მამა იოანე „ხაზარი", ქართველთა სამეფოს კავალერიას სარდლობდა. მამამ მისმა მესხეთის ცხენოსანი ჯარი, ხაზართა კავალერიას მიამსგავსა და უფრო მოქნილი გახადა. ხაზარების მსგავსად გაწვრთნილი მესხები, გამოქანებულ ცხენს უფსკრულის პირას გააშეშებდნენ ხოლმე, რაც იმის მაჩვენებელი იყო, რომ ამგვარი ცხენოსანი ჯარი, შემოჭრილ მტერს დაქსაქსავდა, დაღლიდა, ტყეებში და ხევებში გაიტყუებდა და საბოლოოდ ჰოროლზე წამოაგებდა.

მაგრამ კალმახის საერისთავო უკვე ვეღარ კვებავდა მეფის ცხენოსნებს.

სელჯუკთა გამოჩენის შემდეგ სულა კალმახელი სწრაფად ჩაწვდა ომის ახალ ხერხს, რომელსაც სირდარიის სანაპიროდან გადმოხვეწილი თურქმენები იყენებდნენ.

ისინი მთავარ ცხენოსან ძალას მთებში გადამალავდნენ და შემდგომ უეცრად დაძრავდნენ მტრისათის მთავრი დარტყმის მისაყენებლად.

„კავალერიის გამოსაკვებად - ზეგანი, მთებით შემორტყმული ველი მჭირდება“- უჩურჩულა ერთხელ სულა IV კალმახელმა ოშკის ტაძარში, ჯვარცმის წინ დამხობილ ბაგრატ IV კუროპალატს. ბაგრატმა თანაგრძნობით გადახედა თავის ერთგულ სპასალარს, მხრები აიჩეჩა და პასუხის ნაცვლად ტუჩები გამობუშტა.

სელჯუკთა საფრთხე კარს იყო მომდგარი, როდესაც ლიპარიტ ბაღვაში ტყვეობიდან დაიხსნა ბიზანტიის იმპერატორმა და წითელწვერა ვარანგებთან ერთად საქართველოში გამოისტუმრა. სელჯუკებს ელოდა სულა. მათთან საბრძოლველად ემზადებოდა და ამიტომაც მცირე ამალით დაძრწოდა იგი მესხეთისა და ქართლის მთებში, კლდეკარსაც ხშირად ეწვეოდა, რადგანაც კავალერიის გამოსაკვებად - ნოყიერი ბალახით სავსე ზეგანს ეძებდა.

მანგლისი მიათვალიერ-მოათვალიერა კალმახის ბატონმა, თითქოსდა მოეწონა ეს ადგილი ჯარის დასამალავად. მაგრამ მაინც სხვა, უფრო დიდი მინდორის ძებნაში ქარღის გორაკზე ავიდა და ზევიდან დაუწყო ცქერა კლდეკარის სამფლობელოს მიწებს.

საღამოს ხანს იქვე მიიძინა კალმახელმა. როდესაც გამოიღვიძა მთისაკენ მომავალი უჩვეულო რაზმი შენიშნა. გამთენიისას ნისლი დაბლა იწევს, ამიტომაც რძისფერ საბურველში გახვეულმა გადაწყვიტა სტუმრების ახლოდან შეთვალიერება სულამ და თავისი რაზმით ერთ-ერთ „ღრუბელში“ შევიდა.

როდესაც ის და აბუსერი დაბლა ეშვებოდნენ, ოციოდე კაცი უმაგრებდათ მათ ზურგს. ჩავიდნენ დაბლა და გაოცებული შედგნენ, როდესაც უჩვეულო ენაზე მოლაპარაკე, წითელწვერიანი, ბუმბერაზები შეამჩნიეს. მაშინვე ამოტრიალდნენ მთის თხემისაკენ. იქვე გადამალულ ცხენებზე შეჯდნენ და ტაოსკენ გაჭედნენ. ბაგრატ მეფეს, ტაოს ნასასახლარში დაედო ბინა. როდესაც მეფეს მოახსენეს კალმახელი გეწვიაო, ბაგრატ კუროპალატი სადილად იჯდა. მაშინვე წამოდგა მეფე, სტრაპეზოდან გამოვიდა და მეხრმლესთან ერთად დარბაზში შევიდა.

- წითელწვერა, უცხო მეომრები დგანან მანგლისს მეფეო, დიდი ჯარია, ხელთ ნაჯახები უპყრიათ, წელზე გრძელი ხმლები შეურტყამთ, შუბები მანდიკურად გადაუკიდიათ, იცინიან და მღერიან, ისე იქცევიან თითქოს სახლში იყვნენ, გამთენიისას ვნახეთ - თქვა სულა კალმახელმა

- ლიპარიტ დიდი ბაღვაში გახლავთ! ვარანგთა რაზმი მას ახლავს, ეხლავე უნდა შეტევა. რამდენი კაცის შეკრებას შესძლებთ შენ და აბუსერი? - დაღლილი მზერა მიაპყრო ბაგრატ მეფემ თავის სარდლებს.

- კალმახის კავალერიას სრულად გამოვიყვან, ხვალვე დავეცეთ. გამთენიისას ბაშს ვიქნები. აბუსერიც მოგვერთვება. ვიქნებით ორი ათასი - მტკიცედ თქვა კალმახის ერისთავმა.

- დავეცეთ! ბაშს ვიქნები მეც გამთენიისას. სწრაფად იმოქმედეთ ჩემო სარდლებო - ბრძანა ბაგრატ კუროპალატმა და საუბრის დასრულების ნიშნად მარჯვენა ხელი ზე ასწია.

„და მოვიდეს ვარანგნი სამი ათასი კაცი, და დააყენა ბაშს; გარდამოიტანა თანა შჳდასი კაცი. და მოვიდა ბაგრატ შიდათ ლაშქრითა; და ამათ ვარანგთა მესხნი ვერ-ღა-რა მოილოდინნეს, მივიდეს, და შეიბნეს თავსა სასირეთისა ჭალისასა; გაიქცა შიდა ლაშქარი. და ომსა ამას-ვე შეიპყრეს აბუსერი და სხუანი-ცა დიდებულნი მის თანა, ვერ-ღა-რა უძლეს ბრძოლად ვარანგთა; მისცნა ლიპარიტ პაშტნი და წინა მათსა პურსა უკაზმიდეს; და ეგრეთ ლიხნი გარდავლეს.“

1047 წელს პირველად სასირეთის ჭალას გამოცადეს ქართველთა სიმხნე და სიმტკიცე სკანდინავიელმა მეომრებმა. ინგვარი ჰუბერდი სარდლობდა ვიკინგებს. უჩვეულო სისწრაფით წამოვიდნენ სკანდინავიელი მგლები. შემჭიდროვდნენ და ხმლის ფორმა მიიღეს. ფარები იფარეს და ბაგრატ მეფის ჯარს ზათქით შეეტაკნენ.

ორად გაანგრიეს ბაგრატის ჯარი ინგვარის ვარანგებმა. გატყდნენ ქართველნი და ბაგრატმა ლიხს იქეთ გადასვლა გადაწყვიტა. მაშინ მარტო დარჩა სულა კალმახელი საკუთარ მამულში, კლდეკარისანთა მიერ გარშემორტყმული.

იმ წელს თოვლმა და სულა კალმახელის დიდმა შრომამ იხსნა ის და მისი ოჯახი განადგურებისაგან. სულამ ცხენოსნები იმერეთში გადამალა, თავად პირადი დაცვის ამარა დარჩა. კალმახის ციხე გაამაგრა და ჩაიკეტა.

***

ვეება ოთხკუთხა ლოდზე შემდგარი ვარანგთა ათასისთავი - ინგვარ (ინგმარ) მოგზაური კლდეს დაბლიდან შეჰყურებდა და იდუმალი მოძრაობებით, მთებისა და მწვერვალების უკვდავი სულის გამოძახებას ცდილობდა. ინგვარს თხისა და ჭაბუკის სისხლით ჰქონდა შემკული შუბლი, თხემი, მკერდი და სასქესო ორგანო. იდგა შიშველი და ტუჩებს ილოკავდა.

მეორე ლოდზე იდგა კალიმაქოსი - ჟღალთმიანი ბუმბერაზი, მასაც სისხლით შეემკო მკლავები, თითები და სასქესო ორგანო. უცხო ბგერებს გამოსცემდნენ სკანდინავიელები. მათი ზმუილი, თითქოსდა შეერწყა კიდევაც ბაკურიანის მთების კლდოვან თხემს, ჩამოშლილ ლოდებს და სპეციალურად მოჭრილ კვადრატული ფორმის სამსხვერპლო ქვებს.

თითქოს სისხლი სდიოდათ ქვებს. მოშავო ფორმის ცხელი სისხლი მოედინებოდა ქვაზე ამოჭრილი უძველესი ღარებით და ჩაედინებოდა ვარანგთა მიერ თხის ტყავისაგან შეკერილ ჩანთაში.

დაბალტანიანი ქართველი ათისთავი, უგრძნობლად იდგა ლოდების გვერდით და მისი გული ძრწოლას მოეცვა. უძველეს სამსხვერპლო ქვაზე, რომელიც უცხოელებმა ბაკურიანის მთებში აღმოაჩინეს ვარანგებმა მათთვის ნაცნობი სიმბოლოები - რუნები იხილეს და გაოცდნენ.

- რა სწერია ამ ქვაზე ათისთავო? - კითხა ინგვარმა კლდეკაროსნების მეთაურს და როდესაც გაიგო, რომ იგი ამ წარწერებს არათუ არ იცნობდა, არამედ პირველად ხედავდა, მის მიმართ ზიზღით განიმსჭვალა.

- წმინდა წარწერაა, ქვა წმინდაა - ჩაილაპარაკა კალიმაქოსმა და ათრთოლებულ ათისთავს გაეცალა.

შიშის ზარი დასცეს ვარანგებმა თორის მცხოვრებლებს, როდესაც სამსხვერპლოდ რამდენიმე ჭაბუკი შეიპყრეს და მყესები გადაუჭრეს რომ არ გაქცეულიყვნენ.

ჩურჩულით ლოცულობდა ათისთავი კლდეკაროსანთა და კანკალებდა. ინგვარი და კალიმაქოსი სიცილით კვდებოდნენ, მათ გარშემო ორმოცი ვარანგი იდგა და სისხლით იპოხებოდა.

- მოვძებნით სულას და აბუსერს და მივგვრით მათ კეთილ მამას, ლიპარიტ დუკას - საზარელი ხმით გაჰყვიროდა კალიმაქოსი და ტყავის ჩანთიდან სისხლს, ყლუპ-ყლუპით სვამდა.

- სულას და აბუსერს კლდის სულს შევწირავთ - ამბობდა ინგვარ მოგზაური და ისიც ტყავის ჩანთიდან სისხლის შესმას მიელტვოდა.

ლოდების გარშემო შუბებითა და ნაჯახებით ხელში როკავდნენ წრეში მდგარი ვარანგები და სკანდინავიურ სამსხვერპლო სიმღერას მღეროდნენ.

მართკუთხა, თითქოსდა კაცის მიერ გათლილ ვეება ლოდზე, ძარღვებ გადაჭრილი ოცი წლის ქართველი ჭაბუკი იწვა და სისხლისაგან იცლებოდა. მისი უბედობის შემცნობელი, სოფლები ფეხზე დამდგარიყო თორის ხეობაში, ქალები გაჰკიოდნენ, კაცები დრტვინავდნენ, მაგრამ ვარანგებს ვერ უახლოვდებოდნენ შეშინებულნი.

ინგვარ მოგზაური - კახაბერ ჯაყელის ციფრული მხატვრობა

***

კალმახის ქვაბულებს უახლოვდებოდნენ ვარანგნი. სულა კალმახელის ვაჟი იოანე შემოეგება მათ. ინგვარ ჰუბერდმა ცხენიდან ჩამოსვლა სთხოვა სულას ვაჟს. იოანე არ დაემორჩილა სკანდინავიელს, მაგრამ უეცრად ალყა შემოარტყეს მას გამოცდილმა ვარანგებმა. იოანე ტყვედ იქნა აყვანილი. ვარანგმა ბორკილები დაადო იოანეს, ჩამოჰკიდა ძელს და ამგვარად გაიძღოლა იგი წინ.

გამაგრებულ კალმახის ციხეს შეუთვალა ჰუბერდმა „თქვენი ბატონიშვილი ძელს მყავს დაკიდებული, არცერთი ისარი არ გვტორცნოთ, გამოვიდეს ბატონიშვილის მამა და იმწამსვე გამოუშვებ მის ვაჟს, მხოლოდ სულა მჭირდება დღეს“.

მზის ჩასვლისას ვეღარ გაუძლეს ქართველთა. ამოქმედდა საჭე კალმახის ციხის კარიბჭისა. კარი გაიღო და თეთრწვერა სულა კალმახელი, უიარაღო გამოვიდა.

იმწამსვე ჩამოხსნეს იოანე სულას ძე ძელიდან და დაემშვიდობენ მას სკანდინავიელნი.

- ან კალმახის ციხე უნდა გადმომცე ან ტყვე ხარ ჩემი პატრიციების შთამომავალო - უთხრა ინგვარ ჰუბერდმა სულა კალმახელს.

- ამ მხარის მფლობელ წინაპრებისაგან მაქვს დარჩენილი ეს ციხე, ისევე როგორც მამის ხმალი, ვერ გავცემ - ყრუდ ჩაილაპარაკა კალმახელმა.

- გაუგონრად გაწამებ პატრიციების შთამომავალო, ციხესაც დასთმობ და ხმალსაც - მტკიცედ თქვა გოლიათმა ინგვარ ჰუბერდმა და თეთრწვერა ტყვეს მოულოდნელად გაუღიმა.

***

- მე და ჩემს სიძეს ინგვარმა ხორცი აგვაჭრა წმინდა ბერო - კვნესოდა აბუსერი და უკიდურესად დასუსტებელი მიწაზე დამჯდარიყო.

მედიცინაში განსწავლული ეფრემ ბერი, აბუსერის ჭრილობებს ათვალიერებდა, თავს აქნევდა და იქვე კოცონზე მიფიცხებულ სპილენძის ჩაფხუტზე ეჭირა თვალი, სადაც ოსპის შეჭამადს ადუღებდა.

- ტყვეობაში ნამყოფი თქვენი ჩოხა ძონძებად ქცეულა ერისთავო, გამოიცვალე და ჭრილობა კარგად დამანახე, მალამო მინდა გაცხო - ფუსფუსებდა ეფრემი.

- პატრონო, მაინც საიდან მოვიდნენ ეს წარმართნი? ვინ მოიწვია ეშმაკეულნი საქართველოში - იკითხა უეცრად ციხისჯვარის მკვიდრმა მწყემსმა ვარამმა, რომელთანაც სტუმრობდნენ ლიპარიტის ტყვეობიდან გამოქცეულნი.

- სახელი ვარანგი მოდის მგლიდან, „ვარგ“ მაგათ ენაზე მგელს ნიშნავს - ჩაახველა აბუსერ ტბელმა და კოცონში შეაგდო ძონძებად ქცეული თავისი ჩოხა.

- კარგად კი ომობენ „მგლები“, 979 წელს მაგათი მეშვეობით თავადმა ვლადიმირმა ხელში ჩაიგდო დიდი და სახელგანთქმული ქალაქი კიევი - თქვა ეფრემ ბერმა, შეჭამადი შეამზადა ოსპის და სულა კამლახელს მიაწოდა, რომელმაც იუარა წვნიანი, მაშინ ეფრემმა აბუსერს შესთავაზა წვნიანი, მაგრამ აქაც წინააღმდეგობას წააწყდა და თავად შეუდგა საკუთარი ხელით გამზადებული ოსპის შეჭამადს.

- ზუსტად ოცი წლის წინ, არაბებთან საბრძოლველად, მოიწვია კეისარმა „მგლები“, სიცილიაში გადასხა ისინი. ოტრანტო - ქალაქი ძლიერად დაიცვეს მაგათმა - ჩაიბუტბუტა გათოშილმა აბუსერ ტბელმა და ხარის ტყავში გაეხვია.

- კარგად მახსოვს, მაშინ ქალაქ ტრაპეზუნტში ვიყავი კაპადოკიელი მეუფის მიერ მიწვეული, როდესაც პირველად მომესმა ნაპირთან ახლოს მცურავი დიდი

ნავის მენავეთა სიმღერა, ყური მიუგდე და მომეწონა, ვიკითხე მეთევზეებს ვინ არიან მეთქი ეს უცხოელები და ერთმა მიპასუხა ასე - არც ჩვენ ვიცით მამაო, წითელ წვერათა ენა - გაიხსენა ეფრემ ბერმა.

- რომელი წელი იყო? - დაინტერესდა გაციებული აბუსერი და კოცონთან უფრო ახლოს მიჩოჩდა.

- შემოდგომა იყო მახსოვს, კლარჯული ყურძნის კამეჩის ხელა მტევნები მახსოვს ტრაპეზუნტის მისადგომებთან, მაგრამ წელი არ მახსოვს - თავი გაიქნია ეფრემ ბერმა.

- ჩემს სიძეს ვკითხოთ, მაგას ემახსოვრება, როდის ჩამოვიდნენ ეშმაკეული ვარანგნი საქართველოში სულავ? - პირდაპირ ჰკითხა მხცოვანმა აბუსერ ტბელმა თავის სიძეს სულა კალმახელს და დაიკვნესა, როდესაც ეფრემმა, ოსპის წვენი, ძმარში აურია და დაფნის ფოთლებზე წაცხებულ მალამოსთან ერთად დასახიჩრებულ მხრებზე შეაწება, აჭარის ერისთავს.

- ლიპარიტის გასამეფებლად 1047 წელს საქართველოში გამოაგზავნა წითელ წვერა მეომრები დიდმა კეისარმა, - ჩაერია საუბარში სულა V კალმახელი და ისიც კოცონის გარშემო დაფენილი ფიჩხის გროვაზე მიწვა.

სამივენი დადუმდნენ, აბუსერი შიმშილს ებრძოდა, ეფრემ ბერი ძილს, ხოლო სულა კალმახელი სულიერსა და ხორციელ ტკივილს, რომელიც მას გულსა და ღვიძლს, შუბლსა და ყვირამალებს უწვავდა. სულა დუმდა, კალმახის ერისთავთა დინასტიის მეხუთე თაობის წარმომადგენელი, წინაპრის, სულა I მსგავსად, უსიტყვო კაცი იყო. სხვა ნაკლებ მოუბარი კაცნიც უნახავს ეფრემ ბერს, მეგრამ ეს სულ სხვა გახლდათ. ამბობდნენ სულა მე-5 კალმახელი არავის ენდობაო.

***

მართლაც ასე იყო. სულა იოანეს ძე არვის ენდობოდა, არცა მეფესა და არც ეპისკოპოსს, არც ბრძენსა და არც ბერს. როგორც დაუნდობელი მგელი, ისე იცავდა იგი მამისაგან და პაპისაგან დანატოვარ მიწასა და წყალს. მაგრამ ვარანგების მიერ დატყვევებულს, კალმახის ციხის დაკარგვის შიში რომ ჰქონდა, იმიტომაც ურევდა იგი ტვინს ლიპარიტ ბაღვაშს, რომელმაც საბოლოოდ ვარანგებს გადასცა იგი და აბუსერი სატანჯველად.

***

კაცის სიცოცხლეს არაფრად სთვლიდნენ ვარანგნი, მათთან შედარებით ხელჯუკებიც კი კაცთმოყვარედ მოსჩანდნენ. ამიტომაც, როდესაც ნანადირევი

ტახივით, ხელ-ფეხ დაბორკილი და ძელზე გასმული, საკუთარ ბარაკში წაიღეს იგი და მისი სიმამრი ვარანგებმა, მაშინ კი უხმოდ იტირა კალმახელმა და სიკვდილისათვის გაემზადა.

ჩორჩანელთა ნიშასთან, ქვაბულში შეამწყვდიეს ერისთავები სკანდინავიელებმა. ულმობლად აწამეს, ხანჯლით ხორცი ააჭრეს და საგვარეულო ციხე-სიმაგრეების დათმობა მოთხოვეს.

- რას მაძლევთ კალმახის სანაცვლოდ? - იკითხა ცხელი შანთით დამწვარმა ერისთავმა.

- სიცოცხლეს - უპასუხა ვარანგი ჯალათის კლდეკაროსანმა თარჯიმანმა და სულა კამლახელს მიაფურთხა.

ამოიგმინა ერისთავმა, ფეხზე წამოიჭრა და კლდეკაროსანს კისერში წვდა. შემოვარდნენ ვარანგები და მოცელეს კალმახელი. თვალებგახელილი სულა მის თავზე დატრიალებულ ცას ხედავდა და კისერზე ყულფს გრძნობდა.

შემდგომ, როდესაც ორმოში ჩააგდეს, იწვა კალმახელი და უკვირდა რომ კიდევ ცოცხალი იყო. მის გვერდით სიმამრის გვამი რომ ეგდო გრძნობდა, მაგრამ უეცრად ეს გვამი მოულოდნელად გაცოცხლდა და სულას ზემოდან დახედა:

- ხომ ცოცხალი ხარ კალმახელო? - ეკითხებოდა დასისხლიანებული აბუსერი საკუთარი ქალიშვილის მეუღლეს

- კალმახის ციხე ჯერაც ჩემია - ამოიჩურჩულა სულამ და ორმოს პირთან მოსეირნე ვიკინგს ახედა.

- ვარანგნი თავად წავიდნენ, დაცვად დაგვინიშნეს ერთი ბუმბერაზი კაცი, ალბათ საღამოს დაბრუნდებიან. - დაიჩურჩულა აბუსერმა.

- ეს ვარანგი უნდა მოვკლათ აბუსერო!!! - აღმოხდა დაიმედებულ კალმახელს და ტბელს ხელზე ხელი გაცეცხლებულმა და დაიმედებულმა, ათმაგი ძალით მოუჭირა.

- როგორ? - გაოცდა აბუსერი და ტკივილისაგან თვალები გაუფართოვდა.

- ღმერთი დიდია, ამ ეშმაკეულთ დაგვამარცხებინებს აბუსერო - თავის ტკივილისაგან გაბრუებული წამოიწია სულა, მაგრამ შემდეგ უეცრად მოწყდა და თხრილის ფსკერზე დაწვა.

***

გაწვიმდა, ორმოში ჩაგდებულთა ტალახში ჩაფლულ სხეულებს სკანდინავიელმა მეომარმა გადმოხედა, გაიცინა და დააფურთხა:

- „სკალიარო სკალდ“ ანუ სასიკვდილოდ განწირულებო მალე მოკვდითო - დასძახა სულასა და აბუსერს ვარანგმა.

- ტალახში ჩაფლული მოვკვდებით ჩემო სულავ - ჩაუჩურჩულა აბუსერმა და თვალები დახუჭა.

- „სკალდიკ“- ამოიკვნესა სულა კალმახელმა და საპასუხოდ სკანდინავიელის მიმართულებით გააფურთხა.

ვარანგი იცინოდა, იბერიელის მიერ მიყენებული შეურაცხყოფის საპასუხოდ ქამრის გახსნას და შარვლის ჩახდას შეუდგა.

- რას სჩადის ეს წითელი ეშმაკი - იჩურჩულა აბუსერმა და სახეზე მიკრული ტალახის მოწმენდას შეუდგა.

- იცის რასაც ჩადის, უნდა რომ ჩვენს თავზე მოშარდოს, ეს ითვლება მტრის დამარცხებად მაგათ ტომში.

- ლიპარიტ კაცი მეგონე და მძღნერი ყოფილხარ - შეუკურთხა აბუსერმა სკანდინავიელების საქართველოში ჩამომყვანს, მაგრამ ამ დროს ვარანგი ორმოს პირას იდგა და სიცივის მიუხედავად, თავის სარცხვენელს მოსაშარდად აგულიანებდა.

- შარდი შეეკრა მგონი, მოფსმა უჭირს - „სკალდიკ“ - კიდევ მიაძახა კალმახელმა სკანდინავიელს და კვლავ სასულის დასტვენით, კიდევ ერთხელ სისხლნარევი ნერწყვი გააფურთხა მისკენ დამიზნებით.

- „ახხხხხს სკალიარო სკალდ.....სკალიარო სკალდ “ - გაცოფებული აყვირდა სკანდინავიელი, რომელსაც როგორც ჩანს ყინვისაგან შარდი მართლაც შეუკავდა და სიბრაზისაგან, თუ სხვა რამ ავადობისაგან აცახცახდა.

- შემოიგლიჯა ყვინჯი წითელმა ეშმაკმა, ვინძლო სულ მთლად გადავრიოთ, მართლა უჭირს რაღაც - ჩაუჩურჩულა აბუსერმა, მაგრამ სულა უკვე ფეხზე იყო წამომდგარი და ვარანგის საწინააღმდეგოდ უჩუმრად დაგორგლილ ტალახის ჭურვს დაკუნთული მარჯვენით ზილავდა და სკანდინავიელს უყვიროდა.

- „სკალდიკ, შენი ....უ ჰ ჰ ჰ ჰ მოხკვდი ეშმავ“ - ელვასავით სტყორცნა სულა მე-5 კალმახელმა ტალახის ბირთვი ყვერებში ვარანგს, რომელსაც ეტყობა უეცრად ნასროლი ბირთვი მეტად მწარედ მოხვდა, რადგანაც იგი ტკივილისაგან შებარბაცდა, ორმოს პირას მდგარს, უეცრად ფეხები დაუცურდა და მის ფეხებს შორის მიწა დაიძრა.

- ვარდება წყეული, სულავ, სულავ, მიდი, მოჰკალ ეგ ეშმაკი - ყვიროდა აბუსერი, მაგრამ ამ დროს, ტალახში ამოსვრილი, ზეწამოჭრილი და კუნთებდაბერილი სულა უკვე მომზადებული ელოდა ორმოში დასრიალებულ ვარანგთან შებმას და იგი ავაზას მოქნილობითა და ხარის ძალით კისერში უნდა სცემოდა სკანდინავიელ გიგანტს, რომელიც გაფართოვებული გუგებით ელოდა მასზე დაბალ იბერიელს. როგორც ყოველ ვარანგს მასაც ალბათ ეგონა, წიხლის ერთი დარტყმით დავაგდებ ამ გამხმარ კაცსო და ამიტომაც სკანდინავიელი შეშინებული არც ჩანდა. როდესაც სრიალ-სრიალით ორმოს ფსკერს მიაღწია ვარანგს სახეზე გაუგონარმა სიმამაცემ გადაჰკრა და იგი უეცრად დამშვიდდა. ასეთთან შებმა რომ რთული გახლდათ, ეს იცოდა სულამაც და აბუსერმაც. სკანდინავიელი ორმოს ფსკერში გასწორდა, „სკალდებს“ მუშტით გაუსწორდებიო იფიქრა და მისკენ დაძრული სულა კალმახელს ვეება მჯიღი გულმკერდში დაატაკა.

ადრე მრავალ ორთაბრძოლაში გამოცდილი იყო სულა, ბაგრატ მე-4 ის ცხენოსანი ჯარის მთავარსარდალი და კალმახის ერისთავი, რომელიც, როგორც ყველა ცხენოსანი, მსუბუქწონიანი გახლდათ და ამიტომაც მისი ვარანგთან შებმა დავითისა და გოლიათის ორთაბრძოლას უნდა დამსგავსებოდა, რომ არაერთი გარემოება, ორმოში ჩაგდებული აბუსერი, რომელიც ცდილობდა სიძეს მიხმარებოდა, მაგრამ ჭრილობისაგან ფეხზე ვერ დგებოდა და დაჩოქილი ცდილობდა ვარანგთან მიახლოვებას.

მოატრიალა თავი ვარანგმა აბუსერის მიმართ, შემდეგ ერთი ძალუმი წიხლი ამოსცხო მას მუცელში და აბუსერი უმალ მიწაზე მოსცელა, შემდეგ თავსაც გაუჩეჩქვავდა აბუსერს, რომ არა კალმახელი, რომელიც ვარანგს მიეჭრა და მკლავებზე ჩამოეკიდა.

- „სკალდიკ“ - ამოიხვნეშა ვარანგმა და კალმახელი ორმოს კედელს მიანარცხა. სულას მჯიღით ბრძოლა ნაკლებად ეხერხებოდა, მაგრამ მან სწორედ მუშტის მუშტზე გარდაჭდობით შექმნილი „ძალაყინი“ დაატრიალა და ყბებში ამოჰკრა სკანდინავიელ გოლიათს, რომელიც სულას ზევიდან ურტყამდა.

ამ დროს კვლავ წამოიმართა აბუსერი, მოხოხდა ბრძოლის ასპარეზთან და ხელებით ჩააფრინდა, სკანდინავიელის ტერფს, მთლიანად ჩამოეკიდა მის მუხლს და საბოლოოდ, მოყმისათვის სამარცხვინო ილეთიც იხმარა, კბილებით ჩააფრინდა ვარანგის წვივს და ისე მაგრად უკბინა მას რომ ამ უკანასკნელმა სასტიკად იღრიალა, ხოლო გრიგოლ აბუსერმა კაცის სისხლი პირველად გასინჯა.

აღრიალებულ სკანდინავიელს ტუჩებში წიხლი ჩაჰკრა ორმოს კედელზე მიყრდნობილმა სულა კალმახელმა და ეს გოლიათი უეცრად დაგორდა, მას მიჰყვნენ სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმული ქართველნი.

იწურებოდა 1054 წელი.

***

1055 წელი

თოვლი როდესაც დადნა და ბილიკი გამოჩნდა, ეფრემ ბერი ეწვია ტყვეობიდან განთავისუფლებულ კალმახის ერისთავს და ეშმაკურად გაუღიმა, კოჭებამდე წვერის მქონე კალმახელს:

- ამბავი მომაქვს ერისთავო, რომელსაც საწყენიც ახლავს და სასიხარულოც - ბრძანა ეფრემმა, როდესაც ცხელი ღვინო „თაფლუჭი“ მოსვა და გაყინულ მკერდში თბილი სითხე შეიგრძნო.

- სიკვდილს ველოდი მთელი წელი მამაო, ვერსად გავხიზნე ოჯახი და ამიტომაც დავემსგავსე გამომწყვდეულ ცხოველს, რომელზედაც მონადირე ამახვილებს მზერას მისსას - ამოიოხრა სულამ.

- ვერ ვხედავ გაუტეხელ სულს ჩორჩანელთა - ჩაილაპარაკა ეფრემ ბერმა და ბუხართა მიმდგარი, ცხელი ღვინით სავსე თასი მოიმარჯვა.

- კალმახისა და უღელტეხილების გამაგრება სისხლის ფასი დამიჯდა ეფრემ ბატონო, შვიდასი კაციდან ნახევარი სუროვანდისაგან მომიკვდა და ნახევარი კი - ზვავში მოჰყვა. მხოლოდ ოცნი გადავრჩით - ცრემლი მოადგა კალმახელს და თავი ჩაქინდრა.

- ოჯახი ხომ კარგად გყავს ერისთავო? - იკითხა ბერმა

- უმრწესი ვაჟი ზვავში მოჰყვა, გადავარჩინეთ, მაგრამ ვერ დადგა ფეხზე ჯერ, ქალიშვილს ლატავრას ციება შეეყარა, თანამეცხედრე ჩემი და მე ჯერაც ვართ ჯანსაღნი მამაო - ამოიგმინა კალმახელმა.

- ამბავს გეტყვი ერთს და კიდევ ერთხელ გაგიმეორებ, საწყენიც ახლავს მას და სასიხარულოც, საიდან დავიწყოთ კალმახელო? - ჩაიცინა ბერმა.

- საწყენიდან მამაო!

- **ქართველთა-სომეხთა-ბერძენთა ჯარი დამარცხდა კაპუტრუს ბრძოლაში.** სელჯუკებმა გაგვანადგურეს ერისთავო. მოწყდა უამრავი მოყმე და ვაჟკაცი.

- სამწუხაროა - თავი ჩაქინდრა კალმახელმა, და ბერს შეხედა, ეხლა რას მეტყვისო?

- სასიხარულო კი ის გახლავს, რომ მტერი შენი ლიპარიტ დიდი ბაღუაში ტყვედ ჩაიგდეს სელჯუკებმა. მათთან ტყვეობა კი იცი რასაც ნიშნავს კალმახელო!

- სამწუხარო ესეც მამაო - ჩაილაპარაკა სულა ერისთავმა და ბერს თვალის გუგებში ჩააცქერდა.

- კალმახის ციხის კარიბჭეზე წითელთმიანი ვარანგი მეომრის მოჭრილი თავი მიგიჭედავთ ერისთავთ-ერისთავო, რაც ქრისტიანისათვის მომაკვინებელი ცოდვა გახლავთ, უბრძანეთ მიწას მიაბარონ უცხოელი - მტკიცედ თქვა ეფრემ ბერმა.

- ოხხხხ ბერო...რას მთხოვ... - პასუხად ამოიგმინდა სულა კალმახელმა და მგლური მზერით თავიდან ფეხებამდის შეათვალიერა ეფრემ ბერი.

***

ლიპარიტ ბაღვაში ტყეობიდან განთავისუფლდა და საქართველოსკენ გამოემგზავრა. ბაგრატ კურაპალატის ქართულმა იმპერიამ უსწრაფესი რღვევა დაიწყო. რაც უფრო უახლოვდებოდა საბერძნეთში „გმირად“ შერაცხული ლიპარიტ დიდი ბაღვაში კლდეკარს, მით უფრო მცირდებოდა საბრალო მეფის სამბრძანებლო.

- ბოლოს ამ კარავსაც აღარ დაგიტოვებს კლდეკარის მხეცი, წადი ბიზანტიაში, დაუჩოქე იმპერატორს და გადაირჩინე თავი - ჩასჩურჩულა მეფეს ყურში მისმა მეუღლემ, ბორენა დედოფალმა.

- გამომეშვიდობე, შესაძლოა უკანასკნელად ხედავ შენს მეფეს - თქვა ცრემლმორეულმა, გადაფითრებულმა ბაგრატმა და თეთნულდივით თეთრ ბორენა დედოფალს ლოყაზე აკოცა.

***

ლიპარიტ ქართლს შემოდგა და ბაგრატი ბიზანტიაში გაიხიზნა, სადაც ბიზანტიის იმპერატორის საპატიო ტყვეობაში ცხოვრობდა. ბაგრატის მცირეწლოვანი შვილი გიორგი მეფედ აკურთხეს და „მზრდელად“ ლიპარიტი დაუნიშნეს, ხოლო „პატრონად“ ბაგრატის და გურანდუხტ. ქვეყანა იღუპებოდა.

რომ არა სულა კალმახელი, ქართველთა გაერთიანებული სამეფო, კლდეკარის საერისთავოდ გადაიქცეოდა და ბაგრატიონებს სულ მალე ბაღვაშები შეცვლიდნენ.

***

- **ჯავახეთს, დლივს დგას „კლდეკარის მხეცი“, ციხეშია ჩაკეტილი და ნადიმობს, კლდეკაროსნები 500 კაცი ახლავს,** აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ კურთხევისათვის ემზადება, მაგრამ ბიზანტიის იმპერატორის თანხმობას ელის. საიდუმლო კაცსაც ელოდება ალფ-არსლანისაგან. რას ჩხიბავს ვინ იცის. უფლისწული ალასტანს ყავს დატოვებული, იქვე ინგმარის ნაჯახოსნები დაუბანაკებია. თუ მათ გამოიძახებს შემდეგ გასჭირდება საქმე - მოახსენა იოანემ მამას.

- **დლივი, ღრტილა, ბოჟანო, ალასტანი** - ჩაიჩურჩულა სულა კალმახელმა და ცას ახედა. ცას ფოლადისფერი გადაკვროდა და ალაგ-ალაგ იისფერი ღრუბლები შავ ფერს იძენდა.

- ითოვებს მამი - თქვა იოანემ.

- ითოვებს და მერე როგორ - დაიჩოქა და მიწა ამოჩიჩქნა სულა კალმახელმა, შემდეგ მიწას გემო გაუსინჯა, მიწის კარგა გვარიანი კვიწი რომ ჩაკბიჩა და გადმოაფურთხა, მაშინ კი გაიკვირვა იოანემ და განცვიფრებული თვალებით შეხედა მამას.

- დღეს მიწა ყინულივით მაგარი და მინასავით მსხვრევადია შვილო, დაიმახსოვრე, სარდალმა მიწას უნდა გაუსინჯოს გემო, სანამ ბრძოლას გადაწყვეტს. შვილს თვალი-თვალში გაუყარა ჩორჩანელ-ბაჰლაუნდთა მემკვიდრემ და გააგრძელა:

- ამ შეტევზე დგას ჩვენი გვარის ბედი ჩემო მემკვიდრევ, ხვალ თუ არ ვიმარჯვეთ, ლიპარიტი ჩვენს გვარს შესჭამს, ისე როგორც ლომი კანჯარს.

- ვიცი მამი - თქვა იოანემ.

- **გაამზადე „რჩეულიანნი“, დავეცეთ დლივს.**

***

საბერძნეთში თუ სელჯუკთა იმპერიაში „გმირად“ შერაცხულ ლიპარიტ ბაღვაშს, იმ ღამეს, ვერც „დამეგობრებულმა“ ბიზანტიის კეისარმა და ვერც „ძმადნაფიცმა“ სულთანმა თოღრულ-ბეგმა უშველა.

სულა კალმახელმა მისებრ ერთგულ მესხ აზნაურებთან ერთად მოახერხა დლივის ციხის გოდლების უსწრაფესი აღება.

შეუწყვეტლივ თოვდა, მეციხოვნეები გოდლებზე არც კი იდგნენ. რადგანაც ბაგრატ მეოთხე კუროპალატი ჯერ კიდევ ბიზანტიაში ეგულებოდათ, ტახტის მოცილე არავინ ეგონათ ბაღვაშებს.

ალბათ ამიტომაც, ლიპარიტის ერთგული გოლიათი ვარანგები ალასტანში ღრეობდნენ, მაშინ როცა ბაღვაშთა ბუმბერაზები, რიგ-რიგობით ეცემოდნენ, სულა კალმახელის რჩეულ მოიერიშეთა ხელით.

ბოლოს თავად სულა კალმახელმა ხმლით განგმირა მის წინააღმდეგ მებრძოლი კლდეკარელი მეომარი - ქველი უტიელი, რომელიც ჯერ კიდევ ოქროს ბარძიმით ხელში მპყრობელ, ღვინით გადამთვრალ, განცვიფრებულ ბაღვაშს მკერდით იცავდა.

- რომელი ხარ რომ ჰბედავ ლიპარიტ ბაღვაშთან შებრძოლებას - შეჰყვირა საქართველოს უგვირგვინო მეფემ ამ დროს და თავადაც გააშიშვლა ხმალი.

- სულა ვარ კალმახის ერისთავი ბაღვაშო, არ გირჩევ ჩემთან შებრძოლებას - ბრძანა კალმახელმა და წინ გამოსული კლდეკარის ერისთავი შეათვალიერა.

- შემებრძოლე თავხედო, გაბედე, დამკარ ხმალი - საასპარეზოდ გამოსულ რაინდს ჰგავდა გაოგნებული ლიპარიტი.

სულამ წინ გადადგა ფეხი, თავისი მოკლე ხმალი გაჰკრა ლიპარიტის ორლესულ მახვილს და როდესაც ბაღვაშმა მას უმძლავრესად მოუქნია თავისი სახელგანთქმული იარაღი, სულას ნიშანზე მესხებმა დიდ და სახელგანთქმულ ერისთავს, ლოქოს დასაჭერად განკუთვნილი, სამფა ბადე გადააფარეს.

- ამას ვინ ჰბედავს, ტყვეობა?....ცოცხლად გინდათ ჩამიგდოთ ხელთ? კი მაგრამ ვისთვის? თუ მოკვლა გინდათ მომკალით....მაგრამ შემებრძოლეთ, მომერიეთ...ჯერ დამიმტკიცეთ რომ გამარჯვების ღირსები ხართ - ყვიროდა ლიპარიტ დიდი, რომელსაც მესხი აზნაურები ბადეში ხლართავდნენ და ხელიდან ვეება მახვილის წართმევას უპირებდნენ.

- დატყვევებული ხართ კლდეკარის ერისთავო ლიპარიტ. დამთავრდა ბაღვაშთა მოდგმის ბოგინი. დღესვე მიგგვრით მეფესთან და იმან გადაწყვიტოს შენი ბედი - მკაცრად თქვა სულა კალმახელმა და მესხებს უბრძანა გაცოფებული კლდეკარელის დარბაზიდან გატანა.

- შემებრძოლეთ...შემ... - ყვიროდა გაუგონარი დამარცხებისაგან განცვიფრებული ლიპარიტ დიდი ბაღვაში, რომელსაც იქვე მდგარ ჯორზე

აკრავდნენ, რადგანაც მესხებს ელვისებური სამხედრო ქმედების შემდეგ უსწრაფესი უკან დახევა ჰქონდათ გადაწყვეტილი.

***

- გავიმარჯვეთ ჩემო დედოფალო, სულა კალმახელმა ბრწყინვალე სამხედრო ჩანაფიქრი ზუსტად განახორციელა, თავს დაეცა დლივში მყოფ ლიპარიტსა და მის ვაჟს ივანეს. ორივე შეიპყრო და კალმახში ჩაიკეტა - სიხარულს ვერ ფარავდა, ბიზანტიიდან ფარულად დაბრუნებული ბაგრატ მეოთხე ბაგრატიონი და თეთნულდივით თეთრსა და მომხიბლავ ბორენას შუბლზე კოცნიდა.

- ლიპარიტის მესამე ვაჟი რა იქნა - იკითხა, ოვსთა მეფის ტანმაღალმა ასულმა.

- მესამე ვაჟი ნიანია ბაღვაში კლდეკარს გაიქცეულა, მაგრამ იქაც არ შეუშვიათ მესხებს და ეხლა ანისის მიმართულებით მირბოდეს იქნება.

- გილოცავ გამარჯვებას გვირგვინკურთხეულო ჩემო მეუღლევ, დიდება ბაგრატიონებს! - აღფრთოვანებას ვერ მალავდა ბორენა ოვსი და ბაგრატ მეფეს თმის დალალებს უკოცნიდა.

- ეხლა უნდა ვიჩქაროთ, ჯავახეთს მივიდეთ და ლიპარიტი გავასამართლოთ - ბრძანა მეფემ.

უმალ შეიკრიბა ბაგრატიონთა სახლი. ტაძრეული, პატრიარქითურთ ჯავახეთს დაიძრა.

***

1057 წელს სულა კალმახელ-ჯაყელმა ბორკილგაყრილი ლიპარიტი და მისი უფროსი ვაჟი ივანე ახალქალაქის ციხე-დარბაზში დაბრძანებულ მეფე ბაგრატს წინ დაუგდო. ტყვე ლიპარიტმა ტახტთან მიფორთხება შესძლო და ბაგრატს წითელი წუღები დაუკოცნა.

დარბაზის ერი კიდევ ერთხელ განცვიფრდა, როდესაც სულა კალმახელმა განაცხადა:

- ქართველთა მეფეო გადმოგცემ ლიპარიტისაგან ჩამორთმეულ კლიტეებს არტანუჯისა, ყველის-ციხისა, უფლისციხისა და ბირთვისისა.

მეფის ფერხთით, ქვეყნის მთავარი ციხეების კლიტეთა შემყურე ბაგრატ IV ბაგრატიონი ტახტიდან წამოდგა, სულა კალმახელთან მივიდა და მოწიწებით მდგარ ერისთავ-ერისთავს გადაეხვია.

ბორენა დედოფალი და მისი სეფე ქალები ატირდნენ. დარბაზის ერმა მეფისა და სულა კალმახელის წინაშე დაიჩოქა. სამეფო მომღერლებმა მრავალჟამიერი დააგუგუნეს. საქართველო კვლავაც აღსდგა.

***

მადლიერმა მეფემ უხვად დააჯილდოვა სულა კალმახელ-ჩორჩანელ-ბაჰლაუნდი.

„უბოძა სულას მამულობით ციხისჯუარი და ოძრხე ბოდო-კლდითა და სხუაცა მრავალი საქონელი და სამღვდელთ-მოძღურონი, და რაიცა უნდოდა.“

ყველა ამ საჩუქართაგან სულამ ციხისჯვარი გამოარჩია. გამოცდილი სარდალი ხვდებოდა, რომ მომავლის ომებში, მაღალ მთაზე არსებული დიდი საძოვრები, მრავალრიცხოვანი ცხენოსანი ჯარის შენახვის საფუძველი იყო. ზაკურიანისა და ციხისჯვარის ველები - ხუთიათასი ცხენის მთაში გადამალვასა და გამოკვებას უდრიდა. მოდიოდა ის ეპოქა, როდესაც ერთი ცხენოსანი ბრძოლის ველზე ათ ქვეითს უტოლდებოდა. შესაბამისად ხუთიათასი ცხენოსნის საშუალებით, სულა მომავალში ორმოცდაათიათასი ფეხოსნის განადგურებას შესძლებდა. სულას გამჭრიახობით მისი შვილთაშვილებიც ისარგებლებდნენ და ისარგებლეს კიდევაც. ისტორია გვაუწყებს, რომ ამ მოვლენებიდან ორასი წლის შემდეგ შემოსეულ მონღოლებს აუღებელი დარჩათ მხოლოდ ციხისჯვარი, საიდანაც მათ სულას პირდაპირი შთამომავალი სამცხის მთავარი - სარგის ჯაყელი ებრძოდა.

ამიერიდან ლიპარიტ დიდი ბაღვაშის დამტყვევებელი - სულა კალმახელი - უკვე ციხისჯვარელია. ასევე იწოდებოდნენ ციხისჯვარელებად მისი შვილები, მანამ სანამ სულას შვილთაშვილს, დიდ მეომარსა და სარდალს ივანე-ყვარყვარე ციხისჯვარელს, წმინდა თამარ მეფემ პირადად არ უბოძა ჯაყის ციხე, რომლის

ფლობითაც, სულა კალმახელის ნაშიერი ივანე-ყვარყვარე ჯაყელი-ციხისჯვარელი გახდა.

ფადლონის შემოსევა 1068 წელი

ბაგრატ კუროპალატს კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, რომ ნატახტარის სასახლეში ხმაური ატყდა. როგორც ჩანს რაიმე ახალი ამბავი ჩამოიტანეს საზღვრებიდან.

- რა მოხდა მომახსენეთ! - ბრძანა ერთიანი საქართველოს მეფემ და სიახლის შესაცნობად გაირინდა.

კარებში შემოვარდნილმა მალემსრბოლმა მეფის წინაშე დაიჩოქა და წამოიძახა:

- განძის ამირა ფადლონი დაგვესხა მეფეო, დიდი ლაშქრით, შეჯავშნული ცხენოსნებით შემოიჭრა აზერბაიჯანის ამირა, ქართლისა და მესხეთის ციხეების უმეტესი ერთი მისვლით გასტეხა და ეხლა აქეთ მოიწევს.

- ვისი ხარ მოყმევ? - იკითხა მეფემ, როდესაც მალემსრბოლის მოწითალო მოსასხამზე ოქროსფერი ძაფები შეამჩნია.

- პატრონი მურვან ჯაყელის ყმა ვარ, ესართიოს. პატრონი მურვან - ყველის ციხის ლაშქრით უახლოვდება თქვენს სასახლეს დიდო მეფევ - ბრძანა მალემსრბოლმა, რომელსაც ყანწით ღვინო, სპილენძის ფულით გამოტენილი ქისა და მეფისაგან ნაჩუქარი ხანჯალი უბოძა ბაგრატიონთა სახლთუხუცესმა ნიანია ქვაბულისძემ.

- მურვან ჯაყელის მოსვლა გამხარებია - დიდება უფალს - სთქვა ბაგრატ მეოთხემ და დაფიქრებით გადახედა მის წინ გადაშლილ საქართველოს რუქას, შეათვალიერა კლდეკარის საერისთავოს სულ უფრო და უფრო მზარდი სხეული, მიათვალიერ მოათვალიერა ხევები და უღელტეხილები, რომელიც მას არაფერ კარგს უქადდა და ბიზანტიური საკმეველი უკმია მის წინ დაბრძანებულ ძელიცხოველს, დაიჩოქა მის წინ და იწყო ლოცვა.

***

„ცნა თფილისით გაღმართ აფხაზთა მეფემან, ქართლისა ვნება, წარმოსვლა ფადლონისი, გამოგზავნა ხილვად, ივანე, ძე ლიპარიტისი, და ნიანია, ძე ქვაბულისა და მურვან ჯაყელი, ერისთავი ყველისა...და სდევნა ლაშქარმან ბაგრატისმან, მოსრეს და ტყვე ყვეს ლაშქარი ფადლონისი“.

ბრძნული იყო გადაწყვეტილება მეფისა. მას დიდი ლაშქარი სჭირდებოდა ფადლონის მოსაგერიებლად, ამიტომაც ბაღვაშნი და ჯაყელნი ერთად დარაზმა ბაგრატმა გათავხედებული ამირას დასამარცხებლად.

ფადლონთან ბრძოლისას ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ბაღუაშნი და ჯაყელნი. ივანე ბაღვაში თავისი მძიმე მხედრობით პირდაპირ შეასკდა ფადლონის მძიმე კავალერიას. მურვან ჯაყელმა მარჯვენა მხრიდან მიიტანა იერიში არანის ჯარზე. საბოლოოდ სულა კალმახელმა გადაუჭრა გზა უკან დახეულ მტერს და ალყა შეიკრა.

ფადლონი გარბოდა.

***

ურაველის ხეობაში, მდინარის მარჯვენა ნაპირას, სადაც ყაყაჩოები ნანაობდნენ, ერთხელ ცხენი შეაყენა ბრძოლისაგან დაღლილმა მურვანმა და ბალღობის გახსენება მოუნდა. ჩამოხტა ცხენიდან და ყაყაჩოების ყანაში სირბილით შეიჭრა. როცა ყანა განვლო, მთა შეამჩნია და მთის თხემზე ასვლა მოუნდა.

აირბინა რა ყველის ერისთავმა ურაველის მთის ფერდი, იგი თხემზე შედგა, მის წინ გადაშლილი სიმშვენიერის მხედველმა, უნებურად ლოცვა იწყო.

მთას უეცრად თეთრი ღრუბელი მოევლო და მასზედ დაჩოქილ მურვან ყველისციხელს მოეჩვენა, რომ უცხო საბურველში გაახვია იგი უფალმა. თბილი წვეთებით დაალტო წვიმამ, მურვანის გამელოტებული შუბლი. უნებურად წვიმის წვეთებს ხელი შეაგება ერისთავმა და გაოგნდა - „გასისხლფერდა წვიმა“, ჩაილაპარაკა მან და ამ დროს შეამჩნია თუ როგორი სისწრაფით მიუჯდა მას ჟანგისფერი მესხური არწივი.

არწივს ჭანგებიცა და ნისკარტიც სისხლისფერი ჰქონდა და როგორც ჩანს ნადირობისაგან დაღლილი ისვენებდა.

უნებურად გაეცინა მურვან ჯაყელს, არწივს მიუახლოვდა და მის სიახლოვეს ჩაიმუხლა. არწივი მშვიდად შეხვდა კაცის მიახლოვებას. მურვანმა ხელიც კი გადაუსვა თავზე, ნაომარ არწივს. ფრინველთა მეფე მოფერებასაც სიამით შეხვდა და გაიტრუნა.

ურაველის მთის თხემზე, ისხდნენ ასე ერთად კარგა ხანს დაღლილი სარდალი მურვან ჯაყელი და მესხური არწივი. ერთმანეთს მშვიდად შეჰყურებდნენ. კაცი გრძნობდა მხეცის ძალას, ხოლო მხეცი დრო და დრო გამოხედავდა კაცს და მასთან სიახლოვე მოსწონდა.

ბოლოს კი გაფრინდა ჟანგისფერი არწივი. მაგრამ უმალ მოტრიალდა და კვლავ ჩამოჯდა ყველისციხის ბატონის გვერდით.

- ჰე,ჰე,ჰე, არწივო, მთისაო, ჰე,ჰე,ჰე - ამბობდა მურვანი და ფრინველთა მეფეს კვლავ და კვლავ თავზე და ფრთებზე ეფერებოდა.

***

ფადლონ იბნ შავურზე ბრწყინვალე გამარჯვების აღსანიშნავად, ბაგრატ კურაპალატმა უხვად გასცა შესაბოძველი. 1068 წელს ივლისში, განძის ამირას დატყვევების შემდეგ, მისი ხაზინა ქართველთ დარჩათ. ბაგრატმა უხმო სარდალთ. ჯერ ივანე ბაღვაში დაასაჩუქრა, ხოლო შემდეგ მისი ერთგული ნიანია ქვაბულისძე აღავსო ოქროთი.

- სად არის ჩემი ერთგული მურვან ყველის-ციხელი? - მკაცრად იკითხა მეფემ.

- ურავლის ხეობაში, მთაზე, აგარად წოდებულ ადგილას, ტაძარს აგებს ყველის ციხის პატრონი - გასცა პასუხი ნიანიამ.

- ჯაყელებს უყვართ ტაძრების შენება - ბაღვაშებს კი ციხეების აგება - სიცილით თქვა ბაგრატ მეფემ და მისი სიტყვები ყველას დაამახსოვრდა.

მეორე დღესვე კლდეკარის სასახლეში განიხილავდნენ ბაღვაშები ბაგრატის ამ ამოძახილს. რას ნიშნავდა ბაგრატიონის ამგვარი გახუმრება, ჯერ არავინ იცოდა. ბაღვაშები ერთს კი ხვდებოდნენ - ფადლონ იბნ შავურ შედადიანზე გამარჯვებული ბაგრატ ბაგრატიონი ეხლა ახალ გამარჯვებას ელტვოდა. ვინ იქნებოდა მისი ხვალინდელი სამიზნე?

•••

მართლაც ტაძარს აგებდნენ ჯაყელნი. ფადლონზე გამარჯვებული სახელგანთქმული სარდალი და მისი ნათესავნი, სწორედ ურავლის იმ მთაზე იდგნენ, სადაც ერთი წლის წინ, მურვან ჯაყელი გააოცა არწივთან შეხვედრამ.

- აქ დავძმობილდით მე და არწივი მთებისა - სიცილით ამბობდა მურვან ჯაყელი და მოძმეებს შეჰყურებდა.

ჯაჭვი და ჯავშანი იქვე ეყარა, ტაძრის საძირკველს თავად აფუძნებდნენ ერისთავები, მურვანი, ბეშქენი, ბოცო, ივანე და მათი სახლიკაცები.

არქიტექტორად ბიზანტიაში აღზრდილი კირითხურო და მეომარი - ეფრემ მგელისციხელი შეარჩიეს

ადგილს აგარა ერქვა, ეკლესიასაც აგარის ეკლესია უწოდეს და მაცხოვარს მიუძღვნეს. თლილი ქვით ნაშენ ერთნავიან შენობას გარედან ფაქიზი სამკაულები დაუტანიეს. უხვად მორთეს. სამრეკლო აღაშენეს. ცალკე შენობად დადგეს ბერთა სატრაპეზო და მასზედ შემდეგი წარწერა აღმოკვეთეს:

„სახელითა ღმრთისაითა და მეოხებით წმიდისა იოანე ნათლისმცემლისაითა, ერისთავთა ბეშქენ და მურვანის მლოცველმან, მე ეფრემ ხელვყავ შენებად ტრაპეზსა ამას".

ნაწილი მეთერთმეტე

მესხეთი და ქალაქთა მაშენებელი მუსხი: მცხეთა, არსენ დიდი და ქალაქი ვალე

•••

ჩემი დიდებული მკითხველი, როგორც ჩანს კარგად ჩაწვდა ავტორის მთავარ აზრს, რომ „ჯაყელთა 1000 წელი“, ეს არამარტო ჯაყელთა, არამედ მესხთა ცხოვრების გადმომცემი წიგნია. ბოლო პერიოდში არაერთი მესხი მიკავშირდება ამის თაობაზე, რაც ძალიან მახარებს და მამხნევებს. უნიჭიერეს მესხებს თავიანთი კუთხეების ღრმად წარმოჩენა მოსწყურებიათ. ამას წინათ, უძველეს ქალაქ ვალედან ერთი გამოჩენილი კაცი დამიკავშირდა. მისი სახელია ვლადიმერ ზაქროშვილი. ბატონმა ვლადიმერმა გამაცნო მისი გმირული გვარის ისტორია. ზაქროშვილები - უძველესი მესხები არიან, მათი წინარე გვარი არის - მანველიშვილი. მანველიშვილებისა და ზაქროშვილების ისტორია, მართლაც შეუპოვარი და გმირულია. მომავალში -„ჯაყელთა 1000 წელი“, ყველა მესხურ გვარს გააცნობს მკითხველს. ბატონმა ვლადიმერ ზაქროშვილმა ქალაქ ვალეზე და მესხურ ქალაქებზე წარმოადგინა მეტად საინტერესო მოსაზრება, რომელსაც მესხი კაცის სიღრმე და შემოქმედებითობა ახლავს თან.

მეც მინდა გითხრათ ჩემი აზრი ძვირფასო მკითხველებო:

- გრიგოლ ხანძთელისა და შოთა რუსთველის ქართული ქვეყანა და მისი ერთ-ერთი კუთხე, ამ გენიოსების უშუალო მშობელი - მესხეთი, „ჯაყელთა 1000 წელში“ მთლიანად უნდა მოვიცვათ ჩემო მეგობრებო. მესხეთი უამრავი დიდი გვარის საცხოვრებელი ველია. ეს არის მართლაც გენიოსთა ადგილი. ამიტომაც დიდი მადლობელი დაგრჩებით, თუ მომაწვდით, თქვენი გვარების, ქალაქების, სოფლების, ციხე სიმაგრეების, ეკლესია-მონასტრების, საყდრების, ქვაბულების, ბაღების შესახებ ამბებს, რომლებიც მომავალ თაობებს უნდა შემოუნახოთ.

...

მესხები და ქალაქი მცხეთა

მესხები, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს მსოფლიოს ცივილიზაციის შექმნაში - თავდაპირველად „ნაყოფიერების ნახევარმთვარეზე“ იყვნენ განფენილი. ისინი ებრძოდნენ და ამარცხებდნენ ბაბილონის, ხეთების, ხათების, არამიელების, ირანისა თუ არაბეთის სახელმწიფოებს. ხუთი საუკუნის განმავლობაში მესხები შიშის ზარს სცემდნენ მაშინდელი სამყაროს ყველაზე ძლიერ მეფეებს. დღეს მესხების კვალი ადვილად მოიძიება, სირიაში, ერაყში, ირანის მთებში, კაპადოკიაში, ანატოლიის მიწაზე, ქალაქების - სამსუნის, რიზეს, ტრაბზონის, ყარსის, იბლისის ძველ უბნებში, სადაც გადარჩენილია სამყაროს ერთ-ერთი მთავარი საკაცობრიო ფესვი, რომელსაც ქვია - „მესხი“, „მუსხი“, „მეშეხი“ თუ „მოსობი“.

მესხებმა დაუდეს საფუძველი ქალაქ მცხეთას და ქართლის შუაგულში - იქ სადაც მტკვარი და არაგვი ერთვიან ერთმანეთს, ამ მაღალ-ინტელექტუალურმა ხალხმა გადაწყვიტა თავისი ცივილიზაციის ერთ-ერთი მთავარი ქალაქის დაარსება.

რატომ მაინცდამაინც არაგვისა და მტკვრის გადაკვეთაზე? მესხები შუმერებთან წილნაყარი ხალხი იყო. არავინ იცის, აღარავის ახსოვს, იქნებ აღარავის სჯერდება, მაგრამ შუმერთა ქალაქური არქიტექტურა კარგად იყენებდა ლერწამს. თავად შუმერთა ქვეყანას, რომელსაც ქი-ენგს უწოდებდნენ თავად „შავთავიანები“ - ლერწმის მიმართ ფართო ინტერესი გააჩნდა.

ქი-ენგი ნიშნავდა „ლერწმის მეუფის მიწას“, ჩვენ არ ვიცით, არის თუ არა „ქი-ენგი“ იგივე რასაც კოლხები „ქიანას“ ანუ ქვეყანას უწოდებენ დღესაც, მაგრამ ხმოვანებით ქი-ენგი და ქიანა ერთმანეთს მართლაც წააგავს.

გარკვეულ წილად შუმერები ლერწმის მეუფის ცივილიზაციას წარმოადგენდნენ და მათთან წილნაყარი მესხები იგივე საუკუნეობრივი გამოცდილებით იყვნენ აღვსილნი. შესაბამისად,

როდესაც ისინი დაეუფლნენ მტკვრისა და არაგვის შესართავს, მესხთა ყურადღება ერთმა ფაქტორმა მიიპყრო, რაც მათი სამეურნეო ცხოვრების მთავარი საფუძველი გახლდათ. მტკვრისა და არაგვის შესართავი ლერწამს მიჰქონდა. მათი ნავნავის მაცქერალი მესხები ბაგინეთის ფერდობზე ჩამოჯდნენ და ერთმანეთს გადახედეს.

უხსოვარ დროს - ქალაქი მესხთა - იგივე მცხეთა, შუმერთა სამშენებლო გამოცდილებითა და სამეურნეო ჩვევებით დაარსდა ორი მდინარის შესართავში, ლერწმის ყანაში. ქი-ენგის ცოდნის გამოყენებით მესხებმა ხელოვნური კუნძულებიც შექმნეს, სადაც მოსავლის რაოდენობა უეცრად გაიზარდა და მცხეთამაც სწრაფი აყვავება დაიწყო.

მესხები მიხვდნენ, რომ დიდი შუმერის ცივილიზაცია დასასრულს უახლოვდებოდა. ველური ტომების სიმრავლე, მათი მძვინვარება და შინააშლილობა, ანგრევდა ქი-ენგის კეთილშობილურ იმპერიას, ამიტომაც მთებში გამაგრება და მათი ღვთაებრივი ენის, სისხლისა და ერის გადარჩენა იყო საჭირო.

მცხეთა გახდა მესხთა მთავარი ქალაქი. მან შემოიკრიბა მრავალი თემი გარშემო და ხალხმრავალ ადგილად იქცა. რწმენა მრავალ - ღვთაებას მოიცავდა. ცხოვრობდნენ გვარებად, აგებდნენ დიდ მომრგვალებულ ქვის სახლს, რომელსაც საკრებულო ეწოდებოდა. შუაცეცხლი იმგვარად იყო მოწყობილი, რომ იგი მაღლა ჭერში პენტოგრამის ფორმის საკვამურით ბოლოვდებოდა. ამგვარი საკვამური რწმენის სიმბოლო იყო. ღამე ცა მოსჩანდა მუდამ. თანავარსკვლავედების ცქერისას მესხთა ბელადები თავისი ხალხის სამომავლო ლაშქრობების მიმართულებებს ადგენდნენ. შუადღეს როდესაც მზე დაადგებოდა პენტოგრამის ფორმის მქონე სახლს, მესხი მის სხივებს ახლად გამომცხვარი პურით უნდა შეგებებოდა. პურსაც იგივე ფორმას აძლევდნენ. იგი იყო პატარა მზე, რომელიც დიდ მზეს ხვდებოდა და ამგვარად სამყარო სახლის თავს ლოცავდა.

ქვის სახლის გარშემო უამრავი ლერწმის სახლი მოსჩანდა, მათ სახურავიც ლერწმისა ჰქონდა. სახლიკაცები საკრებულოში - ქვის სახლში მორიგეობდნენ, ბჭობაში მონაწილეობდნენ, ქალები კი ლერწმის სახლებში ბავშვებს ზრდიდნენ. მტკვრისა და არაგვის შესართავი თევზით იყო ცნობილი. გარშემო კლდეებზე მესხებმა გამოქვაბულების გამოჭრას მიჰყვეს ხელი. ეს საქმე მათ კარგად გამოსდიოდათ. მცხეთისაკენ მომავალი გზის დასაცავად, უამრავი გამოქვაბული გამოთხარეს, შიგ მეომრები ჩასვეს და მათ ბრძანება მისცეს მტერს ცოცხლად არ დანებებოდნენ, ქალაქი და თემი დაეცვათ.

ერთხელ, როდესაც კიმრების საბრძოლო ეტლები გამოსჩნდნენ, ჰაერში რამდენიმე ცეცხლოვანმა ისარმა გაიშხუილა და დაწნული ლერწმისაგან აშენებულ კოშკს დაერჭო. ლერწამი სწრაფად აალდა. მომხდურებმა იგძრნეს მესხთა ორგანიზებულობა და ეტლები მოატრიალეს. კიმრები დიდი მეომრები იყვნენ, სახელწოდება გმირი შესაძლოა კიმრიდან მოდიოდეს. მაგრამ ამჯერად ისინი უკუიქცნენ. მესხების მხედრობას მთელ აზიაში ჰქონდა სახელი გავარდნილი. ისინი არამარტო ომით, არამედ მთებისა და ფერდობების გამოთხრის ოსტატობით იყვნენ ცნობილნი. შემდგომ მრავალი საუკუნის განმავლობაში მესხებს ეს ცოდნა ფართოდ გამოუყენებიათ. შექმნილა ვარძიისა და კაპადოკიის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც დღესაც აოცებს მნახველს.

მესხები მცხეთას ღმერთთა ადგილსაც უწოდებდნენ. იგი მათთვის ზე-და ქალაქი იყო.

...

საუბარი პატივცემულ მესხ კაცთან - ბატონ ვლადიმერ ზაქროშვილთან.

- ეხლა რომ მკითხონ, ვლადიმერ ზაქროშვილო, რა გალაპარაკებს შენს კუთხეზეო - უმალ მიუგებ ჩვენი დიდი აკაკი წერეთლის სიტყვებით: „ისტორული სიმართლე მალაპარაკებს და არა ისტორიული გატაცება, რომ ჩვენი წარსული გასაოცარია! უძველესი დროიდან დაწყებული მისთანა ხალხი არ გამოჩენილა, რომ ამ პატარა ქვეყანას არ მოზღვავდებოდეს, ეგვიპტე, ბაბილონი, ასურეთი, არაბეთი, მონღოლეთი, საბერძნეთი და სხვანი სულ ამ პატარა ქვეყანას ეძალებოდნენ...“ -ამბობს ბატონი ზაქროშვილი.

- კი გვესეოდნენ, განსაკუთრებით მესხეთი იდგა დიდ იმპერიათა გზაგასაყარზე. გაგვიჭირდა დგომა ბატონო ვლადიმერ -ვამბობ მე.

- კვლავ აკაკის სიტყვით გიპასუხებ: „საქართველო იდგა როგორც სალი კლდე ზღვის პირას, რომელსაც უზარმაზარი ტალღები ეხეთქებიან, მაგრამ დაუძლურებულნი და ქაფად ქცეულნი უკანვე იქცევიან“.

- აბა რას გვეტყვით ბატონო ვლადიმერ თქვენ პატარა ქალაქ ვალეზე, რომელიც დღეს საქართველოს საზღვარს ნებსით თუ უნებლიეთ მიბრჯენია და გამშვებ პუნქტად გადაქცეულა.

- სწორედ ეგ თქვენი წინაპარი, დიდი ფეოდალი მირიან ბაჰლაუნდი, რომელიც რამდენიმე ქართული საგვარეულოს, ჯაყელთა, ხურსისძეთა, ფალავანდიშვილთა და სხვათა და სხვათა დამფუძნებლად მეგულება, ვალეში ცხოვრობდა. ვალე არ იყო პატარა ქალაქი. იგი გახლდათ მესხური ცივილიზაციის ერთ-ერთი საყრდენი პუნქტი და დიდი ფეოდალის ციხე-ქალაქი. - ამ სიტყვებზე ბატონი ვლადიმერის თვალებში იმგვარი ცეცხლი აბრიალდა, რომ გამახსენა თავად ზაქროშვილ-მანველიშვილების ისტორია, რომელიც მუდამ ქართულ საქმესთან ყოფილა შეკავშირებული.

- რა საბუთებია ამ მტკიცებისა - მოვითხოვე მე და განგებ იმგვარად ვთქვი, როგორც ძველ ქართლურ დიალექტში იყო გავრცელებული.

- ქალაქ ვალეში აღმოჩენილია დიდი გვირაბი, მე-9 საუკუნის ღმრთისმშობლის შობის ეკლესიის გვერდით. აქვე უნდა ყოფილიყო დიდი ციხე-სიმაგრე, სადაც მესხეთის ფაქტიური მპყრობელი და გიორგი ჩორჩანელის მემკვიდრე მირიან ბაჰლაუნდი, მხედრული სიმტკიცით გამორჩეული კაცი ცხოვრობდა. ნადირაძეების სახლთან, რომელიც აქედანაც მოსჩანს, არის უძველესი აბანო, გადახურული ოვალური დიდი ფიქლებით - ეს აბანო ჯაყელთა სასახლის აბანოს ნაშთი მგონია მე. იქ სადაც ახორეთის წყლები ჩამოედინება, გვირაბიც იქით მიემართება, ვებერთელა გვირაბია. მისი ბოლო თავდება იქ სადაც დღეს „ბოლო-ბოსტნებია“ განფენილი.

ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ ვალეს ეკლესია თავიდან ჯვარ-გუმბათიან ტაძარს წარმოადგენდა, შემდგომ იგი საკმაოდ დაზიანებულა, რადგანაც დედისიმედ ათაბაგს უკვე სამნავიან ბაზილიკად აღუდგენია და მისთვის ერთი წყვილი სვეტიც მიუმატებიათ. ეკლესიის თვითოეულ ნავს საკუთარი სახურავი აქვს, შუას ორკალთიანი, გვერდებისას კი ცალკალთიანი.

როდესაც მე-20 საუკუნეში ეკლესიას რესტავრაცია გაუკეთეს, იგი თითქმის მიწით ყოფილა დაფარული, დიდძალი მიწა გაუტანიათ მისი ეზოდან. რომ იცოდეთ ეს მიწა გარედან კი არავის შემოუტანია, არამედ ეს არის დაქცეული ციხე-დარბაზის ნაშთი. ციხე-დარბაზს უამრავი სამეურნეო შენობა ექნებოდა, რომლებიც შემოსევის დროს დაიქცა და მიწად იქცა. დღესაც ჩვენი ტაძრის სამხრეთის მხარე კიდევ გასაწმენდია. ჩვენი სასიქადულო შოთა ლომსაძე, „მესხებში“ წერდა რომ ვალეს ეკლესიას გალავანი ჰქონდაო. ასეც იქნებოდა, მაგრამ ყოველივე დაინგრა.

- საინტერესოა მართლაც - ვალე სახელიც მიმზიდველია - ვფიქრობ მე ხმამაღლა და პატივცემული რესპონდენტი აგრძელებს:

- მე ვიცი ჯაყელთა ისტორია, თქვენც იცით, მაგრამ რასაც ეხლა მოგიყვებით უთუოდ თქვენც გამოგადგებათ და თქვენი მკითხველისათვის მნიშვნელოვანი იქნება. მოგეხსენებათ, რომ მირიან ბაჰლაუნდი ჩაესიმა დიდი მესხეთის მფლობელს გიორგი ჩორჩანელს, რომელიც უკანასნელი იყო მისი დიდებული გვარიდან. ლატავრა ჩორჩანელი გადარჩა როგორც ბოლო წარმომადგენელი ამ დიდებული დინასტიისა და ეს ლატავრა დედა გახდა სამი ვაჟისა, რომლებსაც ერქვათ: სულა, ბეშქენი და ლაკლაკი.

რაც მთავარია, სწორედ ვალეში, მირიანის შვილიშვილის, მირიან II ოჯახში დაიბადა დიდი სასულიერო მოღვაწე არსენი, რომელსაც შემდეგ უკვე არსენ დიდად მოვიხსენიებთ.

რადგანაც ქრისტიანობა სწორედ მესხეთში ჰყვაოდა, დიდი მესხის დიდი ქართველის - გრიგოლ ხანმთელის საქმიანობის შედეგად, პატარა არსენიც 6 წლის ასაკში, გრიგოლ ხანმთელთან იქნა წაყვანილი აღსაზრდელად და განსაკუთრებით იმისათვის რომ გამოჩენილი მოღვაწე გამხდარიყო.

- როგორ მოხერხდა პატარა ბავშვის ამ ვებერთელა პიროვნებასთან, მხედველობაში მყავს გრიგოლ ხანმთელთან, მიბარება? - ვეკითხები ბატონ ზაქროშვილს.

- წმინდა გრიგოლ ხანმთელი მეფეებზე მაღლა იდგა მაშინ, მეფე და დიდებული მას ვერ უბრძანდებდა, შვილი გამიზარდეო. რაც ყველაზე საინტერესოა, თავად გრიგოლ ხანმთელი ახლოს იყო ჩორჩანელთა საგვარეულოსთან. იგი ნათესავი იყო მირიან მთავრის. სწორედ აქედან ჩანს, რომ ალბათ ერთხელაც შეხვდა დიდი მოღვაწე, პატარა არსენს და მისი გულისყური მიიპყრო ამ ბავშვმა, თავისი აზროვნებით და ანგელოზებრივი გარეგნობით.

- მიავლინეს არსენი გრიგოლ ხანმთელთან, ეს იმ დროისათვის უნდა ყოფილიყო უფრო მეტი განათლების მიღების შანსი, ვიდრე ის რასაც დღეს ოქსფორდი და ჰარვარდი ჰპირდება თავის მსმენელებს - ვთქვი მე.

- უფრო მეტიც, ბერძნული აკადემია, უკვე გაუქმებული იყო, პირველი უნივერსიტეტი კი ბოლონიაში მე-14 საუკუნის დასაწყისში დაარსდა, ამგვარად, გრიგოლ ხანმთელის საგანმანათლებლო სამონასტრო სკოლა, იმ დროისათვის ყველა შემდგომი დროის უნივერსიტეტს აღემატებოდა. ეს განათლება სწორად იქნა გამოყენებული არსენის მიერ. იგი შეიქნა უადრესად სწავლული და არსენ დიდი მცხეთის კათალიკოსი გახდა 897 წელს.

საქართველოს მაშინდელ მფლობელს გუარამ მამფალს არ სურდა მცხეთის საკათალიკოსო სხვა საგვარეულოსათვის დანებებინა, მაგრამ არსენ დიდის მამა, მირიან II მთავარი სამცხისა იმდენად ძლიერი ფეოდალი ყოფილა, რომ მას გუარამ მამფალმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაუბედა და თითქოსდა დანებდა კიდეც. შემდგომ როდესაც გუარამ მამფალმა შეაგულიანა ეკლესიის მამები და არსენ დიდის გადაყენება მოინდომა კათალიკოსის ტახტიდან, მაშინაც, საეკლესიო კრებაზე, რომელიც ჯავახეთში იქნა მოწვეული, არსენ დიდი მცხეთის კათალიკოსად იქნა დადგენილი.

თუ არსენი დაიბადა 820 წელს, მაშინ იგი 826 წელს მიუყვანიათ ხანმთაში მამა გრიგოლთან. საინტერესოა, რომ გრიგოლ ხანმთელმა მას 20 წლიანი განათლების კურსი დაუნიშნა. 845 წელს არსენი ამთავრებს იმდროინდელ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სკოლას, რომელსაც გრიგოლ ხანმთელი უზის რექტორად. 850 წელს არსენი უკვე მცხეთის კათალიკოსია. გინდათ გითხრათ რა სიტყვებით ამკობს მას ბრძენი გიორგი მერჩულე:

„არსენი, რომელსაც ეწოდა ღირსად დიდი არსენი, ქართლისა კათალიკოსი და მცხეთისა საყდრისა გვირგვინი დაუჭნობელი...“, რომელმაც - „სიხარული მოჰფინა, რამეთი საყდარი მამამთავრობისაი შეამკო სრულიად და შეიმკო მადლითა“. აი ასეთი იყო დიდი არსენი გიორგი მერჩულეს სიტყვით.

სამცხის დიდ მთავარს მირიან II მეუღლედ ჰყავდა ცნობილი ქალბატონი დედოფალი კრავაი. ჩვენ არ ვიცით ამ ქალბატონის გვარი, მაგრამ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს სახელი მტკიცედ შემოდის ჯაყელთა დინასტიაში და მრავალი საუკუნის განმავლობაში ამ სახელით არაერთი ქალბატონი მოიხსენიება.

- გავაგრძელოთ სახელგანთქმულ ქალაქ ვალეს აღწერა ბატონო ვლადიმერ, მართლაც საინტერესოა ამ გვირაბის ისტორია.

- გვირაბი მიემართება ფოცხოვისა ხეობისაკენ და ასევე ირქის ეკლესიისაკენ. მირიანის ძეთა სასახლის საძირკველი დღესაც მოსჩანს. ამ ადგილას გათხრები რომ ჩატარდეს ბევრი რამ იქნება მოძიებული. ადგილობრივი მკვიდრის პანტელ ნადირაძის გადმოცემით - დიდი წვიმების დროს ეს აბანო მთიანად ივსება, მაგრამ მას მიწისქვეშა თიხის გამომწვარი მილებით დღესაც მომქმედი არხები გააჩნია, შესაბამისად მესხი ოსტატების გაკეთებული ეს უძველესი აბანო, დღესაც არ „იჭედება“. დაგროვილი წყალი თავისუფლად გადის და სადღაც იქცევა.

- საინტერესოა ბატონო ჩემო, აბანოს ოსტატები ყოფილან ძველი მესხები.

- დიახ, მაგრამ უფრო მეტსაც გეტყვით, ვალეს წმინდა ღმრთისმშობლის შობის ეკლესიის ეზოში მოიძებნა უძველესი ძეგლი - რომელსაც „კრავაი“ ჰქვია, ამგვარი ძეგლებია ძალიან იშვიათია საქართველოში. საფიქრალია, რომ ეს გახლავთ მირიან სამცხის მთავრის მეუღლე - დედოფალი კრავაი, რომლის სახელი შემდეგ ეწოდა, დიდ ქართველ დიპლომატ ქალბატონს, თამარ მეფის სეფექალს - კრავაი ჯაყელს.

„სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლების “ ავტორმა, აკადემიკოს ვახტანგ ბერიძემ გამოიკვლია ასომთავრული წარწერა, რომელიც მოგვითხრობს დედისიმედ ათაბაგის მიერ 1561-1564 წლებში ვალეს ეკლესიის აღდგენის ამბავს. საფიქრალია რატომ აღადგინა დედისიმედ ათაბაგმა სწორედ ეს ეკლესია? თავად დედისიმედი იყო გვარით მუხრანბატონი, იგი გახლდათ ქეთევან წამებულის ღვიძლი და. დედისმედი შეუყვარდა ათაბაგ ქაიხორსო ჯაყელს და მისი ხელი მოსთხოვა მუხრანბატონებს. ჯაყელებთან დამოყვრება დიდი პატივი იყო მუხრანბატონებისათვის. დედისიმედი გახდა ათაბაგთა დედოფალი და თავად ათაბაგი. შემდგომ როდესაც ქაიხორსო ათაბაგმა სული დალია, დედისიმედი მართავდა სამცხე-საათაბაგოს. ჩემის აზრით მისთვის მისაბაძი იყო დედოფალი კრავაი, რომელიც მირიანის გარდაცვალების შემდეგ ასევე დამოუკიდებლად მართავდა სამცხეს. თითქმის 650 წელი აშორებს დედისიმედ ათაბაგს კრავაი დედოფლისაგან. მაგრამ რა არის 650 წელი თუ გვაქვს იდეალები და ინფორმაცია. როგორც ჩანს ჯაყელთა სახლი მკაცრად აღწერდა საკუთარ ისტორიას და აცნობდა შვილებს მის ხასიათს. რაც მუდამ მისაბაძი იყო ყველა სხვა საგვარეულოსათვის.

- საინტერესოა საიდან იწყება ჩორჩანელ-ჯაყელთა სამწერლობო ინიციატივები ბატონო ვლადიმერ - ვეკითხები ჩემს საინტერესო მთხრობელს.

- სწორედ არსენ დიდმა, მცხეთის კათალიკოსმა სათავე დაუდო ჩორჩანელ-ჯაყელთა სამწერლობო საქმიანობას. არსენ დიდს ეკუთვნის ჰაგიოგრაფიული ძეგლი - მოსახსენებელი აბიბოს ნეკრესელისა, რომელიც იწამა სპარს დამპყრობელთა მიერ ქართლში მე-6 საუკუნეში. ძეგლს ეწოდება - „შესხმაი და მოსახსენებელი წამებისაი...აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისაი, რომელიც იწამა ცეცხლის-მსახურთა მიერ ქართლს, თქუმული არსენი დიდი, ქართლისა კათალიკოზისაი“. ეს ნაწამოები სავსეა დიდი ლიტერატურული ღირსებით, ასევე იგი სავსეა ფილოსოფიური ძიებებით.

- დიდებული პიროვნება ყოფილა არსენ დიდი ბატონო ვლადიმერ, მისი სხვა ნაწარმოებებიც ხომ არ შემოგვინახა ისტორიამ?

- დიდმა არსენ ჩორჩანელ-ბაჰლაუნდ-ჯაყელმა კიდევ ერთი ცნობილი ნაწარმოები შექმნა, რომელიც ისტორიამ შემოგვინახა. არსენ I-ს ეკუთვნის პოლემიკური თხზულება „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“, რომელიც განსჯის ქართველ-სომეხთა სარწმუნოებრივი ურთიერთობასა და განხეთქილების მიზეზებს, ასევე მიზნად ისახავს ამ დიდი „განყოფის“ პოლიტიკურ-სოციალური და დოგმატიკურ მიზეზების გარკვევას.

- ბატონო ვლადიმერ, დიდ მადლობას გიხდით დახმარებისათვის, თქვენგან დიდი ინფორმაცია მივიღე და ასევე თქვენს მიერ შედგენილი და ჩემთვის გამოგზავნილი ქალაქ ვალეს ისტორია, მომავალში აუცილებლად გამომადგება ჩემი ისტორიულ-დოკუმენტური რომანის „ჯაყელთა 1000 წლის “მთავარი იდეის გასანვითარებლად -ამ სიტყვებით დროებით დავემშვიდობე მესხეთს, მის ერთ-ერთ გამორჩეულ პიროვნებას ბატონ ვლადიმერ ზაქროშვილს და თბილისში დავბრუნდი.

კახაბერ ჯაყელი

2016 წლის მაისი

ნაწილი მეთორმეტე

მესაზღვრე ერისთავი - ბეშქენ II ჯაყელი (1118 წელი)

თავდასხმა აღდგომის ღამეს - ბეშქენ II ჯაყელის თურქთაგან მოკვდინება

1118 წელი

ჯავახეთის გზა რომ მგლის ბილიკი იყო - იცოდა სელჯუკთა სარდალმა ულუ-სიქარმა, რომელსაც დიდი ლაშქრობებისაგან დასვენების დროს უყვარდა მარბიელი ცხენოსანი ჯარით უცხო მიწაზე უეცარი სტუმრობა.

საუკეთესო ცხენები დიდხანს დგომას არ მიაჩვიო - შვილო სიქარ, - ჩასძახოდა ყურში მამამისი, გარდაცვლილი სულთანი მარაშისა. რაც მამა დაკარგა, მას შემდეგ აისხა იარაღი სიქარმა და ურწმუნოთა წინააღმდეგ რამოდენიმე ომში ჭეშმარიტი მაჰმადიანის ერთგულებითა და გულმოდგინებით იომა.

სიქარის ძმა ქარიაფა მამის შემდეგ რომ სულთნად დაჯდა წერილს წერილზე უგზავნიდა ულუ-სიქარს, დამიბრუნდიო სთხოვდა და მზად იყო მისთვის ნახევარი სასულთნო გაეყო. მზეთუნახავი ქიაფირებითა და მხევლებით შემორტყმული ქარიაფა, სასახლესაც გაუყოფდა ერთადერთ ძმას თუ იგი დაბრუნდებოდა და სულთნის სასახლეში მეორე კაცად დაბრძანდებოდა.

ძმის სასახლის წარმოდგენისას იღიმებოდა ულუ-სიქარი, ეხლა ამ წუთას, თავისი ათასეულით რომ მიუყვებოდა ჯავახეთის გზას უკუნ ღამეში. „მშვიდობის მოყვარული წითელ-წვერა ქარიაფა ზის ეხლა თავისი ცოლებით გარშემორტყმული და მიირთმევს ალბათ ცხელ კაჰვეს ტუჩების დაფუფქებამდე, ამ დროს შემოაქვთ მის მრავალრიცხოვან ბავშვებს უთვალავი ტკბილეული და ბრძენი ფარიხ ადდინი, სულთნის მარჯვენა მხარეს რომ გადაწოლილა, ხმამაღლა უკითხავს მათ ისკანდერიზის ლექსებს, ოჰჰჰ ჩემო სულო, ოჰ ჩემო ვნებავ, მოიცა როგორ არის.....გავიხსენო, ლაშქრობებმა ლამის გამომაშტეროს -

„ოჰ სულო ჩემო შემოიძარცვე შენი სამოსი

ძუძუთა შორის რომ ხევია იქ შემახედე

წესად არა მაქვს რომ აგხადო ძალად ნამუსი

ძუძუთა შორის ხევი როა იქ შემაფერხე“

აღიღინდა თეთრჩალმიანი რაინდი და ცხადად წარმოიდგინა თუ როგორი მოთენთილობით მიმოდიან ვეზირები მარაშის სულთნის კარზე და ყველა, დიდი და პატარა ელოდება დაღამებას, რათა ბნელი ცის-კამარის ქვეშ თავის საყვარელ მხევალთან განმარტოვდეს და ბოლომდე მიიყვანოს საქმე დაწყებული წინა ღამეს, როდესაც თბილი თაფლი გაზავებული გურჯისტანის მოტკბო წითელ ღვინოში

ძუძუს თავებზე ქონდათ ნაპკური ალებსატრივით თეთრ-ბეჭიან ქალებსა თუ კაკაბივით მოგოგმანე სპარსელ ღულამებს, რომელთა დამღუპველი სინარნარე გონებას ურევდა მრავალ მარაშელ დიდგვაროვანს.

ოჰ შაითან - აი ეს არის რომ გვასუსტებს და ძალას გვაცლის, მოთენთილობა, ქიშმიშნარევი კაჰვეთი ტუჩების გამოფუფქვა, ტკბილი ფლავით მუცლის გაბერვა, გურჯების ღვინით თრობა, სომხის, ბერძნისა თუ ებრაელი ქალებით მოყირჭვა, დაირის ხმაზე როკვა და ცხელი შადრევნის პირას დაძინება, მეორე დილას საკუთარი თავის ვერ ცნობა და პირით იმის ღებინება რაც წყეულმა გვაჭამა და გვასვა - ჩურჩულებდა ძმის წარმოდგენისას ულუ სიქარი და უკვე გახარებული იყო იმით რომ წმინდა ჯიჰადის ერთ-ერთი მძლავრი სარდალი იყო და ეხლა სწორედ ურმუნოების ქვეყნის გულისაკენ ჯავახეთისაკენ მიემართებოდა.

რა იცოდა სიქარმა ჯავახთა შესახებ ეს უკვე საკითავი იყო. ხალიფას კარზე აღზრდილი ვაჟკაცი თავისუფლად ფლობდა არაბულსა და სპარსულ ენებს, თურქულთან ერთად - მის მიერ ჭადრაკისა და კილიჯის (ხმალი თურქული) შეთვისება, ბავშვობიდან გავლილი ფათერაკიანი გზის გაადვილების წინაპირობა იყო.

„მამის კარზე რომ ჭადრაკი ძალად არ ესწავლებინათ ჩემთვის, განა მოვიგებდი კი იმ ბრძოლებს, რომელთა შინა გამარჯვება ჩემთვის სასიცოცხლო იყო, ან კი კილიჯის შეუთვისებლად აქამდე ხომ ათასამდე ბროლას, ლაშქრობასა და წმინდა ჯიჰადის სამსახურში ყოფნას საეჭვოდ გადავაქცევდი?“-ფიქრობდა სიქარი, და იგონებდა განჯაში დატოვებულ შვიდი წლის ერთადერთ ვაჟს, რომელსაც დამშვიდობების ღამეს კიდევ ერთხელ დახედა სალაშქროდ გამზადებულმა ულუ სიქარმა. მოწითალო თმიან გასაოცარი სილამაზის მირზას დედის გვერდით ეძინა, სიქარმა ინდური ქვებით მოჭედილი მცირე ზომის ჭადრაკის ყუთი სასთუმლის ქვეშ ამოუდო მირზას, შუბლზე აკოცა მას, უეცრდად გამოღვიძებულ ლურჯთვალება ფათმან ხათუნს თვალი ჩაუკრა და მხედრის მოქნილობით სწრაფად დასტოვა, მისი სიმამრის ალი-მორდალის სასახლის კარი.

„ჯავახეთში გავინადირებთ, ნადავლს მოვკრეფ, ძალას მოვიკრებ და მარაშში ძმას ვეახლები, მისი სასახლის გვერდით ფირუზის-ფერ, ავივნებიან სასახლეს დავდგამ, მშობლების მავზოლეუმთან ახლოს. ხშირად მივალთ მე და სულთან ქარიაფა მამისა და დედის საფლავზე. იქვე შადრევანი რომაა, მაგ შარდევანთან ჩამოვჯდები, ბრძენი ისკანდერიზის ლექსებს წავიკითხავ, სპარსული პოეზიის ასპარეზობებს გავმართავ, თურქ პოეტს იქ არ გავაჭაჭანებთ, ვიქნებით წყნარად, გამოვრზდით შვილებს - ჩემს მირზას მეცნიერად ავღზრდი, ეყო ჩემს გვარს რაც იომა და სისხლი ღვარა, რა სჯობს იმის მიღწევას, რასაც დიდი ბრძენი ეწოდება. თუ მირზამ წიგნი შეიყვარა და კილიჯი (მოხრილი გრძელი სელჯუკური ხმალი) შეიძულა, ბედნიერი კაცი ვიქნები, აწი ჩემი ძმის შვილებმა, სულთნის ძეებმა იქნიონ თავისი ხმალი, საკუთარი სასულთნოს დასაცავად, მე კი, მხოლოდ თუ მირზა გამომყვა, თუ ფატმან ხათუნმა

თავისი ჯიშით არ აიყოლია ის, ჩემი უსაყვარლესი მირზას მსახური ვიქნები, სადაც ის წავა მეც თან წავყვები ლანდივით, ხორასანში გინდა შვილო განათლების მიღება კი ჩემო ბეი, სასახლეს აგიგებ ხორასანში და მე მამა შენი მცველად დაგიდგები, ბუხარაში გინდა ექიმობის ხელოვნების შესწავლა, მე შენი დერვიში ვიქნები ჩემო ერთადერთო, ისფაჰანში მოისურვე ალ-ჯებრისა (ალგებრა) და ალ - მუკაბალას (გეომეტრია) შეთვისება, მე შენი მუსტასიბი ვიქნები, ამ გრძელ ხმალს - სუფიას ჯოხში საფუძვლიანად დავმალავ და მოგყვები ჩემო ვარსვლავო“ - ჩურჩულებდა სელჯუკთა სარდალი, ჯავახეთის მთებზე რომ მიუყვებოდა, მოკიაფე ვარსკვლავებს შორის, საკუთარი ვაჟის მომავალ მბრწყინვალებას შეჰხაროდა.

***

ადგომის წირვის წინ საზეიმოდ გამოეწყო ჯავახეთი. დიდი მარხვა თავის საზეიმო დასასრულს მიახლოვებულიყო. მეწამულისფერი ცა ქუდივით ეხურა დედამიწას და ბუნება თვლემდა თითქოს იმ კუთხეში რასაც დიდი მესხეთი ერქვა. ჯავახეთი ხომ მესხეთის განუყრელი ნაწილი იყო, მაგრამ ეს განუყრელი ნაწილი უამრავი სისხლიმგვრელი შეტაკების მნახველი გახლდათ.

ჩვენი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნეში ჯავახეთი ქართული კუთხე გახლდათ, მაგრამ მისი დიდი ნაწილი მალე დაპყრობილი იქნა სომეხთა მიერ. „დიდი ჰაიქის“ შემადგენლობაში ჯავახეთის ზოგიერთ თემს მანამ გაუძლია, სანამ არშაკუნების სომხური დინასტია სრულიად არ იქნა განადგურებული. ამ დროს და მის შემდგომ ჯავახეთის დიდ ნაწილს ვარძავუნთა გვარის ფეოდალები მართავდნენ. მე-10 საუკუნეში ჯავახეთის ნაწილი დროებით ისევ სომეხი ბაგრატუნების სამფლობელოში მოექცა. მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში - მთელი ჯავახეთი და მათ შორის სომეხთა დაპყრობილი თემები, ძალით დაიმორჩილეს ადგილობრივმა ჯაყელებმა, რომელთა ხმლის ძალამ გადასძლია ვარძავუნთა ნაშიერებს. დაბა ზრესკის მიდამოებში ჯაყელებმა პირწმინდად გაანადგურეს ახალ - ვარძავუნთა სომხური მხედრობა და მხარე მანამდე ჩაიგდეს ხელთ, სანამ მათ საქართველოს მეფე ამ კუთხეს საერისთავო უფლებით დაუკანონებდა. დაბა ზრესკის მიდაომებში არსებული სომხური სასულიერო კერა გამარჯვებულმა ჯაყელებმა შეუნარჩუნეს დაყმევებულ სომხებ და ეხლა სწორედ იქით მიაგელვბდნენ ისინი თავიანთ ბედაურებს.

***

ბეშქენ ჯაყელს ელოდნენ მესხები ზრესკის საყდარში. თუხარისის ერისთავი დიდი დავით მეფის უახლოეს კაცად ითვლებოდა ერისთავებს შორის. არადა მეფე და ერისთავი არც ერთად გაზრდილან და არც ასაკით იყვნენ ტოლ-სწორი. დავით IV

ბაგრატიონი დიდად აფასებდა თუხარისის ერისთავს. მის ერთგულებას, თავდადებას და ჭკუას ყოველთვის გამოარჩევდა ხოლმე. სამხედრო თამაშების დროს მხოლოდ ბეშქენს შეეძლო დიდი მეფის სამხედრო ამოცანის ზედმიწნევნით შესრულება და როგორც ჩანს მისმა ჩაფიქრებულმა, განზრახვაზე მომართულმა გონებამ, მცირედით კმაყოფილებამ ლაშქრობის დროს, სულიერმა სიმშვიდემ და განსწავლულობამ ბეშქენ ჯაყელს განსაკუთრებული ადგილი მოუპოვა დავით აღმაშენებლის გონებასა და გულში.

„აი ამგვარი მეომრები და ამგვარი სარდლები მინდა ყოველი კუთხით და მთელს სპარსეთს, ხორეზმსა და ჩინმაჩინის იმპერიებს საქართველოს ყმადნაფიცად გადავაქცევდიო“-უთქვამს ერთხელ დავით მეფეს თავისი ამალის წევრთა გასაგონად.

ამალას გაუგია მეფის სიტყვები და ბეშქენ ჯაყელის მოსპობა გადაუწყვეტია.

***

ზრესკის საყდარში - ეპისკოპოსის საზაფხულო რეზიდენცია იყო, სწორედ იქ ელოდა ბეშქენი თავის მესხებს და სახლთუხუცესს. ჩირაღდნებით იყო განათებული ეზო როდესაც ლასურისძე შემოუძღვა მესხ აზნაურებს ისინი შედგნენ და ბეშქენ ჯაყელს გადაეხვივნენ. ლასურისძე მიეტევა ჯერ თავის აღზრდილ ერისთავს, დიდიხნის უნახაობით მოიკითხეს ერთურთი ბეშქენმა და ლასურისძემ.

- მნიშვნელოვანი საქმე მაქვს თქვენთან - ბრძანა დავით მეფის ამალიდან საიდუმლოდ შემოქცეულმა ბეშქენმა და აზნაურები მის გარშემო დაირაზმენ - „დიდი ომი გველის?“ - იკითხა ერთმა. ბეშქენი უმალ შემოტრიალდა და იმას რომელიც ომი გველისო კითხულობდა უთქმელად თვალებში ჩაცქერდა.

ბეშქენ რკინისებური მზერა ჰქონდა მაგრამ რაღაც შეცვლილა, უფრო ჩაფიქრებული გამხდარა - გაიფიქრა გამზრდელმა ლასურისძემ და თუხარისის ერისთავის წინ, ხის ტახტებზე დაბრძნდითო უთხრა აზნაურებს.

***

„დიდი ომი გველისო რომელმან იკითხა, მოვიდეს ჩემთან“ - თქვა უეცრად ბეშქენ ჯაყელმა. წამოდგა ჭაჭკარის ერის-მამასახლისი, არგვიანი ზაბახა და გაკვირვებული სახით მიუახლოვდა ბეშქენს.

- აი თქვენს წინაშე ვარ მე, როგორც დუშმანი. ამოიღე სატევარი და დამარტყი, ვნახოთ თუ ხარ მზად დიდი ომისათვის. - თქვა წაბლისფერ წვერულვაშიანმა ბეშქენმა და ზაბახას თვალი თვალში გაუსწორა.

არ ელოდა ჭაჭკარელი, პატრონისაგან ამგვარ გამოწვევას, გაკვირვებით გადახედა სხვა აზნაურებს და როცა თავად სახლთუხუცესის მდუმარე თვალებს მიაკვლია, მიხვდა რომ უკან დასახევი გზა არ ქონდა და თითქოს ზარმაცად დაიდო ხელი სატევარზე, მაგრამ უეცრად ახტა და პატრონს მივარდა. თავისი ძალის იმედი მუდამ ჰქონდა, სისწრაფეც არ აკლდა და პატრონს მთელი სიმძლავრით რომ დაესხა თავს, ამგვარს მაინც არ მოელოდა. წამში ბეშქენმა უკან გადადგა ნაბიჯი ზაბახამ თავი ვერ შეიკავა, თუხარისის ერისთავის მძლავრმა მარჯვენამ მას ხელი ზურგს უკან მოუქცია და ზაბახა მიწაზე წამოაჩოქა.

- დააგდე სატევარი, არ ხარ მზად ომისათვის ზაბახა ჭაჭკარელო, მინდა ყველამ გაიგოს ის რაც დავით მეფემ დამაბარა თქვენთან - გონს მოეგეთ, აზნაურნო, მარტო პირობის მიცემა არაფერს არგებს ჩვენს სამეფოს, თუ არ გაიწვრთნეთ, თუ არ შეითვისეთ და ისწავლეთ - იცოდეთ სელჯუკს ვერ დავამარცხებთ.

- რა უნდა ვისწავლოთ ბეშქენ ბატონო, ხმალსა და სატევარს ბალღობიდან ვსწავლობთ - იხუმრა სახლთუხუცესმა.

- აქ სატევარზე არ არის საქმე, თურქის დამარცხება არ არის იოლი, მეფეს სამი წელი დასჭირდა იმისათვის რომ ჩვენი მხედრობა ველზე სელჯუკთა ლაშქართან გაეტოლებინა. ლასურისძევ, შენი იცი - თურქთა შეძახილზე შიში ეპარებოდა გიორგი მეფის სპას და მთისაკენ გარბოდა, რადგანაც ველზე დგომას არ იყვნენ ჩვეულნი ისინი.

- მართალი ხარ შვილო - თქვა ლასურმა და ამ დროს გულზვიადად ამოიღეს ხმა დანარჩენმა აზნაურებმა:

- რა ვისწავლოთ და სად, ჩვენ მზად ვართ მეფისათის მოვკვდეთ ბეშქენ პატრონო - ამბობდა სათლის ერისთავიშვილი გიორგი, რომელიც თვალებს ხშირ ხშირად ახამხამებდა და როგორც ჩანს ჩირაღდნის შუქზე მხედველობა უჭირდა.

- დაშოშმინდით და მოისმინეთ თუ რა მესაუბრა დიდმა მეფემ - ბრძანა ბეშქენ ჯაყელმა და დარბაზში სიჩუმე ჩამოწვა.

რასაც ბეშქენ ჯაყელი უამბობდა თავის რჩეულ აზნაურებს, ეს ამბავი ათიოდე დღის წინ ოქროს ქვაბში მოხდა ტაბაწყურის ტბის პირას.

***

დევის ქვაბულის განაპირას, ტბის პირას ასიოდე მხედრით გარშემორტყმული ლოდზე იჯდა დავით მეფე და თავის ყველაზე გამოცდილ და გაბედულ ერისთავს - ელოდა, რომელსაც მისთვის მთავარი ამბავი უნდა ეცნობებინა. ამ მთავარი ამბის

გაგებას ისე მიელტვოდა დავით მეფე რომ მას წაღვლის ციხეში ან გეგუთის სასახლეში გული აღარ უდგებოდა და თავად შესახვედრად გამოელაშქრა, ბაკურიანისა და ციხისჯვარის მიმართულებით.

ციხისჯვარელი ფეოდალები გაფრთხილებულები იყვნენ რომ მეფე მათ მიწაზე უჩუმრად გადაადგილდებოდა და ისინიც გულის ბაგაბუგით ელოდნენ დაძახებას დავითისაგან. სანამ იგ მათ არ დაუძახებდა მანამ ისინი თავიანთი მხრიდან ყოველგვარ ქმედებას მიუღებლად სთვლიდნენ.

თორელნიც ელოდნენ მეფეს, მაგრამ დავითი იდუმალი მბრძანებელი იყო, ამიტომაც თორელნიც გულდინჯად მიელტვოდნენ მეფისაგან მოვლინებულ მალემსრბოლს რომელიც არ ჩანდა. თორის ციხეებზე გუშაგები არემარეს გადაჰყურებდნენ მაგრამ ჩქამიც კი არ იძვროდა.

დავითი კი ამ დროს ტბის პირას იჯდა და ბერძნულ წიგნს კითხულობდა ეპიმანონდას სტრატეგიის შესახებ და ხანდახან ცას აჰხედავდა.

მეფის ლურჯი თვალები, ცის შუქზე კიდევ უფრო გადაკრიალდებოდა და მაღალი მთების თავანკარა ტბებს დამესგავსებოდა. დავითი მუდამ რაღაცას იწერდა, მისი ხელწერა, უნაგირსა და ფარზე გადაშლილ პერგამენტს რომ უეცრად აზრებით აავსებდა იმ დროინდელ კაცთათვის მისაბაძი იყო.

ჩუხჩები გაფრთიხლებულები იყვნენ რომ მეფესთან ბეშქენ ჯაყელი შემოეშვათ. მკაცრი იყო ჩუხჩთა ათასეულისთავი გაბრიელი და იგი ზედმიწნევნით ასრულებდა მეფის სურვილებს.

დიდ მარხვის ჟამი იდგა და ჯვალოს სამოსიანი, მარტოოდენ მოკლე ხმლისა და სატევარის ამარა მორთული ბეშქენ ჯაყელი, მისთვის დამახასიათებელი სიდინჯითა და თავმდაბლობით მიუახლოვდა, ლოდებს შორის ჩასაფრებულ სამეფო ჩუხჩებს. გაბრიელი მიუახლოვდა ბეშქენს, ისინი ერთმანეთს თავის დაკვრით მიესალმენ და შემდეგ ჩუხჩებმა გაბრიელის ნიშანზე, ერისთავისათვის გზა გახსნეს.

იარაღი - ჩუხჩების ფეხებთან დააწყო თუხარისის ერისთავმა და მარტო ერთი წიგნის ამარა ეწვია, დევის ლოდზე მჯდომ, მაღალ გამხდარ, სახეაწითლებულ, წაბლისფერ წვერულვაშიან, უბრალო ბიზანტიურ ლაბადაში გახვეულ მამაკაცს, რომელსაც ჭაღარა უკვე საფუძვლიანად შეჰპარვოდა.

- მობრძანდი ბეშქენ ჯაყელო, მოდი გადაგეხვიო, ჩემო მესხო, განსწავლულობითა და აზრით მდიდარო კაცო - თქვა დავით მეფემ, წამოიმართა და თუხარისის ერისთავი გულში ჩაიკრა.

გაბედული და თავგანწირული მეფე წრფელი გულით უყვარდა ახალგაზრდა ბეშქენ ჯაყელს, რადგანაც საკუთარი მამა მურვანი გვერდით აღარ ყავდა, დავით მეფეს

როგორ მამას უმზერდა. მეფემაც იცოდა ბეშქენ ჯაყელის ერთგულებისა და სიყვარულის ამბავი და ამიტომაც მას ახალგაზრდებს შორის ყველაზე მეტად ენდობოდა.

- რომელი სახელგანთქმული წიგნით მომიხველ ბეშქენ ჯაყელო? - იკითხა დავითმა და ერისთავის ხელში არსებულ წიგნს ცნობისმოყვარეობით შეხედა.

- პლუთარქოსია, დიდი ალექსანდრე მაკედონელი, რომელმაც შემუსრა სპარსნი და ჰინდონი, ბაბილონი და დარუბანდი ჩემო მეფეო.

- მართლაც რომ სამაგალითო ხარ ჩემო ბეშქენ, ესეიგი მაკედონელი არა? მესმის შენი, „წყობათა შინა საუბარი“, მრავალი კაცით კი არა, მწყობრი ბრძოლით უნდა გავიმარჯვოთ ქართველებმა. 1104 წელს ერწუხის ველზე, მამაშენი მახლდა, როდესაც ეპამონონდას სტრატეგია და ტაქტიკა შევთავაზეთ მაგ საქმეში ჭიპმოჭრილ სელჯუკებს მე და გიორგი ჭყონდიდელმა ,სხვანაირად გამარჯვება არ გამოდიოდა. თურქნი დაგვამარცხებდნენ ,ამიტომაც „ვქმენით წყობანი დიდნი“ და იდუმალი იდაყვებიდან დარტყმებით დავამარცხეთ სარკინოზნი, როლებიც ამას ჩვენგან არ მოელოდნენ.

- მეფეო თქვენ არ გავხართ სხვა მხედართმთავრებს, რომლებიც ლაშქარს უკან უდგანან და იქედან განკარგავენ მეომრებს. თქვენ ალექსანდრე დიდის მსგავსად ლომივით შეუძახებთ და თქვენებრი ხმით ამხნევებთ მონასპებს შემდეგ კი გრიგალივით ატყდებით თავს მოწინააღმდეგეებს ხან მარჯვნიდან და ხანაც მარცხნიდან და ესაა რომ თრგუნავს სელჯუკებს, რომელთა სარდლები შემაღლებულზე განისვენებენ.

- ჰოდა სწორედ ამაშია ჩემი სისუსტე, თუხარისის ერისთავო. მეფე არ უნდა წირავდეს თავის თავს განუწყვეტლივ, არათუ ჩემთვის არამედ სახელმწიფოსათვის არ უნდა შერბოდეს მეფე, ხმლით ხელში მოწინააღმდეგე რაზმში ერთ ომში ათჯერ და ოცჯერ, გაგონილა კაცო? სარდალი, სპასპეტი, სპასალარი, ამირთ-ამირა, ჩუხჩარხთა სარდალი წინ გყავდეს და მაინცდამაინც შენ მირბოდე იქ სადაც ომის ბედი შეიძლება არც წყდებოდეს. ომის ბედი აი აქ წყდება - თქვა დავითმა და საჩვენებელი თითი შუბლზე მიიდო და ჩაფქრებულმა თუხარისის ერისთავს შეხედა და თვისი აზრი გააგრძელა -კი მართალი ხარ ,ალექსანდრე დიდი ომობდა ასე, სხვანაირად გავგმელასთან ვერანაირად ვერ დაამარცხებდა მტრის ძალას, მაგრამ ეხლა შეხედე სელჯუკებსა და სპარსებს, ისინი ჭკუით გვებრძვიან. უპირატესობას ფლობენ და ეს უპირატესობა ხელიდან უნდა წავართვათ.

- მდუმარე იყო ბეშქენი მაგრამ ვეღარ მოითმინა და უეცრად იკითხა - რა უპირატესობას გულისხმობთ ჩემო მეფეო?

- ყურადღებით მომისმინე ბეშქენ - თქვა დავით მეფემ და მისმა მოლურჯო ფერის თვალებმა საოცარი სიმშვიდე მიიღო იმ დროს, მეფესაც არწივისებრი გაუხდა

მზერა და ყოველივე იცვალა მათ გარშემო, დრო გაჩერდა თითქოს, დარჩნენ მარტო მეფე და ერისთავი, აღარც ჩუხჩები იყვნენ გარშემო, არც ტბის ტალღები ელამუნებოდნენ ნაპირს ზარმაცად. შეჩერდა ბუნების ცხოველება და გაისმა მხოლოდ მეფის ხმა.

- „ვისაც დავით მეფესთან საუბრისას სამყაროს ამგვარი გარინდება განუცდია ისინი კვლავაც და კვლავაც მოილტვიან მისკენ, თუნდაც ერთ სიტყვას მეფისას ისინი ეძებენ, ღვთის კაცია, მესიაა ქართველთათვის მოვლენილი“ - გაიფიქრა ბეშქენ ჯაყელმა და მეფის სიტყვებში დაიკარგა.

***

დავით IV ბაგრატიონი „აღმაშენებლად“ წოდებული და მისი ერისთავი

„გადამწყვეტი გამარჯვების მისაღწევად დიდი უპირატესობის მოპოვება გვჭირდება ჩვენს. თუ უპირატესობა არ მოვიპოვეთ, მაშინ დღეს ჩვენ მოუგებთ ბრძოლას თურქებს და ხვალ კი შესაძლოა ყველაფერი შეიცვალოს. ამიტომაც სამხედრო უპირატესობას უნდა მოძებნა.

ეხლა რა არის სამხედრო უპირატესობა? ამაზე ჩვენს სამეფოში არავის უფიქრია როგორც ჩანს. ამიტომაც ეხლა მე და შენ უნდა ვიფიქროთ ბეშქენ ჯაყელო. უპირატესობა გადამწყვეტია ომის მოგებისათვის , აი დაუფიქრდი, რომის არმია მაკედონურ ფალანგასაც ამარცხებდა და კართაგენის მრავალრიცხოვან სპილოთა წყობას, მაგრამ მას შემდეგ რაც პართიელებმა ცხენზე შეჯავშნული კაცი შესვეს და მას საყრდენად ახალი ტიპის, უნაგირი მისცეს, უნაგირით ცხენზე დაამაგრეს, პართიელებმა შეჯავშნულ კაცს ხელთ დიდი მშვილდისარი მიაკუთვნეს და ის სწრაფად სროლაში გაწვრთნეს მას წინ დიდხანს ვერავინ დაუდგა. „პართიული ისარი“ სწორედ მაქედან მოდის. აპობს ყველაფერს. ჯავშანი ვერ აღუდგება წინ. ცხენიდან არის ნასროლი, ზევიდან ქვევით. ხუთი ათასი შეჯავშნული ცხენოსანი რომ ამგვარ ფოლადის თავიან ისარს დაგახლის, რა უნდა განაწყო. შეუტევ? უკან დაიხევენ და გაიფანტებიან, დაიღლები და გაჩერდები, ისევ შემოგეჯარებიან და გააგრძელებენ ისრების დაშენას. სწორედ ასე დაამარცხეს პართიელებმა რომის ლეგიონი. მაგრამ დაუფიქრდი - ამგვარი ომისათვის ერთის მხრივ განწვრთნილი ცხენოსან-მშვილდოსნების რაზმებია საჭირო, მაგრამ მათ გამარჯვებას საწინდარი მაშინ აქვს როცა ისრების ნაკადი, როგორც ქარიშხალი, როგორც სეტყვა მათგან მტერს თავს მუდმივად ატყდება.

რატომ სხვამ არ მოიფიქრა ეომა ამგვარად? რა უნდა თითქოს არა? დააჯინე ათასი კაცი ცხენზე და მიეცი მშვილდი. მაგრამ არარის ასე ადვილად. ყველას გამორჩა მთავარი რამ. ისრების ქარავანი! ამგვარ ლაშქარს სჭირდება განუწყვეტელი მომარაგება ისრებით. არ უნდა დაიცალოს საისრე არასდროს. ისრების უსასრულობა და სისწრაფეა საჭირო.

რაც პართიელებმა შექმნეს და მსოფლიოს დაანახეს, იგივე მიმართულება გააგრძელეს სპარსმა სასანიდებმა. მათ მთლიანი რკინა შეასხეს თავიანთ ცხენებს. ძლიერი ცხენოსანი ჯარი შექმნეს და ერთხელ რომის იმპერატორიც კი დაატყვევეს.

ჩვენი მტრები სელჯუკები ბევრი რამით გვანან სასანიდებსა და პართიელებს. უწინდელ ომის სიყვარულს მათ კიდევ ერთი დიდი უპირატესობა წაუმატეს -ისინი კი არ ემალებიან, არამედ ეძებენ სიკვდილს.

როდესაც არაბთა ბიზანტიას პირველად შემოუტიეს, იცი რომ გაცილებით უფრო კარგად შეიარაღებულ ბიზანტიელებს არ სძალუძდათ მათი შეჩერება. უფრო მეტიც მაჰმადიანთა ჯარმა 12000 მეომრით არნახული დამარცხება არგუნა ბიზანტიელებს ,მათ ფლოტს ,მათ სარდლობას.

შემდეგ კი უფრო მეტი უბედურება მოხდა , 1071 წელს მანაცკერტის ბრძოლაში მუსლიმანები ბევრად ნაკლები იყვნენ ვიდრე ქრისტიანები, მაგრამ ისინი „ნახევარმთვარედ“ დაეწყვნენ. ეს იმას ნიშნავს რომ მათ თავიანთი სულიერი სიმტკიცე გამოამჟღავნეს და ქრისტიანებს გვითხრეს „ამ ნახევარმთვარით ალყას შემოგარტყამთო“. არადა ჩემო ბეშქენ, ქრისტიანები 400 ათასი კაცი იყვნენ. მუსლიმები კი მათი ნახევრის ნახევარი.

ეხლა მითხარი შენ მე როგორ უნდა შემოერყათ მუსლიმანებს ალყა ქრისტიანებისათვის?

- თუ ქრისტიანები სულიერად დაეცემოდნენ და ერთ ადგილს, მათ კარავს, მათ სანოვაგეს მიეჯაჭვებოდნენ იქნებ მაშინ კი შემოერტყათ ალყა ოთხასი ბევრი მხედრისათვის მათზე გაცილებით ნაკლებ სარკინოზებს - თქვა ბეშქენმა რომელიც იმას ფიქრობდა თუ საით მიყჰავდა იგი მეფის ღრმა განსჯასა და გონებას.

- ასეა ბეშქენ, შენ იცი მე მიყვარს სიმართლე, ისიც იცი რომ სიმართლეს პირში ვეუბნები ყველას - ჰოდა თუ ვებერთელა არმია შიშისაგან ვერ ინძრევა და მასზე პატარა ჯარი მას არხეინად არტყამს ალყას, ეს ჩემთვის იმას ნიშნავს რომ რწმენისაგან დაცლილია ხალხი რომელიც ამ ალყაში თვითონ იხვევს თავს.

- შემდეგ რა მოხდა მეფეო? ბეშქენი მიწაზე ჩამოჯდა და მეფეს ახედა, მას გაუკვირდა მისი ცრემლით სავსე თვალების დანახვა. დავითი ქვითინს იკავებდა და მის უპეებს ცრემლის ბურთულაკები ეკიდათ.

- ამ ბრძოლის შესახებ რაც ვიცი, დიდმა მამამ ჩვენმა გიორგი ჭყონდიდელმა მიამბო, მის მამას ქართველებთან ერთად უომია ამ სასტიკ ბრძოლაში. მოხდა ის რომ სელჯუკების ცხენოსანმა მშვილდოსნებმა მარჯვენა და მარცხენა მხრიდან ისრები დაცხეს ბიზანტიელებს, მათ შორის ქართველთა, სომეხთა და სხვათა მხედრობას. ჩვენ შეგვიტევია, ბიზანტიელებმა ფეხი წინ წადგეს და როდესაც მზე შუბისტარზე დადგა, ბერძენთა ჯარმა ალფ-არსლანის კარავი ხელში ჩაიგდო.

- დიდება მაგათ - წამოიძახა ომის წარმოსახვით აღგზნებულმა ახალგაზრდა ერისთავმა.

- არა, არა, დიდებამდე ჯერ შორია, სწორედ ალფ-არსლანის კარავში შევარდნილი ქართველები და ბერძნები მოიქცია ალყაში სელჯუკთა მხედრობამ. ისრებს გვაყრიდნენ, საცერებს დაამსგავსეს ჩვენი ფარები სელჯუკებმა. როგორც ჩანს ისრების ქარავნები ედგა ზურგში სელჯუკთა სპას. იმპერატორმა რომანოზმა უკან დახევა ბრძანა. წარმოიდგინე ბეშქენ ოთხასი ათასი კაცის უკან დახევა, ერთმანეთის გადათელვა, მოუმზადებელი ქმედებები და ამ დროს ხდება ყველაზე მთავარი - მეფემ ხელი აღმართა.

- ბეშქენი მდუმარედ უსმენდა მაგრამ მის თვალწინ იდგა ის საშინელება რაც მანაცკერტის ველზე დატრიალებულა.

- იმპერატორი რომანოზი მისმა მარცხენა ფლანგმა მიატოვა ,მარჯვენა ფლანგს და ცენტრს სელჯუკებმა სწრაფად შეუტიეს. ალბათ მოენე ყავდათ იმპერატორის კარავში, რომელიც მათ რაღაცნაირად ატყობინებდა „რომანოზი აქ არის და მოდითო“. სწორედ რომანოზ კეისრის მიმართულებით შემოუტიეს მაჰმადიანმა მხედრებმა, თავისი პატარა მშვილდებით უამრავი ისარი დააყარეს ბიზანტიელებს და როდესაც მათ რიგებში შიში და ძრწოლა დათესეს მაშინ კი შევარდნენ ბიზანტიელთა წყობაში და იმპერატორი რომანოზი დაატყვევეს. აი მაშინ მოხდა ყველაზე გულსატკენი ამბავი, აზიაში ხმა დაირხა ქრისტიანების ბოლო დღე დადგაო - მეფეს ხმა უკანკალებდა.

- ბეშქენმა მეფეს ახედა და იგი მიხვდა რომ დავითი მეფე ამ მოვლენებზე როგორც გრძნეული ისე ფიქრობდა, იგი გულის სიღრმეში მოივლიდა მანაცკერტის ველზე უპატრონოდ მიმოფანტულ, უსარდლოდ დარჩენილი ჯარისკაცების, ბერძენთა, ქართველთა, სომეხთა გვამებს.

- მუსულმანთა ჯარის წინააღმდეგ თუ გამარჯვება გსურს - მუდამ სიკვდილი უნდა ეძიო ბეშქენ - სადღაც ზეციდან გაისმა თითქოს დავით მეფის ხმა და როდესაც ბეშქენმა დევის ქვაზე მჯდომ მეფეს ახედა, მოეჩვენა თუ ცხადი იყო არავინ იცის, გარკვევით შეამჩნია ცის კაბადონიდან დაშვებული ხელის მტევანი, რომელიც მეფის თავს ზემოთ ლივლივებდა.

***

მესხი აზნაურები უსმენდნენ თავიანთ ერისთავს

- აზონაურებო საჭიროა მოვემზადოთ თურქთა დასამარცხებლად. ზაბახას ჯანი და ღონე არ აკლია მაგრამ მიწაზე მისმა გაუწვრთნელობამ დასცა. სელჯუკთა

ჯარი როგორც გარეული ტახი იმგვარად შემოგიტევს, როდესაც გამარჯვებაში დარწმუნებულია, მაგრამ თუ ამგვარად არ ფიქრობს სელჯუკი, მაშინ იგი, შველივით მუდამ გაგირბის და დიდი სისწრაფით გტყორცნის ისარს, რომლის შემაჩერებელი დღეს მხოლოდ თქვენი გულია. უნდა ეძიოთ სიკვდილი რომ გაიმარჯვოთ. თუ ისრის აცილებაზე იფიქრეთ, მაშინ უფრო მეტი ქეიბური მოგხვდებათ. სადევეების გარეშე მოჭენაობს სელჯუკი როდესაც ისარს ამზადებს, თქვენც სადავეების გარეშე უნდა იჭენოთ რათა მას დაასწროთ და ორჯერ მეტი ისარი დაუბრუნოთ უკან

- აბა ციხე სიმაგრე რად მინდა თუ წყეულ თურქს თავი ველზე მოვაკვლევინე - სიცილით ამბობს ზაბახა და სხვა ერისთავებს გადახედავს.

- ციხე კოშკებამდე როცა მივა საქმე - წაგვიგია ომი და ეგაა - ეუბნება მხნედ ბეშქენ ჯაყელი და გაოცებული უყურებს ზაბახას, რომლის გულში მან ვერ შესძლო მეფის სიტყვებით იმ ცეცხლის დანთება, რაც უკვე დიდი ხანია ბეშქენ ჯაყელის სულში დაანთო მეფე დავითმა.

აქვე ზიან ბეშქენ ჯაყელის ნათესავები ციხისჯვარელები - ერთი წინაპრიდან მოდიან ისინი. ციხისჯვარელთა მოწინავე კაცი არის წარმოსადეგი მოხუცი სულა ციხისჯვარელი, რომელსაც დიდი პაპის სულა კალმახელის სახელი ჰქვია.

- ბეშქენ ჯაყელო, ჯერ კიდევ ჩვენმა დიდმა პაპამ, იოანემ, ხაზარეთში აღზრდილმა, ასწავლა ქართველებს ამხედრებული ომი მშვილდითა და შუბით, შეტევისა და უკან დახევის მონაცვლეობით, მაგრამ ასეთი რამ მოითხოვს დიდი რაოდენობით ისრისა და შუბის ბრძოლის ველზე მიტანას და განსაკუთრებული სახელოსნოების სიახლოვეს. ამიტომაც უკუაგდეს ბრძოლის ეს მეთოდი ქართველთა და დარჩა მარტო „უგრძნობლად შეტევა“ მასთან ერთად გული, მკლავი და სიმამაცე.

- სელჯუკებთან ბრძოლისათვის მეფე თურქულ ტაქტიკას მოითხოვს და თუ არ დავეუფლებით მას მაშინ, უკიდურეს ნაბიჯს გადადგამს იგი.

- რა ნაბიჯია ეს - ეკითხება მას სულა ციხისჯვარელი.

- ამ საიდუმლოს მაშინ გაიგებთ როცა მოსახდენი მოხდება - პასუხობს ბეშქენ ჯაყელი.

ახალი ფორმის მშვილდები შემოაქვს დარბაზში ბეშქენს, მოკლეა, სხდადასხვა მასალისაგან აწყობილი. ტყავი, რკინა, ხე და ძვალი იმგარადაა შენივთული ერთმანეთში რომ ერისთავები საგონებელს არინ მიცემული როცა ბეშქენი მათ ამ მშვლდების შექმნის მეთოდის გამოსაცნობად კითხვებს უსვამს.

ბეშქენი შლის მათ წინ მშვილდებს, აჩვენებს ერისთავებს მათი დამზადების ხერხს, მეთოდს, მასალას და შემდგომ ბრძანებას გასცემს სწორედ ამგვარი მშვილდები დაამზადონ და მათ გამოსაცდელად იგი მომავალ თვეს ესტუმრება კვლავ ჯავახეთს.

- დიდი მადლობა ბიძაშვილო, მადლობა იმისათვის რომ მეფის სიტყვა გადმოგვეცი, შენთან გვიგულე ყოველთვის. ჩვენ ციხისჯვარელები და თქვენ ჯაყელები ერთი სისხლი და ხორცი ვართ გახსოვდეს - ეუბნება სულა ციხისჯვარელი ბეშქენს.

ბეშქენი და სულა მოიკითხავენ ნათესავებს ერთურთის ოჯახებში და ისინი სტოვებენ ზრესკის საყდარს. ამის შემდეგ ჯაყელი საკუთარი კოშკისაკენ მიაჭენებს ცხენს, საცაა უკვე გათენდება.

***

ულუ-სიქარი რაზმს აჩქარებს. „უკეთუ საუზმე გსურს მზეს ადგომა უნდა დაასწრო“- შეუძახებს იგი არაბულად თავის თურქ მხედრებს. თურქებს ეს არაბული მოწოდება კარგად ესმით, ისინი ზეცას ახედავენ და ცხენებს შეუძახებენ.

- აღდგომა ღამეა, ყველა გიაური ეხლა საყდარში იქნება იესოს აღდგომის საზეიმოდ. დილას კი სუფრებს გაშლიან. საყდრიდანვე სუფრაზე დაჯდებიან. რა სჯობს სუფრაზე მიუშვათ და ღვინისაგან გამობრუჟებულებს დავესხათ, თუ ეხლავ წამოავდგეთ თავს და თავიანთ საყდარში შეკეტილებს, თავი გარეთ არ გამოვაყოფინოთ ისე გადავბუგოთ? - შეეკითხა სიქარი თავის ქეჰას აბდულას.

ცალთვალა აბდულა რომელიც მუჰამედის რაინდია, ფიქრობდა „ჭამის დროს კაცი არ უნდა სდევნო და შეაწუხო, რას მეკითხება სიქარ აღა, რა თავად არ იცის ეს ჭეშმარიტება, მცდის ნამდვილად წყეული“

- ჩემო ბეი, ეხლავ შეუტიოთ, გიაურებს თუ ჭამა-სმა ვაცალეთ შემდეგ მონელებაც ვაცალოთ, ეხლავ შევუნთოთ ცეცხლები ყოველ მხრიდან და შემდეგ სოფლები მოვარბიოთ.

- ჭეშმარიტებას ღაღადებ - მაშინ ვიჩქაროთ, საცაა წირვა დასრულდება - შეჰყვირა ულუ-სიქარმა და ეს ხმა გაჰყვა კლდეებსა და ხეობებს, მდინარესა და ტყეს.

***

ტყის გადაღმა მიდორზე პატარა ალუბალა დასეირნობს. იგი ექვსი წლის ჯავახი გოგონაა, პაპამ დაარქვა ალუბალა. რომ გაიზრდება და თავის სასურველ ბიჭს გაიცნობს მაშინ რა უნდა უთხრას? ბიჭი რომ კითხავს რა გქვიაო, როგორ უნდა უპასუხოს ალუბალა მქვიანო? ამაზე ბრაზობს ალუბალა, ამიტომაც გამოექცა პაპას საყდრიდან. ვეღარ მოითმინა სიცხე და პაპის გამოჯავრება- ალუბალა, ალუბალა.

- სახელი მაინც დაგერქმიათ საქალბატონე- ფიქრობს ალუბალა და ბალახებს წიწკნის. უჰჰჰ როდის დამთავრდება წირვა? დედიკომ უგემრიელესი ხაჭაპური დააცხო, მამამ, წითელი ღვინო დოქებში ჩამოასხა, მწყერს შეწვავენ, შემდეგ კი ტახის ბარკალი შეიწვება, აუ რა მწვადი იცის მამამ? დედიკოს ხაჭაპური ხომ განთქმულია მთელს წუნდის სოფელში. სტუმრები მოვლენ, პაპის მეგობრები ჩამოჯდებიან და შორეული ლაშქრობების ამბებს გაიხსენებენ. პაპას იტყვის - ეს იმ ბიჭებს გაუმარჯოს რომლებიც ღვთის ქალაქის კონსტანტინოპოლის კედლებთან დაიღუპნენო. ჯავახი ბიჭებიო... იტყვის ბებო და ატირდება, მას ხომ ორი ძმა ყავდა რომლებიც სწორედ პაჭანიკებთან შებრძოლებისას ახლდნენ დიდებულ გმირს, პაპა რომ ახსენებს ,აბაზა ბაკურიანს, შემდეგ მამა იმღერებს , დედა და მამა საოცრად მღერიან, პაპა აცეკვდება და ალუბალას გამოიწვევს საცეკვაოდ, მაშინ ალუბალაც არ დაიდებს თავზე ხელს და უმალ გარონინდება ,შემდეგ კი როცა პაპა და მისი ბიჭები აცეკვდებიან , ალუბალა დოლს დაცხებს, შემდეგ კვლავ შევარდება წრეში და პაპასთან ერთად ცანგალა და გოგონას იმღერ-იცეკვებს. შემდეგ პაპა ბებიას გამოიწვევს, ბებია კი დედას, თავის რძალს აიყოლიებს, თანაც დააკვირდება კიდევ ორსულად ხომ არ არისო, ეჰ ბებო შე ძველო, მერე მამა შემოვარდება წრეში და ჩემი ძამიკო, მამუკას შემოაბანცალებს, მამუკამ ხომ ფეხი ეხლა აიდგა, სად ის და სად ცეკვა-თამაში, ძლივს დადის, მაგრამ მამუკას ხმაზე, შუათანა ძმა- ყარამანი აყვირდება, ხოლო ყარამანის ბოხ დაძახილს , ჩვენი აკვნის ბალღი - ოთო შეუერთდება და იქნება მხიარულება. აბა, ჯერ ოთხნი ვართ, მაგრამ მამას და დედას კიდევ ბევრი ეყოლებათ ჩვენნაირი. დედას თორმეტნი უნდივართ, ერთხელ თქვა თორმეტნი მინდიხართო. მამამ დედიკოს მაშინ ისეთი სახით გადახედა, ისეთო სახით გადახედა ,რომ მეც უმალ მომინდა მამასავით ქმარი, მისნაირი სანდომიანი, მოსიყვარულე, პატივისცემით განმსჭვალული, საქმიანი, გამრჯე, ოჯახისა და ერის შვილი, ეჰჰჰ ალუბალა ალუბალა, ეხლა საყდარში უნდა იყო აქ რა გინდა? აღსარებები ხომ არ დაიწყო? მე პირველი ვარ რიგში, ნუთი მღვდელი სერაფიმე ჩემზე წინ ვინმეს გაუშებს? მამა სერაფიმე დიდი ხანია მიცნობს, მე მისი აღზდრილი ვარ, ამ საყდრის გუმბათქვეშ ხარ გაზრდილიო ხომ მითხრა ამას წინათ, ასეა, ასე - ფიქრობდა ალუბალა, მაგრამ უეცრად რაღაც შეიცვალა.

- პაპა პაპაა, გაჰყვირის ალუბალა და სერზე არბის ტაძრისაკენ, პაპაააა, მამაააა , დედااა, ვაიმე დედااااა - მაგრამ უკვე გვიანაა ცხენზე ამხედრებული ჩალმიანი მშვილდოსნები საყდარს გარს ერტყმიან, მცირე ხანს გულუბრყვილო სახეებით უსმენენ იქედან გამოსულ საოცარ ჰანგებს, მაგრამ როდესაც საყდარში ჩოჩქოლი ატყდება მშვილდოსნები მოკაკვულ კილიჯებს იშიშვლებენ და საყდრის კარებთან მიჯარდებიან, ამასობაში სხვებს ფიჩხი და საყრდენები მოაქვთ.

ალუბალა ღრიალებს, ყველაფერს ხვდება, სიზმარში რომ ნახა ერთხელ ის ხდება, ესენი წყეული კაციჭამიები არიან, ისინი იმ ზღაპრიდან მოვარდნენ რომელიც ერთხელ მას პაპამ მოუყვა.

- პაპაააა, დედაააა, მამაააა, მამااااااااა.....სული გაყწყდა სასულეში პატარა ალუბალას და ამ დროს შეამჩნია რომ მისკენ მოტრიალდა ერთი ჩალმიანი, ის ამ დროს ტყის პირას იდგა. ჩალმიანმა ერთი გაიცინა და გოგოს ხელი აუქნია - წადი აქიდანო ანიშნა.

- ალუბალა კვლავ ღრიალებს და ხედავს რომ ტაძარს ცეცხლი მოედო, ალები გუმბათს უმალ მისწვდა, სელჯუკები იცინიან, კარს ამაგრებენ, იქედან ხალხის ხმა ისმის - სიმღერა?

საგალობლი კვლავაც ისმის , ცეცხლის ალები აწითლებს საყდარს, სელჯუკები მოწყენილი სახებით დგანან, ისმის შემახილი , მათი ნაწილი ცხნებს მოახტება ხოლო ნაწილი საყდრის კარს დარაჯობს. სელჯუკნი საყდრის წინ გროვდებიან. ერთი მათგანი ალუბალას მხარეს იყურება და კაპარჭიდან ისარს იღებს. წვეროსანი სელჯუკი მშივლილდში სტაცებს ხელს იმ თავდამსხმელს რომელიც ისრის გამოსროლას აპირებს და „არა“ - ხელის გაქნევით ეუბნება, ალუბალა კი დგას სელჯუკების წინ და ხმამაღალი ტირილით იქაურობას იკლებს, სელჯუკები ყურებში თითებს იცობენ და ამ დროს საყდარი ზრიალითა და ზათქით ჩამოიქცევა. ყრუ ხმა იყო, კლდის მოგლეჯვის მსგავსი. ცეცხლი ბრიალებს მაგრამ საყდარი წაქცეულია.

ამას ელოდნენ სელჯუკები, ისინი სწრაფად მოსხლტებიან იმ ადგილიდან და მათი ცხენოსანი რაზმი მთავრის სასახლისაკენ მიიჩქარის.

***

ტბელთა ასული ასმათი ესუა ცოლად ბეშქენ ჯაყელს. მეფის მარზაპანი (მესაზღვრე ერისთავი) ციხე კოშკს გოდერძის უღელტეხილიდან თუ გადმოხედავდა ხოლმე მასზე აფრიალებული ბალახისფერი ალამი ნიშნავდა იმას რომ ოჯახში სიმშვიდე სუფევდა, თუ ალისფერ ალამს აფრიალებდა ასმათ ტბელი მაშინ ერისთავს ოჯახში მოელოდნენ. მიზანი მრავალი შეიძლება ყოფილიყო, როგორც სამხედრო ასევე საიდუმლო.

იდუმალ ალისფერ ალამს ელოდა ბეშქენ ჯაყელი და ნათესავ ციხისჯვარელებთან საუბრის შემდეგ, ალიონზე თუ ჩაუსწრებდა საკუთარ სამოსახლოს. რამოდენიმეჯერ დააოთხა ცხენი მესაზღვე ერისთავმა და მთის მწვერვალზე აიჭრა რათა შორიდან ციხე კოშკისათვის შეეხედა.

სიბნელეში ძნელი გასარჩევი იყო, მაგრამ როგორც ჩანს ბალახისფერი ალამი ფრიალებდა ჯაყელთა შუბის ტარზე.

მიუყვებოდა გზას ერისთავი. გულდამძიმებული იყო. დავით მეფის ბოლო დავალებაზე ფიქრობდა. შეეძლო აღეჭურვა მისი აზნაურები მაგრამ, მათგან იმგვარ სისხარტეს და გონებამახვილობას არ მოელოდა, როგორსაც დრო და ომის ის ახალი მეთოდი ითხოვდა, რაც მუსლიმანმა მეომრებმა დაადგინეს, თავიანთ ჯვაროსან მოწინააღმდეგებთან შეტაკებებისას.

სელჯუკ-თურქები სხარტად იბრძოდნენ. მთავარ ცხენოსან ჯარს მთებში მალავდნენ. შემდგომ უეცრად დაეცემოდნენ დაბლობზე მდგარ ევროპელ მხედრებს, ისრებს დაახლიდნენ და კვლავ გორაკებისაკენ გააჭენებდნენ ცხენებს.

ქართველი მხედრების აღკაზმულობა ბიზანტიელებისას რომ წააგავდა, დავით მეფის ბრძანებით უვარგისი იყო სელჯუკებთან ბრძოლაში და ამიტომაც ძირეულ შეცვლას საჭიროებდა.

რადგანაც ბიზანტიელთა ჯარებმა იმეტესი ომი წააგეს მუსლიმანებთან, დავით მეფეს საფუძვლიანად გამოეკვლია მათი დამარცხების მიზეზი.

პირველი გასაღები ბიზანტიელთა მარცხის საიდუმლოსი იყო შინაგანი ღალატი და გამცემლობა. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი იმ ცოდნისათვის რასაც გამარჯვების მახვილი ერქვა.

მეორე გასაღები რასაც დავით მეფე ნათლად ხედავდა, გახლდათ ის რომ ბიზანტიის ჯარი ურთულესი სამართავი იყო. არქონტები, სტრატეგოსები, ათასისთავები სტრატეგიულ აზრს არ ფლობდნენ და ბრძოლის ველზე ბრძანებას ელოდნენ.

მათგან გასხვავებით მუსლიმანური მხედრობა გამარჯვების იმედით იყო გაჯერებული. ჯიჰადი. საღვთო ომი. რწმენისათვის სიკვდილი ან გამარჯვება თვალებში უელავდა ომებისაგან დაუღლელ და მუდამ მომღიმარ სელჯუკ თუ არაბ მეომრებს.

„განიგმირებიან თუ არა იმავე წამს ჯენეტში ამოჰყოფენ თავს ქალწულებით გარშემორტყმული, ღვინოს დალევენ“ - უთხრა ერთხელ ერთმა დატყვევებულმა თურქმა დავით მეფეს რომელმაც ეს უკანასკნელი სიკვდილს გადაარჩინა და თავის დაცვას ჩააბარა.

„მოგეკალი და ჯენეტს ვიქნებოდი ეხლა“ - შესძახა მეფეს თურქმა დამშვოდობებისას. დავით აღმაშენებელმა თავი გააქნია და ბეშქენ ჯაყელს შეხედა მაშინ. მეფის თვალებში კითხვა და აზრი ერთმანეთს შესჭიდებოდა. „როგორ?“ - ეკითხებოდა თითქოს მეფე თავის მესაზღვრე ერისთავს.

ეს „როგორ“ ბეშქენს დიდხანს გამოჰყვა. ქართველთა და აფხაზთა მეომრები დავითს ხანგრძლივი, სტრატეგიული ომისათვის აფიქრებდა. მესხები მიწისქვეშა ომების ოსტატებად მიაჩნდა, მაგრამ სთუელის დროს მესხთა რაზმები სოფლებში უნდა დაებრუნებინა, ხილისა და ყურძნის მოსავალს პატრონი სჭირდებოდა.

აზნაურთა პირადი რაზმებიც აფიქრებდა დიდ დავით მეფეს. მათი საბრძოლო გამოყენება მათივე ბინიდან ოცი დღის სავალამდე იყო შემოსაღზვრული. ომი კი თანაც სელჯუკებთან სამხედრო სტრატეგიის გაჰფენას მოითხოვდა მთელს ამიერკავკასიაში, ანატოლიაში, სომხეთში, არდებილში, ირანის ზეგანზე, ვაჰანის ტბის მიდამოებში, შემდეგ კი აუცილებლად მესოპოტამიაში და წმინდა ქალაქში - ერუშალაიმში.

„თურქებთა გამარჯვება თუ გინდა სიკვდილი ეძებე და სიცოცხლეს იპოვი“ - გაუელვა გონებაში დაფიქრებულ ზეშქენს მეფის სიტყვები და უეცრად შორიდან კივილის ხმა მოესმა, დამწვრის სუნიც მოდიოდა ტყიდან. გამოერკვა მესაზღვრე ერისთავი თავისი ფიქრებიდან და ცხენს სადავე მოუმარჯვა, ეკალბარდებიან გორაკისკენ გაქანდა რომე არემარისათვის თვალი მოევლო. სამხედრო ცხენი გადაევლო ეკლიან ბუჩქებს, მწვერვალზე ენერგიულად ავარდა და გაშეშდა.

ჯაყელთა ციხე -კოშკი ცეცხლის ალში იყო გახვეული.

***

გამალებით რეკდნენ ზარები თუხარისის სამრეკლოზე. ციხე ქალაქს მტერი შემოსეოდა. აღდგომის ღამეს, საყდარში შეკრებულ მესხებს ჩირაღდნიანი თურქები თავს წამოადგნენ, ტაძარი და ისლით დახურულ შენობები ხალხითურთ დაწვეს. ცეცხლის ალი სასახლესა და ციხეს მოედო. ფეხმძიმე ასმათ ტბელი „მაღალ კოშკში“ გამაგრდა თავისი სეფექალებით. ულუ-სიქარი ჯიუტ ქალბატონს დანებებას ურჩევდა და კოშკიდან გამოსროლის ისრებს ათვალიერებდა.

- არ ეტყობა რომ ქალები ისვრიან - მშვილდი მთელი ძალი არის მოზიდული - ეუბნებოდა იგი აბდულას, რომელიც კოშკის გარშემო განლაგებულ მშვილდოსნებს რაღაცას ასწავლიდა.

- ყიზლარ- გოგონები ჩაილაპარაკა აბდულამ და დადუმდა. რადგანაც გზაზე არეულობა მოხდა, სელჯუკები მათკენ მორბოდნენ.

***

გამოქცეული სელჯუკები ყვიროდნენ რომ მათ ტყიდან შეითანი დაესხათ. ტყის კოროიმიდან იგი უეცრად გამოჭრილა და პირველივე თავდასხმისას ათი მეომარი მოუკლავს.

- აბდულ აღა ,მიდი ნახე და მოჰკალი თავდამსხმელი, ვინმე გიაური იქნება, წაიყუვანე ასი საუკეთესო კაცი - ბრძანა ულუ სიქარმა გაბრაზებით და შეშინებულ სელჯუკ მეომრებს სახედრის ასოსაგან გამოქნილი მათრახი გადაუჭირა.

შავმა აბდულ აღამ შუბი მოიმარჯვა, ხელთ მრგვალი ფარი იპყრო, და რაზმეულს ციხეკოშკის შემოსასვლელისაკენ გაუძღვა.

დავით აღმაშენებლის სარდალი ბეშქენ ჯაყელი - კახაბერ ჯაყელის მხატვრობა

***

თუხარისის გვირაბი

ბეშქენ ჯაყელის გული სელჯუკებზე სწრაფ შეტევას ლამობდა, მაგრამ იგი უმალ მიხვდა იმას რომ თუხარისის ციხის მარბიელი რაზმი ჯიჰადის მხედრობის ის ათასეული იქნებოდა, რომელსაც ზავი სძულდა და მხოლოდ ომს აღიარებდა. სელჯუკების ოდენობას ორას-სამას კაცამდე წარმოიდგენთა მესაზღვრე ერისთავი, რომელიც გრძნობდა რომ საკუთარი სასახლის დაცვა მარტო მოუწევდა და თუ უსწრაფესად არ იმოქმედებდა საზარელი შედეგი რომელიც იქნებ უკვე დამდგარი იყო, აუცილებლად განხორციელდებოდა. ამიტომაც ბეშქენი ცხენიდან გადმოხტა და ალმოდებული თუხარისისაკენ მიმავალ ციცაბო გზას გადაუხვია და ტყეს მისცა თავი. ტყის კორომში, ერისთავს, საუდუმლო გვირაბის ერთ-ერთი ყელი ეგულებოდა რომელშიც ჩასული ადამიანი ციხის გოდლებზე უჩუმრად ამოყოფდა თავს.

ჯერ კიდევ ჯაყელთა ერთგული შურტა ორასი წლის წინ რომ ცხოვრობდა ჩორჩანელ-ბაჰლაუნდ-ჯაყელ- კალმახელ-ლაკლაკთა კარზე, იგი ეძებდა თუ-ხარ-ისის კლდის ქვაბებში იმას რასაც ირანის შაჰების განძი ერქვა.

არავინ იცოდა გაუთქვა თუ არა თუ-ხარ-ისმა საიდუმლო ცეცხლისთაყვანისმცემელ შურტას, რომელიც საათობით იჯდა ამ მთის ფერდობებზე და თავისი უცხო მოწყობილობებით მასში ხვრელებს ზვერავდა.

სწორედ შურტას დროს იყო რომ ეს გამოქვაბული აღმოაჩინეს ბეშქენ დიდი ჯაყელის ქვისმკვეთებლებმა და გააფართოვეს მისი სხეული, გააგრძელეს ქვაბულის ყელი და ციხე სიმაგრის მშენებლობისას გამოიყენეს მისი მნიშვნელობა.

სწორედ ეხლა ამ ქვაბულში ჩაეშვა მესაზღვრე ერისთავი და გაჰყვა ქვაბულებს მთის მწვერვალამდე მიმავალს. ერთ ადგილას, შურტას მოსასმენი და მისაყურადებელი არხები რომ ჩაეშენებინა, სწოდერ იქ შეჩერდა ბეშქენი და ზემოთ მყოფთა მოძრაობა დაზვერა.

შურტას ხელსაწყოები კვლავაც კარგად მუშაობდა 200 წლის შემდეგაც და ბეშქენის ზევით, სიმაგრის ალაყაფის სამხედრო ბაქანი გამოქვაბულში მყოფის ბრძანებით ერთ წამში შესაძლოა ჩამოშლილიყო.

ბეშქენი იმ დიდი დოლაბის ქვას მიადგა რომელსაც ალაყაფის კარის ქვეშ გაყვანილი გამოქვაბულის საბრჯენით - ბლისკინების ჩამოშლა შეეძლო, დაჰკრა დოლაბს წიხლი, მაგრამ ძვრა ვერ უყო. შემდეგ გამწარებული შეეჭიდა დოლაბს და ქვაბულის კედლიდან რომ მთელი ძალით დაახტა მას მაშინ შეძრა დოლაბი და დააგორა. თითები გადაიყვლიფა ერისთავმა მაგრამ ტკივილიც კი ვერ იგრძნო, გააფთრებული მისდევდა დაგორებულ დოლაბს და მას დაქანების ძალას მატებდა როდესაც დოლაბი მეორე სარჯენ ქვას დაეჯახა და უზამრამზარი ხმა გამოსცა.

მიწისძვრას გავდა რაც ამის შემდეგ მოხდა, ალაყაფის კოშკი შეინძრა და მასზე ამხედრებული სელჯუკები შიშმა მოიცვა რადგანაც მიწისძვრა მათთვის სამყაროს

განრისხებას უდრიდა. შემდეგ როცა კოშკის ნაწილი ჩამოიშალა და მასში რამოდენიმე სელჯუკი მოჰყვა, მაშინ შეწრიალდნენ დამპყრობლები და კოშკიდან გარეთ გაიჭრნენ, რაც ასე ადვილი არ იყო.

კოშკის ბლიკინებით მორბენალი სელჯუკები პატარა კარისაკენ მორბოდნენ, სადაც მათ ბეშქენ ჯაყელის ვარანგული ფართო მახვილი ელოდებოდათ.

პირველად ასან უზბაშმა იგრძნო მუცელი რომ ჰქონდა გამორღვეული და თავისი ნაწლავების გადმოკიდებას უჩურმად დააკვირდა, შემდეგ მაჰმუდ ბუხარელმა შეიტყო ის რომ მისი კუჭი უცხო ძალას, დაეჩხვლიტა და დაეხია, შემდეგ მორბენალმა იუნალ ოსამმა შეითვისა სიბრძნე სიკვდილისა როდესაც ბეშქენ ჯაყელის მახვილს მკერდით დაეგო და გაიღიმა.

- „ჩვენი შურტა მართლაც დაჰმანი ყოფილა“ - გაუელვა გონებაში მესაზღვრე ერისთავს, რომელიც ეხლა კოშკის გარეთ მყოფ გაოცებულ სელჯუკებს დაესხა თავს და რადგანაც თითბირის „გლივარიუმი“ ემოსა ამომავალი მზის შუქზე ცეცხლისფერი შეიქმნა.

შაითან, შაითან, …..შაითან კალა, შაითან კალა …..- შესძახეს სელჯუკმა მხედრებმა რომლებმაც ჯერ „მიწისძვრა“, შემდეგ მათი მომმეების საოცარი გარდაცვალება იხილეს და ეხლა „ცეცხლისფერ“ გაოფთრებულ „ეშმაკს“ გადაეყარნენ.

***

ფარების კედლის უკან მდგარმა ულუ სიქარმა, ფორთხვით მომავალი აბდულას შავ სახეს მოჰკრა თვალი.

- ნავარნაიოქ ადაიმ - იკითხა სიქარმა.

- ალაყაფის კოშკი დაინგრა, მიწა თუ იძრა, მაშინ აქ თქვენ რატომ ვერ იგრძენით ეფენდი? - იკითხა აბდულამ და მაღალ ბატონს ახედა.

- რაებს როშავთ, წყეული „შარაფ“ ხომ არ დაგილევიათ, რა მიწისძვრა, მომგვარეთ აქ ვინ გაბედა თავდასხმა ჩემზე - სიქარმა გაბრაზებით შეხედა აბდულაღას.

- ჩემის აზრით ტყიდან ასიოდე კაცი დაგვესხა, ოცდაათამდე ჩვენი კაცი მოკლული დევს ალაყაფის კართან, მაგდენი კი კოშკის ჩამონგრევისას დაღიუპა. თუ ასი სამეფო გურჯი დაგვესხა მაშინ იმასაც უნდა ველოდეთ რომ გამთენიისას ისინი დიდი ძალებით გადმოვლენ შეტევაზე. აქედან გასაღწევი გზა ვიწროა. ამიტომაც ან

ეხლავე უნდა დავიძრათ რომ რაზმი სამშვიდობოს გავიყვანოთ ან კი დავრჩეთ და სიკვდილს შევხვდეთ - ჩაილაპარაკა აბდულამ.

- უკუღმა საუბარს თავი დაანებე აბდულ აღა, რა სამეფო გურჯი, მაგათ ეხლა მთელი ლაშქარი გარდაბნისაკენ ყავთ მოგროვებული, აღდგომას იხდიან. მეფეც იქ არის. დღეს ყველა გურჯი შარაფის სმით არის გართული. რომელი ასი მეომარი რას ამბობ. შესაძლოა რამოდენიმე გლეხი გვიტევდეს და მაგათი შეგეშინდა გამოცდილ მხედარს?

- გლეხები ყველა იმ ქვეყნად გავამგზავრეთ, ზოგი სოფლის ტაძარში გამოვბუგეთ ხოლი დანარჩენი კი აქ. აბა ვინ უნდა იყოს. ქედზე მზვერავი უნდა დაგვეყენებინა. საყდართან მხოლოდ პატარა გოგო დავინდეთ ცოცხალი, ის ასე სწფარად ვერავის ნახავდა- აბდულა რაღაცას ამბობდა აგრამ ულუ სიქარი მას აღარ უსმენდა რადგანაც უჩვეულო ხდებოდა, სელჯუკი მეომრები რაღაცას გაჰყვიროდნენ, და სასახლის გუმბათისაკენ მიუთითებდნენ სადაც ბეშქენ ჯაყელის ალამი კვლავაც ფრიალებდა.

- ალამი ხომ მოვანგრიეთ? -იკიტხა ულუ-სიქარმა

- ვიღაცას კვლავაც აღუმართავს - დაასკვნა აბდულამ.

***

ულუ სიქარმა, სასახლის კედელზე აღმართული ჯავახეთის ერისთავთა მოლივლივე ალამი შეათვალიერა და და აბდულ აღას იმ გამოცდილი კაცის თვალით შეხედა, რომელსაც საქმის სწრაფი მოთავება ერჩივნა.

- აბდულ აღა, კარების შენგრევას ვარჩევდი, მაგრამ რადგანაც ვიღაც უჩინარი გვებრძვის ჩვენც გავაგულისოთ იგი და უეჭველი გამოჩნდება.

- ეგრეა პატრონო ეგრე - ჩაიჩურჩილა აღამ

- იმ კოშკის გარშემო სადაც ეგ დედაკაცი შეკეტილა მშვილდოსნები დააწყვე და ცეცხლი გაუჩინეთ მაგ წყეულის ბინას.

- ერისთავის ცოლის ტყვედ წაყვანას ვაპირებდით - თქვა აბდულ აღამ.

- ეხლა მაგის დრო აღარ არის, სწრაფად იმოქმედეთ, შალით ბეი ამასობაში სიმდიდრეეს შეაგროვებს, ცხენებს აკიდებს და დავიძრებით. სასწრაფოდ დაწვით სასახლე და კოშკი იმ დედაკაციანად.

- ეფენდი, ორსულია დედაკაცი - ხმადაბლა თქვა აბდულ აღამ, რომელსაც დაზვერვისაგან მიღებული ინფორმაცია, კარგად ქონდა შეთვისებული.

- აღა იმოქმედე როგორც გიბრძანებ! შეიკრა შუბლი ულუ სიქარმა, ჩალმა მოიხადა აბჯარმტვირთველ ალის მორთმეული ფაშავანგისფრთებიანი -რვალის მუზარადი თავზე მოირგო და ალისაკენ ზურგით შეტრიალდა, რათა იემენელ არაბს მძიმე მუზარადის ტყავის ხუნდები ერთმანეთზე გარდაეჭდო და კარგად დაემაგრებინა. ამ მუზარადს განსაკუთრებულ ხიფათიან შემთხვევაში იხურავდა ულუ სიქარი. არის ხანდახან ომის ველზე სასტიკი წუთების მოლოდინის გრძნობა. სარდლები ამ გრძობას უკეტესად ფლობენ ვიდრე მათი ხელქვეითნი. როცა სასტიკი წუთები გადაივლის და რამოდენიმე კაცს თან გაიყოლიებს, ხაროობს სარდალი უჩუმრად.

- „მუზარადი დაიხურა, მარაშაში უნდა რომ ცისფერთაღიანი შადრევნების გვერდიდთ, თეთრი მოხუცის მსგავად იჯდეს და წაბლისფერ თმიანი, თაფლისფერ თვალება ფარსი ბიჭის მიერ წაკითხული ხაიამის რუბაებს უსმენდეს, ჩემთვის კი სიკვდილიც არ ემეტება“ - გაიფიქრა აბდულამ, თავისი ცოლი მწვანე თვალება ახაბე გაიხსენა, ქალიშვილი აბეს რძიანი ტუჩები მოიგონა და უჩუმრად ამოიკვნესა.

- „გედირსა, ულუმ ბაჰადირ, ჰაირ ჰაირ, გედირსა, ბაჰადირლერ, ...“ - აყვირდა აბდულა და მშვიდოსნების დაწყობას შეუდგა. ცეცხლი კვლავ დაინთო, ნავთით სავსე თუნგებიდან ტილოს გრაგნილი ამოიღეს და ისრებს სწრაფად შემოახვიეს. თავად აბდულა უკიდებდა ცეცხლს ამ ისრებს და მხედრებს მითითებებს აძლევდა.

სელჯუკები შესანიშნავი მშვილდოსნები და მხედრები იყვნენ, მშვილდის ლამბზე გაყრილი მათი ისრები შხუილით კოშკის მწვერვალისაკენ გაფრინდნენ. რამოდენიმე ისარმა თუხარისის ერისთავის სარკმელში მოახერხა შეფრენა და იქიდან ქალების კივილის ხმა მოისმა.

ისრების მეორე წყებამ უფრო მეტი ზიანი აყენა კოშკის ბინადართ, ცეცხლის ალები დაინთო, ფარდები აბრიალდა და აბდულამ პატრონს მოხედა.

- მესამე წყება შეაგდეთ - ბრძანა ულუ სიქარმა.

- „ცოცხლად წვავს ქალებს, შაითანია ნამდვილი, აი ბედი კაცისა“ - გაიფიქრა აბდულამ და უსიცოცხლოდ აიქნია ხელი, „აი ბედი კაცისა, ნეტავ სად არის ამათი წყეული მარზაპანი?“ აბდულამ ეს გაიფიქრა და მშვილდოსნებმა მესამე წყება ისრები დაუმიზნეს ასმათ თუხარელის ოვალურ სარკლემს. მაგრამ შეყოვდნენ, რადგანაც, ვიღაცამ თურქულად შესძახა, შეჩერდითო. მშვილდოსნებმა აბდულას მოხედეს, იგი კი ჩამონგრეული კოშკიდან მომავალ კაცს უმზერდა.

- შეჩერდით - გაიმეორა მომავალმა კვლავ.

***

- ვინ ხარ კაცო - იკითხა გაღიმებულმა ულუ სიქარმა.

- ბეშქენ ჯაყელი ვარ, პატრონი ჯავახეთის და დიდი დავით მეფის მარზაპანი - თქვა წაბლისფერ წვერიანმა კაცმა და ულუ სიქარს განრისხებული მზერა მიაპყრო.

- მასპინძელი ყოფილხარ და შენთან მოვსულვართ - ხუმრობის ხასიათზე დადგა ულუ სიქარი.

- მართალი ხარ ბეი, ვერ დაგხვდით სათანადოთ - თავადაც მწარედ იხუმრა ჯავახეთის ერისთავმა.

- ჩვენნაირ ხალხს სათანადო დახვედრა უნდა, მაგრამ არაუშავს, გეპატიება - გადაუგდო სიტყვა ულუმ ერისთავს და აბდულას გადახედა, წამიერად თავისი მშვიდოსნებიც შეათვალიერა.

- თუ შევძელი მომავალში არ გაგიშვებთ „პატივისცემის“ გარეშე - უთხრა თუქრულად ბეშქენმა ულუს და მისკენ მიმავალი აბდულა შეათვალიერა.

- იარაღი მოგვეცი და დაგვნებდი - თქვა უეცრად გამოჩენილი მასპინძლისაგან ათ ნაბიჯში შეჩერებულმა აბდულამ და გაიცინა.

- უიარაღოდ რა მასპინძლობა გამოვა, როდის იყო სტუმარი მასპინძელს ხრმალს ართმევდა - გაიცინა ბეშქენმაც.

- ჩააბარე ყოველი საჭურველი აბდულას! - ბრძანა ულუ სიქარმა და მიდიო შესძახა აღას.

- ნუ გეშინია ქოფაკო , ნუ გეშინია - თქვა აბდულამ და ბეშქენისაკენ დაიძრა, მაგრამ უეცრად ერისთავმა იღლიიდან ამოჩრილი ორი სატევარი ესროლა აბდულაღას, რომელმაც ხმამაღლა დაიკვნესა და პირდაპის ხორხში გარჭობილი სატევრების მოვერცხლილ ტარებს, სასიკვდილოდ დაჭრილი დათვივით დაეცა.

- სელჯუკები მირბოდნენ აბდულასაკენ, მაგრამ უკვე გვიან იყო, სარდალ-აღა სისხლში ცურავდა, ხოლო მისი მტერი, ისევ უკან, ხის კიბეზე არბოდა და იქედან სატევარის სასროლ მანძილზე მიახლოვებულ მტერს ათვალიერებდა.

ულუ სიქარი, დარწმუნდა რომ სასტკმა წამმა თვალწინ ჩაურბინა და აბდულ აღას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ეხლა უკვე გამარჯვებაც ახლოს იყო, თუ შესაბამისად სწორად იმოქმედებდა. „ჭადრაკს გავს ეს ომი, აბდულა წავაგეთ მაგრამ ლაშქრობა უნდა მოვიგოთ“- იფიქრა მან და თავისი მშვილდოსნები წამით დააყოვნა, წინ წამოვიდა, საჯინობოს მიმართულებით დაძრა ცხენი, თავისი მუზარადის იმედით კიბეს მიუახლოვდა და კედლის უკან მდგომ ერისთავს მიუგო.

- ერისთავო, რად გამოგვეცხადე, მრავალი კაცი მოგვიკალი, აბდულა, შენი სტევრით სიცოცხლეს გამოასალმე. ან ჩვენ დაგიწვავთ ცოლს და მის მუცელში მყოფ არსებას, ან კი ჩაგვბარდი.

- ტყვედ დანებებას არ ვაპირებ მარბიელო, გამოვალ და შემებრძოლე - თქვა ბეშქენ ჯაყელმა და წამოიმართა.

***

ასაკში იყო შესული ულუ-სიქარი. ჯანზე კი იყო, შებრძოლებას არასოდეს არ გაურბოდა, მაგრამ ეხლა ოცდაშვიდი წლის კაცთან ერთი-ერთზე გასვლა სირცხვილად მიიჩნია მარბიელთა სარდალმა და ასე მიუგო ბეშქენს.

- ხალიფას ხმლისა და მისი ჯანის პატრონიც რომ ვიყო, თავად ჯიბრაილი რომ მიმაგრებდეს ზურგს, მაინც არ შეგებრძოლებოდი ვიღაც ჭაბუკს, რომლის ციხე-კოშკი უკვე ხელთ მაქვს ჩაგდებული და რომლის სასახლის ნახანძრალზე ხელებს ვითბობ, შეხედე, საქმე მოთავებულია, შენი კოშკი იწვის. ამიტომაც შვილო ჩემო, ან შენ გადმოდგამ რამოდენიმე ნაბიჯს და სიცოცხლეს გამოსალმები, ან ჩვენ გადავბუგავთ შენს ერთადერთ კოშკს ცოცხლად დაგიწვავთ ცოლს და გაუყვებით ჩვენი საზაფხულო იალაღებისაკენ გზას.

- **ჩემს თავსაც წაიღებთ არა - სიცილით იკითხა ბეშქენმა.**

- არა თუ დაგვნებდები, თავს შეგინარჩუნებთ, ისრებით დაგხვრიტავთ და მეომრულ სიკვდილს გაზიარებთ. შენს ცოლს არ შევეხებით. კოშკიდან გამოსვლაში მივეხმარებით და ცხენსაც უბოძებთ რომ გაეცალოს აქაურობას.

***

რამოდენიმე ათეულმა ისარმა ერთდროულად გაიზუზუნა. ბეშქენს სეტყვა ეგონა, ცოტა ხანს კიდევ იდგა, მაგრამ დასუსტებული შემდეგ ცალ მუხლზე დაეშვა. ისრების მეორე წყებას თვალი ვეღარ გაუსწორა და მესხეთის მიწაზე სამუდამო დასაძინებლად დაწვა.

ქარმა დაიქროლა და თმები შეურხია ერისთავს, ქალებმა დაიკივლეს, ერთი ხმა საოცრად ნაცნობი იყო სხვა ხმები კი ამ ხმის ექოს გავდნენ.

მეფე წარმოუდგა თვალწინ - სალაშქრო საბჭოზე იჯდნენ. მეფეს ხელთ ბაგრატიონთა შურდული ეჭირა და ბეშქენს რაღაცას უხსნიდა. ჯავახეთის ერისთავს ელიმებოდა მაგრამ მეფეს მოწიწებით უსმენდა და ბაგრატიონთა შურდულს დაკვირვებით ათვალიერებდა. მასზე ამოტვიფრულ წარწერებს უკვირდებოდა და უხაროდა რომ ამ უცხო წარწერების მიღმა მყოფ სხვა მეფეებს ხედავდა.

***

1118 წელს დავით აღმაშენებელი იდგა ნახიდურში, რახსის პირას და აღდგომის დღესასწაულს იხდიდა. მოახსენეს, რომ თურქები ჯავახეთს დასცემიან და მოუკლავთ ბეშქენ ჯაყელი. დავითი მაშინვე ამხედრდა რახსის პირას იპოვნა თურქთა ბანაკი ელვასავით დაეცა თავს და მოსრა სიმრავლე მათი.

ვერც ულუ სიქარი დაურჩა ქართველთა სამეფო სპას. ფარშევანგის ფრთიანმა რვალის მუზარადმა რამოდენიმე მახვილის შემოკვრას გადაარჩინა მისი პატრონი. გაცეცხლებულ ჩეხვაში ვის დაინდობდნენ ქართველნი? კი იცოდა სიქარმა თავისი ხვედრი და ამიტომაც, ბრძოლის ველზე კალიასავით ტრიალებდა, მთელს თავის მონდომებას და გამოცდილებას იყენებდა იმისათვის რომ მტრისათვის შიში შთაეგონებინა. რამოდენიმეჯერ მოუტრიალდა იგი მდევარ ქართველებს და თავისი ბედი სცადა მაგრამ ამაოდ. სასტიკი და გამოცდილი იყო ამგვარ ბრძოლებში დავით მეფის პირადი სპა.

- **„აბდულა, უბადლო ლაშქარ-მთავარი არ იკმარო და ამ უღიმღამო დღეს ჯიჰადის მთავარი მეთაურიც რომ შეიწიროო, ნუთუ ეს იქნება სამართალი?, ვეღარ კი ვნახავ ჩემს ოჯახსა და მარაშის სულთანს ვეღარ ვეწვევი, ნუთუ ჩემს ვაჟსაც ვერ შეუქებ მუსელიმობას და აზიის მუსთასიბად ვეღარ აღვზრდი, ნუთუ ვაჟის სიცელქით ვეღარ დავტკბები? ....ჰმ.....ჰმ.....გაცეცხლებულან ეს გურჯები.....დღეს შავი დღეა.....ჰმ.ჰმ.....ოხხხხხხ....ममम“.**

ამ აზრებით განიგმირა ულუ სიქარი, რომელსაც დავით მეფის ყონაღმა და ბაჰადირმა - არიშიანმა ჩამოუქროლა და იტალიაში გამოჭედილი ჯვაროსნული მახვილი „ფერერო“ პირდაპირ გულში გაურჭო.

ბრძოლის ველზე დაღლილმა უეცრად თითქოს დაისვენაო - ულუ სიქარმა ორივე ხელი გაშალა და ზეცისაკენ შელტოლვილმა, სისხლიან მიწაზე მოადინა ზღართანი.

***

მეფე და არიშიანი, ბრძოლის დამთავრებისას შეხვდნენ ერთმანეთს. არიშიანი სისხლიან მახვილს წმენდდა და ულუ სიქარის ფარშავანგის ფრთებიან მუზარადს დაჰყურებდა. ნისლი მოუყვებოდა არაქსის ნაპირს, როდესაც მთაკაცის გარეგნობის მქონე მეფე ჩაფიქრებულ არიშიანს მიუახლოვდა.

- გამოგადგა იტალიური ხრმალი „ფერერო“ ჩემო არიშიანო? თბილად კითხა დავით მეფემ თავის მეხრმლეს.

- ამით ეშმაკსაც დავამარცხებთ ჩემო მეფეო - ბრძანა არიშიანმა და ტახის ქონით გაპოხილი მახვილი ქარქაშში ჩაასრიალა.

***

ამ სისხლიანი დღიდან ხუთი თვის თავზე ასმათ ტბელმა შობა ვაჟი, რომელსაც ჯაყელებმა მამის სახელი უწოდეს და ნათლი-მირონობისათვის თავად დიდ მეფეს ეწვივნენ, რომელიც ამ დროს წაღვლისკარიდან დიღმისკარამდე გაშლილ თავის ლაშქარს წვრთნიდა.

“წარმოემართა მეფე (დავითი – ა. ა.) ღანუხით წარსლვად რახსის პირსა და ზატიკი (აღდგომის დღესასწაული – ა. ა) გარდაიხადა ნახიდურს. მუნ მოართუეს ამბავი ბეშქენ ჯაყელისა ჯავახეთს თურქთაგან მოკლვისაი; და ამისთვის უშლიდეს დიდებულნი მას ჟამსა წარსლვად; და ყოვლად არა მოისმინა, არამედ დაესხა თურქთა, რახსის (მდ. არაქსის – ა. ა.) პირსა მდგომთა, მოსრა სიმრავლე მათი და წარმოიღო ტყუე და ალაფი ურიცხვი.

ნაწილი მეცამეტე

შოთა - რუსთავის პატრონი

მოსახსენიებელი შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა „ამ(ა)სვე ორშაბათსა.აღაპი შოთ(ა)სა.მეჭურჭლეთ უხუცესის(ა) ვინ შეცვ(ა)ლოს, შე -მცა -ცვ(ა) ლებულ (ა)რს სჯ(უ)ლისაგ(ა)ნ ქ(რისტ)ეანეთ (ა)სა“).

უზენაესი მეფე გიორგი, ღვთის ნებით, მეფეთ მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შირვანშა და შაჰანშა და მბრძანებელი ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა

ხანი მუნდა

1161 წელს, თბილისელები ერთდროს ამირას, ეხლა კი მეფის მეიდანზე შეკრებილიყვნენ და სამეფო მანდატურს უსმენდნენ რომელიც მათ გიორგი III ახალ განკარგულებას უკითხავდა.

ტანმაღალი მანდატური მწვანე ჩოხაში იყო გამოწყობილი, თავმომწონედ იდგა და ხელში გაშლილი გრაგნილი ეკავა. დედა ციხიდან, მეციხოვნები გადმოყურებდნენ ქალაქს და სამეფო მანდატურს. ლეღვის ხევიდან ხალხი გამორბოდა ახალი ამბის გასაგებად. მტკვრის ტალღები საამურად ელამუნებოდა არაბების დატოვებულ ვებერთელა შავ, გათლილ ქვებს, რომლებზეც ერთ დროს, როგორც ჭარმაგი კაცნი იხსენებდნენ, უხვად მორთული და საარაკო ხელოვანებით შექმნილი, ამირას სამდინარო ხომალდი იყო მიბმული. დღეს მოედანზე, ბაგრატიონთა ქვის ხელი იდგა, რომელიც გიორგი მეფის ძალაუფლებას განასახიერებდა. მანდატურიც მეფის ხელთან აღმართულიყო ,ხალხს ათვალიერებდა და გამოთქმით, მკაფიოდ ამბობდა:

- უზენაესი მეფე გიორგი, ღვთის ნებით, მეფეთ მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შირვანშა და შაჰანშა და მბრძანებელი ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, აწდა მოიხსენიების „მახვილად მესიისა“. ყოველნი სულთანნი და მბრძანებელნი აღმოსავლეთისა და მაშრიყ-მაღრიბისა, უკეთუ არ აღიარებს, გიორი მეფის ხელმწიფებას ამ მახვილითვე დაისჯება და გაცამტვერდება.

- თქვენ კი ერო სამეფოისა ამისა, გევალებათ ლაშქარს მეფისასა, დადგეთ. ყველას არ უხმობს სამსახური მეფისა. მხოლოდ მკლავით ძალიერთა და მუხლით მგლურთა, ვისაც სურს გაიწვრთნეს მშვილდოსნად და შუბოსნად მეფისად, საბრძოლო მანქანების ამწყობად და კედელთა დანგრევის ოსტატად, ფაროსნად და

ტაიჭოსნად მეფისა - გამოდით დღესა შაბათისსა, ქალქის ათასეულის დასაარსებლად ...

მანდატურმა თითქმის თავისი სათქმელი მოათავა, ხალხი აირ დაირია, ყველა ერთმანეთს ეკითხებოდა, იმის შესახებ, თუ რა იგულისხმა მანდატურმა თავის სიტყვებში და რას ნიშნავდა მესიის მახვილობა მეფისა.

- მეფე ჯარს კრებს, როგორც ჩანს, მაგრამ რა მიზნით და საით მიდის ეს ჯარი - შეეკითხა თავის ამხანაგებს მაღალი და ბრგე, წვეროსანი და უკვე გამელოტებული ოცდაათიოდე წლის კალატოზი სოლომონი.

- შენო ომი დამთავრდა, სოლომონ, თავზე თმა აღარ შეგრჩა მუზარადის ტარებით, ეხლა კალატოზი ხარ მორჩა - თქვა შავგვრემანმა გუჯამ და მოწყენილად ახედა მანდატურს რომელიც მოქალაქეებს თავს დაჰყურებდა და ხანაც ნარიყალას ციხეს ახედავდა.

- რატო რა? ჯანი კი მაქვს, ეს კალატოზობაც მომბეზრდა. ლაშქრობა და ალაფი ბიჭო გუჯა, რას ამბობ ძმაო, არ იცი ეტყობა შენ მხედრობის სიამენი - იცინოდა სოლომონი და ფართო თეთრი კბილები მის სულისა და სხეულის სიმთელეზე მიუთითებდნენ.

- კი მაგრამ, ამ მეფე გიორგის, აღარ უნდა რომ გადააბაროს მმართველობა თავის ძმისშვილს - დემნას, რომელიც უკვე სრულწლოვანია? იკითხა გასპარამ.

- არა, ჯერ არ არის დემეტრე სრულწლოვანი - თქვა სოლომონმა და გასპარას გაკვირვებით შეხედა.

- რას ამბობ? - გაიცინა გასპარამ.

- რაც გაიგე, როცა იქნება დემნა სამეფო ასაკის, გადასცემს ტახტს გიორგი თავის საყვარელ ძმის წულს აბა რას იზამს. - ბრძანა დაფიქრებით გუჯამ.

- მართალია - სჯეროდა სოლომონს.

- რავიცი მე, ერთი სომეხი ხელოსანი ვარ, ქართველებმა უკეთ იცით, მაგრამ უკვე უნდა გადაეცა ჩემის აზრით - გასპარა თითებზე ითვლიდა დემნას ასაკს.

- კარგი დაანებე თავი დათვლებს, წამო დავლიოთ - ცხენივით ახვიხვინდა სოლომონა.

- გუშინ დავლიეთ და გვეყოფა - კინაღამ ატირდა გასპარა.

- აჰა, აგერ გამოჩნდა მეფის მასხარა ებოთია, მოდი გავაჩეროთ და რაღაც რაღაცეები ვკითხოთ, მას უკეთ ეცოდინება თუ რა აპირებს მეფე - აცუდნრუკდა სოლომონა და გასპარას ხელი გადახვია.

- აღარ არის ეგ მასხარა მეფისა, გამოადეს სასახლიდან ეგ ბედოვლათი, მორჩა - სახე მოექუფრა გასპარას ,რომელიც ებოთიას მაინცდა მაინც არ სწყალობდა.

- ეგ კუზიანი და ბოროტი კაცი აღარ დამანახოთო უთქვამს ვირშელ ნაყივჩაღარს და მაგიტო გამოუგდიათ სიმართლის მქადაგებელი მასხარა სასახლიდან - ჩაილაპარაკა კირითხურომ თევდორემ.

- არ ვიცი თქვენი და მე ებოთია ძალიან მიყვარს, ჩემი ძმაა - ამბობდა სოლომონი და ებოთიასკენ მიდიოდა, ბრბოში ებოთიას პატარა, უცნაურად მოსიარულე ფიგურას ეძებდა და ბოლოს ხმამაღლა აყვირდა:

- ებოთია მასხარავ სად ხარ კაცო, ვეღარ დაგინახე?

- რა გინდა შე ბელტიყლაპია სოლომონა? - ღვინის სარდაფის კიბედან უეცრად თავი ამოყო ებოთიამ და ყველამ შეხედა მის გაყვითლებულ დანაოჭებულ სახეს, ფართოდ გადიდებულ თვალებს და მოწითალო ჩამოშლილ ქოჩორს.

- შიმშილობს ეს საწყალი ეტყობა - ჩაილაპარაკა სოლომონამ და ხმამაღლა წამოიძახა:

- ჩემს ძმას ებოთიას ჩემი ვალები და მე მისი სამეფო ჯამაგირი - რაო ებოთია რას მემტერები, მონატრება არ გაგიგია შე კაცო, მოდი აქ და მოგვიყევი თუ რა აზრი სუფევს მეფეთა ტვინში. გვითხარი რა თქვა მეფემ, ჩვენზე და ჩვენს ცხოვრებაზე, რატო ამოდის მზე და ჩადის მთვარე. გვითხარი კაცო.

- მე წავედი სახლში - უეცრად გამოსცრა კბილებში გასპარამ და წასვლა დააპირა რომ თვალებ ანთებული ებოთია მასხარა მას წინ გადაუდგა, მდუმარედ უყურა გასპარას და შემდეგ სოლომონაზე გადაიტანა მზერა.

- რაო რა გვაკვირდები, ადამიანები ვართ - თქვა სოლომონამ და ხელი გადახვია გასპარას.

- თქვენ ბიჭებო თვალში ხომ არ გეპატარავებით - ავად იკითხა ებოთიამ და ეხლა გუჯაათვალიერ-ჩაათვალიერა.

- გაუშვით წავიდეს, რაღაც აღრენილია, ჩაიჩურჩულა ამხანაგების უკან მდგომმა თევდორემ.

- სად უნდა წავიდეს, ერთი, სახლი აქვს რო? ერთ ფაშფაშა მულღაზანზარელ ქალთან არის შეკედლებული, ეს პატარა კაცი - მოიცა ცოტა გაგვართოს და მერე წავიდეს - გადაულაპარაკა მეგობრებს სოლომონამ და ებოთიას კი ასე მიმართა.

- მრავალი რამ არის გაუგებარი დღეს ჩემთვის. არ ვიცი ვინ ვარ და სად ვარ. მეფის სიტყვა მაინც განმიმარტე, მასხარათა შორის უმასხრესო. გვითხარი ბოლო

ნადიმზე მეფე როგორ გაართვე და ისიც გვითხარი რა ბრძანა ჩვენმა მაღალმა და უხვმა, მდაბალმა და ლაშქარმრავალმა ხელმწიფემ.

მასხარა ეზოთია მეფის კაცი

აი ასე იყო ყველაფერი კალატოზნო - უზენაესი მეფე გიორგი, ღვთის ნებით, მეფეთ მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შირვანშა და შაჰანშა და მბრძანებელი ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა უკიდურესად განარისხეს თავისმა ქვეშემრდომებმა იმ დიდ ლხინზე, რომელზეც მე მეფის მარცხნივ ვიჯექი რათა ყველაფერი კარგად დამემახსოვრებინა და შემეცნო.

- რაო მეფე გიორგიმ, რატომ გამოგაგდო, თუ მის ფერხთით იჯექი გატრუნული - იკითხა ერთმა კალატოზმა და მასხარას გარშემო შემოკრებილ ხალხს თვალი ჩაუკრა.

- არაფერიც არ გამოუგდივარ, პანღური არ უთავაზებია მეფეთ-მეფეს ჩემთვის, მე ამაყი კაცი ვარ და როდესაც ჯამაგირი დამიგვიანეს თავად წამოვედი - თვალები დახუჭა და მხრებში გაიჭმა ქონდრის კაცი ეზოთია, ერთი ცრემლი კი დაუგორდა თვალზე, მაგრამ იმწამსვე მოიწმინდა, დაახველა, ხალხს მკაცრად მიმოავლო თვალი და უთხრა:

- თუ ათ მარჩილს მომცემთ, ყველაფერს მოგიყვებით თუ რა ხდება სამეფო კარზე და საით მიდის ქვეყანა, თუ არადა მე ამაყი კაცი ვარ თქვენ თქვენთვის და მე ჩემთვის ხალხო, გამიშვით.

- მივცეთ, მივცეთ, 2 მარჩილს მე დავდებ, თქვა კალატოზმა სოლომონმა და თავის მოძმეებს გადახედა.

- გასპარა იპარება ბიჭო, არ უნდა ნახევარი მარჩილიდ დადება, ჰა გასპარ? - მიედევნა თბილისელი ვაჭარი, ერთ-ერთ კაცს, რომელიც სახლისაკენ წასვლას აპირებდა და ხელიც ჩაქნეული ქონდა ახალ ამბებზე.

- მოგვატყუებს - ჩაილაპარაკა გასპარამ.

- შენ აბა აბა წესიერად იყავი, რას კადრულობ კალატოზო, ეხლა არ გამაცეცხლო - თქვა ქონდრისკაცმა ეზოთიამ და სულმთლად გაწითლდა.

- ჰო, კარგი კარგი დავდებთ 10 მარჩილს და დაიწყე შენი სათქმელი, მაინც კვირა დღეა, სხვა საქმე არ გვაქვს, სახლში ცოლები გველოდებიან, ცოტა აზროვნებით სავსენი მივალთ შინ, ქალებს რაღაცას მოუყვებით, შვილებს ჭკუას ვასწავლით, მიდი ეზოთია მასხარავ მიდი დაიწყე.

ებოთიამ გადახედა კალატოზებს, გასპარას მიმართულებით სახე მოღუშა, თვალები დაახამხამა, მხრები აიჩეჩა, კისერი წაიგრძელა, ერთი მაგრად ჩაახველა, „ჯანდაბა თქვენიო“ დააყოლა და მეფის ხმის მიბაძვით დაიწყო:

- ბიზანტია უაღრესად ბოჭავდა და ამცირებდა ჩემს ერს, მტრისაგან გიცავო ეხუმრებოდა მას წამდაუწუმ, ჩემი ერიც იჯერებდა ამ ხუმრობას და ყოველ წუთს კონსტანტინოპოლში გარბოდა, იმისათვის რომ თავისი მეფე, რამენაირად დაესმინა და დაემდაბლებინა ბერძენთა თვალში. სინამდვილე კი მე უნდა გითხრად და გაუწყოთ, არავინ არის იმგვარად დამცირებული როგორიც საკუთარი ხელმწიფის უცხო კარზე დამსმენი და დამჩაგვრელი. ბერძნები არაერთგზის მოვიდნენ ჩვენთან სამტროდ, ჯერ კიდევ უხსოვარ დროს ელინები მოცურავდნენ ევქსინოს პონტოზე ერთი მიზნით - რათა ოქროს საწმისი გაეტაცათ. შემდეგ გამოჩდნენ არაბები, მათ ჩვენი დანარჩუნება მოკაკვული ხმლებითა და ალაჰის მრწამსით გადაწყვიტეს. მათაც ვებრძოდით და გავიმარჯვეთ, შემდეგ კი არაბთგან განთავისუფლებულებს მოგვადგნენ ველური სელჯუკ-თურქები, მოგვადგნენ და ზღვა სისხლისა დავღვარეთ მათთან ბრძოლაში, წავიშალეთ, წავილეკეთ, მაგრამ გამოგვიჩნდა კაცი, ჯერ კიდევ უწვერ-ულვაშო იყო როცა ის გამოჩნდა, ჩემს პაპაზე ვამბობ ხალხო - დავითზე. სწორედ მან დაატაკა იაფეტური მჯიღი სელჯუკ თურქებს და მიანგრია მათი სამხედრო ძლიერება.

- იაფეტური მჯიღი რა არის ებოთია მასხარავ, გაგვაგებნე ერთი - წამოძახა კალატოზმა სოლომონმა და გასპარას თვალი ჩაუკრა, ჩასუქებული გასპარა კი შემოტრიალდა და წასასვლელად მოემზადა, მაგრამ ეხლა ებოთიამ გასპარას გასაგონად თქვა:

- ჯერ ერთიც სოლომ, მეფის სიტყვის განგებ შეწყვეტისათვის ასი მათრახია სასჯელი, მეორეც ერთი როგორ არაფერი იცით, რა თქვა მეფემ ამის შესახებ- გაგულისდა ებოთია.

- გვითხარი მერე ,გვითხარი - ნეტავ მწვადი და თეთრი გორული იყოს სადმე ახლო მახლო და თუ გინდა ხვალ დილამდე მოგისმენდით - ცხენივით აფრუტუნდა გასპარა.

- ჩვენ ქართველები ვარ იაფეტის შვილები, ასე ბრძანა მეფემ, იაფეტური მუშტი,აი, - მასხარამ თავისი მოცუცქნული მუშტი დაანახა მის გარშემო შეყრილ ბრბოს, რაზეც სოლომონს და გასპარას სიცილისაგან კინაღამ მუცლები დაუსკდათ. მაგრამ რადგან სხვა სანახაობა ქალაქ ტფილისში მეტი აღარ ეგულებოდათ, ისინიც დადგნენ და მასხარას წინ გაშლილ ხალიჩაზე ჯერ ათი მარჩილი დაყარეს და შემდეგ კი გვერდით ცხელი შოთის პურები და ერთი ქილა მაწონი დააწყვეს.

ასე და ამგვარად, მეფის სიტყვის მიბაძვით ირჩენდა თავს ნამასხრალი ებოთია, რომელიც ცხელი, მოწითალო შოთის პურებისა და 10 მარჩილის დანახვისთანავე ღვტაებრივი ცეცხლით აღივსო და მეტად მრისხანე სახე მიიღო:

- მე მეფეთ მეფე გიორგი, პრომეთესა და ამირანის ქვეყნიდან, იაპეთოსი, სულიერი სამყაროს წარმომადგენელი ბრძოლას ვუცხადებ, ბნელეთის მოციქულებს, წყეულ სელჯუკებს, დიონისეს ქვეყნის დასაცავად, ვაზის გუშაგი, ვებრძვი შემოჭრილებს ისევე როგორც, ტროის მეფის შვილი, ვეფხვისტყაოსანი პარისი, აღვიჭურვები მშვილდითა და მახვილით და გავალ საბრძოლველად, გავალ ისევე როგორც ტროელი პარისი გავიდა აქილევსის მოსაკლავად.

- რაო მასხარა? რა იგულისხმა მეფემ ამით? - იკითხა გაოცებულმა სოლომონმა, რადგანაც იმ სახელებიდან რომლებიც, საოცარი მახსოვროობის უნარის მქონე ებოთიამ ჩამოთვალა ვერცერთი ვერ შეიმეცნა და ვერ გაიგო.

- სუს, სუს, მერე აგიხსნით, აღარ შემაწყვეტინოთ - კბილებში გამოსცრა ებოთიამ და განაგრძო.

- სიტყვა სიტყვით გეუბნებით თქვენ ერისთავნო, განთავისუფლდით მტრის შიშისაგან, განა იაფეტური მოდგმისა არა ვართ. თუნდაც უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, არ გვაუწყა ანი და ჰოი რომ ჩვენ ვართ წარღვნისშემდგომი კაცობრიობისა?

ებოთია, შეჩერდა, ხმის ტემბრის შეცვლას შეეცადა და როდესაც გადააწყო თავისი ხორხისეული სიმები, ერისთავ ვირშელს მიჰბაძა და სადაც ადრე იდგა იმის მოპირდაპირე მხარეს გადახტა და წამოიძახა, განგებ ვითომდა შეზარხოშებული ხმით, რომელიც ვირშელს ახასიათებდა:

- მეფევ ბატონო, ნება მიბოძეთ, გითხრათ, არაფერი ვიცი იმის შესახებ რომელიც ეხლა ახსენეთ, როგორ ვარ ბოლო თუ პირველი ვარ და პირიქით - ქალაქელებისათვის საძულველ ვირშელს მართლაც კარგად მიჰბაძა, ებოთიამ და მორცხვ უშობელ დამესგავსა.

- ვირშელ შენ და ყოველივემ აი ეხლა მომისმინეთ - ხომ მოგვივლინა უფალმა ანდრია პირველწოდებული და შემოიყვანა იგი სამცხით, სადაც არის სამშობლო ქართველობისა, ხომ ასეა?

- ასეა - ვირშელის ხმით წარმოთქვა ებოთია მასხარამ და თითქოსდა ყანწი გამოცალაო, მაწვნის ქილა მიიტანა ტუჩებთან.

- მაშინ ეხლა ესეც ისწავლე ჩემგან ვირშელ, სვიმონ კანანელი ხომ შემოვიდა აბხაზეთით საქართველოში, აი საიდუმლოება ანისა და ჰოესი, ღირსი მამა ანდრია იყო პირველი ქრისტეს მოციქულთა შორის ხოლი სვიმონი კი გახლდათ ბოლო მოციქული, ანუ ასოი - „ჰოი“, ჩაწვდი გირშელ ბატონო მეფეთა დარ საიდუმლოს ჩვენსას?

- ჰოი - დაიძახა ტანხმობის ნიშნად მასხარა ებოთიამ და ისე შებარბაცდა, თითქოს გული ერეოდა და თავი დამძიმებოდა, ლხინის მოყვარულ, მაგრამ სმას მიუჩვეველი ვირშელ ნაყივჩარარის მსგავსად.

- ამ კაცს აღარ დაალევნოთ ხალხო, სამეფო თათბირის წინ - მეფის მსგავსი ღიმილითა და ჩაშტერებით მიმართა ებოთია მასხარამ სოლომონას და გასპარაზე მიუთითა, ვითომ ის იყო ნაყივჩაღარი ვირშელი.

- რა გინდა ებოთია ნამასხრალო, თიფლისელი სომეხი კაცი ვარ, ეს ქალაქი როგორიც შენია ისევე ჩემია - აილეწა გასპარა და ბრბოს მიტოვება დააპირა რომ სოლომონ კალატოზმა მკლავში მკლავი მეგობრულად გაუყარა და შეაჩერა, რადგანაც ებოთია სამეფო მონოლოგს აგრძელებდა და სიტყვებს ჰკაზმავდა.

- ვირშელს თაფლი მიართვით და მომისმინეთ ეხლა მთავარს გაუწყებთ:

- მამან ჩემმან შეარბილა ლაშქრობები სელჯუკ თურქთა მიერ დაკავებულ მხარეებში. ამასობაში კი თურქ-სეჯუკები გამამაცდნენ, ფეხი მოიდგეს, კვლავაც ჩვენს მხარეში შემოსაჭრელად ემზადებიან. ჩვენი ძმები ანისელი სომხები უკიდურესად გაავერანეს. დაზვერვამ მომიტანა ცნობა, ხალიფას თავისი ხმალი გამოუგზავნია სელჯუკთათვის, ეს კი რას ნიშნავს - ქრისტიანების გატეხვას და საბოლოო დაპყრობას ქრისტეს ქვეყნისას. ვინ არის ქრისტეს ქვეყანა და რჯულის მახვილი?

- შენ ხარ მეფეო, შენ ხარ მეფეო -ვირშელის ხმით წამოიყვირა მასხარა ებოთიამ მეფის პასუხად და სოლომონს ხელი აუქნია თქვენც ამყევითო, სოლომონმა გასპარასა და გუჯას მიცხო და ისინიც აყვნენ ვირშელის ხმით მოყვირალ მასხარას:

- შენ ხარ მეფეო შენ ხარ მეფეო!-ცოტა ხანს აგრე ყვიროდნენ ისინი და შემდეგ დადუმდნენ.

- მართლაც მე ვარ მესიის მახვილი ჩემო ერთგულო მეგობრებო - განაგრძო მეფე გიორგი მე-3-ედ გარდაქმნილმა მასხარა ებოთიამ, და უეცრად წარბების აწევით, რაც ასევე კარგად ახასიათებდა ქვეყნის მბრძანებელს, წარმოთქვა:

- ჩვენ გვიცავს მიქაელ მთავარანგელოზი ჩემო რაინდებო, მიქაელ მთავარანგელოზს მუდამ ეთაყვანებოდა ქართველი ხალხი, ქრისტემდეც კი, როგორც მაუწყებდნენ ჩემი მასწავლებლები ათონელი ქართველი მამები, რომლებმაც მე ათონის მთაზე წამიყვანეს და საიდუმლოდ, იქ ორი წელი მზარდეს, მე მეფემ თქვენმა შევითვისე ის სიბრძნე, რომელიც არცერთმა არ იცით და არც გაგეგებათ, ამ სიბრძნის დასაწყისი საით იპოვოთ. სიბრძნე ძაფს წააგავს, გორდიას კვანძი ხომ გაგიგიათ, ალექსანდრე დიდმა რომ გაკვეთა, სიბრძნის გაკვეთვა არ შეიძლება, მას საწყისი უნდა აღმოუჩინო და ნელ-ნელა განათლებით მიჰყვე, სწორედ ამას გეუბნებით ეხლა - ათონელმა მამებმა 12 წლის ვიყავ, როცა მაუწყეს, რომ მე ვარ მესიის მახვილი და ეს ხალხი, თქვენ და თქვენი ერი, ერისთავებო გახლავთ მიქაელ მთავარანგელოზის ერი, რომელიც კაცობრიობას სელჯუკ-თუქრთაგან გადაარჩენს და დაიფარავს. აი შემომხედეთ მე მეფეს თქვენსას - ებოთია გაიბერა, უსუსური მკერდი წინ იმგვარად გამოაგდო თითქოს ჯანმაგარი მეფე იყო

და ამეტყველდა - მათი, ათონელების სიტყვით გასწავლით, მიქაელ მთავარანგელოზს, კავკასიელები და იბერიელები, ანუ ჩვენ უფლის ჩვენი დაბადებამდეც კარგად ვიცნობდით - ეს გახლდათ დმერთი მარდუკი რომელიც მესოპოტამიიდან მოყოლებული ამ მხარეში მცხოვრებ ხალხს განაგებდა, კავკასიელი მთიელები და ჩვენ ქართველები, მიქაელ მთავარანგელოზს უწოდებდით განსაკუთრებულ სახელს - ტარჰუს, რომელიც ჭექა-ქუხილისაგან გვიცავდა და ბორეასის მიერ შიშ-ატანებულს სახლის ბილიკს გვაჩვენებდა. სწორედ „ტარჰუ“ ანუ ტარიელ არის მარდუკის ქართული სახელი, და წინასახელი მიქაელი მთავარანგელოზისა. მარდუკსა და ტარჰუს გამოქვაბეულებში მუდამ ვეფხვის ტყავით მოსილს ხატავდნენ. ქართველი ხალხი, იბერიელებითა და კოლხებით, მესხებითა და მთიელებით, შავშებითა და პარხლელებით, ყველანი წმინდა მიქაელის ქვეშ დავიარებით. წმინდა მიქაელის გარდა, წმინდა გიორგი გვიცავს და გვამხნევებს, რომელიც ჩვენი სისხლისმიერი ნათესავია . წმინდა ნინო და წმინდა გიორგი ხომ კაპადოკიელი მესხები იყვნენ, ამიტომაც ჩვენში მათი სიხლია - როგორც ათონელებმა საიდუმლოდ მასწავლეს დღეს დადგა დრო საიდუმლოების გამჟღანებისა, მოემზადენით და უნდა გასწავლოთ ესეც....ებოთია შეჩერდა.

- რა თქვა მეფემ, რა საიდუმლოება გაანდო თავის ერისთავებს? - იკითხა ცნობისმოყვარე და ოქროსმოყვარულმა გასპარამ, სოლომონაც თვალებად და ყურებად იქცა, გუჯა აღფრთოვანებით შეჰყურებდა ებოთია ქონდრისკაცს და თვალწინ გიორგი მესამე ბაგრატიონს ხედავდა. რამოდენიმე მოქალაქემაც მოიხადა თავსაბურავი და ოფლი მოიწმინდა იმის მოლოდინში რომ ებოთია თავის სათქმელს ბოლომდე იტყოდა.

- თითო-თითო მარჩილი კიდევ დააწყვეთ და გეტყვით რა თქვა ამის შემდეგ მეფე გიორგიმ - გაიბღინძა პატარა ებოთია და მოლოდინშ მყოფმა ბრბოს წინ გაიარ-გამოიარა.

- რა ვქნათ ხალხო, არ მივცეთ? აჰა ჩემი კიდევ ერთი მარჩილი, ვინც არ დააგდებს მარჩილს აქა, მაშინ წავიდეს, გნებავთ გაგება საქმისა , გადაიხადეთ , თორემ ხომ ხედავ არ ლაპარაკობს - გასძახა ხალხს სოლომონ კალატოზმა და თავისი მეორე მარჩილი ებოთიას გაცვეთილ ხალიჩაზე დააგდო. გასპარამაც დააგდო მეორე მარჩილი ებოთიას ხალიჩაზე, რადგანაც ანისის მხარის სომეხთა მიწების გამოხსნის შესახებ ამბის გაგება ეწადა ძლიერ, რათა საბოლოოდ შემოხიზნული ცოლისძმისათვის ანისში დაბრუნების კეთილი ამბები ეუწყებინა.

- მრავალმა დააგდო მარჩილი ებოთიას ხალიჩაზე, ზოგი კი მიტრიალდა და გინებით სახლში წავიდა.

გინებაზე სოლომონ კალატოზმა ყურები ცქვიტა და აქეთ იქით მიმოიხედა, ვიღაც მიმავალი კაცი დაინახა რომელსაც ლაბადით ჰქონდა თავი შებურული.

- ვის აგინებს ერთი ეს მუტრუკი, იკითხა ძვალმსხვილმა და მჯიღოსანმა სოლომონამ, და მაგინებელ უცნობს გამოეკიდა, უცნობი შემოტრიალდა, ისიც ჯანმაგარი ჩანდა, სახე ყივჩაღს მიუგავდა.

- ვის აგინებ ნაყივჩაღარო? - კითხა მას, სოლომონამ და მისი ჯვალოს ლაბადა ისე შეათვალიერა, თითქოს ყივჩაღის შეიარაღებას ზვერავსო. სოლომონას სიბრთხილე არ იყო უადგილო. ქართველები ნაყივჩაღარებს მჯიღებით ჩხუბში ადვილად ჯაბნიდნენ, მაგრამ ყივჩაღი მუდამ შეიარაღებული დადიოდა და ასე ჩხუბი უკვე შეტაკებაში გადაიზრდებოდა ხოლმე.

- ჰა გამეცი ხმა ბიჭო, ვინ ხარ და ვის შეაგინე - კვლავ კითხა ქუჩის კუთხეში მიჩიხულ უცნობს სოლომონ კალატოზმა როცა მის უკან მდგარმა გასპარამ, იგრძნო რომ ეს ამბავი კარგად არ დამთავრდებოდა გაპარვა დააპირა მაგრამ სოლომონამ აქაც გამოსდო ხელი გასპარას, გვედით დაიყენა და ყივჩაღს გაცეცხლებული მიაჩერდა.

- რა გინდათ ბიჩებო, შევიგინე რა, შევიგინე ისე აი ასე - თქვა ჟღალთმიანმა, მაღალმა ყივჩაღმა, მისთვის ჩვეული, არეულ-დარეული ქართულით და შუა თითი ჰაერში ასწია.

- მე შენ განახებ სეირს, ვინაა შენი ბიჩო? მოიხადე ეხლავე ბოდიში - შესძახა სოლომონამ და ყივჩაღს თვალებში ჩახედა სადაც უკუნი სიბნელე დაინახა და უეცრად შედგა.

- ყიფჩაღი ბოდიშს არ მოიხდის - თუ გინდა ქალაქ გარეთ გავიდეთ, შენ მშვილდი, და ასი ისარი, მე კიდე მშვილდი და ათი ისარი და დავკოდოთ ერთურთი, იყოს? იყოს - თქვა ყიფჩაღმა და მის უკან მდგომებს გასძახა - „შევუზრან იაღვურ, შევირან, აღმაყოი, არმანა“.

- ვაჰ ჰ ჰ ჰ, ბევრნი ყოფილან წყეულები ჩაიჩურჩულა შიშისაგან გაოფლიანებულმა გასპარამ და მიმოიხედა რომ დაეთვალა თვითონ რამდენნი იყვნენ და უეცრად მოისურვა სწრაფად გასცლოდა არემარეს და ეს გადარეული სოლომონა რომელმაც უკვე 2 მარჩილი დაახარჯვინა ამ უსაქმური მასხარას მოსასმენად, აქვე ამ ვერცხლის ქუჩაზე მიეტოვებინა.

- რაო ბიჩო, ასი ისარიო, შე რა ყველაფერს ისრებით ითვლი - არ დააცალა სიტყვის დამთავრება, ყიფჩაღს, სოლომონ კალატოზმა და სანამ იგი თავისიანებს მოუხმობდა ერთი ისეთი მიცხო მჯიღი, ნაყიფჩაღარს რომ მისი მოწინააღმდეგე სოლომონას მძიმე მუშტის შემდეგ შეტორტმანდა, და როგორც ციხის გოდოლი, ბიზანტიური კატაპულტის შეტევის შემდეგ, ნელ-ნელა იმსვრევა, მგვარად ჩამოიშალა.

- ვაჰ რა მაგარი თხლიშე ტო ნაყივჩაღარს? გაკვირვებულმა იკითხა გასპარამ და ამ დროს ყიფჩაღის ერთგულმა თანამგზავრებმა, ათმა კაცმა სამხედრო მწყობრის

მსგავსი გუნდი თვალისდახამხამებაში შეკრეს და ყველას მათ გარშემო მთრახების ცემა დაუწყეს.

- ვაჰ, დაიგმინა გასპარამ, რომელსაც ერთ-ერთმა წითელსახიანმა მომხვდურმა, ჯერ წიხლი ჩააზილა სტომაქში, და როდესაც გასპარა იმ იმედით იქნება დამინდონო, ჩაიკეცა, გადარეულმა ყიფჩაღმა უსასტიკესად გადაუჭირა, ვირის ხლიშტისაგან, ანუ ფალოსისაგან გამოქნილი მთრახი გასპარას ბეჭებში და თავში.

გასპარა გადაქანდა და დავარდა, ყიფჩაღები წაქცეულს უფრო სასტიკად უსწორდებოდნენ ვიდრე ფეხზე მდგომს, ამიტომაც მისი საქმე წასული იყო რომ არა, ქონდრისკაცი ებოთია რომელიც თბილისელ სომეხს მხრებში მისწვდა და საყოველთაო წიოკისა და ყვირილის ველს თრევა თრევით გაარიდა, თუმცა ებოთიასაც მოხვდა, მისკენ წამოსულმა ერთ-ერთმა ყიფჩაღმა ებოთიას მათრახი გადაუჭირა, რომელიც ნამასხრალს კუზში მოხვდა, ებოთიას კუზი აეწვა, კინაღმა სული დალია ტკივილისაგან, ყიფჩაღი კი კიდევ ერთხელ უპირებდა მას მათრახის დაკვრას, მაგრამ ებოთია გაიმართა და ყიფჩაღს გააფთრებით მივარდა, მეფის მიერ ნასწავლი ილეთით ყიფჩაღი „ზურგულით“ წამოიღი, ნამეტანი კი ემძიმა, მაგრა ზღართანი გაადენინა.

- ვაჰ, ებოთია ებოთია, შენ გენაცვალე, ყვიროდა სოლომონა რომელსაც სამი ყივჩაღი გამეტებით სცემდა, მაგრამ სოლომონა მჯიღებით სადაც მიწვდა, მომხვდურებს თავ-პირი დაუნგრია და დაუსისხლიანა.

ბოლოს თავდაპირველი „შევუზრან“ ყიფჩაღი, წამოდგა თუ მოასულიერეს მისმა თანამოძმეებმა და მანაც ჩხუბი შეწყვიტა, „იაღვურ არმანა“ -საკმარისიაო წამოიძახა ყივჩაღმა და მისმა რაზმელებმა მათრახების ჩაგება იწყეს.

- როგორ ხარ ბიჭო ებოთია - ჩურჩულით ამბობდა გაშოლტილი და მიწაზე გაწოლილი გასპარა.

- ებოთია მაგარი ყოფილხარ შენ, აი კაცი - მოთრიალე სისხლი მოიწმინდა გუჯამ და ნამასხრალს გაუღიმა.

- შევხვდებით, და გაგიპობ მაგ თავს, მიაძახა სოლომონ კალატოზმა მიმავალ ყიფჩაღებს და მათ მეთაურს „შევუზრანს“, რომელიც შემოტრიალდა და დამარცვლით წარმოთქვა:

- „კოჯრის ტყეში ამოდი ზმაო, იქა ვდგავართ, ციხესთან, სენ ასი ისარი, ხმალი და შუბი, მე კი ჩემი მშვილდი და ათი ისარი, თუ გინდა პირველ სისხლამდე იკოს, თუ გსურს კიდე მოკვდოვამდის, ნება შენია...“

- წადი შენი ....ჩაილაპარაკა კალატოზმა სოლომონმა და გაავებულ ებოთიას მიუტრიალდა.

- ღირდა ეხლა 2 მარჩილად ეს დღეს - ჩურჩულებდა მიწაზე დაგდებული გასპარა, რომელსაც, გუჯა უვლიდა და თავს უხვევდა.

- რა მოგივიდა გასპარ? - იკითხა მუდამ პირმოცინარმა სოლომონმა

- შეხედე რა სჭირს, ყური აღარ აქვს ცალი, ყიფჩაღის ვირის ხლიშტმა, ამის ყური წაიღო - თქვა გუჯამ და გასპარა გვერდზე გადაატრიალა. მართლაც გასპარას ყურის ადგილას დაბეჟილი, ბასტურმის მსგავსი ხორცის სისხლიანი ნაჭერი ედო.

- ვაჰ შე საწყალო, მე კი მე მგონი გავარჩი - ამბობდა სოლომონა და ნამასხრალ ებოთიას ეხვეოდა - შენ რა კაცი ყოფილხარ, როგორ წამიქციე ყიფჩაღი, შენ გენაცვალე მასხარავ, ჰა ხომ არ დაგკოდეს, ბიჭო?

- არაფერია, გადავრჩი - ჩაილაპარაკა ებოთიამ და გუჯას მიეხმარა გასპარას წამოყენებაში.

რიგითი თბილისური ჩხუბის შემდეგ ხალხი გაკრეფვას აპირებდა, ებოთიას და გუჯას მძიმე გასპარა ზურგზე გაედოთ და სახლში მიტანას უპირებდნენ.

- რა უყოთ გადაირევა მაგის ცოლი მრეცხავი გაიანე, ფული არ მივცეთ რამე? - იკიტხა პირმოცინარმა ხუმარა სოლომონამ, რომლის ბრალიც იყო ეს ჩხუბიცა და მისი წინამორბედი ამბებიც.

- მე მივცემ, ხო მაქვს, ნახევარ დაუტოვებ - ჩაილაპარაკა ებოთიამ.

- მოიცა მოიცა შენ ხო შენი სათქმელი გაქვს დასამთავრებელი, რაო რა ბრძანა ჩვენმა ხელმწიფემ, რა საიდუმლო გაუჟავნა მან თავის ერისთავებს გვითხარი ერთი და დავიშალოთ - იყვირა სოლომონმა, ამბის მოწადინებით და იქვე მიწაზე, ფეხმოკეცვით ჩამოჯდა.

- ხო, კარგია, მოვუსმინოთ, თქვას ერთი, რა ბრძანა ხელმწიფემ - ამოილუღლუღა გასპარამ, რომელსაც გუჯამ ყურზე, თევდორეს მიერ მოტანილი ყინულის ნატეხი დაადო და ტკივილი დაუამა.

- ჰმმ - მკაცრად ამოიოხრა ებოთიამ, რომელიც კვლავ მეფეს დაემსგავსა და ხმის დაყენება დაიწყო.

- მიდი მიდი, ცოტა გავერთოთ, თორე ნამათრახალი სხეული ეხლა უფრო მეწვის - ამოიხრა გუჯამ.

- სმენა იყო და გაგონება, ვაგრძელებ მეფის ნათქვამს, კვლავ სამეფო ხმით ამოიძახა ებოთიამ და გარშემო მიმოიხედა, სოლომონა, გუჯა, იქვე მიწოლილი გასპარა და ათიოდე კაცი დარჩენილიყო მხოლოდ მის მსმენელად. ყველას აინტერესებდა სამეფო საიდუმლო.

- ერისთავნო, საქმე იმას კი არ გვაუწყებს თუ რა უნდა ვქნათ, არამედ საქმე გვაუწყებს იმას თუ რაც ჩვენთვისაა, საიდუმლოდ განცხადებული და სახელმიწფოს მიერ აუცილებლად ყურადსაღები. ეხლა კი მოგახსენებთ მთავარ საიდუმლოს ჩემსას, ათონზე მიღებულს - ებოთიამ ხმას კიდევ აუწია და წამოიმართა, მსმენელებს თვალი მოავლო და თქვა - სანამ მთავარს გეტყვით, რადგანაც საიდუმლო, საიდუმლოა, და მასში მონაწილეებს ყველას სათანადო დაშვება ამ ამბავთა არ უნდა მივსცეთ, გიბრძანებთ დაითხოვოთ დარბაზიდან თქვენი მსახურნი, ყმანი, აბჯართ-მტვირთველნი და მერიქიფენი.

- კვლავ ვაგრძელებ, დარბაზის კარნი დარაზეთ, და ეხლა ჩვენ დავრჩით მხოლოდ თორმეტი მოყმე, აი ეხლა კი შემიძლია გითრხათ ჩემი სათქმელი.

- მეფეო, სანამ საიდუმლოს იტყოდეთ კიდევ ერთი მაქვს მოსახსენებელი- ამ სიტყვებით ისე ატორტმანდა ებოთია რომ სოლომონა მიხვდა ვისაც განასახიერებდა იგი, „სულელი ვირშელი“ - ჩაიჩურჩულა სოლომონა კალატოზმა და ებოთიას მიაჩერდა.

- მეფეო, თუ ჩემი მსახურნი და აბჯარმტვირთველნი დაითხოვეთ, მაშინ მანდ რომ გიზით, მარცხენა ფერხთით, შეჩვენებული ქონდრისკაცი ებოთია, რომლის ნამასხრევზე მე არც მეცინება და ვისაც ეცინება იმან იკითხოს, დავითხოვოთ ეგეც - ვირშელის ხმით ღლაბუც-სლოკინით თქვ ებოთიამ.

- ეხლა არ მითხრა ძმაო მასხარავ რომ შენც გამოგაგდეს იმ კრებიდან, თორე იქნება გადავირიო -შეშფოთდა სოლომონა და ნამათრახალ თავზე ხელი გადაისვა.

- ებოთიავ, ჩემო კარგო, ვირშელის რჩევა ჩემთვის მისაღებია- დასტოვე დარბაზი და კრების დამთავრების შემდეგ გიხმობ -კვლავ ომახიანად თქვა ებოთიამ და გაიტრუნა.

- ეხლა არ გამაგიჟოთ, მართლა „გიჟ ვრაცუებო“, დამიბრუნეთ ჩემი, ორი მარჩილი - ლუღლუღებდა ცალყურ-ახეული გასპარა, იცინოდა გუჯა და საგონელებში ჩაგდებულ სოლომონს მიჩერებოდა, რომელიც ვერცხლის ქუჩის დაღმა მიუყვებოდა ქუჩას და იღლიებში ამოდებული შოთის პურებით მიარღვევდა ნელ-ნელა ჩამოწოლილ ბინდს.

ქართველთაგან ანისისა და დვინის აღება

იმავე გაზაფხულს მეფის ლაშქარი აბობოქრდა, როგორც ზღვა მოიყრის ხოლმე ზვირთებს იმგვარად აღელდა, უამრავი შენაკადები შეიერთა, მთიელებით მოირთო, ჩრდილო კავკასიელებით შეივსო და სამ ნაწილად დაყოფილი ანისისაკენ დაიძრა. მეტეხის სამეფო სახლიდან გასვლის წინ ბურდუხან დედოფალმა, გიორგი მეფეს გიშრისთვალება პატარა გოგონა მოართვა, რომელიც გიორგი მესამემ გულში ჩაიკრა,

პატარა გოგოს ფაფუკი ლოყები დაუკოცნა, მეუღლეს გადაეხვია და ის ის იყო ცხენზე უნდა შემჯდარიყო, რომ სასახლის დიდი კოშკიდან, შვიდი წლის ლამაზი და ფერმკრთალი ჭაბუკი გამოჩნდა, რომელიც მთელი სისწრაფით მივარდა ცხენის უნაგირთან მდგარ მეფეს, „ბიძია წამიყვანე ლაშქრადო“ - შესძახა და გიორგის გულში ჩაეკრო.

ბურდუხან დედოფალის ხელებში მყოფმა გიშრისთვალება გოგომ, ბიძაშვილის დანახვაზე გადაიკისკისა და უეცრად, მის ხელებში მოუნდა მოხვედრა.

მეფე გიორგიმ თაფლისფერ თმებზე გადაუსვა ხელი ძმისშვილს - დემნას, შუბლზე ემაბორა მას და ბურდუხანის ხელებში რომ ვეღარ აოკებდნენ პატარა გოგოს, იგი ჯერ აიყვანა და შემდეგ, გაოცებული სახით მდგარ დემნას მიაწოდა. პატარა გოგო უმალ ჩაეხუტა თავის ბიძაშვილს - დემნას და ფერმკრთალ ლოყებზე კოცნა დაუწყო მას. დემნაც გახალისდა, საკუთარი გრძელი წამწამებით შეუღიტინა გოგოს, რომელიც ჩაბჟირებული დემნას უფრო და უფრო მაგრად ეხუტებოდა.

- ლაშქრად ჯერ ადრეა წასვლა დემეტრე უფლისწულო, ბრძანებაა, აქ დარჩე და შენს დაიკო თამარს მოუარო - სიცილით თქვა გიორგი III ბაგრატიონმა და ალანიის თოვლიანი მთებივით მაღალსა და მშვენიერ ბურდუხან დედოფალს გაუღიმა.

დედოფალი პირჯვარს სწერდა ცხენზე ამხედრებულ მეუღლეს, რომლის ურთულესი მიზანი - სომხეთის ციხეებიდან სელჯუკთა გაგდება, ციებასა და კანკალს ჰგვრიდა.

- გქონდეთ ერთურთის მიმართ მხურვალე გული და ილოცეთ ქართულ ლაშქარზე შეავედრეთ უფალს მისი მეფე და სპა მეფისა - შესძახა საქართველოს საჭისმპყრობელმა და მის დანახვაზე ამხედრებულ ტაძრეულთან ერთად ანისისაკენ მიმავალ ლაშქარში გასწია;

ბიძაშვილი და მამიდაშვილი

- მაღალი მთები აკრავს ჩემს დედულეთს, უცხო და ჯერ უჩვევი, თითქოს მორცხვი ნიავქარი დაქრის მდელოებზე და მიერეკება ჩემს ფიქრებს როგორც მწყემსი კეთილი თავის ფარას, ზოგან აღმა მთებისაკენ და ზოგან დაბლა ფერდობისაკენ, თუ ნიავქარი გადაირევა და გადიქცევა ქარიშხლად, რომელიც

ჭკუას დაკარგავს და დასაღუპად გაიმეტებსთქო ხომ გითხარი იმ ფარას, ანუ ჩვენ ჯერ უჭკნობ ქმნილებებს, ამ ქვეყნიერებისას, მაშინ მე მოვუხმობ ჩემს სალამურს, აი ამას, სპილოს ძვლისაგან გამოჭრილს, რომელიც ჰინდოთა ქყვეყნიდან ჩამოუტანა ბიძას ჩემსას მისმა ფიცხვერცხლ-ნაჭამმა ძმადნაფიცმა ყივჩაღმა სარომ, მაშინ ალაპარაკდება უტყვი სული ჩვენი გუამისა და აგიზგიზდება ცეცხლი - რომელსაც ქვია - სიცხოველე. სიცოხლის ნიშან-სვეტი რომელიც არს სიმართლე ამაღლდება და აი იმ მაღალ მთებს გადაამეტებს. გაიზრდება სული სადედამიწო. მზეს მისწვდება კაცთა სიყვარული და მაშინ უფალი იქნება ჩვენთან და ჩვენ ვიქნებით უფალში. ღმერთი ხელშესახები მოვა ჩვენთან და აი ამ ღვინოს, რომელიც ჩემი დედულეთის საუკეთესო ვაზისაგან არის შექმნილი ჩვენთან, კაცთ სწორეთა შორის, ღიმილით შესვამს, აი ეს იქნება ხანა წრფელი სიყვარულისა და იმ დროს, საუკუნევ ჩემო, შენი თვალები გააცისკროვნებს ჩემი სულის ქვაბულებსა და ქარაფებს, მაშინ მე აღარ ვესვრი ისარს შველს, რომელსაც ჩემი მწევარი გამოდუგება, მაშინ არც შენ, ჩემი ბედის ძაფის მქსოველი, არ მიბრძანებ თავმოდრეკით დავჯდე შენს სტუმართა შორის - ამბობდა თხუთმეტიოდე წლის, ულვაშისა და წვერის ამოსვლას მოწადინებული ჭაბუკი, რომელსაც სამონადირეო კაბა, წინააღმდეგ სასახლის კარის წესრიგისა, აღმოსავლური ოქროცურვილი ძაფებით, ყირმიზისა და ვერცხლის საკრავ-დუგმებით მობირბირე, ეცვა და მის წინ, გაოცებული თვალებით მომზირალ, ცამეტი წლის ასულს გულში ჩამწვდომი მზერით შეჰყურებდა.

- მიბრძანე ერთი, ჩემო რუსთველო, შენ თხუთმეტიოდე წლის ყმაწვილმა კაცმა, შენს ტოლ ბიჭებთან მოთამაშემ და როგორც სიტყვები შენნი გვაუწყებენ, ნადირთა და ფრინველთა დასახოცად შემართებულმა ავმა ქეიბურმა, როგორ მოასწარი შეგესწავლა, მზისა და მთვარის, ვარსკვლავთა და კაცთა, ურჩხულთა და ლომთა ქცევა მათი ხასიათი და აზრთა-ქება? - ამბობდა მდელოსფერ, სამგზავრო კაბაში გამოწყობილი, გოგონა და მორცხვი ღიმილი რომ დასთამაშებდა ტუჩებზე, მის მოსაუბრეს თვალს აცილებდა.

- ბრძენთაგან გამორჩეულია, ის რომელიც სიბრძნეს კი არ სწავლობს, არამედ ყოველდღიურად შეისუნთქავს, ყვავილებისაგან, მიწისაგან, ცისაგან, მდინარისა და ჭაობად ქცეული ტბისაგან, ჩემო ბიძაშვილო - თქვა ლოყებ აწითებულმა ვაჟმა და მინდვრის ბალახების ერთად მოგროვილ კონას თვალდახუჭულმა ამბორი უყო, გოგონამ ამისა დასანახად გადაიკისკისა ფეხზე წამოხტა და ვაჟს თმებზე მიეტანა. თურმე ხელთ ყავდა დამალული კარგა გვარიანი მაისის ხოჭო, რომელიც მან რუსთველს შავ-გრუზა კუკულებში ჩაუხლართა და უეცრად სწრაფად გაიქცა.

ხოჭომ, რომელიც გოგონას ხელებში თითქოსდა მიძინებული გასუდრულიყო, ვიღაც უცხოს შავ ხვეულ თმაში მოხვედრა იუკადრისა და ხუჭუჭუა კულულებიდან გასანთავსუფლებლად მთელი ძალით აბორდღიალდა.

- ოჰ კრავაი, კრავაი მე შენ საოცრებებზე გესაუბრები, შენ კიდევ სულ მთლად ბავშვი ყოფილხარ, დამაცადე ერთი, დამაცადე, ბიძაშვილო, მოიცა პატარავ მოიცა -

შესძახა ხუჭუჭთმიანმა რუსთველმა და კრავაის მთელი ძალით გამოუდგა. კრავაი ირემივით სწრაფად მირბოდა, მდელოსფერი კაბა ეკლიან ბუჩქნარებზე რომ არ დაეგლიჯა, ხელით აეკეცა და ისარივით მიჰქროდა მამამისის ციხედარბაზისაკენ. კოშკებზე გადმომდგარი მშვილდოსანი მოდარაჯენი გაკვირვებული დაყურებდნენ მათკენ მორბენალ კრავაის და მის უკან, არანაკლები გამალებით მხტომიარე ბიჭს, რომელიც ის-ის იყო უნდა დასწეოდა პატარა გოგოს რომ უეცრად შავშელმა ციხისთავმა შალვამ, რომელი კრავაის მხედრულად ზრდიდა გოგონას დახმარების ხელი გაუწოდა და მას უგრძელესი ბაწრის თოკი, საალყო შემოტევების მოსაგერიებლად საჭირო გრძელი კიბე გადმოუგდო.

კრავაი, მიჩვეული იყო ამგვარ სამხედრო ვარჯიშებს და იგი კალიასავით მოქნილად შეახტა აღმზრდელის მიერ ჩამოგდებულ ბაწრის კიბეს და ოდნავ დამრეცად აშენებულ გოდოლზე ასვლას შეუდგა.

შავ-ხუჭუჭთმიანი შედგა, კრავაი უკვე გოდლის ქონგურებისაკენ მიცოცავდა და სულ მალე ერთ-ერთ საისრე სარკმელში უნდა შეცოცებულიყო რომ გოგონამ თავი მოატრიალა და თავის ბიძაშვილს ერთ-ერთი ქამანდი გადმოუგდო.

- ამოდი შენც, აბა - შესძახა მან გაბრწყინებული თვალებით და ქონგირებზე შემხტარი ძია შალვას ჩაეხუტა.

ხუჭუჭთმიანი რუსთველი ქამანდის ბოლოს შეჰყურებდა, ცხადია უნდა ისიც მოხტომოდა გრძელი ლახტისაგან დაბწნილ კიბეს, მაგრამ ცოტა ხანს ფიქრობდა.

- რას ელოდები? ამოდი ხომ მაგარი ხარ აბა? შესძახა გოგომ უკვე ქონგურებიდან და ბიჭს მოეჩვენა რომ იგი მისი მეციხოვნენი მას დასცინოდნენ. მაშინ კი გაბრაზდა ხუჭუჭთმიანი რუსთველი, უბეში საგულდაგულოდ ჩადებული წიგნი ამოაცოცა, იქვე დასდო, მოწითალო ფერის ტყავის საცვეთები გაიხადა და თოკს ისიც შეახტა.

- მიდი მისი შოთიკო, აბა მიდი - გაყჰვიროდა კრავაი, და მისი ხმა ურაველის ველსა და შავი მთის ქედებს აღწევდა.მთელმა ციხემ მოირბინა სანახაობისათვის. ქონგურებიდან ეხლა უკვე შავ და წითელწვერა მეციხოვნეების გვერდით, უამრავ ქალსა და კაცს, ბიჭსა და გოგოს დაინახავდით. ყველა შეჰყურებდა კრავაის გაბრწყინებულ თვალებს და მასთან ერთად ხაროობდა როდესაც, მათი სტუმარი, შოთიკო რუსთველი, მაღალი კოშკის სანახევრომდე არც მისული უცნაურად იგრიხებოდა და დასაყრდენს ეძებდა.

- მიდი შოთი მიდი, რა ცხელი პურივით გავარვარებულხარ, შენ მართლა შოთი ყოფილხარ - გაჰკიოდა ონავარი კრავაი და მეციხოვნეთა დასტა სიცილს ვერ იმაგრებდა, როდესაც მარდი და მთ-მთა აღზრდილი კრავაის, სტუმარი ვაჟი, მწიფე ვაშლივით ეკიდა თოკზე და გაოცებული აკვირდებოდა იმ საკლდეო ბილიკს რომელიც კრავაიმ ასე სწრაფად და უდანაკარგოდ განვლო.

- მოდი დავეხმაროთ შვილო კრავაი, გადაუგდოთ ქამანდი, წელზე გაიკეტებს და უმტკივნეულოდ ამოვიყვანთ რუსთავის პატრონს, შეჰყურებდა შალვა ციხისთავი კრავაის მოელვარე თვალებს და ელოდა რომ ონავარი, მეკლდეური კრავაი, თავს დააქნევდა.

მაგრამ ასე არ მოხდა, კრავაიმ უეცრად თავი გააქნია, და შალვა ციხისთავმა გაიფიქრა ის რაც ადრეც უგრძვნია რომ უასაკონი ხანდახან ასაკოვნებზე უფრო სასტიკდებიან.

ამასობაში ბიჭმა რამოდენიმე წყრთის სიმაღლეზე ამოიწია, ციხის კედელზე დატანიებულ საწვიმარ ღარს მისწვდა და მასზე დამაგრება არჩია.

შალვა ციხისთავმა უმალ იგრძნო რომ დახმარება ეხლა უკვე დროული იყო, რადგანაც ციხის საწვიმარი ღარი, თიხის გახლდათ და კედელში დამალული თიხის ჭურჭელ-მილები თუთხმეტის წლის ბიჭის დაყრდნობით შესაძლოა ჩამოშლილიყო. მილებს კი შეაკეთებდნენ მაგრამ ვაჟი შესაძლოა ციხის ქარაფიდან პირდაპირ დამცველ თხრილში ჩავარდნილიყო, სადაც მტრულად მომხვდურს უამრავი , აღლესილი და ბასრად მოელვარე შუბი, ისარი თუ წამახვული სარი ელოდა.

ეს ალბათ იგრძნო კრავაიმაც, რომელიც უმალვე დაეშვა მამიდაშვილის მისახმარებლად და ქონგურიდან ჩახტა, თოკმობმული. შალვა ციხისთავიც, უმალ დაუყვა მეკლდეურთა კედელს და ცხოვრებაში პირველად შიშ-შეპყრობილი ჩალისფერთმიან კრავაის წამოეწია.

- შალვა ბიძია შენ არა მე ამოვიყვან - ჭირვეულობდა კრავაი და ბიჭისკენ ეშვებოდა საოცრად მოქნილი და სწრაფი მოძრაობებით.

შალვა ციხისთავმა ისიც კი გაიფიქრა -„კრავაი, ჩემს ვაჯებზე უფრო მარდი აღმიზრდიაო“ და ისიც მეორე მხრიდან მოექცა ციხის კედელსა და კლდის ქარაფს შორის, დაკიდებულ რუსთავის პატრონს.

- ხელი მომე ხელი, შვილო, ბრძანა აზნაურმა შალვამ და რუსთველს რკინასავით მყარი ხელი გაუწოდა.

- არა, ციხისთავო, მე თვითონ უნდა ავიდე - თავი გააქნია ხუჭუჭთმიანმა და შალვას არც კი შეხედა ფეხი ერთ-ერთ კბოდეს მოადო და ზედ აწევა სცადა.

- მოიცა, მეც გეხმარები, აი მიდი, მიდი შოთი - ამბობდა კრავაი და თავის მამიდაშვილის მიხმარებას ცდილობდა.

- კრავაი, კრავაი, ეხლა მომისმინე - არც კი მომეხმარო, არ კითქო გაფრთილებ - უმალ ჩავხტები დაბლა - არც კითქო.... იცოდე - ეს სიტყვები გულში ჩასწვდა შალვა ციხისთავს და თოკზე გამობმულმა კრავაიმ რომ მას შემოხედა, ღიმილით ანუშნა, „სუ-ო“, უთხრა და გაუღიმა. კრავაიმაც უჩუმრად გაიღიმა, თითქოს თავისი

ელქობისა და დანაშაულის დამალვას აპირებსო, კლდის კბოდეზე მოქანავე მამიდაშვილზე მიუთითა ციხისთავს და ხელები გაშალა, რომ დაეჭირა მის ზევით მოფართხალე შოთიკო რუსთველი და ციხის ორმოში ჩავარდნისაგან გადაერჩინა.

- ჰოროლებზე და ხანჯლებზე დაეგები იცოდე, თუ ჩავარდები, ყმაწვილო, მერე სხვა დროს ისწავლე ქონგურებზე ცოცვა, რა სირცხვილია დასახმარებლად გამოწვდილი მარჯვენის დაყრდნობა, ხომ გაგიგია შოთი, ხალხური სიბრძნე „გამოწვდილ ხელს ჰაერში ნუ გააშეშებო“- უკვე შეშფოთებული ხმით ამბობდა კრავაი.

ციხისთავი შალვა შავშელი, გუმანით გრძნობდა რაღაც ხიფათს, თუ კრავაისა და მისი მამიდაშვილის გვერდით თოკზე დაკიდებული იმას ფიქრობდა, რომელი ერთი დაემაგრებინა ქარაფზე თუ ციხის რომელიმე კედელი, ან გარე ღარი ვერ დაიმაგრებდა რუსთავიდან ჩამოსულ ბატონიშვილს.

განწურული სახით იყურებოდა ციხისთავი, ახედავდა ხოლმე ბიჭს, რომელიც ნელ-ნელა ზევით მიიწევდა, მაგრამ რადგან იმასაც გრძნობდა, რომ მას ყველაზე რთული საკლდეო ბილიკი აერჩია, მისახმარებლად საუკეთესო ადგილს ეძებდა. ამ დროს კრავაისაც უთვათვალებდა რომელიც თავის მამიდაშვილს მისდევდა და ამხნევებდა.

უეცრად შალვა შავშელმა შეამჩნია რომ რუსთავის პატრონი გოდლის წვრილ ღარს მიჰყვებოდა რომელიც ათიოდე წლის წინ შეეკეთებინათ. აეჭვებდა ციხისთავს ეს წვრილი ღარი და უნდოდა ეყვირა „წვრილ ღარს ხელი უშვი ჩამოინგრევაო“, რომ უჩვეულო ტკაცანის ხმა გაისმა და ციხისთავს თავზე გამტყდარი თიხის ნამცეცები დაეყარა, როდესაც შალვამ იგრძნო რომ მოსახდენი მოხდა ან ეხლა ხდებოდა და სასწრაფო ქმედება იყო საჭირო, კრავაის კივილის ხმა გაისმა და როდესაც ზევით აიხედა რუსთავის პატრონი ვეღარ დაინახა. კრავაი კი ხმამაღლა კიოდა და დაბლა ჩასვლას აპირებდა.

- რუსთველო....რუსთველო ....ცოცხალი ხარ ....გამე ხმა ...

მთელი ციხიონი, მეციხოვნენი, ხაბაზები და დაბაღები, მეტყავეები და მშვილდისრის ოსტატები თავდასაცავი თხრილისკენ გარბოდნენ სადაც , ხის დარღანების ქვეშ საგულდაგულოდ დამალული, წამახვული, ჰოროლები, შუბები, წათები, ჩუგლუგები ,ისრები და მიწაში ჩარჭობილი სხვა არნახული უბედურება ელოდებოდა იქ ჩარადნილ მტერს. მაგრამ თხრილმა რა იცოდა ვინ იყო მტერი და ვინ მოყვარე.

- „დავღუპე ბალღი“- შუბლზე მაჯას ირტყამდა შალვა შავშელი და ისიც იმასვე ფიქრობდა რომ თავადაც თხრილში გადავარდნილიყო და ერთ, რომელიმე, სპარსულ, ქურთულ, ბიზანტიურ ან თურქულ შუბზე დაგებულიყო რომელიც მას თავად, მისი პატრონებისთვი ჰქონდა წართმეული და შავშეთს ჩამოტანილი.

- სისხლი მოსჩქეფს ....დასტაქარი საჩქაროდ - ყვიროდნენ დაბლიდან.

***

თოთხმეტი წლის ჭაბუკი იმ ბიზანტიურ, ორკაპა ჰოროლზე დაგებულიყო, რომელიც მესხებს ბერძენთა სპის დამარცხების შემდეგ მოეტანათ შავშეთის ციხეში და თავდასაცავ თხრილში საგულდაგლოდ ჩაერჭოთ. ამ ორკაპა ჰოროლით ცდილობდა ბიზანტიელი სტრატეგოსი უკანასკნელი ბრძოლის მოგებას, როდესაც იგი შავშელების მიერ, დაჰმანურად ნატყორცნმა ისრებმა წუთისოფელს გამოასალმა.

ჰოროლზე დაგებული ვაჟი, ჯვარცმულ ქრისტეს წააგავდა, მას ხელები ქონდა გაშლილი, ფეხნი კი მოკეცილი, მირბენილმა მცველებმა იგი თავიდან გარდაცვლილად ჩასთვალეს, მაგრამ როდესაც სამხედრო ბილიკით სათითაოდ თრხილში ჩავიდნენ მიხვდნენ რომ ,ვაჟი ცოხალი იყო - მას ჰოროლის ცივი და ბასრი სხეული ბეჭში და ბარძაყში შესობოდა. სისხლის მიმოქცევის ჭურჭლები გადასერილი ეგონათ, მაგრამ დასტაქარმა ბრძანა - „სახიერმა დაგვიფარა , სუნთქავს“. განსაკუთრებით კრავაის გაფითრებული აკანკალებული სახე დაამახსოვრდა სპარსელ ექიმს იმ წამს.

„- გადამირჩინე ღმერთო ან მე მომკალი-“საათობით ლოცულობდა კრავაი ხატების წინ დაჩოქილი.

სამი დღისა და სამი ღამის ციების შემდეგ, ხუჭუჭთმიანმა ოდნავ მოიკეთა, ბეჭზე და ბარძაყზე შემოხვეული სამკურნალო ბალახებისაგან დამზადებული არტახები გაუხსნეს და ნახეს რომ ჭრილობიდან სისხლმა კვლავ იფეთქა, გადაფითრდნენ.

- ვკვდები? მაშ დედას ჩემსას არ შეატყობინოთ, ცოდოა საწყალი, მამა ახალი დამარხული გვყავს, ეხლა მაგან ჩემი ამბავი რომ გაიგოს ვეღარ გადარჩება - აკანკალებულმა თქვა დაჭრილმა ვაჟმა და გული წაუვიდა.

იდინა შავმა სისხლმა და შეწყდა დენა. კრავაი ხმამაღლა ლოცულობდა. დასტაქარი შორეული შავშეთის ციხეში გამომწყვდეული, რომ იყო, სპარსეთში დარჩენილ თავის ოჯახზე და მათ მჩაგვრელ სომეხ მევახშეზე ფიქრობდა და იმასაც წარმოიდგენდა, რომ თუ ვაჟი დაიღუპებოდა მას ალბათ, არც არაფერს მისცემდნენ, შეიძლება პანღურებთაც კი გაეგდოთ, ან შეეძლოთ მოეკლათა კიდეც? - კვნესოდა ჩუმად დასტაქარი სპარსელი გოზალი და ცრემლებს იწმენდდა იმის მოლოდინში,

რაც მას ელოდა. „სომეხი მევახშე ჩემს, ლამაზ ცოლს წაიყვანს, ერთადერთ ბიჭს, მამათმავალ ღაზაის მიჰყიდის შაჰინშაჰის ჰარემისათვის, მე კი, ამ თავნება იბერიელი უფლისწულის სიკვდილისათვის, ორ ან სამ პანღურს მითავაზებენ, ან პანღურს ვინ დამანებებს, სწორედ ეს თავქარიანი, მჩხავანა გოგო, ქორს რომ მიუგავს თვალები, რომელიმე წვეროსან დათვს მისცემს ჩემს თავს, ვაი ჩემო თავო...ვაჰმე გოოზალ...“ - ჩიფჩიფებდა რაღაცას ავადმყოფის თავთან ვითომდა შეწუხებული სახით მოვიშვიშე დასტაქარი და „ქორისთვალება“ კრავაის გახედავდა, რომელიც მას, უცნაური თვალებით აკვირდებოდა შემდეგ თავის ლოცვებს უბრუნდებოდა.

გოზალი შეწუხებული სახით გახედავდა ჩამუხლულ კრავაის. „შავშეთის ციხიდან გასაქცევი გზაც კი არ არის“ - გაიფიქრებდა იგი და არემარეს რომ შეჰყურებდა სამყაროს წარმოშობაზე ფიქრობდა.

„გოოზალ, გოოზალ, ცეცხლისთავყვანიმცემელთა შთამომავალო, აბა რა მაჰმდიანი ხარ როცა კაცის გამოჯანმრთელება არ შეგიძლია“ ან რა დასტაქარი ხარ როცა სისხლის შეჩერება არ შეგიძლია, მაშინ როცა ძველ სპარსელებს, ელინებს და ჰიპოკრატესეული ფიცით შეერთებულ ათ მკურნალს, ჯერ კიდევ როდის, ჯერ კიდევ რომელ დროს, ალექსანდრე მაკედონელის ხანაში, ათას-სამასი წლით უკან, თავის ქალის გასნა ისევე ეადვილებოდათ როგორც კვერცხის გატეყხვა, მხოლოდ იმ განსხვავებით რომ, გატეხილ კვერცს ისევე როგორც გოზალის გაპობილ თავს ვეღარ გაერთიანებ და ალბათ ასეც მელოდება გამთენიისას, ხოლო ჰიკრატესეული ფიცით შეკრულნი, ახდილ თავის ქალაქ ისევე უკან ახურავდნენ მოკვდავს და შემდეგ მას აცოცხლებდნენ. ჰო აბა რა აცოცხლებდნენ“ - ჩურჩულებდა გოზალი და გრძნობდა რომ ვიღაცა ზურგიდან უახლოვდებოდა, რადგანაც მისი ჩრდილი თავზე წამოდგომოდა. გოზალი ჩრდილს უჭვრეტდა და მოახლოვებულ სიკვდილზე ფიქრობდა, მაგრამ იმასაც ვერ ხვდებოდა რომ უნდა ებრძოლა, თუ უნდა დანებებოდა ბედისწერას, რომლის არც კი სჯეროდა.

***

- მომისმინე დასტაქარო, შოთა უნდა გადავარჩინოთ, ხომ გაიგე - ეხლა უკვე სპარსულად ამბობდა კრავაი და თვალცრემლიანი სპარსელი გოზალის წინ იდგა.

- გეთანხმები, მაგრამ როგორ, მე ყველაფერი ვცადე, შვილო გამიგე - მბრწყინვალე ქართულით წარმოსთქვა ეს სიტყვები გოზალიმ და გოგონას, რომელიც არც მაინდამაინც მოსწონდა, თვალებში ჩახედა.

გოგონას თვალებში დასტაქარმა, ის დაინახა რაც იბერიელ დედოფალთა სახლებში სტუმრობის დროს განუცდია. იბერიელი ქალები აოცებდნენ, სპარსეთიდან გადმოხვეწილ გოზალის. ქალი რომელიც სპარსეთში მხოლოდ ნივთი გახლდათ, აქ იბერიაში - ჯადოქარი იყო.

იბერიელი ქალთა თვალის გუგებში, უზადო ამპარტავნება, დიდი შემწყნარებლობასთან რომ იყო შეზავებული, სიბრძნისა და სულის სიღრმეების მკვლევარის გასაოცარ შუქს თითქოსდა შიგნიდან, სხეულიდან თუ სულიდან გაენათებინა.

მანათობელი, ღრმად ჩამწვდომი მზერით შეჰყურებდა მას კრავაი. შაჰინშაჰის კარზე, დედოფლებიც უნახავს დასტაქარს, მაგრამ ისინი, ლამაზი სხეულებით რომ გამოირჩეოდნენ, მხოლოდ და მხოლოდ იმ დღისათვის ვარგოდნენ. ეს კი სხვა მზერით უყურებდა დასტაქარს, მისი სულს სწონიდა, მის დასტაქრულ ხელოვნებას მდუმარედ ამოწმებდა და პაექრობაში იწვევდა.

- „რა უნდა ვქნათ, არც კი ვიცი“, ამის თქმას აპირებდა გოზალი, მაგრამ კრავაის გამოხედვამ იმგვარად დაუწვა სული და სტომაქი რომ სულ სხვა რამ თქვა:

- ვიცი რაც უნდა ვქნა, მხოლოდ შენი დახმარება მინდა. ოქროს ჭურჭელი მაქვს ერთი - მასში მოდუღებული წყალი, სამოთხი წყლად იქცევა, აი ეს უნდა მომიმზადო, მე კი ამ წყლით ჭრილობას კიდევ ერთხელ გავბან და გადავახვევ, გაწმენდილი ჭრილობა წესით უნდა შეხორცდეს, გარდა ამისა ლოცვებიც მაქვს და ისინი უნდა წავიკითხო. შენ შენებურად ილოცე და მე კი ჩემო ლოცვა დამანებეთ. აქ მაქვს ძველი წიგნი სპარსული - რომელიც ჭაბუკს გადაარჩენს.

***

კიტაბი - ალ ჰავი ფი ალ ტიბბი - ანუ მრავლისმომცველი წიგნი მედიცინისა, დაწერილი ალ-რაზის მიერ, რომელსაც ამ დიდმა სწავლულმა მთელი თავის სიცოცხლე მიუძღვნა გოზალს ხელში ეჭირა და საგულდაგულოდ ფურცლავდა. კრავაი გაოცებული უყურებდა, სხვადასხვა ნახატითა და მინიატურით გაფორმებულ იმგვარ დიდ წიგნს, რომელიც მას აქამდე მამის წიგნსაცავში თუ ენახა. მაგრამ ის წიგნები წმინდანთა ცხოვრებას აღწერდნენ, ამ წიგნის მიმართ კრავაის იმგვარი ცნობისმოყვარეობა აღეძრა, რომ რამოდენიმე წამით გული აუჩქარდა, შუბლი გაუცხელდა და წიგნისაკენ ხელი წაიღო.

აბუზღუნდა გოზალი როდესაც კრავაის ჩრდილი სწორედ იმ გვერდს დაეცა, რომელსაც ასე საგულდაგულოდ ეძებდა სპარსეთიდან იბერიას გადმოხვეწილი. ალ რაზის კიტაბში 23 თავი ეგულებოდა სპარსელს, უნდოდა სწორედ ბეჭისა და ბარძაყის მყესების შეხორცების საიდუმლო ამოეკითხა მას და ისე ემოქმედა როგორც თავად ალ რაზი იაქიმებდა. მაგრამ წიგნის გამოყენების საიდუმლო, მას თავად სურდა დარჩენოდა და იბერიელებისათვის მხოლოდ ჯადოქრული ოქროს სინის გამოყენების საოცრება ემცნო.

წინდახედული კაცი იყო გოზალი. იბერიელების შეცდომაში შეყვანა რა თქმა უნდა უნდოდა. თუ ჭაბუკი გამოჯანმრთელდებოდა ყველას პირზე მისი ჯადოსნური

ოქროს თასი ეკერებოდა და შემდეგ, რომელიმე ხარბი ერისთავი მას თასის დათმობას შესთავაზვდა. ამას წინასწარ თვლიდა გოზალი. ოქროს თასს, არა ოქროს ფასად არამედ განკურების უნარის მქონე ოქროს თასად გაჰყიდდა, რაც რა თქმა უნდა მას დიდ მოგებას უქადდა. ამ შემთხვევაში მას ჯერ კრავაი უნდა მოეტყუებინა და მისთვის „საოცრება სარფიანად მიეყიდა“

მაგრამ ჩალისფერ თმიანი კრავაი სწორედ წიგნის 23-ე თავის ძებნაში წამოადგა დასტაქარს თავს და კიტაბის გვერდებზე გამოსახულ, სხეულის მოჭრილ ნაწილებს დააკვირდა. ალ-რაზი ხომ შაჰინშაჰის ჯალათებთან დადიოდა სიკვდილით დასჯილთა გამოსაფატრავად და მათი ორგანიზმის ფარული ნაწილების უკეთ გამოსაკვლევად.

- ეს რა არის გოზალი? - ჩაიჩურჩულა კრავაიმ და სპარსელ დასტაქარს გვერდით მიუჯდა, მხრებზე ჩამოშლილი ჩალისფერი თმები უკან გადაივარცხა, ბიზანტიელი პატრიციების მსგავსად, ვერცხლის სავარცხლით რომ იმაგრებდნენ დალალებს და სპარსელი ექიმის გაბრაზებულ თვალებს გადააწყდა.

- ეხლა მაგის დრო არ არის ერისთავის ასულო, შემდეგ ვისაუბროთ, ამ საკითხზე, შენ სწრაფად ბუხარი ააგიზგიზე და ოქროს სინი იმგვარად დადგი ცეცხლზე რომ თავად იგი არ გაიმჭვარტლოს და არ დაზიანდეს, ეგაა ჩვენი წამალი - ჩაილაპარაკა გოზალიმ და კრავაი, მწევარივით წამოიმართა, ბუხარს მივარდა და ცეცხლის გაჩაღებას შეუდგა.

გოზალიმ სხეულის ნაწილებით დაფარული გვერდი მონახა. ალ-რაზის, ჰიპოკრატედან დაწყებული ყველა შესაძლო სააქიმო ხერხი გამოეკვლია და წვრილ-წვრილად აღეწერა. გალენის შემეცნებებიც ნახა, მაგრამ ვერაფერს სასურველს მიაგნო და უეცრად მის წინ ჰუნაინ იბნ-იშაქის წიგნის ნაწყვეტებს წააწყდა.

დალოცვილ ალ-რაზის იბნ იშაქის ნაშრომიც გამოწვლილად განეხილა და დაესურათებინა.

- იბნ იშაქი 873 წელს აღესრულა, იგი იყო ნესტორიანელი, მაშასადამე ქრისტიანი, მაგრამ არაბი მედიკოსი და სამყაროს კანონების მკვლევი მეცნიერი, როდესაც მას კითხეს რწმენის შესახებ, დალოცვილმა უპასუხა ასე „ნუ მეკითხებით იმაზე რისი ახსნაც ადამის ძეთა ცხორვების შესწავლით შეუძლებელია, ეს საქმენი ღმრთისაა, მე მათ ვემონები, მაგრამ მკითხეთ როგორი მოწყობილია მუცელი, თვალი და თავი, შეიძლება რაიმე გიპასუხით, მე ამ მიმართულებით ვმოგზაურობ და გავაგრძელებ ცოდნის დაგროვებას, ჩემი ცოდნა თქვენია...ჩემი არაფერია ...თან არაფერს წავიღებ...გზა“ - ჩურჩულით კითხულობდა გოზალი და ხანდახან კრავაის გახედავდა, მან ხომ იცოდა რომ გოგონა, ყმაწვილ ქალობაში შესული კრავაი სპარსულს საკმაოდ კარგად ფლობდა და ამიტომაც სათქმელს და საკითხავს ტუჩებს იქით არ უშვებდა.

- აი სწორედ თვალის გუგა, რა საოცრად აქვს აღწერილი იგი იბნ-იშაქს, კრისტალი თვალისა და მისი განკურნების ხერხი, დანა როგორი უნდა იხმარო, სიმსივნის ამოსაკვეთად - ეჰ! იბნ იშაქ, დიდი მასწავლებელი იყავ მუდამ - ამოიოხრა გოზალიმ რომელსაც თავად უნდოდა ამგვარი წიგნი დაწერა და სამუდამო სახელი მოხვეჭა, მაგრამ სად, ვისთან, ვის შეკედლებოდა, საჭმელი სად მოეპოვებინა, რომ წიგნის წერისას ჩასძინებოდა და ახლად გაღვიძებულს, სწორედ წიგნისთვის გაემჟღავნებინა თავის იდუმალი ფიქრები.

გოზალი ამ წიგნს რომ უკირკიტებდა თავის თავს უკვე ალ-გოზალ-იბნ ჰაბერშურად წარმოიდგენდა. ხალიფას კარზე რომ ემსახურა კი იქნებოდა დალოცვილი გრძელი, სამეცნიერო, სააქიმო სახელწოდებით, მაგრამ, რადგანაც მხოლოდ მთიან ივერიაში მოუწია გადმოხვეწამ, სადაც ხალხი ერთმანეთს მოკლე სახელებითაც კი არ ამკობდნენ და დამცინავად, სახუმარო მეტსახელით იხსენიებდნენ - იგი მხოლოდ გოზალა იყო.

- რა დროს იბნ ჰაბერშურია, სად მე და სად ის დიადი სახელი, მოძებნე, მოძებნე და ყველაფერი კარგად იქნება - გაბრაზებულმა წამოიყვირა გოზალიმ და კრავაიმ როცა მისკენ მოიხედა, შეამჩნია რომ დასტაქარი წიგნიანად ძირს გაწოლილიყო და საკუთარ სხეულზე მტკაველ მტკაველ რაღაცას ზომავდა.

- მოგეხმარო დასტაქარო? იკითხა კრავაიმ და წამოწოლილ ექიმს დახედა.

- „რა გამიჭირვა საქმე ამ ცეცხლისფერ თმიანმა დემონმაო“-უნდა ეთქვა გოზალის, მაგრამ სიტყვა დაიტკბო და ულვაშებში მომღიმარმა კრავაის ხელი გაუწოდა - ამაყენე კრავაი - თქვა მან და როცა გოგონას რკინისებრმა მარჯვენამ სპარსელი ექიმი უმალ ფეხზე წამოაგდო, გოზალი გაკვირვებით მიაჩერდა გოგოს და რაც ადრე იბერიელ ქალებზე გაგონილი ჰქონდა კიდევ ერთხელ შეიმეცნა.

- წყალი უნდა გადაცხელდეს, ბუშტულები უნდა გამოუვიდეს და მერე დავიწყოთ -თქვა დასტაქარმა, გოგონამ კი თავი დაუქნია, თავფლისფერი თვალები მიაპყრო და დასტაქარის შემდეგ დავალებას დაელოდა.

***

ავადმყოფმა თვალი გაახილა, როდესაც დასტაქარი და კრავაი მას ჭრილობას ბანდნენ და რამოდენიმე სისხლიანი კოლტის გასაჭრელად ემზადებოდნენ.

- კბილებში ეს კავი ამოსდე და მაგრად დაიჭირე, უნდა პატარაზე გავკვეთო - მიდი სწრაფად - ბრძანა დასტაქარმა და კრავაის ბიჭის შებოჭვა დაავალა. ჩალისფერთმიანმა შეგირდმა, თავისი დაკუნთული მკლავები შემოავლო შოთა რუსთველს და ჩაიჩურჩულა „მზად ვართ მიდი ექიმო“.

ექიმმა დანა დაუსვა სისხლისა და ჩირქის კოლტს და ტყავის მილით ჭრილობაში სადენი არხი ისეთი მოხერხებით დაამაგრა, რომ, კრავაის, მიუხედავად მკერდში გაჩენილი ცეცხლის ალისა, თავადაც მოუნდა დასტაქრობის საიდუმლოების შესწავლა და იმ წიგნის დასაკუთრება, რომელიც სპარსელმა გოზალიმ, კვლავ სადღაც მიმალა.

ავადმყოფი მწარედ გმინავდა, მაგრამ ჩალისფერთმიანი კრავაი მას შუბლს, ყვირამალებს უჩუმრად უკოცნიდა, ხოლო ძლიერი მკლავებით განძრევის საშუალებას არ აძლევდა და ამიტომაც დასტაქარი, თავისუფლად იკვლევდა, ჭრილობის სიღრმეებს და შესწავლის დამთავრების შემდეგ თეთრი ვეშაპის ულვაშით ჭრილობას კერავდა. საოცრად ეჩვენებოდა კრავაის ეს ულვაში. იცოდა რომ იგი წყლის მბრძანებლისა იყო და ამიტომაც უკვირდა. ცოდნას და წიგნს ზღვის მბრძანებელი დაეპატარავებინა და დასტაქრის აბგაში მოეთავსებინა. „წიგნის ძალა უდიდესია“ - ელავდა კრავაის ტვინში ეს აზრი.

***

- სისხლი ბევრი დავღვარეთ, ყოჩაღ კრავაი - თქვა გოზალიმ საბოლოოდ და მიჩენილ კოშკში წავიდა დასაძინებლად. ჩალისფერთმიანი გოგონა მამიდაშვილის წინ იჯდა და მას შეჰყურებდა, „რამოდენიმე დღე ციება ექნებაო“, გოზალის სიტყვები ყურში ჩაესმოდა და გულდათუთქული ფიქრობდა, თუ რითი გაეხარებინა ძილ-ბურანში მყოფი, გადაცხელებული ვაჟი, რომელიც გასაოცრად ლამაზი წამწამების შერხევით ატყობინებდა მის ჭირისუფალს რომ კვლავაც ცოცხალი იყო.

- არ მოკვდე, არ დამღუპო შოთი და შენს მზეს ვფიცავ, როცა გამოჯანმრთელდები, ჩვენს მზესთან - თამართან მიგიყვან, თამარი, ყველა ტკივილს დაგიამებს და ძმასავით შეგიყვარებს, შოთი...არ მოკვდე...შოთი....თამარის სხივი შენც დაგატკბობს ...- ეჩურჩულებოდა მას კრავაი და ამ სიტყვებზე უღონო რუსთველს, საოცრად მბრწყინვალე, ცრემლის ბურთი დაუგორდა საცრემლე უპედან. გაოცებულმა კრავაიმ, მბწყინვალე ცრემლი კეთილი ამბების მაცნედ მიიჩნია, მამიდაშვილის ცრემლს ცხარედ აკოცა, ავადმყოფი გულში ჩაიკრა და აქვითინდა.

***

თამართან წაგიყვანო.....გულში ჩარჩა ეს სიტყვები დაჭრილ ჭაბუკს. ძილბურანში რომ ჩაიძირა უჩვეულო სანახაობა გაიმართა მის გარშემო:

რუსთველს, თვალთ წარმოუდგა, სინათლის შუქი, რომელიც ციდან ეშვებოდა და მის ფერხთით უამრავ ფერებად იშლებოდა. შუქის მარცხენა და მარჯვენა მხარეს, მოვერცხლილ აბჯარში გამოწყობილი მხედრები იდგნენ და ხმამაღლა იძახდნენ - „სპა თამარისა...“

მხედრების უკან, უთვალავი მეომარი აღიმართა, მიწიდან, ყოველივე მათგანს ხელთ დიდი ქართული სატევარი ეჭირა და გაიძახოდა - „სპა თამარისა“

მხედრების ზემოთ სერზე, მანათობელი წმინდანების გარშემო, მონასტრის ბერთა შავჩოხიანი ლაშქარი, იდგა, ხელთ ჯვრები ეჭირათ და ხმამაღლა გაიძახოდნენ - „სპა თამარისა“.

ტყიდან, მდელოზე, მდინარის პირას, ნაწნავიან ქალწულთა უზარმაზარი ჯარი გამოეფინა, ქალწულებს ხელთ წმინდა ნინოს ჯვარი ეპყრათ და გაიძახოდნენ - „სპა თამარისა“.

ლაშქარს თეთრ ცხენზე ამხედრებული რაინდი მოუძღვოდა, რუსთველმა უმზირა მას და შემდეგ მასთან მოახლოვებულ ციურ შუქს დააკვირდა. ციდან ჩამოსული ნათელი, ხიდს დაემსგავსა.

რუსთველს მასზე გავლა მოუნდა და მართლა დაადგა იგი სხივთა გზას, ავიდა ზეცად და უამრავი მაშხალით განათებულ ციხე-სიმაგრეს მიადგა.

რუსთველი უმალ მიხვდა თუ ვისი იყო ციხე დარბაზი, ეს ის გახლდათ, რომელსაც საგულდაგულოდ მალავდნენ და ზრდიდნენ, რომელიც ბალღობიდან ეუფლებოდა სახელმწიფო თუ საერო ხელოვანებას, რომელსაც ბრძენთა ბრძენად თვლიდნენ და რომლის სიმშვენიერე მომნუსხველი იყო და ამიტომაც საშიშიც.

რუსთველს იმედი გაუჩნდა რომ ციხე დარბაზს კარს უპოვიდა, მაგრამ კარიბჭე არსად ჩანდა. არც მეციხოვნენი დაჰყურებდნენ მას უხვად გაჩახჩახებული კოშკებიდან. გაკვირვებოდა რუსთველს. მაგრამ ამ დროს მან კრავაის მარჯვენა შეიგრძნო, გოგო მის გვერდით გაჩნდა და ისინი ციხედარბაზს რომ მიუახოვდნენ, უამრავი ხალხი გამოეფინა სიმაგრის კედლებზე. ისინიც გაიძახოდნენ - „სპა თამარისა“ და ერთმანეთს ეხვეოდნენ. მხუარულებამ დაისადგურა ჭაბუკის გულში, მაგრამ ამ დროს კვლავ ვიღაც ეუბნება - „თამარი გელოდება, შენ გელოდება“ - ეს ალბათ მისი ბიძაშვილია კრავაი, თუ სვა ვინმეა? კრავაია კრავაი.... იგი მას უღიმის და ოქროთი მოზარნიშებული კოშკისაკენ უთითებს. მართლაც რა მშევნიერია, ოქროსფერი და ცისფერი ფერებით გადახლართული ეს საოცარი კოშკი? ნეტავ ვინ უნდა იყოს იქ? ფიქრობს რუსთველი.

რუსთველმა გულის ბაგა-ბუგი შეგრძნო როდესაც ციხე-დარბაზის ყველაზე მაღალი კოშკის სარკმელში საოუცხოო მშვენიერების მქონე ქალწული გამოჩნდა.

„თამარია, ისაა.....ჩვენი მზეა....შოთიკო დაუქნიე ხელი“ - ამბობდა კრავაი და თავად ესალმებოდა მოცისფრო კოშკიდან მომზირალ ...ქალწულს

***

- მადლობთ კრავაი ....უცილობლად წამიყვანე თამართან...მე მას ვხედავ....- დაიჩურჩულა დაჭრილმა...

საოცარი აღზევება ყუთლუ-არსლანისა

(ჯაყელთა 1000 წელი)

ავტორი: კ.ჯაყელი

მტკვრის პირას, კლდოვან ბორცვზე აღმართულ „კიდობანს“ ანუ სახლს მეჯურჭლეთუხუცესისას, ფეხოსანთა რაზმი მიუახლოვდა. დასტად დაწყობილ ფეხოსანთ კიდობნის შუბოსანი მცველი გამოელაპარაკა და თიკუნის გამოკითხვის შემდგომ უმაღლეს ლაშქარნთ და დასტის მეთაურთ მცირე კარში შეუძღვა.

მოვარაყებული სასანთლეები ირმის რქებივით განტოტილიყვნენ სამეფოს დიდმნიშვნელოვან დარბაზში. ცისფერი ალი ცეცხლისა მოცეკვავეთ თუ წააგავდნენ ვნებისაგან ამოძრავებულთ და მოთამაშეთ. დარბაზის კედლებზე უშნოდ წაგრძელებული უფორმო ჩრდილები და მოყაყანე ხმები, სამსახიობო, სამიჯნურო წარმოდგენებს ჰგავდნენ უფრო, ვიდრე სახელმწიფოსას.

შემაღლებულზე მჯდომი, შავ სამოსში გამოწყობილი კაცი დაფიქრებული დაჰყურებდა მის წინ მაგიდაზე გაშლილ ყვითელ ფოლიანტებს, ტყავის გრაგნილებს, ქათქათა პერგამენტებს, დროგამოშვებით ბრძანებას აძლევს მის წინ მდგომ უწვერულვაშო ბიჭებს, რომელთაც უცხო, ოთკუთხა ფორმის ხის დაფა ფარივით აღემართათ და მთელი ყურადღება მასზე გამოსახული ასოების კითხვაში ჩაექსოვებინათ.

ლაშქარნი დარბაზის შუაგულში შედგნენ და ცნობისმოყვარე მზერით დაუწყეს თვალიერება შავსამოსიანს, ხის ფარსა და უწვერულვაშო ბიჭებს.ამ უჩვეულო ხის ფარისა და მასზედ გამოსახული წარწერების ამბავს ტფილისის სანახები დაეტოვებინა და მთელი კავკასია მოეცვა. უცხო ქვეყნებიდან მოქარავნეთა მიერ შემოტანილი საუნჯეებით დედაქალაქის მცხოვრებთ დიდი ხანია ვერ გააკვირვებდით, მაგრამ ხის ფარმა შეაშფოთა ჭორის მოყვარული ქალაქის ვიწრო ქუჩები და სარდაფები. თვით შავი კლდის პონდიქონში მასზე ლაპარაკს ჯერ კიდევ ერიდებოდნენ თბილისელნი, ხოლო შემდეგ უცებ ალაპარაკდნენ და ათასი რამე შეთხზეს მეზღაპრეთა, ხის ფარის ირგვლივ.

ამბობდნენ, ბაბილონელ ბერებსა და მწიგნობრებს ჯერ კიდევ დიდი მეფის ნაბუქოდონოსორის დროს ცის კამარებისა და მნათობთა მწყობრის შეცნობისა და კაცთა ბედიღბლის ჭვრეტის მიზნით შეუქმნიათ სიბრძნე, რომელიც ამ დაფაზე ამოუჭრიათ. საუკუნეთა მსვლელობისას ბაბილონისა და შუმერის, ქალდეასა და ერუშალაიმის დაცემის შემდგომ ხის დაფა გამქრალა. სიბრძნე დაკარგულა. მხოლოდ ბრძენნი და შთამომავლობით მკვლევარნი ძველი ქალაქების ნანგრევებისა, ბაზრებსა თუ საროსკიპოებში ეძებდნენ ბაბილონელ სწავლულთა ამ სანუკვარ ქმნილებას. ბარდავის ერთ-ერთ სულთანს, სიამაყით გამოჩენილს, შემთხვევით მიეკვლია და თავის საბრძოლო ფარი შეემკო ბაბილონელთა ხის დაფის რამდენიმე ფრაგმენტით. სულთანი ამ გზით ბრძოლებსა და ჭირ-ვარამში ხელშეუხებელი იყო მანამ, სანამ ერთმა მსტოვარმა, ეროვნებით ქურთმა არ წარსტაცა მას დიდებული განძი.

ჩურჩულით ჰყვებოდნენ ბერძენნი, ბარდავის სულთანი ფარის დაკარგვიდან მეორე დღესვე მცირე ამალით უდაბნოში შევიდა და შემდეგ მისი კვალი არავის უნახავსო.

რაც შეეხება ხის ფარს, იგი უეცრად თბილისში გამოჩნდა და გიორგი მესამის სამხედრო თათბირები დაამშვენა. ორბელთა აჯანყების ჟამს, როცა მეფე გიორგი მეომართა ბრბოებს ჰკრებდა და მათ უზომო მოწყალებას ჰპირდებოდა, დაღვრილი სისხლისა და ომის სანაცვლოდ, სიბრძნით მოფენილი ხის ფარი უცვლელად ამშვენებდა სამეფო რაშს თუ მეფის კარავს.

„დიდო ივანევ ორბელიანო, მჰხნეო ძლიერო და უძლეველო, რომელი ხარ ქვეყნისა მას ჭინეთისაგან მოსრულ და ტომი თვითმპყრობლისა მეფისა. ოდეს მოხვედ ქვეყანასა ამას ქართლისას, აქ ჰპოვე პატივი უზომო, იყავ მთავარი და თავი სახლისა სამეფოისა და სპასალარი გიორგისა. აწ უკეთუ გნებავს განსვენება და სიცოცხლე, პატივი სასურველი და განუზომელი მამული შენი... მოვედ და მოართვი ყრმა ეგე, ძე დავითისა დემნა, რომელ იქმნა მიზეზი ბოროტისა შენისა და სხვათა მრავალთა“... ეს სიტყვები ხაფი ხმით აღმოხდა ლორეს მიმდგარ გიორგის, რომელმაც განაცვიფრა ლაშქარი მისი.

სწორედ ამ დროსო, - ამბობდნენ თბილისელნი - მეფის გვერდით მარტოოდენ შუბით აღჭურვილი იდგა უწვერულვაშო და უცხო გარეგნობის თაფლისფერთვალება თბილისელი უგუარო ჭაბუკი, დედის მიერ ყუთლუდ წოდებული, რომელიც ქალაქელთა სამხედრო რაზმის წევრი იყო და რომლის გაუგონარი აღზევება იდუმალ ხის ფარს და იმ მეფეს უკავშირდება, რომლის სახელის ხსენებისას ხვლიკიც კი სტოვებდა მეტეხის კლდეს და ქვაბულში მალავდა ცივ სისხლს თავისას. ივანე ორბელიანის მიმართ ხაფი შეძახილის შემდგომ გიორგი მეფე ლორეს წინ გაშლილ სამხედრო ბანაკში საველე ტახტზე დაბრძანდა და ათასგვარი ფიქრითა და ლაშქრობით დაღლილი თვალნი მის წინ ჩამოკიდებულ ხის ფარს მიაპყრო. შორს ტყეთა მასივებიდან გამოტყორცნილი ჩამავალი მზის სხივები პირდაპირ ურტყამდა ხის ფარს და მასზე იდუმალი წარწერების მიმზიდველ რელიეფს წარმოაჩენდა.

- არის კი ვინმე, რომ წამიკითხოს უცხო სიბრძნე აღბეჭდილი ამ ფარზე?! გაბრაზებულმა იკითხა მეფემ და მის წინ შეკრებილ დიდებულთ შეხედა.

ამგვარი ჟინი მეფის მრისხანების ახალ გამოვლინებად შეაფასეს ერთგულმა მხლებლებმა. კავკასიური ფოცხვერის მსგავსი ჭრელი თვალები დახარეს ახოვანმა მებრძოლმა - ყივჩაღ-ყოფილმა ყუბასარმა და მისმა ძმადნაფიცმა, ჰუნთა ჩამომავალმა აფრიდონმა. დაბნეულად იმზირებოდა მეჯინებეთუხუცესი ჭიაბერი და მალიმალ ლორეს ციხეს უყურებდა. ჩუმად იდგნენ და მხოლოდ ჯაჭვს აკრთობდნენ თუშეთის, ხევისა და ფხოვის ჯართა წინამძღოლი ხევისბერები.

ამ დროს სარდალთა მწყობრიდან გამოვიდა თბილისის ამირმთავარი, ქალაქში ქურდად მჯდომი, აბულ ასანი, მეფე გიორგის მდაბლად თაყვანი სცა და დამპალი კასრიდან ამომავალი, ყრუ ბგერის მსგავსი მოგუდულით წარმოსთქვა.

- თბილისელთა ჯარი ყოველმხრივ ერთგულია ჩვენი უძლეველი მეფისა და ამ საქმეშიც გვსურს გამოვიჩინოთ თავი, ჩვენ გვყავს ენათა და სიბრძნეთა მოყვარული მებრძოლი ყუთლუ...

აბულ ასანმა მკვეთრი ბრძანებით ახლოს მოიხმო შუბს დაბრჯენილი თაფლისფერთვალება რაზმელი, რომელიც რამოდენიმე ნაბიჯიდან ადევნებდა

თვალყურს ტახტზე ჩამომჯდარ დაღლილ მეფეს, მის ამალას და ფიქრობდა თბილისში, კალოს უბანში დარჩენილ, შრომისაგან გატეხილ დედაზე, რომელმაც ტირილით გამოაცილა ერთადერთი შვილი, დაუკოცნა მას მარჯვენა და მთელი კვირის მანძილზე ნალოლიავები საგზალი უბეში ჩაუდო. როგორ უთრთოდა დედას ხელები და რა უცნაური მეტყველი სითბოთი შეჰყურებდა იგი თავის მხოლოდშობილს, საომრად მიმავალს, ქალაქელთა ჭრელ რაზმში ჩარიცხულ ყუთლუს. აბულ ასანის შემახილმა ქალაქელი შუბოსანი ჯერ ფიქრიდან გამოაფხიზლა, ხოლო შემდეგ შიშში ჩააგდო. ქალაქის ამირთ-ამირა მორკინული ხელით მას თავისკენ უხმობდა. ყუთლუ ქალაქური შუბით ამირასკენ გარბოდა და ანაზდად თრთოდა.

მებრძოლო, შენ მითხარი, რომ რამდენიმე ენას ფლობ და წიგნთა სიბრძნის მოყვარული ხარ, ხომ ასეა? - მჭახე ხმითა და გამომცდელი თვალებით იკითხა აბულ ასანმა.

- ვსაუბრობ და ვკითხულობ ბერძნულად, ებრაულად, სომხურად, ვსწავლობ სპარსულს, დიდო ამირთ ამირა, - სულმოუთქმელად თქვა ყუთლუმ.
- ქართულად, ებრაულად, სომხურად, სპარსულად და ქურთულად მეც ვლაპარაკობ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, - გადაიხარხარა აბულ ასანმა და შემდეგ დაამატა - მე გამიგია, რომ შენ ქალაქში მწერლობითა და ენიდან ენაზე გადათარგმნით ირჩენდი თავს, შენი თანამოძმეები კი ხშირად ქვებსაც გიშენდნენ შურის გამო.

არ ვიცი რა გიპასუხოთ, ამირთ ამირავ, მე სულთქმოუთქმელი ვშრომობდი, რადგანაც დედა მყავდა ავად მაშინ და დიდსა თუ პატარა საქმეს სწრაფად ვართმევდი თავს, ეს იყო და ეს, - თქვა შუბოსანმა და ამირთ ამირას გონიერი და მორჩილი მზერა მიაპყრო.

რა ჰქვია დედაშენს? - იკითხა აბულ ასანმა.

ხათუნა კალოს უბნიდან, გულის მომეტებული ცემა იგრძნო ყუთლუმ.

მამას რა ქვიანო - არ უკითხავს ამირა-ქურდს, რადგანაც მას გაახსენდა რომ ყუთლუს მამა არ ყავდა. მაგრამ ჭორიკნები ამბობდნენ რომ დედამისი კორიდეთის ერისთავის, ბეშქენის კარზე იდგა მოსამსახურედ და ყუთლუ ძალიან წააგავდა კორიდელ ბატონს, რაც იმის დასტური იყო რომ მის ძარღვებში შესაძლოა სწორედ ბეშქენის დაუოკებელი, ბუნზარი და ამაყი სისხლი ჩქეფდა.

- ახლა, შენ მეფის წინაშე წარსდგები. ქალაქური ზნე, როგორც ვხედავ, კარგად გაქვს შეთვისებული. სიბრძნეს თუ ფლობ, მაშინ თბილისის მკვიდრთ სახელს შეგვმატებ, ხოლო თუ არ ფლობ, რისხვა ჩემი არ აგცდება. წამომყევი, დაფიქრდი და მერე ილაპარაკე. აბულ ასანმა შუბოსანი წინ გაიგდო, სარდლების ტევრი გაარღვია და სამეფო ტახტის მიმდებარე მიწაზე დაადგა ფეხი.

ყუთლუმ უეცრად გიორგი მეფის ფართო თვალებს შეხედა, იქიდან გამომავალი იდუმალი ძალა შეიგრძნო და მიწაზე მოცელილივით დაეცა. მეფის

თვალები სულის კუნჭულში ჩაჰყვნენ მას და დაფარული აზრების თვალიერება უწყეს შუბოსანს. ოჰ, როგორ არ უნდოდა მიწიდან ამდგარიყო და კვლავ მეფისათვის შეეხედა ყმაწვილს.

- ფეხზე წამოდექ, შუბოსანო და სახელი მითხარი შენი! - ლომისა და მხეცის მრისხანებით დაიგუგუნა გიორგი მეფემ და უჩინარმა ძალამ შუბოსანი ფეხზე წამოაგდო.
- ყუთლუ მქვია. ქრისტეანთა ხელმწიფევ, მეფევ აფხაზთა და ქართველთა, სომეხთა და რანთა, შირვანშავ და შაჰინშავ, - თქვა შუბოსანმა და თვალებდახრილი დადგა ტახტის წინაშე.

ქალაქის ამირთ ამირამ შენი კეთილი ზნენი წარმოაჩინა. ახლა გეძლევა წუთი დაგვიმტკიცო შენი ერთგულება და ამ ფარზე დაწერილი სიბრძნე მოგვახსენო იმ ჟამს, როცა მეფე და სარდლები რჩევას ელიან. ქვეყნის ბედი თითქმის შენს ხელშია, შუბოსანო, ახლა შენს ხელშია, თორემ... საზარელი სიცილით გაიცინა მეფე გიორგი მესამემ - თორემ ხვალ დილას, უთენიისას ჩემი მახვილის ხელში იქნება სამეფოსა და ჩვენთა შვილთა სვე-ბედი. მიდი მაგ ფართან და იქნებ რაიმე კარგი და შესარგი გვითხრა დაღონებულ სტრატეგოსებს.

ყუთლუმ ერთი შეხედა მეფე გიორგის, გაზომა მისი ფართო თვალებისა და კოშკივით აღმართული ნიკაპის ძლიერება, მერე მოავლო თვალი შეჯგუფებულ მდუმარე სარდლებსა და მათ სისხლიან ხმლებს. „ამათ გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვთ და ჩემგან რა უნდათო“, - გაიფიქრა და მუხლებში ოდნავ ათრთოლებულმა, ხის ფარისაკენ იწყო სვლა.

ჩამავალი მზის სხივებმა ათინათების თამაში იწყეს ოთკუთხა ფარის მოწითალო სხეულზე, ცისარტყელასავით ლიბროებად დაიშალნენ სინათლის ანგელოზები და ფარის ამოზნექილ-ჩაზნექილი და ნაჭდევი გამოსახულებები სიღრმისეულად შეისწავლეს. აქა-იქ განაწილდნენ შუქები და ჩრდილები ფარსა თუ დაფის ზედაპირზე. მოფარფატე ფრინველივით ებრძოდა სინათლე ჩრდილებს. ამ სურათს ყურადღებით აკვირდებოდა ახალგაზრდა თბილისელი რაზმელი და გრძნობდა, რომ ზურგს უკან არა მარტო მეფე და მისი ველური სარდლები, არამედ დედა, კეთილი მეზობლები და მთელი ქართლი ელოდა მის პასუხს და ამჟამინდელი გადაწყვეტილებების მახვილგონიერებას. ყუთლუ მთელი მონდომებით ჩააკვირდა ფარზე გამოსახულ უცხო ასოებსა და ცხოველებს, სიმბოლოებსა თუ თარიღებს, ძველ სამეფოთა და ხალხთა. ქალაქელმა შუბოსანმა იგრძნო მის წინ მდებარე ფარის მნიშვნელობა. უცხო ნახატთა წყობამ მის გონებაში სხვადასხვა აზრი წარმოშვა. ერთმა ასომ იგი ისე დააინტერესა, რომ ეს ასო დატკეპნილ მიწაზე თითით გამოსახა და ყოველი მხრიდან დაუწყო მას თვალიერება.

მეფე და ლაშქარი გაოცებით აკვირდებოდნენ მიწაზე ჩამუხლულ, შუბოსნის ჩალიჩს. თავად გიორგი გამხიარულდა და გაღიმებული სახით თავზე დაადგა ყუთლუსა და მის მიერ გამოხატულ ასოს.

- რას გვეუბნება ბაბილონელთა ფარი, შუბოსანო? - კითხვა დასვა გიორგი მეფემ და ნელა მიმოავლო თვალი ირგვლივ შემოჯარულ საკუთარ სარდლებსა და მოლაშქრეებს.

ყუთლუმ მიმოიხედა, მეფეს მიაპყრო მზერა და უეცრად აღმოხდა:

დიდებას ვხედავ თქვენსას და თქვენს ნაშიერთა, - გამარჯვება თქვენს მხარეზეა, დიდო მეფევ!

ამ სიტყვებზე მეფის ამალამ ომახიანი ყიჟინა დასცა. მოლაშქრეთა შორის სწრაფად გავრცელდა ხმა კარგი ამბავის შეცნობის შესახებ და მოხალისეთაგან შეკრებილმა ჯარმა ნადავლის თვალით დაუწყო ლორეს ციხეს მზერა.

მხოლოდ ყუთლუ დარჩა ხის ფართან, მასზე გამოსახულ ასოთა შეცნობის მოწადინებული და საკუთარი სიტყვებისაგან შეშინებული.

მეორე დღეს დიდი გამარჯვება იზეიმა გიორგი მეფის ლაშქარმა. ლორესაკენ, ივანე ორბელის დასახმარებლად მომავალი მუჰამედ ფეჰლევან-ჯეიჰანის ლაშქარი გიორგისთან შერკინების გარეშე, ისრის ტყორცნის მანძილზე უეცრად შემოტრიალდა და ირანის აზერბაიჯანისაკენ გაემართა ტაშირის საქარავნო გზებით.

გიორგი მეფემ კმაყოფილებით შეხედა ალამზე დაკიდებულ ხის ფარს. ყუთლუს ფარისმტვირთველად დანიშვნა ბრძანა და ლორეს ციხეს გარშემორტყმა დაიწყო.

სასწარაფოდ მსახურთუხუცესი და კარვის უხუცესნი მიეჭრნენ ყუთლუს. გახადეს ლაშქრობისას შემორღვეული თალხი ჩოხა, ტყავის პაჭიჭები და შავი ქამრის შალის ქულაბა, ალებასტრის მძივებით გაწყობილი თეთრი აბრეშუმის პერანგი, მაღალყელიანი მესტიები, ჯვარნაქარგი საგზაო ქუდი და ფართოყელიანი ბალახის ფერი მოსასხამი ჩაცვეს მას.

ფარისმტვირთველად დანიშნული ლამობდა ხელიდან დასხლტომოდა მეკარვეებს და სადმე ბუჩქებში ჩაეცვა ახალი ტანისამოსი. წვერცანცარა მეკარვენი ჭირვეულობას დაჩვეულ ყუთლუს ისეთი ძალადობით ხდიდნენ და ახევდნენ დედის ხელით შეკერილ, ხმარებისაგან დამდნარ სირმებს, რომ ყუთლუ ვერანაირ კმაყოფილებას გრძნობდა და ხვალინდელი დღის შიშით ლაშქრიდან გაპარვაზე ფიქრსაც ბედავდა.

მეორე დილით, გამთენიისას, ახალ სამოსში გამოწყობილი ყუთლუ ერთხანს შეჰყურებდა მისი რაზმის, თბილისელ შუბოსანთა დასტის გასვლას ბანაკიდან და გული სევდით ევსებოდა. ქალაქელები შეჰყურებდნენ მას და ჩვეული სიხალისით, ხუმრობითა და ხორხოცით მიდიოდნენ ლორე ტაშირის გზების ჩასაკეტად.

იგი გრძნობდა მარტოობასა და სევდას.

ფარისმტვირთველო, - მჭახე ხმა თითქოს ფოლადს აწრთობენო შემოესმა ყუთლუს ზურგიდან და მისი ფიქრები ისე განაბნია, როგორც ბაბუაწვერის თეთრი ღინღილები განიბნევიან ხოლმე მდელოზე სიოს წამოქროლებისას.

- ფარისმტვირთველო, ახლავე ჩაუდგები ლაშქარის ბირუნს და მოივლი ლორეს სანახებს. მთავარი გახლავს ბაბილოვანთა ფარი მთელი სიბრძნით დაატყდეს თავს ლორეში გამაგრებულ მოღალატეებს და მათაც ისეთი დღე აყაროს, როგორც დაუმარცხებელ ფაჰლავან-ჯეიჰანს დამართა. ახლავე მიემგზავრები.

მთლიანად რკინებში ჩამჯდარ აბულასანის ეს ბრძანება ყუთლუს უნიადაგო ცხოვრებაში ახალი, აღმავალი გზის დასაწყისი გახლდათ.

- ერიჰაა - გაიფიქრა ყუთლუმ ანაზდად!

ამ დღიდან ყუთლუს აზრი და გონება იმ ერთის მონა მორჩილი შეიქმნა, რასაც შიშის გრძნობით თუ არა, რიდით ახსენებდნენ მრავლისმნახველი თბილისის სანახებში, სეიდაბადის, კალოს უბნებში, ვერცხლისა და ოქროსმჭედელთა ქუჩებზე, რასაც შეშინებული ფრინველივით გულგახეთქილი გაურბოდა დედამისი ხათუნი და ზოგიერთი მეზობელი. ეს ქართველთა და აფხაზთა, სომეხთა და რანთა მეფე გიორგი მესამე გახლდათ. მისი ამალის ხილვისას კალოს უბნიდან გადმოყუდებულ ბავშვს ხათუნი მუდამ ბნელ ოთახში შეკეტავდა ხოლმე და ყუთლუს ახსოვდა თუ როგორ აძინებდა მას ფოთოლივით მთრთოლვარე დედა სიტყვებით - „დაიძინე თორემ, გიორგი მეფე მოვაო“. ყუთლუს ხშირად უგრძვნია, რომ თვითონ დედამისი იყო შეშინებული მასზე მეტად და ამ შიშის გრძნობით გათანგულ დედასა და შვილის ოჯახს არაფერი რჩებოდა სანუგეშო. თუმცა არა, ერთადერთი ნუგეში რწმენა და წიგნები იყო. ამ წიგნებს დამწვრის სუნი ასდიოდა. ეს სუნი აღარ დაავიწყდება ყუთლუს. ბავშვობიდან იგი ერთ მარტოხელა მოხუცთან დადიოდა სახლში წიგნის სასწავლად. ამ მოხუცს სახლი შურის ციხის ფერდობში ჰქონდა გამართული, სახლი ერთ მიწურს წარმოადგენდა, მაგრამ ამ მიწურს მზის სხივები ანათებდნენ და კარში გამოჭრილი რიკულებიდან შემოსულ სხივებს, მოხუცი სამენოვანი ლოცვით ხვდებოდა.

ლორეს ციხეს შემომდგარ ყუთლუს იგივე დამწვრის სუნი სცემდა, რაც თბილისში ძველი წიგნებისა და ფოლიანტების კითხვისას. ციხის გარშემო ძალუმად მუშაობდნენ საალყო მანქანები. ციხეს ცეხლოვან ჭურვებს აფრქვევდნენ მარბიელი რაზმები. ლორეს დამცველები ხანდახან გამოაღებდნენ ოთხივე კარს და მეფის ამალის შორიახლო ამაღლებულ ბორცვზე შემდგარი ყუთლუ ხედავდა, ლორეს ფართო კარიბჭეებიდან ზვავის სისწრაფით გამოიჭრებოდა ბრწყინვალე აბჯარში, მეფის სპაზე მეტი ახოვნებით გამორჩეული რაზმის ცხენოსნების, რომელიც ყველაფერს აპარტახებდა თავის გზაზე. რაზმის მოწინავენი ერთი დაუნდობელი შეტევით აქცევდნენ და ანგრევდნენ გიორგის საალყო მანქანებს, ჟლეტდნენ მოალყეებს და გულიანად უტევდნენ თვით მეფის ბანაკს. „ივანე ორბელი მეთაურობს ამ რაზმს“, - ამბობდნენ გამოცდილი მსახურნი მეფისა. ისინი აჩვენებდნენ კიდევაც მეწამულ ისფერ რაშს და სარკესავით მბზინავ მუზარადს ყუთლუს, მაგრამ იგი მხოლოდ შეჩოჩხნილ, ერთმანეთში არეულ კაცთა და ცხენთა გუნდებს ხედავდა და თრთოდა უჩუმრად, როცა გაშმაგებით სცემდნენ ერთმანეთს ყოველგვარ სასროლსა და საჟლეტ იარაღს ლორეს ვეება კედელს შიგნით მდგარი და გარედან მიმდგარი ჯარები.

იოანე ორბელს საკუთარი საჭურჭლე სამშვილდეს აქვს გადამალული, რასაც მალულად ახალი რაზმების დაქირავებას ახმარსო, ამბობდნენ მეკარვენი. ყუთლუ გრძნობდა, სამეფო კარი გათანგული იყო აუღებელი ციხის უნაყოფო იერიშებით. ამიტომაც გუმანით ხვდებოდა, რომ მასაც და მისთვის ჩაბარებულ ფარს მოკითხავდნენ პასუხს სამეფოს ბედ-იღბალის გამგები პირები.

ლორესთან დგომის მე-5 თვის ორშაბათს, როცა დაღლილი ანგელოზებივით, მდუმარედ იდგნენ ხშირფოთლოვანი ხეები, ხოლო ლაშქარი სნეულებაშეყრილი ჩუმად კვნესოდა, ლორეს ციხეს აფაფრული ქონგურიდან ვიღაცის ლანდმა ისარი სტყორცნა სამეფო ბანაკს. ნაცნობი ზუზუნის ხმამ წამოშალა სამეფო სპა და რამოდენიმე მონადირე სირბილით დაუყვა მეფის კარვისაკენ. ერთმა მათგანმა გადაჭრილი ხის კუნძზე დასობილ ვეება ქეიბურს მოჰკრა თვალი. ქეიბურს, დიდი ზომის მძიმე ისარს, ტყავის ქარქაშა ჰქონდა შემოსალტული. მონადირემ ზეაწია ქეიბური და შეჰყვირა მეფის მეკარვეთა და მცველთა გასაგონად:

- წერილი გვტყორცნეს ლორელებმა...

მეფის მანდატური უმალ მიეჭრა ისრის მპყრობელს, ღიმილით გამოართვა მას ტყავის ქარქაში და მეფის კარვისაკენ სირბილით გაიჭრა.

წერილია, გვნებდებიან ლორეს მცველნი, - ერთმანეთს ეუბნებოდნენ მოლაშქრენი და თვალებანთებული შეჰყურებდნენ გორაკს, რომელზედაც სხვა კარავთა შორის გიორგი მესამე ბაგრატიონის შავი კარავი იწონებდა თავს. აღმაფრთოვანებელი ამბავი სწრაფად იპყრობდა მეფის ჯარის განსხვავებულ დასტებს და სულმალე თვით წერილის შინაარსზეც საუბრობდნენ ჭორის მოყვარული ქალაქელი მეომრები.

ფარისმტვირთველი ყუთლუ დილაადრიან სრულ მზადყოფნაში იმყოფებოდა. მის ყურამდეც მიაღწია მეომართა ყიჟინამ და სასიხარულო შეძახილებმა, ივანე ორბელის დანებების შესახებ. ყუთლუმ მიაყურადა ლორეს სანახებიდან მომავალ ხმებს და საჩქაროდ გაემართა სამეფო მცველთა მოწნული სახლისაკენ. შევიდა მოწნულში, ხელში აიღო დათვის ტყავის შალითაში ჩასვენებული ხის ფარი და სამეფო კარავის მიმართულებით წავიდა. როცა იგი კარავის მცველთ მიუახლოვდა, უჩუმრად შედგა და ლორეს ციხეს მიაპყრო თვალი.

გაგიმარჯოს, ფარისმტვირთველო, - მიესალმა მას ათეულისთავი მუხრან გაბლიძე და მამაშვილური სიყვარულით შეხედა ყუთლუს.

გაგიმარჯოს, ათისთავო, ვერ შეგიცნე უცბად, მაპატიე, - სიხარულით წარმოთქვა ყუთლუმ და მკერდზე მოეხვია ხელგაშლილ მუხრანს.

ვერ შემიცან და რა დიდი კაცი გახდი ყუთლუვ, გავიგე შენი განათლების ამბავი. დაგიფასა ჩვენმა ხელმწიფემ, გაგვიმართლე იმედები ყველას. აბა შენ იცი, ჩემი კარგო, აბა შენ იცი! - ამბობდა ძია მუხრანი და ანჯღრევდა მის ხელებში მოქცეულ ყუთლუს. ბავშვობისას მეზობელთა წრეში ჩამჯდარი ყუთლუ დიდი მოწიწებით უსმენდა მუხრან გაბლიძეს ქალის, ასმათის მოყოლილ ამბებს ქმრის ლაშქრობების შესახებ. მხოლოდ იშვიათად მოკრავდა იგი თვალს სახლში შემოსულ

სამეფო ტყავ კაბაში გამოწყობილ მხარგანიერ ათეულისთავს, რომელსაც მუდამ საკუთარი შვილები ეხვევნენ გარს.

ახლა კი ამხელა მეომარი თავს უტოლებდა მას - ჯერ კიდევ დაუმსახურებელ კაცს და მასთან, როგორც სწორი სწორთან, საუბრობდა - ყუთლუ ამ აზრმა ცოტა არ იყოს გაახარა და სახეზე ფერი მოჰგვარა.

ფარისმტვირთველო, თუ გნებავს გაგატარებთ, - მოწიწებით თქვა მუხრან გაბლიძემ.

არა, ძია მუხრან, ჯერ არავის დავუბარებივარ დიდი მეფის კარავში, უბრალოდ ვდგევარ და ვიცდი, ადვილად რომ მომძებნონ მალემსბორლთა, - თქვა ყუთლუმ და სამეფოს კარვისაკენ გააპარა თვალი.

ჩემო ყუთლუ, გენაცვალოს ძია მუხრანი, იცი რა გითხრა, ძალიან გამიხარდა, რომ ყველას შორის გამოგარჩია ქალაქის ამირამ. მე ისიც ვიცი თუ როგორ სწავლობდი წიგნს და სიბრძნეს. იქნებ ჩემი ბაჩანაც შენ დაგემსგავსოს - აგრძელებდა საუბარს ათეულისთავი. ყუთლუს გაახსენდა მოკირწლულ ქუჩებიანი, აღმართ-დაღმართებიანი უბანი და უცებ წარმოიდგინა მუდმივად მოფუსფუსე დედა, რომელიც ახლა წელებზე ხელებშემოწყობილი მილასლასებს თბილისის კალოუბნის აღმართზე და თავის ერთადერთ შვილზე ფიქრობს. ძია მუხრანთან შეხვედრამ მშობლიური კერა მოაგონა ფარისმტვირთველს და, რაც მთავარია, ახალ თანამდებობასა და სამეფო მოწყალების დედისთვის მიხარება მოუნდა მას. ეჰ, როგორ გაიხარებს ხათუნი თავის შვილის ჩინებულობით, - გაიფიქრა ყუთლუმ და დედა წარმოიდგიან, მაგრამ უცრად შიში მოაწვა გულს, შიში იმისა, რომ მეფის წყალობა არ დაეკარგა და უკვე შეჩვეული ახალი სამხედრო ჩინი პირიქით ახალ, უფრო უკეთეს ჩინში გადაეზარდა.

ფარისმტვირთველი მეფესთან, - შესძახა სამეფოს კარის მალემსბორლმა ომახ ბარასკევაშვილმა. ყუთლუ უცრად ამ შეძახილზე წელში გასწორდა. მასთან მოსაუბრე ათეულისთავისათვის მრავლისთქმელი სიტყვა „ყუთლუ, იცოდე არ დაგვივიწყო“, უპასუხოდ დატოვა და სამეფო კარისაკენ გაიქცა. მუხრან გაბლიძემ თვალი გააყოლა ფარის სიმძიმისაგან წელში მოხრილ, მორბენალ ყუთლუს და შემდგომ ამაყად გადახედა თავის ხელქვეითებს.

ყუთლუ გარბოდა მეფის კარვისკენ და წინა დღეებში მოფიქრებულ სიტყვებს იმეორებდა. ამ სიტყვებს და მათში ჩაქსოვილ აზრს მეფის სპა გამარჯვებამდე უნდა მიეყვანა. ყუთლუ გრძნობდა, რომ მისი თეთრად გათენებული ღამეები, სწავლა და შრომა, რაც მთავარია ახლის მიგნებისა და ძველის გაუმჯობესების ბავშვური სურვილი, ვიღაცას სჭირდებოდა, ვიღაცას სჯეროდა, აქედან გამომდინარე, მეფის კარზე უცრად დაწინაურებული ფარისმტვირთველი მის წინ უზარმაზარ, ჯერ შეუცნობელ ასპარეზს ხედავდა და ეს ხედვა ყუთლუს გამხდარ მკერდსა და მკლავებს უზარმაზარი ძალით ავსებდა თითქოს.

სამეფო კარავში ყუთლუმ თვალი გიორგი მეფეს მიაპყრო. კარვის ბოლოს საველე ტახტზე იჯდა იგი - ფართო თვალწარბიანი, სწორ ცხვირიანი, გრძელი

ფართო სახის მქონე, ჩამოგრძელებული, მკვეთრი ნიკაპითა და ულვაშ-წვერით შემკული ვაჟკაცი, რომელიც თვალების ნელი მოძრაობით თანმიმდევრულად ათვალიერებდა კარავში თავმოყრილთა სახეებს, მათ თვალებსა და ჩაცმულობას. გიორგი მეფე თითქოს თბილისშიაო თავის სასახლეში, მშვიდად ელოდა სამხედრო საბჭოს შეკრებას და იცდიდა.

სარდლებსა და ერისთავებს რომ მომცრო თავები და ვიწრო სახეები ჰქონდათ მეფესთან შედარებით, ყუთლუს შეუმჩნეველი არ დარჩენია. გიორგის ახოვნება მისივე სიბრძნის ნიშნად ჩათვალა მან და უჩვეულო სიყვარულით შეხედა მეფეს, თან ხასიათის სხვადასხვა გამოვლინებას დაუწყო შესწავლა.

წამაკითხეთ წერილი, - მიმართა მეფემ სწრაფად სამხედრო საბჭოს და თვალებით კარვის იმ ბნელ კუთხეს გაჰხედა, სადაც ყუთლუ იდგა. ფარისმტვირთველმა დაინახა თუ როგორ გაიბრწყინეს მეფის თვალებმა და როგორ შეჰკრეს არწივისებრი კამარა კარვის წვერთა თავებზე და სახეებზე.

“ჰოი, დიდებულნო, საყვარელნო ჩემნო დიდნო და ძლიერნო, მთავარნო კეთილნო. მე, ივანე ორბელიანმან, აღმოვიკითხე წერილი სწავლებისა თქვენისა, გარნა მე არ მომწონს განზრახვა ესე თქვენი, რომელი მოგეწერათ ჩემდა. კაცი, რომელიცა იშვებს სოფელთა ამათ და დაუტევებს ბრძანებასა უფლისას, გარდავალს აღთქმასა, იგი მიიღებს ნაწილი უარისმყოფელისა და უშრეტსა ცეცხლსა შინა დაიწვება და ეშმაკთა თანა დაედაღების“.

აქ მეფის მესტუმრე - ორატორი შეჩერდა და, თითქოს პირს ალიკაპი ეტაკაო, ხველება და ცხიკვება აუტყდა.

სპასალართა და ხევისბერთა მომცრო თავები ისევ ჩაშტერებოდნენ თავიანთი ხმლების ტარებს და უგრძნობი, დაღლილი სახეებით ელოდებოდნენ უსტარის კითხვის გაგრძელებას. მესტუმრე ცდილობდა ხელნაწერის კითხვა განეგრძო, მაგრამ ამაოდ ცხიკვება, ცხიკვებას მოსდევდა. - წყალი დაალევინეთ ამ კაცს, - თქვა ვიღაცამ სამეფო კარავში.

წერილის კითხვას ფარისმტვირთველი განაგრძობს - ხრიწიანი, უჩვეულო ხმით წარმოსთქვა უცებ გიორგი მესამემ და კარვის ჩაბნელებულ ნაწილში უჩუმრად მიმალულ ყუთლუს გახედა.

გულის ძგერა შეუჩერდაო თითქოს ყუთლუს, როცა მეფის სიტყვები მოისმინა და თავბრუს ხვევა იგრძნო, მაგრამ ანაზდეულად შემოჭრილმა ძალამ, მეფის თვალთა ელვამ, დიდებულთა მისკენ მოტრიალებულმა ამღვრეულმა თვალებმა იმწამსვე გამოაგდეს იგი კარვის ჩრდილებიდან და მეფის გვერდით ცხიკვება-ამტყდარ, სირცხვილისა თუ გაციებისაგან სულ მთლად გაწითლებულ მესტუმრეს მიაგდეს. ყუთლუმ უსწრაფესი მოძრაობით ხელთ იგდო ლორეს სანახებიდან გამოსროლილი, დაგორგლილი ბარათი, მოიძია საჭირო სტროფი და კითხვა განაგრძო.

„მე კაცი ვარ წარმავალი. ორი დღის პატივისათვის მე ვერა გარდავალ მას, რომელიც აღმითქვამს და ვერცა ვყოფ ფიცსა მას საშინელსა“...

„შესდექ! ყველაფერი ნათელია, - დაბალი ხმით ჩაილაპარაკა გიორგი მეფემ, კარავში მყოფთ დინჯად მოავლო თვალი და შემდგომ ყუთლუს შეხედა, შეხედა კი არა გულ-ღვიძლამდის ჩაუღრმავდა იგი ფარისმტვირთველის ყმაწვილურ მზერას, მიათალიერ მოათვალიერა მისი გონება და თვალის მიდამოები. ახალ სამოსზე დააკვირდა იგი ყუთლუს და საბჭოს წევრებს მიჰმართა:

- ცხარე ბრძოლა გველის ამაღამ, მთელ დღეს გაძლევთ მოსამზადებლად, სარდლებო, ყოველი ციხის კარის გასწვრივ ტარნები და თითო ბლიკსინები დადგით, ყველა კარს ერთდროულად შეუტიეთ და ვანანებთ ივანე ორბელიანს ამგვარი წერილების წერას. ახლა კი ჯარებს მიხედეთ, ნაშუადღევს ყველა საბრძოლო დასტას თვითონ მე დავათვალიერებ“.

მეფის სარდლები წამოდგნენ და კარვიდან გასვლა იწყეს. გიორგი არწივისებური მზერით ხვდებოდა და აცილებდა მათ ყოველთვის, ახლა კი ოდნავ შეცვლილი და დამაბული ჩანდა.

დიდო მეფეო, ჰოი მაპატიე მე ფეხის მტვერს შენსას, - გულის ბაგაბუგით დაიწყო ფრაზა ყუთლუმ და მეფის წინ გაიშოტა,

რა არის ფარისმტვირთველო, - საველე ტახტიდან მარცხენა ფეხი ჩამოდგა გიორგიმ, თითქოს ადგომას აპირებსო, მერე შეჩერდა და მის წინ ხმელი ფიჩხივით წაქცეულ ფარისმტვირთველს ღიმილით უწყო თვალიერება.

ადე, ადე, - გაფაციცებული დასტრიალებდა ყუთლუს შეშინებული მესტუმრე და ხანდახან მეფეს შეხედავდა - ადე, ადე, - აგრძელებდა იგი. - წამოსდექი და რა გნებავს მითხარ, - უეცრად წარმოთქვა მეფე გიორგიმ და ანაზდეული ღიმილი პირისახიდან მოიშორა.

ჰოი დიდო მეფეო, მაპატიე მე უბედურს, - ალაპარაკდა ყუთლუ.

რა უნდა გაპატიო მითხარი სწრაფად, - თქვა გიორგიმ მარცვალ-მარცვალ.

ის, რომ დღენიადაგ თქვენზე ვფიქრობ და თქვენს მაგივრად ვფიქრობ, - პირჩამხობილმა თქვა ყუთლუმ.

რაო, რაო, ჰა, ჰა, ჰა, - გაფდაიხარხარა გიორგიმ და იმხელა ხმით გადაიხარხარა, რომ მცველებს კარვის წინ თავადაც გაეცინათ მეფის ხარხარის ხმაზე.

რაო, ვერ გა-ვი-გე, - კვლავ განგებ დამარცვლით და გამოთქმით თქვა სიცილისაგან ლოყებაწითლებულმა გიორგიმ და იქვე მდგომ მეჯინიბეთუხუცეს ჭიაბერს შეხედა.

მომცრო ტანის, მაგრამ განიერი მხრებით დაჯილდოვებულმა შავტუხა და მელოტმა ჭიაბერმა ეჭვის თვალით მოათვალიერა ყუთლუს ზურგი, მაგრამ არაფერი უთქვამს.

მეფეო, მეორე დღეა, რაც ჩემს გულში გესაუბრები, გელაპარაკები და გარწმუნებ, - ალაპარაკდა ყუთლუ.

მერე, მე რას ვშვრები ამ დროს? - დაინტერესდა გიორგი.

მე რომ გარწმუნებ, შენ არ იჯერებ მეფეო, როგორღაც არ მიჯერებ, სულ გესაუბრები მაგრამ...

მაგრამ, ვჯიუტობ ხომ ასეა, - გახარებულმა წარმოთქვა გიორგიმ.

ჰოი, რომ ასეა, მეფეო. ბალღობიდან ვიცი რა მნიშვნელობა აქვს არა ერთგვაროვან ფიქრს, არამედ, მრავალფეროვანს, წინააღმდეგობრივი აზრების შეჯერებას და მათ კვლევა-ძიებას.

მოიცა, შეგირდად ხომ მაინც ვივარგებდი, ფარისმტვირთველო.

როგორ გეკადრებათ... ის იყო დაიწყო ყუთლუმ, რომ მეფემ შეაწყვეტინა და თავად წარმოთქვა:

- როგორ გეკადრებათ, შეგირდად თუ გამოგადგებით დიდად დამავალებთ, ახლა კი ფეხზე წამოდექი და მითხარი ეგ გულში ნათქვამი რჩევები, თორემ ლორეს ციხის კარებს მიგაყენებ დიდი კლიტით ხელში, ვინძლო გააღო იგი და ყველას ერთად შეგვიძღვე შიგ, - მეფის ხმას ცოტათი მოუთმენლობა დაეტყო. ჭიაბერმა იგრძნო რაღაც და ყუთლუ მარჯვენის ერთი მოძრაობით წამოაყენა.

ჭიაბერის ხელით წელში ძალით გამართული ფარისმტვირთველი ჯერ ჭიაბერს მიაჩერდა შიშით, მერე მან სწრაფად მზერა მეფის ფართო თვალებზე გადაიტანა, ნერწყვი გადაყლაპა და დაიწყო:

- იმ დროს, როდესაც ჩვენი ჯარი და თვითონ მე, ფეხისმტვერი თქვენი მეფობისა, ლორეს ციხისაკენ მოვდიოდით, გზად ფუძემდე დანგრეულს ატანძორად წოდებულ ნაქალაქარს მივადექით. ჯარისკაცთა, რომელთაც სიქველესთან ერთად სულ დასვენებაზე უჭირავთ თვალი, არად ჩააგდეს დასტის უფროსის გაფრთხილება და სიმხურვალის გასაქარვებლად ყინულოვან ცივ მდინარეს მიაშურეს. მეც გამიწია გულმა წყლის სტიქიონისკენ, მაგრამ შემაკავა ჩემი გამზრდელის დარიგებამ, დაპირისპირებულ სტიქიონთან ურთიერთშერწყმის შეუძლებლობის შესახებ. ამან გამაჩერა ნაპირზე და სულ მალე ცივ სტიქიონში ჩაცვენილი ჩემი მოძმეების გულსაკლავმა კვნესამ და ტირილმა შემძრა.

თხუთმეტი მძლავრი აღნაგობის ქალაქელი შუბოსნიდან, რომელთა შორის ქართველნი, არაბნი, ქურთნი და სხვანი ერიენ, ათმა ძლივს მოახერხა ნაპირზე ამოსვლა, ხოლო ხუთი გულწასული და სასოწახდილი გამოვიყვანეთ საბლით მდინარიდან. მე ვუყურებდი თუ როგორი ტკივილით ჰგოდებდნენ ისინი. ნაპირზე დარჩენილი და ამრიგად, გადარჩენილი მეგობრებით ვხრუნავდი მათზე. ტკივილი, რომელსაც ისინი შეეპყრო, მართლაც წააგავდა კაცისათვის აქეთ-იქიდან ნელ-ნელა შუბის გაყრას. სულ რამოდენიმე ხანში მათ სიკვდილი ელოდათ, რამდენიმემ ხმაც კი გაკმინდა და ცახცახი იწყო, ნიშნად სულთან გამოთხოვებისა. ჩემს მიერ ნანახმა სურათმა თავზარი დამცა და შემაშინა. თბილისელი შუბოსნები რამოდენიმე ხანში

გამოვეთხოვეთ ამ საზარელ ადგილს, რომელმაც უბრძოლველად მეგობრები დაგვაკარგინა.

მივდიოდით თაკარა მზის ქვეშ და ვფიქრობდი ამ შემთხვევაზე. ტკივილს ვგრძნობდი, მაგრამ მაინც ვფიქრობდი მის გამომწვევ მიზეზებზე და აი, რა დავადგინე - კაცთა მოდგმამ უნდა შევიცნოთ ურთიერთდაპირისპირებული სტიქიონთა მნიშვნელობა და მონაცვლეობით უნდა გამოვიყენოთ ისინი ჟამთა ცვლილების დროს. თქვენ ბრძანებთ დღესვე ვილაშქროთო ლორეს ციხეზე, ვანანოთო წერილი გამომგზავნს.

სწორედ იმ ჟამს, როცა ციხე ლორესი აღტკინებული და მამაცია ივანე ორბელის სიტყვებით „მე ვარ კაცი წარმავალი და ორი დღის პატივისთვის ვერ გადავალ მას რაც აღმითქვამს“. მე მწამს, რომ თავად ციხეში რომ ვყოფილიყავი გამოკეტილი, ამ სიტყვებით გამამაცებული, მთელი ძალით ვიბრძოლებდი და მოვკვდებოდი ივანე ორბელისათვის. წარმომიდგენია და თითქმის ვხედავ, თუ როგორი სიმტკიცით გველის მთელი ლორე თავისი ციხიონით და ტაძრეულით ამაღამ, თუ ხვალ გათენებისას. ივანე ორბელის ერისთავნი და ლაშქარი დღეს დაჭიმული მშვილდებით გაჰყურებენ მათი ციხიდან ჩვენს სნეულ ჯარს, რომელსაც სამეფო ჯარად არც კი განიხილავენი ეგებ!

ხმა ჩაიგდე, თავხედო, რას უბედავ მეფეს! - შეჰყვირა თვალებანთებულმა ჭიაბერმა და გულმოცემული მივარდა აღტკინებისაგან გაფითრებულ ყუთლუს.

ჭიაბერ, სუს! - თბილისურად სთქვა გიორგიმ, მბრძანებლურ თვალთა სხივები დინჯად მიაპყრო ყუთლუს, დააკვირდა მის სახეს, შეხედა მის შუბლს, ატალღულ თმებს, ჩაუკვირდა მის თაფლისფერ თვალებს, შემცბარს და შეშინებულ მზერას და თქვა:

რა შუაშია აქ სტიქიონთა ურთიერთბრძოლა და ის დავესხმები თუ არა ლორეს ციხეს ამაღამ, ახსენი ერთი.

მაპატიე დიდო მეფეო, ჩვენი ჯარი და მეფე მისი ამჟამად ცეცხლს წააგავს, თუ დაუკვირდება კაცი. სამხედრო თათბირებზე ეგ ცეცხლი უფრო ღვივდება ხოლმე, არა აქვს მნიშვნელობა იმას თუ ვინ სდებს მუგუზალსა თუ ფიჩხს ამ მოგუზგუზე კოცონზე, ის იწვის და იგზნება, ისევე როგორც ცეცხლი, ჰერაკლიტესა და ბერძნების სიბრძნით გამოკვლეული.

- ახლა ვთქვათ ლორე, იოანე ორბელის ბანაკი და დემნა უფლისწული, რომელსაც ასევე მეფედ არის გამოცხდებული მათი მხრიდან, ეგ ხომ ცეცხლია ჩემო კეთილისმყოფელო მბრძანებელო და ჩემო დიდო მეფევ. ივანე ორბელი, უფლისწული და ერისთავები ამ კოცონს აგიზგიზებენ, აფართოებენ მას და საქართველოს გადაწვით ემუქრებიან. ვის უნახავს კაცმა ცეცხლი ცეცხლით ჩააქროს ანდა ერთი სტიქიონი იმავე სტიქიონით დაიმორჩილოს. აქ რაღაც საპირისპირო საჭირო. საწინააღმდეგო სტიქიონია მოსაძებნი, შესასწავლი და მოსამარჯვებელი. ამ სტიქიონს კარგი დაუფლება სჭირდება. ცეცხლს ქალაქში ხან მიწას ვაყრით

შეშინებული ქალაქელნი, ხანაც მტკვრის წყალს ვასხამდით. ასევე ლორეს დამცველთ და ხელისუფალთ ცეცხლით კი არ უნდა უწამლოთ, არამედ....

აქ კი შეჩერდა ფარისმტვირთველი, ფართოდ გახელილი თვალები გიორგის წითელ ქოშებს მიაპყრო და მტკიცე ხმით თქვა:

არამედ, ამ წამლის მოფიქრება მეფეებმა უკეთ იცით და დავდუმდები, ისედაც შეგაწყინე თავი, ჩემო მეფევ.

სამეფო კარავში სიჩუმე ჩამოწვა. ოფლისაგან გაწუწულმა ჭიაბერმა მეფეს შეხედა. გიორგი, მხრებში გაშლილი, თავაწეული, სადღაც ყუთლუს თავს მიღმა იყურებოდა და როგორც ჩანს არსად ჩქარობდა.

ლორეს გარშემო შემომდგარ დასტებს დასვენება სჭირდებათ და ხალისის მოგვრა. თბილისელთაგან შეკრებილი მოლაშქრეები და მთიულნი ცალ-ცალკე იქარვებენ დარდს და იერიშების შემდეგ სიმღერასა და ცეკვას მიეცემიან. რას იტყვი, ფარისმტვირთველო, თბილისქალაქური „ხაკანობა“ და ბერიკული ასპარეზობები, დადგმული ლორეს ციხის წინ, არ იქნება მძინვარე ცეცხლის ჩასაქრობად და დასამშვიდებლად საჭირო გენია? იქნებ ჩვენზე შემყურე, ციხეში გამოკეტილ აზნაურებს მოენატროთ მშვიდი და ტკბილი ცხოვრება, დაბრუნება თავის ციხე კოშკებში და საერთო სიხარულით ხარება, სტიქიონთა ურთიერთმონაცვლეობა მათ საერთოს გაუქმებას ხომ არ ნიშნავს, ჩვენი ბანაკი ძლიერია, მათი ციხე და თვითნებობა მტკიცე და შეუვალი. ლორეს სანახებს, „სახაკანოდ და საბერიკოდ“ უიარაღოდ მოდებული მომღერალი და მროკავი მოლაშქრენი გაგვიხალისებს. ამიტომაც თუ მეთანხმები, ფარისმტვირთველო, შენ მოგენდობი. ლორელნი, მოლაშქრენი და თუნდაც ორბელნი მოგვიწვევია სალაღობოდ. იერიში კი გამიუქმებია, გაიგოს ყველამ, - მეფე გამჭოლი მზერით დაჰყურებდა დაჩოქილ ყუთლუს და იღიმებოდა.

* * *

ლორეს ვეება კედლების სიღრმეში, თავად ციხეში, ზერდაგზე დადგმულ ტახტზე მჯდარ მეფე დემნას რამოდენიმე ერისთავი და ერთი უცხოელი - ჯეიჰან ფეჰლევანის ელჩი, ზორაბი უსმენდნენ გულისყურით.

ახალგაზრდა უფლისწული უბოროტო გულისწუხილით იხსენებდა თავისი მამის დავით V ღვაწლსა და სიკეთეს საქართველოს იმ აზნაურთა ოჯახების მიმართ, რომლებიც დღეს რატომღაც აგვიანებდნენ საყოველთაო ამბოხს ტახტის მიმტაცებლის ტირან გიორგის წინააღმდეგ.

დემნას თვალები ცრემლით ევსებოდა მამის ხსენებისას და საუბრის დროს თითქმის თავს იკავებდა უფრო ღრმა, ძალუმი გრძნობის გამოჩინებისაგან. ამასთან იგი თანდაყოლილი კეთილშობილებითა და დიდი სულგრძელობით ეპყრობოდა საკუთარ კარისკაცთ და მეომრებს.

ერისთავთა თავში მჯდომი იოანე ორბელი, ახოვანი და ლამაზი მოყმე, შიშის ზარს გვრიდა მტრებს და აგულიანებდა მოყვრებს. თავად საფრთხისა და შიშის მიმართ უგრძნეული და „ყრუ“ იყო იგი. მისი სიცოცხლე რწმენა იყო სიკეთისა და მიმდევრობა წესრიგისა. იოანე ორბელიანი საუბრის დროს მიწიერ ვნებებს დაგავიწყებდათ და საერო სახელის მოხვეჭის სურვილს გაგიჩენდათ. მოლაშქრენი იოანეს „დროშას“ ეძახდნენ და იგი მართლაც საქმეთა ჭური იყო. დაულეველ და წაუქცეველ იოანე ორბელიანს ომი ყოველდღიურ მამაცურ საქმედ ჰქონდა გადაქცეული. მის ბანაკში იკრიბებოდნენ მაჰმადიან სულთნებზე თავდასასხმელად მომართული დიდგვაროვანი აზნაურები თუ მდაბიო მოლაშქრენი. ქართლის, ტაო-კლარჯეთის, მესხეთისა და იმერეთის, ეგრისისა და აფხაზეთის, ჰერ-კახთა და მთიულეთის, ოვსთა და თბილისელთა, სომეხთა და ქურთთა ვაჟკაცები, რომლებიც ივერიის მზეს ფიცულობდნენ და მის დროშას ქედს უხრიდნენ - იოანე ორბელიანს მოყმეთა მოყმედ, გმირთა შემკრებად და თავად გმირად სთვლიდნენ. ამავე დროს თვით მეფე გიორგი მესამე, ლაღი და უცდომელი მოისარი, დასტათა და ყოველთა სამხედრო წყობათა მცოდნე, დავით IV აღმაშენებლის, დემეტრე პირველის საქმეთა გამგრძელებელი და, რაც მთავარია, მეფე, დღევანდელი დღის გამრიგე დიდი სიყვარულით სარგებლობდა მხედართა და ლაშქართა შორის. ხალხის სიყვარული იოანე ორბელიანისა იყო მხედრული სიყვარული გმირის მიმართ, მაშინ როცა ხალხის სიყვარული და ეშხი გიორგის მიმართ იყო სიყვარული, რწმენა მაშრიყიდან მაღრიბამდე, ევროპიდან აზიამდე სახელოვანი სამეფო გერბის, დროშის მიმართ, რომელზედაც ებრაელთა მეფის დავითის შურდული და უფლის ჩვენის იესოს კვართი ისახებოდა. სწორედ ამ გერბის, დროშის, ტახტის და სხვა საკრალური სიწმინდის მფლობელი იყო გიორგი მესამე.

ეს ყოველივე კარგად იცოდა იოანე ორბელიანმა და ყოველივე ეს გულის გულში აშფოთებდა მას ფარულად. მომთაბარე და უგულო თურქმენი ან კიდევ ხაზარი რომ ყოფილიყო იოანე, მაშინ არ გაუჭირდებოდა მას გიორგისთან ბრძოლა სიმართლისათვის, მაგრამ არ იყო მომთაბარე, უჯილაგო კაცი და ამიტომაც მის წინ აღმართულ გიორგის დროშას, უფლის კვართსა და დავითის შურდულს ვერ შემოსცემდა იგი მახვილს. ვერ შემოსცემდა შუბსა და საკუთარ მრისხანებას.

ქრისტეს მეომარი იყო იოანე ორბელიანი, გაქაფებულ განწირულ ომებში ქრისტეს სამსჭვალი გახსენებია მას და იმედმოცემულს მოუგია კიდეც ეს ომები უფლის მოყვარულს. ახლა დემნასათვის ომობდა იგი და არა საკუთარი აღზევებისათვის. ან კი სად უნდა აღზევებულიყო ორბელიანი აწი თუ არა იქ, მაღლა, სულით მტკიცეთა და სიმართლისათვის დევნილთა სასუფეველში.

მეორე კაცი იყო ქვეყანაში იოანე ორბელიანი, მეფობა? ამაზე არც კი უფიქრია მას, აბა სად მეტად ან საით უნდა გაჭრილიყო ახოვანი, შემართული ტკბილხმოვანი და მაღალაზროვანი მოყმე, არც არსაით...ცათა სასუფეველის გარდა. მართლაც რომ ლომისა და ვეფხვის ბრძოლას წააგავდა იოანესა და გიორგი მეფის ჭიდილი.

მართლალ საქმეს ჩაუდგა სათავეში იოანე ორბელიანი, კანონიერი უფლისწულის ტახტზე აყვანის საქმეს. დემნა უფლისწულის გამეფებას არა მარტო ბიძის, გიორგი მეფის ავი ზრახვანი ეღობებოდნენ წინ, არამედ ის გარემოებანი, რომლებიც სამწუხაროდ წარსულიდან სამემკვიდრეოდ ერგო მას.

დავით აღმაშენებელის შვილის დემეტრე I მეფობა ქვეყნისათვის ბრწყინვალებით დასრულდებოდა, რომ არა დემეტრეს მემკვიდრის დავითის სწრაფვა მეფობისაკენ. დავითი მამის ტახტიდან გადაყენებას და მონასტერში მის ბერად აღკვეცას დიდი ხანია ლამობდა. დემეტრე პირველს აღვირახსნილი კანონიერი მემკვიდრისაგან თავის დასაცავად უმცროსი შვილი გიორგი, ახლანდელი გიორგი მესამე შველოდა. დავითმა საბოლოოდ მაინც აჯობა მამასა და ძმას. იგი მრავალრიცხოვანი „მიდგომებითა და მოკიდულით“ გამთენიისას შეიჭრა გეგუთის სასახლეში და საპატიო ტყვედ აქცია დემეტრე მეფე. ამის შემდგომ დავით V ბაგრატიონი ქვეყნის მართვასა და თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლებს იწყებს, ხოლო გიორგი უფლისწული განდეგილი უგზოუკვლოდ დაეხეტება ოვსთა მხარეში, სადაც იგი ნართების მეფის სიძე და რძე-ღვინით ნარევი უმშვენიერესი ბურდუხანის მეუღლე ხდება.

ოვსთა და ალანთა სახელოვანი სიძე სულ მალე დაუჯერებელ ამბავს მიიღებს თბილისიდან, სადაც განუკურნებელი სენისაგან სულს ღაფავს დავით V ბაგრატიონი, რომელიც სიკვდილის წინ მამასთან და ძმასთან შეხვედრას და შერიგებას ლამობს.

ახოვანი, ოსი მოყმეებით მხარგამაგრებული, მთიდან დაძრული მეწყერივით შემოიჭრა გიორგი თბილისს, შევარდა სამეფო სასახლეში, ძმაო! - შეჰყვირა და დავითის უძრავ ნაკვთებს და სამუდამოდ დახუჭულ თვალებს ჩააკვირდა.

თეთრი წვერით მოსილი გამხდარი და სიბერისაგან დალეული მოხუცი ტახტრევანით შემოიყვანეს მოყმეებმა და უძღები შვილის სასთუმალთან მოწიწებით დადგეს. „მამავ“ შეჰყვირა მაშინ გიორგიმ და ტახტრევანზე მხრებჩამოყრილ მჯდომარე მოხუც დემეტრე მეფეს გადაეხვია. „შენ რომ არ მყავდე დღეს უკვე ცოცხალი აღარ ვიქნებოდი“, - ჩიფჩიფით უთხრა დემეტრემ შვილს და სისხლისაგან დაშრეტილი თეთრი თითები სახეზე მოუცაცუნა მას.

მეფის დასაფლავების დღეს გელათის მონასტერში, როდესაც თორმეტი ათასი მოლშქრე ჩოხებს იგლეჯდა და მწარედ ჰგოდებდა, წაკითხულ იქნა დავითის ანდერძი, სადაც იგი მამამისს ,მეფე დემეტრეს პატიებას სთხოვდა და მცირეწლოვან შვილს დემნას, იგივე დემეტრეს II-ს აბარებდა მშობელს. „უკეთუ იმეფოს შვილმა ჩემმა დემეტრემ“, - ყრუდ ჩაიკითხა ანდერძი სამეფო კარის ორატორმა ბარასკევაშვილმა და არც არავინ წასულა წინააღმდეგი, მიცვალებული დღემოკლე მეფის დავით მეხუთის ბოლო სურვილისა. სამეფო უფლისწულად გამოცხადდა დემეტრე-დემნა ბატონიშვილი, ხოლო მის მეურვედ ბიძამისი გიორგი დამტკიცდა.

ტახტზე კვლავ დაბრუნებულმა დემეტრე პირველმა, მითქმამოთქმისა და დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად თავისივე სიცოცხლეშივე გაამეფა ერთგული შვილი გიროგი, გიორგი მესამ წოდებული.

ამ დღიდან მოყოლებული დემნა ბატონიშვილს ჩუმად მეურვეობს იოანე ორბელიანი, ეცოდება უმამოდ დარჩენილი ბალღი. ამასთან ერთად ბაგრატიონთა სახლის გამგრძელებელს იგი სხვას ვერავის ამჩნევს. გიორგი მესამეს მარტოოდენ ქალი აჩუქა უფალმა. თამარი ჰქვია მას. მუდმივად საავდრო ღრუბელით შემოჯარული ქრისტეანულ ივერიას, რომ ქალი ვერ მართავს ეგ დღესავით ნათელია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ დემნა, დავით აღმაშენებელის შვილთაშვილია, მასავით მწვანე თვალებითა და წაბლისფერი თმებით დაუჯილდოვებია იგი არსთა გამრიგეს.

დავით აღმაშენებელის ხსენება აფორიაქებს იოანე ორბელიანის მშვიდ სულს. იგი სულმნათი მეფისა და უპირველესი მეომრის ანდერძს იხსენებს, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინათ ცოდნისადა წიგნის კაცებში თავად განიხილავდა გიორგი მესამე და მომხსენებელს უსმენდა გულისყურით.

დიდო მეფეო, - ამბობდა მწერალი ჯავარ, ანდერძში სწერია შემდეგი...

„მივანდუენ შვილნი და დადოფალნიცა, შუამდგომლობითა თუთისათა, რათა ძმა მისი გაზარდოს და თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ იყოს ცუატა, შემდგომად მისსა ჰყოს მამულსა ზედა“ - დიდ ,ოწყალე მეფე, აწ განსუენებული დავით მეოთხე უშვებს უმცროსი შვილის გამეფების შესაძლებლობას და ამით პირმშოობას სცვლის ახალი წესით.

ამგვარად, დავით აღმაშენებელმა, მეფეთა შორის პირველმა შესცვალა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის განაწესი.

მეფისა და წიგნიერ კაცთა ამ თათბირზე დიდი ეჭვი გაუჩნდა იოანეს. როგორ, ნუთუ პირმშოობის ანუ სამეფო კვართის მამიდან შვილზე გადაცემის წესის შეცვლა

უნდა გიორგი მესამეს და ამიტომაც იქექებიან ეს მწერალნი წინა მეფეთა და უპირველეს ყოვლისა დავით აღმაშენებელის სამეფო ბეჭდით დამტკიცებულ ფოლიანტებში.

სახელმწიფო, მეფობა და პირმშოობა - იოანე ორბელიანმა ამ სიტყვათა ერთგულება და სამსახური კარგად იცის. აბა რას უნდა მოასწავებდეს დავით აღმაშენებელის ანდერძის ახლებური კითხვა გიორგი მესამის ქვეშევრდომთა მიერ. თუ არა ზაკუას და განდგომას იმ კანონისაგან, რომელიც ქვეყანას, პატრონს, მეფეს პირმშოობით ჩააბარებდა და არა ომითა და დავიდარაბით.

ისიც იცოდა იოანე ორბელიანმა, წიგნიერმა მოყმემ, რომ დავით აღმაშენებელის ანდერძში დადგენილი სამემკვიდრეო წესი იყო კერძო ხასიათის. იგი მეფის უზომო სიყვარულს ასახავდა უმცროსი შვილის ცუატას მიმართ. ამიტომაც ამგვარ მუხლს დავითის ანდერძისას არ შეეძლო განესაზღვრა ივერიის სამეფო ტახტის მემკვიდრეობის შინაგანაწესი.

ამას ამბობდა და ამტკიცებდა იოანე ორბელიანი და უჩუმრად მოყვრებსა და დასაყრდენ ძალას უმზადებდა მცირეწლოვან დემნას - ივერიის მომავალ მეფეს.

დემნას მცირეწლოვნება ზედმეტად გაიწელა და განივრცო. აქამდე საქართველოს ტახტზე მეფენი გაცილებით უფრო მცირეწლოვანნიც უკურთხებიათ. ბაგრატ მეოთხე, დავით აღმაშენებელი თითქმის თექვსმეტი წლის გამეფდნენ. დავით მეხუთის საბრალო ვაჟის დემნას მცირეწლოვანება არც თექვსმეტი, არც თვრამეტი ან ოცი წლის ასაკში არ დამთავრდა, რამაც ძალიან შეაშფოთა მისი მომხრენი და დავით მეხუთის პირადი თანამებრძოლები.

“- იმეფა გიორგი წელსა ოცდაერთსა და ოდეს მოიწია ჰასაკად დემნა“, ანუ სამეფო კარს დემნა მხოლოდ 21 წლის ჩაუთვლია ასაკში შემდგარად, დაკაცებულად.

ჰოდა დაკაცებული, ჰაეროვანი ჭაბუკი - გაჭიანურებულ მცირეწლოვნობასთან ერთად გამოეთხოვა მშვიდ ცხოვრებას, მიჯნურსა და მეუღლეს და ბაგრატოვან ხელმწიფეთა მშფოთვარე წარსულის სამემკვიდრეოსთან ერთად ლორეს ციხეში, მომხრეებთან ერთად გამოკეტილი - ვინ იცის რას ელოდა?

გულ-ღვიძლი ეწვოდა სიბრალულით ამ ყოველივეს გახსენებაზე იოანე ორბელს. სიყვარულით უმზერდა იგი საკუთარ ხელმწიფეს დემნას, ყურს მიუგდებდა მის საუბარს ლორეს დამცველ ერისთავებთან და უმალ ლაშქარს დაუბრუნდებოდა, სადაც მომღიმარი სახეებით ხვდებოდნენ მეომრები. ფარებითა და მოლაშქრეებით აფაფრულ ლორეს კედლებზე საათობით იდგა იოანე სარდლებთან ერთად და მომავალი დღის სტრატეგიას არჩევდა. ფიქრობდა სად უნდა დაერტყა გიორგის მხედრობისათვის, რომ ერთი დაკვრით, ერთი იერიშით გაეხსნა გზა თბილისისაკენ. სამეფო ლაშქრად თავის რაზმებს სთვლიდა ორბელიანი, სწორედ ამ ლაშქრით შესაძლებელი იყო ბრძნული, დაგეგმილი ბრძოლა, ეპამინონდას, ალექსანდრეს ან კეისრის მსგავსად, ერთი იერიშით წინ თბილისისაკენ, სამართლიანობის გამარჯვებისაკენ გაჭრა.

ზერდაგზე აღმართულ ტახტზე მჯდომი დემნა თითქოს მართლაც წააგავდა დავით აღმაშენებელს გელათის მხატვრობიდან. მის ქვევით თმაწვერგაფოფრილი ერისთავები დაღლილი სახეებით უჭვრეტდნენ მას და დემნას გვერდით მდგომი იოანე ორბელიანს. იოანე ერთგული ლომივით აძლიერებდა და ძალას მატებდა დემნას ტახტს.

წვერგაფოფრილი ერისთავები ლორეში ორ რასმეს უფრთხოდნენ ამ დროს: გარედან გიორგი მესამეს მრისხანებას, ხოლო შიგნიდან იოანე ორბელიანის სიქველეს. თითქოს ეს ორი კაცი აწონასწორებდა ძალთა დაპირისპირებას და არსებულ მდგომარეობას.

გიორგი და იოანე სასწორის სხვადასხვა მხარეს თანაბარ ზომიერი სიმძიმით განიწონიდნენ ქვეყნიერების ნიჭსა და მღელვარებას, ხოლო ავზედითი დემნა სასწორის ღერძი იყო ამ დროს.

* * *

გამთენისას, როცა ლორეს გარე ციხეში მეციხოვნეთაგან მაღვიძარად დატოვებულმა მამალმა იყივლა, იოანეს დარბაზის კარზე ვიღაც აქოშინებული შემოვარდა და მთავარსარდლის მცველებს ორბელიანთან პირდაპირ საუბარი მოსთხოვა.

მცველებმა იცნეს მზვერავთა რაზმის უფროსი ჭურისძე და საქართველოს ამირსპასალართან უიარღო შეაბრძანეს იგი.

იოანე ორბელიანი სამხედროდ გამოწყობილიყო ლორეში გამოწვრთობილ მახვილებსა და ჯაჭვკურტაკს ათვალიერებდა. მას გვერდით ართავაზის ძე შოთა ედგა და დაბალი ხმით რაღაცას ელაპარაკებოდა ამირსპასალარს.

ჭურისძემ უმალ დაიჩოქა იოანეს წინაშე და დაიწყო:

ბატონო, ამირსპასალარო, რაღაც უჩვეულო ხდება ტახტის მიმტაცებლის ბანაკში!

რაო, საომრად ემზადებიან, ალბათ, ნამუსმა თუ შეაწუხა ეგ კაცი, შემდეგ სისხლით შეეცდება თავის დამშვიდებას, - თქვა იოანემ ჩვეული სიმშვიდით. ყველამ გაიგო თუ ვის ეხებოდა ეს სიტყვა - ეგ კაცი - და გაირინდა.

არა მგონია საომრად ემზადებოდეს მტრის ბანაკი, აქ რაღაც სხვა ამბავია, - მტკიცედ სთქვა ლასურისძემ. თავი დახარა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა და სიტყვებს ეძებსო.

ლორეს სანახებიდან მოვარდნილმა შეძახილმა და ყიჟინამ ჩაფიქრებიდან გამოიყვანა ორბელიანი და იგი, ვით ვეფხვი- ნადავლის ხელში ჩასაგდებად შემართული, მრავალრიცხოვან მოყმეებთან ერთად სათალთვალო კოშკისკენ გაეშურა, ჭურისძე უკან მისდევდა ამირსპასალარს და რაღაცას თავისთვის ბუტბუტებდა.

რამ შეგაფიქრიანა ჭურ, ვინმემ ხომ არ დაგიფრთხო სანაქებო სიმშვიდე და განსჯის უნარი, - უცებ შემოუტრიალდა იოანე ორბელიანი მზვერავთუხუცესს და მეგობრულად ხელი დაჰკრა მას მხარზე.

ხელის დაკვრით ვეება საგუნთე ძვლებს რომ ამტვრევდა, ამჯერად მხოლოდ მსუბუქი დარტყმით შემოიფარგლა ტანდაბალი მზვერავის მიმართ იოანე. მაგრამ ეს დარტყმა ნიშნავდა „ჭურ, ხალხს ნუ მიფრთხობო“. სათვალთვალე კოშკზე ამავალ ორბელიანს, მეორე მძლავრი ყიჟინა შემოესმა ლორეს სანახებიდან, დარჩენილი საფეხურები მსხვილბარკლიანმა მოყმემ სწრაფად აირბინა და დაკბილულ საბრძოლო ქონგურებს შორის მომწყვდეულ გარემოსა და არემარეს გადახედა და გაკვირვებისაგან გაშრა.

იქ, სადაც ადრე გიორგის დასტათა სამხედრო მიწაყრილები და ფიცრულები იდგა, ახალ თბილისური ჩამომავლობის ხალიჩები, ფარდაგები და სხვა მრავალი ფერთა სიჭრელით გამორჩეული ქსოვილი ეფინა.

ერთ ადგილას ბორცვზე რამდენიმე კაცი სასაცილო ტახტს დგამდა, ხოლო ჯარი, გიორგის მხედრები არსად სჩანდნენ, თუმცა...

გორაკს გადაღმიდან გამოჩნდა გაურკვეველი ბრბო, რომელთა ტანისამოსმა და გარეგნობამ განაცვიფრა ორბელიანი. რამდენიმე ათასს კაცს, რომლებიც შეძახილებითა და სიმღერებით მოემართებოდნენ ლორესაკენ, წოწოლა ქუდები ეხურა თავს, ხელში უმეტესობას ჟანგიანი შამფური ეპყრა, რომელზედაც ვაშლი ან ხახვი იყო წამოგებული. გადმობრუნებული ტყაპუჭი და გამურული სახეების გარჩევაც მოახერხა იოანემ და ამ დროს რამოდენიმე ასეულმა მედოლემ შეთანხმებით დასცხო დოლი და ასევე ასეულმა მეზურნემ ზურნა დააჭყვიტინა ლორეს კედლებს ქვეშ. „საცეკვაოა“, აბა მიდით ბიჭებო, დავცხოთ, დავცხოთ!“ - ეს სიტყვები შემოესმა ქონგურზე მდგარ ორბელიანს მაშინ, როცა მიუახლოვდა ციხისთავი და შეეკითხა - „როგორ მოვიქცეთ, ამირსპასალარო, ისრები ხომ არ ვკრათ ამათ?“

უშიშარი ამირსპასალარი მიუტრიალდა ციხისთავს და უთხრა - „აქ რაღაც ცბიერებაა, მომზადდეს ყველა და მერე გავერკვეთ როგორ მოვექცეთ ამ ხალხს“. იოანემ მზერა მიაპყრო ერისთავებს, ასე რომ ლამობდნენ მიმხვდარიყვნენ მოცეკვავეთა და მომღერალთა გამოჩენის მიზეზს, მაგრამ ვერ გარკვეულიყვნენ და ის იყო რაღაც უნდა ეთქვა, რომ სათვალთვალო კოშკის ბაქანზე დემნა გამოჩნდა.

ნიავი უტალღავდა თმებს დემნას, მეტად მომხიბლავი იყო უფლისწული და მისი თვალები ისეთი ნდობისა თუ სიკეთის გრძნობით ავსებდა სივრცეს, რომ იოანემ მის დანახვაზე გაიფიქრა „საბრალო ბატონიშვილი, ამ ერისთავების ხელში, რაღაცით წააგავს კიდეც მონადირეთა მიერ შეპყრობილ ირემს!“ „ჩემო იოანე, - წარმოთქვა დემნამ - ბიძაჩემისაგან ამ წამს წერილი მივიღეთ, რომელშიც იგი გულმხურვალედ მოგვიწოდებს ციხის კედლეთან გავმართოთ ასპარეზობა და ბერიკობა, დავასვენოთ ჩვენი გათანგული მეომრები და ვიმხიარულოთ ისე, როგორც შარშანდელ „ხაკანობის დღესასწაულზე“ ქალაქ თბილისში“.

იოანე არ ელოდა ასეთ წინადადებას მეფისაგან, რომელიც გულღმო კაცად მიაჩნდათ ყოველთვის. მან ჩაიკითხა დემნას მიერ მოწოდებული წერილის ბოლო სტრიქონი, დააკვირდა გიორგის ხელრთვას და მის მიერ მეფედ ნაკურთხებ დემნას შეხედა და თქვა:

„ჩემო მეფეო, მდგომარეობა განსჯასა და დაფიქრებას მოითხოვს, ამიტომაც მე გთხოვთ მოვიწვიოთ ერისთავნი და განვსაჯოთ როგორ მოვიქცეთ და რა ვუპასუხოთ ლორეს მოალყეთ, რომელთაც გაუგონარი სიბრიყვე გამოუჩენიათ და კანონიერების მტრობასთან ერთად უმსგავსო მანჭვა-გრეხვით უნდათ ჩვენი ციხიდან გატყუება და ამ სამარცხვინო ფერხულში მეფის ლაშქრის ჩაბმა“.

დემნამ ამ სიტყვების გაგონების შემდეგ ქონგურებს მიუახლოვდა და ლორეს ვეება კედლის მიერ დაჩრდილულ ადგილას დაბანაკებულ ბერიკებსა და მსახიობთ გახედა. უეცრად უფლისწულმა თავი ვერ შეიკავა და ხმამაღლა გადაიხარხარა, ქონგურებთან მიცვენილმა თმაწვერგაფოფრილმა ერისთავებმა ხარხარი დაიწყეს.

„ხაკანი, ხაკანი დაგორავს. - ვა, ჰა, ჰა, ჰა, შეხედეთ იმ წვერცანცარამ საჯდომზე მოუკიდა ცეცხლი“, - ახარხარდა დემნა თავდავიწყებით და ერისთავთ, წითელკუდიან და თავზე იმ ქოთანდადგმულ ბერიკაზე მიუთითა, რომელიც ქართველთა და განსაკუთრებით ქალაქ თბილისის ძველ მტერს ხაზარ მოძალადეთა მეთაურს „ხაკანს“ განასახიერებდა. ლორეს მეციხოვნენი ახლო მდებარე კოშკებიდან ცნობისმოყვარე მზერით უჭვრეტდნენ ბერიკთა წარმოდგენას. ზოგიერთ მათგანს ეიმეებოდა კიდეც კურტუმოგაზნექილი „ხაკანისა“ და მისი „ამალის“ ოინბაზობის შემყურეს. იოანე ორბელიანი შეჰყურებდა დემნას, ერისთავებს და მეციხოვნეებს, რომლებიც „უჭკუოდ მხტუნავ“ ბერიკთა ლაშქარს სიცილისა და ღლაბუცის ხასიათზე მოეყვანა და საჩქაროდ თავისთავში იმ გადაწყვეტილებას ეძებდა, რომელიც ამ მდგომარეობიდან მასსა და მის ლაშქარს გამოიყვანდა და ჩვეულ სამხედრო სიმტკიცეში, ჭირთა თმენაში, გამარჯვებისაკენ სწრაფვაში დააბრუნებდა. რამდენიმე ჩვეული ბრძანება ენის წვერზე ადგა იოანე ორბელიანს, მაგრამ იგი ყოყმანობდა, თავს იკავებდა, სათქმელის სიზუსტეს ადგენდა და დარტყმისათვის სწორ მიზეზს ეძიებდა, მაგრამ ამირსპასალარის გონი სავსე იყო იმ მრისხანე, გულში ჩამწვდომი შეძახილებით, მხედრული მოწოდებებით, გულგამგმირავი მუქარითა თუ ცეცხლოვანი ყიჟინით, რომელიც შუა ბრძოლაში თუ ბრძოლის დასალიერს ყოველთვის მისი ლაშქრის გამარჯვებას, ომის გარდატეხას, მოწინააღმდეგის სულიერ გატეხვას მოასწავებდა. ახლა კი ბერიკათა სახეგამურულ, შამფურზე სახეწამოგებულ მდაბიო და მომღერალ მსახიობთა მანჭვაგრეხის წინააღმდეგ ვერც ერთი აქამდე სვიანად ნახმარი ბრძანება ვერ გამოადგებოდა ამირსპასალარს. ისიც იცოდა იოანე ორბელიანმა, რომ რჩევა უნდა ეკითხა ამ დროს, საერთო აზრი შეეკრიბა და მერე ემოქმედა თავისუფლად, ამიტომაც მან კიდევ ერთხელ გადახედა ლორეს სანახებს, ცოტა ხანს ჩუმად უმზირა ლორეს ციხის წინ ბუნებრივად არსებულ ღრმულზე ამფითეტრივით მოწყობილ ბერიკათა ბრბოს, სახელდახელოდ გამართულ ტახტზე დაბრძანებულ ქოთნის გვირგვინით დამშვენებულ „ხაკანს“, მის მოახლე ფარეშების ტუტუცურ ქცევას და სათვალთვალო კოშკიდან ჩაფიქრებული დაბლა ჩაბრძანდა.

ერისთავებმა იგრძნეს იოანეს ძირს ჩასვლა და უმალვე უკან მიჰყვნენ მას. სათვალთვალო კოშკის ბაქანზე მხოლოდ დემნა I და მისი მცველები იდგენენ ცოტა ხანს და შემდეგ ისინიც სათათბირო დარბაზის მიმართულებით წავიდნენ. მანამ, სანამ საოსტინგოს კარს შეეხებოდა დემნა ბაგრატიონის სამეფო მარჯვენა, მის ამალას პირზე ღიმილმოფენილი არაბი ვაჭარი მიუახლოვდა, დაუჩოქა და დემნას საჭურველმტვირთველს თხოვნის ბარათი, საგულდაგულოდ დაკეცილი

პერგამენტი გადასცა, თავის ოდნავი დახრით მიესალმა დემნა მისთვის უცნობ ამ არაბს და ბალღობიდანვე თანდაყოლილი ჩვეულების თანახმად უმალვე არაბის თვალწინ გახსნა პერგამენტი და გაოცდა. პერგამენტში, ბიძამისის გიორგი მეფის წერილი იყო ჩაკუჭული. ბიძის ხელრთვა უმალ გაარჩია დემნამ, სული აუფორიქდა, გულისცემა აუჩქარდა, როცა წერილის შუა წელს გადაავლო თვალი. – „მეფობას ნუ შემეცილები და რადგანაც არც ისე ახალგაზრდა ვარ და არც ძალიან ბებერი, შენ შენსას მიიღებ, მაგრამ არა ხვალ, როგორც ამას ლამობდი და არც ისე დიდი ხანი მოგიწევს მოცდა, როგორც ჩვენი მტრები გარწმუნებენ. თან ისიც გაითვალისწინე, რომ ქალის მამა ვარ და ერთადერთი შენ მიმაჩნიხარ ჩემი მეფობის მემკვიდრედ და ბაგრატოვანთა მახვილად. მაგრამ იცოდე სამეფოს ჩვენსას განმტკიცება სჭირდება და ამიტომაც ნუ ახარებ ჩვენთა მტერთა გულს, რომლებიც ისევ შენი სამეფოსა და მეფობის დამხობას ცდილობენ. გირჩევ, გამოდი ციხიდან და გაახარე გული ბიძაშენის, მეფის შენის და სახლეულის ჩვენის“. ბოლო სიტყვები ვეღარ გაარჩია დემნამ. კიდევ ერთხელ შეათვალიერა არაბი ვაჭარი, წერილი უბეში ჩაიკუჭა და საოსტინგოს თაღოვან ტალანს მიჰყვა.

„როგორც ჩანს ბევრი მზვერავი და დამსმენი მონა ჰყავს შემოგზავნილი ლორეში გიორგის“, - გაუელვა დემნას, როცა სამხედრო თათბირზე შევიდა და ერისთავთა და წინამძღოლთ გადაავლო მზერა.

* * *

ლორეს ციხის სანახები ბრწყინვალე ადგილი აღმოჩნდა „ხაკანობის“ დღესასწაულის გამართვისათვის. კედელ განიერ, შეუპოვარ კოშკებს შორის არსებული ჩაღრმავება მრგვალი, ამფითეატრის მსგავს კონუსური ფორმის სივრცეს წარმოადგენდა, რაც შესანიშნავად გამოიყენა „ხაკანის“ სამსახიობო ხელოვნებისათვის თბილისიდან ჩამოყვანილმა ბერიკათუხუცესმა. ტახტი სწორედ იმ ადგილას დაადგმევინა, საიდანაც მას ლორეს ყველა კოშკი და თვით ქალაქის დასახლებაც უმზერდა. ბერიკათუხუცესი გამიზნულად სწორედ ლორეს მცხოვრებლებზე იქცეოდა, რადგანაც სჯეროდა მათი ცნობისმოყვარეობის და თბილისელ ბერიკებთან პაექრობის სურვილის.

ბერიკათა ლაშქარი ღრიანცელითა და სიცილ-ხარხარით შემოეწყო „ხაკანის“ ტახტს, სადაც დიდი შაითანი მკვირცხლად იქნევდა ხელფეხს, ყვიროდა ათასგვარ სისულელეებს, ჰაერში ისროდა თავისსავე გვირგვინს, უფრო სწორედ დიდ წითელ ქოთანს, რომელსაც ცხვირი ოდნავ ჰქონდა ჩამომტვრეული. „ხაკანი“ ყოველი „ბრძანების“ შემდეგ თვითონ მოგორავდა თავისივე ტახტიდან და მისი უკან აყვანა ბერიკებს უხდებოდათ. რამდენიმე ჩამოვარდნის შემდეგ „ხაკანმა“ წითელი ქოთანი ჰაერში შეისროლა და ცეცხლოვანი დავლური დაუარა ტახტის წინ, მოტკეპნილ მიწაზე უეცრად ერთ-ერთმა ხაკანის ამალაში მყოფმა ბერიკამ საწყალობლად შეჰყვირა და ყრუდ დაეცა. „ხაკანმა“ იკითხა რა მოხდაო და ცოტათი დაფრთხა კიდეც. ამ დროს მას კომბალიანმა, დაკონკილმა ბერიკებმა ამ ცოტა ხნის წინ ჰაერში ასროლილი ქოთან-გვირგვინი უპოვეს და მოართვეს. „ხაკანმა“ ყურადღებით

შეათვალიერა თავისივე გვირგვინი და იკითხა, თუ რატომ იყო ის სისხლიანი, რაზედაც პასუხი მიიღო, რომ საბრალო ბერიკას, რომელიც მწარედ ყვიროდა სწორედ ეს ქოთან-გვირგვინი დასცემია თავზე და ამიტომაც მისი გატეხილი თავი და ის სისხლი, რომელიც ამ ქოთანზე უხვად ეცხო, ეხლა „ხაკანს“ უნდა აენაზღაურებინა. „ხაკანი“ ამ სიტყვებზე შეფიქრიანდა და უმალ დაზარალებული ბერიკას მოყვანა ბრძანა, რაც მას სწრაფად შეუსრულეს.

რას მთხოვ ძვირფასო?

თუ გინდა გადარჩე, ერთი თხოვნა შემისრულე! ამოიხრიალა ბერიკად ჩაცმულმა ჭაბუკმა, რამაც ყველას ჩააწყვეტინა ხმა.

აბა მიბრძანე?! - თქვა „ხაკანმა“ დიდი გულისყურით და თავი ჩაჰკიდა.

რაც ჯერ არ მქონია, ეგ ხომ ცოლია, ამიტომაც გთხოვ შენი ქალი მომათხოვო, გამიგე? - დამარცვლა სიტყვები ბერიკამ და თალები მილულა.

ცოლი რად გინდა, ჩემს ცხენს გაჩუქებ, - უპასუხა გაჯავრებულმა ხაკანმა და ამ დროს მისი ტახტის უკან ურცხვად მორთული ხაკანის ასული გამოჩნდა. ფატითა და ჯიღით მორთული. ხაკანის ასულმა სულ გააგიჟა დაჭრილი ბერიკა, რომელსაც ამ დროს თავისივე სურვილის სანაცვლოდ გაძვალტყავებული ქურანა ცხენი მოართვეს. ბერიკამ შეათვალიერა ცხენი, შემდეგ შემოახტა მას უნაგირზე, ხელები გაშალა და ხაკანს უთხრა:

იყოს ნება შენი, ხაკან, მაგრამ ერთსა გთხოვ, ლოყაწითელზე ვეამბორები შენს გოგოს და წავალ. როგორც ხალხმა დაინახა, ხაკანი ჯავრობდა, მაგრამ ბოლოს მაინც დათანხმდა ბერიკას წინადადებაზე და ქოთნიანი თავი დაუქნია „ვნებისაგან გადარეულ“ ბერიკას.

ლორეს ციხიდან მომზირალმა ხალხმა სიხარულისაგან შეჰყვირა, როცა შეამჩნია თუ როგორ აკოცა „ხაკანის“ გოგომ ბერიკას, მაგრამ ბერიკამ ხელი არ შეუშვა მას და საბოლოოდ ცხენზე შემოისვა იგი. „ხაკანი“ გაგულისდა აღშფოთდა, გაჯავრდა, შამფური დააძრო, მაგრამ რა, ბერიკამ გაქუსლა და თან წაიყვანა ხაკანის ასული. ლორე აყვირდა, გაგიჟდა, გაისმა სიხარულით სავსე ქართული და სომხური შეძახილები ბერიკას სასარგებლოდ და „ხაკანის“ საგინებლად. ერთი ლორელი სომეხი ისე გაეტაცა თბილისელ ბერიკათა წარმოდგენას, რომ ქონგურზე გადმომდგარი ჩამოცურდა და კედლიდან თავქვე გადმოპირქვავდა. იქვე მდგარმა მეციხოვნემ ხელით იპყრა მისი ფეხი და სანამ ლორელი მაყურებელი უკან არ იქნა ათრეული, „ხაკანმა“ თავისი ყურადღება არაფერზე სხვაზე არ გადაიტანა და მაყურებელს მტკიცედ დგომისაკენ მოუწოდა.

წარმოდგენა მთელი ძალით განახლდა. ხაკანმა ბერიკას მოკვლა და ქალიშვილის უკან მოყვანა ბრძანა. ამ დროს „სამეფო კარზე“ რამდენიმე უფლისწული გამოჩნდა. ყველა ამათ ხაკანის ქალის შერთვა ჰქონიათ გულთ ჩადებული და გაოგნებული „ხაკანი“ ორ ცეცხლ შუა ჩავარდა. უფლისწულებს ქალის ნახვა უნდათ, რასაც „ხაკანი“ ვერ ახერხებს იმ მიზეზით, რომ ქალი ბერიკას

ჰყავს გატაცებული. მეორეს მხრივ ბერიკა, ხაკანს სთხოვს ქორწინების აღიარებას, მამშვილურ დალოცვას, რადგანაც მალე ბავშვს ელოდება ხაკანის ასული.

მადა ჭამაში მოსდის აი! - შესძახეს ლორელებმა და უფრო უკეთესად მოკალათდნენ ლორეს ვეება ქონგურებზე და დაკბილულ კოშკებზე.

კაი ნესვივით ქალიშვილი გავატანე და რა გიკვირთ?! - ეკითხება „ხაკანი“ კედლებზდე შემომჯდარ ლორელებს, რომლებიც მას მხოლოდ დასცინიან და ენასაც უყოფენ.

გადაწყდა უფლისწულები ერთმანეთს წაეპაექრებიან და გამარჯვებული გახდება „ხაკანის“ სიძე. მაგრამ მარტოდ დარჩენილი ხაკანი თავზე ხელს იცემს. ქალი საიდან მოუყვანოს ამ სულელ უფლისწულებს და უცბად პირადი მრჩეველი „ქოსაჩათლახი“ მას დიდებულ რჩევას აწვდის და საკუთარი ქალი მოჰყავს ხაკანის გოგოს სანაცვლოდ. ასპარეზობა იწყება: პირველი არაბეთის ბატონიშვილი შემოდის. მას სახე არ უჩანს, თავზე გულგამოცლილი და ოსტატურად გამოღრუტნული ვეება კვახი ადგას, ხელთ შუბი უჭირავს, რომელსაც ფოლადის პირის მაგივრად, სტაფილო აქვს გარჭობილი, ფეხებზე კოლბოხები აცვია, ხოლო ტანი, თბილი ტალახით აქვს მოთხვრილი, რაც მას გარეული მხეცის გამომეტყველებას აძლევს.

„ხაკანი“ სიამოვნებით უმზერს სასიძოს და მას თეთრი კურდღლის დაჭერას ავალებს, რომელიც „ხაკანს“ ავი სენისაგან გამოჯანმრთელების საშუალებას ჰპირდება.

არაბი უფლისწული უტევს იქვე მოწნულ გალიაში მყოფ ვეება თეთრ კურდღელს, რომელიც მას ბრძოლის დასასრულს შუბს შეუჭამს და არაბი უფლისწული ტირილით გარბის.

ესეც ასე, - ამბობს ხაკანი და ახლა ინდოთა ბატონიშვილს ესაუბრება.

ლორელები დასცინიან ინდოთა ბატონიშვილს, მასხრად იგდებენ მის ამალას, მაგრამ ინდოთა ბატონიშვილი მაინც გაფხორილი გამოდის, თავს მდაბლად უკრავს ხაკანს და დავალების მიღებას ლამობს მისგან. „ხაკანი“ ფიქრობს რა დაავალოს ინდოთა უფლისწულს და ბოლოს იქვე ახლოს, ორმოში მოშარდვას სთხოვს მას. ინდოთა ბატონიშვილი გაოცებულია დავალებით, მას ხომ რაიმე საბრძოლო, გმირული ეწოდა გულით და ამ დროს „მოშარდეო“ სთხოვენ და თანაც აკვირდებიან. გაოგნებული ბატონიშვილი კვლავ დაეკითხება „ხაკანს“, რომელიც უცვლელად უმეორებს დავალებას და სთხოვს რაც შეიძლება უფრო დიდ სიგრძეზე შარდოს, რათა მისი მამაკაცური შესაძლებლობები იქნას გამოვლენილი.

საბრალო ინდოელი, გულჩაკლული იწყებს შარვალში რაღაცის ძებნას, ხელების ფათურს. ინდოთა უფლისწულის გადმოკარკლული თვალები და დაბნეული გამოხედვა ლორელთა და ბერიკათა ჰომერული სიცილ-ხარხარის მიზეზი ხდება. „ხაკანი“ ხშირად მოუწოდებს ლორელებს სიმშვიდისაკენ. ისინი ფართოდ გაღებული პირებით ხარხარებენ, მუცლებზე ხელებს იჭერენ და

ციხესიმაგრის ქონგურებიდან გამოყოფილ ფეხებს მძლავრად ურტყამენ კედლებს, სიცილისა და ცრემლნარევი ჩაბჟირების დროს.

„ნუ დაანგრევთ ლორეს კედლებს“, - გაიძახის ხაკანი ზათქითა და ზანზარით ამოძრავებულ ლორელებს და შემდეგ ინდოთა უფლისწულს ეკითხება!!! - რას ეძებ მაგ ხვანჯარში, ჩემო სასიძოვ?!!! ინდოთა უფლისწული თითქოს პოულობს იმას, რასაც ეძებდა, მაგრამ გამოქაჩვის დროს ხელში ხის ჭოჭონაქი შერჩება გაოცებულს. ინდოთა უფლისწული ტირილითა და ყვირილით გარბის და სტოვებს სარბიელს. „ხაკანი“ გაოცებულია, მას ხელში ჭოჭონაქი რჩება. ამ დროს მის წინ ოვსთა უფლისწული გამოჩნდება და ქალიშვილის ხელს მოსთხოვს. „ხაკანი“ გახარებულია, იგი ოვსთა ბატონიშვილის დაჩაგვრას ლამობს. მაგრამ ამ დროს ოვსთა ბატონიშვილი ლორეს ციხისაკენ ე. ი. მაყურებლისაკენ მოტრიალდება, წამით ხის მუზარადს და ხალათს იხდის და ხალხს აჩვენებს, რომ სინამდვილეში ის ბერიკაა, რომელმაც „ხაკანს“ ქალიშვილი მოჰპარა და ეხლა ლამობს კვლავ გააცუროს „ხაკანი“ და საქორწინო ნებართვა დასტყუოს მას. ამ ახალი გმირის გამოჩენა დიდ სიხარულს იწვევს ლორეს დამცველებში, ისინი ხომ ადრეც ბერიკას მხარეს იდგენენ და მის ყოველ ქმედებას ესალმებოდნენ. ასე რომ ოვსთა ბატონიშვილის ტანისამოსში გადაცმული ბერიკა ლორელთა მხარდაჭერით გახარებული ჯერ თეთრ კურდღელს იჭერს და „ხაკანს“ მიჰგვრის, ხოლო შემდეგ თხრილში შარდავს. ისე შორს ფსამს, რომ „ხაკანი“ ნასიამოვნები რჩება და იგი თავისი ქალის ოვსთა ბატონიშვილთან ქორწინებას ადასტურებს. ლორელები ყიჟინითა და ჟრიამულით ეთანხმებიან. „ხაკანის“ მასხრული სიტყვის ძალა უკვე აღარაფრით ჩამოუვარდება მეფე გიორგისა თუ სპასალარ იოანეს მხედრულ შეძახილის წონასა და მნიშვნელობას. ხელოვნება ჯობნის ომს.

* * *

ყუთლუ მომგვარეთ, - თქვა ლორეს ხევში დაბანაკებულმა გიორგი მესამემ. ორმა მხლებელმა ბრძანება სწრაფად და მონდომებულად აღასრულა. რამდენიმე ხანში ფარისმტვირთველი ხალიჩაზე მორთხმით წამოწოლილ მეფის წინაშე გაირინდა და გიორგის წითელ წუღებს დაუწყო ჭვრეტა,

როგორ ამბობდი ცეცხლი ცეცხლით არ დაიძლევაო? - მეტისმეტი სიხარულით თქვა გიორგიმ და ფარისმტვირთველი აათვალიერ-ჩაათვალიერა.

მომიტევეთ, მეფეო თუ ვცდებოდი, - განწირულის ხმით თქვა ჭაბუკმა.

სწორად ამბობდი. გესმის რა ხდება ლორეში, ჩვენები დოლს უკრავენ, ლორელები კი ზურნას აჭყვიტინებენ. დღეს დილით ორივე მხარე ხაშს ერთურთს აჭმევდა, ხოლო შუადღისას ირმის მწვადს უგზავნიან უმეტესად ჩვენები ლორელთ, რადგან იმათ საქონლის მეტი სხვა საკლავი არ გააჩნიათ. იცი თუ არა ეს ყოველივე?

ვიცი, მეფეო. გაამართლა სიბრძნემ, მაგრამ გაამართლა თქვენმა აზრმა, მე საზოგადოდ ვმსჯელობდი მხოლოდ.

შენ საქმეებს მალე ჯეროვნად შევაფასებთ, მაგრამ ყუთლუ შენ არ იცი ახალი ამბავი, დემნა უფლისწული დღეს ციხიდან გადმოეშვა და პირდაპირ ხელში ჩამივარდა. გაიგე სტიქიონთა ურთიერთდაპირისპირების ოსტატო რაც მოხდა, თუ არა?

ყუთლუ გაკვირვებისაგან გადაქანდა. იგი მოელოდა რაღაც ასეთს, რაღაც ამგვარს, აფრთხილებდა კიდევაც მეფე გიორგის, დემნა და იოანე შეიძლება დახოცონო ლორელთა, მაგრამ დემნა პირველად წოდებული მეფის ამგვარ სწრაფ გადაწყვეტილებას იგი ვერ იგებდა.

ასე და ამგვარად, ფარისმტვირთველო, მალე ახალ სამსახურში გაგამწესებ. თვლა თუ გეხერხება მითხარი, - გიორგი მეფეს ხმაზე ეტყობოდა სასიხარულო განწყობილება.

სრულად ვფლობ თვლის ხელოვნებას, ვაღრმავებ ცოდნას და არაბულად ვეწაფები ალ ჯებრსა და ალ მუკაბალას. ამავე დროს ვიყენებ რომაულ აბაკს გამრავლებისათვის და ჩვენს ბაბილოვნურ ფარს, რომელიც უმეტეს წილად გაყოფა გამრავლების წყობაა და სხვა არაფერი.

ჰოდა მოყმევ, თუ ეგენი შენთვის ასე ახლოა, ხვალვე ჩაუდგები სათავეში ლორესა და ამირსპასალარის საჭურჭლეს, გაიგე!!! ჩამავალი მზის სხივები მეფე გიორგი მესამეს მტკიცე შუბლს თანდათანობით ებრჯინებოდნენ. ამ მინიშნებით აღფრთოვანებულმა ყუთლუ მეჭურჭლეთუხუცესმა დაუჩოქა ასე აშკარად მზისაგან გვირგვინ-კურთხეულ ხელმწიფეს.

კახაბერ ჯაყელი

ბოცო ჯაყელი და უფლისწულ დემნას აჩრდილი

1187 წელს

ჯაყელთა 1000 წელი

გაგრძელება

გუზან ტაოელის კაცი ჯაყის ციხის კიბეებზე არბოდა და გზა და გზა ოფლისა თუ სისხლის წვეთებს ტოვებდა. ბოცოს მწევარი ჩაფიქრებული შეჰყურებდა მოვარდისფრო ლაქებს, უცრად მოვარდნილ უბედურებასა და მის კვალს ძაღლიც კი გაეცებინა. მალემსრბოლი უკვე სამცხის სპასალართან შერბოდა, მწევარიც შეჰყვა და რამოდენიმე ნახტომით პატრონთან გაჩნდა. ბოცო - სამცხის სპასალარი და მთელი სამხრეთ საქართველოს სამხედრო ძალის მთავარსარდალი გაფართოვებული, აღგზენული თვალებით, ერისთავთ - ერისთავის ტახტზე იჯდა და ელოდა. მწევარიც მონური ერთგულებით დაუწვა ფერხთით თავის პატრონს. ბოცომ დახედა მწევარს და შემდეგ ახედა კაცს, რომელიც მისკენ მორბოდა. წამის მეათედში ბოცომ გაიფიქრა „შემოსევაა, მაგრამ ვისი“. კითხვა ტვინში ჩაიკარგა. მალემსრბოლი ძლივს სუნთქავდა. მისი ტერფები ვარდისფერ კვალს ტოვებდნენ ტუფით მოპირკეთებულ იატაკზე.

- თქვი - ბრძანა ბოცომ და მალემსრბოლის სიტყვის მოლოდინში ფეხზე წამოიმართა. 27 წლის იყო სამცხის სპასალარი, ტანით ყველაზე მაღალი გახლდათ თავის აზნაურებს შორის, დიდი და ფართო თაფლისფერი თვალები ჰქონდა, როგორც ბეშქენ ჯაყელის ყველა შთამომავალს, მასაც ვარდისფერი სახის ფერი დაჰყოლოდა. მხარბეჭიანი იყო, შავი წვერი ამკობდა, ულვაშები ბიზანტიურ იერზე, ნიკაპს ქვემოდ ჩასდიოდა. წვერში ჯერ ჭაღარა არ ჰქონდა. მისი ოჯახი ზაფხულს ჯაყისმანში ატარებდა, ხოლო ზამთარს ჯაყელთა უთადებო სასახლეში ახალ ციხეს მიბრძანდებოდა. იმ პერიოდში ახალ ციხე უკვე აღდგენილი იყო ფერფლისაგან, ახალ ჩორჩანელთა მთავარი შტოების მიერ. ბოცო და მისი ჯაყელები აღადგენდნენ თავად დედო-ციხეს ახალ ციხისას, ხოლო ქალაქში შენობებს აშენებდნენ ახალ ჩორჩანელთან უფროსი შტოს შთამომავალნი, რომლებსაც სულა კალმახელის მოდგმას უწოდებდნენ.

უდავოდ საინტერესო იყო, ლეგენდად ქცეული მირიან ბაჰლაუნდისა და მისი თანამეცხედრის - ლატარვა ჩორჩანელის, შთამომავლების ისტორია. ქუთაისიდან და თბილისიდან მათ გაძლიერებას ხან ეჭვით უმზერდნენ ბაგრატიონნი, ხანაც კი კმაყოფილებით. ეხლაც ასე იყო 1187 წელს.

საქართველოს ტახტზე ქალი იჯდა და ბოცოს ეს ქალი, ბავშვობიდან ბრძნულად მომზირალი თამარი, სიყმაწვილიდანვე გულით რომ უყვარდა, სძულდა კიდევაც.

მერე რა, რომ ის დრო ბავშობა იყო, როცა მას ერისთავის ვაჟს, გეგუთის სასახლეში, პირველად მოუწია ფეხის შედგმა და თამრის ხილვა. მას ხომ მაშინ სხვა არაფერი ჰქონდა საზრუნავი, მხოლოდ მისი სიტყვა ან ქცევა თამარს, თუნდაც კეთილი მზერით დაეჯილდოვებინა.

მაგრამ არა. დიდებულთა ყმაწვილებს, თამარი იშვიათად გაჰხედავდა ხოლმე. ისინი მის გარემოცვაში იყვნენ. ვაჟებს ფარიკაობას ხოლო, ერისთავთა ასულებს გარდმოხსნის რთული მინიატურების ამოქარგვას ასწავლიდნენ. ხანდახან ვაჟებს რიტორიკის კურსსაც უკითხავდა ათონიდან დაბრუნებული ქართველი ბრძენი როსტომი. ყველას მათ ხომ გელათის აკადემიისათვის ამზადებდნენ.

ერთხელ იყო ველზე ჯირითის დროს, წინ მიჰქროდა თამარი, მის ცხენთან მიახლოვება ვაჟებისათვის უზომოდ დიდი კადნიერება იყო, მაგრამ გაბედა ბოცომ, მიუახლოვდა თამარის ცხენს, მისი წითელი კვიცი კინაღამ დააფრთხო, რადგანაც თამართან მიახლოვება კვიცმაც იწყინა, მაშინ ახლოდან შეავლო ერისთავის ვაჟმა თამარის ნაწნავებს თვალი, ქარი უფრიალებდათ მათ თმებს, წინ ლურჯი მთები დალანდა ერისთავმა, რა თქმა უნდა მზე ჩასვლისაკენ იყო დაქანებული.

თამარის ნაწნავებს შეჰყუებდა გაოგნებული და ხმა ჩავარდნილი, გოგონას თმების ლაბირინთებმა გაიტაცეს ბოცოს მზერა, არაჩვეულებრივი თავგადასავალი იყო ასე მიუღწეველი და იდუმალი გოგონას თმის ნაწნავის თვალიერება, სული სიამოვნებით აღევსო ბოცოს. „იქნებ ვუთხრა რამე“ - უფიქრია მას მაგრამ ამ დროს თამარმა მოჰხედა, გავეშებული მიჰქროდა მისი წითელთმიანი კვიცი და თამარიც ძალიან მყარად იჯდა უნაგირზე, ბოცოს მხარეს შემოტრიალებული იყო და მოცისფრო თვალებით მშვიდად შეჰყურებდა ამ კადნიერ ჭაბუკს, რომელიც მას თითქოსდა ეწეოდა კიდევაც.

„იქნებ გსურს რომ გაასწრო ჩემს ურანიას“ - ეკითხებოდა ბოცოს თამარის თვალი.

ურანია თამარის კვიცს ერქვა. ნაწნავები ხტოდა ჭენებაში, თამარმა უეცრად გადაიკისკისა და დაბნეულმა ბოცომ იგრძნო რომ ცხენიდან ვარდებოდა. თითქოს სული გაუჩერდა აღელვებისაგან, სუნთქვა შეუწყდა, რადგანაც ანგელოზს მიუახლოვდა. ტანი აუცახცახდა, მამის, მემნას გამოზრდილი არაბული ცხენიც ვეღარ მოთოკა და უეცრად თვალებიც დახუჭა.

ყველაფერი შეჩერდა, მხოლოდ დარჩა ზეცა, მოქუფრული, დაღამებისაკენ მილტოლვილი, - „სად ხარ ბოცო“ - გაჰყვიროდა ვიღაც ველზე, მაგრამ ბოცო დუმდა, იწვა და არავის თავი არ ჰქონდა, მან ჩათვალა რომ სიკვდილის ღირსია. თითქოს დამნაშავეა. თავად თამარს მოუწევს მისი გაკიცხვა.

„სად ხარ ბოცოი?“ - გაჰყიროდნენ მისი მსახურნი, მაგრამ როდესაც არაბულმა ლაფშამ მასთან თავად მოირბინა და თავის მიერ გადმოგდებულ პატრონს, ფრუტუნით დახედა, მაშინ დაინახეს მინდორზე, ეკლიანში გაწოლილი ბოცო და მოირბინა ყველამ ვისაც კი შეეძლო.

ბოცო კვლავაც იწვა, თავზე წამოადგნენ მისი ტოლი ყვაწვილები, აგერ დადიანმა მოირბინა, შემდეგ გუზან ტაოელი მოჭენდა და ბოცოს დანახვაზე ცხენიდან გადმოხტა, მოვარდნენ ახალციხელები, სურამელნი, ორბელნი და არტანუჯელნი, პატარა საღირ მახატლისძემ, რომელსაც წიგნს ფარიკაობა და ჭენაობა ერჩივნა, ტყავის საკაცე მოარბენინა, მაგრამ ყველანი უეცრად შედგნენ და მოწიწებით გაიფანტნენ, როდესაც თავად ბოცოს უიღბლობის „მთავარი მიზეზი“ მოჭენდა თავის წითელთმიან ურანიაზე მჯდარი:

- რა მოუვიდა ერისთავ მემნას ვაჟს? - გაისმა თამარის მელოდიური ხმა. მიწაზე გართხმულ ბოცოს სირცხვილი მოაწვა და უმალ წამოიწია, მაგრამ საშინელი ტკივილი იგრძნო წელის მიდამოებში და კვნესით დავარდა, მაგრამ უეცრად სასწაული მოხდა, თავად თამარი ცხენიდან ჩამოხტა, აღვირი მახატლიძეს გადაუგდო და სწრაფი ნაბიჯით ველზე გართხმულ ერისთავის ვაჟს მიუახლოვდა. როგორც ბოცოს ახსოვს თამარმა ჩაიმუხლა და ბოცოს შუბლზე ხელი დაადო.
- შე საწყალო, გტკივა? მე მოგარჩენ, გადაიყვანეთ ჩემს ლაზარეთში - უბრძანა ცხენიდან ჩამომხტარმა თუ ზეციდან ჩამოსულმა ქალღმერთმა ერისთავის ვაჟს საღირ მახატლისძეს და დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოს ვაჟებმა და ქალებმა, ერთად წამოიკიდეს ბოცო მემნას-ძე ჯაყელი და საკაცეზე დააწვინეს, შემდეგ კი დიდის ვაის-ვაგლახით მიიყვანეს იქვე მგდარ აფხაზთა ათასეულის ბანაკში. შემდეგ ბოცო გეგუთს გაგზავნეს. ბავშვობიდანვე ბრძენად წოდებულ თამარს, გეგუთში ლაზარეთი გაეხსნა, სადაც თავად სწავლობდა აქიმთა ხელობას.

***

ამ ტკბილ მოგონებებში რომ შეიჭრა წამიერად სამცხის სპასალარი, უმალვე გონს მოეგო, რადგანაც გუზან ტაოელის კაცს უსმენდა, რომელიც შემდეგს ამბობდა:

- `მოვიდეს კარნუქალაქელნი ,შამელნი, და თურქნი გარმიანისანი ,ცხენოსანნი და ქვეითნი და აივსო შავშეთისა და კლარჯეთის ქვეყანა.
- რამდენნი არიან - შეჰყურებდა მალემსრბოლს ბოცო.
- ინებეთ გუზან ტაოსკარელის ბეჭედი და უსტარი, მე კი დაუმატებ რაც პატრონმა გუზანმა ბრძანა - ბევრნი არიან, ემატებიან ყოველი მხრიდან, ნიადვარივით მოდიან, ეხლა თუ არ შევაჩერეთ მომავალ მსგეფსში შესაძლოა ათჯერ მეტნი იყვნენ, რადგან ყოველი მხრისკენ აფრინეს თავად წერილები და თავიანთი რჯულის თურქთ მოუწოდეს ტაოში მოსვლა დედაწულიანად. რამოდენიმე მათი კაცი შევიპყრით და ვნახეთ, რომ დიდძალი თურქობა ემზადება სქართველოში , კერძოდ მესხეთში გადმოსასვლელად.
- მუდრეგნი - მუდამ სხვის ქვეყანაში გადმოცხოვრებას მიელტვიან - ჩაილაპარაკა ბოცომ, მალემსრბოლს მადლობა უთხრა, რამოდენიმე ვერცხლი უბოძა და მოსასვენებელად გაისტუმრა, შემდეგ დახედა იატაკზე სისხლისა და ოფლის შემღვრეულ კვალს და აბიათარს უხმო.

***

სიყმაწვილის მეგობარი გუზან ტაოსკარელი, ამირა აბულასანის ვაჟი, უფრო რთულ სურათს ატყობინებდა. როგორც ჩანს თურქებს, უკვე დაეჭირათ მესხეთის მცირე საერისთაოებს შორის გადასასვლელი უღელტეხილები, შესაბამისად დიდი ლაშქრის შეკრება უკვე გვიანი იქნებოდა, ხოლო მცირე ლაშქრით რას მოიმოქმედებდა? ბოცო უმალ თავის აზნაურებზე ჩაფიქრდა, აქ ეგულებოდა მას სამთო ლაშქრობის დაჰმანი მებრძოლები. ის ეზოში გამოვიდა და ჯაყის ციხის შიდა საასპარეზო ვაკეზე დადგა. მისმა საჭურველთმტვირთველმა, აბიათარ კოპაძემ ჩაქუჩი თორმეტჯერ დაჰკრა „სამხედრო მუხას“, როგორც კი მისი ყრუ ხმა მიაწვდინა მოპირდაპირე ფერდობზე მდგარ ჯაყისმანის მონასტერს ,იქაც ბერებმა ზარი დარეკეს, ცეცხლი იმწამსვე დაანთეს, შემდეგ ანთებული კოცონი, კომშის ხის ფოთლებით ჩააქვრეს და ცაში მოვარდისფრო კუამლი აუშვეს, რაც შემოსევას ნიშნავდა.

„ეს კი მაგრამ ქუდზე კაცი ვერ გადაწყვიტავს ჩვენს რთულ მდგომარეობას“ - გაიფიქრა ბოცომ, შემდეგ აბიათარ კოპაძეს გახედა და სამხედრო ძალის ოდენობაზე დაფიქრდა.

„ათი ათას კაცს ორ კვირაში შევკრიბავ, მაგრამ ამ დროისათვის თურქები უკვე ასი ათასი იქნებიან, ამიტომაც, მანამ სანამ თურქები ათი ათასნი არიან, სჯობს ჩემივე ხუთასი კაცით დავეცე შავშეთს, შემდეგ კი კლარჯეთს“ - უმალ წარმოიდგინა სამხედრო რუქა ბოცო მემნას ძე ჯაყელმა და კოპაძეს ასე უთხრა.

- სანამ მთელი მესხეთის ძალა მოგროვდება, რჩეულიანნი შემოვიკრიბოთ ! ამ ღამსევე მსუბუქად აღჭურვილები მივდივართ შავშეთისაკენ, ტაოელი მთიელები, სამთო მხედრიონი დაგვჭირდება.

აბიათარ კოპაძემ მოიხმო აზნაურები და მესხი კაცისათვის დამახასიათებელი სიდინჯითა და მეცნიერებით შეუდგა ლაშქრობის დაგეგმვას.

***

ბნელდებოდა, აბიათარ კოპაძე სამთო რაზმს წრიაპებსა და კავებს უმოწმებდა, აქვე ნაცრისფერ მგლის ტყავში გამოწყობილი ოციოდე კაცი ტრიალებდა, სწორედ ესენი იყვნენ „რჩეულიანნი“, მესხეთის მთის მკვიდრნი, დაჰმანი მონადირენი, არწივის, შევარდნისა და მიმინოს, მწვრთნელი ბაზიერნი, უცხოდ მშვილოსანნი და ასევე გზებისა და ბილიკების იდუმალი მცნობელნი. ზოგიერთი მათგანი მამისაგან მემნა ჯაყელისაგან მოკიდებულად და მიმდგომად მოჰყოლოდა ბოცოს. ყველანნი აზნაურნი იყვნენ, უაზნოს რჩეულიანში არავინ მოიხმობდა. არათუ არ მოიხმობდა, უაზნო და უყმო კაცი ვერ შეძლებდა რჩეულიანში საჭირო აღჭურვილობით მოსვლას. მათი საჭირველი ხომ სულ სხვა იყო, ვიდრე ჩვეულებრივი მოლაშქრის, ხმარებაში გამოცდილი და ძვირფასი, არა ოქროთი და ვერცხლით, არამედ სისხარტით და სიმარჯვით.

აი თუნდაც ფარი რჩეულიანთა, გახლდათ შავი, მსუბუქი, მაგრამ მყარი. ფოლადის ოვალურ ჩარჩოზე, სპილენძის მავთულებს შორის, მგლის ოთხკეცი ტყავი იყო გადაჭიმული. ჯიბეებში ფარს, ბრინჯაოს ჩელტები ჰქონდა ჩაფენილი. ამგვარ ფარს „მგლოსანს“ უწოდებდნენ ქართველნი და მის შესაძენად ათი მეწველი ძროხა არ კმაროდა. დასამზადებლად „მგლოსანი“ იოლი არ გახლდათ. ჯერ მგლის ტყავს უნდოდა ნიჭიერად მომზადება, გამოყვანა, დამარილება, შემდეგ წითელ ღვინოში დაბანა, ისევ დამარილება, ისევ დაბანა, შემდეგ ტყეში, უმაღლეს წიფელზე ჩამოკიდება და რამოდენიმე კვირა გამოშრობა, შემდეგ კი კოცონზე დარბილება და სამწერლობო პაპირუსივით დახვევა. ბოლოს კი როდესაც ფარის ჩარჩო მზად იყო, დახვეული ტყავის გორგალი იხსნებოდა ოსტატის მიერ და ნაწილ ნაწილ ეკვრებოდა ფარის ფოლადისა და სპილენძის ნაწილებს, ფარი შიგნით იხვევდა მგლის დამუშავებულ ტყავს, რომელიც ყველაზე მძლავრ ისარსაც გაუძლებდა, რადგანაც მოქნილი იყო, იკუმშებოდა და იშლებოდა, არამც და არამც არ იხეოდა და დაზინებული ადგილებიც კი ადვილად აღსდგებოდა. თუ მეომარს ხელთ „მგლოსანნი“ ეპყრა, მისი ისრით დაჭრა შეუძლებლად მიაჩნდათ თურქებს. ამიტომაც, ისინი პირდაპირ, ხმალდახმალ ბრძოლაში ებმებოდნენ. აქ კი „მგლოსანი“, როგორც მსუბუქი ფარი, სწრაფი მეომრისათვის მისწრება იყო. მესხი ფარიანად უსწრაფესად გადაადგილდებოდა, მტრის თვალწინ ხტუნავდა, ცდილობდა მისთვის წონასწორობა დაეკარგვებინა და ბოლოს მტერი მიწაზე დაეგდო. დედამიწაზე გართხმულთ არ კლავდნენ „რჩეულიანნი“, ისინი მოწყალებას იჩენდნენ დანებებული ან დაჭრილი ტყვის მიმართ, რომლისათვისაც მომავალში გამოსასყიდის მიღებას ელტვოდნენ.

„მგლოსანი“ ფარი მწყობრ ბრძოლაში, არც მთლად საკმარისი დაცვა იყო მეომრისათვის. იგი უფრო მოყმის, რაინდის იარაღი გახლდათ უწესრიგო, ქაოტურ შებრძოლებაში, ამიტომაც, ბოცოს საჭირველ მტვირთველი და რჩეულიანთა სარდალი აბიათარ კოპაძე თავის გამორჩეულ მეომრებს უჩინრად, მოულოდნელად შეტევასა და მიხტომას ასწავლიდა.

ეხლა კი რჩეულიანთა ხრმალზე. სარკინეთის მთებში, ქართლის, კახეთის, კოლხეთისა თუ მესხეთის საიდუმლო გამოქვაბულებში რკინის კაცთა ერთანი სამხედრო ორდენი ამზადებდა ფოლადის და სხვა მადნების შენადნობ იარაღს რომელსაც „შვეტს“ უწოდებდნენ. შვეტი იყო სამი სახის: მეფეთა, რომელიც რამოდენიმე მზადდებოდა და შემდეგ უმკაცრესად გამოიცდებოდა, სპასალართა და სპასპეტთა, რომელიც კეთდებოდა ერისთავის მაჯისა და სხეულის ფორმის შესაბამისად, ასევე გამოიცდებოდა ხმალკვეთებაში და ბოლოს სამხედრო ჩინს ჩაბარდებოდა რკინის კაცთაგან პირადად და შვეტი ლაშქართა და მოლაშქრეთა, რომელსაც ასობით ამზადებდნენ რკინის კაცნი, იმ რაზმებისათვის, რომელნიც თამარ მეფის გვარდიას - მონასპას წარმოადგენდნენ.

შვეტი არ კეთდებოდა ერისთავთათვის. ისინი თავის ხმალს, ქალაქის ხელოსნებს უკვეთავდნენ და საკუთარ რაზმს თვითონ აღჭურვავდნენ. ამიტომაც ქართველი სპასალარის ხრმალი ბევრად აღემატებოდა რომელიმე ერისთავის მახვილს, მას ორად გადაჭრიდა როგორც დანა მათრახს და მოწინააღმდეგეს შიშის ზარს დასცემდა. ეს იცოდნენ ერისთავებმა. ბოცოს და მის რაზმს - რჩეულიანს, სწორედ სპასალარისა და სპასპეტის შვეტები ეპყრათ ხელთ. თუ საქმე ქვეყნის დაშოშმინებას მიდგებოდა ამგვარი მეომრები ერისთავთა ციხე-კოშკებს მარტივად შემუსრავდნენ, რადგანაც მათ ხელთ სამხედრო შვეტი ეპყრათ. თუ ვინმე აკრძალვის მიუხედავად სამხედრო, სპასალარის შვეტს გაჰყიდიდა, მას ამ იარაღში, ას ძროხას მისცემდნენ. ლაშქართა შვეტი ოცდაათი ძროხის ფასი იყო. მაგრამ ამ ფასადაც შვეტს ვერავინ იშოვნიდა, რადგანაც მისი უკანონოდ პყრობა სიკვდილით ისჯებოდა, გამოძიების შემდეგ.

მშვილდი რჩეულიანთა, ერთგული და ავად მოსაუბრე ასპიტი მტრებისათვის მართლაც, საჩინო ხელმარდ ძალას წარმოადგენდა მომხვდურის მკერდის გასაპობად. ეს არ იყო მხოლოდ ტოტი ხისა, მოხარშული და ამგვარად გამოყვანილი საქართველოს სხვა კუთხეების მკვიდრების მიერ. აფხაზ მოისრებს, რომ ქონდათ, შორს მტყორცნელი აფხაზური მშვილდი, მასაც კი სჯობდა რჩეულიანთა ისარი. აფხაზური მშვილდი ცხენიდან სატყორნი იყო, რჩეულიანების მშვილდს კი თუნდაც ფეხოსანი და ცხენისანი თანაბარი სიზუსტით ისროდა. მესხები ციხის ცნობილი დამაქცევრები იყვნენ ოდითგან. ისინი გვირაბებს უთხრიდნენ მტრის გოდოლს და ამგვარად ანგრევდნენ მის ყველაზე მყარ კედელს. აქაც გამოირჩეოდა რჩეულიანთა მშვილდი, გვირაბში, მის ტყორცნა გულაღმა მწოლიარესაც შეეძლო. ამგვარად მესხი მეგვირაბეები, ხშირად მწარედ უსწორდებოდნენ მოწინააღმდეგეს, როდესაც ის მათი გვირაბის აღმოჩენას ცდილობდა.

რჩეულიანთა მშვილდი, ხის, ძვლისა და ტყავის, ფოლადის სალტეების იმგვარი რთული ნაკეთობა იყო, რომ მისი მფლობელები ხუთას ნაბიჯზე მოძრავ მიზანს ადვილად აზიანებდნენ ერთი გასროლით. ისარი გახლდათ ასევე გამორჩეული, გრძელი წვრილი ბუნით, ამგვარ ისარს ნებისმიერ აბჯარში, სპარსულ ჯაჭვში თუ ბიზანტიურ გლივარიუმში შეღწევა შეეძლო.

რჩეულიანები არ იცვამდნენ ჯაჭვს. ისინი ჩვეულებრივ მონადირეებს ჰგავდნენ, საბრძოლო მოქმედების დროს, მათ მგლის ტყავი ჰქონდათ წამოსხმული. ფეხმავლობის დროს მესხური ბებუთები ედოთ ორთავე საცვეთში, მშვილდი დაკეცილი, ზურგზე

ჰქონდათ, თასმით გადაკიდებული. შვეტი ქამარზე ეკიდათ, მარცხენა მხარეს, ხოლო მგლოსანი, გულმკერდზე.

რჩეულიანებს თავიანთი გემმა ჰქონდათ სარტყელზე ამოკვეთილი: მგელი თათებით ისრებს იპყრობდა. ამბობდნენ კიდეც რომ რჩეულიანთა რაზმის წევრებს მათკენ გაგზავნილი სასიკვდილო ისრების ხელით შეპყრობა შეეძლოთ.

***

- ამ ღამეს უკუნში უნდა ვიაროთ ბიჭებო უთხრა აბიათარმა მის უკან ჩაცუცქულ რჩეულიანთ. ყველამ სიტყვა თავის მეგობარს გაუმეორა, ერთ მწკრივად იჯდნენ და მეთაურის ადგომას ელოდნენ. წვერცეცხლა, წითური აბიათარ კოპაძეცას ათვალიერებდა. ერთი ვარსკვლავის გამოჩენას ელოდა რომ დაძრულიყო.
- მარეხიც გამოჩნდა, აი ეხლა დავიძრებით, მაგას ელოდება აფთარ კოპაძე - ჩაილაპარაკა ჩარექა ფოცხოველმა და მისმა თვალებმა ბნელში ისე როგორც ცეცხლმა დაკვესა.
- ჩარექ წმინდა ლომისა იყოს შენი მფარველი - დავეცეთ თურქებს და ვიალაფოთ - ჩაილაპარაკა მომღიმარმა აზნაურმა ფარნაოზ არსიანელმა.
- დავეცეთ ძმაო, მკაცრად თქვა ჩარექმა და ფეხზე წამოდგა, რადგანაც აბიათარიც მშიერი მგელივით წამომართულიყო და კვლავაც ცას გაჰყურებდა.
- მოლაშქრეთა მამაა აბიათარი, მარეხის ფერით არკვევს გველოდებიან თუ არა თურქნი.
- დავიძრათ - გაისმა ხმა აბიათარისა და რაზმი წამოიმართა.

ისინი უხმოდ მიყვნენ ერთმანეთს, ისე როგორც ქართულ მხედრულ ცეკვებშია, თავები ჰქონდათ მგლის ტყავით წაკრული და უჩუმრად იარებოდნენ.

ამ დროს გამოჩნდა ბოცო, სპასალარი სამცხისა და მუნებურთა სხვათა ეირსთავთა - აბიათარმა მჯიღი გულზე მიიდო, მიესალმა ამგვარად პატრონს და რაზმი შავშვეთის ქედისაკენ დასძრა, მის უკან მიმყოლმა რჩეულიანმა იგივე მისალმება გაიმორა და რაზმი ქედს აუყვა, ბოცო რაზმს ათვალიერებდა, სამხედრო აღჭურვას, უხმოდ, მხოლოდ თავის დაკვრით უწონებდა აზნაურებს, რომლებიც სამცხის სპასალარს მდუმარედ უვლიდნენ გვერდს და აღმა მთაში ადიოდნენ. ღამე თეთრი იყო. შებერებული მთვარე დანათოდა მთებს. მოსჩანდა საქართველო, განსაკუთრებით მესხეთის ქედის მწვერვალები ანათებდნენ მთვარის შუქზე.

რაზმეული არსიანის ქედის ბილიკს მიჰყვებოდა ზევით-ზევით. მთები, თლილი, ჭანჭახი და ცივწყარო უნდა გაევლოთ. შავშეთის ქედსაც მიაღწევდნენ, რომელიც თავად შავშეთს ჩრდილოეთის მხრიდან არწივივით დაჰყურებდა. თუ არსიანის ქედი შავშეთს აღმოსავლეთით საზღვრავდა, შავშეთის ქედი სამცხიდან ესაზღვრებოდა. ბოცომ იცოდა, რომ თურქნი შავშეთის ცენტრში იქნებოდნენ თავმოყრილი. ალბათ ეხლა უკვე საქონელს და დაბორკილ ტყვეებს ეზიდებოდნენ გადასამალად და გასაყიდად. „ესაა მუდამ თავდამსხმელის სისუსტე, როგორც კი მცირე გამარჯვებას მოიპოვებს, იმწამსვე კერძო სიხარბე გადაწონის მის მხედრულ ჟინს და ეგ უნდა გამოვიყენოთ“- ფიქრობდა მესხეთის ძალების სპასალარი და ჩქარობდა.

***

ჯერ კიდევ როდის ამბობდა გიორგი მერჩულე: «იყო ნეტარი მიქელ ქუეყანისა შავშეთისაჲ სოფლისა ნორგიალისაჲ» - აი ეს სიტყვები ყურში ჩაესმოდა, თავის დროისათვის სრულ ყოფილად განათლებულ ბოცოს. წინ აბიათარ კოპაძე მიჰქროდა, რაზმელებიც სწრაფად მიაბიჯებდნენ. შუაღამე გათენებისაკენ იხრებოდა, როდესაც მწვერვალიდან ჩამოსვლა დაიწყეს. ნისლიან სივრცეში მოხვდნენ, ბალახი სველი იყო, ნამიანზე ტყავის საცვეთები უცურდებოდათ მოლაშქრეებს და ამიტომაც აბიათარმა ფეხზე ,საცევთს ზევით მორკუნული წრიაპი ამოირტყა რათა უშიშრად ევლო. მისი მოძრაობა მთელმა რაზმმა გაიმეორა.

„აბიათარს დუმილშიც უსმენენ რჩეულიანნი“ - გაახსენდა მამის, მემნა ჯაყელის ნათქვამი ბოცოს და თვითონაც კოპაძეს მსგავსად მორკინული წრიაპი ამოირტყა.

- გზა ნორგიალისა იქეთ - თქვა მის გვერდით აღმოჩენილმა აბიათარმა და ხელი შორს, მოციმციმე სინათლისკენ გაიშვირა.
- ბოცომ თავი დაღუნა და მოციმციმე შუქს მიაპყრო თვალი.
- მალე გათენდება - აბიათარი ცას ათვალიერებდა.
- ჯერ ნორგიალე შემდგომ კი ოპიზა აფთარ ბატონო - გაეღიმა ბოცოს და ისინი ნაცრისფერი სიბნელიდან დაბლა დაეშვნენ. არემარემ ჯერ უკუნი ლურჯი ფერი მიიღო, ცამ კი იწყო გათეთრება.

ნორგიალე აქვე იყო დაბლა, ოპიზა-კი, რომელიც შავშეთის წყლის ჩრდილო-დასავლეთით ეგო, კლარჯეთს ეკუთვნოდა, ორივე მიტაცებული ჰქონდა მტერს. ეხლა ვინ იცის, რას სჩადიოდნენ თურქნი, მათი ბელადი ალბათ ზის ეპისკოპოსის ტახტში და წერილს თხზავს თურქებისათვის, მოდითო, გადმოსახლდითო, მე აქ გელითო ფლიდობს. დილა გვაჩვენებს ვინ გადმოსახლდება მესხეთში - ფიქრობდა ჩარექ ფოცხოველი და ფარნაოზ არსიანელის გვერდით დგამდა მოზომილ ნაბიჯებს.

სველ ფერდობზე, რაზმის ყოველ წევრს ხელი გაეშვირა და წინ მიმავალისათვის მხარზე დაედო. ასე აძლიერებდნენ ერთმანეთის სვლას რჩეულიანნი ციცაბო ბილიკზე მიმოსვლისას. როცა ბილიკი გადარეცხილი იყო, ისინი უმალ სამეულებად იშლებოდნენ, ერთმანეთს გადაებმებოდნენ და ასე ეშვებოდნენ სასურველი მიზნისაკენ.

***

შავშეთში მე-11 საუკუნეში დიდი მშენებლობები განახორციელა ქართულმა სახელმწიფომ. რაც ადრე შეუძლებელი სჩანდა. თუ ადრე მე-9 საუკუნეში -„ჯევი შავშეთისა უშენებელ იყო მაშინ გარეშე მცირედთა სოფელთასა, რამეთუ ჟამთა სპარსთა უფლებისასა აოხრდა... და კუალად ... სლვამან სათლობისამან მოაოჯრა შავშეთი... და მცირედღა დაშთეს კაცნი ადგილ -ადგილ“, ეხლა შავშეთით საქართველო ამაყობდა.

მე-9 საუკუნედან მოყოლებული როცა სპარსთა ლაშქრობები შეწყდა, აღმოსავლეთ საქართველოდან შავშეთში ხალხი გადმოსახლებულ იქნა. შავშური ქართული დიალექტიც აღსდგა, მოსახლეობამ გაიხარა, რად განაც ქვეყანა მშვიდომა მოიცვა. მაგრამ განსაკუთრებული სიხარული თამარის გამეფებამ გამოიწვია !

***

თამარის გამეფების გახსენებისას გული უტოკდება სამცხის საპასალარს, რომელიც ამჯერად რჩეულიანთ მიუძღვის არსიანის ქედიდან დაბლა, ციციაბო ფერდობზე, სწორედ იქ სადაც შავშეთის დიდი სოფელი ნორგიალე ეგულება.

„თამარი... თამარი, სამყაროს გავცვლიდი მისი გულისთვის, თუნდაც ერთხელ გამებედა და მეთქვა რას გრძნობდა ჩემი გული თამარის მიმართ "- ფიქრობს ბოცო და რჩეულიანთ მიჰყვება ჩაფიქრებული. აზრები კი უპობს თავს. აზრები წარსულზე, სიყმაწვილეზე, ყველა ერთად მოჯარებულა ამ ბილიკზე სვლისას.

„მეფეთ მეფე და დედოფალთ დედოფალი აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შირვანთა და შაჰანშათა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმფლობელობითა მპყრობელი- და ამავე დროს ჩემო გულის მპყრობელი, რომლის მიმართაც თავს დავდებ ყოველგვარი ფიქრის გარეშე"- ჩურჩულებს წვიმაში დასველებული სპასალარი.

ბავშვობა ახსენდება! ეხლა 27 წლის კაცია, მაგრამ ჩვიდმეტის რომ იყო, მაშინ რა სიშლეგე მოიწია თავზე ბოცოიმ, კინაღამ დაღუპა სახელი მოყმისა სამარადჟამოდ.

ამის გახსენებისას რამოდენიმე ნახატი გონებისა წარმოუდგა თვალწინ სამცხის სპასალარს. ამ „მხატვრობის" თვალიერებას მოჰყვა მისი გონება:

***

ნახატი წარსულიდან:

„ბოცო 1160 წელს გაჩნდა ერისთავთ-ერისთავის მემნა ჯაყელის ოჯახში, მამამისი კანონიერების მომხრე კაცი იყო, ოჯახში მუდამ საუბრობდნენ ტახტისმემკვიდრეობაზე. რთული დრო იდგა. ჯაყელები ყოველთვის ერთგულებდნენ არა მარტო ბაგრატიონებს, არამედ მესხეთში წარმოშობილი ქართველთა სამეფოს იდეას.

მაშინ თბილისში, ჯაყელთა უთაღებო სასახლეში, ცხოვრობდნენ. ერთხელაც როდესაც ბოცო ხის ხმლით სახლში დარბოდა, მამამისი ცხენოსნებით ეზოში შემოიჭრა და უმალ დედა მოიხმო. სათნო დედა -მარიამ სამძივარი, მეუღლეს მომღიმარი მიახლა, თავი მდაბლად დაუკრა და ქმარს თვალებში ჩახედა, ისე როგორც ეს სამძივართა უძველესი დინასტიის ქალებს სჩვევოდათ.

ჩემო მარიამ, ბატონიშვილი გვეახლება ამწუთას, მე დავწინაურდი და უნდა ჯეროვნად დავხდეთ -ხმამაღლა თქვა მემნა ჯაყელმა და ხის ცხენზე გადამჯდარი ბოცო მკაცრი ჟესტით მისკენ მოიხმო.

ბოცო უმალ მიჰვარდა მამამისს, მემნამ ბიჭი ზევით ასწია, ჰაერში ააგდო და შესძახა.

- მომავალ მეფეს გაგაცნობ, ლამის შენხელა ბიჭია. მაგრამ ცოტა უფროსია.
- ვისა მამი? -გაუხარდა ერისთავთ ერისთავის ერთადერთ ვაჟს.
- ტახტის მემკვიდრეს შვილო! მემნა ცოლს მიუტრიალდა და როგორც ქართველ ქალებს სჩვევიათ მისი საყვარელი მეუღლე უკვე სტუმრისათვის დამხვედრთა მზადებაში ნახა. მარიამ სამძივარს სეფექალები უმალ მოეკრიბა, მზარეულთათვის დაეძახა. უფროსი მზარეული საბა ბენარელი სასახლის პირველი სართულიდან ამორბოდა შესაბამისი განმარტებების მისაღებად.
- მორთეთ ეზო ყვავილებით, იასამნებით, ვარდებით, გაზაფხული და სიხარული იგრძნოს ბატონიშვილმა, ჩამოხსენით შავი თალხი უმალ, დაივიწყეთ ჭირი და კრული, გაიხარეთ მესხებო -ბრძანებას გასცემდა მარიამი.

- ყოჩაღ ჩემო მეუღლ ევ, კარგია რომ შავ თალ ხს მოხსნით - თქვა ამის შემყურ ე მემნამ და ცოლ ი შეათვალ იერ ა.
- მამიჩემზ ე, ცხონებულ ბეშქენ სამძივარზ ე, გულ ით მუდ ამ ვიგლ ოვებ ჩემ ო მეუღლ ევ, მაგრ ამ თუ ბატ ონიშვილ ი მოვ ა, გაიხარ ოს მანაც და არ იხილ ოს მისმ ა თვალ მა უბედ ურ ების მაუწ ყებელ ი, შავ ი ფერ ი - მკაცრ ად თქვ ა მარ იამ სამძივარ მ ა და მზარ ეულ ს მიუტ რ იალ დ ა.
- ბალ ი, ალ უბალ ი, მარ წყვ ი, ირ მის სუკ ები, ტბილ ი ფლ ავ ი, ქიშ მ ი შ ით ა და თაფ ლ ით, თაფ ლ ი ფიჭ ა, ღვინ ოში შერ ეულ ი, ვარ დ ის ფურ ცლ ები სუფ რ აზ ე. იასამ ნ ის რტ ოებ ით მორ თ ეთ დარ ბ აზ ი, ჩვენ ივ ე ვარ ძ იულ ი ღვინ ო მოიტ ანეთ და სურ ებ ში ჩაასხ ით, მემ უსიკ ეებ ს უხ მ ეთ, თარ ი და დაირ ა მიეცით მოცეკ ვ ავ ავ ეთ - ამბ ობ დ ა მარ იამ, მაშ ინ როცა მემნ ა ჯ აყ ელ ი კალ ოს უბ ნ ის სასახ ლ ის გრ ძ ელ აივ ან ზ ე დააბ ი ჯ ებ დ ა ბ ოცოს თ ან ერ თ ად და ღ ი მ ილ ით ამ ბ ობ დ ა:
- რ ა ღ ვ ინ ო ქალ ბ ატ ონ ო ჩ ემ ო, ბ ოცოზ ე 5 წ ლ ით უ ფ რ ოს ი ა მ ომ ავ ალ ი მ ეფ ე.
- მ ა რ თ ლ ა მ ამ ა, ჩ ემ ზ ე უ ფ რ ოს ი ა?
- დ ი ა ხ შ ვ ილ ო.
- ჭ ი დ ა ო ბ ა შ ი მ ა ი ნ ც ვ ე რ მ ომ ე რ ე ვ ა - ა მ ბ ო ბ დ ა ბ ო ც ო დ ა მ ა მ ის წ ი ნ ა შ ე კ უ ნ თ ებ ს ჭ ი მ ა ვ დ ა.
- ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ა , ჩ ვ ე ნ ი დ ი დ ი მ ე ფ ის დ ა ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ებ ლ ის შ ვ ილ ი შ ვ ილ ი, მ უ დ ა მ გ ვ ე რ დ ში უ ნ დ ა დ ა უ დ გ ე! თ უ დ ა გ ი ძ მ ა კ ა ც ებ ს უ ნ დ ა დ ა უ ძ მ ა კ ა ც დ ე, მ ა გ რ ა მ, ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ებ ს ვ ი ნ დ ა უ ძ მ ა კ ა ც დ ებ ა , ე ჰ ჰ ჰ - ეს ე ჰ ჰ ჩ ურ ჩ ულ ით თ ქ ვ ა მ ე მ ნ ა მ, შ ვ ილ ი ც დ ა ა ბ ნ ი ა და თ ვ ი თ ო ნ ა ც ო ტ ა დ ა ი ბ ნ ა, რ ო დ ე ს ა ც ს ა ყ ვ ი რ ის ხ მ ა გ ა ი ს მ ა და ე ზ ო ში თ ე ქ ვ ს მ ე ტ ი ც ხ ე ნ ო ს ა ნ ი შ ე მ ო ი ჭ რ ა.
- ა ი ე ს ა ა რ ის უ ფ ლ ის წ ულ ი დ ე მ ნ ა შ ვ ილ ო დ ა ი ძ ა ხ ა მ ა მ ამ და შ ვ ილ თ ან ერ თ ად თ ე თ რ ც ხ ე ნ ი ან ათ ი წ ლ ის, ჭ ა ბ უ კ ს მ ი ე გ ე ბ ა, რ ო მ ელ ს ა ც ლ უ რ ჯ ი ფ ერ ის მ ო ს ა ს ხ ა მ ი და ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ თ ა ა რ წ ი ვ ის გ ა მ ო ს ა ხ უ ლ ებ ის მ ქ ო ნ ე, ი ა ს ა მ ნ ი ს ფ ერ ი ქ უ დ ი ა მ კ ო ბ დ ა.

ეს შ ე ხ ვ ე დ რ ა მ უ დ ა მ ე მ ა ხ ს ო ვ რ ებ ა ბ ო ც ო ს. მ ა მ ის ს ი ტ ყ ვ ა „ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ა , ჩ ვ ე ნ ი დ ი დ ი მ ე ფ ის დ ა ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ებ ლ ის შ ვ ილ ი შ ვ ილ ი, მ უ დ ა მ გ ვ ე რ დ ში უ ნ დ ა დ ა უ დ გ ე! თ უ დ ა გ ი ძ მ ა კ ა ც ებ ს უ ნ დ ა დ ა უ ძ მ ა კ ა ც დ ე...“ - ს უ ლ ში ჩ ა უ ს ა ხ ლ დ ა პ ა ტ ა რ ა ბ ა ვ შ ვ ს. შ ე მ დ გ ო მ მ ა რ თ ა ლ ი ა თ ა მ ა რ ი ც გ ა ი ც ნ ო, მ ა გ რ ა მ თ ა მ ა რ ი ს უ ლ ს ხ ვ ა ა, თ ა მ ა რ ი ა ნ გ ე ლ ო ზ ი ა, თ ა მ ა რ ი ა რ ა მ ი წ ი ე რ ი ა რ ს ებ ა ა, მ ა გ რ ა მ დ ე მ ე ტ რ ე , მ ო ფ ერ ებ ით კ ი დ ე მ ნ ა უ ფ ლ ის წ ულ ი ეს ის ა ა ვ ის ა ც „ ბ ვ ე რ დ ში უ ნ დ ა დ ა უ დ გ ე...“.

ქ ე ი ფ მ ა „ ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე დ “ ჩ ა ი ა რ ა, ს უ ფ რ ა თ ი თ ქ მ ის ხ ელ უ ხ ლ ებ ელ ი დ ა რ ჩ ა. ა ნ კ ი რ ა უ ნ დ ა ე ჭ ა მ ა ა ნ დ ა ე ლ ი ა 10 წ ლ ის უ ფ ლ ის წ ულ ს დ ა მ ის კ ბ ილ ა მ ხ ე დ რ ებ ს. ა ქ ა ც პ ა ტ ა რ ა ს ა ღ ი რ მ ა ხ ა ტ ლ ის ძ ე მ გ ა მ ო ი ჩ ი ნ ა თ ა ვ ი დ ა ა კ რ ძ ა ლ უ ლ ი ღ ვ ი ნ ო შ ე ს ვ ა.

- დ ა თ ვ რ ებ ი კ ა ხ ე თ ის ბ ა ტ ო ნ ო - უ თ ხ რ ა მ ას მ ა რ ი ა მ ს ა მ ძ ი ვ ა რ მ ა.
- მ ა მ ა ჩ ე მ ი დ ი დ ი ხ ა ნ ი ა მ ა ს მ ე ვ ს მ ა რ ი ა მ დ ე დ ო ფ ა ლ ო - გ ა ი ც ი ნ ა ს ა ღ ი რ მ ა და ა დ რ ე უ ლ უ ლ ვ ა შ ის მ ს გ ა ვ ს ბ უ ს უ ს ებ ზ ე ხ ელ ი რ ო მ გ ა დ ა ი ს ვ ა, თ ა ვ ა დ ბ ო ც ო მ ა ც გ ა დ ა ი ხ ა რ ხ ა რ ა და მ თ ელ მ ა ს უ ფ რ ა მ ს ა ღ ი რ ას დ ა უ წ ყ ო თ ვ ა ლ თ ვ ა ლ ი.

თ ა ვ ა დ დ ე მ ნ ა უ ფ ლ ის წ ილ ი მ ო ხ დ ე ნ ილ ა დ და ს ე რ ი ო ზ ულ ა დ ი ჯ დ ა. მ შ ვ ე ნ ი ე რ ი ჭ ა ბ უ კ ი ი ყ ო. თ ა ფ ლ ის ფ ერ ი თ ვ ა ლ ებ ი თ ი თ ქ ო ს დ ა უ ღ ი მ ო დ ა ო, ი ს ე შ ე ჰ ყ ურ ებ დ ა მ ე მ ნ ა ს ა და მ ა რ ი ა მ ს, შ ე მ დ ე გ თ ვ ა ლ ი ბ ო ც ო ზ ე ც გ ა დ ა ი ტ ა ნ ა, ბ ო ც ო ც უ ღ ი მ ო დ ა უ ფ ლ ის წ ულ ს.

- რ ა მ დ ე ნ ი წ ლ ის ხ ა რ? - კ ი თ ხ ა უ ე ც რ ა დ დ ე მ ნ ა მ.
- შ ვ ი დ ის - ი ც რ უ ა თ ა ვ ი ს ა ს ა კ თ ა ნ შ ე დ ა რ ებ ი თ უ ფ რ ო მ ო ზ რ დ ი ლ მ ა ს ა მ ც ხ ე ლ მ ა, რ ის თ ვ ი ს ა ც მ ა მ ა მ ის მ ა მ უ შ ტ ი მ ო უ ღ ე რ ა და თ ქ ვ ა.

- ხუთისაა ჯერ უფლისწულო, მაგრამ სწრაფად წამოიზარდა, ჭიდაობაში უკვე უფროსი ბიჭები ყავს დამარცხებული, კალოსუბანში უკვე ათი წლის ბიჭებს დაადებინა ბეჭი.
- მართლა ბიჭო? მოტრიალდა დემნა ბოცოს. ბოცო სიამაყისაგან ცახცახებდა.
- გინდა დამეჭიდო? - იკითხა დემნამ
- მინდა - სანამ მამამისი რამეს იტყოდა მანამ წამოიყვირა ბოცომ,
- აი მოდი! - თქვა დემნამ და ფეხზე წამოხტა.
- ვაიმე, უფლისწულთან დაჭიდება ეკრძალება ერისთავის ვაჟს.
- არაუშავს, იყვირა ბოცომ და დემნასკენ გაიქცა, რომელიც სამეფო ახალუხს იხდიდა რომ შესარკინებლად გამზადებული იყო.
- მოდი ბოცო მოდი - დემნა უფლისწული უკვე წრეში იდგა.
- ჭიდაობას რა უნდა, ფეხისგამოკვრა უნდა - დაამღერა ერთმა მომღერალმა და შემდეგ მემუსიკენიც ამ მელოდიას აჰყვნენ. ბოცო დაიძაგრა და ბაგრატიონს შეება.

დემნა ძლიერი იყო. ჭიდაობაც საკმაოდ კარგად ჰქონდა შესწავლილი. თუ ბოცო ჭიდაობას მამისაგან და მოსამსახურეებისაგან სწავლობდა, დემნას, როგორც ჩანს თბილისელ მოჭდავეთა ამქარი და ამ ამქრის თავი ხარფუხელი თომა ასწავლიდა. თანაც დემნა მაღალი იყო, ბოცო კი უფრო დაბალი და ჯმუხი. ისე ორივე თაფლისფერთვალება ბიჭები იყვნენ. ბოცოს გადაბმული მესხური წარბები ჰქონდა, დემნას კი საოცრად დიდი თვალების გამო აქებდნენ. „ის წმინდა დავითის შთამომავალია- ერუშალაიმის მეფის თვალწარბი აქვს“ ასე ამბობდნენ მასზე გოგონები, რომლებიც უფლისწულზე შეყვარებულები იყვნენ. „თამარის მშვენება უნაკლოა“ - გაუგია ასეთი ფრაზა ბოცოს ამ ამბის შემდეგაც და მანამდეც. „კი მაგრამ თამარს უფრო კავკასიელის ნაკვთები აქვს, ხოლო დემნა ბატონიშვილი, ნაღდი ბაგრატიონია, დიდი მეფის დავით მეოთხის განმეორება“ - იძახოდნენ ცნობისმოყვარე მეჭორავენი.

აი დაეჭიდნენ ისინი ერთმანეთს. დემნამ გაუღიმა ბოცოს, ხელი მოხვია, პატარა ბიჭი ეგონა და მაღლა ატაცება მოუნდომა, მაგრამ უეცრად იგძნო რომ ბოცოს მისი ილეთების ჩამკეტი ხერხების გამოყენებაც შეეძლო. ხელში ვერ ასწია, რადგანაც ბოცომ მუხლზე წაავლო ხელი და ფეხიც შემოხვია. ასეთ დროს რომ მოჭიდავე მაღლა ასწიო, თავად მოადგენ ზღართანს - გაახსენდა დემნას ხარფუხელი თომას სიტყვები და ბოცო უმალ ძირს დასვა. „ნეტა რა უნდა ვიღონო? ხარივითაა“-გაიფიქრა მან.

მიდი, მიდი - შეჰყვირა ვიღაცამ, ბოცოს გაახსენდა, რომ მაღალ კაცს სჯობდა წელში შევარდნოდა და ისე დაენარცხებინა, ამ ილეთით ხომ მამასაც ამარცხებდა, ჰოდა დაიძრა ბოცო, მუხლებში ეტაკა ბატონიშვილს, რომელიც გაკვირვებული დაჰყურებდა ხარივით გაშმაგებული ბოცოს და სიცილით კვდებოდა.

წაგაქცევს ბატონიშვილო - გონს მოეგე- შეჰყვირა ეხლა ვიღაცამ დემნას ამალიდან და დემნაც ქეჩოში წვდა ბოცოს. ისე როგორც ციხესიმაგრეს უტევენ სპეციალური სპილენძის ტუჩიანი ვერძები - ბოცოც დემნას საყრდენს უნგრევდა, დემნა ჯერ უკან გადაქანდა, ხოლო შემდეგ ისევ წინ გადმოიხარა და წაქცევას ამჯობინა, სამცხელს თავზე დასცემოდა, რაც განხორციელდა კიდეც. დემნა როგორც მაღალი კოშკი, „ბოცო ვერძზე“ თავზე დაემხო და ორივენი მტვერში დაეცნენ. ამალის წევრები ახორხოცდნენ. მემნა ჯაყელი უფლისწულთან მიიჭრა და პირველი ის წამოაყენა.

- მადლობა ერისთავთ-ერისთავო, ძალიან ძლიერ შვილს უზრდით ჩვენს სამეფოს - ზრდილობიანდ თქვა დემნა უფლისწულმა.

- უღრმეს მადლობას და ბოდიშს გიხდით უფლისწულო, ბოცო თქვენს ამალაში გვინდა რომ ჩავრიცხოთ, ის მუდამ თქვენთან იქნება და თქვენთვის თავს გაწირავს- გახარებულმა თქვა მემნამ რომელიც მარცხენა ხელით ბოცოს წამოყენებას ლამობდა, ხოლო ამ დროს მუშტებ-მოკუმული მისი შვილი იმას ფიქრობდა, როგორ დასხმოდა დემნა უფლისწულს და ის საბოლოოდ მიწაზე გაეკრა.
- აი ნახეთ კიდევ სურს წელში შემომივარდეს - გაიცინა დემნამ.
- კი ეგრეა, ამ ეზოდან წაუქცეველს არავის უშვებს - უხაროდა მემნა ჯაყელს და ბოცოს ზურგს უკან აკავებდა, თუმცა ეს უკანსაკნელი მამასაც უტევდა და დემნასაკენ იწევდა.
- აწითლებული ხარ, რა მოგივდა, ნუთუ ასეთები იყვნენ შენი წინაპრები - უჩურჩულებდა შვილს მემნა და უფლისწულს მადლიერების თვალით შეჰყურებდა.
- კარგით, ჩავრიცხოთ ბოცო ჩემს ამალაში, დიდი მადლობა სტუმართ-მასპიძლობისათვის, ეხლა კი უნდა დაგტოვოთ, ბიძა მელოდება, დღეს თამარი უნდა ვაჭენო აგარანის ველზე - ამბობდა დემნა ბატონიშვილი და ჯაყელთა ოჯახის წევრებს ეხვეოდა.

დემნა ბატონიშვილი და მისი ამალა ცხენებს მოახტნენ და ჯაყელთა სასახლის ეზოდან გაუჩინარდნენ.

ბოცო კი დარჩა დაბოღმილი, პირველად წაუვიდა მოპაექრე ეზოდან წაუქცეველი. სად ემებოს ეხლა ეს მაღალი ბიჭიმ რომელსაც „უფლისწული“ ქვია? იქნებ კალოუბნიდან დაბლა ჩავიდეს და მეტეხის სასახლეში გამოელაპარაკოს დაცვას „უფლისწულთან“ ჭიდაობის უფლება მისცენ.

„ერთი შენი თავი კიდე ერთხელ მომცა თუ მიწაზე არ გაგართხა“ - იტყვის ბოცო იმ ღამეს ძილში, მამისა და დედის შორის მწოლიარე. მემნა გაიღვიძებს და მარიამს შეხედავს რომელიც წაბლისფერ თმებზე ეფერება პატარა ყოჩს. თენდება 1165 წლის დილა.

***

ამ ამბის შემდეგ, მრავალი სხვა ამბავი ხდება, ისტორია ისტორიას ცვლის. მაინც არ ჩარიცხეს ბოცო ჯაყელი დემნას ამალაში. მუდამ ეკითხება მამას „უფლისწულის“ შესახებ, მაგრამ არავინ არ სცემს პასუხს. მემნა თვალცრემლიანი დადის.

- „ესენი ხომ არ გაგიჟდნენ, მე სულ ვვარჯიშობ ამ „უფლისწულის“ დასამარცხებლად და თქვენ ნეტა რას სჩადიხართ“ - ფიქრობს ბოცო თავისთვის და ერთხელ ამგვარ საუბარს აწყდება დედასა და მამას შორის.
- სამეფო კარს, რაღაც ხდება მარიამ, ბოცო მინდოდა ტახტის მიმეკვდრის ამალაში ჩამერიცხა, მაგრამ ჰოი საკვირველება - მემნა სახეზეა წამოწითლებული, ესეიგი დარდობს რაღაცას.
- რა გიპასუხეს? - კითხულობს სახე ფერკმრთალი ასული სამძივართა.
- ასე მითხრა აბულასანმა, ტახტის მემკვიდრის ამალა გაუქმდაო. ვერაფერი გავიგე. იქნებ შენ შეიტყო რაიმე, სადმე ხომ უნდა ჩავრიცხოთ ბოცო. ჭიდაობით მარტო შორს ვერ გავალთ. რა ხდება იქნება ამიხსნა.
- რას გაუგებ ბაგრატიონებს ჩემო ერისთავო - ჩუჩულით თქვა მარიამ სამძივარმა და ამ სიტყვაზე, მემნას სევდა გადაეკრო სახეზე.
- რას ფიქრობ ჩემო დედოფალო?

- ჩუმად! - ბრძანა მარიამმა

***

მომავალ წელსაც არ შეიქმნა დემნა უფლისწულის ამალა. როცა ბოცომ დედას ჰკითხა, სამძივართა წმინდა გვარის ასულმა შვილს ასეთი ამბავი გაანდო:

- უცხო სენით დასნეულებულა დემეტრე უფლისწული დედიკო, არავინ იცის ეს სენი საიდან შეეყარა, წევს და სახლიდან ვერ გამოდის. ამალა არ სჭირდება უფლისწულს. ამიტომაც მამიკომ და მე გადავწყვიტეთ რომ ახალ ამალაში ჩაგწეროთ.
- დედიკო ვის ამალაში უნდა ჩამწეროთ? დაინტერესდა მოჭიდავე.
- მამაშენმა თქვა, თამარის ამალას ქმნიანო, იმ ამალაში აუცილებლად იქნება შენი ადგილი შვილო.
- არ მინდა გოგოს ამალაში ყოფნა, არ მინდა ნაწნავიანის ამალაში ყოფნა, არ მინდა არა - აყვირდა ბოცო.
- რაო? - იკითხა დედამ და უმალ სასახლეში შებრუნდა.

გამოუთქმელი სევდის გამო 6 წლის ბოცო, ერთხელ სასახლიდან გამოვიდა, კალოუბნის გზას გაუყვა, ჩაირბინა თბილისის უბნები, ხან ამქრებს, ხანაც მზირებს, შემდეგ მანდატურებს მიადგა. ერთი მანდატური მისით განსაკუთრებით დაინტერესდა. კეთილ ძიას ჰგავდა, თეთრი ულვაშები ყურებზე ჰქონდა გადადებული, წელზე მანდატურის ჯოხი ეკიდა და ქალაქში ცხენოსანთა და ფეხოსანთა მოძრაობას აწესრიგებდა.

- ვინ ხარ? ჰკითხა ბოცომ მანდატურს.
- შენ თვითონ ვინ ხარ ვეჟო? - გაიჯგიმა მანდატური, თეთრ ულვაშებზე ხელი გადაისვა და ბოცოს დააკვირდა.
- სამცხელი მოჭიდავე ვარ ბოცო მქვია - გაიჯგიმა ბოცოც.
- თბილისში რა გინდა ვეჟო? - ყურებამდე გაიღიმა მანდატურმა.
- მამაჩემი აქა დგას მოჯამაგირედ, სამცხელთა სასახლეში და იმას ვახლავარ, თბილისელ ყოჩებს მინდა დავეჭიდო.
- შენ ბიჭო არა ხუმრობ - გაუკვირდა მანდატურს.
- რა გქვია მანდატურო?
- ქარციხა მქვიან შვილო, ხარფუხელი ვარ - გაიკვირდა მანდატურს ბიჭის ამპარტავნობა.
- იცნობ მოჭიდავეებს?
- როგორ არა შვილო, მამაჩემი ტიფლისის პირველი ყოჩი იყო, ეხლა კი ჩემი უმცროსი ძმაა, თომა მოჭიდავეთა ჰამქარი, გინდა გაგაცნო?
- თომა ხარფუხელი შენი ძმაა ქარციხ? - ბოცო უმალ აენთო.
- ჰაირ ჰაირ, ძმაა მაშ და ძმისგული - ულვაშებში ახვიხვინდა მანდატური, დოინჯი შემოიყარა და ბიჭს დახედა. კარგად მიხვდა რომ ეს ბალღი, ერისთავის შვილი იქნებოდა, მაგრამ არ შეიმჩნია და აათვალიერ ჩაათვალიერა.
- რას მიყურებ, იქნებ არ გჯერა ჩემი, წამიყვანე შენს ძმასთან- თქვა ბოცომ.
- მაიცა, მაიცა, მე რომ ეხლა თომასთან წაგიძღვე, ბაზრის შესასვლელი და ეს მთელი მილეთის ხალხი ვინღა მოაწესრიგოს. მერე ქალაქის ამირა რომ ჩამაივლის და ვერ მნახავს რაღა უთხრათ შენ და მე?
- ქალაქის ამირას მე დაველაპარაკები, ვიცნობ, ოჯახში მოსულა ჩვენთან - ბოცომ მუშტები მომუჭა და ქარციხას შეხედა.

- ვაა, ვااااჰ, ვااااჰჰჰ, შენ ის არ ხარ, ვისადაც გინდა თავი მომაჩვენო. რა ქალაქის ამირა, რისი მამაშენი- მე ქარციხ ხარფუხ ოღლი ეხლა მამაშენით ვიყო არა? ჰაი ჰაი ბიჩო, რომ ეგრე არაა.
- აბა რა ვქნათ მინდა შენი ძმა გავიცნო - თქვა ბოცომ.
- გაგაცნობ, მხოლოდ მზე რომ შუბისტარიდან იმ ლურსმანისკენ გადაიხრება მაშინ მოდი აქ და წაგიყვან თომასთან, მაგრამ იქ ბიჭები შენზე მაგრები ჩანან და არ დაგჩაგრონ - კვლავ ახვიხვინდა ქარციხ ხარფულ ოღლი.
- მოვალ მოვალ და ვნახოთ - გაიხარდა ბოცოს, რომელიც სიონის ტაძრის წინ დადგმულ მზის საათს დაუკვირდა და დრო დაიმახსოვრა.

ბოცო მოტრიალდა და წამოვიდა, თბილისი უზარმაზარ ქალაქად მოეჩვენა, ვირები და ჯორები, მარტო ასამდე დაითვალა არაბთა ბაზრის წინ. შემდეგ სიონისაკენ გამოემართა და ფაკირებსა და გველთა მომთვინიერებლებს დაუწყო თვალიერება. მის წინ სამმა არაბმა ხალხს გამოუცხადეს, ახალ სანახაობას შემოგთავაზებთო და არაბული ენის უცოდინარ ბოცოსაც მიადგნენ.

- ჰა რა გინდათ? გაუკვირდა სამცხელს?
- მინლათუნი მოგვეცი რახან აქ დგეხარ - წმინდა ქართულით ჩაილაპარაკმა შავწვერიანმა არაბმა და ძალიან გაიხარა, როცა ბოცომ ჯიბიდან ვერცხლის ფული დააძრო.
- მეტი არც მაქვს.
- მეტი არც გვინდა უფლისწულო - გაიცინა არაბმა და ვერცხლის ფული მას ხელიდან გამოგლიჯა.
- „უფლისწულოო“ - იქნებ იცნობ უფლისწულს? - დაიყვირა ბოცომ, მაგრამ არაბი უკვე მაშხალას ახურებდა და მეორე არაბს გავარვარებული ხმლის გადაყლაპვას აძალებდა.
- საოცარი ქალაქია თბილისი, ნეტა აქამდე გარეთ რატომ არ გამოვდიოდი? - კითხა თავის თავს ბოცომ და უეცრად არაბი მას მოუტრიალდა და გაუღიმა.
- როგორ სულ სახლში ხარ ჭაბუკო? თბილისი სანახაობებით სავსე ქალაქია, რასაც ისურვებ იმას გააჩენ, შენ მთავარია ვერცხლის ფული კიდევ მოიტანე და ისეთ სასახლეებში შეგიყვანთ, რომლიდანაც გამოსვლა არ მოგინდება.
- სასახლე ვიცი, მანდ ვცხოვრობ, მაგრამ ერთი ოცნება მაქვს, უფლისწული მინდა ვნახო - ჩაილაპარაკა ბოცომ
- რომელი უფლისული?
- დემნა პირველი!
- ვااااჰ, ჰაირ ჰაირ, შეიძლება, შეიძლება, როდის გინდა?
- ეხლავე!
- ფული გაქვს მერე რომ გადაიხადო?
- ვერცხლი არ მაქვს მაგრამ ხანჯალი მაქვს მამის ნაჩუქარი, ინდური.
- მანახე აბა - იკითხა შავწვერა არაბმა.

ბოცომ ინდური ხანჯალი დააძრო, როცა ქარქაშიდან ამოიღო, არაბის შავ სახეზე მბრწყინვალე ათინათი გაჩნდა და არაბს თვალები მოსჭრა, მეორე არაბმა მოირბინა და ქარქაშს დაუწყო თვალიერება. ლალის თვლებით მოოჭვილი ქარქაში ხელიდან ხელში გადადიოდა და ყველა ბიჭს გაკვირვებული შეჰყრებდა, ამ დროს ბოცომ თავისივე ხანჯალი არაბს გამოსტაცა და უბეში ჩამალა.

- ჰეე, არ გინდა რომ უფლისწული განახოთ?
- როგორ არ მინდა, წამიყვანეთ და მოგცემთ ამ ხანჯალს ბოლოს.

არაბებმა ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს, ბოცოს ხელი ჩაჰკიდეს და ზანტად მდგარი აქლემთა ქარავნის გვერდით კიბეს დაუყვნენ.

- აქლემები აქ ფსამენ, საშინლად ყარს აქაურობა, საერთოდ თბილისი მართლაც უზარმაზარი ქალაქია, მაგრამ თუ მეგობარი გყავს არ დაიკარგები, ვინც მეგობარს არ ემებს ის თავისა მტერია - ატლიკინდა ახალგაზრდა არაბი და წვეროსან არაბს უკან მიჰყვა.
- ეს რა კიბეა?
- მტკვრის ქვეშ, არაბმა ამირამ გვირაბი გაჭრა, ასი წლის წინ, ჰოდა ამ გვირაბით მივდივართ ეხლა მეორე ნაპირზე გადასასვლელად.
- რატომ ხიდზე არ გავიარეთ არაბო? - იკითხა ბოცომ.
- ხიდზე გასვლა ფული ღირს ძმაო, ტიფლისი ძვირი ქალაქია, აქ ყველაფერი უნდა იყიდო და გაყიდო, განსაკუთრებით ნამუსი და სინდისი.
- რაო რას ამბობ, შენ რამე ხომ არ გეშლება - იყვირა ბოცომ.
- არაფერ, აი შენც მალე დაწმუნდები რომ ასეა - თქვა ახალგზრდა არაბმა და ბოცოს შეხედა.
- მეომარი დადგება შენგან მაგარი, თუ გინდა წამოგვყევი და დიდი ხალიფას ლაშქარში შეგირდად ჩაგრიცხავთ.
- რაო? ხალიფას ლაშქარში რა მინდა?
- შენი მხრებისა და ხასიათის პატრონი ხალიფ მანსურის მსგავსი მეომარი დადგება შვილო, მთავარია მუჰამედი იწამო და ისლამის ლაშქარში ნახო შენი ხმალი.
- ქრისტიანი ვარ! წავიდეთ ეხლა იქ სადაც მივდივართ - თქვა ბოცომ და თავისი ბებუთის ტარი მოსინჯა.
- გვემუქრება - გაიღიმეს არაბებმა და მტკვრის ქვეშ მიმავალ გვირაბში შევიდნენ. უკუნეთი სიბნელე იყო, კაცი ვერაფერს გაარჩევდა. აქა იქ არაბი ხალიფას დროინდელი წარწერები მოსჩანდა, გვირაბი თეთრი ქვით იყო მოპირქეთებული, როცა ბოცომ ტალანი მოათვალიერა, გაოცდა რადგანაც სულ სხვა სამყაროში იგრძნო თავი.
- როცა უკანასკნელი ამირა, ანუ პაპაჩემი ნავტიკებით თბილისიდან გაიპარა, აი ამ გვირაბით გავიდა სასახლიდან და შემდეგ შირვანში გაუჩინარდა- თქვა ახალგაზრდა არაბმა
- ანუ შენ ხარ ამირას მემკვიდრე? - გაეცინა ბოცოს
- კი, თბილისში ყველა ამირას მიწოდებს, ბებიაჩემი ლეილა ამირას მე-13 ცოლი გახლდათ.
- ვაააა, ანუ კიდევ არიან ამირას შთამომავლები თბილისში? - იკითხა ბოცომ.
- არა, მარტო მე ვარ, სხვა ყველა დახოცა შავმა ჭირმა, თორემ ქართველები ლმობიერი ხალხი ხართ ბატონო!
- კარგია კარგი ,ანუ ეხლა მტკვრის ქვეშ ვართ არა?
- დიახ ასეა, აი აქ არის სწორედ ამირას შავი ზეთის ქარხანა, უფრო სწორედ ამირას შავი ზეთის სახდელი დაზგა და ის დიდი ამფორა რომელშიც მუდამ ინახებოდა სასწაულთმოქმედი სითხე, შავი თესლის ზეთისა.

გვირაბში მართლაც მომიჯნავე დარბაზები და ოთახები აღმოჩნდა, აქვე იყო დიდი შავი ამფორა, რომელშიც კიბე ჩადიოდა, გატეხილი მილაკები, უცნობი საწარმოსი აქეთ-იქით იყო მიმოფანტული. ბოცო შედგა, დიდხანს უყურა ამ საოცრებას, დარბაზში სასიამოვნი სუნი იდგა უცხო ზეთისა. აქ როგორც ჩანს ცხოვრება ერთ დროს დუღდა და ვითარდებოდა, ეხლა კი მხოლოდ თავზეხელაღებული თაგვები დაძრწოდნენ.

- საოცარია არ ველოდი ამგვარ ამბებს - ჩაილაპარაკა ბოცომ და არაბებს მიჰყვა, რამოდენიმე ათეული მეტრის შემდეგ კიდევ ერთი დარბაზი აღმოჩნდა.
- ეს რა არის? აქ რა ხდებოდა?
- ერთი ებრაელი სწავლული აქ იდუმალ ცდებს აკეთებდა ადამიანებზე, მაგრამ შემდეგ შეიპყრეს და მტკვარში გადააგდეს, შემდგომ ხალიფამ აქ თავისი შვილი დაკრძალა, განჩნდა სასაფლაო, მტკვრის ქვეშ. როგორც ჩანს მრავალი დაიკრძალა და ეხლა ეს სასაფლაო აკრძალული მიწაა ქართველებისათვის. მხოლოდ ამ მიწაზე არ აქვს თქვენს მეფეს ფეხის შემოდგმის უფლება. ხალიფასა და მეფეს შორის მიმოწერა იყო ათიოდე წლის უკან. ჰოდა ხალიფამ თქვენს მეფეს სთხოვა, ტფილისის საამირო შენი იყოს, მხოლოდ ამ სასაფლაოს არ შეახო ხელიო. მეფემაც დასტური დაუკრა და მას შემდეგ ამ სასაფლაოს მარტო არაბები ვსტუმრობთ. ქრისტიანების აქ შემოყვანის უფლება არ გვაქვს.
- ვაჰ - ჩაილაპარაკა ბოცომ და არაბებს აჰხედ დახედა.
- წამო-წამო, უკვე მეორე მხარეს გავდივართ და პირდაპირ მეტეხის სამეფო სასახლეში ამოვყოფთ თავს, შენ იქ გელოდება ვინმე?
- უფლისწული - თქვა ბოცომ.

არაბებმა ერთმანეთ გადახედეს. შემდეგ ამირას შთამომავალმა თქვა.

- იცოდე უკან ვეღარ წამოგიყვანთ, უკან თავად უნდა წამოხვიდე.
- გვირაბი დაკეტილი იქნება?
- კი გვირაბს მანდატური ქარციხა კეტავს და დილამდე არ გააღებს.
- ქარციხა ჩემი დოსტია.
- მერე რა მაინც ვერ გაგიღებს. სპილენძის კარი იკეტება დილამდე.
- მაშინ ხიდზე გადმოვალ.
- ნებაშენია, თუ გინდ გამოცურე მტკვარი და გამოდი.
- მადლობა თქვა ბოცომ და ისინი კიბეს აუყვნენ.

***

შემდეგი ნახატი წარსულიდან

ბოცო და ორი არაბი კიბეზე ავიდნე, და მცირე ზომის „რკინის პორტას“, ანუ მტკვრის სანაოსნოს რკინის ჭიშკარს მიადგნენ.

- ეს რა არის?
- თბილისი არაბი ხალიფების დროს სანაოსნო ქალაქი იყო, აქედან მცირე გემები ახლციხემდე და შირვანამდე ჩადიოდა. შესაბამისად ეს სანაოსნოს ჭიშკარია, რომლებიც ქართველებს თითქმის ასი წელია გაქვთ გაუქმებული.
- არ ვიცოდი თუ თბილისი სანაოსნო ქალაქი იყო. შევიდეთ.

არაბებმა ერთმანეთს გადახედეს, უბეში ხელი ჩაიყვეს და გასაღებების დაჟანგული აცმა ამოიღეს.

- ვაჰ თქვენა ყოფილხართ რა - ჩაილაპარაკა სამცხელმა და „რკინის პორტას“ წინ ჩამუხლულ არაბებს მიჰყვა.
- აი ეს გასაღებია, რაც მამაჩემმა მანსურმა გადმომაბარა, ასე დამიბარა არაბები დაბრუნდებიან და გამოგადგებაო - გაიცინა არაბმა და კარები გახსნას მოჰყვა.
- მანამდე არაფერი გეტკინა რაც არაბები არ დაბრუნდნენ, ისე კი მართლაც გამოგადგა ხო ხედავ - გაიბადრა ბოცო და როდესაც კარი გაიღო, არაბებს მიჰყვა.
- ამის მეტი ვერ წამოგყვებით ბატონო - თქვან ერთმა არაბმა.
- მართლა?
- დიახ, ჩვენ გვირაბს განვაგებთ, მის ზევით მარტო ფაკირების წარმოდგენის გამართვის უფლება გვაქვს. სხვა მხრივ ჩვენ მიწისქვეშეთის მოქალაქეები ვართ და ამიტომაც აქ დაგემშვიდობებით.

ბოცო მოხვდა რომ არაბები მის საუცხოო ხანჯალს ელოდნენ. ბიჭმა არ დააყოვნა და ხანჯალი დააძრო.

- დავემშვდობები - თქვა ბოცომ, ხანჯალს აკოცა და არაბს გაუწოდა, როდესაც არაბი ხანჯლის აღებას ლამობდა, ბოცომ უმალ ხანჯალი გახსნა და ამირას შთამომავალი მისკენ სწრაფი ნახტომით შეაშინა. არაბები „რკინის პორტას“ მიღმა გავარდნენ.
- არა, არა ვიხუმრე, აი თქვენ ხანჯალი - გაიცინა ბოცომ.
- დადე მანდ ხანჯალი და აი იმ კიბეზე გააგრძელე ასვლა - მიუთითა მას შეშინებულმა არაბმა.
- კარგით! - ბიჭმა ხანჯალი იმ ადგილას დადო, ცოტა ხანს დანანებით უყურა და შემდეგ კიბეებს აჰყვა, როცა მოტრიალდა ხანჯალი გაუჩინარებულიყო, ხოლო „რკინის პორტა“ საგულდაგულოდ დაეკეტათ.
- აფსუს, მაგრამ ეხლა უფლისწული უნდა წავაქციო - ჩაილაპარაკა ბიჭმა.

***

მეტეხის სასახლის შიდა ეზოში რომ მოხვდა მაშინ ბოცო შეფიქრიანდა. გაიხედ გამოიხედა და მიხვდა რომ დიდი ქვის სასახლის ეს მხარე თითქმის მიტოვებულად დარჩენილიყო. „ნეტავ სად არის უფლისწული, აქ არავინ არის, არც მზარეულების ეზოა, არ თავლებია ცხენებით სავსე, არც პაჟები დადიან, არც აბჯარს არავი ჭედავს, არც ხმლებს არავინ ფერავს, ნეტა რა ხდება, რატომ მიატოვა ხალხმა ეს დაწყევლილი ადგილი?“ - გაიფიქრა მან.

მართლაც დიდი შავი სასახლე, უკაცრიელი გამხდარიყო. ბოცო მოტრიალდე, ციხე სიმაგრეზეც არავინ იდგა, გოდლები და ბლისკინები მეომართაგან დაცლილიყო. არათუ ციხე-სიმაგრე იყო მეციხოვნეების გარეშე, არამედ მასში ჩაშენებული გუმბათიანი ეკლესია იყო გამოკეტილი.

სასახლის ქონგურებზე ყვავებს მოჰკრა თვალი. ცაში ყვავების შიშით მრედებიც კი ვერ ბედავდნენ ლივლივს.

- ეეეე რა ხდება კაცო? ჩაილაპარაკა სამცხელმა და ახალ ციხური ჩვეულების თანახმად ხელში კენჭი აიღო და სასახლის ყველაზე მაღალ კოშკს დაუმიზნა.
- აი ყველაზე მაღალი, დედო კოშკი, მანდ ალბათ ვინმე იქნება, ბაგრატიონთა სიმბოლოებს კი ვხედავ მაგ კოშკზე გამოკვეთილს, მაგრამ ეგ მაინც ვერ შემაშინებს,

ეს ქვა უთავაზო მის მთავარ სარკმელს. მინასაც ვამჩნევ, ჩავტეხავ და მერე მიყონ
რაც უნდათ, ვიტყვი რომ სამცხელი ვარ და ყველაზე უარესი, მემნას მუშტი
მომხვდეს თუ დასჯის ღირსი ვარ - თავის თავს ელაპარაკებოდა ბიჭი, ბოლოს
გაჩერდა, ტუჩები კუშტად მომუწა და ქვა მთელი ძალით გასტყორცნა.
პირველივე ნატყორცნი ზუსტი აღმოჩნდა. „აკი მეუბნებოდნენ ხიფათიანი ხელი გაქვსო“
გაახსენდა სამცხელს დედის ნათქვამი, როდესაც მაღალი კოშკის დიდი სარკმელის მინის
ლეწვის ხმა მოისმა და როგორც ჩანს კოშკში ყველაფერი ამოძრავდა, რად განაც
დამტვრეული შუშა, ვიღაცას თავს დაეყარა და ეს ვიღაცა მწარედ ილანძღებოდა.

- აუჰჰჰ ვიღაცა მოვკალი მგონი - წამოიყვირა ბიჭმა და მიმალვა სცადა, მაგრამ
  უეცრად მას ზევიდან დაჰყვირეს და თან საკმაოდ გაბრაზებული ტონითაც.
- ეჰეჰეი შენ აქ ვინ შემოგიშვა ბიჭო, როგორ ბედავ ჩემს სარკმელს ქვა უთავაზო, ვინ
  ხარ და რა ჯურის ავაზაკი რომ ამდენი გაბედო დღისით მზისით?

საბრალო ბოცომ სირცხვილი იგრძნო, ზევით აიხედა და ჰოი საოცრებავ, ნაცნობი სახე
დაინახა:

- უფლისწულო! უფლისწულო - შენ გეძებ, შენ - იყვირა ბიჭმა.
- რაო ავაზაკო ვინ ვარო? - გაეცინა სარკმელიდან მომზირალ მოზრდილ ყმაწვილს.
- თმა გაგზრდია უფლისწულო, მაგრამ მაინც გიცანი - შესძახა ბოცომ და
  სარკმლიდან მომზირალ უფლისწულს დააკვირდა.
- შენ ვინ ხარ? - იკითხა გამხდარმა სახემ, რომელსაც ბოცო უფლისწულად უხმობდა.
- ვერ მიცანი ტახტისმემკვიდრევ, ეს მე ვარ მოჭიდავე ბოცო.
- ვინ? - იკითხა უფლისწულმა.
- ბოცო ვარ, ერისთავთ ერისთავის მემნას ვაჟი, აღარ გახსოვარ? მე არ დაგეჭიდე,
  ჩვენთან, თქვენი აღმატებულების სტუმრობის დროს, ცოტაც დამაკლდა რომ
  წამექცია, მაგრამ მაღალი აღმოჩნდი და თავზე დამეცი. ეხლა კი მოვედი რომ კიდევ
  ერთხელ გეჭიდავო.
- ვააჰ ბოცო ჯაყელო, შენ ხარ? - იკითხა უფლისწულმა და უეცრად ატირდა. მისი
  ცრემლები სარკმელიდან გადმოსცვივდნენ და ბოცოს შუბლზე დააკვდნენ.

ბოცო გაოგდნა! არ იცოდა რა ექნა, მაგრამ უეცრად უფლისწულმა ჩამოსძახა:

- ამოდი სამცხელო, აი მანდაა კარი, შემოაღე და ამოდი, შენი თვალით მინდა რომ
  იხილო შენი უფლისწული.

ბოცომ კარი შეაღო, სპირალისებურ კოშკის კიბეს აჰყვა და კარგა გვარიანად რომ აიარა,
კიდევ ერთი, მწვანე კარი შეაღო და მაღალი, წაბლისფერთმიამნი, ჩამოძონძილ სამოსში
გამოწყობილი, მხრებში მოხრილი და ფერმკრთალი ტახტის მემკვიდრე - დემნა
ბაგრატიონი დაინახა.

უფლისწული კვლავაც ტიროდა, ბოცო იდგა და უმზერდა ტახტის მემკვიდრეს ტირილს.
მის წინ 9 წლის მოუვლელი, თმამოშვებული, ჩაუცმელი და მიტოვებული უფლისწული
იყო.

„რა მოუვიდა უფლისწულს“ - იფიქრა ბოცომ.

- ყველასაგან მიტოვებული ვარ ამ სასახლეში სამცხელო, კაცის ჭაჭანებას არ აქვს აქ
  შემოსვლის უფლება. არ ვიცი რა ხდება. კვირაში ერთხელ ბიძაჩემის კაცები მოდიან
  და საკვები მოაქვთ, შემდეგ კი ყველა ქრება და მარტო ვრჩები. ცხენიც კი არ მყავს
  რომ სადმე ველზე გავაჭენო. ან ველზე ვინ გამიშვებს, ციხე სიმაგრე გარედანაა

ჩაკეტილი. ჰოდა ვზივარ ამ სასახლეში მარტოდმარტო. შენ კი მართლა გმირი ხარ რომ აქ შემოხვედი ჩემო სამცხელო.

- მე გამომყევი და გაგიყვან აქედან უფლისწულო თქვა ბოცომ.
- როგორ, ამ კედელს ვერავინ გადაახტება, ჩიტი ხომ არ ხარ აქედან გაფრინდე- გაიცინა უფლისწულმა.
- მტკვრის ქვეშ გვირაბია ერთი, არაბებმა მასწავლეს. იქვე სანაოსნო კარი ყოფილა. კარი რკინისაა, გავტეხოთ და შევიდეთ გვირაბში - თქვა ბოცომ
- მართლა, პირველად მესმის შენგან-უფლისწულს სახე გაუნათდა.
- გაქვს რაიმე იარაღი სასახლეში? ბოცო დაინტერესდა.
- იარაღი მაქვსო, აი იმ დარბაზში, ბაგრატიონთა იარაღის საცავია, წამო შევიდეთ - დემნა წამოიმართა და ორი ბიჭი სამხედრო დარბაზს მიადგა.
- დაკეტილი იქნება - თქვა ბოცომ.
- არა წინასწარი განწყობით აქ ყველაფერი ღიაა, იარაღისა და საჭურჭლეს დარბაზი კი იმიტომაა ღია, რომ იქნებ თამაშის დროს საკუთარ შუბს წამოვეგო და სული განვაცხო - ჩაილაპარაკა უფლისწულმა.
- მართლა? - ბოცო გაკვირვებით მიაჩერდა ტახტის მემკვიდრეს, რომელსაც სახეზე მიწისფერმა დარდმა გადაჰკრა.
- აი საჭურჭლეც, ავიღოთ რაიმე სატეხი - ბრძანა უფლისწულმა.
- ავიღოთ ურო, აქვე პატარა ვერძი ყოფილა, ესეც ჩავიტანოთ ეზოში და კარს დაურახუნოთ. აი კიდევ ჩაქუჩი და სატეხი, აი ამით ნაღდად გავაღებთ, მტკვრის სანაოსნოს კარებს.
- სამცხელო, თუ ეგ მართლაც მტკვრის სანაოსნოს კარიბჭეა, ეხლა მესმის რატომ არის აბჯართა შორის დიდი ნავი შენახული, აი შეხედე თქვა უფლისწულმა და ბოცომ ზევით აიხედა, საბჯროს მესამე მაღალ თაროზე მიბმული გრძელი ხომალდი დალანდა.
- კი ესაა მტკვრის გემი, ამირას დროინდელია, ამას ჩვენ ვერ ჩამოვხსნით საკმაოდ მძიმე იქნება, თორემ ეს რომ ჩამოვხსნათ, შირვან-შახთან გავცურავთ - თქვა ბოცომ და ბიჭებმა საბჯრო ოთახი სასწრაფოდ დატოვეს.
- აი აქ არის რკინის კარები, ეს უნდა შევტეხოთ ისმოდა ბოცოს ხმა როდესაც ისინი დიდ ვერძს ერთად მიათრევდნენ.

***

მემნა ჯაყელის სასახლეში დიდი აფორიაქება სუფევდა. მემაშხალეები ბოცოს ეძებდნენ. თავად ერისთავთ-ერისთავი თავის მცველებს გულისყურით უსმენდა. ვინ ნახა ბოცო უკანასკნელად? დედა, მკაცრი ქალი სამძივართა არ ტიროდა, იგი მხოლოდ ხატის წინ დაჩოქილიყო და ლოცულობდა. მემნა ერისთავი კარგად იცნობდა საკუთარ ვაჟს. ბოცო აქამდე სასახლეს არ გასცილებია. სწორედ ამიტომაც იყო საქმე საფრთხილო. თბილისი მაშინდელ აზიასა თუ ევროპაში, უკვე დიდი დედაქალაქი იყო. ამიტომაც ბავშვის დაკარგვა უამრავ ეჭვს აღძრავდა. მემნა ჯერ თავის პირად მტრებზეც ფიქრობდა, შემდეგ კი სამძივართა მტრებზეც, მაგრამ ვერაფერი მნიშვნელოვანი ამ ფიქრმა ვერ მოიტანა. საჭირო იყო ქალაქში ჩასვლა და მანდატურთა უხუცესის მონახულება. სწორედ ეს არ სურდა მემნას, რადგანაც ადრე მანდატურთ-უხუცესის სახელმწიფო სახელოს

მიელტვოდა და ეხლა როგორ ეთხოვნა მოპაექრისათვის, შვილი მომიძებნეო. ამიტომაც ფეხს ითრევდა და სამცხელებს ქალაქში გზავნიდა.

მაგრამ ყოველი დასრულდა კარგად როდესაც კარიბჭეში ბოცოს ადრიანად დაკაცებულივით, მხნე, ომახიანი მაგრამ მაინც ბავშვური ხმა გაისმა:

- მამი!

***

მემნა ჯაყელი შვილს მიეგება, მის გვერდით მაღალი ბიჭიც შენიშნა, მაგრამ იგი ვერ შეიცნო, ვინმე მზირად ჩასთვალა და შვილის ჩასახვევად რომ ხელი გაშალა, უცრად ბოცომ შეჰყვირა:

- მამა, რას სჩადიხარ? დაუჩოქე ეხლავე საქართველოს ტახტის მემკვიდრეს, დემეტრეს!

მემნა და მის უკან, გულამოვარდნილი მარიამი გაოცებისაგან შედგნენ, მემაშხალეებმა მაშხალები დაანთეს, სამცხელთა სასახლის ეზო განათდა და ყველამ შეიცნო თუ ვინ იყო მაღალი, თმამოშვებული ვაჟი, რომელსაც შეუფერებელი ტანისამოსი ეცვა.

- უფლისწულო თქვენ? მაპატიეთ - აღმოხდა მემნა სამცხელს
- ტახტისმემკვიდრევ, ეს რა მოგსვლიათ, გვაპატიეთ, შემობრძანდით - ბრძანა მარიამ სამძივარმა და უფლისწულს დედობრივი ალერსით გადაეხვია.

დაჩოქილმა მემნამ, იგრძნო რომ უცნაური მდგომარეობაში იყო ის და მისი სამცხელთა კარი და წამოდგა. შემდეგ დემნასთან მივიდა და მამაშვილურად გადაეხვია. დემნაც შვილივით მიენდო მემნა ჯაყელს და როდესაც სამცხელმა უფლისწულის თვალზე ცრემლი შეამჩნია საგონებელს ჩავარდა.

სამცხელთა კარი გაოგნებული უყურებდა ამ მისალმებას. ყველა თავის თავს და ახლო მყოფს ერთ კითხვას უსვამდა - რა ხდებოდა ბაგრატიონთა თავს?

***

იგი გამოერკვა ფიქრებიდან.

შავშეთს დაბანაკებული თურქების ბანაკისაკენ მიდიოდნენ მესხები კვლავაც, 1187 წლის შემოდგომა იდგა. აბიათარ, იგივე აფთარ კოპაძე მიუძღვოდა რჩეულიანთ რაზმს, სამცხის სპასალარი ოდნავ შორიახლო მიჰყვებოდა მესხ მეომრებს. უეცრად წარსულზე ფიქრი კვლავ მოსთხოვა სულის უფსკრულმა და მისმა გრძნეულმა დაიმონმა წარიტაცა წარსულის მორევისაკენ:

„მაშინ დემნა ბატონიშვილმა ორბელებთან შემახვედრეთო სთხოვა მამაჩემს მემნა ჯაყელს. მემნაც დაემორჩინა და იმ ღამეს ჩვენთან დიდი ორბელები მოვიდნენ, ისინი მამობრივი ალერსით გადაეხვივნენ ატირებულ უფლისწულს, მემნა ჯაყელი დაამშვიდეს, „აწი ჩვენ

უპატრონებთ ტახტის-მემკვიდრესო“ ბრძანეს და თავისთან წაიყვანეს დემნა. შემდეგ კი როგორც ჩანს მეფე გიორგი III თან მოლაპარაკება დაიწყეს.

„აი ეს იყო მაშინ ჩვენი შეცდომა, არ უნდა გაგვეშვა საბრალო უფლისწული ორბელებთან, რომლებმაც მისით მეფესთან ვაჭრობა დაიწყეს. შემდეგ დემნას თავის ასული შერთეს და თითქოს მეფესთან ყველაფერი მოითათბირეს. გიორგი მეფე ორბელებს დაჰპირდა, როგორც კი რეგენტობის დრო გამივა და დემნა სრულწლოვანი გახდება მაგას საკუთარი ხელით დავადგამ გვირგვინსო. მოტყუვდნენ ორბელები და დაეთანხმდნენ. დემნა თბილისში დააბრუნეს და ცხოვრება მშვიდობიანად განვითარდა მას შემდეგ“- ამ საფიქრალში იყო სამცხის სპასალარი.

„აი ამის შემდეგ საბრალო უფლისწული არ მინახია, მე პირადად, მანამ სანამ 1178 წელს აჯანყების ალამი არ ააფრიალა მან და მე როგორც მის სიყმაწვილის მეგობარს უსტარი არ მაახლა:

გიხმობ მეგობარო ჩემს ბანაკში - ეწერა უფლისწულის ხელით იმ უსტარში. მერე რა ვქენი მე?“

- მამაჩემის სიტყვები გამახსენდა, „მუდამ მხარში უნდა ედგე მას“, სწორედ ამ სიტყვებმა გამოიწვია ჩვენი წასვლა დემნას ბანაკისაკენ. მივედით და დავდექით დემნასთან მაგრამ უფლისწული ვერ გადავარჩინეთ - ჩურჩულებდა ბოცო. ამ დრო მან აბიათარ კოპასძეს შეხედა, რომელიც მისკენ იყურებოდა.

აბიათარი შეჩერდა და რაზმეულიც შედგა. კოპაძემ მოიხსნა მშვილდი, ააწყო სამიზნე, გაიხადა მოგდებული მოსასხამი და ხელთ იპყრო „მგლოსანი“ ფარი. რაზმეულმაც იგივე ქმნა.

- აქაა მტერი სპასალარო! - თქვა კოპაძემ რაზმეული ჩააჩოქა და თავად სპასალართან ერთად კლდის თხემისაკენ გაძუნძულდა.

გარემო რძისფერი ნისლით აივსო უეცრად. ნისლი ქარაფებიდან დაბლა ეშვებოდა. ამ დროს უნდა გამოყენება - ნისლში შევიდეთ ,გაიფიქრა კოპაძემ და სპასალარის გვერდით ჩაიჩოქა.

***

შავშეთის მთავარ სოფელში შეიჭრნენ მესხნი. ნორგიალე ერქვა ამ ადგილს. უძველესი ადგილი წარღვნის დროს გადარჩენილი ადამიანისა. „თავად ჩვენმა მამამ ნოემ ჩაუყარა საფუძველი ქალაქ ნორგიალეს, აქ ქალაქი იყო უწინ, ჩვენი მამის ნოეს ქალაქი“ - უყვებოდა მღვდელი სალუზაყანი ნორგიალეს ეკლესიის მრევლს უწინ. მაგამ ეხლა იგი თავად იყო დაბორკილი და გაყიდვას უპირებდნენ, როგორც ჩანს წყეული მომხვდურინი. შემოჭრილი თურქნი შამელნი იყვნენ იცოდა მღვდელმა. შამი სირიაში ეგულებოდა და ვერ გაერკვია თუ რამ შეაწუხა თურქთა რაზმი, ამხელა გზის გადმოსაჭრელად. „თუ რბევა უნდოდათ იქვე არ იყო სარბევი, აქ რაღაც სხვა ამბავია, ეს ის ხალხია ვინც დასაზვერად გამოგზავნეს“ - ფიქრობდა სალუზაყანი და დალილავებული, ჩასისხიანებული თვალებით ხანდახან ახედავდა მის წინ მიმავალ მრბეველს.

სოფლის ახალგაზრდები უკვე ოპიზისაკენ მიმავალ გზაზე გაეგზავნათ თურქებს, შოლტებს უტყლაშუნებდნენ გზა და გზა.

„მეორე ჯგუფში ჩვენც გაგვიშვებენ ოპიზის გზაზე,, ოპიზა აღებული აქვთ და იქ ეყოლებათ დიდი ლაშქარი “- გასძახოდა სალუზაყანს დიაკონი იეზიკიელი, რომელსაც

შამელნი დიდ მორზე აბამდნენ, სხვა ტყვეებთან ერთად, თან დასცინოდნენ და მაჯების წინ გაწვდენას თხოვდნენ, უფრო კარგად დასაბმელად.

- არ დამოჩილდეთ ხალხო ,არ დამორჩილდეთ, მალე მოგვისწრებს მეფეთა-მეფე თამარის ლაშქარი - გაჰყვიროდა დიაკონი იეზიკიელი და თვითონაც აქეთ იქით ხტოდა რომ შამელთათვის მისი დაბორკვა გაერთულებინა, მაგრამ ბოლოს მაგარი დარტყმა მიიღო რახტით ხელებში და ტკივილისაგან მორის ძირს დაეცა.
- დიდი ჯარი ყავთ, იეზიკილ, დადუმდი ბიჭო, სად მოგვისწრებს ქართლის ჯარი - არიგებდა ჭკუას იეზიკიელის სიმამრი ჯარასონი თავის დიაკვანს, მაშინ როცა შამელნი შედგნენ და უეცრად გამაყრუებელ ყვირილს მოჰყვნენ.
- რა ხდება ნეტა რატომ ყვირიან ეს შავი მურთხები? - კითხულობდა მღვდელი სალუზაყანი და გაოცებული მისჩერებოდა შამელ თურქებს, რომლებიც სწრაფად დარბოდნენ და მწყობრად დადგომას ლამობდნენ ნორგიალეს მოედანზე.
- ეტყობა ჩვენები მოდიან - იყვირა იეზიკიელმა და როდესაც ფეხზე კვლავ წამოხტა იქვე მდგომ შამელს წიხლი იმგვარად ჩაცხო რომ შამელი მოცელილივით დავარდა მის ფეხქვეშ. სხვა შამელმნი მივარდნენ დიაკვანს მაგრამ აქაც დიაკვანმა იმკვირცხლა და შემხვედრი წიხლი შეაგება ორივე მომხვდურს, ერთს ნიკაპში მოარტყა ფეხი და იქვე ჩაკეცა, ხოლო მეორემ ფეხი დაუჭირა და დიაკვანი მიწაზე მოაფორთხიალა, მაგრამ ამ დროს სხვა დაბორკილებმა წამოყვეს თავი და ერთამ მათგანმა შამელ თურქს თავში მუშტი ჩაცხო.
- ჩვენები, ჩვენები მოდიან - იყვირა იეზიკიელმა და მართლაც მოედანზე დაწყობილ შამელთა კოჰორტას, მგლისტყავიანების ასეულმა დაუწყო გარსშემორტყმა. „მგლოსანი ფარებით“ აღჭურვილმა მესხებმა შამელებს ერთი შეუძახეს დაგვნებდითო და არც კი ათხოვეს შემდეგ მათ პასუხს ყური ისე დაუწყეს თავების სხეპა მათ წინამბრძოლებს.

ბოცომ დაიმარტოხელა შამელთა ბელადი, მაღალი ახოვანი, ტყავის აბჯარში გამოწყობილი სირიელი თურქი და ისეთი ძალით უთავაზა სპასალარის შვეტი მის ფარს, რომ ფარი ორად გადახია და ხელის მტევანი მიწაზე დააგდებინა შამელს.

აფთარ კოპასძე სასწაულებს შვებოდა საკუთარ მოლაშქრეებთან ერთად, დაიხრებოდა, შევარდებოდა შამელთა მწყობრში, მანამ ურტყამდა აქეთ და იქით თავის ხრმალს, გარშემო მყოფ შამელებს, სანამ ყველა ისინი საკუთარ სისხლისა და ტვინის ნარევში, ნაწლავებში გადახლართული არ დაეფინებოდნენ ნორგიალეს მიწაზე.

აირია შამელთა მწყობრი, ცხენებისა და ცხენოსნების საბრძოლველად გამოყენება ვერც მოასწრეს, მხედროზაში განთქმულმა თურქმა მეომრებმა, აირიენ, დაირიენ, მუხლმაგარი მესხების მიერ შეშინებულებმა და იკადრეს დაჩოქება.

მესხები დაჩოქებულებს აღარ უტევდნენ, აბიათარ კოპაძემ შეწყვიტა ომი და დაჩოქებულები ნორგიალეს მოედანზე დააბორკინა, ეხლა უკვე განთავისუფლებულ იეზიკიელს, სალუზაყანს და მისი მრევლის წევრებს.

ნაწილ - ნაწილ ჯგუფ ჯგუფად დაბორკეთ და ჯაყისაკენ გარეკეთ - უბრძანა ათისთავებს აბიათარმა, თვითონ კი მიუტრიალდა ბოცო ჯაყელს, რომელიც ნორგიალეს განთავისუფლებულ მოსახლეობას რჩეულიანთა ერთად ოპიზისაკენ გალაშქრებას დაუყნებლივ სთხოვდა.

***

სამცხის სპასალარი ნორგიალეს ეკლესიის სამრეკლოდან მიმართავდა შავშეთის მკვიდრთ:

„ღვთის დახმარებით შამელთაგან განთავისუფლებულო ნორგიალეს მკვიდრნო, გიბრძანებთ რჩეულიანებს შემოეწყოთ და ათასისთავს დაემორჩილოთ, ეხლავ უნდა გავეემართოთ ოპიზისაკენ, გარმიანისა და შამის თურქებს დავასწროთ გამაგრება და ავიღოთ ოპიზა“- ამბობდა სპასალარი.

- შენ ის ბოცო ჯაყელი არ ხარ, რომელმაც ორბელთა აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა შვიდი წლის წინ? - შეჰყვირა უეცრივ მდვდელმა სალუზაყანმა და საკუთარ ხალხს მოხედა.
- მე ის ბოცო ჯაყელი ვარ, რომელიც საბრალო დემეტრე II ბაგრატიონის გადარჩენასა და გამეფებას ელტვოდა მდვდელო - მკაცრად თქვა სამცხის სპასალარმა.
- ჰოდა თუ ეგრეა ჩამო სამრეკლოდან ერისთავო - ანჩხლად იყვირა სიმკაცრით განთქმულმა სალუზაყანმა და მარჯვენა ბოცოსკენ გაიშვირა ხოლო მარცხენით შამელთაგან წართმეულ შუბს დაუწყო მომარჯვება.

აბიათარის რაზმელებმა მდვდელი უცებ განაიარაღეს და ხელახლა დაბორკეს.

- სამცხის სპასალარის ბრძანების შეუსრულებლობისათვის სიკვდილი ურჩებს - შეჰყვირა აზნაურმა ფოცხოველმა და ნორგიელელებს თვალი მოავლო.
- ხო ხართ ლომები? ხო მოდიხართ ოპიზისაკენ? - დაჰყვირა თავზე შებრკოლებულ სოფლელებს აზნაურმა არსიანელმა.
- ჰო მოვდივართ იარაღი მოგვე, იარაღი! - ამოღერღეს ნორგიალეს მკვიდრთა და ბოცო ჯაყელს ახედეს.

***

ოპიზისაკენ მიჰქროდნენ რჩეულიანნი. როდესაც მალემსრბოლი გამოიჭრა ტყის დიდი მასივიდან და „სამცხის სპასალარი რომელიაო“ - იკითხა.

- მე ვარ სამცხის სპასალარი - იცრუვა აბიათარ კოპაძემ და კაცი მასთან მოიხმო.
- გუზან ტაოსკარელისაგან ვარ, ოპიზასთან ვდგავართ და გელით, შუადღეს უნდა შევარდეთ ოპიზაში.
- არის შევარდეთ - უპასუხა მხედრულად აფთარ კოპაძემ და კაცი უკან დააბრუნა გუზან ტაოსკარელთან.

***

შამელი თურქების შემოსევისაგან, უცხო კირთებით, უვნებლად გადარჩენილი გუზან ტაოსკარელი ტყეს იყო შეფარებული. რადგანაც იგი თბილისელი კაცი იყო და სამეფო კარის მიერ არც თუ ისე დიდი ხნის წინ დაენიშნათ შავშეთის ერისთავად, გუზანმა არც მთლად კარგად იცოდა შავშეთის გზები, ხეობები, რაც აუცილებელი იყო მტრის მოსაგერიებლად.

- არ ვარ სამხედრო - ამბობდა გუზან ტაოსკარელი, რომლიც შვილი გახლდათ ტფილისელი ამირა - ქურდისა აბულასანისა.

გუზანი, უფრო პოლიტიკოსი იყო, ვიდრე სამხედრო, მაშინ როცა ბოცო უფრო სამხედრო იყო ვიდრე პოლიტიკოსი. ამიტომაც, ეს ორი ახალგაზრდა კაცი, ერთმანეთს თავიდანვე ნაკლებად უგებდნენ, მაგრამ ერთად გატარებული ბავშვობა და სიყმაწვილის წლები მათ ურიერთ მეგობრობას განაპირობებდა.

- ბოცო მოვა, უკვე შავშეთისა და არსიანის ქედი გადმოუვლია, რჩეულიანთ მოუძღვის, გიჟი აბიათარი ყავს, მაგათ ვინ დაუდგებათ წინ, ისე გასცელავენ ამ თურქებს, როგორც ნამგალი ქერსა - ამბობდა გუზანი და ტყეში ელოდა საკუთარ მალემსრბოლს შეშფოთებული.

გამოჩნდა კაციც, მიიჭრა გუზანთან და უთხრა:

- შუადღეს შეუტიოთო მიბრძანა სამცხის სპასალარმა.
- სად არიან ეხლა- გუზანს თვალები გაუბრწყინდა.
- მონადირული ნაბიჯით, ტყე-ტყე მოდიან, დევის ქვასთან იქნებიან - თქვა გუზანის კაცმა.

***

მოდიან სწრაფად, მონადირულად, ფეხ-აკრეფით, არა მწყობრად, მოუყვებიან ტყეს. ახლოს არიან ოპიზასთან, აი მართლაც დევის ქვა გამოსჩნდა, მაგრამ ბოცოს გუნება აქვს გაფუჭებული.

- ეს რა გაბედა მღვდელმა - ეკითხება თავის თავს ბოცო და თვითონვე პასუხობს:
- მოღალატე ხარო დამაბრალა.
- ჰოდა ვერ გავიგე, როგორ შეიძლება დემნას მომხრეს მოღალატე დააბრალო, ხოლო გიორგი მეფის მომხრეს მამულიშვილი უწოდო?
- ვერ გამიგია ამ ჩემი ხალხის, აბიათარო! - ჩაილაპარაკა ეხლა უკვე ხმამაღლა ბოცომ.

მუდამ მდუმარე აფთარ კოპაძე შემოტრიალდა, თვალებში ჩააკვიდრა, მისსავე აღზრდილ სამცხის სპასალარს და მუნჯურად კითხა „რა ვერ გაგიგიაო?“

ხელის ნიშნებით და მხრების აჩეჩვით მიუგო ბოცომ რაღაც აბიათარს, რომელმაც ხელები შეატყუპა და ოპიზისაკენ მიუნიშნა.

„მუდამ ასეა აბიათარი, მტერზე დაგეშილი. ჩვენს მამულს მხოლოდ ამგვარი ათასისთავები სჭირდება“- გაიფიქრა ბოცომ და ის ამბავი გაახსენდა თუ როგორ შეხვდა ბოლოს დემნას უფლისწულს.

***

1179 წელი იდგა. მტრისაგან ალყაშემორტყმული დემნა ლორეს ციხის აღმოსავლეთ ქონგურებს ათვალიერებდა, როდესაც მის საპირისპიროდ ბოცო ჯაყელი გამოჩნდა. დაღლილმა დემნამ თვალები მოჭუტა, თითქოს მხედველობას უჩივისო ისე დააკვირდა სამხედრო ბლისკინზე მომავალ მაღალ და ტანბრგე კაცს და როდესაც ამ კაცში ბავშვობის მეგობარი შეიცნო გულში იმედი ჩაეღვარა.

- მოგესალმები მეფეო, აფხაზთა და ქართველთა, სომეხთა და რანთა.....- დაიწყო ცალ მუხლზე ჩაჩოქოლმა სამცხელმა ენის დაბმით.
- მორჩი, მორჩი ერთი ამ სისულელეების ჩამოთვლას მოჭიდავევ, წამოდექ ფეხზე ჩემო ბავშვობის მეგობარი - დემნა იგივე დემეტრე მეფე ბოცოს დასწვდა და სამცხელი გულში ჩაიხუტა.
- მეფეო, მეფეო სირცხვილია - ბლუკუნებდა სამცხელი, მას ზურგს უკან ორბელთა სამხედრონი შეუჰურებდნენ მკაცრად.
- ჩვენ სამუდამო მეგობრები ვართ ჩემო სამცხელო - ამბობდა დემნა.

ეს მოგონება თითქოს ნისლში ჩაიკარგაო, ისე გაქრა. დემნა უფლისწული ამ შემდეგ ცოცხალი არც არავის უნახავს.

შეტევა ოპიზის მიმართულებით

„ვინძლო დავრჩენილიყავი ლორეს ციხეში იქნებ გადამერჩინა ჩემო მეგობარი“ - აკვიატებულს ფიქრობდა ბოცო სამცხის სპასალარი, რომელიც მიუხედავად აბიათარის თხოვნისა პირველი შეიჭრა შამელ და გარმიანელ თურქთაგან დაკავებულ ოპიზაში და ოც-ოცდახუთ კაციან რაზმს მარტოდმარტო შეება. მისი მჭრელი „შვეტი“ ფხრეწდა ჯერ თურქთა ფარებს, ხოლო შემდეგ მათ კიდურებს მიწაზე მიმოფანტავდა. თავად თურქნიც უტევდნენ ბოცოს, მაგრამ მისი მოქნილი მგლოსანი ფარი ყველგან ასწრებდა და ჯერ-ჯერობით თავად ბოცო უვნებელი იდგა, ხოლო მის წინ მოჯარული ხალხი, სამცხელის შეუვალობისაგან გაოგნებული უკან ილტვოდა.

რჩეულიანნიც ასევე იბრძოდა. აზნაური ფოცხოველი ასევე თურქთა დიდრონ რაზს შეება, აზნაური არსიანელი კი იქით მიუხდა მწყობრად მდგარ შამელთა გროვას, ასევე იყვნენ სხვანიც. ქირქიშ არტაანელმა თურქთა ბელადს ენა ამოგლიჯა და შამელებს მიუგდო.

აბიათარი რჩეულიანთა მეორე ჯგუფის შემოსვლას აწესრიგებდა ოპიზის გალავანში. რჩეულ მესხთა შორის ნორგიალეს მკვიდრნიც ჩაეყენებინა და მათ უკან დარბოდა, ნორგიალელებს სულს უმაგრებდა, „არ ჩაფახდეთო“ - ჰარპიასავით თავს დასტრიალებდა, ზოგს ძალით მიაგდებდა მტერზე და შემდეგ ეუბნებოდა „გაქანდით ბიჭებო და ურჯულოთა შორის შევარდითო“. ნორგიალელ უკან დახეულებს, შუბს ურჭობდა ქირქიშ არტაანელი და იცინოდა, „თქვენი ნაზრახი სიცოცხლე, შამელთათვის მიმინდვიაო“. გაგულისდნენ ნორგიალელები, ერთი შეუძახეს თავს „ვაჰმეო“ და უმალ შამელთა გრძელ, წვრილ ბუნიკიან შუბებზე წამოეგნენ, აი ამ დროს მიჰყვნენ მათ რჩეულიანთ რაზმის ბუმბერაზები, საბახტარ და ბერმუხა სრესელები, რომლებიც შუბებით შეუვარდნენ შამელთა მწყობრს და ბოლომდე გავიდნენ. გაიხლიჩნენ შამელნი, გაიქცნენ გარმიანელნი.

ბოცოს პირველ შეტევას აზრიც ის ჰქონდა, რომ სპასალარის გიჟური მიტევებით, რამოდენიმე მეტრი უნდა მოეგოთ მესხებს ოპიზის ციხის პლაცდარმზე, მანამ სანამ მათი მთლიანი მასა ქალაქში არ შევარდებოდა. აი ეხლა რჩეულიანები უკვე ყველგან ტრიალებდნენ, სახლის სახურავებზე, კოშკებზე, ბოსლებზე და ბაგეებზე არბოდნენ, შემდეგ ქუჩებში შეჯგუფებულ შამელებს სხვადასხვა მხრიდან ატყდებოდნენ თავს და ყოველ მხრივ ავიწროვებდნენ მოწინააღმდეგეს. ამგვარი ბრძოლის ხერხი აბიათარ კოპაძეს თავად ქონდა დასწავლული სპარსელთაგან და შემდეგ წლობით დანერგილი რჩეულიანთა რიგებში.

ამასობაში, ოპიზელებმაც გაინთავისუფლეს თავი შამელთა ხუნდებისაგან და ხელი იარაღს ჰკიდეს. ქალაქელებიც აღიჭურვნენ და ოპიზის მთავარი მოედნისაკენ დაიძრნენ, სადაც გააფთრებული ჩეხვა ჯერ კიდევ მიმდინარეობდა.

ერთის მხრივ ოპიზარებისა და მეორეს მხრივ რჩეულიანთა რაზმის შეტევას შამელი და გარმიანელი თურქები ვერ დაუდგნენ. მაშინ როდესაც მათი ყოჩი - უმარი, აზნაურ

ფოცხოველს შეება ყველა გაირინდა. ბოცო და აბიათარი შერკინებულთა გარშემო დაიარეზოდნენ და უმარს უმზერდნენ.

ხდება ამგვარი ორთაბრძოლის დროს, ფოცხოველი და უმარი ერთურთს მაჯებში წააფრინდნენ და ბოლოს მიწაზე დასცვივდნენ. ორივე დაჭრილი იყო. სისხლი უხვად მოედინებოდა მათი სხეულებიდან. ჭიდილისაგან ისინი მიწაში უფრო და უფრო ეფლობოდნენ. ბოლოს უმარს სახე ტყვიისფერი გაუხდა და ფოცხოველი ბოცომ წამოაყენა ფეხზე.

შამელნი რამოდენიმე წამი მისჩერებოდნენ მომაკვდავ უმარს და შემდეგ პირუტყვის თვალებით ათვალიერებდნენ აბიათარს, რომელიც მათ დაიჩოქეთო მოუწოდებდა.

ბოლოს დაიჩოქეს გადარჩენილმა შამელებმა, კისრები წინ წაიგრძელეს და მუხლებზე მდგარნი თავიანთ ხვედრს ელოდნენ.

„გავიმარჯვეთ“ - შესძახა ბოცო ჯაყელმა და მისკენ მომავალ გუზან ტაოსკარელს გადაეხვია.

კახაბერ ჯაყელი

12 მაისი, ანდრია პირველწოდებულის დღე, თბილისი, საქართველო.

„მყარ ჩვევად მაქვს ყოველ ქალაქს სახეც დავუთვალიერო და გემოც გავუსინჯო, ამ მხრივ თბილისი აზიის თეთრი მარგალიტია, რომელიც თავისი ათინათებით მნახველსაც ათროობს და მცხოვრებსაც ართობს, არასოდეს მინახავს ასე უზრუნველი ხალხი, მოქალაქენი მომღიმარი სახით ხვდებიან ერთურთს. ლამაზ ქალაქსა ჰგავს თბილისი და მას ისევე როგორც ლამაზმანს, მცირედი გარჯით შეუძლია კარგად იცხოვროს. შეხედე აქაურებს, თუნდაც შედედებული რძის დამტარებელთ, გინახავთ ასე ამაყად მოარული ვინმე კაიროში ან მაზანდარში. ჩვენს ხელოსანს დღედაღამ ხვითქით ჩამოდის ოფლი შრომისაგან, ამათ კი სულ ქეიფზე და დროსტარებაზე უჭირავთ თვალი და მაინც ფული საკმარისი აქვთ. უდავოდ ღვთის განგებამ შექმნა ეს ქალაქი სინათლისა და სიყვარულის ურთიერთობით“.

ეუბნებოდა იბნ ჰაუკალი თავის ძმისწულს, რომელიც ბიძის გვერდით მიუყვებოდა მტკვრის სანაპიროს.

„ეს ქალაქი არაბთა ჩრდილო დასაყრდენი იყო ერთ დროს, ასე წერია ჩემს წიგნებში. ახლაც ვატყობ არაბთა ხელს ქალაქის აღმოსავლეთ მხარეს და ზოგიერთ სახლს შეფენილს მთის ფერდობზე მრგვალი მოედნის პირდაპირ. აქ მე ვხედავ ჩვენ გავლენას და სხვა არაფერს, - კუშტად გამოთქვამდა თავის აზრს ალ აჰმედი.

„ოი, ჩემო ძმისწულო, არ შეიძლება ყველაფერი მხოლოდ შენი წიგნებით შეაფასო, ამ ქალაქში თითქმის ოცდაათჯერ ვყოფილვარ და ვიცი რასაც ვამბობ“.

„რას ამბობ, ბიძაჩემო, როგორ დავიჯერო, რომ ქალაქი, ამ უბრალო და უწიგნური ხალხის ხელში ჩავარდნილი, არ გვთხოვს ჩვენ - ჯომარდებო, მოდით დაამყარეთ თქვენი წიგნიერი სჯული და კანონები და მოიპოვეთ ის, რაც ერთხელ უკვე გეკუთვნოდათ - ქალაქი საქარავნე გზაზე. ეს ქალაქი ხომ ასე მნიშვნელოვანია დღეს აზიის კარიდან გამოსული მხედრობისა თუ ქარავნისათვის“, - თვალები უბრწყინავდა ალ აჰმედს.

„ჩვენ ვიცით რაღაც ძმისწულო, ის წიგნი მე არ წამიკითხავს რითაც შენ დღედაღამ გაბრუებდნენ მედინის სასწავლებელში. მე ყველაფერი გზებით მაქვს ნასწავლი, გზები კი თავად წიგნებია, მასზე ქარავნები წერენ და შემდეგ გამოცდილი ხალხი კითხულობს ამ წიგნებს. შენ პირველი ხარ მგზავრობაში, არცთუ ურიგოდ გიჭირავს თავი, მაგრამ ჯერ ვერ კითხულობ საქარავნო გზის სიბრძნეს. ერთ ამბავს მოგიყვები ამ მხარეს რომ წარმოაჩენს წარჩინებულად და ღირსეულად.

ერთხელ შენი მამის იაკუბ იბნ აჰმედის სიცოცხლის ჟამს ჩვენი ქარავანი ბარდასთან შეჩერდა. ჩამორჩენილ აქლემებსა და მათ მცველთ ველოდებოდით. ასე უქმად ვიდექით ერთ დღესა და ერთ ღამეს. გამთენიისას ზეცა თქეშად დაინთქა დედამიწაზე, მუჭის სიმსხო ღვარცოფი და სეტყვა დაატყდა თავს ჩვენს ბანაკს, დაუბერა აღმოსავლეთის ქარმა და გალავნის გარეთ მყოფ სახლებს სახურავების

აგლეჯვა დაუწყო. ჩვენი კარავი ბუმბულივით აკრიფა ქარმა, გადატყდა კარვის ერდო და ნატეხი შუბივით ჩაესო ჩემს მსახურს ყივჩაღ ოთაღოს, აქლემები უდაბნოს ქარაშოტებს შეჩვეულ ქარს მტკიცედ რომ უძლებდნენ, ხოშკაკალამ გადარია და გამიქცია. სასოწარკვეთილი ხან აქლემებს მივსდევდი დასაჭერად და ხანაც მსახურებს ვშველოდი ბარგის შეგროვებაში. ქარი არ ცხრებოდა, წვიმა იმგვარად გაძლიერდა, რომ ბარდავს მცხოვრებნი ციხე-კოშკს მიაწყდნენ და ქალაქის თავს ციხეში შეშვება მოსთხოვეს. წვიმის წყლით მოდიდებული მდინარე ბარდავის ჯებირს და სარწყავ არხს გრგვინვით ეჯახებოდა. მცირე ზომის არხი ვერ უძლებდა გადარეული ბუნების შემოტევას და დატბორვით ემუქრებოდა არა მარტო ბოსტნებს, არამედ ქალაქსა და მის შემოგარენს.

უმწეოა კაცი ბუნებასთან შერკინებისას, სტიქიონის შემოტევა წამალია კაცთა თავნებობის განსაკურნავად. შევყურებდი თუ როგორ მანადგურებდა ქარიშხალი და წასალეკად მოვარდნილი მდინარე იმ ავლადიდებას, რაც ცოდვითა და ჯაფით მქონდა ნაშოვნი და თავს ვერაფერს ვშველოდი. ამ დროს დაჭრილმა ოთაღომ შემომყვირა - ციხეში შედით, ბატონო, და ამ საქონელს მე მოვუვლიო. ავიღე ხელში ფულით სავსე ზარდახშა და ციხე კოშკისაკენ წაველ არა იმიტომ რომ მეშინოდა, არამედ იმიტომ, რომ ქარავნის სამოძრაოდ ასე საჭირო ნაღდი ფული გადამერჩინა და შემდეგ ჩემ მხლებლებთან ერთად შინ დავბრუნებულიყავი. ძლივს მივიკვლევდი გზას მოლიპულ სრიალა ფერდობზე და როგორც იქნა ციხე-კოშკის კარავთან ავღმოჩნდი. ჰეი, ციხისთავო, შემომიშვით, გთხოვთ, უცხოელი კაცი ვარ, ქარავნის თავი, - შევძახე მე და კარიბჭეს ხელი დავკარ. წვიმა ძლიერდებოდა და არემარე დაბნელდა ამ დროს. მთის ძირი, სადაც ჩემი ბანაკი და მსახურნი დავტოვე, თითქმის აღარ ჩანდა. სასოწარკვეთილი გავყურებდი გადარეულ გარემოს, გონებაში ზარალს ვითვლიდი და ველოდებოდი როდის გამიღებდნენ კარს ქალაქელნი. ერთ-ერთი სარკმელი რომ გაიღო და წვერიანი კაცის მსუნაგი თვალები დავინახე, უნებურად ზარდახშას ქულაბა ჩამოვაბურე და სარკმლისაკენ ავიხედე. წვეროსანი აღარ მოსჩანდა. სამაგიეროდ რამდენიმე ხანში კარიბჭე გაიღო და ოთხი შეიარაღებული კაცი აქეთ-იქით ამომიდგა. ორმა მათგანმა ხელები გამიკავა, ხოლო ორმა ზარდახშა გამომგლიჯა ხელიდან. აღარ ვიცოდი მეყვირა თუ მეტირა, წინააღმდეგობის გაწევა აღარ შემეძლო, დავიჩოქე ქალაქის კარიბჭესთან და სველ მიწაში ჩავყავი თავი. ასე ვეგდე ერთხანს და მერე, როცა თქეში შეწყდა, ფეხზე წამოვდექი და ქალაქს ავხედე, მთელი მრისხანება ჩავაქსოვე ყვირილში და როცა ვიყვირე, კატის კნავილს წააგავდა იგი. შემრცხვა კიდეც საკუთარი უსუსურობის და თავი ჩავქინდრე. გახსოვდეს კარგად, ყველაზე მამაცი კაციც კი შეიძლება უსუსური აღმოჩნდეს უეცარი უბედობის წინაშე. მეც მდიდარი და სახელოვანი ახალგაზრდა, უეცრად ყარიბად გადავიქეცი. აქლემები აღარ მყვანდნენ, მსახურნი ტალახიდან და ტბორებიდან ამოსულ მათხოვართ მივამსგავსე. მდინარის თავხედობას გაეტაცა თითქმის ყველა ყუთი და ზარდახშა, რაც მეზადა. სველ მიწაზე დამჯდარი ვუყურებდი ზეცას და ჩუმად ვტიროდი. ვტიროდი, როგორც უბირი და ღატაკი,

დამარცხებული და უიმედო. ღამდებოდა. მხოლოდ დილას უნდა მომეძებნა ჩემი აქლემები და ეს აზრი აფორიაქებდა ჩემს სულსა და გონებას.

ღამე თეთრად გავათენე, ვლოცულობდი. ლოცვა იმედს მიმატებდა და ღმერთის ხსენება ძალას. გავიხსენენ თითქმის ყველა ნაცნობი ამბავი ქარავანთა შესახებ და მივხვდი ჩვენი გზა ფათერაკებით უნდა ყოფილიყო სავსე, ხოლო ჩვენი წვერი გამოცდილებით. რატომ აქვს ქარავნის თავს მშვიდი მზერა? იმიტომ რომ თვალები მისი წვდებიან და ხედავენ მთებსა და ზღვებს შორის გადაჭიმულ იმ სიბრძნეს - მოგებას რომ ეძახიან. მივხვდი ახლა, ამ ავბედობის ჟამს უნდა ვყოფილიყავი მედგრად და გამემხნევებინა მსახურნი ირგვლივ. სულ მალე ფეხზე დავაყენე ჩემი დაკონკილი რაზმი და დაკარგული აქლემების მოსაძებნად გავეშურე. მართალი გითხრა ვგრძნობდი, რომ ვიღუპებოდი. დაღუპვის პირას იდგა მთელი ჩემი საქმე, ღირსება და მომავალი. გალუმპული და დაჩაგრული, ღვთის ნებით მივიწევდი ახალი დღის შესახვედრად.

არც კი ვიცი, რამდენი ვიარე უსიტყვოდ და უხმოდ. ნისლი, რომელიც ახლომდებარე ბილიკებს მოსავდა, ნელ-ნელა შარაგზისკენ მოიწევდა. ვერ ვიტყვი ვიცოდი კი საით მიმყავდა ჩემი ხალხი? არა, არ ვიცოდი. ასევე უმიზნოდ და უგონოდ ვინ იციის რამდენ ხელმძღვანელს უტარებია თავისი დასტა. მეც მიმყავდა ყივჩაღი და არაბი, ირანელი და ერთიც უტომო და უმეცარი კაცი - ფეროზი. ყველანი უხალისოდ მომყვებოდნენ, ყივჩაღი ოთაღო მთისკენ იყურებოდა დაზაფრული, არაბი მიწას ჩასჩერებოდა, ხოლო ირანელი ცას. მარტო ერთი ფეროზი მომდევდა და მისი სუნთქვის ხმა თუ იპყრობდა ყურადღებას ამ დროს.

ფეროზ, - მოვუტრიალდი მას ღიმილით -საით მივდივართ არც კი ვიცი. თუ ასე გაგრძელდა ან ვიღაცა დაგვხოცავს გზაში, ანაც თქვენ - ჩემი ხელქვეითნი მომისწრაფავთ სიცოცხლეს უთავბოლო წინამძღოლს.

დიდო ბატონო, გზაში მრავალი რამ გადამხდენია. ამ საქმეს ვიცნობ, ხეტიალში გავზრდილვარ და გამოვზრძმედილვარ. არც კი ვიცი საით მივდივართ და როდის შემოგვხვდება თუნდაც ერთი წესის, ადათისა და სჯულის დამცველი დასახლება, სადაც ბატონი ისევ ბატონად გადაიქცევა, ხოლო ყმა - ყმად. მაგრამ გთხოვთ ერთს, იარეთ იმედიანი სახით და მე ნაკლებად მელაპარაკეთ, თორემ ხვალ დილას ან უფრო სწრაფად ამ ქვეყნად აღარ მიხილავთ - ქვით ან საბლით გამისტუმრებენ აქერონს, - თქვა ფეროზმა, თეთრი ეშვები გამოაჩინა და განზრახ ჩამომრჩა. ამის შემდეგ იგი სულ უკან-უკან მოჩანჩალებდა და არაბ მსახურს ერთ-ორს თუ ეტყოდა რამეს.

მენიშნა ფეროზის ნათქვამი, მრავალი საქარავნო ისტორია გავიხსენე გონებაში და მსახურთა მიერ მოკლული ქარავნის თავიც არა ერთი მოვიგონე. ასეა ცხოვრება კაცთა მოდგმას პირადი მოგების წესი ამოძრავებს. ყველაზე უფრო ნაკლები

გამორჩენის მქონე მეაქლემე მანამ მოგდევს, სანამ უნარიანი კაცი გქვია და ხარ კიდეც. დამარცხებიდან გამარჯვებამდე თავის მიტანაა კაცის ხელოვნება და ნიჭი.

ორი დღე და ღამე მივჩანჩალებდით ამის შემდგომ, ორჯერ მაგარმა წვიმამ გაგვათახსირა და ცეცხლიც კი ვერ დავანთეთ, ისე მივედით საღამოს ერთ ნამოსახლართან და ჩამონგრეულ ციხე-დარბაზთან. მკვდარივით ჩამეძინა ამ დროს და ბაღდადს ამოვყავი თავი სიზმარში, წითელ ხალათიანი კაცი ვიხილე ჩემგან ზურგით მჯდომი. დავაკვირდი და მამაჩემი შევიცან - სიბრძნის კაცი. „იბნ ჰაუკალ, აქ არ გაჩერდე, ახლავე იმოქმედე, თბილისისაკენ წადი, არ გაჩერდე, გესმის“, - ამბობდა მამა და არც მიყურებდა, მხოლოდ ყოველ სიტყვას მაგიდაზე დარტყმულ მუშტს აყოლებდა. აი ასე, ბაგ, ბაგ, ბაგ.

გამომეღვიძა აფორიაქებულს, მიმოვიხედე და ჩემს გარშემო მხლებლები ვეღარ ვიხილე, უმალ ავი გავიფიქრე და ფეხზე კი არ წამოვდექი, არამედ გავხოხდი ბნელში, ასე ვიხოხე რამდენიმე ხანს, სავალი გზა გვერდით მივატოვე და მცირე გორაკი გადავიარე. შემდეგ სულ სირბილით ვიარე, შიშმა შეიპყრო ჩემი გული და გონება. ყოველი ხის ტოტი ხმლით შემართული თავდასხმელი მეგონა მაშინ და მივრბოდი, მივრბოდი ფრთაგაშლილ სირაქლემასავით და განრისხებულ მარტორქასავით.

არაფერი ვიცი რა მოხდა ჩემს ბანაკში, ასე ვთვლიდი და ახლაც ვთვლი, რომ სიკვდილი იქვე ახლოს დარონინებდა იმ ღამეს და ეს ყოველივე მამამ შეიტყო, ჩემი უტვინობით და გამოუცდელობით აღშფოთებულმა.

გამთენიისას უკაცრიელ ტბას წავაწყდი, ცხოველივით დავეწაფე მის წყალს და ამ დროს საკუთარ ანარეკლს შევავლე თვალი, არეული სახე, მღვრიე უძილარი თვალები და, რაც მთავარია, შიში შემომყურებდა ტბის კამკამა წყლიდან. შემეცოდა ჩემი თავი და რაც მთავარია, სამშობლოდან ასე შორს გადმოგდებულმა იმედთან გამოთხოვება წარმოვიდგინე. იქვე ტბის პირას დავწექი სიკვდილის მოლოდინში და შეწუხებული ველოდი ჩემს ხვედრს. რამდენიმე ხანს ასე ვეგდე და ველოდი რაღაც უხილავსა და საშიშს. ცოტა ხნის შემდგომ ჩემი თავის დაცინვა დავიწყე გულში. ამან გამამხნევა, რაც უფრო დავცინოდი ჩემს თავს, მით უფრო მძულდა ჩემი შიში და საქციელი. სულ მალე იქვე ნაპირთან დაგდებულ სიპ ქვას დავავლე ხელი და შევსძახე ომახიანად - „ჰეი, გამოდი, შემებრძოლე, თავი უნდა ჩაგიმტვრიო-თქო“ - რათქმაუნდა არავინ გამომეპასუხა.

აი, აქედან იწყება ჩემი ხელახალი აღორძინება. მრისხანებით აღტკინებული მივიწევდი წინ. ვახტებოდი ლოდებსა და ქარაფებს და უცნობ ბილიკებს მივთელავდი. ხელში ქვა მეპყრა და სულში უდარდელობა მედო თავხედობასთან ნაზიარები. გადავიარე მთა, ტყე და ფართო ველზე გავედი, აქლემი რომ გადააწყდება მოსისინე უხსენებელს, ეგრე მოულოდნელად თავზე წავადექი მინდორზე გაწოლილ ფართოდაშნიან და თეთრ ყაბალახიან მეომარს, რომელიც

იმდენად დაიბნა ჩემი დანახვისას, რომ ფეხზე წამოჭრაც კი დააგვიანა. ამასობაში მე ვეძგერე მას მაჯებში. დაშნა წავართვი და მისი ქარქაშიდან ამოღება დავაპირე, ამ დროს რამდენიმე მუზარადიანი კაცი წამოიჭრა ბალახებიდან, ყველამ რაღაც შეჰყვირა, ხმლები გააშიშვლა და მომვარდა.

მე მრისხანედ დავტრიალებდი ამ მოყმეთა მიერ გარშემორტყმული. ერთი იმწამსვე დავჭერი მაჯაში და მისმა ღმუილმა კიდევ უფრო გამაცოფა. ჩემს მიერ დაშნაწართმეული კაცი შუბშემართული მოქროდა ჩემსკენ. ვიგრძენი მისთვის დიდი შურაცხყოფა იყო იარაღის წართმევა და ახლა ჩემი სისხლით აპირებდა სირცხვილის განელებას. დაშნაწართმეულმა სწრაფად მომიქნია შუბი და ბარძაყში დამკოდა. არაბულად ვიყვირე - ყარიბად სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია-მეთქი და დაშნაშემართული მივუხტი ჩემს დამჭრელს.

შუბოსანი ჩემს ენაზე მეუბნება - „ვინ ხარ თქვი, რად დაგვესხი თავს?“ - და ტანსაცმელზე მაკვირდება.

არაბულის გაგონებისას თვალთაგან ცრემლი წამომცვივდა, დაშნა შორს მოვისროლე, ჩავიმუხლე და ალაჰს შევავედრე თავი. შუბოსანი შედგა და ჩემს ზურგს უკან მდგართ მჭახე ბგერებით რაღაც უბრძანა. მე დაბნეული ვიდექი და ვგრძნობდი ხმალგაშიშვლებულები მიმზერდნენ უცნობნი და ერთმანეთს რაღაცას ანიშნებდნენ.

„რა გქვია და საიდან მოდიხარ? - მკითხა ჩემს მიერ დაშნაწართმეულმა.

რა მნიშვნელობა აქვს საიდან ვარ, თუ მგზავრებს თავს ესხმით, მაშინ მეც მგზავრი ვარ, - ვუპასუხე დაეჭვებულმა მათი რიცხოვნობით.

ჩვენ მგზავრებს არ ვერჩით, შენ ჩვენს უფროსს დაესხი და ღირსი ხარ, რომ აქვე მოგკლათ, მაგრამ ჩვენ არ ვკლავთ უიარაღოებს, თქვენგან განსხვავებით. ამიტომაც ცოცხალი ხარ, - მიპასუხა დაშნაწართმეულმა.

ამასობაში ჩემს დამტყვევებლებს რამდენიმე ათეული მხედარი შემოემატათ. ახლა კი მართლაც არ ჰგავდნენ ისინი შარაგზის ყაჩაღებს. ცოტა ხნის შემდეგ მათ დიდი ტყავის დოლს ჰკრეს ხის ჩუგლუგით, რაზმი ოთხრიგად დაეწყო და სამი თეთრცხენოსანი გამოჩნდა, რომელთა შორის ერთი შავი ჯაჭვით შემოსილი ვეება რაინდი, მართლაც რომ დათვს წააგავდა. მის ძალუმ სხეულს წითელი ტოგა ემოსა, ისეთი, როგორც ბიზანტიელ პატრიციებს აცვიათ, ხელში მსუბუქი მშვილდი ეპყრა და ყველას მამაშვილურად ეპყრობოდა. ასევე ყველა მოწიწებით ეპყრობოდა მშვილდიან გოლიათს, მე ვიგრძენი, რომ მის გამოხედვაში ვეფხვი და მარტორქა იმალებოდა. რაზმეული დაეწყო, ცხენოსნებმა დაიქვეითეს და ერთ ჟამს ჩემსკენ შემოტრიალდნენ. ვერ ვიგებდი მათ უცნაურ ენას, რომელიც მე ფრინველთა ხმებს მივამსგავსე თავდაპირველად, მაგრამ ვხვდებოდი რომ მშვილდიანი ჩემზე

ეკითხებოდა მის წინ დაჩოქილ რაზმელებს და ჩემსკენაც იყურებოდა. ამ დროს მეც მიმიყვანეს ძალით მასთან და მიწაზე დამაგდეს.

ვის მოკვლას აპირებდი გვითხარ, ისმაილიტო, - საკმაოდ რბილი არაბული სიტყვებით იკითხა მშვილდიანმა ბელადმა.

არავის მოკვლას არ ვლამობდი, ვუთხარი მე და შემდგომ მთელი ჩემი ამბავი მოვუყევი სვენებ-სვენებით. ბელადი შედგა, ცოტა ხანს მიყურა გამჭოლი მზერით, მისი წაბლისფერი თვალები და არწივისებური ცხვირი ჩემი აზრების წაკითხვას ლამობენ.

ყოველთვის ასე ლაპარაკობთ, იგონებთ რასმეს, ნუთუ გგონია რომ მე თუნდაც დავემალებოდი შენს ან შენი ხალიფის თუ სარდლის გამოწვევას? - მკითხა მან.

სარდალო, - მივუგე, მე არასოდეს მითქვამს ტყუილი, რადგანაც მართლმორწმუნე ვარ, თუ გნებავთ შეამოწმეთ ჩემი სიტყვები, გნებავთ დამსაჯეთ.

როგორ შეიძლება შევამოწმოთ ის, რაც მოგვიყევი? - იკითხა მშვილდიანმა ბელადმა.

ბარდაში გაგზავნეთ ვინმე და ჰკითხეთ ქალაქის მცხოვრებთ ჩემი ქარავნის დაღუპვის ამბავი. არა მგონია, ხალხს არ ახსოვდეს თუ რა მოხდა გუშინწინ, ხოლო თუ არავინ გყავთ გასაგზავნი, მაშინ თვით უფალი იყოს ჩემი თავდები, - ვთქვი მე მძაფრად.

ნუ გეშინია, ვაჭარო - მომმართა ბელადმა და სიტყვა ვაჭარი რაღაცნაირად, ზიზღით წარმოთქვა, მალე ჩვენ ყველანი ბარდავში ვიქნებით და ბარდავის გამგებელს თავად უთხარი შენი სათქმელი. მე განსგჯით ორთავეს და ვინც მტყუანი გამოდგება, თავიც იმან დაკარგოს, - თქვა ბელადმა სიცილით და ჩემს მცველებს ხელი აუქნია.

ჩვენთან მოდიხარ, მაგრამ იცოდე თუ გვატყუებ, ჩემთან გექნება საქმე, - მითხრა დაშნაწართმეულმა.

მიმოვიხედე, სულ უფრო და უფრო მეტი ცხენოსანი მოიწევდა ჩვენს გარშემო. შორს დროშები გამოჩნდნენ და რაზმებად დაწყობილი სადღაც გაემართნენ. ჩემმა მცველებმა ცხენზე შემაჯინეს და ხელებიც კი არ შეუკრავთ ჩემთვის, ისე გამაჭენეს.

საოცარი ხალხია, ნეტავ ვისთან მოვხვდი? - ვფიქრობდი მე და ცხენს მივაჭენებდი. დაბლა გზაზე მშვილდოსნები და შუბოსნები მოემართებოდნენ ჩქარი ნაბიჯით, მონა სპებს დაშლილი საალყო მანქანები მოჰქონდათ, ღერძებს ჯორები მიაგორებდნენ. უეცრად ჩემმა მცველებმა ცხენიდან ჩამომათრიეს და მჭახე სიტყვებით მიწაზე განმართხეს.

თვითონაც დაიჩოქეს. როდესაც თავი ავწიე და ზევით ავიხედე, მიწაზე დამხობილი ლაშქარი დავინახე. ჩემი თვალები ეძებდნენ ვიღაც ხელმწიფეს ან სპათა განთქმულ სარდალს, მაგრამ მათ ნაცვლად ვეება ტყავის შალითაში შეხვეული ჯვარი დავინახე.

„გურჯების ხელში ვყოფილვარ ჩავარდნილი, - გავიფიქრე უმალ და თვალი გავაყოლე საომრად მიმავალ ქრისტეანთა სიმბოლოს, რომელსაც წვეროსანთა რაზმი მიასვენებდა“.

შემდეგ რაც მოხდა, ბიძაჩემო, მივხვდი კარგად, რადგანაც ვიცი რომ იმ ჟამიდან მოყოლებული ქარავანი უეჭველად თბილისზე დაგვყავს - თქვა გაღიმებულმა ალ აჰმედმა და იბნ ჰაუკალს შეხედა, რომელიც მოღვენთილი სანთლის ფორმის სახით მონუსხულივით გასცქეროდა სიონის მონასტრის დედო-ჯვარს.

კახაბერ ჯაყელი

მთავრის მგოსანთა ვნებათაღელვა XII ს-ში

(ჯაყელთა 1000 წელი)

მთვარე შუბის ტარზე იდგა, როცა მოსასვენებლად ნატიფი ჩუქურთმით შემკულ ტახტზე წამოწოლილ ალ აჰმედს მრავალხმოვანი სიმღერა მოესმა. მკაცრ შიიტად აღზრდილი ალ აჰმედი მარცხენა თეძოზე გადატრიალდა და მარჯვენა ყური თითით დაიცო. სიმღერა შეწყდა, ყურებდაცულ აჰმედს მარტოოდენ საკუთარი გულის ცემა ესმოდა:ბაგ-ბუგ, ბაგ-ბუგ, ბაგ-ბუგ, გავიდა რამდენიმე ხანი. აჰმედმა მარჯვენა ყურიდან თითი გამოიღო და მყისვე თბილისელ მომღერალთა ხმები მოძალადესავით შეიჭრნენ ალ აჰმედის ყურში, ავიდნენ ტვინში, თვალის ფოსოებში და ქვეითაც ჩაიჭრნენ სტომაქში, უფრო ქვევითაც გაითამაშეს. კუშტმა არაბმა მყისვე დაიცო მარჯვენა ყური და საკუთარ გულის ცემას მიენდო: ბაგ-ბუგ, ბაგ-ბუგ, ბაგ-ბუგ - აგრძელებდა „სიცოცხლის ჩაქუჩი“ თავის ჩვეულ საქმეს.

ცოტა ხანს ასე იწვა ალ აჰმედი და დამინებას ცდილობდა. თვალს რული არ ეკარებოდა, მაგრამ აჰმედი მოთმინებით ელოდა მას. გზაში ზლაზვნითა და ტაატით მიმავალ აქლემზე ხშირად ჩასთვლემია ახალგაზრდა არაბს, თბილისამდე ათიოდე დიდსა თუ პატარა ქალაქში მოუსვენია, მაგრამ ისლამის სპარსულ ხალიჩასავით ჭრელ სხეულზე, შუბივით მიბჯენილ ურწმუნოთა ქალაქში ბოლო ორ ღამეს ვერ მოუსვენია მოქარავნეს.

მცირე აზიელი ბერძნის პონიდოქიონში ცხოვრობდნენ ისინი. ბიძა იბნ ჰაუკალი დილისდანვე ეთხოვებოდა ალ აჰმედს და საქმეებს მიზეზობდა. მხოლოდ ღამით ბრუნდებოდა იგი უკან და იძინებდა. სიჩუმეს და მარტოობას მიჩვეული ალ აჰმედი, წესისამებრ ხუთჯერ ლოცულობდა და ფოლიანტებს ათალიერებდა მთელი

დღე. ალ ჯებრისა და ალ მუკაბალას აზრებში ჩაძირულ, ცოდნის მაძიებელ არაბს არაფრად მიაჩნდა ურწმუნო ქალაქი და მასში მცხოვრები ბრბო. სარკმლიდან ხედავდა იგი აღმა-დაღმა მიმავალ გაბურძგნულ თმა-წვერიან გუნდებს, ესმოდა მათი გაცხარებული რატ-რატი და ასე გადიოდა დრო. დამე კი ჩვეულებრივ ეძინა ალ აჰმედს მორწმუნე კაცის მშვიდი სავსე ძილით და კმაყოფილი სინდისით.

სწორედ ორი დღის წინ ასე კმაყოფილი, სავსე აზრით გამოეღიძა აჰმედს. როგორც ყოველთვის განიბანა და ლოცვა აღავლინა მან. შემდეგ მცირედ ისაუზმა ბერძენი ქალის მიერ მისივე წესით მომზადებული ცხვრის წვნიანით. საჭმლის მოსანელებლად პონდიქიონის ეზოში რამდენიმე ხანს სწრაფად იარა. რამდენიმეჯერ მოიქნია დამსაკური იატაგანი. ბრწყინვალედ გაჰკვეთა მიწაში ჩასობილი ალმიანი სამიზნე და ოთახში აიჭრა. ამის შემდგომ ალ აჰმედი ალ ჯებრის ვარჯიშს შეუდგა.

შუადღემდე ეძალებოდა იგი სხვადასხვა კვიმატურ გამოცანებსა და სავარჯიშოებს. თვითნაბადი ოქროს ზოდივით ნელ-ნელა იკვეთებოდა დავიწყებული სიბრძნე უმეცრების ნისლოვანი იდუმალებიდან. ალ აჰმედის გული შეუცნობელ სიხარულს გრძნობდა და სხეული ცოდნის შუქით განათებულ გონებას ლაღად მიანიშნებდა მათი კავშირის სიდიადესა და მიზანზე. თვით გონება და იქედან მომზირალი კაშკაშა აზრი, ისევე როგორც არქიმედის სარკეებით ერთად შეკრებილი მწველი სხივები, შეხებისას ნელა, მაგრამ უშიშრად არღვევდნენ, ანადგურებდნენ სიბნელის ზღუდეებსა და ჯებირებს. აზრის ძლიერებით მისი ყოვლისშემძლეობით აღგზნებული ალ აჰმედი ზე წამოიჭრა, ერთ-ორჯერ ოთახში გაიარ-გამოიარა და თითქოს სივრცე სწყურიაო, პონდიქიონის საფეხურები ჩაირბინა და ქუჩაში აღმოჩნდა გამვლელ-გამომვლელთა გვერდით.

შავწვერიანმა და შავთმიანმა ფეხოსანთა დასტებმა ფართო თვალები, კეხიანი ცხვირები და მაღალი შუბლები მიაპყრეს ალ აჰმედს. იგი თავადაც შეცბა თბილისელთა უტიფარი გამოხედვით, მათი ამათვალ-ჩამათვალიერებელი მზერით და ყოვლის შეცნობის სურვილით.

შეცბუნებულმა თავისივე ტანსაცმელზე დაიხედა, თეთრ ქათიბსა და შავი სარტყელით შემოსილი ნამდვილად გამოირჩეოდა მუქი ფერის შალის სამოსში ჩაცმული ბრბოსაგან. ალ აჰმედის მოწნული ყვითელი ქოშები ნამდვილად იპყრობდა გამვლელთა ყურადღებასა და ცნობისმოყვარეობას.

არაბმა მიმოიხდა და უეცრად ვნებით აივსო ქალაქის მიმართ. ქუჩები იზიდავდნენ მისი სულის ჭურჭელს მაშინ, როცა გონება თავშეკავებისკენ მოუწოდებდა მის თვალებსა და ფეხებს. იქ, ზევით, პონდიქიონის მცირე ოთახში, ალ ჰორეზმისა და სხვათა გადაშლილი ეტრატები, საუკუნეების სიბრძნით დამძიმებული ფოლიანტები ელოდნენ ალ აჰმედს. დაბლა - უცხო ქალაქი ბნელი და ვიწრო ქუჩებით, უცხო ხალხით, უჩვეულო რიტრატით გულის გახსნის სურვილით უხმობდნენ შორიდან მოსულს. „ჰა, გადაწყვიტე“, - ეჩურჩულებოდა მას ვიღაც იდუმალი და იდგა არაბი პონდიქიონის წინ მტვრიან შუკაში.

არაბს მობეზრდა გაშეშება, ის იყო პონდიქიონის ტყავის სახელურიან კარს მოჰკიდა ხელი ეტრატებისა და ფოლიანტებისაკენ გულგაწეულმა, რომ უდაბნოს ყრუვ ხმოვანებასა და ბაზრის ყაყანს ჩვეულ მოგზაურის ყურს სულმტაცი, კუნთთა და სხეულის სხვა ნიშანთა დამათრობელი ტკბილხოვანი გალობა მოესმა.

უნებლიედ მისი გმირი „სინდბად-მოგზაური“ გაახსენდა არაბს, მოიხედა უცხო ხმათა მაძიებელმა და მისკენ ნარნარით მომავალი ცისფერი ტახტრევანი დაინახა.

ტახტრევანი ზურმუხტისფერ ტოგებში გამოწყობილ ოთხ ყმას მოჰქონდა, მეხუთე წვეროსანი გვერდით მოსდევდა ტახტრევანს და გაცისკოროვნებული სახითა და პირსმოფენილი ღიმილით შეჰყურებდა მასში მჯდარ პიროვნებას, რომლისგან მოედინებოდა ვით წყარო უკვდავებისა ბულბულისებრი ჰანგი შეუცნობელი. ტახტრევანი ახლოვდებოდა და მისმა ობობას ქსელივით თხელი ძაფებისაგან ნაქსოვმა ფარდებმა ალ აჰმედს სურვილი გაუჩინა შეეცნო აქამდე დაფარული და შეუცნობელი. ვნება მორეული იგი გაირინდა და მისკენ ნელა მომავალ ტახტრევანს უწყო თვალიერება.

ტახტრევანის ყმები დაღლილნი ჩანდნენ, რაზედაც მათი ფიქრებში ჩავარდნილი თვალები მიანიშნებდნენ ალ აჰმედს. ისინი მტკიცედ მიაბიჯებდნენ, მაგრამ მათ გამოხედვაში სახლისკენ მიმავალი საპალნე სახედრის სიხარული ამოიკითხა ალ აჰმედმა. სულ რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგეს ზურმუხტის ფერმა მონებმა და ალ აჰმედმა მათი დაკუნთული მკლავების ზევით ააყოლა თვალი და ფარდებს შეხედა.

გამჭირვალე ორი თვალი ზევიდან დაჰყურებდა ალ აჰმედს. მზემაც ამ დროს გამოანათა ღრუბლიდან და არაბს თვალში სხივი ჰკრა. ამიტომაც მოქარავნემ კარგად ვერ გაარჩია მისკენ მოტრიალებული სახის ნაკვთები, მან ხელით მოიჩრდილა და ჩავლილ ტახტრევანს ზურგიდან დაუწყო ყურება სინანულით. უეცრად ნარნარი ხმა გაისმა, თითქოს არფას ჩამოჰკრესო, ტახტრევანი ათი ნაბიჯის მოშორებით გაჩერდა და შავწვერიანმა მოყმემ ალ აჰმედისაკენ გამოსწია მტკიცე ნაბიჯით. ალ აჰმედი გაკვირვებული ელოდა შავწვერიანის მოახლოებას და ამიტომაც მას არც უცდია საპასუხო ნაბიჯის გადადგმა.

შავწვერიანმა გაუღიმა ალ აჰმედს და თავი დინჯად დაუკრა და ტახტრევანისაკენ მიუთითა, - ფარდის უკან მყოფს სურს შენთან დალაპარაკება, - მიანიშნა ხელების ქნევით და ჰაეროვანი ღიმილით. არაბმა ახლაღა შენიშნა მომღიმარი შავწვერას დავსებული თვალი და შეფიქრიანდა.

ალ აჰმედი დათანხმდა და წაჰყვა შავწვერიანს, მაგრამ შემცბარი მზერით მოიხედა პონდიოქისაკენ, შუკას შეავლო თვალი და უკან დასახევი გზა დაიმახსოვრა საქარავნო წესის მიხედვით.

ცისფერი ტახტრევანი ელოდა არაბს. ახლოს მისული ალ აჰმედი შედგა, მდაბლად თაყვანი სცა ტახტრევანს და როცა იგი წელში იმართებოდა, ოქროსფერი ძაფით მოქსოვილი ფარდები ზღვის ტალღებივით აქეთ-იქით გადაგორდნენ და

ზეაწეული ირმისებრი წარბები, სხივთა მსროლი, კლდეში მიმალულ ტბასავით კამკამა და ღრმა სილურჯის თვალნი გამოაჩინეს. თვალწარბისა და მაღალი შუბლის მეტს ვერაფერს ხედავდა ალ აჰმედი, მაგრამ იგი უცნაური სიამოვნებით შესცქეროდა უცხო მნათობის ღრმა თვალებს და ენას არ ძრავდა. მოლურჯო თვალებიც სიამაყისა და ცნობისმოყვარეობის გრძნობით შეჰყურებდნენ მას და ფიქრობდნენ.

ალ აჰმედის მუდამ მშვიდ გულმკერდში ათრთოლდა რაღაც უცნაური და იდუმალი. მკერდზე ხელიც კი მიიდო მოქარავნემ და გაოგნებულმა უჩვეულო წამებისა და სიტკბოების მორევი შეიგრძნო

უცხო ღრმა სილურჯის თვალები და ირმისებრი წარბები სამარადისო სიმშვიდით შეჰურებდნენ ნუშისფერთვალება უცხოელს და ფიქრობდნენ, აზრთა სიმრავლეში სუკეთესოს ეძიებდნენ და მჯობნზე მჯობნს არჩევდნენ. ზნემაღალი სიჩუმე გამეფებულიყო ცისფერ ტახტრევანის ოქროსმკერდით მოქარგულ ფარდებში. ალ აჰმედი თავსაც ვერ სწევდა ზევით, ხანადახნ თუ შეავლებდა მზერას ტახტრევანის მოჩუქურთმებულ ლომის ხახიან სახელურს. უცნობი რიდით შეჰყურებდა თბილისის შარაზე განფენილ ჩრდილს და ელოდა. უეცრად რბილი და ხატოვანი სიტყვა, მსგავსი ბულბულის გალობისა, შეერწყა მის ყურს და დაამა გონებისა და სმენის ვნების ამღვძვრელი ნატიფი ნერვი. ალ აჰმედი გამოფხიზლდა. იგი სასწარფოდ ეძებდა იმ სიტყვებს მისალმებისას, რომელიც ბიძამ ასწავლა საქართველოსკენ მგზავრობის დროს. ამ სიტყვებს და ფრაზებს, რომლებიც უფრო ფრინველთა ხმებს ჰგავდნენ, მაშინ მოწყენით იმეორებდა იგი. დღეს კი სასწრაფოდ გონების დაძაბვით მახსოვრობაში მიმოფანტულ სიტყვებს ეძიებდა და თავის თავს უმეორებდა თრთოლვით. მისალმება თითქოსდა გაიხსენა მოქარავნემ, მაგრამ თავის გონებაში ატრიალებდა კვიმატ ფრაზას და უკირკიტებდა ბოლო სიტყვას. სიბრძნის უღალატო მიმდევარი იყო ალ აჰმედი.

თბილისის შარაზე განფენილი ჩრდილი შეირხა და დაიძრა, შემცბარი აჰმედი მიხვდა, რომ ცისფერი ტახტრევანი სტოვებდა გზებისა და წიგნის მოყვარულ არაბს. საოცარი ტკბილი შიში დაეუფლა მისი მკერდის ქვაბულებსა თუ დერეფნებს. მდუღარე სითხე მოედო მის ანდამატივით აზიდულ შუბლს, ყვიმრალებსა და კეფას. მუხლებზე დაცემა და ტირილი მოუნდა ცეცხლოვან არაბს. ტახტრევანი კი მბზინავ მოყმეთა დაკუნთულ მხრებზე მოტორტმანე, ზღვაზე მცურავი ხომალდივით მიროინინებდა შორს და შორს.

ალ აჰმედი გამოერკვა, თითქოს თავის უნიათობა დაამარცხაო, ისე ჩამოიშორა მათრობელა ნეტარება და კუნთებდაჭიმული გაექანა მისგან ასი ნაბიჯით დაშორებული ტახტრევანისაკენ. ნაბიჯ-ნაბიჯ იღვიძებდა მასში ვაჟკაცობა და მხნეობა. ეხლა კი ლომი იყო ალ აჰმედი, მაგრამ რა უნდოდა და ვის მისდევდა, ამაზე ფიქრისთვის მას ჯერ არ ეცალა. „აბა მიდი, აჰმედ, მოქარავნე მხნე, ჯიუტი და უკანდაუხეველი უნდა იყოს, სილამაზე და სისადავე არ უნდა გვიპყრობდეს, არამედ ჩვენ უნდა ვბატონობდეთ მასზე. მიდი, უძლეველო ბრძენო, მიდი!“ - უყვიროდა იდუმალი ვიღაც.

ალ აჰმედი ტახტრევანს დაეწია, მაგრამ ამ დროს მუდამ პირმცინარმა შავწვეროსანმა მოყმემ გაკვირვებით მოხედა მას და დაფსებული თვალით შეუბღვირა მომხდურს. ალ აჰმედმა გზნებისაგან თავპირაწითლებულმა ვერაფერი მოძებნა სათქმელი და ტახტრევანს ხელებგაშლილი მიეჭრა, ლომისხახიან სახელურებს მოწიწებით მისწვდა და ბიძის მიერ ნასწავლი ქართული მისალმება წამოიძახა. ცისფერი ტახტრევანის მოყმეებმა შეჰყვირეს. მათმა შავმა, კამეჩის მსგავსმა თვალებმა გაიელვეს ალ აჰმედის წინ და არაბმა მოქარავნემ კეფაში მძიმე დარტმა შეიგრძნო.

კამეჩის თვალის ოდენა გაავებული თვალები, თბილისის შარაგზა, შავწვერა მოყმე და ტახტრევანი დატრიალებდა ალ აჰმედის გარშემო და უეცრად ყოველივე ჩაბინდდა, დაიგმანა და დამთავრდა.

ალ აჰმედს პონდიქიონში გამოეღვიძა. მას თავს შეშფოთებული იბნ ჰაუკალი და კიდევ ერთი მაღალი კაცი ადგნენ.

ბიძავ, - წამოიმართა აჰმედი.

ჩუ, იწექი, საფრთხემ ისე ჩაგიარა, ვით ქარიშხალმა უდაბნოს კარიბჭეში, - ღიმილით თქვა იბნ ჰაუკალმა.

ეს თუ ჩავლაა, კარგია, - თავზე ხელი მოისვა ალ აჰმედმა.

გახსოვს ყველაფერი? იკითხა ჰაუკალმა.

ყველაფერი, - უპასუხა არაბმა.

ეს ცუდია, რადგან უსიამო შემთხვევას არაფერი შეცვლის ისე, როგორც დავიწყება, ბიძა ძმისშვილს მკაცრად შეჰყურებდა.

სიმართლე წარუშლელია, - შუბლ შეჭმუხვნილმა თქვა აჰმედმა და სარკმელისაკენ გადატრიალდა.

თბილისის ცა უჩვეულო ქათქათა ღრუბლებით დაფარულიყო. სადაფისფერ-ცისფერი ვეება ღრუბელი გამოჩნდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მცურავი. ცას მიშტერებულ არაბს ლურჯ ტახტრევნად მოეჩვენა იგი და ფეხზე წამოვარდა ალ აჰმედი.

სად წამიხვალ, მაინც აღმოგაჩენ, მაინც მოგვწვდები, - ყვიროდა იგი, ბიძისა და ჯანმაგარი უცხო კაცის მიერ გაკავებული.

ჩაკეტეთ სარკმლები, - დინჯად უთხრა მოფუსფუსე ბერძენ ქალს იბნ ჰაუკალმა და ძმისშვილს სასთუმალთან დაუჯდა.

შენ ხომ ჩემი მომავალი ხარ, ალ აჰმედ, დაიოკე თავი. დარტყმისაგან ტვინი გაქვს შეძრული. სიმშვიდე სწყურია ახლა შენს გონებას. დანარჩენი ისე ჩაქრება, როგორც ცეცხლი წვიმის მორევში.

ალ აჰმედი რამდენიმე დღე მონდომებით ასრულებდა ჰაქიმობაში გამოცდილი ბიძის შეგონებებს. იწვა გაუნძრევლად და პონდიქიონის ჭერს

შეჰყურებდა. იბნ ჰაუკალი ძველებურად ქრებოდა დაღამებისას და დილით თუ გამოჩნდებოდა. ბერძენი ქალი უჩვეულო სითბოთი და სინაზით უვლიდა არაბს, რასაც ალ აჰმედი უწინდებურად ყურადღებას არ აქცევდა და ყოველივეში ბიძის ხელსა და გონებას ამჩნევდა.

საღამო ხანი იყო, როცა ალ აჰმედმა ზარს შემოჰკრა და მის ოთახში ბერძენი ქალი შემოიპატიჟა. ჩასუქებული დიასახლისი საუკეთესო ტანისამოსში გამოწყობილიყო და მორჩილად შეჰყურებდა არაბ მოქარავნეს. ალ აჰმედს ხელთ ლამპარი ეპყრა და დაკვირვებით ადევნებდა თვალს ქალს.

რა გქვია? - იკითხა არაბმა ბერძნულად.

მეგარა მქვია და ჩემი ქმარი ბიზანტიას არის წასული, - უპასუხა შევარდისფრებულმა ქალმა.

ტანსაცმელი გაიხადე, - ბრძანა არაბმა და ლამპარი ქალისკენ გაიშვირა.

ქალმა გახდა დაიწყო და როდესაც მის ფერხთ უკანასკნელი ქსოვილი დაეცა, მან აჰმედისკენ გამოსწია.

შესდექ, ქალო, - ბრძანა აჰმედმა.

ქალი დაიბნა, იგი ალ აჰმედს უცინოდა.

მითხარი, თუ გსურს წყალობა, ვინ იჯდა იმ ტახტრევანში, - არაბის ხმაში უცხო მძინვარება ისმოდა.

ვერ გეტყვი მომკლავენ, - თქვა ქალმა.

მეც არ გაცოცხლებ! - შესძახა არაბმა და საწოლიდან შიშველი ხმალი გამოაჩინა.

ვერ გეტყვი, გამიშვი, - ჩაილაპარაკა ქალმა და საკუთარ სამოსს უწყო შეგროვება.

შესდექ! - შეჰყვირა არაბმა, რომელმაც ორთავე ხელით შეიპყრო ქალი.

გამიშვი, თორემ ვიყვირებ, - ჩაიჩურჩულა პონდიქიონის დიასახლისმა.

იყვირებ და ამ სახლს დაგიწვავ, შენ კი გარეთ გაგაგდებ და მოქალაქენი ჩაგქოლავენ, - მძინვარედ თქვა არაბმა და ქალს მოეჩვენა, რომ იგი მართლაც შეშლილი იყო.

რად გინდა სახელი, მაინც დაიღუპები თუ იმ ტახტრევანს მიეკარები, - კვნესით თქვა ქალმა და ატირდა.

თქვი სად ცხოვრობს ეგ ხალხი, ვინ არის ის ქალი და რა ჰქვია იმ ცალთვალას, მე რომ დამარეტიანა, თქვი, თორემ ამ ლაპმარიდან ნავთს დავღვრი და შენი ქმარი მხოლოდ ნაცარს იხილავს დაბრუნებისას.

ხელი გამიშვი, მტკივა, გეტყვი, ბიძას შენსას უნდა დაუმალო ის, რაც განგიზრახავს, - ჩაიბუტბუტა ქალმა და ალ აჰმედს მიაჩერდა.

არავის ვეტყვი შენ რომ გამიმხილე მათი სახელი, თქვი, თქვი თორემ... - არაბი შეშლილივით შეჰყურებდა დაჩაგრულ ქალს.

ეგ ხალხი სოღდებილში, რომ კოშკია, იქ ისვენებს. მათი ტახტრევანი ყოველ ღამეს გამოდის გარეთ და ქალაქის ბაღებისაკენ მიემართება, მეტი არაფერი ვიცი და თუ გინდა მომკალი, - თქვა ქალმა.

ალ აჰმედი დაფიქრდა. ქალს ხელი უშვა. „ჩაიცვიო!“ - უბრძანა მას და სარკემლისაკენ შეტრიალდა.

„ოჰ ეს მარგალიტები და მასში მიმქრალი ზურმუხტები. ეს გამაოგნებელი მშვილდები წარბებისა, ტუჩები, როგორც აბრეშუმის ბალიშები და ხმა ბულბულისა. ოჰ, ეს ქალი, სიმშვიდისა და გიჟური ვნების მატარებელი უნდა მოვიხელთო ამაღამ“, - ფიქრობდა ალ აჰმედი და დაღამებას ელოდა ჯვრით შემკობილი თბილისის თავს.

***

„უდაბნოს გველივით მიეკარი მიწას და ყური მიუგდე თუ ვინ რას ჩალიჩობს“, - ეჩურჩულებოდა თავს ალ აჰმედი და ამგვარად იოკებდა სხეულის ჭურჭელში ჩასახლებულ თუ ჩაკეტილ ჯინს თავისას. სოღდებილის კოშკის პირდაპირ მაღალ ბალახში ჩასაფრებულ არაბს უკვე დაენახა სანუკვარ სურვილად გადაქცეული ცისფერი ტახტრევანი, რომელსაც მთვარის დამათრობელი შუქი ელამუნებოდა.

„აი, შედგა ტახტრევანი ჩემი ბედისა, წვეროსანს თუ უცდის, ალბათ...“ - ჩურჩულებდა ალ აჰმედი და ტუჩებით იკვნეტდა მკერდზე დაკიდებულ საისრეს გველის ტყავისას.

ტახტრევანი მართლაც უცდიდა ვიღაცას, ვისაც, ამ მომნთენთავ საღამოს ღრმა ძილს სიამოვნება ერჩივნა, ვისაც უკვე გაეცვალა აბრეშუმისა თუ ატლასის ბალიშები ბალახის საწოლზე და მთვარის გამაბრუებელ ელვარებაზე.

სოღდებილის კოშკის მცირე კარიბჭედან ქალი და მამაკაცი გამოვიდნენ. ისინი დინჯად მიუყვებოდნენ გზას და დარბაისლურად საუბრობდნენ. ცოტა ხანში კოშკის კარები კიდევ ერთხელ გაიღო და იქიდან გამოსულმა ბანოვანმა გედივით ამაყად გამოსცურა ტახტრევანისაკენ და რამდენიმე წუთის წინ გამოსულ წყვილს გაესაუბრა.

ალ აჰმედს მოესმა სანუკვარი ხმა „მსგავსი გალობისა და მისი გული ატოკდა გამალებით. „ეს შენ ხარ დედოფალო, ჩემი გულისა და გონების დამტყვევებელი,

ჩემი მეცნიერების განფანტველი, ჩემი გამგიჟებელი. ამიტომაც რაც არ უნდა მოხდეს ამ ღამეს უნდა მოგტაცო სიმშვიდე სულის და სიამაყე გონების“, - ჩაილაპარაკა ალ აჰმედმა და ვით ცხელი წყარო მიწიდან ამოფრქვეული ხარშავს მის სიახლოვეს სამკურნალოდ ჩამომჯდარ ფრინველს, სულის ჯურღმულიდან ამოჭრილმა სამსალამ დაუწვა და დაუთუთქა მას ხორცი, გონებისაგან დროებით მიტოვებული.

ტახტრევანი ტყის შუაგულში მიმავალ ბილიკს დაადგა. ქალი კოშკის პირას მდგარი გამოემშვიდობა მონების მიერ ტახტრევანის სიმაღლეზე შესმულ ბანოვანს და კოშკში შებრუნდა. მემაშხლედ მხოლოდ ერთი კაცი მიჰყვა ტყისკენ მიმავალთ და რაზმეული მალე მუხათა და თხემლათა ჩრდილში გაუჩინარდა.

„ისინი სულ ხუთნი არიან“ - გამალებით უცემდა გული არაბს, რომელიც მოხერხებულად ჩრდილაჩრდილ მისდევდა ტყისაკენ მიმავალ ბილიკს და ისარ კაპარჭს ამზადებდა.

ბილიკი სულ უფრო და უფრო ძნელად გასარჩევი გახდა. არაბი დაკუზული მიუყვებოდა გზას და მეძებარი ძაღლივით დასცქეროდა მიწას, რომელსაც ტახტრევანის მონათა ფართო ტერფები დამჩნეოდა.

ტახტრევანი გაუჩერებლად მიროინინებდა.

იქნებ სხვა ციხე-სიმაგრეში მიდიან, - შიშნეულად გაიფიქრა ალ აჰმედმა, შუბლზე მოწოლილი ოფლის წვეთები ისრის წვერით მოიწმინდა და შედგა.

მწიფე ნესვივით დაჰყურებდა თავს დედამიწას ამაყი მთვარე. ღრუბლები გაფანტულიყვნენ და ტყის შუაგულში არსებულ კორდზე მათი ჩრდილები გველეშაპებივით გორავდნენ.

ალ აჰმედს ტახტრევანზე შემომჯდარი ბანოვანის ხმა მოესმა და მას ძარღვები ვნებითა და ლტოლვით დაებერა.

შეჩერდა ტახტრევანი. მონებმა მიწაზე დადგეს იგი და თვითონ ტყეს შეერივნენ. მხოლოდ ერთი სხეული აისვეტა ბანოვანის წინ და უჩვეულო ხმით საუბარს მოჰყვა.

სულ მთლად ძარღვად გადაქცეული აჰმედი გუმანით მიხვდა, რომ ეს სილუეტი ლექსს უკითხავდა ბანოვანს. ცეცხლივით აისვეტა რაღაც არაბის გულში. თავისი მგოსნები გაახსენდა მას. უეცრად საოცარი ლტოლვა იგრძნო მის მიმართ, ვისაც ასე ნაზად ეტრფოდნენ და გაკვირვებული შეათვალიერა შავწვერიანი. „ოთხივეს დავხოცავ და შეშლილივით დავესაკუთრები ამ ქალს, რომელსაც გავიყვან ურჯულოთა ქვეყნიდან და ცოლად დავისვამ“, - გაიფიქრა მოქარავნემ და მზადება იწყო.

ისარ-კაპარჭი მოიხსნა არაბმა. ბრძოლის წინ თავი შეავედრა მისსავე არსთა გამრიგეს და კუნთებდაჭიმული, მშვილდისა და შიშველი ხმლის ამარა კვერენასავით გაცოცდა ტახტრევანის მიმართულებით. როცა პირველი ისარი დაჭიმულ სასხლეტზე მყარად იყო მიბრჯენილი, არაბი უკვე პირველ სამსხვერპლოს ეძებდა. უდაბნოს მებრძოლთაგან ჰქონდა მას შესწავლილი ომის

უჩუმარი ხელოვანება და სწორედ მისი გამოყენებით აპირებდა იგი გაუგონარ საფრთხეში თავის ჩაგდებას.

„თუ პირველს შავწვერას დავისრავ, მაშინ ქალი შეჰყვირებს და ველს ტახტრევანის მონანი მოედებიან“, - ფიქრობდა ალ აჰმედი.

„თავდაპირველად თუ მონებს დავცხრილავ, მაშინ წვეროსანი წინ ვეღარ აღმიდგება და ქალს უვნებლად შევიპყრობ“, - ბორგავდა ღულამთა და მხევალთა ერისშვილი.

„მაგრამ სად არიან მონანი, არც კი ჩანან ისინი ხეთა ჩრდილში“, - აჰმედის გული თითქოს ხორკლებით იფარებოდა.

„სჯობს ჯერ ამ ცალთვალას დავაგორებ და შემდეგ უიარაღო მონანი წინ ვეღარ დამიდგებიან“, - ჩურჩულებდა ალ-ჯებრისა და ალ მუკაბალას მცოდნე.

არაბმა მიზანში წვეროსანი ამოიღო. მომაკვდინებელი ქეიბურის გასროლას არაფერი შეაჩერებდა, რომ არა ერთი გარემოება. ეშხში შესულმა შავწვერიანმა არაბული ლექსი წამოიწყო.

ალ აჰმედს ხელში ისარი შეეყინა. უცნობი სულისა და გონების დამათრობელი გრძნობით, გაღრმავებული აზრითა და ნეტარებით მისი ბიძის იბნ ჰაუკალის ლექსს მღეროდა.

გაოგნდა ალ აჰმედი. საიდან უნდა სცოდნოდა შავწვერიანსა და ცალთვალა მიჯნურს არაბი მოგზაურის სიყვარულისადმი მიძღვნილი, ესოდენ დამათრობელი სტროფები. ზედმეტი დაძაბულობისაგან გული შეუღონდა არაბს, ტვინი აერია მოულოდნელი და მოსალოდნელი ხლართების მჩხიბავს, პირში ნერწყვი გაუშრა მას და როგორც გამოუცდელ კაცს სჩვევია, ის გზა აირჩია, რაც უფრო მარტივი გახლდათ გონების ლაბირინთიდან გამოსასვლელად.

კვლავ მოსწია ისარი ალ აჰმედმა, უმიზნა არაბული ლექსიდან ეხლა სხვა არანაკლებ მუსიკალურ რითმაზე გადასულ მოწინააღმდეგეს თვისას და ის იყო სროლა დააპირა, რომ ზურგს უკან ცხენის ჭენების ხმა შემოესმა. მოიხედა უნებლიეთ ასასინის წყეული ზრახვით შეპყრობილმა ჭაბუკმა და ტყიდან გამოვარდნილი, თეთრ რაშზე ამხედრებული მხედარი შენიშნა.

უმალ ხშირ ჯაგნარში შეიმალა ისარმომარჯვებული.

გვეწვიე სტუმარო, სწორედ შენს ლექსებს ვუამბობდი მთიების დარმბრძანებელს ჩვენსას, - შესძახა შავწვერიანმა არაბულად და ფეხზე წამოიჭრა.

თავად სიტყვისა და ჰაზრის მეუფევ, ვემონები შენს ლექსს, რომელიც თავად საადის ლექსზე უპირატესია, - გაისმა ბნელ ჯაგნარში ცხენიდან ჩამომხტარი იბნ ჰაუკალის ხმა.

მომიახლოვდი, დიდვაჭარო, - გალობის დარი ხმით წარმოთქვა მთიებად წოდებულმა ბანოვანმა და იბნ ჰაუკალი მის წინ მიწაზე განერთხო.

რა სიახლე მოგაქვს ჩვენთვის, დიდვაჭარო - წარმოთქვა ტახტრევანში შემალულმა ანგელოზისდარმა.

ჰოი დიოფალო, მსურს წარმოგიდგინო ჩემი ძმისშვილი, ახალგაზრდა ტანით და მხცოვანი სიბრძნის სიყვარულით, მონა შენი ალ აჰმედი, - მოულოდნელად თქვა იბნ ჰაუკალმა და სწორედ იმ ჯაგნარისაკენ გამოიხედა, სადაც თავად ისარმომარჯვებული მოგზაური იმალებოდა.

ახალგაზრდა ტანით და მხცოვანი სიბრძნის სიყვარულით, - რა კარგად თქვი დიდვაჭარო და პოეტო, - ჩაფიქრებული თქვა ტატხრევანის სირღმეში მიწოლილმა პოეტების მუზამ, რომელმაც ფარდა გადასწია და მისმა სახემ გამოანათა.

იბნ ჰაუკალი შემცბარი იყურებოდა ჯაგნარისაკენ და დაღუპვის პირას მდგომ ძმისშვილს უსიტყვოდ გონიერებას სთხოვდა.

ალ აჰმედმა დააგდო მშვილდი და საისრე, შამშირი მიწაში ჩაასო და უიარაღოდ, ნელი ნაბიჯებით შედგა ტყის შუაგულში მოქცეულ კორდზე.

აი, ისიც მოდის, მიუჩვეველია იგი საზოგადოებისა, თითქოს წყალობა ითხოვაო, - თქვა ეს სიტყვები იბნ ჰაუკალმა და ძმისშვილს გადაეხვია.

ეს გადახვევა შექების ტოლფასად მიიჩნია ალ აჰმედმა და იგი ტახტრევანის წინ მიწაზე დაეშვა.

ყმაწვილი ყოფილა დიდვაჭრის ძმისშვილი, მბრძანებელო, - სიტყვა ჩართო შავწვერიანმა და მთვარის შუქით განათებული ალ აჰმედი შეათვალიერა.

ყმაწვილია, მაგრამ მისი ცხოვრება ერთობ მძიმე საფიქრალს დაუტანჯია, - ბრძანა გახარებულმა იბნ ჰაუკალმა და ძმისშვილს გადახედა.

ქანდაკებასავით უძრავად იდგა ალ აჰმედი და ტახტრევანში ნებიერად მიწოლილს, დედოფლის დარ მშვენიერ ქალწულს ცრემლიანი თვალებით უმზერდა.

რა სატანჯველს შეუპყრია გული ამ დიდებული ჭაბუკისა, - ნარნარი ხმით წარმოთქვა ლექსებითა და შეხვედრებით გადაღლილმა, აფროდიტაზე უნაზესმა ასულმა.

შეყვარებულია იგი მწვავედ, - თქვა იბნ ჰაუკალმა.

ალბათ, არაბზე და შორს ეგულება სატრფოსაგან თავისი თავი, - მოხდენილად წარმოთქვა აჰმედის მომნუსხველმა.

ერთ ქართველ მნათობზეა შეყვარებული მთელი საქართველო, კავკასია და ბიზანტიონი, ერთ ქართველ მნათობს გულსა და სულს სთავაზობს აზია და ჩინმაჩინი, ხორეზმი და მულღანზანზარი, - წყვეტილი და მოკანკალე ხმით ჩაილაპარაკა შავწვერიანმა და უეცრად ატირდა იგი.

ალ აჰმედიც ატირდა ამ სიტყვათა გაგონებისას და ჩაიკეცა.

დიდ მადლობას გიხდით მთვარის მგოსნებო და დიდვაჭარნო ჩვენთან ხლებისათვის, საცაა მზე გაანათებს ბედნიერი ივერიის ველებსა და მთებს. თავად ფრინველნი და ცხოველნი მალე დაუბრუნდებიან თავიანთ ყოველდღიურ საქმეს და ამიტომაც ჩვენც დავუბრუნდეთ ადგილებს ჩვენსას. შენ კი, შოთავ დროებით დაივიწყე მგოსნის კალამი და მაშხალით გამინათე გზა ქალაქისაკენ, - წარმოთქვა ტახტრევანის სიღრმეში მოსვენებულმა ქალწულმა და ტყის ტვერიდან გამოჩენილ მონებს მივდივართო, ანიშნა.

***

იბნ ჰაუკალი თავისი ქარავნით საქართველოდან მიემგზავრებოდა. მოხუცი დიდვაჭარი ჩერქეზეთის გავლით დიდი კიევის მიღწევას ლამობდა. ყველაფერი მზად იყო და ბიძა დიდხანს ემშვიდობებოდა თავის ძმისშვილს.

მიუხედავად ბიძის ჩალიჩისა ალ აჰმედი საქართველოში რჩებოდა. „საქარავნო საქმის მცოდნე თბილისშიც სჭირდებაო „ორთაღს“, ვაჭართა კორპორაციას“, - უმტკიცებდა იგი ბიძას.

გამოცდილ იბნ ჰაუკალს ესმოდა ნამდვილი ხვაშიადი ძმისშვილისა. „ხელის ჭუჭყს“ მეფე ქალწულის შორით ტრფობას, მიჯნურობას არჩევდა ალ აჰმედი.

„აზრი ცხოვრებისა სიგიჟეთა შორის ყველაზე დიდი სიშლეგე სიყვარულია“, - ფიქრობდა დიდვაჭარი და ეთხოვებოდა იგი „შურის ციხის“ გალავანზე თბილისურ ყაიდაზე გამოწყობილ ალ აჰმედს.

კახაბერ ჯაყელი

სიყვარული და შეთქმულება

1187 -1191

ჯაყელთა 1000 წელი

***

უთენიას მოსჭენდა მალემსრბოლი გუზან ტაოელთან. მამა, დაბრმავებული და ყრუდ ქმნილი ქალაქის ქურდი - აბულ ასანი შვილს უგზავნიდა უსტარს.

გუზანმა „სკიტალა“, ცაცხვისაგან გამოჭრილი ჯოხი მოიმარჯვა და მალემსრბოლს შეხედა, რომელმაც თავის დაქნევით მიუთითა მას, რომ წერილი საიდუმლო წყობით იყო დაწერილი.

გუზან ტაოელმა საჩქაროდ დაახვია წერილი „სკიტალას“ და მხოლოდ ამის შემდეგ წაიკითხა: - „რუსი განაგდეს სასახლიდან, ბიზანტიაში მიჰყავთ გემით. გაიყარნენ.“

გაოგნებული შეხედა ტაოსკარელმა მალემსრბოლს.

მზემ ამოსვლა იწყო ტაოს მთებიდან!

***

ხელჯოხიანი გუზან ტაოელი შავშეთის ციხე კოშკში წინ და უკან დადიოდა და ტახის ხორცის შემოტანას ელოდა. მის წინ გაშლილ სუფრაზე ბოცო ჯაყელი შეექცეოდა ირმის სუკს, ადგილობრივი ღვინით იგრილებდა ყელს და ხანდახან ახედავდა, მის წინ შემდგარ მასპინძელს. თავად გუზან ტაოსკარელი სახეზე წამოწითლებულიყო, ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, რომ თითქოს რაღაცის გამხელა უნდოდა სიყრმის მეგობრისათვის, მაგრამ, როდესაც ბოცოს გადახედავდა, სურვილი ეკარგებოდა საუბრის.

ეზოში რჩეულიანთა რაზმისათვის დიდი სუფრა იყო გაშლილი, აზნაურთა სიცილი ისმოდა. ბოლოს, როგორც ჩანს ერთი აზნაური ბოცოს და გუზანის სადღეგრძელოს თქმას აპირებდა და ამის გაგონებაზე ბოცო სამცხის სპასალარი სარკმელთან მიდგა, ხელში ყანწი ეჭირა. აზნაურის დალოცვას უსმენდა. თავს უქნევდა სამადლობლად. შემდეგ რჩეულიანნი წამოიმართნენ და ერთხმად შესძახეს:

- გამარჯვება მისცეს ღმერთმა სამცხის საპალარს.

- გამარჯვება მისცეს უფალმა ღმერთმა თამარს- მეფეთ მეფეს და დედოფალთ დედოფალს აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შირვანთა და შაჰანშათა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმფლობელობითა მპყრობელს და მის თანამეცხედრეს გიორგის ბოგოლიუბსკის - შესძახა საპასუხოდ ბოცომ და ყანწი დასცალა, შემდეგ შემოტრიალდა და ტახის მწვადის სუნმა საუფრისაკენ გაიყოლა.

ბოცოს მიერ, გიორგი რუსის ხსენებაზე, გაღიმებულმა გუზან ტაოელმა დაბრაწული ტახი თავად დადგა ვერცხლის სინით ბოცოს წინ და ტაბლაზე ჩამოჯდა. ბოცოს თვალები უბრწყინავდა და გუზანს ელოდა, სანამ იგი ვერცხლისტარიანი ხანჯლით ტახის ბარკალს ჩამოუჭრიდა ძმაკაცს. გუზან ტაოსკარელი ვერცხლის ტარიანი ხანჯლით ამუშავდა და გაიფიქრა:

„ისევ მოჭიდავეა, არ შეცვლილა, თვალები ბავშვს მიუგავს, ბრძოლისა და ჭიდაობის ჟამს გამოცოცხლდება ხოლმე, როგორ ვუთხრა კი მაგრამ?“.

- გუზან ძმის გულო, ვიცი, რომ რაღაც გინდა გამანდო, მაგრამ მაცალე თუ კაცი ხარ, ერთი ეს ტახი შემარგე, შემდეგ ვისაუბროთ - ჩაიცინა ბოცომ და გუზანს კვლავ ახედა.

- შენი სიტყვა კანონია აქ შავშეთში, ბრძანე რაც გინდა ძმობილო - გუზანი იჯდა და თავადაც ტახის კანჭს მიირთმევდა და თაფლს აყოლებდა.

- ბერძნული რჯული შემოგჩვევია - ფართო თვალები მიაპყრო ბოცომ გუზანს.

- შენც გასინჯე, პატრიციების საჭმელია, თაფლით გოჭის ხორცი.

- მერე ეს ხომ გოჭი არაა ,ტახია შავშეთისა - გაიბადრა ბოცო.

- გასინჯე.

გუზან ტაოსკარელი თურქებზე გამარჯვების მიუხედავად, უხალისოდ სჭამდა. წამდაუწუმ რაღაცას ფიქრობდა და ბოცოს ძლიერ მხრებს ათვალიერებდა. რა უნდოდა შავშეთში, თბილისის ამირას ვაჟს? მამამისმა გიორგი III რომ 1279 წელს იხსნა, მაშინ კი იფიქრებდა აბულასანი, რომ მის ერთადერთ შვილს ბაგრატიონები საზღვრის დასაცავად გადაისროდნენ? არა!. აბულ-ასანი თბილისელი ამირა - ქურდი, სასახელო და სახელგანთქმული კაცი ისე დაამცირეს და მიაგდეს რომ მისი საჩინო სიტყვა მზისა და ხალისის მოყვარული ქალაქისათვის მკვდარი შეიქნა. ყველას ეგონა რომ აბულ-ასანს შვილისათვის ქალაქ თბილისის ამირას თანამდებობა დაბეებული ეგონა. მართლაც გიორგი მეფეს რითი უნდა მიეზღო სამაგიერო აბულ-ასანისათვს, თუ არა მისი შვილის ქალაქის ამირად დამტკიცებით? მაგრამ ყოველი მოხდა უკუღმა. რაც აბულასანი „ბებრად“ სცნეს და საკუთარ პროვინციაში გადაასახლეს, გუზან ტაოსკარელი შავშეთში გაამწესეს. მესაზღვრეობა მიანდვეს და ფაქტიურად ქალაქ თფილისის პოლიტიკიდან მოიცილეს. „ვისი აზრი იყო ეს, ვინ ჩააგონა გიორგი მეფეს და მის ერთადერთ მემკვიდრეს, ჩემი,

ტფილისელი კაცის, ამირა-ქურდის, შავშეთში გამოგზავნა?“ - ბოლო ორი წელია ამ კითხვას ვერ სცემს პასუხს გუზან ტაოსკარელი.

„ორბელები განადგურდნენ, დემნა დაიღუპა, აბულ-ასანის მომხრეები მიიცვალნენ და გიორგი მეფე გაძლიერდა, კი მაგრამ ვისთან ერთად უნდა ემეფა თამარს, ვინ გახდებოდა მისი გამაძლიერებელი პოლიტიკური ცენტრი? რომელიც უმწეო ქალისათვის სისხლს დაღვრიდა?“

გუზანს ამაოდ ეგონა, რომ ის თავად იქნებოდა მეფე თამარის გამაძლიერებელი ვაზირი, მაგრამ ამაოდ, ის უეცრად დაიფრინეს ბაგრატიონთა სამეფო კარიდან და ტაოსკარი ჩააბარეს სამოქალაქო კაცს.

„ბოცოსათვის რომ ჩაებარებინათ ტაოს-კარი, ეს მოჭიდავე, ბედნიერი იქნებოდა. დადგებოდა ტაოს-კართან და იბრძოლებდა, ბეშქენ ჯაყელის მსგავსად, რომელიც მას პაპად ერგებოდა!

მე არ ვარ ბედნიერი ტაოსკარელობით! მე დიდი აბულ-ასანის ვაჟი, მეფეთა საიდუმლოს მცოდნე, შავშეთს არ უნდა ვეგდო განწირული და საკუთარ ხრმალზე მინდობილი! მე უნდა დაუბრუნდე თბილისის სანახებს, სადაც ყოველი მამიჩემის მიერ არის აღშენებული და შემქნილი“ - მკერდში მოგიზგიზე ალს ვეღარც აქრობდა ქალაქის ამირას შერისხული შვილი.

- ძალზედ მაგრა დაჰკრა შენმა აზნაურმა შამელთა სარდალს, ასი ვერცხლი და ეს ხრმალი უნდა მივუოზომო - თქვა გუზანმა და ბოცოს გულის მოგებას მიჰყვა.

- აზნაურმა ფოცხოველმა? დიახ მაგრად დაჰკრა! გულუხვი ხარ ჩემო გუზან, გაგიმარჯოს წმინდა გიორგიმ - თქვა ბოცომ და ძმაკაცს თვალი თვალში გაუყარა.

- ბატონ აბიათარს გლივარიუმი მინდა ვუბოძო - ეუბნებოდა გუზანი დოსტს, რომელიც თვალის ჩაკვრით ანიშნებდა ეგრე სჯობსო.

- შენი კი ჩემო სპასალარო აი მოდი სარკმელთან - შესძახა აღფრთოვანებულმა ტაოსკარელმა, სიყრმის მეგობარი სარკმელთან მიიპატიჟა და ეზოს გახედა.

შავშეთის ციხის კარიბჭეში, თეთრი კვიცი შემოიჭრა, ორი მეჯინიბე თან მოსდევდა კვიცს და საბლებით დაჭერას უპირებდნენ, კვიცი კი ისე დახტოდა გეგონებოდათ კანჯარიაო. ბოცოს სისხლი აუჩქეფდა ამ თეთრი ცხენის შემყურეს და გუზანს ფართო მარჯვენა მხარზე დაადო.

- ჩემია?

- შენია ჩემო სპასალარო - მთელი გრძნობით თქვა ტაოსკარელმა.

- ურანია უნდა დავარქვა თამარის კვიცის სახელი - ჩუმად გაუმხილა ძმაკაცს სათქმელი ბოცომ.

- რაო? - გაიკვირვა გუზანმა და გაიფიქრა - „დათვი, შეყვარებულია“.

- ეგრეა ! ბიჭებო ჩამოვდივარ, უნდა მოვახტე - ბოცო ეზოსკენ დაიძრა.

- უჯდომელია სამცხის სპასალარო - შეჰყვირეს რჩეულიანთა, მაგრამ ბოცო სიტყვის კაცი იყო და რახან თქვა მოაჯდებოდა.

წამებში ბოცო ცხენს უტრიალებდა, ბიჭების მოდებულ საბლებს ხელში იხვევდა და ურანიას თავისკენ ითრევდა. ცხენი ყალყზე დგებოდა, ეტყობა ნასვამი სპასალარის მიახლოვება სულ არ უხაროდა, მაგრამ ბოცო ნახტომისათვის ემზადებოდა და ამ დროს მისი შეჩერება შეუძლებელი იყო.

***

- დარბაზში დავჯდეთ ეხლა და ვიბჭოთ სამცხის სპასალარო, ვინძლო, საქმეები ითხოვენ პასუხის გაცემას, ტაოს გარდმოხვეწილი არ ვკარგავ თბილისის ამბებს, რაღაც უნდა მოგითხრო - თქვა გუზან ტაოსკარელმა და მცირე დარბაზში შეუძღვა სიყრმის მეგობარს.

ბოცო იღიმებოდა, თეთრი კვიცი საკმაოდ რთული გასახედნი აღმოჩნდა და მას რამოდენიმე წამებში მოუწია ხის ტოტზე შეხტომა გადასარჩენად, თორემ თეთრი კვიცი გაგიჟებით ცდილობდა სამცხის სპასალარისაგან განთავისუფლებას.

- მყესი ხომ არ გაიგლიჯე? - მზრუნველობით ეკითხება გუზანი ბოცოს.

- არა, რიგზეა ყოველი - ბოცოს ერცხვინება იმის აღიარება რომ თეთრმა კვიცმა არ მიიღო მისი ალერსი.

- ასე მუდამ ძმობილო, თეთრი კვიცის ხელში ჩაგდებას დროს სჭირდება, დავამშევთ ცოტას და მოჭკვიანდება შენი ურანია.

- მართლაც ასეა - მაგრამ ხვალვე გავხედნი.

- მერწმუნე საჭიროა ჯერ ბჭობა და შემდეგ იქნებ თავად ჩაგვივარდეს ხელში - გუზანი მამამისის პოლიტიკური ხლართების გამეორებას იწყებდა.

- რაზე ვიბჭოთ , კვიცზე- გულუბრყვილოდ შეხედა ბოცომ ძმობილ ერისთავს.

- სახელმწიფო საკითხებზე უნდა ვიბჭოთ მე და შენ სამცხის სპასალარო - გუზანი თვალებში ჩასცქეროდა ბოცოს.

„ამის მამა აბულ-ასანი ცნობილი თავის ხლართებით ეხლა შვილის სახით მოგვევლინა მტრად - ასე იტყვიან ჩემზე ბაგრატიონნი, როცა გაიგებენ რომ მოჭიდავე ბოცოს ჩემს მხარეზე გადავიყვან“- გაიფიქრა გუზანმა და მაგიდაზე რუქა გაშალა.

- საზღვრები უკეთ უნდა იქნეს დაცული, რჩეულიანს რომ არ ევაჟკაცა და აბიათარ კოპასძეს, იქნებ არც ყოფილიყავი ცოცხალი ეხლა ჩემო გუზან! - გაიცინა ბოცო სპასალარმა.

- და მერე რას ფიქრობ რომ შემოგთავაზებ სათათბიროდ?

- შევადგინოთ წერილი სახელმწიფოს საზღვრების დაცვის სტრატეგიის შესახებ გუზან ბატონო, მე ჩემი ცოდნითა და გამოცდილებით, შენ შენი ჰაზრითა და გუმანით , მივწეროთ წერილი თბილისის სამეფო კარს- ბოცო ბეჯითად ათვალიერებდა ტაოს გადასასვლელების მარშრუტებს, ძველ სპარსულ რუქაზე.

- მერე ვის მივწეროთ ნეტა?

- ამირსპასალარის სამსახურს! დაგვიფასდება - ამბობდა სამცხელი.

გუზანი რამოდენიმეჯერე მიაშტერდა გაკვირვებით თავის მეგობარს, განხიბვლა ეუფლებოდა თბილისიდან ტაოს გადმოსროლილ ერისთავს, ერთი წარმოდგა იგი, დარბაზში გაიარ-გამოიარა და უეცრად შუბივით მიაჩეხა ბოცოს:

- მეფე თამარ-მზეს გაჰყარეს წუხელ გიორგი რუსი, რომელიც განაძევეს და ამით ბაგრატიონებმა დაკარგეს უფლება მეფობისა!

***

ბოცო არაფერს ამბობდა, მხოლოდ თვალის გუგებში ჩაჰკირკიტებდა გუზან ტაოელს, რომლის გონება, როგორც ჩანს იმ ფარული კედლის დანგრევას აპირებდა, რომელიც აღმართული ჰქონდა სამცხის სპასალარს მეფეთ ერთგულების განსამტკიცებლად.

„ყოველ კაცს აქვს კედელი ერთგულების, მაგრამ სხვადასხვა სისქისაა ესე კედელი, მე არც კი ვიცი მაგრამ ლოდსატყორცნები ყოველ კედელს დაანგრევენ საბოლოოდ, დრო არის საჭირო, დრო...“ - ფიქრობდა გუზან ტაოელი და ბოცოს თვალის გუგებში, შეუვალ კედელს რომ ვერ ხედავდა, ეს უკვე უხაროდა.

„ეს რომ მეფეთა მუნჯი ყმა იყოს, უკვე ჩემი თავი გალავნის შუბზე იქნებოდა წამოცმული ჩემო გუზან“- ეუბნებოდა ტაოსკარელი თავის თავს და ბოცოს ხელებზე შეჰყურებდა, სამცხის სპასალარს მსხვილი მაჯები მაგიდაზე დაეწყო და მხოლოდ გუზანის მიმართულებით იხედებოდა, მაგრამ არავინ იცის გუზანს ხედავდა თუ მის უკან, იმზირებოდა მოჩვენება სულ სხვა არსებისა, რომლის არსებობას გუზანი ხვდებოდა მაგრამ მუნჯად იყო.

ასე არის ხშირად, გმირი ტურამ უნდა იგდოს ხელთ, მაგრამ როგორ?

***

თამარი როდესაც პირველად ნახა ბოცომ, იმწამსვე შეუქანდა მას გული. ძლიერმა იგრძნო უსუსურობა და უბრალოება თამარის ზეაწეულ წარბებთან შეპირისპირებისას, სელჯუკური ნამგალა ხმლების ისე არ შეეშინდებოდა პატარა

ბოცოს, როგორც იმ დიაცის ხილვა, რომელსაც მისი გული სამუდამოდ უნდა დაეპყრო. მაგრამ ეხლა თამარის მეორე ხილვას იხსენებდა სამცხის სპასალარი.

თბილისური დილა სუფევდა, ისნის სასახლის ბაღში ვარდები გაიშალნენ. საამური სურნელი იდგა ვარდთა, იმ დღეს. მტკვრის ხეობაში ეს სურნელი მოძრავ, ამურებთან მფრინავ ღრუბელს ემსგავსებოდა. სასახლის ბაღებს ვარდთ-უხუცესი მირიანი, გვარად ვარდოსანიძე უვლიდა. მისი ხელქვეითნი სპარსეთიდან, შირაზიდან, ბადახშანიდან, საბერძენითან - კერძოდ მანგანის სასახლიდან ჩამოტანილ ვარდის თესლს ქართულ მიწაში აღვივებდნენ.

უფლისწული თამარი, თავისი სეფექალებით მირიან ვარდოსანიძესთან ერთად ვარდთა გახარების უცხო ხელოვნებას ეზიარებოდა. იმ დღეს მირიანს, ჩინმაჩინის ქვეყნიდან მოტანილი ვარდის ნერგი უნდა დაერგო საუფლისწულო ბაღში, მაგრამ მანამდე ამ ხელთუქმნელი ნერგის საიდუმლო უნდა მოეყოლა უფლისწულისათვის და მისი მოვლის კანონი აეხსნა ვარდთა და სურნელთა შემცნობელ დიაცთათვის სამეფო ამალიდან.

უფლისწულ თამარის გვერდით, მოთენთილად ჩამომჯდარიყვნენ თხუთმეწი წლის დიაცნი, ერთი უმალ შეიცნო ბაღისაკენ მიმავალმა ბოცომ.

- ჩემი ძმა მოდის, ძამიკო, ბოცოკო - აჟღურტულდა თამარის ფერხთით მჯდომარე, მეწამულ სამოსელში გამოწყობილი გოგონა და მის შესახვედრად გამოიქცა ბაღის კიბისაკენ.

- კრავაი, დაიკო! შესძახა ბოცომ და სამეფო დასის წევრი, თამარის განუყრელი მეგობარი და მესაიდუმლე კრავაი ჯაყელი გულში ჩაიკრა.

- ბოცოკო ჩემო საყვარელო - ამბობდა მაღალი, ნუშისფერთვალება, თეთრი ქალწული რომლის ყელზე მოთამაშე მარგალიტების მძივი, საკუთარ ბიძასა და ბიცოლას აგონებდა ბოცოს და მასაც გული უთამაშებდა, სამეფო კარისათვის უცხო მგრძნობელობით დაშინებულს.

კრავაი დახვეწილად ფლობდა სამეფო კარის გარიგებას! მისი გაცისკროვნებული თვალები ათამამებდნენ ბოცოს. „აქ მე გეგულვი ძმაო“ - ეუბნებოდნენ ისინი ყმაწვილ ერისთავს, მაგრამ ამავე დროს, არაერთ ინტრიგასა თუ ისტორიაში გამოცდილი კარი ბაგრატიონთა, ყოველ, ცოტათი ზედმეტად თამამსა და თავმოუდრეკელს ერისთავის ვაჟს რომ დასაღუპად გაწირავდნენ, ამაზეც ამბობდა მრავალს კრავაი ჯაყელის თვალის გუგებში ჩაძირული წითელი ნაპერწკლები და ღრმად ჩაძირული ისტორიის ქვები.

ბოცოსაც, ახალციხელ ბიჭს, დიდი ძალისხმევა დასჭირდებოდა ბაგრატიონთა სამეფო კარის შესასწავლად. ამაზეც აფრთილებდნენ მას კრავაის ზეაწეული წარბები და ოდნავ გამოვლენილი გამყინავი მინიშნებები.

ბოცო კრავაის გადაეხვია, ვარდის სურნელით აივსო ახალციხელი ერისთავი და სულში ჩაღრმავებულმა ვარდის რულმა, მის გულში საამური ფათერაკის გრძობა დაჰბადა.

- წამო, თამართან - დაბალ ხმაზე უჩურჩულა ბიჭს, ბიძაშვილმა და ბაღის კიბეზე ასვლა იწყო, ბოცოც მიჰყვა მაგრამ უეცრად კრავაიმ მას უბრძანა:

- თვალები დახუჭე, აქ ვინც შემოდის ყველას თვალნი აქვს ახვეული, შენ როგორც ჩემს სისხლს, უსახვევოდ აგიყვან კიბეზე, მაგრამ თვალი, სანამ არ გიბრძანებ არ გამიღო!

- ბატონი ბრძანდები - გაეღიმა ბოცოს და კრავაის ხელს, ხელი ჩაავლო, თვალები დახუჭა და ფეხი ადგა. კიბე ორმოც საფეხურიანი იყო.

დაკიდულ ბაღებს ქმნიდა მირიან ვარდოსანიძე. „სემირამიდას ბაღების მსგავსად ქართველ მეფეთა ადგილი უნდა იყოს სამოთხის მსგავსი ედემი“- აბობდა ვარდთ-უხუცესი და სამეფოს უზრდიდა მისი სიბრძნის გამგრძელებლებს.

როდესაც ათი ნაბიჯი გაათავა ბოცომ, მაშინ მან იგრძნო სულ სხვა, ახალი სურნელი ვარდთა, ეს ხომ სპარსეთის შახის გამოგზავნილი, შირაზული ვარდის ჯიშები იყო, მზისკენ რომ იყვნენ მიდრეკილნი და თავის სურნელებას, მზის სხივებთან ერთად აქეთ-იქით აფრქვევდნენ.

კიდევ რამოდენიმე საფეხურის შემდგომ, ნაკადულის ჩხრიალი შემოესმა თვალდახუჭულ ბოცოს, „წყალია?“ - იკითხა მან, რაზეც კრავაიმ უპასუხა, „ვარდის წყალში დასველდები ოდნავ“.

უეცრად იგრძნო ბოცომ, სპარსულ სურნელს სულ სხვა სურნელი, უფრო ამურული, გულის ამაცქრიალებელი, მაგრამ დინჯი, მბრძანებლური არომატი მოჰყვა. აქ კი მართლაც გული აუთამაშდა ახალციხიდან თბილისს ჩამოვარდნილ ვაჟს.

„აი ეხლა კი ბიზანტიის ვარდების გზას გადავივლით და ბოლო წრეში შევალთ სადაც აფხაზთა და ქართველთა სამეფოების ვარდები მეფობენ“- თქვა კრავაიმ და ბოცო გაირინდა, ძვრაც კი ვერ უყო მას ბიძაშვილმა. ამ ადგილის დატოვება როგორ იქნებაო-ფიქრობდა სამცხელი.

„როგორია?“ - ჩურჩულებდა დიაცი, როდესაც ბოცო ცოტა გამოერკვა მაგრამ ენა დაება და ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. სწორედ ამ დროს უბრძანა მას კრავაიმ „ძმაო თვალი გაახილე!“

გაახილა თვალი ბოცო ჯაყელმა და მოცელილივით დაეცა ძირს, კინაღამ კრავაიც გადაიყოლა, არავინ იცის თავბრუ დაეხვა თუ სხვა რამ შეემთხვა. მის წინ, სპილოსძვლის ტახტზე მისვენებულ ღვთაებას მოჰკრა თვალი და გულში ძალა აღარ ეყო, ფეხზე მდგარიყო.

„ეს უკვე მეორედ ვარდება ჩემს წინ, მახსოვს ცხენიდანაც გადმოვარდა შარშან“ - გადაიკისკისა ღვთაებამ, როცა ბოცოს საწყალი კრავაი ასულიერებდა.

***

- ცოტათი გამოფხიზლდი? ეკითხება კრავაი ბაღში გართხმულ ბოცოს და როგორც ჩანს მართლაც შეშინებულია ასული სამცხელთა.

- სად ვარ? ისევ იმ ბაღში? შენ ვინ ხარ?- ძლივს ამოიდგა ენა ერისთავის ვაჟმა.

- მე ვარ შენი კრავაი? რა მოგდის ვაჟო? - კანკალებს კრავაი

- კიდევ შევრცხვი მასთან? - უიმედოდ ამბობს ბოცო.

- რა მოგდის, ჩვეულებრივი ბაღია - გაკვირვებულია კრავაი. ამ დროს სამეფო სპის ამილახორი მოიჭრა მათთან და მტკიცე მარჯვენა მიახმარა კრავაის, ბოცოს ფერხთ წამოყენებაში.

***

ეს იყო თამარისა და ბოცოს მეორე შეხვედრა. ამ ჟამიდან, გული აქვს ამოვარდნილი სამცხის სპასალარს. მეფის სახელის ხსენებისას იგი კანკალებს. მისი გული ფეთქდება, კედელზე შემსკდარი ლოდსატყორნით გასროლილი თიხის ჭურვივით, რომლის შიგანში ცეცხლმოკიდებული შავი სითხე აჯანყებულა.

„კი მაგრამ რა უნდა ჩემგან თამარ-მზეს?“ - ეკითხება საკუთარ გონს ერისთავის ვაჟი.

- ერთობა შენით - უჩურჩულებს მას ავი სული, რომელიც იმწამსვე გაურბის გაგიჟებულ ერისთავის ვაჟს.

- გაგიმიჯნურდა - უჩურჩულებს ციხის კედელზე ასულ ბოცოს, მწარე ენოსანი, ფორიაქი სული.

- დაგცინის, რადგანაც ვინ ხარ? - დაქირქილებს თავს ველური პანტის მსროლელი, ტყის ჭინკოური.

- გეტრფის !- ხარხარებს ,სულის გალიაში ჩაკეტილი ფრთოსანი ჰარპია.

- სისხლით არ ხარ შენ ბაგრატიონთა დარი - უდასტურებს შიშებს, კარის საკეტის ჭუჭრუტანიდან გამომძვრალი „ალმას-ქალწული“, რომელსაც ბურუსის შემდეგ ხედავენ სამცხელნი, მთაზე შეფენილ სოფლებში.

***

„თამარს ხედავს, მუდამ თამარზე ფიქრობს, საქმე არც აინტერესებს თუ თამარს უხსენებ!“- ჩურჩულებდა გუზან ტაოელი, როდესა მის თვალის გუგებში მოშტერებულ ბოცო ჯაყელს დაშორდა და კრიპტორიუმში ჩავიდა.

ორი წლის შემდეგ

1189 წელს - შეთქმულების მზადებისას „ანჯამურ ანბანს“ ხმაროობდა თავად აბულასანი, თბილისის ამირა - ქურდი, მამა და აღმზრდელი გუზან ტაოელისა. სკრიპტორიუმში ჩასული გუზანი იმაზე ფიქრობდა თუ რომელი ასოები გადაედგილებინა წერილებში რომ ახალი და უცნობი საიდუმლო წყობა შეეთავაზებინა ბიზანტიიდან შემოჭრისათვის მომზადებულ, უცხოდ აღრენილ, ქართველთა რუსი სიძისათვის.

- ბოლოგუბსკის აზნაურები წერილებში საიდუმლო წყობას არ ხმაროობენ, პირდაპირ წერენ სათქმელს, ამით არღვევენ თავად შეთქმულებისათვის დამახასიათებელ წესებსა და პიროობებს - პირში ნიჟარა ჩადგმულივით ჩლიფინებდა, შუბოსანთა თავი გვარად მორკინალისძე.

- მამამ ჩემმა, ტფილისის მმართველმა და გამგებელმა, ეს სიბრძნე კი მომანდო, რომ ჩემს თავს არ მივცე საშუალება, მტერი გავაცინო და ბრიყვულად შედგენილ წერილს მოვაწერო ხელი.

- მამათქვენი ტფილისის ქუჩებში გაზრდილი მოყმეა, დაჰმანურიც იცის და თბილისურიც - მორკინალისძე იგონებდა.

- თიფლისისა და იბლისის ამბები გადაჯაჭვულია ერთიმეორეს ჩემო პატრონო - მორკინალისძე აიმღვრა ცოტა.

- იბლისი ქურთთა ქვეყანაა, ტიფლისი კი იბერიელთა დედაქალაქი- თვალებში სისხლი მოაწვა გუზანს.

- რომელი საიდუმლო სქრიფტი გამოვიყენოთ ამ მსგეფსის დროს? - მორკინალისძე შორს იცქირებოდა.

- გიორგი III -ს ერთი ჯალათი ყავდა სპარსი ჯურხანა, საწყალი დემნას აჯანყების ბოლოს, ჯურხანა სევდიანი დადიოდა? ერთ დღეს შეხვედრია მამაჩემი დიდი აბულ-ასანი საბრალო ჯურხანს და უკითხავს - რამ დაგასევდიანა ჯურხანო?

- ხალხი, ხალხი მემატება მოსაკლავიო - უთქვამს თვალცრემლიან ჯალათს.

- ვერ ყოფილხარ კარგი ჯალათიო - უპასუხია აბულასანს.

- ნუ მიიღებთ ხალხო მეფეთა წინააღდეგ შეთქმულებაშიო წილს და დაისვენებს ჯურხან სპარსიო - მიუგია პასუხად ჯალათს. აი ასეა ეს ამბავი - ან ნუ ვაკეთებთ ამ საქმეს მორკინალისძევ, ან კიდევ დამემორჩილოს ყველა, აქედან და

ტრაპიზონდამდე და რუს სიძეს, მანამდე ნუ გადმოიყვანენ, სანამ დადიანისა და სვანთა პასუხი არ იქნება დასტურის შესახებ.

- მიმოწერა გვინდა ყოველ ერისთავთან, რომ უსისხლოდ შევიდეთ დედაქალაქში და მეფედ ვაკურთხოდ ღირსეული - მრისხანე სახე ჰქონდა მორკინალისძეს.

- ანჩხაბრული საიდუმლო სქრიფტი გამოიყენონ ამ მსგეფსში მორკინალისძევ. ბრძანება სისხლითაა ! უცთომლად მიჰყევით ანხაბრულ ანბანს - თვალებ გაფართოვებული ამბობდა ამას გუზან ტაოელი.

- იქნება მასე ჩემო პატრონო, მაგრამ სამცხის თავკაცი ჩვენს მხარეს უნდა დადგეს!

- ბოცო ჯაყელი ხვალ უკვე ჩვენი იქნება, შამელთა შემოსევამ გამიიოლა ამ კაცის ნაღდ გზაზე გადმობირება მორკინალისძევ- დარწმუნებით ამბობდა ტაოსკარელი.

- თუ სამცხის სპასალარი ჩვენთან იქნება მაშინ უთუოდ უმალ უნდა შევიდეთ თბილისში, ვაკურთხოდ მეფედ რუსი და აღვადგინოთ ცოლქმრობა თამარსა და ბოგოლიუბსკის შორის.

- დადიანიც ჩვენი იქნება, იქნებ ჯობს ჯერ ქუთათისს შევიდეთ და იქ ვაკურთხოდ მეფედ ბოგოლიუბსკი, შემდეგ მოვერთოთ ყველანი და მივადგეთ თბილისს- ფიქრობდა აბულასანის ვაჟი.

- ერთი რამ მაფიქრებს პატრონო, ბოცო ჯაყელის ჩვენსკენ გადმოსვლით, რა ბედი ეწევა მის ბიძაშვილთ, კალმახელ-ციხისჯვარელებს?

- ჯაყელები და კალმახელ-ციხისჯვარელები ერთი ოჯახია, ისინი ჩორჩანელის მოდგმა გახლავს, მათ შორის ისრის კვრაც კი არ გაიმართება. ციხისჯვარელები მშვიდი ხალხია. მათი ცხენოსანი ჯარი უმოქმედოდ უნდა დარჩეს და ამ ჯარს ჩვენ თორის ხეობაში ჩავკეტავთ, ამასობაში კი ტახტი და ხელმწიფობა ჩვენი იქნება - გუზანი დაჰყურებდა თავზე მორკინალისძეს და ფიქრობდა.

***

ბოცო, საკუთარი დედოციხის მრგვალ კოშკში იჯდა და ხელში კალამი ეპყრა. გიშრისფერი მელანი ქაღალდის სითეთრეს კაცთა ბედ-იღბლად გადაქცევას უპირებდა მის ხელში. ლექს მიეტანა სამცხის სპასალარი ბოლო ხანს. „გიორგი რუსი გაამეევესო“ - ეს სამი სიტყვა უცხელებდა მას შუბლს და როდესაც მის ღვთაებას - თამარს წარმოიდგენდა, ოცნებებში უსათუოდ მის გამოსახსხნელად შეიჭურვებოდა და მიუძღვებოდა თორისა და სამცხის სამთო ათასეულებს თბილისისაკენ.

„კი მაგრამ ვისგან უნდა ვიხსნა თამარი“ - გაუელვა მას დღესაც გონებაში. „სასახლის კარი, თუნდაც თავად გუზანის მამა - აბულასანი, წყეული ზანქან ზორაბაბელი და სხვანი არ არიან განა დამნაშავეები მზე-ქალასთან? განა მათ არ მოჰგვარეს ლოთი და ნაყიფჩარარი რუსი წმინდანის დარ ქალწულს? განა მათ არ მოაშთვეს ყოველი უფლისწული მსურველი თამარის ხელისა? განა ისინი არ არიან გასვრილი მზე-თამარის უბედურებაში?“- ესაუბრებოდა საკუთარ თავს ბოცო სამცხის სპასალარი.

ბოლო ორი მსგეფსის ღამეები თეთრად გაატარა მან, ლექსსაც სწერდა. ახალ ციხური სტროფი ემარჯვებოდა. თამარის მიმტაცებლებს უწოდა ქაჯები - რომლებიც თავადვე ენახა ბავშვობაში, როდესაც მისმა მამამ მემნა ჯაყელმა ჯაყის ციხიდან ერთი დღის სავალზე მდგომი ციხე -ქაჯეთი უცხო, შავი ბეწვით დაფარულ არსებათაგან განწმინდა და გაოგნებულ ბავშვს ქაჯთა ციხის თავის - ყარაჯანის მოჭრილი თავი მიუგდო!

- არ შეშინდე, ლომის ბოკვერო, დააკვრიდი კარგად, ამ არსებას ადამიანობას თუ ატყობ? - მიაძახა მამამ რვა წლის ბოცოს, რომელსაც ხელში შერჩა ქაჯის თავი, რომლის სიახლოვის გამო, ბავშვის კვიცი შეხტა და კინაღამ უფსკრულში მოინდომა გადახტომა.

- ეს ვისი ციხეა მამა? - იკითხა გაოგნებულმა ბოცომ, რომელმაც კვიცი მტკიცე ხელით მოდრიკა, ყარაჯანის თავი კბილებში გაირჭო და უფსკრულისაკენ მიმართული ცხენი მამისკენ მოატრიალა.

- ამ ციხეში ჩვენი მტრები, ბუნ თურქები სახლობდნენ შვილო! მათ ისარს ვერც ბიზანტიური ფარი უდგებოდა და ვერც ქართული, აქ კი ერთი კაცი თუ შემოეტევა, როგორც ხედავ! წყობას ვერ გაშლი, რაზმს ვერ დააწყობ. მხოლოდ ერთ-ერთზე უნდა შეება მეციხოვნე ქაჯებს- ბრძოლისაგან დაღლილი ამბობდა მემნა ჯაყელი და ქაჯეთის ციხეზე ასულ თავისი რაზმის მეწინავეებს გაჰყურებდა.

- აბა ჩვენ როგორ ავიღეთ მამა? - გაოცებული იყო ბავშვი, რომელსაც ყარაჯანას სისხლშემხმარი თავი უნაგირზე ჩამოეკიდა, მაგრამ გადმოყირავებული ყარაჯანა მათ ორივეს უცქერდა და ენასაც უყოფდა.

- ჩვენ, დიდი შურტა კუტალმიშის სული გვეხმარება შვილო -თქვა მემნა ერისთავთ- ერისთავმა და შვილს ძველი ტყავის წიგნი გადმოუგდო.

ამის შემდეგ ბოცო ჯაყელს ქაჯები არც უნახავს, მაგრამ ყარაჯანას თავი ისე ჩაამახსოვრდა, რომ მისი გადატრიალებული თვალები და გამოყოფილი ენა -ეხლაც ახსოვდა, ამ ლექსის წერისას.

„ქაჯებს ყავთ გატაცებული მზე-ქალი...უნდა მოვინახულო ხვალვე დავიწყებული ციხე ქაჯეთისა, იქნებ ვინმე შემხვდეს იქ იმგვარი ვისაც ეხლა ვისურვებდი“- ჩაილაპარაკა ბოცო ჯაყელმა და ჯაყის ციხის მრგვალი კოშკი დასტოვა!

***

- ერთი კვირა არ ვიქნები აფთარ ბატონო, ციხესა და სამცხეს შენ გიტოვებ - ამ სიტყვებით მკერდზე ეამბორა რჩეულიანთა რაზმის სპასპეტს სამცხის სპასალარი.

- თუ ქაჯეთს მიხვალ, იახლე რჩეული აზნაური ფოცხოველი! გირჩევ - შეათვალიერა აღზრდილი კოპაძემ.

- მარტო გაჭრა მსურს აბიათარ ბატონო - თქვა ბოცომ და გუზან ტაოსკარელის ნაჩუქარ „ურანიას“ მოახტა.

- გამარჯვებით გევლოს ბოცოვ !- მარად დაუღალავმა აფთარ კოპასძემ მოსართავები შეუმოწმა ურანიას და ხელი გავაზე დაჰკრა. ამ რკინა-კაცის მტკიცე მარჯვენამ თეთრი კვიცი ონავრული ჟინით აღავსო და შურდულიდან გატყორცნილი ქვის სისწრაფე ჩაუყენა მას მუხლ-ძარღვში.

- ქაჯეთისაკენ! - თქვა ბოცო სამცხის სპასალარმა.

ქარმა დაუბერა აღმოსავლეთიდან, კლდეებში სჩქეფდა ბორეასი, რომელიც მტვერს აყრიდა სამყაროს გაჩენის მომსწრე უდიდეს, დახავსებულ ლოდებს, რომელთაც ადამიანთა ტანფეხი და სახის ნაკვთ-კეთილ-წარბნი დაუბრუნა ბუნებამ. ჯაყის ციხიდან ქაჯეთამდე მიმავალ გაქვავებულ ლაშქარს ჰგავდნენ ლოდები, რომელთაც ურანიაზე ამხედრებული ბოცო ეჩურჩულებოდა.

კახაბერ ჯაყელი

30 აგვისტო

2020

ივანე I ჯაყელი - ციხისჯვარელი

ისტორიული რომანიდან „ჯაყელთა 1000 წელი“

კახაბერ თენგიზის-ძე ჯაყელი

გავიხსენოთ აქამომდე რაც იყო და ახსოვდათ კაცთა. 1058 წელს სულა კალმახელმა, რომ ლიპარიტ დიდი ბაღვაში შეიპყრო და მეფეს მიჰგვარა, სწორედ ამისათვის, მას მიეგზავნა ციხისჯვარი. კალმახელები მიელტვოდნენ ამ საჩუქრისაკენ. მათ ციხისჯვარის ხელში ჩაგდებით მიიღეს სამთო ცხენოსანი ჯარის გამოსაკვები მიწა, რომელიც ერთის მხრივ მესხეთ- ჯავახეთს დაჰყურებდა თავს, ხოლო მეორეს მხრივ ქართლის გულს. სულ ამ მისთვის დამახასიათებელი თანმიმდევრულობით, მთაში აასახლა თავისი მიმდგომ-მოკიდულნი და ცხენსაშენი აღაშენა თავისივე სასახლის წინ, რომელიც ციხისჯვარის გულში, ამოზრდილი ლევიათანის ეშვის ფორმის მქონე კლდეზე დადგა.

სასახლის გვერდით, კლდის ქიმზე იდგა უძველესი ჯუარი, რომელსაც მეხუთე საუკუნეში აშენებული ციხის კედლები იცავდნენ.

ჯუარი იყო შავი ფერის. მისი ჩრდილი იმგვარად დაცოცავდა მრგვალი ფორმის მქონე ციხისჯვარის ველზე რომ იგი ვებერთელა მზის საათს მოგაგონებდათ.

ცხენსაშენის გასწვრივ სულა კალმახელმა სამხედროთა სახლები დადგა და დაიწყო გაუთავებელი წვრთნა.

***

ამ ამბიდან ზუსტად 133 წელი გავიდა. იდგა 1191 წელი. კალმახელ- ციხისჯვარელთა საგვარეულო სახლს ხელმძღვანელობდა სულას შვილიშვილთა შვილი- ივანე ციხისჯვარელი, რომელიც ფლობდა ქალაქ ოძრხესაც და იმ დილას კურცხალისწყლის სანაპიროზე წისქვილის გამართვას ადევნებდა თვალყურს.

გვიმიანი წისქვილის დასადგურება უპრიანი იყო კურცხალისწყლის ხეობაში. ეს გახლდათ წყლის წისქვილის უძველესი მესხური სახეობა, რომელიც გავრცელებული იყო წყალმცირე ადგილებში, სადაც წყლის ჭავლი თვითდინებით ვერ აბრუნებდა წისქვილის ფრთას და ამიტომაც წყლის ყოველი წვეთის შემკრები მესხები აკეთებდნენ საგანგებო ქვევრს, რომელშიც წყალი უნდა დაგუბებულიყო. ქვევრიდან გამომავალი თიხის მილებით აბრუნებდნენ ისინი წისქვილის ბორბალს და საქმეც წინ მიდიოდა.

- წისქვილი საგულდაგულოდ უნდა მოვაწყოთ, თუ გაგვიმართლა კურცხლისწყალმა მაშინ ოძრხეს ქალაქისათვის ათი ამგვარი გვიმიანი წისქვილი უნდა ავამოქმედოთ - საქმიანად შეათვალიერა ივანე კალმახელმა წისქვილის ამწყობნი და ცხენზე ამხედრდა.

ოძრხესაკენ მიემართებოდა ივანე ციხისჯვარელი სადაც მდინარე ოცხეზე რამოდენიმე ხიდის გამართვასა და დალოცვას უნდა დასწრებოდა. შემდეგ თბილისისაკენ აპირებდა დაძვრას. დილას უნდა ჩაესწრო მეტეხის სასახლეში. ქალაქის ჰამბავნი უნდა შეეტყო, რომ რაიმე მნიშვნელოვანი არ გამოჰპარვოდა სათვალავიდან.

უჩვეულო დრო იდგა. ექვსი წლის წინ სამეფოს სიძედ შემოუდგა გიორგი რუსი. ასე უწოდებდნენ მას მესხები. მანათობელი თამარი ჩაიბარა უცხოელმა და ამან შესაძლოა კიდევაც გაამძვინვარა დიდებისა და ძალაუფლების მოყვარენი. ხუთი წლის მშვიდობის შემდეგ, უეცრად სამეფო ოჯახი აირია. შფოთი ოჯახიდან ქვეყანასაც გადაედო. როგორც მოულოდნელად მიიღეს რუსი, ისევე მოულოდნელად განაგდეს იგი ბაგრატიონთა. რა იყო

ამის მიზეზი? აფხაზთა და ქართველთა სამეფო ჭორმა დაიპყრო და დააფორაქა. დიდი თუ პატარა, ერისთავი თუ ვიგინდარა რუსის შესახებ ალაპარაკდა. მაგრამ ივანე ციხისჯვარელი მესხური ჩვეულების თანახმად არასოდეს გამოთქვამდა თავის აზრს სამეფო ოჯახობაზე. ჭორებს მესხები ყურს არასოდეს უგდებდნენ. ივანე თავად სამხედრო პირი იყო და მისი ადგილი იცოდა. ამიტომაც ციხისჯვარელის ერთგულებას ძლიერ აფასებდნენ ბაგრატიონნი. ბაგრატიონთა ტახტის მცველის დიდებული სახელი ჰქონდა ციხისჯვარელის დიდ წინაპარს სულას. მასაც იგივე სწყუროდა და ბაგრატიონთა გულისათვის მტერსაც და მოყვარესაც წარბშეუხრელად დაჰგლეჯდა.

სახეც, გრანიტის ქვაში გამოქანდაკებულ ლომს მიუგავდა ივანეს. მარცხენა წარბზე და ნიკაპზე, თურქული ჰოროლით, დვინთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობის კვალი მოხდენილად დაჰყვებოდა მის შავ წვერსა და ულვაშს. ტანხმელი და შეუდარებელი ცხენოსანი იყო ომრხესა და ციხისჯვარის მფლობელი. მოწითალო ფერის კვიცზე იჯდა და ქარაფებზე ისე ახტუნავებდა გიჟმაჟ კვიცს რომ მნახველს გონი დაეკარგებოდა. თავად საკუთარ ათასეულთან ერთად ალიონს ასწრებდა გაღვიძებას. ციხისჯვარში მზე რომ ამოიწვართება - ციხისჯვარელი უკვე ცხენზე მოვლებული და გაჭენებული უნდა შეხვდროდა. მოკლე შუბებით ხელში მიჰქროდნენ ცხენზე შეზრდილი ცხენოსნები და ხელშუბს მიზანს სტყორნიდნენ.

ორმოცდაათი დამსხვრეული „მიზანი“ უნდა მოსაკლისა ივანეს, რომ თოროსანი მოყმე დილის საუზმეზე დაელოცა ლაშქართ უხუცესს. თავის მოყმე თანამოლაშქრეებთან ერთად თავად ივანე ციხისჯვარელი ანადგურებდა ხელშუბით მიზნებს. ყოველდღიური წვრთნა ოცდაცამეტი წლის ერისთავს ავაზის მოხერხებას და ფოცხვერის სიზუსტეს უნარჩუნებდა. მაგრამ კავალერიის შექმნა და გაძლიერება, წვრთნის გარდა, ცხენთა ჯიშის გამოყვანასა და საკმარის კვებას საჭიროებდა.

სტრატეგისის ცოდნა არ აკლდა ციხეთა და ქალაქთა იერიშის მცოდნე სარდალს. მან თავიდანვე დაუსახა მიზანი სახელმწიფოს მესვეურებს ციხისჯვარში დაბანაკებული სამეფო კავალერიის შესახებ. მსუბუქი ცხენოსანი, უმეტეს წილად გრძელი ჰოროლითა და ხელშუბებით შეიარაღებული, მშვილდისრით პაექრობის ოსტატი, მსუბუქი ფარითა და უნაგირით, მხოლოდ ტყავკაბით ჭურვილი, უეცარი თავდასხმებისათვის უნდა გაეწვრთნა მას და ყოველი ჩქამისათვის მზად ყოფილიყო.

მთაში ცხენების შენახვა და კვება ჭირდა. ამიტომაც სამ იარუსიანი ცხენსაშენი ააშენა ივანემ ცხენების მოვლისათვის. საჯინიბოების ქვეშ, პირველ იარუსზე, საკვებით გამოტენილი ბეღელი იყო გამზადებული თვითოეული კვიცისა თუ სრულ ასაკოვანი ჰუნესათვის. ყოველი მხედარიც საკუთარ ცხენთან ერთად ცხოვრობდა, მესამე იარუსზე. კაცისა და მისი ჰუნეს ბედი ურთიერთდამოკიდებული იყო. ჯამაგირი ეძლეოდა მეომარს და მის ცხენს. ჯილდოები იყო დაწესებული საბრძოლო მოქმედებებისათვის. მხოლოდ საუკეთესოებს იღებდნენ ივანე ციხისჯვარელის ლაშქარში. მთელი მესხეთიდან მოდიოდნენ მოყმენი. ასიდან ერთს ან ორს თუ იღებდნენ, გამოცდისა და მჭმუნვარე გასინჯვის შემდეგ.

ივანე ციხისჯვარელის ჯარში დაწუნებულნი ქალაქში მიდიოდნენ და სამეფო ლაშქარში, მანდატურის სამსახურში, მხედრებად ეწყობოდნენ.

ხმა ჰქონდა გავარდნილი ციხისჯვარის კავალერიას და მის სარდალს.

***

განვლილი ბრძოლებიც მხარს უმაგრებდნენ ივანე ციხისჯვარელს. გიორგი რუსის სარდლობით, ქალაქ დვინს შეუტიეს ქართველებმა. აქ განსაკუთრებით ისახელა თავი, მოქნილობითა და სისწრაფით განთქმულმა ციხისჯვარის ათასეულმა.

დვინის ალყის დროს იხილა ივანე ციხისჯვარელმა იური ბოგოლუბსკი საქმეში. უშიშარი მხედარი იყო რუსი, თავს და ძალებს არ ინდობდა. სამხედრო ძალა ერთიანად რომ გაწყვეტილიყო, მაინც მიაღწევდა თავისას, ეს უცხო, ახოვანი, ცისფერთვალება გოლიათი. მეფე-სარდალი, მუდამ არაყის სუნით რომ ყარდა - ეს კი გაკვირვებას იწვევდა მესხის თვალში, მაგრამ ომის დროს, რადგანაც მოგებაა მხოლოდ წარმართველი, თავდაღუნული უსმენდა გალეშილ რუსს, ციხისჯვარელი.

ხუთი წლის წინ, გიორგი რუსის სარდლობით, არაქსის ველზე უშიშრად მიაბიჯებდნენ აფხაზთა და ქართველთა სამეფოს მხედრები. სომეხთა ოდინდელი დედაქალაქის სელჯუკთაგან გამოგლეჯვა დაისახა მიზნად ქართველთა სამეფო კარმა, რომელსაც მეფეთ-მეფე თამარი ხელმძღვანელობდა.

მისმა მამამაც გიორგი მეფემ, ცოტახნით წაართვა არშაკიანების ოდინდელი დედაქალაქი თურქებს, მაგრამ კვლავ მათ ეკუთვნოდათ დვინი. ნისლში იყო გახვეული არემარე. უჩუმრად მიიწევდნენ მხედრები და არაფერი არღვევდა სიჩუმეს, მაგრამ ჰოი.

მინაბული ველი, უეცრად ყიჟინამ გაჰკვეთა, არემარეს მოქნეული ხმლების ზუზუნის ხმა მოედო, აჭიხვინდნენ ცხენები და ცხვრისფარასავით დინჯად მიმავალი ნისლის გაუმჭვირვალე სხეულიდან სელჯუკთა კავალერია გამოიჭრა. სელჯუკური ხმლის დანახვისას უნებურად ასტკივდათ კისრები, მათ წინააღმდეგ დაძრულ ბაგრატიონთა მხედრობის მოწინავეებს.

გულგანმგმირული დაეცა აფხაზთა მედროშე, გადაეფარა ქართველი მოლაშქრე და ცხენიდან დაიქვეითა რამოდენიმე ქართლელმა, წრიული დაცვითი მწყობრის აშენებისათვის. სარდლებმაც შეჰყვირეს და როგორც ჩანს წყობათა შინა სიმტკიცე მოაგონეს თავის ხელქვეითებს. შეგუბდა ქართველ-აფხაზთა მხედრობა. მათ გარშემო კი სელჯუკთა ცხენოსანმა ათასეულმა დაიწყო მიჭრა-მოჭრა, კვეთა და ისრების დაშენა. მრავალი მეომარი დაეცა ხელგაუნძრეველი. შიშმა შეიპყრო ბევრი გამოცდილი და ბრძოლისათვის შეუმზადებელი. ლაშქარი ათრთოლდა, მაგრამ ამ დროს სწორედ იური ბოგოლუბსკის ხმა გაისმა. თითქოს თითბირის ფარზე ხანჯარი დასცესო, რაღაც უცხო ენაზე წამოიყვირა რუსმა სარდალმა. მის გვერდით მაშინ ვარდან დადიანი და ბოცო ჯაყელიც იდგნენ. რუსის ხმამ ყველა გამოაცოცხლა. საიქიოდან დააბრუნა უცხო შეძახილმა მიგუბებული, ჯოჯოხეთში დასამირად გამზადებული სულები. ჰეო-ჰარალეო ყიჟინა ჰკრეს ქართველმა სარდლებმაც გიორგი რუსის გვერდით.

ამ დროს კი თავად იური წინ გავარდა და სელჯუკებს დაეძგერა ცხენზე შემჯდარი. როგორც ჩანს ამ დროს უზანგმა უმტყუნა იურის. სელჯუკთა ლაშქართ-უხუცესს შემოჰკრა ჰოროლი მაგრამ მისი ცხენი შეფორხიალდა და თავად რუსიც უკან გადაჰქანდა.

„მეფეს მარქაფა ცხენიო“- გაიგონა ციხისჯვარელმა თავისი ბიძაშვილის ბოცო ჯაყელის ხმა. ამ დროს ვარდან დადიანიც უხმობდა ეგრისელ ცხენოსნებს. როგორც ჩანს სელჯუკებს პირდაპირ სარდლობის გაწყვეტა ეწადათ და მომხვდური ჯარის გულში იყვნენ შესავარდნად გამზადებული.

სწორედ ამ ფიქრებზე უმალ დაებერა შუბლის ძარღვები ივანე ციხისჯვარელს და მან თავისი ცხენოსნების ასეულით, ტალღა-ტალღად მოჭენავე სელჯუკების წინ-მავლებს

დაემგერა . ბრძოლა წამებში გაჩაღდა. ივანე ციხისჯვარელი სწორედ იქ მიიჭრა, სადაც ვარდან დადიანსა და ბოცო ჯაყელს არტყამდნენ ალყას თურქ-სელჯუკები. გიორგი რუსი უკვე ცხენიდან იყო ჩამოსული და კარვის დედაბოძით იგერიებდა მომხდურ თურქებს.

როცა ცხენებმა ერთმანეთს ლაშები გაშმაგებით დააგლიჯეს და მრავალი მომხვდური ცხენიდან გადმოეშვა, სელჯუკებმა უკან დახევა იწყეს. ამ დროს მოზღვავდა ქართული ჯარიც. ქვეითებმა, მძიმე საჭურველი ხელთ იპყრეს, ერთმანეთს მხარი -მხარს მისცეს, ხელი ხელს და ბიძგებით არივ-დარიეს მომხვდური.

რადგან უეცარი შეტევა არ გამოუვიდათ, სელჯუკებმა უკან დაიხიეს და ისრების სეტყვა დააყარეს აფხაზთა და ქართველთა მხედრობას.

დაიჭრა ვარდან დადიანი. ბოცო ჯაყელს მოუკლეს ცხენი და ამ დროს გიორგი რუსმა მალემსრბოლის მეშვეობით უბრძანა ივანე ციხისჯვარელს გაეფანტა თურქ-სელჯუკნი.

ბრძანება ციხისჯვარელთა კავალერიის გაწირვასაც წააგავდა. მაგრამ ივანე არც დაფიქრებულა. ერთი მოიხედა. ციხისჯვარის ცხენოსანი ჯარი გადააჯგუფა. წინ გამოცდილი მეომრები დააყენა, უკან შედარებით ახალბედები განამწესა და ამ წამიერი მომზადების შემდეგ, შეუჩერებლივი ისრების წვიმაში, ცხენი დააოთხა.

„წმინდაო გიორგი, გამარჯვე-ბა ჩვენ-და “ - შესძახა ათასეულმა და შეტევაზე გადავიდა. მშვილდისრით მეომარ სელჯუკებს, მესხი ცხენოსნები შუბებით წვდებოდნენ და ცხენიდან აგდებდნენ, ეს უკანასკნელნი კი უკან იხევდნენ და ისრების დაშენას აათმაგებდნენ.

„მაშინ ვიფიქრე, რომ ჰოი, აღსასრული დამიდგა“ -ერთხელ თქვა ამ ბრძოლის გახსენებისას ციხისჯვარის მოურავმა ივანე ცხენოსანიძემ.

მრავალი გაწყდა. სელჯუკნი უბადლოები არიან უკან დახევის დროს. მაგრამ მესხები დაუმარცხებლები იყვნენ ივანე ციხისჯვარელის ხმლის ქვეშ. ყველას მისწვდა ოძრხეს ტყეებში გამოთლილი ხელშუბი. უამრავი სელჯუკი ცხენზე დაემხო და ბრძოლის ველს, მკვდარი ან სიკვდილის პირას მყოფი განერიდა.

წამებში წყდება ცხენოსნის ბედი. ისრებმა დაგლიჯეს მებრძოლთა სხეული. ხოლო სული დვინის ნისლს შეუერთდა. უაბჯროდ, შემოგლეჯილი ტყავ-კაბით, მოჭენდა მესხებთან გიორგი რუსი. ამოღებული მახვილით სამხედრო სალამი მისცა მან სისხლისაგან დაცლილ სამთო-მხედრობას და უცხო ენაზე რაღაც შესძახა.

ივანე ციხისჯვარელს მოეჩვენა, რომ რუსი მათ ინდობს და ციხისჯვარის თავგანწირულ კავალერიას იარების მოშუშების უფლებას მისცემს, მაგრამ ამაოდ.

„ქართველთა და აფხაზთა ხელმწიფე იური გიბრძანებთ დვინის ქალაქამდე მისდიოთ უკან დახეულ სელჯუკთ, ამასობაში კი ჩვენი ჯარიც გაემზადება“- თქვა სომეხმა თარჯიმანმა თოროსმა და დაბნეული სახით ახედა ახოვან რუსს.

„უთხარი ხელმწიფეს რომ ციხისჯვარელთა ათასეული სისხლისაგან იცლება, თანაც ქალაქს გიჟი თუ შეუტევს მსუბუქი კავალერიით“- თქვა ივანემ და იურის ბოგოლუბსკის ამღვრეულ თვალებს მშვიდი მზერით შეხედა.

„გაედევნე და გარეკე“ - თარგმნა სომეხმა თოროსმა რუსის ბოლო სიტყვები და ისიც, ბანაკისაკენ გაჭენებულ იურის ბოგოლუბსკის სირბილით გაჰყვა.

„გაგვწირეს, მაგრამ წმინდა გიორგი გაგვიმაგრებს მხარს“- გამოსცრა კბილებში ივანე ციხისჯვარელის გვერდით მომავალმა ცხენოსანიძემ, რომელმაც თავისივე პატრონის მსგავსად, დეზები ამოჰკრა ცხენს და რაზმეულის წინ ამოჰყო თავი.

- მოყმენო, ლომებო, ვეფხის ტყაოსნებო, უნდა გავედევნოთ აოტებულ თურქებს, მომყევით თქვენს ერისთავს - შეჰყვირა ივანე ციხისჯვარელმა და დვინის მიმართულებით ჭენებით დაიძრა. ხუთასი კაციდან ხუთასივემ, მიუხედავად სხვადასხვა სიმძიმის ჭრილობისა იგივე გაიმეორა და სულ მალე მთელი რაზმი ნისლში გაუჩინარდა.

ეს იყო ხუთი წლის წინათ!

***

- თბილისს მიდიხარ ციხისჯვარელო? -გაისმა გორაკიდან, ქალბატონის ხმა და ივანემ თავისივე მეუღლე გვანცა სამძივარი დალანდა, რომელიც ცხენს მისკენ მოაგელვებდა. სულ მალე გვანცას ბრძნულ თვალებში ივანემ აუცილებლად გასანჭვრეტი არაკი აღმოაჩინა და გაიღიმა.
- დიახ ჩემო მეუღლევ - ცოლს მოეხვია ერისთავი, შუბლზე ეამბორა მას, გვანცას ცხენის საკაზმავებს თვალი შეავლო, ყველაფერი რიგზეაო დარწმუნდა და თვალის გუგებში ჩაიცქერდა სამძივართა წმინდა გვარის ასულს.
- გამოიცანი აბა რა მოხდა -ეშმაკურად გაიღიმა სამძივართა ქალმა და ქმარს მკერდზე ხელი ისე შეახო, თითქოს მისი გულისცემის შეცნობას აპირებსო.
- სარკინოზნი დაიძრნენ? - იკითხა ივანემ და შუბლის ძარღვები მას უეცრად იმგვარად დაებერა, როგორც მაშინ, დვინის ხეობაში ლაშქრობის დროს.
- არა ივანევ!
- არწივები გაფრინდნენ? - თქვა ციხისჯვარელმა, რომლის კოშკზე არწივთა ოჯახი სახლობდა ოდითგანვე.
- არც ეგაა ჩემი უეცარი მოჭრის მიზეზი.
- რა მოხდა სამძივართა ასულო გვანცა?
- გიორგი რუსი, მოვიდა არზრუმ ქალაქს და ჯარის შეყრა ბრძანა. იცი მას ვინ შეუერთდა? შენი ბიძაშვილი, სამცხის სპასალარი ბოცო ჯაყელი, აგრეთვე მეფის დიდი ვაზირი ვარდან დადიანი, კლარჯეთისა და ტაოს ერისთავი გუზან ტაოელი, მისი დაჩაჩანაკებული მამა აბულ-ჰასანიც რუსთან მივიდა და დაუჩოქა, აგრეთვე სხვა დიდებულებიც იქით მიიჩქარიან - თქვა სამძივრის ასულმა.
- რა სურთ? - მოკლედ იკითხა ერისთავმა.
- ამბობენ მეფედ დასვამენო რუსს! - გვანცა სამძივარი უეცრად ატირდა და შუბლი ქმრის მკერდს მიადო.

ციხისჯვარელმა მეუღლეს ხელი გადახვია და გულზე მაგრად მიიკრა, გვანცამ ქმრის გულს სიმშვიდე შეატყო. ერისთავი აუღელვებელი იდგა და რაღაცას თავისთვის ფიქრობდა. სიტყვაძვირი იყო, როგორც ყოველი მესხი. გვანცა, სამძივართა უძველესი გვარის ასული, მეუღლის მხრებს ეამბორა. უეცრად ოძრხეს თავს ცამ იელვა! უძველესი კედლები ვერცხლისფერად გაანათა ციდან მოწყვეტილმა მბრწყინვალე ისარმა. სადღაც მეცხრე ცაზე დაიქუხა.

შეტევა არწივის ფლანგით

სულა კალმახელის შთამომავალნი განათლებულ ადამიანებად ითვლებოდნენ იმ დროინდელ საზოგადოებაში. ივანე ციხისჯვარელი გელათის აკადემიასაც კი ეწვია და რიტორიკას ეზიარა, სოფრომ ელინის ხელმძღვანელობით. მაგრამ ციხისჯვარში დაბადებულ სიტყვამვირ კაცს რიტორიკა არაფრად ესაჭიროებოდა. ორატორიას მართალია ვერ ეზიარა ციხისჯვარელი, მაგრამ ელინური ენა კარგად შეითვისა და ელინური წიგნების კითხვა დაიწყო. იმ ხანად სტრატეგიაზე და ტაქტიკაზე ბიზანტიის იმპერატორის ლეო VI ნაშრომები გამოჩნდა გელათის წინგთსაცავში. ლეო იმპერატორის „ტაქტიკა“ გადაიკითხა 14 წლის ივანე ციხისჯვარელმა და როდესაც მეორე ტომს მიადგა, გვერდებზე უამრავი ჩანაწერი შეამჩნია. „მალულად“, „ფარულად“, „არწივისებრად“, „ძერისებრად“ - მინაწერებით ამბობდა ვიღაც მკითხველი, ივანემდე დიდი ხნით ადრე.

დაინტერესდა ივანე ციხისჯვარელი მინაწერებით. როცა ბოლო გვერდი ჩაამთავრა, წითელი მელნით მინაწერს წააწყდა - „მიმინოსებური შეტევა, თუ გინდა მოსპო მტრის ლაშქრის სულთანი“. ივანე გაოგნდა და ნიკიფორე ფოკას წიგნი „მილიტარია“ მოითხოვა.

- დავით აღმშენებლის მიერ გადაწერილია ნიკიფორე ფოკას სამხედრო შედევრი - უთხრა მას წინგნთსაცავის უხუცესმა გულაბერისძემ.
- თავად მეფის? - გაოგნდა ივანე
- თავად! - თქვა უხუცესმა და არქივში შეიკეტა. მძიმე რკინის კარი მიიხურა და მხოლოდ საღამოს გამოჩნდა, იქვე ჩამომჯდარ ივანეს შეხედა და კითხა - ამდენ ხანს მშიერი ხომ არ მელოდი შვილო?
- დიახ გელოდით - უპასუხა ივანემ და ძალიან გაუხარდა რომ უხუცესის ხელში დიდი წიგნი შენიშნა.
- დავით აღმშენებლის ხელითაა გადაწერილი - თვალები უბრწყინავდა გულაბერისძეს.
- გულში ჩავიკრავ ამ წიგნს - ჩაილაპარაკა ივანემ და წიგნი მართლაც გულში ჩაიხუტა . უეცრად იგრძნო ძალა და ანთებულმა უცხო ძალით თქვა -
- ვიგრძენი დავით მეფე!

გაკვირვება მაშინ ელოდა ივანეს, როდესაც ნიკიფორე ფოკას წიგნს, წითელი მელნით მრავალი მინაწერი აღმოუჩინა.

„გაშალე ცხენოსანი ჯარი ველზე, როგორც არწივი, თუ ძალა გერჩის, ხოლო თუ არა მაშინ, შევარდენის ფორმა მიეცი და უეცრად დააცხერი მტრებს“.

ივანე ნიკიფორეს ნაშრომს კითხულობდა და შემდეგ გვერდზე ახალ ახალ მინაწერებს ხვდებოდა. „სელჯუკნი იყენებენ კობრას წყობას, როდესაც მიესევი შეჩერდებიან და წამოიმართებიან“. ან კი ასე - „ჰინდონი მორიელის წყობით დაგვხვდნენ, ჩვენ კი უმალ გადავაჯგუფეთ ცხენისანნი და ძერას მწყობრით შევუტიეთ ღრიანკალს. გაიქცნენ, გავჟლიტეთ ...“.

წიგნთუხუცესს რომ უბრუნებდა ნიკიფორე ფოკას თხზულებას ,კიდევ ერთხელ ჩაეკონა 14 წლის ციხისჯვარელი ნაშრომის მასიურ სხეულს.

- წიგნი ძალაა ! - უთხრა გამომშვიდობებისას გულაბერისძემ ყმაწვილს.
- გვერდებზე უცხო მინაწერები ვნახე წითელი მელნით და ვისია? - იკითხა ივანემ.

- ეგ არავინ იცის! იყო ერთი მხედარი, რომელიც დიდგორის ველზე გმირულად დაეცა. მისი სახელის გამჟღავნების უფლება არცერთს არ გვაქვს - თქვა სახეაწითლებულმა გულაბერისძემ და ისევ წიგნთსაცავში შეიკეტა.

ივანე წამოვიდა. კიდევ ექვსი კვირა დაჰყო მას შემდეგ გელათის აკადემიაში. სოფრომ ელინს გულისყურით უსმენდა. მაგრამ იგრძნო რომ მამა და დედა ენატრებოდა და პირველივე გამოძახებაზე შემოახტა მამის ცხენს და მსახურებთან ერთად ციხისჯვარს გააჭენა ბედაური.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა!

***

დაიძრა რუსი კარნუ ქალაქიდან. წინ შემოუძღვა მარზაპანი ანუ მესაზღვრე ერისთავი და სპასალარი ბოცო ჯაყელი, ივანეს სისხლი და ხორცი. მარჯვენა ფლანგზე იდგა ვარდან დადიანი და მეგრული კავალერია. მარცხენა ფრთა ჩააბარეს გუზან ტაოელს და მის კლარჯებს. მოდიოდნენ სწრაფად. შეძახილებით. მათი ყიჟინა და სიმღერის ხმები ცას გაგსაგლეჯად ერკინებოდა.

ივანე ციხისჯვარელი იდგა თავისი ათასეულით და ომრხესთან ბრძოლის გასამართად ემზადებოდა, მაშინ როცა ზურგიდან შემოუარეს ქართველებმა და ოცხეს წყალი უეცრად გადმოლახეს, ზამთარში, ყინვაში, მშიერი ცხენები ფეხზე ძლივს იდგნენ. არათუ შეტევას არამედ თავდაცვასაც კი ვერ აიძულებდნენ ცხენოსნები თავიანთ ერთგულ ჰუნეებს.

ივანე ციხისჯვარელი მიწაზე განერთხა და ყური მიუგდო მტრის გადაადგილებას. თითქოს ახლოვდებოდა ხმა ფლოქვებისა. მძიმედ უტყამდნენ მიწას საბრძოლო ცხენები.

-„მძიმე მხედრობა წამოუყვანიათ, ერისთავი ბოცოი და ვარდანი მოუძღვიან“- თქვა დაღლილობისაგან სულამოვარდნილმა მზვერავმა და იქვე თოვლში ჩაიკეცა.

„ცხენების საკვები და ფურაჟი თავზე საყრელი აქვთ, ეტყობა ბარი დაიფორაქეს, გეგუთისაკენ მიდიან, ავიდეთ ციხისჯვარში და ჩავიკეტოთ“- უთხრა თავის თავს ივანე ციხისჯვარელმა.

-„რვაასიოდე კაცით ვერ დაუდგებით პატრონო“ - ამბობდა ვიღაც. ერისთავი მოტრიალდა და ცხენოსანიძე შენიშნა.

- ომრხე ! - თქვა ციხისჯვარელმა.

ომრხე

ევაგროს ბერი ომრხეს თავზე, გამოქვაბულში ცხოვრობდა. მასზე ამბობდნენ რომ იგი სამძივარი იყო. სამძივართა გუარს ყველა მოწიწებით ეპყრობოდა. სამძივრები თავად წმინდა მოციქულს იყვნენ შენახვედრი.

ევაგროს ბერი, თავისი დიდი გუარის ერთ-ერთი ბოლო შთამომავალი იყო. მასთან ხანდახან მიდიოდა გვანცა სამძივარი და ეს ორი არსება ერთად დუმდა ხშირად. ევაგროს ბერი, ხის ფესვების ნახარშს მიირთმევდა, როდესაც ყურს მისას ზანზალაკების წკარუნის ხმა მისწვდა. ბერმა გვერდზე გასწია ქოთანი და გამოქვაბულიდან გარეთ გამოვიდა. გვანცას ჯორი შეჩერდა ბერის დანახვისთანავე. არა მარტო შეჩერდა არამედ გაშეშდა. გვანცა მიიჭრა ევაგროს ბერთან და მაჯაზე აკოცა.

- შემოდი - მკაცრად უთხრა ევაგროსმა ქალს.
- რა გვეშველება მამაო? - იკითხა თვალცრემლიანმა გვანცა ციხისჯვარელმა.
- განსაცდელი მოდის ყველასთან.
- მაგრამ ივანე მათ არ დაანებებს ციხისჯვარს და ომრხეს.
- ომრხე მისცეს ივანემ!
- რაო? - გაოგნებული შეჰყურებდა გვანცა ევაგროს ბერს.
- შემომხედე!

ევაგროს ბერი გამოქვაბულში გაუჩინარდა. თითქოს დიდ ლოდებს ატრიალებსო, იმგვარი ხმა გასდიოდათ ქვაბის სიღრმეში არსებულ საგნებს. ბერო დაბრუნდა და ხელთ წიგნი ეპყრა!

- რა წიგნია?
- ბედთა შემცნობი თხზულებაა იაფეტისა - ბრძანა ევაგროსმა და გვანცას „სული გაყურსეო“ თითის - ზე-აღმართვით უბრძანა.
- გვანცა ცრემლიან თვალებს არ აშორებდა ევაგროს ბერს.
- „ხოლო ეს არის წარმომავლობა ნოეს ძეებისა: სემის, ქამის, იაფეთისა, და შვეს მათ ძეები წარღვნის შემდეგ. იაფეთის ძეები: ღამერი და მაგოგი და მადაი და იოვანი და ელისა და თობელი და მოსოქი და თირასი. და ღამერის ძეები: ასქანაზი და რიფათი და თორღამა. და იოვანის ძეები: ელისა და თარსისი, კიტიელნი და როდიელნი. თირასი იგივე თარში მამაა თარგამოსისა, რომლისგანაც მოდის ქართლოსი და მისი ერთ-ერთი ნათესლარია უფალი ამ ქალაქისა გმირი ომრხოსი.

  ომრჯოსს მისცა მამამ აღურაცხელი ქვეყანა ტაშისკარითგან ვიდრე სპერის ზღუამდე, ქუეყანა კლდოვანი. ამან ომრჯოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: ომრხე და თუხარისი. სწორედ აქ ამ ოცხის წყალის ხეობაში მოვიდა დიდი ომრხოსი და დააფუძნა ქალაქი თვისი! იგია მამასახლისი ამ მხარისა და მისი სული არ უნდა განვარისხოთ დედაკაცო!
- სამცხის სპასალარი მოდის ბოცო, ომრხეს ასაღებად, ივანე შებრძოლებას აპირებს და უთუოდ დაიღვრება სისხლი ჩორჩანელთა შორის! რა ვქნათ მამაო, მითხარი, ვერ გაიგო ჩემმა დიაცის გონებამ ამ წიგნში ამოკითხული სიბრძნე. მითხარო მამაო ევაგროს მდაბიო ენით! ივანე გეკითხება თავად!
- ქმარს შენსას ივანეს გადაეცი, რომ ომრხესთვის ბრძოლა არამც და არამც არ შეიძლება, რადგანაც მოდის ბოცო ჯაყელი, რომელიც არის ომრხოსის ბიძის, მოსოქის ნათესლარი, გაიგონე დიაცო? უფრო მეტი მოდის უფრო მცირესთან. ბიძა მოდის ძმისწულთან. გმირი ომრხოსის სული შერცხვება, შენმა ქმარმა მისი ციხის კედლებთან სისხლი რომ დაღვაროს სტუმართა. გესმის თუ არა?
- მაშ რა ვქნათ - გაშეშდა გვანცა სამძივარი!
- ბოცოი ჯაყელი მიიღეთ როგორც სტუმარი!
- ეგ არ შეიძლება, ეგ ღალატია მეფეთ-მეფე თამარისა - აღმოხდა გვანცას, რომელსაც დიდი სიყვარულით უყვარდა მასზე სამოიდე წლით უფროსი ხელმწიფე.

- მაშინ გაეცალეთ ბოცოს! ადით ციხისჯვარში. დევთა ნასახლარი - ციხისჯვარი თქვენია. დაიცავით იგი - თქვა ევაგროს სამძივარმა და გამოქვაბულის სიღრმეში გაუჩინარდა.
- ეს ხომ თავად ოძრხოსის ქვაბია მამაო? - იკითხა აკანკალებულმა გვანცამ მაგრამ მას ევაგროსი აღარ გამოეპასუხა.
- გვანცა გამოქვაბულიდან გამოვიდა, ჯორზე შეჯდა და ციხისჯვარელთა ბანაკისაკენ დაეშვა. რატომღაც მოსოხისა და ოძრხოსის შეხვედრაზე ფიქრობდა, როდესაც ქმართან მივიდა და მის განიერ მკერდში შეიმალა.

***

სამი დღის შემდეგ, ბოცო - სამცხის სპასალარი იდგა ოძრხეს მთავარ კოშკზე და არემარეს მდუმარედ გაჰყურებდა. ციხის ეზოში აფთარ კოპასძე გასცემდა ბრძანებებს. რჩეულიანთა რაზმი ციხის კედლებს იკავებდა და ოძრხეს საზამთრო ბანაკად გადაქცევას უქადდა.

მაგრამ როდესაც მოსაღამოვდა, მწუხრის ლოცვისაკენ მიდრეკილი ბერები შედგნენ რადგანაც მთიდან მომავალი ბერი შენიშნეს და კაცი გაგზავნეს სამცხის სპასალართან.

***

- როგორ შენიშნეს ამ მრუმე ღამეში მთიდან მომავალი ადამიანის მოძმე? - გაიცინა ბოცო ჯაყელმა და ბერს დააკვიდრა. ჩია ტანის ბერი დაფიქრებული ჩანდა.
- ვინ მოდისო რა თქვეს? - დაამთქნარა დაღლილობას მიცემულმა ერისთავმა და ბერს გახედა.
- ევაგროს ბერი მობრძანდება ქალაქს - თქვა ბერმა.
- ეგ რომელი ევაგროსია, სამძივარი არა? - ბოცო მოწყენილი სჩანდა.
- ეგაა, ევაგროს ბერი ქალაქს იშვიათად ეწვევა ! თუ ეწვევა მაშინ ხდება რაღაც საფრთხილო და დამაფიქრებელი. თვალი მოჭრუტა ჩია ბერმა.
- მობრძანდეს ბატონო, მობრძანდეს - თქვა ბოცომ და წუხანდელი შეტაკების დროს დაღალული კუნთი გასჭიმა.
- ეხლავე! - თქვა ჩია ბერმა და კოშკის ბოლო სართულიდან წრიული კიბით დაშვება დაიწყო.

ოძრხოსის რკინის ქამარი

ევაგროს ბერი კოშკის წრიულ კიბეზე ამოსვლას მოერიდა, მენჯ-სახსარის დაავადება მოიმიზეზა თუ სხვა რამ იგულისხმა ვერავინ გაიგო. უბრალოდ თქვა:

- ჩამოვიდეს დაბლა ბოცო სამცხის სპასალარი! სამძივარი ელოდება ჩორჩანელთა შთამომავალს!

„სამძივარი ელოდება ჩორჩანელსო?“ - გაისმა ევაგროს ბერის სიტყვა ქალაქ ოძრხეს უბნებში. ამ ამბის შემტყობი ხალხი სახლებიდან გამოიჭრა და ციხისკენ გაეშურა. ჩია ბერმა მოწიწებით თავი დაუკრა ევაგროსს და კოშკის კარები გამოაღო, დაფიქრებით აათვალიერა წრიული კიბე. ალბათ იფიქრა ეხლა რა ვუთხრა ერისთავსო და შემდეგ ავიდა წრიულ კიბეზე.

სანამ ჩია ბერი ჩოხის ბოლოს მიათრევდა აღმა მიმავალ, ლოკოკინის ფორმის მქონე კოშკის დერეფანში, ოძრხეს ქალაქის დაბაღები, დალაქები, მეპურენი, ხაბაზნი, ოინბაზნი და მეწისქვილენი მოიჭრნენ და ევაგროსის წინ დაიჩოქეს.

ევაგროსმა გაუღიმა მოქალაქეებს და ადექითო უთხრა.

- არა პატრონო, ვიქნებით შენს წინა-ძე დაჩოქილნი - თქვა დაბაღმა შიომ და ევაგროსმა ჯვარი გადასახა ყოველ მათგანს.
- სად არის ჩემი გვანცა სამძივარი ციხისჯვარელისა? - იკითხა ღიმილით ევაგროსმა.
- ციხისჯვარს წავიდა, ივანე ერისთავის სპას გაჰყვა! - უპასუხა დაბაღმა შიომ ბერს და გაკვირვებით შეხედა მის მომღიმარ სახეს.
- დაბრუნდება შვილებო, გვანცა სამძივარი, ყოველიფერი კარგად იქნება! - თქვა ევაგროსმა და მიმოიხედა.
- დაგვიპყრო ტაოს ლაშქარმა - წამოიტირა მესაფლავე მორჩილამ
- იყუჩეთ ! - სახე მკაცრი გაუხდა ევაგროსს და ამ დროს კოშკის კარი გაიღო და მის წინ ახოვანი ვაჟკაცი, შვიდკეცად დაკუნთული მხრებით განთქმული ბოცო სამცხის სპასალარი აისვეტა.
- მამაო ევაგრე ! - შესძახეს შიომ, დაჩიმ, აღაბაბამ, მორჩილამ და სხვებმა. ისინი ბერსა და სპასალარს შორის ჩადგომას აპირებდნენ ,როდესაც ბოცომ ყველას დაასწრო და ევაგროს ბერის წინ ქედი მოიხარა!
- ადექი ჩემო სპასალარო, ადექი, არ უწევს საწყალი ბერის წინაშე, მესხეთის უპირველეს მოყმეს ჩამუხვლა - თქვა ევაგროსმა და ბოცო ჯაყელს მხარზე ეამბორა.
- როგორი გიკითხოთ მამაო? - თქვა დაბნეულმა ბოცომ.
- თქვენს სტუმრობას და ჩემს დახვედრას გაუმარჯოს ოძრხეს ქალაქში ბოცო ჩორჩანელო - თქვა ბერმა და ტყავის აბგიდან რაღაც ამოიღო.
- ეს იცით რა არის სპასალარო? ეს გახლავთ პირველი გმირის, ამ ადგილის მესაკუთრის - ოძრხოსის რკინის ქამარი. ჩორჩანელთა წინაპარი იყო ოძრხოსი. შენ სპასალარო მოსოხის შთამომავალი ხარ. მოსოხი იყო ბიძა ოძრახოსის. მისი სული აქაა - ამ ქამარში! მიეგებე სამცხის სპასალარო შენი წინაპრის წმინდა სულს!

***

იმავე ღამეს დატოვა ბოცო ჯაყელმა და მისმა სპამ ოძრახოსის ციხე და ქალაქი. აბიათარ კოპასძემ, მხოლოდ ერთი კაცი დატოვა ამ ქალაქში, ნიშნად იმისა, რომ იგი მათ სპას ეკუთვნოდა.

ბოცო და მესხეთის ჯარი გეგუთს მიეშურებოდა საიდანაც ვარდან დადიანი, გუზან ტაოელი და ამირა-ქურდი, წარსულში ცნობილი აბულ-ასანი ელოდებოდნენ. ვარდან დადიანი იტყობინებოდა - „ყოველიფერი კარგად იქნება, იური ბოგოლუბსკის გავამეფებთ, თამარს მასვე დავუბრუნებთ და სამეფოს განვამტკიცებთო“.

მაგრამ, ბოცო ჯაყელი გუნებაზე არ იყო.

***

მეორე დღეს იდგნენ გეგუთს. ვარდან დადიანმა ითამადა იმ ღამეს. ეგრისის მთავარი იყო ლხინის უფალი! იური ბოგოლუბსკის წვეთი ღვინო არ შეუსვამს. მასვე ადევნებდნენ თვალს ჭორის მოყვარენი. ზოგი ამბობდა დათვრება და ფალოსს პირდაპირ დარბაზში ამოიღებსო. სხვანი კი ჩურჩულებდნენ, შეხედეთ, აი ნახავთ, გამოშტერდება თავკვერისაგან და შემდეგ მთავარ დედაბოძს მიაშარდავსო. ხითხითებდნენ და ელოდნენ იმას, რაც თავად ამ პატარა კაცებს ეწადათ. ზოგი ჩურჩულებდა - „დიაცებს ამოურჩევენ და ღამე მოართმევენო“. ამ

ჭორების გამომგონებელს გულში კიცხავდა ბოცო სამცხის სპასალარი, რადგანაც ხედავდა, რომ სახე-ფერმკრთალი და სათნო იყო გიორგი რუსი.

- შესაძლოა შეეშალა კაცს რაიმე ჭაბუკობის ჟამს, მაგრამ კაცობაში რომ შევიდა, მას მოევლინა სულიწმინდა და კაცი ანგელოზს ემსგავსა - ამბობდა გუზან ტაოელი, უგუნებოდ მყოფი ბოცო ჯაყელის გასაგონად.
- სოფისტების საუბარს მოეშვი გუზან ტაოსკარელო - უეცრად თქვა ბოცომ და სუფრიდან წამოდგა.

ვარდან დადიანმა უმალ შენიშნა ჯაყელის სუფრიდან წამოდგომა და იმ წამსვე ყანწი გამოუგზავნა გეგუთის დარბაზის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში მჯდომ სამცხის სპასალარს. ბოცომ ყანწი დასცალა, ხვალინდელი დღის საქმენი მოიმიზეზა და ამბიათარ კოპასძეს სთხოვა სუფრაზე დარჩენა. თავად გამოვიდა კარში, საკუთარი კოშკისაკენ წავიდა, გუშაგნი მოხსნა და კოშკში მარტოდ ავიდა. მშვიდად დაძინება ეწადა.

***

სიზმარი იყო, თუ ცხადი, ვერც კი გაარჩია. კლდის ქიმზე იდგა იგი. შორს მოსჩანდნენ ციხენი: ჯაყი, ჩორჩანი და კალმახი. უეცრად წინ გადაუდგა ევაგროს ბერი, რომელსაც ხელთ გმირი ოძრახოსის რკინის ქამარი ეპყრა.

- „ამ ქამრის შემომრტყმელი და მისი შთამომავალი, დაიპყრობს ოძრახოსის ქვეყანას ტაშისკარიდან კარნუ-ქალაქამდე, პონტოს ზღვიდან დევის წყარომდე“- ამბობდა ევაგროსი.
- მე ვირტყამ ამ ქამარს, მომეცი - თქვა ბოცომ. ევაგროს ბერმა მას თითქოსდა მიაწოდა კიდევაც რკინის ქამარი, მაგრამ ბოცოს ყველა ცდა შემოერტყა იგი უშედეგო აღმოჩნდა.
- დამიბრუნე ოძრახოსის ქამარი, იგი სხვისთვისაა - უპასუხა ბოლოს ევაგროს ბერმა და ამ დროს ბოცოს გამოეღვიძა.

***

გეგუთის სასახლეში ბუკი აყვირდა! ვარდან დადიანი ეზოში იჭურვებოდა. გუზან ტაოელი უკვე შეჯავშნულ ცხენზე იჯდა და ხელთ იური ბოგოლუბსკის შტანდარტი ეპყრა! მხცოვანი აბულ-ასანიც რაინდების მწყობრთან იდგა და ძველმოდურ მუზარადს ირგებდა რის გამოც ახალგაზრდა მოყმენი სიცილს ძლივს იკავებდნენ.

- მხარგრძელთა მარბიელი კავალერია შემოიჭრა, მაგრამ გამოვიჭირეთ, ნუნისის მღვიმესთან გვყავს მიმწყვდეული და დღესვე მოვუღებთ ბოლოს - გაჰყვიროდა გუზან ტაოსკარელი და ბოცო ჯაყელს სანადირო იწვევდა!

გაგრძელება იქნება

კახაბერ ჯაყელი

ნიალის ბრძოლა და ჯაყელთა მეორე დინასტიის შექმნა

1191 წელს

(ჯაყელთა 1000 წელი - გაგრძელება)

სამცხეში დავდგეთ და თბილისი მოვწყვიტოთ უფლის სამყაროს - თქვა ვარდან დადიანმა და რუს უფლისწულს გადახედა, რომელსაც ისედაც არ ესმოდა ქართველთა გაცხარებული დავის და ამიტომაც არჩილისეული ვერცხლის თასით ალადასტურს სვამდა და ცისფერ თვალებს ხან ვარდან დადიანს მიაპყრობდა და ხანაც მის ვაჟს ივანეს, რომელთანაც მეგობრობა აკავშირებდა. სწორედ ივანესთან ერთად დაედევნა იგი შაქელებს და ააოხრა მათი ქვეყანა, მაშინ თამარიც პატიობდა მას თავის ვარიაგულ ავსულობას და დიდებულებიც დიდი მოწიწებით შეჰყურებდნენ თვალში, რუსს, ვარანგს, ჩრდილოეთიდან მოსულ უფლისწულს. „დადგა კი ჟამი გამარჯვებისა? კიდევ როდემდე უნდა ელოდოს იური ანდრიას-ძე ქართველთა ურთიერთ ბრძოლასა და ყაყანს? მეტი რა უნდათ? ოცი ათასი მხედრით თბილისის კი არა სპარსეთის აღებაც შეიძლება!“ - ფიქრობს გიორგი რუსი და კვლავაც ეძალება ალადასტურ წითელ სითხეს, რომელიც ზღვასავით იზიდავს, ხომალდებით ლაშქრობას მოყვარულ მთავარს!

***

წარსულს იხსენებს. მამამისს, დიდ მთავარს ვლადიმერისას სამი ვაჟი ყავდა. უფროსი ძმა გამჭრიახი და ძლიერი მეომარი იყო. სკვითსა და ვარიაგს ჰგავდა. მისი სალაშქრო ხრმალი მართლაც მძიმე და გრძელი იყო, ხოლო ფარი, მონასტრის რკინით მოჭედილ კარიბჭეს წააგავდა. მაგრამ დაიღუპა ძმა. არავინ იცის როგორ. დაკრძალეს დიდი გლოვითა და ზარით. შემდეგ მისი შუათანა ძმის ჯერი დადგა. ისიც დიდი მეომარი იყო. სამხედრო ხომალდზე მუდამ წინ იდგა ლახვრით. ვიკინგებისა და სკვითების სული მასშიც იყო ერთურთს გარდაჭდობილი და იური ძმის გვერდით თავს დაცულად გრძობდა. მაგრამ ერთხელ, ვოლგისპირეთის ბულგართა მხედრობამ შეიტყუა შუათანა ძმა. მიჰყვა ბოლგარებს და ბოლოს დაჭაობებულ ტბებთან მოხვდა. ყვავები დასტრიალებდნენ თურმე იმ ადგილს. თვალები მოიჩრდილა შუათანა ბოგოლუბსკიმ და ამ დროს ბოლღარებმა ისრით დასჭრეს იგი, მისი ცხენი კი მოკლეს. ერთი ყმა გადარჩა ამ ბრძოლას, მან უამბო შემდეგ შუათანას სიკვდილის ამბავი ბოგოლუბსკების საგვარეულოს.

„დიდხანს იბრძოდა, ბოლოს მოიქანცა და ამ დროს მოჰკლეს“ - დაასრულა ყმამ.

დიდი მთავარი ანდრია ამ ამბავს მტკიცედ უსმენდა. მერე კი გავიდა თავის პალატებში და ჩაიკეტა.

უჩინარი მკვლელი თან სდევნიდა მათ საგვარეულოს.

***

-სამცხეში ვდგებით! საჭურველს ვამზადებთ და თბილისს აქედან გავუყრით ხმალს - სკვითურად ესაუბრებოდა ივანე დადიანი გიორგი რუსს, ისიც თავს აქნევდა და აგრძელებდა ალადასტურის სმას.

ბოცო და ვარდანი რუქას დასცქეროდნენ.

- აქ დგას მხარგძელი , მტკვართან 22 ხიდია, 21 ჩავჭერით და დავტოვეთ მხოლოდ ერთი, დაბისაკენ მომავალი. იქ საკმაოდ ძლიერი რაზმი გვიდგას. დაეჭიდონ ერთი. სპარსეთში ნაომარი ბიჭებია სუყველა, ბეშქენ მარზაპანს გაუწვრთნია შუა ბრძოლაში ისინი - ამბობდა ბოცო ჯაყელი.
- დაგვეჭიდონ, მაგრამ ხერხი სჯობს ბრძოლას, რას იტყვი სამცხელო რომ უკან დავიხიოთ და ხიდი ხელთ შევატოვოთ, შემდეგ შემოვარდებიან მაგ ცალ ფეხა ხიდზე და რამდენი გადმოვა ნეტავ? ჰო შემდეგ მივატევნოთ ჩვენი დათვის ხორცზე დაგეშილი ჯავახნი და ჩავკაფავთ ყველას მანდვე- ხმამაღლა ფიქრობდა ვარდანი.

ბოცომ ერთი-ორჯერ ეჭვით აჰხედა დადიანს, შემდეგ გადახედა გიორგი რუსს და კვლავ რუქას დაუბრუნდა.

***

წმინდა ბორისის ხმალი - მოაგონდა უეცრად იური ანდრიას ძეს. შეხედა თავის იბერიულ შვეტს, რომელსაც ბაგრატიონთა რკინისაგან ალითონებდნენ სარკინეთის მთის ხელოსნები და დაინანა თავი.

- წმინდა ბორისის ხმალი მუდამ თან ახლდა თავის ყველა ბრძოლაში მამაჩემს, იმ ხმლით კამეჩს შუაზე სჩეხდა დიდი მთავარი ანდრია ბოგოლუბსკი. წმინდა ბორისის ხმალი მამას მაშინ მოჰპარეს, როდესაც მასთან მკვლელი აპირებდა შესვლას. დაუმარცხებელი სკვითი იყო მთავარი ვლადიმერისა. მის სახლს როდესაც მკვლელები მიუახლოდვნენ და მთავრის პალატებში შევიდნენ, ანდრიამ ხმალი მოისაკლისა და როდესაც ის ვეღარ აღმოაჩინა, მარქაფა მახვილით შეება იგი ვერაგ კუჩკოვიჩებს, რომლებმაც მამა ვერ მოკლეს. მან ისინი სამთავრო სასახლის სარკმლებიდან გადმოყარა და თავად მძმედ დაჭრილი ეზოში გამოვიდა, მაგრამ არავინ დახვდა, როდესაც დაცვას მოუხმო.
- ეს სად მოხდა? - იკითხა ივანე დადიანმა და გიორგის შეხედა შეფიქრიანებულმა.
- ეჰჰ ძმაო, ეს მოხდა ვლადიმირში, ბოგოლუბელების სასახლეში. მამაჩემი დიდი მთავარი ეზოში ეგდო სისხლისაგან დაცლილი, როდესაც მე ციხის ალაყაფში შევედი. დავიხარე მამიჩემის ცხედარზე და ცხარედ ავტირდი. მაგრამ შემდეგ ყველა მოღალატე დავსაჯე, ყველა ყვავების სათრევად მიმოვყარე და თავად ყივჩაღეთს გარდავიხვეწე. ან კი ყივჩაღებთან რა მინდოდა მთავრის-შვილს და როდესაც ბედმა ხელი გამომიწოდა და ივერიაში მოვხვდი მაშინ გავიფიქრე -ღმერთმა არ მიმატოვა მეთქი.
- წამოდი მეფეო, პალატებში განისვენე, წამოდი - თქვა ივანე დადიანმა და რუსისათვის დანიშნული მესაწოლეები გამოიძახა.
- გეგუთში ვარ გამეფებული, დამემორჩილეთ - ხმის ბორძიკითა და ხველით თქვა გიორგი რუსმა და მესაწოლეებს პალატაში ბარბაცით აჰყვა.

„ხვალ დიდი ომი გვაქვს, ალადასტური მოაცილეთ აქაურობას, მეფე ფხიზელი გვჭირდება“ - ბრძანა ბოცო ჯაყელმა და რუქას მიუტრიალდა.

***

დღამდა, მხარგრძელთა ჯარი მტკვრის პირას მოგროვდა და დასტებად დაეწყო. დიდ ზაქარია მხარგრძელს, კავალერიის მასების გამოყენება ჰქონდა დახელოვნებული, მაგრამ მასთან მისულმა ივანე ციხისჯვარელმა, ამირსპასალარს საკუთარი დაკვირვებით გამოწრთობილი რჩევა მისცა:

- ცხენოსან-მშვილდოსანთა მბრუნავი ათასეული ები გამოვიყენოთ და მტკვრის მეორე მხარეს ვერავინ დაგვიდგება.
- ხაზარების წყობა? - იკითხა იმ დროის უნიჭიერესმა სარდალმა.
- დიახ ბატონო ამირსპასალარო! ციხისჯვრის ცხენოსანი ჯარი განსაკუთრებული, მრგვლოვანი წყობით დაიწყებს ტრიალს მტკვრის სანაპიროსთან. გამოწრთობილი ისრის ტყორცნაში, ჩემი ციხისჯვარელები, მოპირდაპირე ნაპირზე არცერთ კაცს არ დატოვებენ დაუჭრელს. მოუწევთ ბოცოს ჯავახებს უკან დახევა. არც ვარდანის ეგრისელები დარჩებიან ხიდზე. ისინიც მოშორდებიან ხიდს. აი მაშინ გვმართებს ხიდის ხელში ჩაგდება და ოძრხესაკენ წასვლა, შემდეგ მესხეთის ციხეების და განსაკუთრებით ჯაყის აღება.

ზაქარია მხარგრძელს მოსმენა უყვარდა. მხარგძელის გამომცდელი შავი თვალები დიდხანს ჩაჰყურებდნენ ივანე ციხისჯვარელს. ბოლოს ამირსპასალარმა გრძელ წვერზე ხელი ჩამოისვა და მთვარიან ღამეს აჰხედა.

„რას მიქადის ეს ბრძოლა?“ - ფიქრობდა ამ დროს ივანე ციხისჯვარელი.

***

ივანე ციხისჯვარელი, მეთორმეტე მუხლით იყო დიდი მირიან ბაჰლაუნდის ჩამომავალი! იმ ბაჰლაუნდისა , რომელმაც ლატავრა ჩორჩანელი შეირთო და ჩორჩანელთა მთელი სამთავრო - სახელად სამცხე ჩაიბარა. სამცხე, ეს მარტო სიტყვა არ იყო. იგი გახლდათ სამ დიდებულ, წმინდა ციხეში გამოზრდილი რწმენა და მადლი, სიტყვა და ადათი, რჯული და თავდადება.

ივანემ კარგად იცოდა, რომ იგი და მისი ოჯახი, მირიან ბაჰლაუნდის უფროსი შვილის - სულა კალმახელის პირდაპირი შთამომავლები იყვნენ. სისხლი არ ასვენებდა ივანეს. სისხლი ჩორჩანელთა პირველობისა მასაც პირველობას ავალებდა.

მდინარის მეორე მხარეს ბოცო ჯაყელი ეგულებოდა ციხისჯვარელს. ბოცო მას განაყოფად მიაჩნდა. ისიც მირიან ბაჰლაუდის მეთორმეტე შთამომავალი იყო, მაგრამ შუათანა ვაჟის - ბეშქენ ჯაყელის მხრიდან.

***

ბოცო სამცხის სპასალარი მდინარის პირას დადგა თავისი ათასეულით. სპასალარის ლურჯი ფერის კარავი ფერდობზე გაიშალა. ათასეული ისე დაეწყო, რომ მტრის მოსალოდნელი თავდასხმა სასროლი იარაღით ყოფილიყო ნაპასუხევი.

წინ დადგნენ ახალდაბელი და ქვიშხეთელი მეშურდულეები, მათ უკან განლაგდნენ ქვაბისხევისა და ლომსიას მშივლდოსანნი. მრავალ რიგად მოეწყო თავდაცვითი ნაგებობები და რამოდენიმე ლოდსარტყორცნიც გორაკის ასასვლელში ისე განლაგდა, რომ მოჯარული ფეხოსანი ჯარისათვის ლოდები და ცეცხლგამჩენი ჭურვები დაეშინა.

***

გამთენიისას გამოიყვანა ცხენოსანი მშვილდოსნები ივანე ციხისჯვარელმა. მათ მეთაურებს ზუსტი ამოცანა მისცა და ბრძოლის ყველაზე მთავარი მოთხოვნები დაუსახა.

- ისრის მფრქვევი ქარბორბალა - იყო დავალება ციხისჯვარის ათასეულისათის.

ცხენოსნები ერთხმად მოევლნენ ცხენებს და მდინარისაკენ მწკრივულად დაიძრნენ.

მათ უკან მიჰყვნენ ზაქარია მხარგრძელის ლორე ტაშირის მკვიდრნი, რომლებიც ქვეითად იბრძოდნენ. მათაც მშვილდები მოიმარჯვეს.

სპასალარმა ჯორების მწკრივი დაადევნა ჯარებს. თვითო ჯორზე ათასამდე ისარი იყო აკიდებული.

***

იური ანდრეი ბოგოლიუბსკის -ძე რამოდენიმე კვირით ადრე მეფედ ეკურთხა ქუთაისში. ვარდან დადიანის ყმანი და იმათი ყმანი ყველანი იყვნენ შეკრებული იმ სამეფო გვირგვინის გარშემო, რომელიც უცხო თესლისაკენ მილივლივებდა ეგრისის, აფხაზეთის, იმერეთის, დიდ-აჭარის, სამცხისა და ტაო-კლარჯეთის დიდებულების თავზე.

- ვაიმე, როგორი მაღალი და წარმტაცია - ისმოდა ქალბატონების მხრიდან, სამეფოდ გამზადებული რუსის სახალხოდ შესხმა.
- ხოტბა უყვარს, ისაუბრეთ, ესმის ცოტა ქართული - განაგებდა ხალხის გნიასს ამბიონზე შემდგარი მოქარაგმე.
- მართლაც დიდებული მეფე გვყავს ხალხო - გვეღირსა - გაიძახოდა მესტუმრეთა თავი და ხალხიც ჟრიამულს უმატებდა.
- მხარგრძელებს და სხვა ავსულებს ხომ მოვიშორებთ თავიდან - სისინით ამბობდნენ გეგუთის სასახლის კოლონებთან შეკრებილნი.
- გვეშველა ვითომ, რას ჩივა თბილისი? - კითხულობდა ვიღაც, დიდებული ასკანიდან.
- აი მახვილი, მაგრამ გვირგვინი, გვირგვინი ხომაა ის, რომელიც მეფე გიორგის ეხურა?
- ვერ გეტყვით, არ ვიცი.

საქმე იმაში იყო რომ, ქუთაისში, მეფედ კურთხევის დროს, კახაბრისძეები არ გამოცხადნენ, რითაც კინაღამ ჩაიშალა მთელი სამზადისი აბულ-ასანისა და მისი ვაჟის გუზან ტაოელისა, რომელთაც კახაბრისძეთა მოყვანა ჰქონდათ მინდობილი.

ვარდან დადიანი თავად მტროზაში იყო კახაბრისძეებთან. ამიტომაც მან ამირა-ქურდს, გუზან ტაოელს, თბილისელ კაცს, სთხოვა მეფედ კურთხევის მთავარი ფიგურის, კახაბრისძეს ტაძარში შემოყვანა.

უკვე საუკუნეები იყო, რაც საქართველოს მეფეს ხმალს კახაბრისძე არტყამდა.

***

მობრძანდებიან? - იკითხა გეგუთში დადიანმა.

პასუხი იყო რომ კახაბრისძენი მალე გეგუთს იქნებოდნენ, მაგრამ სასწაული იქნა და არცერთი კახაბრისძე გეგუთს არ გამოცხადდა.

- მოძებნეთ - გასცა ბრძანება დადიანმა და მანდატურნი ქუთაისის გარშემო, ტყეებში მიავლინა კახაბრისძეთან მოსაძებნად, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ ხმელეთმა , ეს დიდებული გვარის შვილები, ვერავინ ვერაფერი შეიმეცნა.

***

მტკვრის სანაპიროზე ისრისმფრქვევი ქარბორბალა დატრიალდა. ასე ერქვა ცხენოსანთა იმ წყობას, რომელსაც ჰუნები იყენებდნენ თავდაპირველად. ამ ქარბორბალას შემდეგ „კარაკოლეს“ დაარქმევენ ლათინები და ამ წყობის გამოყენებას ჩაუთვლიან გამარჯვების მომტანად მონღოლებსა და თურქმენებს.

ციხისჯვარელთა წმინდა ქართულით სახელწოდებული ისრისმფრქვევი ქარბორბალა მეტად მოქნილი და სწრაფი იყო. ცხენოსნები ისარშემართული მშვილდით იდგნენ მწკრივში და თავის ჯერს ელოდნენ. შემდეგ ყველანი ერთად გაჭენდებოდნენ და ოვალურ წრეს ასრულებდნენ მტრის მიმართულებით.

წრეზე ან ოვალზე მოძრავი ცხენოსანი, როდესაც მტერს ყველაზე ახლოს მიუახლოვდებოდა ის აუცილებლად მტრისაკენ ისარს გატყორცნიდა და კვლავ წრეზე გაჭენდებოდა მომავალი ისრის გასატყორცნად.

ქარბორბალა თანდათან სიჩქარეს უმატებდა და ისრების გაზრდილი ოდენობა მტრისაკენ იტყორცნებოდა. ერთმანეთის გვერდით რამოდენიმე ისრისმფრქვევი ქარბორბალა ტრიალებდა, რაც შეუძლებელს ხდიდა მოწინააღმდეგისათვის, ამ ისრის წვიმის ქვეშ დგომას. განსაკუთრებული წარმატებით ქარბორბალა გამოირჩეოდა მდინარეებისა და ბუნებრივი ზღუდეების გადალახვისას.

***

ბოცო ჯაყელის ჯავახებმა ისრების ქვეშ დგომა არჩიეს გაქცევას და ისინი რამოდენიმე წუთში განადგურდნენ. ეგრისელები და აფხაზთა რაზმები გაკვირვებული ათვალიერებდნენ ციხისჯვარელთა „ისრისმფრქვევ ქარბორბალას“. ასეთი ბრძოლის ტაქტიკა, ბევრს არასოდეს ენახა. ციხისჯვარელების ისრებს ვერავინ დაუდგა წინ. ტყავგადაკრული ფარები დაიხვრიტა, ჯაჭვის პერანგები დაიხა და მრავალი მეომარი, რომელიც დაიჭრა, შემდგომ უკვე სისხლისაგან დაიცალა.

ხიდის დაკავებას ბოცოს სამცხელნი ვეღარ ახერხებდნენ. თავად ხიდზე ვინც იდგა ყველა უკვე თაღებქვეშ უსიცოცხლოდ იწვა. ქარბორბალა გაიჭიმა და ციხისკენ გამოემართა.

შესაბამისად მოტრიალე ცხენოსნების რაზმები ხიდს მოუახლოვდნენ და ზაქარია მხარგრძელის ბრძანებით უკვე ლორე-ტაშირის მძიმე ფეხოსნები შემოიჭრნენ მტკვარზე გადაჭიმულ ხიდზე და ყოველი დაჭრილი სამცხელი სატევარის დაკვრით განგმირეს.

ვარდან დადიანმა ბოცო ჯაყელს გადაულაპარაკა და შემდეგ ჯარის წინ დადგა.

- ველი გავანთავისუფლოთ, დაე მოვიდნენ! ყველას აქ ამ ნიალის ველზე დავმარხავთ - შესძახა ვარდანმა და ხმალი აიქნია. ეგრისელების, ჯავახების, აფხაზებისა და მესხების რაზმებმა მწყობრად ისე დაიწყეს უკან დახევა, თითქოსდა არ წაეგოთ ბრძოლა ხიდისათვის.
- ველი გავანთავისუფლოთ და შემდეგ კაცურად ვიომოთ - შესძახეს ათმეთაურებმა და თავიანთ რაზმებს სივრცის გათავისუფლებისაკენ მოუწოდეს.

ჯარმა უკან დაიხია და ნიალის ველი მისცა თავის მოწინააღმდეგეს. კავალერია გორაკზე ავიდა. ბოცო ჯაყელმა სარდლობა ვარდან დადიანს მიანდო და თავად მარჯვენა ფლანგი ჩაიბარა.

***

ზაქარია მხარგრძელმა და მისმა ლორე-ტაშირელმა სპასპეტებმა, ნაყივჩაღარი აფრიდონის-ძე, შალვა დაღამებისას გააგზავნეს სოფელ აგარის მკვიდრთან - რამაზთან.

შალვამ სათქმელი ზეპირად დაისწავლა და მდინარის ზემოწელს აუყვა. ლანდივით მიდოდა, ბუჩქნარს მიჰყვებოდა და ბოლოს მტკვარს მიადგა.

გათენებას არაფერი უდგა წინ. მან გაიხადა პაჭიჭები, შევიდა წყალში. სიპ ქვაზე დადგა და ფონის მოძებნა იწყო. ახსოვდა ყოველი კენჭიც კი. უბრალოდ ბნელოდა და ცაც მძიმედ აწვა დედამიწას.

ჭოტმა იყივლა თუ მოეჩვენა. ეხლა კვლავ განმეორდა ჭოტის დამბლადამცემელი ნამტირალევი ხმა. თენდებოდა თეთრად. სუსხიანი იყო მარტის თვე.

- ვინ ხარ? - იკითხა მოხუცმა კაცმა
- აფრიდონის-ძე.
- ვაჰ, მეც აფრიდონის-ძე ვარ. ძმა ხარ ჩემი - თქვა მოხუცმა.
- კეთილ ფეხზე მომიყვანა მამიჩვენის სულმა - გაიცინა შალვამ და უნახავ ძმას გადაეხვია.
- დიდმა მხარგრძელმა გამოგგზავნა, წამო, სახლში შევიდეთ - ჭარმაგი მოხუცი მესხურ ოდაში შეუძღვა უთენიაზე მოსულ სტუმარს, საყივლელად მომზადებულ მამალს, ხელი მუქარით მოუქნია და კარი მოიხურა. იქვე მისმა ქალიშვილმა თავი დაუკრა სტუმარს და ოსპის შეჭამადის მოხარშვა გააგრძელა. შუაცეცხლი ბჟუტავდა.

ეზოში შეშის ნატამალი არ მოჩანდა. ღორების გამხმარი განავლით თბებოდნენ აქაურები.

- სიღატაკეა აქ შალვა ძმაო, რაც ჯაროზიდან წამოვედი, ამ სოფელში ვიყიდე სახლი, აქაურ ერისთავს ვემსახურე ურთიერთ შუღლში, რამოდენიმეჯერ გამოვადექი სამცხის პატრონს და ჩემთვის მივენდე ბედს. მაგრამ სიკვდილმა როგორც ჩანს დაიგვიანა. ჰოდა შემაწუხა სიღატაკემ. ერთი ქალიშვილი მყავს, მეუღლე გარდამეცვალა და ვცხოვროზ ასე უაზროდ, მაგრამ ტახტის ერთგული ვარ და ჩემთვის მეფე ისაა ვისაც მამაჩემმა უერთგულა. ჩემთვის მეფე თამარია და არა ვიღაც გადამთიელი, ვისი არც გვარი ვიცი და არც სახელი. ამიტომაც მე თქვენი ვარ , გამომიყენეთ. გინდა მკლავი ჩემი და გინდა ჭკუა ჩემი მანამ მოიხმარეთ, სანამ საფლავში ჩამდებენ და იქ მუქთად შემჭამენ, მატლები და ჭუა-ღუები. ვის გაახსენდები სად გიომია ათი წლის შემდეგ? არავის, ვინ იტყვის რამაზმა ხლათის ციხეები ერთ ღამეში ჩააგდებინა ხელთ ქართულ ჯარსო!? ეჰ ვაგლახ, რომ არავინ ჩემო უნახავო ძმაო შალვა !არავინ. მხოლოდ ჩემი მეფის, გიორგის ღვიძლი სისხლი და ხორცი - თამარი შემაქებს, თუნდაც დამლოცავს, აი ეს იქნება ჩემი სულისა და ხორცის გადარჩენა! ეგრე არ არის?
- ეგრეა, ჩვენი მამაც დიდი აფრიდონი, ეხლა აქ რომ იყოს, თამარის ტახტს კბილებით დაიცავდა ძმაო - თქვა შალვამ და შუაცეცლხის წინ ჩამოჯდა.
- კაცი იყო აფრიდონი, მე მახსოვს მამაჩვენი, ხმელი, მაღალი, მუდამ მხნე, ცხენზე შეზრდილი, მეფეთა ერთგული, კანონის მცველი, გულუბრყვილო, როგორც ყველა ყივჩაღი! - ცრემლი ჩამოუგორდა რამაზს მამის მოგონებისას.
- დიდმა მხარგრძელმა დამაბარა ...-საქმეზე გადავიდა შალვა.
- მიდი აბა საქმე მითხარი, რა ვქნა?
- რამე უნდა ვიღონოთ? რა შეგვიძლია? ზურგიდან უნდა დავესხათ ბოცო სამცხელისა და ვარდან დადიანის აჯანყებულებს.
- ეხლა ჩემი მტერი დაესხა მაგათ, ძალიან მყარად დგანან ნიალის ველზე, მაგრამ ერთი აზრი მაქვს.
- რა აზრი?
- ეხლავე მთაზე უნდა ავიდეთ, იქ გიორგი მეფის დატოვებული ბანაკი გველოდება.
- მერე ეგ რად გვინდა?
- არავინ იცის, რომ ეს ბანაკი მეფემ თავის დროზე საგორავებით გაამაგრა. სამივე მხარეს, ტყიდან ველისაკენ მომართული სამოცი საგორავია, ხიმინჯებით შეკავებული. წამოგიდგენია ჩემო ძმაო, რა ძალით შეგვიძლია ამ საგორავების ამოქმედება?
- კი თქვეს შენზე, ბევრი საიდუმლოების მცოდნეაო, ეს რა გცოდნია? - ჩაიცინა შალვამ.
- მეფე გიორგი მესამეს ყველა სამხედრო ბანაკი ჩემი მოწყობილია, კიდევ ბევრი ვიცი მაგრამ საფლავში წავიღებ, იდიდოს თამარ მეფემ - ბრძანა მოხუცმა რამაზმა, ოსპის ცხელი შეჭამადი მიართვა სტუმარს და სწრაფად ჭამეო დაუმატა. სტუმრმა ცოტა მოიკრიბა ძალა და რამოდენიმე წამში, დაცარიელებული ჯამი იქვე დადგა, შიგ სპილენძის ფული ჩააგდო, რაზეც რამაზი განრისხდა და სპილენძის ფული უკან დაუბრუნა მხარგრძელის მოყმეს.
- წავედით სწრაფად, შვილო აბა შენ იცი - თქვა უცებ რამაზმა და თავის ქალიშვილს შუბლზე აკოცა. გოგო მამის წინაშე შედგა, ცრემლი წამოუვიდა და სტუმარს გახედა.
- ეს ბიძაა შენი შალვა აფრიდონის-ძე, ხომ გახსოვს გიყვებოდი, შენი პაპის, დიდი აფრიდონის შესახებ? ხომ გახსოვს შვილო - მოხუცი ქალიშვილს გადაეხვია.

გოგონამ, საწყალობლად დაიკვნესა და მამას გულზე დააკვდა.

- დაბადებიდან მუნჯია, მხოლოდ ასე გვესაუბრება, მუდამ კვნესის, ყველაფერს ხვდება, ყველაფერს გრძნობს, მაგრამ ვერაფერს ამბობს, მოგვკლა მე და ჩემი ცხონებული მართა ამ გოგოს ცოდვამ.

შალვაც გადაეხვია ახლად გაცნობილ ძმისშვილს. გოგო ტიროდა. მის გამხდარ მხრებს თრთოლვა და შიში მოსდებოდა. „ამ ბავშვს რა ეშველება ნეტავ? ვინ მიხედავს ობოლს?“- გაიფიქრა უმალ შალვა აფრიდონისძემ, რომელიც ხვდებოდა რომ სასიკვდილო დავალებაზე გამოსწირეს ის და მისი ძმა დიდმა მხარგრძელებმა.

- წავედით შალვა! შენ კი გოგო კარი დაკეტე და არავის გაუღო, საჭმელი იცი სადაცაა, ბუხრის სიღრმეში ცოტა არაბული და სპარსული პერპერები მაქვს გადანახული, ქვის ქვეშ, მიხედე ოჯახს - გაიცინა რამაზმა და თვალები გაუბრწყინდა.
- ბოლოჟამს როდის იყავი იქ? - თქვა შალვამ და სწრაფი ნაბიჯით მიმავალ რამაზს მიჰყვა.
- ხშირად ავდივარ! ხიმინჯებს ერთი გამოკვრა უნდა ურთი და საგორავები იმ სიმაღლიდან ველზე დაეშვებიან, მაგრამ უნდა დაველოდოთ, როცა ვარდან ბრიყვი და ბოცო მოჭიდავე ჯარებს ველზე გამოჰყრიან! მაშინ დავკრათ, როცა აჯანყებულები სპას დააწყობენ. გიორგი რუსი არა უბედურება, ჰმ, ცხოვრებას გაუმწარებ თამარის მტრებს, გიორგი მეფის მადლი შემეწევა - ჩურჩულებდა რამაზი.

***

უეცრად შეჰყარა ფეხოსანი და ცხენოსანი ჯარები ნიალის ველზე დიდმა ზაქარია მხარგრძელმა. თავად მომწვანო ფერის მუზარადი დაირქვა, ხუჭუჭთმიან თავზე, თვალებში გამარჯვების ჟინი აელვა და საბრძოლო განწყობით წინ წარუძღვა თბილისის, ლორესა და ტაშირის ათასეულებს, ნიალის ველის შუაგულში, სამცხისა და ეგრისის ლაშქართან საბრძოლველად.

ბოცო სამცხელი მხარგრძელს დინჯად ელოდა. კუნთები მზად იყვნენ ბრძოლისათვის. ჭკუა თბილისზე ფიქრობდა, იმ თბილისზე სადაც უმწეოდ დარჩენილი თამარი, დაცვის ამარა, სამეფო პალატებში იყო ჩაკეტილი. გამოკეტილი თამარის პალატებიდან გამოყვანა მხოლოდ ბოცოს შეეძლო. იური ბოგოლუბსკი? ეგ კაცი დიდხანს ტახტზე ვერც გაძლებდა, გიორგი რუსს ან ვარდანი გადაჰკიდებდა რაიმე ხათაბალას, ან თავადაც იური შეჰყოფდა თავს ფოცხვერის ხახაში. სხვა გამოსავალი უმწეო რუსს არც კი ქონდა და შესაბამისად მასზე დიდხანს ბოცო ვერც დაფიქრდებოდა. სხვა იყო მიზანზე ლოცვა. „თბილისი და თამარი“- უელვებდა ჭკუის არტახებში ბოცო სამცხელს და გულში ეცინებოდა კიდევაც დიდი ზაქარია მხარგრძელის უაზრო შემოტევაზე.

- თავს იღუპავენ! დაე დავმარხოთ აქვე, ნიალის ველზე! - წამოიძახა, ბოცოს უკან მდგარმა გუზან ტაოელმა და მისი ხმლის გაღრჭიალებაზე ბოცოს რატომღაც გააჟრჟოლა.
- „შვეტს რომ ასეთი ხმა აქვს, მის პატრონთან არც უნდა დადგე ბრძოლის ველზე“- გაიფიქრა სამცხის სპასალარმა და აბიათარ კოპასძეს უბრძანა შეტევის დაწყება.

ბატონი აბიათარი, რჩეულიანთა თავში იდგა და მხარგრძელთა უჩვეულოდ გაწელილი ფეხოსანი ჯარის სუსტ წერტილებზე ფიქრობდა.

მაგრამ უეცრად მდგომარეობა სასტიკი და უჩვეულო გახდა და უშიშმა აბიათარ კოპასძემ მოიხედა!

***

- აქაა აფრიდონისძევ საგორავების შემაკავებელი ყორე, აქ დავდგით მეფე გიორგი ბაგრატიონის სამეფო დროშა, მაშინ ოცდაათის ვიყავი! მეფემ აი იმ მუხასთან დაიდგა კარავი და მე მიბრძანა ბანაკის გამაგრება, მე კი ლოდები მოვაზიდვინე და ყორეს უკან ისე დავახვავე რომ ერთი გამოჰკვრა უნდა, მხოლოდ ერთი, და ნახე რა მოხდება! - ცმუკავდა მოხუცი რამაზი და შალვას წინ გარბოდა.
- აი აქ, აი აქ, უნდა გავთხაროთ და დიდი ურო აღმოვაჩინოთ - ყვიროდა რამაზი და მიწის ტერასის თავში მიფორთხავდა. შალვამ უმალ დაიჩოქა და მიწის თხრა დაიწყო. ცოტაც და უროს ხის ტარი ამოაჩინეს, შემდეგ მისი ბოლო გაათავისუფლეს მიწისაგან. უროს ქვის ბუნიკი მომრგვალო აღმოჩნდა. მასზე ქართული ასო „რ“, იყო ამოკვეთილი!
- „რამაზი...?“ - ვარაუდით იკითხა შალვამ და მოხუცს მხარზე ხელი დაადო.
- არა, მე ვინ ვარ? არავინ, აქ წერია „რევი“, მეფე რევი, ჩემი საყვარელი გმირი, ლეგენდები გამიგია მასზე და ამიტომაც ეს ასო ამოვკვეთე ჩემს უროზე.
- როდის დავკრათ? ყორე როდის მოვანგრიოთ? - იკითხა შალვამ.
- მოიცა ჯერ გავანთავისუფლოდ უნდა მთელი ეს ალაგი ბუჩქებისა და დაბრკოლებებისაგან, რადგანაც თავიდან საგორავმა თუ სიჩქარე არ აკრიფა, მაშინ ის სასიკვდილო საფრთხედ არ მოევლინება ველზე გაწყობილ ლაშქარს. ამიტომაც , უროს ქვეშ კიდევ სხვა იარაღებია, ამოიტანე ისინი მიწიდან, უეცრად დავერიოთ ყორეს, გავათავისუფლოთ ის ყოველგვარი საბრკოლველისაგან და შემდეგ დაველოდოთ ლაშქარის მოწყობას იქ დაბლა!
- არ შეგვამჩნიონ! - თქვა შალვამ და უროს ქვეშ, აღმოჩენილ იარაღებს ეძგერა.
- სწრაფად გათენდება აწი! უნდა ვიჩქაროთ! ომი დაიწყება მალე! ვგრძნობ! თქვა რამაზმა

***

ამ დროს ცამ დაიგრგვინა. გამთენიისას წვიმა იშვიათად ენახა შალვას და მან ეს გრგვინვა ზეციურ ნიშნად მიიჩნია. ნაყივჩაღარმა დაიჩოქა და ზეცას აჰხედა, რამოდენიმე სიტყვა წაიბუტბუტა და შემდეგ ისევ ყორეს მიაშურა. ორივენი დატრიალდნენ.

***

- დიდი მადლობა ჩემო გმირო ერისთავო, შენი ისრისმფრქვეველი ქარბორბალის გარეშე, სამეფო ლაშქარი ხიდზე ვერ შესდგამდა ფეხს - თქვა სამართლიანმა და მხედართა მწყალობელმა ზაქარია მხარგრძელმა.
- მზად ვართ მოვკვდეთ მეფეთ-მეფე თამარისათვის ჩემო დიდო ამირსპასალარო - ივანე ციხისჯვარელმა ზაქარიას თავი დაუკრა.
- ეხლა ლაშქარი შევა ველზე და იქ ყველაზე ცხარე ომი გველის ბოცოს სამცხელებთან და მძიმე ჯავახ მონასპებთან, მაგრამ არის სხვადახვა აზრი. ლორე ტაშირელები თავს დასდებენ, ჰოდა ტყუილად რომ არ გავაფუჭოთ ფეხოსნები, რაიმე ხრიკი გვჭირდება ციხისჯვარელო - მხარგრძელი ველს გაჰყურებდა.

- მძიმე ბრძოლა გველის, ფეხოსნებთან, კავალერიის ქმედება შეზღუდულია, მაგრამ თავს გავწირავთ! გვიბრძანეთ - ბრძანებას ელოდა ციხისჯვარელი.
- არა ჩემო დიდო ივანევ! მეტს ვეღარ გაგწირავთ! ერთი ხრიკი მაქვს ჩაფიქრებული და თუ ის განვახორციელეთ, მაშინ ნახეთ სეირი! მანამდე დაველოდოთ. მოწყალეა დიდი ღმერთი!

მზემ რომ ამოწვერვა იწყო, ამ დროს ცაზე დაიქუხა! სარდლებმა ცას ახედეს. ივანე მიხვდა რომ ნაწვიმარზე კავალერია უმწეო იქნებოდა ნიალის ველზე და დაღონდა.

- ძალიან კარგი, რომ წვიმა გაუგრილებს ტვინებს ბოცოსა და ვარდანს - გაიცინა მხარგძელმა და მის გვერდით მდგომ უმცროს ძმას რაღაც სომხურად გადაულაპარაკა! შემდეგ ივანემაც გაიღიმა და ლორელთა მებუკეს ბერდიას უბრძანა შეტევის გაუქმების - დაუკარიო!
- „შეტევის შეჩერებას უკრავენ? ნეტა რა ხდება?“ - გაიფიქრა ივანე ციხისჯვარელმა, მაგრამ ამ დროს დიდი ზაქარია მხარგძელი, ამირსპასალარის საველე ტახტიდან წამოდგა და ამხედრება ბრძანა.

***

- ლორე ტაშირელებმა შემოტევა შეაჩერეს, რაიყო წვიმის ხომ არ შეეშინდათ? - იკითხა გუზანმა, რომელიც წყობათა უკან, ჯირკზე ჩამომჯდარიყო და მსახურების მირთმეულ კლარჯულ წითელ ღვინოს „უჩას“ სვამდა. იგი თბილისისაკენ სწრაფ გალაშქრებაზე ოცნებობდა. „ეჰჰ ნეტავ როდის შევალ მამიჩემის სასახლეში, რომელიც ბაგრატიონთა პალატებზე უფრო დიდი, მზიანი და მშვენიერია? როდის დავეშვები მეიდანზე, ვითამაშებ ბერიკებთან, ვიცეკვებ რინდებთან, გავერთობი ინდოელებთან, ვილოცებ სუფიებთან, ვიბაასებ ჰავლაბრელ ქორდებთან და ვინადირებ ეპისკოპოსთან ერთად?“-ფიქრობდა გუზანი და მოწყენით ათვალიერებდა წვიმისაგან გალუმპულ მსახურებს, რომლებიც მისთვის წამოღებულ სახელდახელო, სალაშქრო კარავს შლიდნენ, საბძროლველად შემართული ლაშქრის ზურგს უკან.
- არ განვარისხოთ ბოცო ბატონი ამ კარვის გაშლით! - ამოღერღა გუზანის საჭურველთმტვირთველმა და პატრონის წინ ჩამოჯდა.
- მიდით სწრაფად გაშალეთ ჩემი ქაშმირის კარავი! - ბრძანა გუზანმა და უჩვეულო ხმაზე, რომელიც მის ყურს მისწვდა ძალაუნებურად მოიხედა მანაც. მიწა იძვროდა თითქოს, მოჰგლეჯდა ბუჩქებს რაღაც უცხო ძალა, რომელიც მათ უახლოვდებოდათ. „ქვები დაიძრნენ?“- შეჰყვირა გუზანის არწივების მწვრთნელმა, როდესაც მხარზე შემჯდარმა მართვემ ტყავის ჩაჩი გაწყვიტა და გასაფრენად ფრთები გაშალა.
- ჰაიიიიიიიიიი, ჰაიიიიიიიიი-კიოდა ვიღაც.

***

მთიდან დაგორებული ლოდი პირდაპირ მისკენ მოგორავდა, ხმაც უჩვეულო ჰქონდა! მოეჩვენა ნეტა? ამ ლოდის უკან სხვა მრავალი ლოდი დაიძრა. ერთი ლოდი განსაკუთრებული სისწრაფითა და მძვინვარებით მობელავდა არემარეს, მიწა სველი იყო, ლოდი სიამოვნებით მოსრიალებდა მისკენ და მთელი ლაშქრისაკენ!

გუზანი გაოგნებული იდგა! პირი საყვირლად დაღებული ჰქონდა, მაგრამ მის გონებას ვერ მოეძებნა ის ბგერა რაც მის ხორხს ამგვარ დრო უნდა აღმოეშვა!

***

- რამაზ შეგვამჩნიეს, ძმაო, აქეთ მორბიან ვარდანის სამხედრონი, უნდა სწრაფად გავეცალოთ ამ ალაგს, მათი ხმლის ლუკმა რომ არ გავხდეთ - ყვიროდა შალვა აფრიდონისძე და მოსალოდნელი უბედურების მოლოდინში, ხან დიდი ურთი შეიარაღებულ რამაზს გაჰხედავდა და ხანაც ბორცვისაკენ მორბენალ შეჯავშნულ სხეულებს, რომლებიც რაღაცას გაჰყვიროდნენ და მათკენ მოიწევდნენ.
- მე რომ აქედან წავიდე ამ ყორეს ვინ მოანგრევს? - იცინოდა რამაზი და უროს ერთ დიდ პალოს უმიზნებდა, რომელიც როგორც ჩანს მთელი კონსტრუქციის მთავარი ბერკეტი იყო.
- ვერ მიგატოვებ! - შეჰყურებდა შალვა რამაზს.
- ვიცოდი ძმაო რომ ვერ მიმატოვებდი, დღეს გაგიცანი მაგრამ ერთად მოვკვდებით! ნახე რა პანაშვიდი გადაგვიხადოს მეფეთა-მეფემ თამარმა, სიონში გადაგვიხდიან პანაშვიდს და მართლმადიდებელთა სამოთხეში მოვხვდებით მე და შენ, ნაყივჩაღარი აფრიდონის ვაჟები.
- ეგრეა მოხუცო, დაჰკარ მაშ ურო მაგ პალოს - ცრემლი მოაწვა შალვას.
- ჯერ ადრეა, ჯერ მოიცა, წამები დარჩა როგორც საუკუნეები - ამბობდა რამაზი.

ამ დროს ისრებმაც გაიშხუილა. როგორც ჩანს ვარდან დადიანის აფხაზებმა მშვილდს მიმართეს.

- აფხაზები დიდი მეფე გიორგის დროსაც სამიზნეს ზუსტად ურტყამდნენ! - შეჰყვირა მოხუცმა რამაზმა, რომელსაც ერთი ისარი სტომაქში გაერჭო, ხოლო მეორე ისარმა მკერდი შეუნგრია.
- მომკლ .....- თქვა რამაზმა და იქვე ყორესთან ჩაიმუხლა.

შალვამ მიმოიხედა, გაქცევის დრო კიდევ იყო, მაგრამ, მისი წინ ჩამუხლული მისივე ძმა, გაყინული თვალებით მას მისჩერებოდა. შალვა გაიქცეოდა, მაგრამ მეფის ერთგული ყივჩაღის აფრიდონის შთამომავალი გახლდათ და მეფის ერთგულებას ჰრჩეობდა.

- ურრო გამომართვი და დაჰკარი ! - ამოიდგა ენა უეცრად რამაზმა, რომელიც შალვას უკვე გაცხედარებული ეგონა.
- ეხლავე ძმაო! - დიდი ძალა იგრძნო შალვამ, როცა ძმის გაყინული ხელებიდან დიდი ურო გამოგლიჯა და რამაზის წინ დარჭობილ ძველ ქვის პალოს დაუმიზნა.
- დრო არ გვაქვს, დაჰკარი! - ამოიხრიალა რამაზმა და პირზე სისხლის დუჟი მოადგა.
- უნდა ამ ადგილიდან გადაგათრიო და შემდეგ! - თქვა შეშინებულმა შალვამ, რომელმაც ლოდების შესაძლოა დაშვების ბილიკი წარმოიდგინა და მიხვდა რომ რამაზი მათი პირველი მსხვერპლი უნდა გამხდარიყო.
- რა დროს ეგ არის! ჩემი უმცროსი ძმა ხარ და უნდა.....დამიჯერო! დაჰკარი და წააქციე პალო - სამოთხე გველის! ჩურჩულებდა რამაზი.

ისრებმა კიდევ გაიშხუილეს შალვას სიახლოვეს. „წამიც და ცხედარი ვიქნები“ გაუელვა ნაყივჩაღარს გონებაში და ურო მთელი ძალით დასცხო პალოს!

***

აბიათარ კოპასძემ რომ მოიხედა, და გორაკიდან დაშვებული, საშინელი სიჩქარით, ხტომა-ხტომით, მოგორავე ლოდები დაინახა, ვარდანის ეგრისელთა ლაშქარი უკვე ძრწოლითა და ყვირილით აქეთ იქით გარბოდა. მესხებმა ძრწუნვით შეაფასეს მდგომარეობა და ის წამები ხელიდან გაუშვეს, რომელიც მათ გადარჩენის იმედს აძლევდა.

ბოცო სამცხის სპასალარი გაკვირვებით ადევნებდა თვალყურს იმ საოცარ სანახაობას თუ როგორ ჩამოინგრა გორაკის თხემი და როგორ ამოძრავდნენ, საუკუნეთა მიჯნაზე გაჩერებული უდიდესი ქვები, მათ თავზე.

ლოდებმა გადათელეს და გასრისეს სამცხელთა ლაშქრის ზურგი. ცხენები, აქლემები, ჯორები, მზარეულნი, მიწისმთხრელნი, ნგრევა, ლეწვით განადგურებული იქნენ. სამცხელთა შორის ზოგიერთმა თავს უშველეს. აბიათარმა, მოწინავე ლოდის ქვეშ ფარების შეგდებით შეეცადა მათი შეჩერება, მაგრამ ამაოდ. სიკვდილს რომ გადარჩენოდნენ ისიც და მისი რაზმელები მდინარისაკენ გაიქცნენ, სადაც მათ ლორე-ტაშირის რაზმელები ელოდნენ.

***

- აირივ-დარივნენ, ეხლა კი დროა ნიალის ველზე შევცვინდეთ და მისი გული ხელთ ჩავიგდოთ! აბა ჩემო ივანევ გაქუსლეთ! ცოტაც და მტერი განადგურებულია! - ბრძანა , გორაკიდან დაშვებული ლოდების წინაშე დაქსაქსული სამცხელების შემყურე ზაქარია მხარგრძელმა და საერთო შეტევის ბრძანება გასცა!

ეპილოგი

ნიალის ველზე ბოცო ჯაყელისა და ვარდან დადიანის ლაშქარი განადგურდა. თავად ბოცო, საკუთარ ნათესავს, ივანე ყვარყვარე ციხისჯვარელს ჩაუვარდა ხელთ იური ანდრიას ძესთან ერთად. ვარდან დადიანი და მისი ძე ივანე, მხარგრძელის კაცებმა შეიპყრეს მდინარის გადალახვის დროს.

თამარ მეფემ გულუხვად დააჯილდოვა თავისი მომხრენი. იმ დიდ ძღვენს შორის, რომელიც მეფეთ-მეფემ ივანე ციხისჯვარელს გადასცა იყო თავად ახალ ჩორჩანელთა საგვარეულოს დედაციხე - ჯაყი.

ზეიმით შევიდა ჯაყის ციხეში ივანე ციხისჯვარელი. დაათვალიერა ციხის ყველა სიმაგრე და ჯაყისმანის მონასტერს ეწვია. ბერებმა მკერდი დაუკოცნეს მათ ახალ პატრონს, მოაგონეს მას მამათა ღვაწლი და დამსახურება წინაშე მეფეთა.

-ასე ვფიქრობთ შენთან ერთად შენი დიდი წინაპრები სულა, მირიანი და იოანე დაბრუნდნენ ჯაყის ციხეში მთავარო - უთხრა ივანეს მამა იაკობმა.

***

ივანეს ჯაყში შესვლამდე ბოცო ჯაყელის მთელი სახლეული აიყარა და ალის ხეობაში გადავიდა. ამიერიდან მათ ისტორია ჯაყელად აღარ იხსენიებს. ისინი ბოცოსძენი არიან. ამ

საგვარეულოს დიდი წარმომადგენლები ბოცო და მემნა ბოცოსძენი თბილისს თითქმის მარტო იცავდნენ საკუთარი რაზმით ჯალალედინის დამანგრეველი შემოსევისაგან.

ბოცოსძენი უძველესი ჯაყელები არიან. მათ ადგილს ციხისჯვარელები იკავებენ. ბოცოსძეთა ბოლო წარმომადგენლები ალის ხეობის წმინდა გიორგის ეკლესიაში განისვენებენ. იქვე ბოცოს წყალიც ჩამოუდის ალის ხეობაში გადასახლებულთა მამულებს. ისტორია შეშინებული იხსენებს „დიდსა ბოცოსა“ და სდუმს მის მომდევნო ბედზე. მაგრამ არის მოსაზრება, ბოცო ჯაყელი ბერად შემდგარი ბასილი ეზოსმოძღვარი გახლავთო.

***

- ერისთავთ ერისთავო ივანევ, აწ უკვე ჯაყელ-ციხისჯვარელო, შენმა საგვარეულომ მრავალჯერ უერთგულა ბაგრატიონთა სამეფო სახლს და ქვეყანას. ჩვენ ბაგრატიონებს კარგად გვახსოვს, რომ შენმა დიდებულმა პაპამ- სულა კალმახის ერისთავმა შეიპყრო განდგომილი ერისთავი ლიპარიტ ბაღუაში და ის მეფის წინ დააგდო. შენ არ ჩამოუვარდები პაპებს შენსას. გვიერთგულე და მრავალგზის შეებრძოლე ტახტის მიმტაცებელ იური ანდრიას-ძეს და თავგზა-აბნეულ მის მიმდევრებს ვარდანსა და ბოცოს. საბოლოოდ კი ნიალის დიდ ბრძოლაში, მხარგრძელთან ერთად შეები აჯანყებულებს და თავად შეიპყარი ისინი, რისთვისაც დიდ მადლობას მოგახსენებთ და გიბოძებთ მთელს სამცხესა და შენივე მამა-პაპის ციხესიმაგრეს - ჯაყს! - ამბობდა დიდებულთა და სტუმართა გასაგონად, თბილისის სასახლეში, ბაგრატიონთა ტახტზე მჯდომი მეფეთ-მეფე თამარი.

დარბაზი ლხინის დაწყებას ელოდა. თბილისელნი ხაროობდნენ თამარის გამარჯვებას. ტახტის მარჯვენა მხარეს იდგა ზაქარია მხარგრძელი და ლაღად შეჰყურებდა მეფეთ-მეფის წინაშე მუხლმოდრეკულ ივანე ციხისჯვარელს, რომლის მხედრული შემართება და მხნეობა სანიმუშოდ მიაჩნდა.

წინ იყო ბასიანი და შამქორი, სადაც ქართული ჯარის რიგებში, გმირად მოიხსენიებენ ივანე ჯაყელ ციხისჯვარელს.

ასევე წინაა ქართველთა იმპერიის მსხვრევა, უმეფობის ხანა, რომლის დროსაც 100 წელს მიტანილი ივანე ჯაყელ ციხისჯვარელი მხსნელად დაუდგება მთელს ქვემო ქართლს. იგი ერთადერთია ვინც არათუ არ ემორჩილება მონღოლებს, არამედ წარმატებით ებრძვის მათ, სამცხეში ინარჩუნებს ქართული სამეფოს სულს, აძლიერებს დასუსტებულ პროვინციებს, ქმნის სამცხის სამთავროს, რკინაში აჯენს ქვეყანას, სასტიკად ამარცხებს შამელ თურქებს და აღზრდის ისეთ მემკვიდრეს როგორიც იქნება სარგის ჯაყელი ციხისჯვარელი.

კახაბერ ჯაყელი

დაიწერა ბაზალეთს, 2021 წლის იანვარში

ქართველთა იმპერიის გაუტეხელი სპასალარი - ივანე I ჯაყელი ციხისჯვარელი

(1169-1247)

კახაბერ ჯაყელი, 2021 წელი, მაისი

ერთ ქართველ გმირზე ასე სწერს დიდი ლადო ასათიანი თავის უკვდავ პოემაში "ბასიანის ბრძოლა" –

"წამოიშალნენ ტალღებად მძვინვარე სისხლის ღვარები

და გაიტაცეს ცხენდაცხენ ივანე ციხისჯვარელი.

და რა ნახეს, რომ რაინდს გზა და კვალი გაუტიალდა,

აღმართეს იქცევისები მათ თურქთა ჩაფხუტიანთა.

ერთმა ახმახმა შორიდან ისრით გაუპო გმირს წარბი,

მაგრამ მიუხტა ივანე გასაოცარი სისწრაფით

და ისე დაჰკრა კეფაზე ხანჯალი გაუღუნველი,

რომ ტვინი მისი ჰაერში ავარდა, როგორც ღრუბელი,

და მერე, როცა მკლავმარდი წამოეშველა გაგელი,

ერთად ეკვეთნენ უკეთურთ მამულის მოამაგენი.

მუსრეს და მუსრი გაავლეს… მოკლულთა დაგა ჯებირი,

მაინც ვერ გაძღა ბრძოლითა მარჯვენაწარბგაჩეხილი! "

აი ეს ვისაც ასე იხსენიებს ჩვენი სასიქადულო ლადო ასათიანი გახლავთ სწორედ ივანე ჯაყელ -ციხისჯვარელი . ამ კაცმა დიდ ხანს იცოცხლა ,მოესწრო მონღოლების შემოსევას და ერთადერთი იყო საქართველოს ერისთავთა შორის, რომელიც მონღოლებს არ დანებდა. დაახლოებით 1242-1243, ქართველთა სახელმწიფოს განდიდების იდეალზე შეყვარებულმა ივანე I-მა აქტიური მონაწილეობა მიიღო რუსუდანისა და დავითის ქუთაისიდან თბილისში გადმოსვლასა და დავით უფლისწულის მეფედ დამტკიცებაში.

ივანე ჯაყელი ქართველთა იმპერიის შექმნასაც და მის ნგრევასაც მოესწრო. თამარის უერთგულესი სარდალი, რომელიც თავდადებით ემსახურებოდა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას და ეთაყვანებოდა საქართველოს მეფეს, უეცრად უმეფოდ დარჩა. ეს დღევანდელი გადასახედიდან ძნელი წარმოსადგენია მიხვდე რას ნიშნავს დარჩე მეფის გარეშე. ფეოდალური სახელმწიფო მეფის და მეფობის იდეალზე იყო აგებული! მეფეს ისევე ითხოვდა არსებობა როგორც პურს. მეფე ერისა და ბერის წინაშე ღმერთთან მოსაუბრე წმინდანი იყო, რომელიც უფალს თავის ქვეყანას ავედრებდა. ასეთი

იყო ივანე ჯაყელის სულიერი კუმირი - თამარ I, რომელიც ბასიანის ბრძოლის დროს ფეხშიშველი გაემართა ვარძიის მონასტრისაკენ, რათა იქედან ღმრთისათვის მიემართა და მეფის ლოცვა აღევლინა. როდესაც ქართველები ბასიანის ველზე იბრძოდნენ, მათ თამარის ლოცვის დიდი იმედი ჰქონდათ. როგორც ცნობილია ბასიანზე გამარჯვებულმა ქართულმა ჯარმა თავის მეფეს მიაშურა და სწორედ ვარძიის წინ გაიშალა გამარჯვების სუფრა. 2017 წელს, როცა ვარძიის ველზე შოთაობას ვზეიმობდით ბატონმა ავთო ბერიძემ, ლიტერატურული მესხეთის რედაქტორმა ბრძანა, „სწორედ ამ ადგილას 800 წლის წინ, ბასიანის ველზე გამარჯვებას ზეიმობდა ქართული მხედრობა. ისინი თავიანთ მეფესთან ერთად ხაროობდნენ ქართული სახელმწიფოს გადარჩენას და გაძლიერებას“.

სიყმაწვილეში ბასიანზე გამარჯვებული ივანე ჯაყელი, რომელსაც ყუარყუარაცა ეწოდების უმეფოდ დარჩა მონღოლთა შემოსევის დროს. მაგრამ სარდალი არ დაიბნა! ქართველთა იმპერიის ერთადერთმა გაუტეხელმა გენერალმა სწორედ უმეფობის ხანაში დაამარცხა მცირე აზიის თურქები, რომელთაც დაიპყრეს სამხრეთ საქართველოს მიწა-წყალი. მას დახმარებისათვის მიმართეს სანაპირო თემების — ტაოს, შავშვთ-კლარჯეთის, კოლა-არტაან-კარნიფორის გამგებლებმა. ივანე I-მა 10 000-იანი ლაშქარი შეკრიბა. ბრძოლა მოხდა ვანის ვაკეზე. ქართველებმა გაიმარჯვეს. ბრძოლის შემდეგ ივანე I სამცხეს დაბრუნდა, ხოლო დამარცხებულ მტერს თავისი შვილიშვილები ივანე (პაპა) და სარგისი დაადევნა. მათ დაიბრუნეს მტრის მიერ დაკავებული ტერიტორია და თურქები საქართველოს საზღვრებიდან გააძევეს. ივანე I-მა აქტიური მონაწილეობა მიიღო ტახტის მემკვიდრის - დავით გიორგის ძის - მოძებნასა და ჩამოყვანაში (შემდეგ იგი მეფედ დასამტკიცებლად ურდოში გაისტუმრეს). ამ პერიოდში მოღვაწე ციხისჯვარელი ჯაყელების საგვარეულო როგორც ჩანს უფრო ლაშა გიორგის ძეს - დავით ულოს მეფობას მიელტვის ვიდრე რუსუდანის ძის, დავით ნარინის ხელმწიფობას. შემდეგ ივანეს შვილიშვილი სარგის ჯაყელი ამ გზას გააგრძელებს და დავით ულოსთვის მონღოლებსაც შეებრძოლება და სეპარატისტ ქართველებს.

***

ივანე I კოხტასთავის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური და ინიციატორი იყო. სარგის და ბექა ჯაყელები უკვე ივანეს ფასეულობებზე გაიზარდნენ და ივანე ჯაყელის საქმის გამგრძელებლები იყვნენ. ივანესაც ჰყავდა თავისი კუმირი - იგი დიდი პაპის - სულა კალმახელის ფასეულობებზე იზრდებოდა.

***

როდის უნდა დაბადებულიყო ივანე I? ჯაყელთა საგვარეულოს მკვლევარი, ცნობილი ისტორიკოსი ბატონი მიხეილ ბახტაძე აცხადებს, რომ ივანე ციხისჯვარელი ჯაყელად იქცა სწორედ გიორგი რუსის დამარცხების შემდეგ. ამ ბრძოლაში ფაქტიურად დამარცხდნენ ბოცოსძე ჯაყელები და მათი ადგილი ციხისჯვარელ-ჯაყელებმა დაიკავეს.

ისიც უნდა ითქვას რომ ციხისჯვარელი ჯაყელები არიან პირდაპირი შთამომავლები ჯაყელთა საგვარეულოს საწყისში მყოფი მირიან ბაჰლაუნდისა და მისი მეუღლის ლატავრა ჩორჩანელისა. ფაქტიურად ჯაყელთა ყველა ადრეული შტოები, მათ შორის კალმახელები, ბოცოსძეები, ციხისჯვარელები, ლაკლაკისძეები, ამ ოჯახიდან მოდიან. ისინი თავიდან იწოდებოდნენ ახალ ჩორჩანელებად. შემდეგ მათი შტოები დაიყო იმის

მიხედვით თუ რომელ ციხე- სიმაგრეს დაესაკუთრნენ და რომელი ხეობა იდგეს ხელთ. მთავარი ისაა, რომ ჯაყელთა პირველი დინასტია და ჯაყელთა მეორე დინასტია სისხლით და გენეტიკიით ერთი და იგივე იყო. ისინი ერთი თესლისაგან მოდიოდნენ და ამიტომაც მუდამ ერთად იდგნენ საერთო მტერთან ბრძოლაში.

ამ საერთო მტრებზე კი როცა ვსაუბრობთ ესენი პირველ რიგში იყვნენ ბაღვაშები. სწორედ ციხისჯვარელ - ჯაყელთა საგვარეულოს ერთ-ერთმა დამფუძნებელმა სულა კალმახის ერისთავმა უეცარი სამხედრო მანევრის წარმატებით განხორციელების შედეგად 1057 წელს, ხელთ იგდო უძლიერესი სეპარატისტი, კლდეკარის მთავარი - ლიპარიტ IV დიდი ბაღვაში და იგი მეფე ბაგრატ IV-ს მიჰგვარა! კლდეკარის ერისთავს სამსახურში დაუმარცხებელი „ვარანგები“, ანუ დღევანდელი ენით რომ ვთქვათ, სკანდინავიელი ვიკინგები ჰყავდა. სულა კალმახელის მესხებმა დაამარცხეს ვიკინგები და ისინი აიძულეს საქართველო დაეტოვებინათ.

ამის შემდგომ უძლიერესი ლიპარიტი ბერად აღიკვეცა, ხოლო მეფის სპამ მიითვალა უმნიშვნელოვანესი სიმაგრენი ლიპარიტისანი : არტანუჯი, ყველი, უფლისციხე და ბირთვისი, ხოლო კლდეკარი დიდი ბრძოლის შემდეგ ჩაბარდა მოალყეებს.

სულა კალმახელის გმირობის შედეგად საქართველო გაერთიანდა, სეპარატისტული ანკლავი მოისპო და ქვეყანა გაძლიერდა. სწორედ ამგვარ ოჯახში დაიბადა და აღიზარდა სულას პირდაპირი შთამომავალი - ივანე I ჯაყელი, რომელსაც „ყუარყუარაცა ეწოდების“.

იგი თავიდან ციხისჯვარელი იყო, რადგანაც სულას, დიდმა მეფემ ბაგრატ IV ლიპარიტის შეპყრობისათვის შთამომავლობით დაუმტკიცა მას ციხისჯვარი!

მაინ რა იყო ციხისჯვარი იმ პერიოდისათვის და რატომ ჯობდა იგი კალმახს? აი ეს კითხვა არ მასვენებდა მე პირადად დიდი ხნის განმავლობაში. არის სხვადასხვა მოსაზრება რომ ფეოდალები, მეფეები და მთავრები ადგილ-მამულს იმის მიხედვით აფასებდნენ თუ რა ზომის შეაიარაღებული ჯარის შენახვა შეეძლო მას. ფეოდალის ,მეფის და მთავრის სიცოცხლე შეიარაღებული ჯარის ოდენობაზე, განსწავლულობაზე და ერთგულებაზე იყო დამოკიდებული. ამას კი ეკონომიკური სახსარი სჭირდებოდა. ფული იმდენად არა, როგორც ნედლეული ჯარის შესანახად და მთავარი საჯარისო ნაწილის - ცხენოსანი ძალის გამოსაკვებად.

ჩვენ ისტორიაში ხშირად წავაწყდებით იმ ფაქტს თუ როგორ მოუწონა ბიზანტიის იმპერატორმა ცხენკეთილობა ჯაყელთა შეურიგებელ მტერს - ლიპარიტ ბაღუაშს ერთ-ერთი ბრძლის დროს. ლიპარიტი ამ ომში შუბით შეიარაღებული, სწორედ ცხენზე ამხედრებული ავლებდა მუსრს ბიზანტიის მტრებს. მას ერთ-ერთი სომეხი ისტორიკოსი კუროპალატის სტატუსსაც აკუთვნებს. ხედავთ? ჰიპოთეზის დონეზე დავტოვოთ, მაგრამ თუ ეს ასეა, ლიპარიტი კუროპალატობით ,ბაგრატიონებთან გაუტოლებიათ ბიზანტიის იმპერატორებს და მათ მოხელეებს.

ამას დიდი მითქმა-მოთქმა უნდა გამოეწვია სამხრეთ კავკასიაში და კერძდ საქართველოში. გამოიწვია კიდევაც. როგორც ჩანს სულა კალმახელი ძლიერ ცხენოსან ჯარზე ოცნებობდა რომ კიდევ უფრო გაძლიერებული იყო, თავისი ოჯახი დაეცვა და ახალი მიწებიც შემოემტკიცა. ეს იყო ფეოდალის ბუნებრივი აზროვნება იმ საუკუნეში.

ბაღვაშებმა ინოვაციური აზროვნება დაამკვიდრეს ქართველ ფეოდალებს შორის და ისინიც ცდილობდნენ მათ დაწეოდნენ, როგორც საკუთარი მამულის მართვაში ასევე დაცვაში. ძლიერი სიმაგრეები იყო საჭირო და ამ კუთხით კლდეკარი სამაგალითო

გახლდათ. ეს იყო იმ დროისათვის თვისებრივად ახალი ტიპის სიმაგრე, რომელიც თავის თავს ირჩენდა და ჯარსაც კვებავდა.

ლიპარიტ დიდი ბაღვაში, როგორც ჩანს კატაფრაქტი იყო სამხედრო სკოლით. კატაფრაქტი სპარსეთსა და პართიაში, შეჯავშნულ ცხენზე შემჯდარ შეჯავშნულ, გრძელშუბიან რაინდს ნიშნავდა რომელსაც სოლისებრად შეეძლო შეჭრა მოწინააღმდეგის განლაგებაში.

რა ღირდა ერთი კატაფრაქტის შეჭურვა? საინტერესოა რომ დავითვალოთ კატაფრაქტის აღჭურვილობის ფასი. ცხენი რომელიც ამგვარ რაინდს ატარებდა და თავადაც ბრწყინვალედ იომებდა, სწრაფად შეიცვლიდა ადგილს და თუ საჭიროა მოწინააღმდეგეს მკერდულად დაეჯახებოდა და წალეკავდა - 300 ძროხა ღირდა. კატაფრაქტის შუბი - 50 ძროხა ეღირებოდა. რაც შეეხება დიდ ქართულ ხრმალს, რომელსაც იმ დროს „შვეტს“ უწოდებდნენ - იგი ალბათ ასევე 60 ძროხა ეღირებოდა. საბარკლულები, ჩაფხუტი, ფარი, უნაგირი - ესეც 100 ძროხა და თუ ამას დავითვლით მივხვდებით რომ ლიპარიტ ბაღვაშის პირადი აბჯარი და ცხენი მისი თორით სადღაც 500-600 ძროხამდე ეღირებოდა.

როგორც ჩანს ბიზანტიის იმპერატორი დიდად სწყალობდა ბაღვაშს და მას ალბათ ფულსაც უგზავნიდა. ყველა ფეოდალი შენატროდა ლიპარიტის სამხედრო მდგომარეობას და რადგანაც, მხოლოდ ხმალს შეეძლო იმ დროს უხიფათობის მოტანა - მეფეები და მთავრები მიილტვოდნენ სწორედ ამგვარი ფენომენი საკუთარი თავისთვისაც შეექმნათ.

სულა კალმახელი მიხვდა, რომ მას დიდი კავალერიის გამოსაკვებად ზეგანი სჭირდებოდა. ასეთი გახლდათ სწორედ ციხისჯვარი და თორი. განსაკუთრებით ციხისჯვარი, რომელსაც 5000 ცხენოსანის შენახვა შეეძლო. მეორეს მხრივ, ციხისჯვარს სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ადრე მსუბუქი კავალერია, ჩვენი გაგებით სამთო ცხენოსანი ჯარი სამთო ბილიკებით ან უგზოდაც გადაადგილდებოდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა უეცარ თავდასხმას.

***

ციხისჯვარი საქართველოს გულია. ადგილი საკმაოდ ფართოა. იქედან მიწვდენა შეიძლება ყველა ქართული მიწის. დედაქალაქიც კონტროლდება და კლდეკარიც არ არის შორს. მთავარი ისაა რომ ციხისჯვარი, როგორც ჩანს ქრისტიანული კულტურის ტრადიციული ადგილიცაა. ციხე სულის გარეშე დიდხანს ვერ გაძლებს და ადგილის ფილოსოფიურ მნიშვნელობასაც აქვს დიდი დაფასება სულა კალმახელის აზროვნებაში. ამიტომაც როდესაც ბაგრატ IV -მ მას ციხისჯვარი არგუნა, ამით საფუძველი ჩაუყარა სამთო ცხენოსანი ჯარის გამოსაკვებ ბაზას საქართველოს ცენტრალურ ნაწილში და ამგვარად ხაზი გაესვა იმასაც, რომ სწორედ ციხისჯვარელები იქნებოდნენ მომავალი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხედრები.

ისტორიამაც არ დაახანა და სულა კალმახელის შემდგომ ასპარეზზე მისი შთამომავალი ივანე ყუარყუარა ციხისჯვარელი - ჯაყელი გამოიყვანა.

***

როდესაც ქართულ წყაროებს ეცნობი, მოვლენასთან მიმართებაში პიროვნების ასაკის ალბათური გამოთვლა უნდა დაიწყო. ლოგიკურია ვიმსჯელოთ რომ ივანე ჯაყელი თამარ მეფეზე 9 წლით იქნებოდა უმცროსი. თამარ მეფე 1160 წელს დაიბადა. მაშინ ივანე დაიბადებოდა 1169 წელს. მაშინ როცა ბოცო ჯაყელი თამარის კბილა უნდა ყოფილიყო.

ჯაყელები და ციხისჯვარელები უაღრესად ახლო ნათესავები იყვნენ. ბოცო ალბათ ჯაყის ციხეში დაიბადა. მას მეფემ 1184 წელს სამცხის სპასალარისა და სამცხის ერისთავის სახელო უწყალობა. ამ დროს ბოცო ჯაყელის ნათესავი ან ერთი წინაპრის განაყოფი - ივანე ციხისჯვარელი 15 წლის იყო. ბოცო კი ალბათ 24 წლის გახლდათ. არ ჩანს ის რომ ციხისჯვარელებსა და ჯაყელებს ერთმანეთის მტრობა ჰქონდათ.

ბოცო მალე დაწინაურდა და მას სამხედრო ქმედებებში დიდი წარმატებაც ხვდა წილად. სირიიდან შემოჭრილ თურქებს ბოცო ჯაყელი გუზან ტაოსკარეთან ერთად დახვდა და უკუაქცია. შესაძლოა გუზან ტაოსკარელის მეგობრობამ უბიძგა ბოცო ჯაყელს გიორგი რუსის მხარეზე გადასვლა 1190 წელს. შესაძლოა სხვა მიზეზებიც იყო ამისათვის. მთავარი ისაა, რომ ციხისჯვარელებმა თავიანთი ნათესავის ბოცო ჯაყელის დამარცხება სწრაფად გამოიყენეს და ნიალის ბრძოლის შემდეგ ჯაყის ციხე აიღეს. ასე გახდნენ ციხისჯვარელები ჯაყელები.

მთავარი ისაა, რომ საქართველოს რეალური ისტორია ბიბლიურ ტრადიციას ეყრდნობა. არავინ არსაიდან არ მოდის. ყველა საკუთარი წინაპრის ტრადიციითა და მიმართულებით ვითარდება. ჩორჩანელთა ერთმა შთამომავლებმა შეცვალეს ჩორჩანელთა მეორე შთამომავლები. ასე შეიქმნა ჯაყელთა მეორე დინასტია 1191 წელს.

მაგრამ მაინც არ მასვენებს კითხვა - რატომ ჯობდა ჯაყი ციხისჯვარს?

პასუხი საფუძვლიანი და ის ამგვარად ჟღერს, ჯაყის ხეობა და ჯაყის წყალი ეს ძველი ფეოდალური სახლია .იგი მრავალ წყაროშია აღწერილი. ჯაყზე გადის ბიზანტიასთან დამაკავშირებელი მთავარი გზა. ბიზანტია ეს იმ ეპოქის ესთეტიური აზროვნებაა. ბიზანტია ეს არის ცივილიზაცია, ფილოსოფია, პროზა, ხელოვნება, შეიარაღება, სამხედრო სტრატეგია და ტაქტიკა - ანუ ყოველი ის, რასაც ქართველი მიელტვის ადრეულ და შემდგომ შუა საუკუნეებიდან მოყოლებული.

***

დავაკვირდეთ იმ პერიოდის ქართულ ფრესკებს. ამას წინათ ჯაყელთა საგვარეულო მონასტერში გახლდით და საფარის, წმინდა საბას მონასტერში შემძრა გაბრიელ მთავარანგელოზის ფრესკამ, რომელსაც წითელი მოსასხამი აქვს მოგდებული. ამ ფრესკაზე მთავარანგელოზი ქართველი მეომრის იდეალებს ასახავს. მას აცვია ბიზანტიური გლივარიუმი!

***

„გლივარიუმი“ - ბიზანტიური აბჯარი გახლავთ, მას ქართველნი დიდად ჰყვარობდნენ. გლივარიუმი მოქნილი იყო, მას დიდი პროფესიონალები ქმნიდნენ. ეს არ იყო მხოლოდ ჯაჭვის პერანგი, ეს იყო ფოლადის ფირფიტები, ჯაჭვი და ტყავი, უზადო დიზაინით შეკაზმული. გლივარიუმს ნაკლები სიმძიმე ჰქონდა და მასში აღჭურვილი მეომარი მოწინააღმდეგეს უვნებლად მიუახლოვდებოდა.

მთავარანგელოზს გლივარიუმს ზევით, წითელი მოსასხამი აცვია ამ ფრესკაზე. ეს იმასაც ნიშნავს რომ იგი სისხლისათვის მზად არის. წითელ ფერის სამოსს ან მოსასხამს იცმევდნენ იმისათვის, რომ სისხლი მათთვის ნაკლებად შემაწუხებელი ჰყოფილიყო. სხვათა შორის სწორედ წითელი იყო ჯაყელთა ფერი. „წითლოვანნიო“ ასე იხსენიებდნენ

მათ .ახალ ციხის რაიონში ,ქვაბისხევის მონასტერში არსებულ უძველეს ფრესკებში წითელი ფერი სჭარბობს.

***

თუ კლდეკარელი ბაღვაშები გაძლიერდნენ, ეს იმის გამოც მოხდა, რომ მათ ბიზანტიასთან ცხოველი ურთიერთობები ჰქონდათ განვითარებული. ციხისჯვარელმა ჯაყელებმაც ბიზანტიის გზაზე დიდი პოლიტიკური მომავლის შექმნა განიზრახეს მაგრამ, ცოტა სათქმელს თუ გავუსწრებ ვიტყვი, რომ მათ ამ გზამ დიდი მსხვერპლი და სისხლი არგუნა. უკვე მომავალ წლებში, ბიზანტია ნელ-ნელა სუსტდებოდა. გზა რომელსაც საქართველო ელინურ კულტურასთან უნდა დაეკავშირებინა უეცრად მომთაბარე დამპყრობლების შემოჭრის გზად გადაიქცა.

მართალია მესხეთი ძალიან ძლიერად იქნა გამაგრებული ციხე-სიმაგრეებით იმ პერიოდში და მომავალში, მაგრამ სიმაგრეს მაინც მეორადი მნიშვნელობა ჰქონდა პროფესიონალურად გაწვრთნილ მტერთან ბრძოლის ჟამს. მესხეთს ფილოსოფიური, პროზაული და პოეტური სკოლები ჰქონდა დაფუძნებული და ამ სკოლების განვითარებას მშვიდობა უნდოდა. მშვიდობა კი დამთავრდა ძალიან მალე და მესხეთის გზა -იგივე ჯაყის გზა -სისხლის ფერი გახდა, როგორც საქართველოსათვის, ისე მისი ერთ-ერთი მთავარი რეგიონის- მესხეთისათვის.

მაგრამ აქაც, ჯაყელებმა დიდად იშრომეს, იომეს, იმძლავრეს, იდიპლომატეს და მათთვის უცნობი მაკიაველიზმის პარადოქსული გამოყენებით, თავიანთი მხარე მე-19 საუკუნემდე გადაკეტეს, არავინ მიაკარეს მათთვის სანუკვარს მესხეთს და ახალ ციხეს. ოლთისშიც ჰქონდათ ერთხანს დედაქალაქი, სადღაც შორს, სირიის საზღვართანაც ჰქონდათ მისტიური სასახლე -ისაყ ფაშასი, მაგრამ ახალ ციხე, რაბათი, საფარა, ზარზმა, ჭულე, ოძრხე, ოქროს ციხე, ვარძია, ვაჰანი, აწყური, ხერთვისი და თმოგვი მათი მთავარი რეზიდენციები იყო, როგორც ამქვეყნად ისე იმქვეყნადაც.

***

მიშა ბახტაძეს აზრით -ნიალის ბრძოლის შემდგომ ივანე ჯაყელმა მიიღო ჯაყელთა ძველი თანამდებობები, სამცხის ერისთავობა და სამცხის სპასალარობა. შემდგომ მას მეფეებმა ლაშა-გიორგიმ და რუსუდანმა მიუბოძეს მეჭურჭლეთუხუცესის სახელო. ფაქტიურად ივანე ჯაყელი მე-13 საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პროვნება გახდა.

რატომ მოხდა მისი კარიერული ზრდა ასე სწრაფად? პასუხი მარტივია. ბაგრატიონები ხედავდნენ რომ, ჯაყელ ციხისჯვარელთა საგვარეულო ბოლო 300 წლის განმავლობაში, მათი არა მარტო ერთგული, არამედ უაღრესად თავზეხელაღებულიც კი იყო მეფის მტერთან ბრძოლაში. წინაპრების მსგავსად ჯაყელ -ციხისჯვარელებს სიფრთხილე არ ახასიათებდათ. მათთვის წითელი ფერის მიკუთვნება ეს არ იყო მხოლოდ ესთეტიური გემოვანება. ჯაყელებს მტრის სისხლი სწყუროდათ და არც საკუთარი სისხლის დანთხევისაგან იკავებდნენ თავს. შესაბამისად მათი მთავარი ტაძრის გაბრიელ მთავარანგელოზი იმგვარი წითელით არის შემოსილი რომ უმალ იფიქრებ -იგი მტრის სისხლშია ოდნავ გასვრილი, მაგრამ მაინც მუდამ მომღიმარია და გამარჯვებული.

***

ივანე ჯაყელ-ციხისჯვარელმა ნიალის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ სწრაფად გარდაქმნა თავისი სამხედრო ძალა და მომავალი ბრძოლებისათვის მომზადება იწყო. 1203 წელს მან და მისმა შენაერთმა გმირულად იბრძოლა ბასიანის ომში. ამ დროს, როგორც ჩანს თორელთა და სამცხელთა ლაშქარში იბრძოდნენ ჯაყელ-ციხისჯვარელები. ბასიანის ომში ლიდერად და წარმართველად რამოდენიმე სარდალი არის დასახელებული. წინამბრძოლნი იყვნენ მესხნი. მათ შალვა ახალციხელი უძღოდა ბრძოლის ველზე. როგორც ჩანს სამცხის სპასალარი სწორედ საქართველოს ავანგარდის სარდლის - შალვა ახალციხელის პირად დაქვემდებარებულობაში უნდა ყოფილიყო.

გადმოცემის თანახმად ბასიანის ომში ივანე ჯაყელს წარბში მოარტყეს ქეიბური. როგორც ჩანს სამცხის სპასალარს გახურებული ხელჩართული ბრძოლის დროს ჩაფხუტი გადასძვრა, სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა, მისთვის ისრის სახეში მორტყმა მტრისაგან. მაგრამ თუნდაც ეს ფაქტი ბევრ იმ მნიშვნელოვან დეტალზე დაგვაფიქრებს, რომელიც ბასიანის ომის შესახებ მთლიანად და ღრმად შესწავლილი არ არის.

როგორც ვიცით ქართველები უჩუმრად წამოადგნენ თავს იკონიის თურქთა ლაშქარს. ამისათვის მათ ქარავნების მიმოსვლის შეჩერება მოუხდათ. ანუ ჯარი ფარულად მიდიოდა თურქებისაკენ. შესაძლოა წინა მავალი რაზმი, წინამბრძოლები უსაჭურვლოდ იყვნენ და როდესაც, ისინი ეძგერენ მტერს ამ დროს მათ ხელთ მხოლოდ ხანჯლები ეპყრათ.

ეს ყველაფერი ზუსტად არ არის მემატიანეს მიერ აღწერილი. ფაქტია რომ უჩაფხუტო სამცხის ერისთავს წარბი გაუპო მტრის მშვილდოსანმა. ივანეს ამის შემდეგაც ბოლომდე უომია ბასიანის ომში.

„მარჯვენაწარბგაჩეხილი“- ასე უწოდებს მას დიდი ქართველი პოეტი ლადო ასათიანი.

***

ივანე ჯაყელს ჰყავდა ერთი ვაჟი სახელად ბექა, რომელიც ლაშა-გიორგის პირად ამალაში იყო ჩარიცხული. როგორც ჩანს მეფე რაინდი, ლაშა გიორგი განსაკუთრებით აფასებდა ბექას თვისებებს. განსაკუთრებულნი თავიანთი უშიშარობით ლაშა და მისი ამალა პირველ ბრძოლაში გამოიცადნენ განძასთან.

„თჳთ მეფე ლაშა წინა მიეტევა მჴნედ და ძლიერად, თჳთ გოლიათი მკლავითა სჴანითა და ჴელითა გოლიათითა, რომლის თანა წინა-მბრძოლობდეს ძლიერად ყუარყუარე ჯაყელისა შვილი პირმშო (ბექა - იგულისხმება),... ბოცო ბოცოს ძე, მემნას ძმა, რამეთუ ესენი წინა-განეწესნეს. ვითარ იხილეს სიმჴნე მათი განძელთა, სწრაფად ივლტოდეს პირისაგან მათისა, და სდევნეს ვითარ კართამდე ქალაქისად, მცირედღა შეივლტოდეს ქალაქად, და უმრავლესი ტყუე ყვეს და ზოგნი მოისრნეს “(ჟამთააღმწერელი, გვ.525).

ბექა ივანეს-ძე ჯაყელ ციხისჯვარელი განძის ბრძოლებში ოცი წლის იქნებოდა. ესეიგი ის სადღაც 1190-1192 წელს უნდა ყოფილიყო დაბადებული.

ძალიან საინტერესო კიდევ ერთი ფაქტი. ბექა ჯაყელი ლაშა გიორგის ამალაში ბოცო ბოცოს -ძესთან ანუ ბოცო ჯაყელთან ერთად იბრძვის განძელთა წინააღმდეგ. რა არის ეს ნეტა, თუ არა ლაშა გიორგი მცდელობა თავის დაკვირვების ქვეშ ამყოფოს როგორც ჯაყელი ციხისჯვარელები ასევე ჯაყელი ბოცოსძეები.

***

საინტერესო რა დამოკიდებულება იქნებოდა ბექა ჯაყელ ციხისჯვარელსა და ბოცო ბოცოსძე ჯაყელს შორის? ალბათ გულითადი. ახალგაზრდები, განსაკუთრებით ნათესავები სწრაფად უახლოვდებიან ერთმანეთს და მათი მეგობრობა გულწრფელია. ეს ხდება შოთა რუსთაველის ეპოქაში. ჩვენ უნდა ვივარაუდოთ რომ შოთა რუსთველის ფილოსოფია, უკვე ცნობილია ყველა ქართველისათვის 1210 წელს. რა თქმა უნდა გამომცემლობა იმ პერიოდში არც არსებობს. შესაძლოა შოთას წიგნი ჯერ არ არის დაგმობილი კლერიკალების მიერ. შესაძლოა ხალხი შოთას სტრიქონებს ხმამაღლა ზეპირად ამბობს და შოთა რუსთველის ესთეტიური ხედვა მეგობრობაზე უკვე გავრცელებულია სასახლის კარზე.

ცოტათი ზედმეტად გაზვიადებული აზროვნება გამოგვდის. მაშინ როცა 21 საუკუნეში ახალი წიგნი რამოდენიმე წელი ვერ აღწევს ადამიანის გონებამდე, როგორ უნდა წარმოვიდგინოთ რომ მე-13 საუკუნის დასაწყისში ვეფხისტყაოსანი უკვე ამგვარ ცნობილ პოემად გვევლინება?

მე ვფიქრობ რომ შოთას სხვა ლექსებიც არსებობდა და ისინი უკვე პოპულარული იქნებოდნენ საქართველოს მცხოვრებთა შორის.

მთავარი ისაა რომ, ლაშა გიორგის რაინდული შეხედულებები იმაშიც ვლინდება რომ მას საკუთარ ამალაში, უფრო სწორად სამეფო წინამბრძოლ მხედრობაში ორი ურთიერთ დაპირისპირებული ჯაყელი ჰყავს. ერთია ციხისჯვარელი ჯაყელი, გოლიათურად მებრძოლი ბექა, რომლის მამამ ჯაყის ციხე წაართვა ნათესავ ბოცოს და მეორეს მხრივ ამავე ბოცოს, უფრო სწორად დიდი ბოცო ჯაყელის შთამომავალი ბოცო ბოცოს ძე, რომელმაც დაკარგა კიდევაც ჯაყის ციხე და საცხოვრებლად სხვა ხეობაში გადავიდა.

თავად ბრძოლის ამბებიდან ირკვევა რომ ბექა ციხისჯვარელი ჯაყელი და მისი თანარაზმელი, ბოცო ერთად დგანან, ისინი მტერს თავდადებულად ებრძვიან და ალბათ ლაშა გიორგის გულში ედიმება რომ ხედავს საკუთარ რაზმში ამ ორ მერძოლს. ჩემის აზრით ლაშა გიორგი და მისი რაინდული ფილოსოფია თავგადასავლების სურვილით ჰკვებავს ამ რაინდებს. „რად ვებრძოლოთ ერთამენთ ჯაყის გულისათვის, მაშინ როცა წინ ირანისა და ხორეზმის ციხეებია, ისინი დავიპყროთ, ან იქნებ მალე ჯვაროსნულ ლაშქრობაში მივიღოთ წილი და პალესტინაში დავაარსოთ ახალი საქართველო“.

ვინ იცის? აშკარაა რომ ახალგაზრდა მეომრებს ლაშა გიორგის იდეალიზმი ასაზრდოვებს. ისინიც ერთად შეკრული მტერს ძალიან ძლიერ დარტყმას აყენებენ, მაგრამ საქართველოს ჯარის მთავარსარდალი მხარგრძელი გაბრაზებულია. მიუღებელია მისთვის მეფისა და მისი ამალის მხრიდან სამხედრო სტრატეგიის კანონების დარღვევა. ამ საკითხში მხარგრძელი რა თქმა უნდა მართალია.

***

მეფეთ -მეფე ლაშა გიორგი ჯვაროსნული ომისათის ემზადება. განუწყვეტლივ მზადდება იარაღი და ცხენთა აღკაზმულობა. ქართული ჯარი ერუსალიმისაკენ გალაშქრებას გეგმავს. მაგრამ ამ დროს გამოჩნდნენ მონღოლები. მათ ორი გენიალური გენერალი მოუძღვოდათ ჯვებე და სუბდაი. ისინი საქართველოს სამეფოს სამხრეთ პროვინციებში შემოიჭრნენ. მეფე ლაშა-გიორგიმ ჯარი შეჰყარა და მდინარე ბერდუჯის ნაპირზე საგიმის ველზე გაუმართა ბრძოლა მონღოლთ. სამცხის სპასალარის ვაჟი ბექა -ივანეს ძე ჯაყელი, ლაშა გიორგის გვერდით იდგა ბერდუჯის ომში. როგორც ჩანს თავად მეფე -რაინდი ლაშა გიორგი ამ ბრძოლის დროს წინა ხაზზე იბრძოდა. ქართველებმა მონღოლებს მაგრად დაჰკრეს. ამ დროს მონღოლები გაიქცნენ .ბექა ჯაყელი წინამბრძოლთა შორის იყო. მონღოლებმა ქართველთა მძიმე კავალერია შეიტყუეს და ფლანგებიდან დაარტყეს. ამ ილეთს „მანგუდაი“ ერქვა .ამას მონღოლები კარგად იყენებდნენ ევროპული ტიპის ჯარის წინააღმდეგ. ქართული ჯარიც ევროპული სისტემით იბრძოდა. ეს იყო რაინდული ლაშქარი და მას მძიმე ცხენოსან ჯარზე ჰქონდა დიდი იმედები დაფუძნებული. ქართველები მონღოლებს 3 ჯერ სჭარბობდნენ.

ბერდუჯის ბრძოლა ქართველთა მარცხით დამთავრდა. მძიმედ დაიჭრა ლაშა გიორგი. მონღოლებმა ქართველებს ალყა შემოარტყეს მაგრამ ალყა არ დაუხურავთ. პირიქით მისცეს ქართველებს გაქცევის საშუალება. უკან დახევის დროს დაიღუპა უამრავი ქართველი. როგორც ჩანს ბექა ჯაყელი ქართველთა უკან დახევას იფარავდა . მისთვის უჩვეულო იყო ბრძოლიდან გაქცევა.

„ ივლტოდეს ქართველნი და სპანი და თჯთ მეფე ლაშა, და ურიცხჯ სული ქრისტიანე მოკუდა, სადა-იგი დიდიცა ივანე ათაბაგი, სამცხისა სპასალარი, ძლით, ცოცხალი განერა, და მეჭურჭლეთ-უხუცესის ყუარყუარეს შვილი ბექაი მოიკლა, ძლიერად ბრძოლილი. “- ამბობს ჟამთააღმწერელი.

ივანე ჯაყელის ტრაგედია დიდი იყო. მას დაეღუპა ერთადერთი ვაჟი, მაგრამ დარჩა შვილიშვილები მისგან.

***

1235 წლის ახლო ხანებში, მონღოლთა მეორე შემოსევისას ქართველმა მთავრებმა მტერს მორჩილება გამოუცხადეს, გამონაკლისი იყო სამცხე, რომელმაც რუსუდან მეფის გამო, მონღოლებს მორჩილებაზე უარი უთხრა. განრისხებულმა ჩაღათა ნოინმა დალაშქრა და სასტიკად მოაოხრა სამცხე. ივანე ჯაყელ-ციხისჯვარელი არ დანებდა მონღოლთ, ის თავისი შვილიშვილებითა და ლაშქრით ციხისჯვარში ჩაიკეტა და მონღოლებს იქედან იგერიებდა.

„ამათ ულხინებელთა ჭირთაგან შეიწრებულნი მთავარნი საქართველოსანი ყოველნი მიენდვნეს თათართა, ჰერ-კახნი და ქართველნი, თორელი გამრეკელი, თმოგუელი სარგის, კაცი სწავლული და ფილასოფოსი და მრავალღონე. ხოლო მესხნი სათნოებისათჯს მეფისა რუსუდანისა არა მიენდვნეს. ამისთჯს განძჯნებულმან ჩაღატა ნოინ აღიმჯედრა სამცხესა ზედა, არამედ მესხნი შეიწრებულნი შიშისაგან შეივლტოდეს ციხეთა შინა. ესრეთ მოისრა და ტყუე იქმნა სული მრავალი სამცხეს, და ბევრი ერი მოიკლა. „

***

ივანე ციხისჯვარელი, რუსუდან მეფისაგან პირდაპირი ბრძანებით ბოლოს მაინც დაუზავდა მონღოლს. ჩაღატა ნოინმა დიდი პატივით მიიღო ჯაყელი და სამცხეში სისხლისმღვრელი ომი დროებით შეწყდა.

***

1247 წელს ივანე I ჯაყელი ცოცხალი აღარ არის. ის ალბათ საფარაში დაკრძალეს. სამცხეს მისი შვილიშვილი სარგის ჯაყელი ციხისჯვარელი დაეპატრონა. მან სამცხეში მიიპატიჟა ლაშა გიორგის ვაჟი, მეფე საქართველოისა დავით ულუ. მონღოლთაგან შევიწროვებული მემკვიდრე გიორგი ლაშასი აჯანყების გზას დაადგა. მეფე და მისი ერთგული სარგის ჯაყელი მონღოლთა იმპერიას ხმლით ხელში დაუპირისპირდნენ. თითქოს ივანე ჯაყელ - ციხისჯვარელი გაცოცხლდა, სამცხის მთავარი შვილიშვილში განივთდა. სულთა მატიანეებიდან ცნობილია რომ ამ პერიოდის ჯაყელები დიდ პატივს მიაგებდნენ გმირი წინაპრების, სულა კალმახელის, ივანე ციხისჯვარელის, მირიან ბაჰლაუნდისა და ლატავრა დედოფლის სულებს - რაც იმას ნიშნავს რომ ისინი მუდამ მზად იყვნენ თავგანწირვისათვის.

1261 წლის მაისში ყაენის ბრძანებით არღუნი დიდძალი ჯარით კვლავ შევიდა სამცხეში, მაგრამ დავით VII-ის ხელში ჩაგდება ვერ მოახერხა, ვერც ჯაყელთა რეზიდენცია ციხისჯვარი აიღო და ივნისში უკან გაბრუნდა.

ამგვარი მარცხი მონღოლებს არ ახსოვდათ !

შემდგომ წლებში სამცხე გადაიქცევა საქართველოს ბეღელად. ამას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სარგისის ვაჟი, ივანე ჯაყელის შვილთა შვილი, გენიალური პოლიტიკური მოღვაწე, სარდალი და დიპლომატი, ბექა სარგისი-ძე ჯაყელი. მის დროს სამცხის სამთავრო გაიზრდება და ტაშისკარიდან ერზრუმამდე მიაღწევს. ჯაყელებს დაუნათესავდებიან ტრაპეზუნის იმპერატორები კომნენოსთა გვარიდან. ბექას ერთ ქალიშვილს-ნათელას, საქართველოს მონარქი, დემეტრე II შეირთავს, ბექას მეორე ქალიშვილს ჯიაჯაყს ცოლად და დედოფლად დაისვამს ტრაპიზონის ბერძენი იმპერატორი, ბექას მესამე ქალიშვილს - ბექაჰანუმს ყირიმის ნახევარკუნძულის გენუელი მთავარი შეირთავს. ყველა მიელტვის მესხეთის ბრძენ მთავართან დამოყვრებას. მესხნი ჯაყელთა ხელმძღვანელობით არაერთ ბრძოლას მოიგებენ საქართველოს პოლიტიკური ერთობის აღდგენისათვის. რაც მთავარია, ბექა მანდატურთუხუცესი სწორედ სამცხეში აღზრდის თავის შვილიშვილს, საქართველოს მომავალ ხელმწიფეს, გიორგი ბრწყინვალეს.

ამას დაემატება ისიც რომ ჯაყელები გააგრძელებენ ვარძიის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობას. ააშენებენ საფარის წმინდა საბას ტაძარს, ზარზმას მათი მოღვაწეობა გასცდება სამცხეს და ისინი ხევისბერ ღუნიასთან ერთად აღაშენებენ გერგეტის სამებას. ამ ამბებთან ერთად ჯაყელები აქტიურობენ ერუსალიმში ,სწორედ ქრისტეს საფლავის მიდამოებში მათ აქვთ საგვარეულო ტაძარი, რომელიც საქართველოს კულტურის კერაა.

კახაბერ ჯაყელი

ახალციხის „აია სოფია“

(1749-1758 წლები)

კახაბერ ჯაყელი

(ისტორიული, დოკუმენტალური ნოველა - ახალციხის „აია სოფია“, დაიწერა 1987 წელს, ბაბუაჩემის - ნიკოლოზ მიხეილის ძე ჯაყელის მონათხრობისა და დიდი პაპის, ქაიხორსო ნიკოლოზის ძე ჯაყელის დანაბარების საფუძველზე, მარი ბროსეს მიერ შექმნილ ჯაყელ-ათაბაგთა გენეალოგიის ნუსხის მიხედვით, ალექსანდრე ფრონელის არქივის ჩანაწერების გათვალისწინებით. ნოველის შექმნაზე დიდი გავლენა მოახდინა იმანაც, რომ მამაჩემი თენგიზ ჯაყელი ხშირად თან მიახლებდა ხოლმე ახალციხეში, სადაც იმ ხანად ცნობილი კაცი, ბატონი ვალერიან ჯაყელი ცხოვრობდა. მოთხრობის წერისას გამომადგა პროფესორების შოთა ლომსაძეს წიგნები და სერგო ვარდოსანიძის ბრწყინვალე ლექციები. თავად ძეგლი ახალციხის „აია სოფია“ მეტად მნიშვნელოვანია ქართულ ისტორიულ მემკვიდრეობაში, რადგანაც იგი წარმოაჩენს იმ დროს, როდესაც მარტივი, პირდაპირი გადაწყვეტილებების ნაცვლად, მმართველ წრეებს შემოქმედებითი აზროვნება უნდა გამოეჩინათ. როდესაც სააკაშვილის ხელისუფლებამ ახალციხის რაბათი აღადგინა, მაშინაც და შემდგომი ხელისუფლების პერიოდშიც, იყო უგუნური მცდელობა, ახალციხის „აია სოფია“, ოსმალურ მემკვიდრეობად გამოცხადებული ყო. ამ სისულელეს შევერკინეთ ჩვენ, ჯაყელთა გვარი. რადგანაც ეს ნოველა იმ პერიოდში უკვე გამოქვეყნებული იყო, ისიც ძალიან წაგვადგა იმაში, რომ ადამიანებისათვის სიმართლე გვესწავლებინა. მესხეთ-ჯავახეთის მეუფე თევდორემ და ახალციხის მკვიდრმა ომარ ჯაყელმა ამ ნოველის ავტორთან ერთად, ბევრი იღვაწეს იმისათვის, რომ ადგილობრივი ქართველი ფეოდალის, კერძოდ აჰმედ ჯაყელის მიერ 1755 წელს აშენებული „აია სოფია“ ეროვნულ მემკვიდრეობას დაქვემდებარებოდა.)

***

ქალაქ ლომსიას ირგვლივ შემოგრაგნილი ჟანგისფერი კლდეები ნისლს დაებურა. იატაგანივით დაკლაკნილ ქუჩებში ხელოსანთა შეძახილი, ვაჭართა ლანძღვა-გინება და იანჩართა საალიონო აღლუმის ჭყვიტინა ხმები ერთმანეთში ირეოდა.

- სტამბოლიდან ემისარი გეახლათ პატრონო, - გაისმა რაბათის საზაფხულო სასახლის დარბაზში, მესტუმრეთუხუცესის და პოეტის რეჯებ ფალავანდიშვილის ხმა.

- ვინ ჩამოსულა, რეჯებ? - ჩაილაპარაკა ჰარემში ულამაზეს ხორვატ მხევალთან დოდონასთან, მყოფმა ახალციხის ფაშამ და ათაბეგმა აჰმედ ჯაყელმა.

- ვიღაც აღა პიპინესკუა, ტომით რუმინელი, სულთნის ბეჭდით და უსაზღვრო უფლებებით აღჭურვილი მაღლი, - თქვა რეჯებმა დაბალი ხმით.

- რუმინელს ნაღდი თურქი მერჩივნა, შეიყვანეთ იგი „ლომის ხახაში“. - ბრძანა აჰმედმა. ამ დროს ხორვატმა დოდონამ თავისი უჩვეულო მუსიკალური ხმით ჩაიკისკისა.

„ლომის ხახა“ ერთდროულად საასპარეზოდ და სასტუმროდ მოწყობილი დარბაზი იყო. ფუფუნებაში ჩაფლული „ბრწყინვალე პორტას“ წარმომადგენლებს აქ იმგვარ გამაოგნებელ წარმოდგენებს უმართავდნენ, რომელთა შემდეგ ერთნი ისტამბულს ახალციხეზე ლაპარაკსაც ერიდებოდნენ, ხოლო მეორენი სიამოვნებით იხსენებდნენ „ლომის ხახად“ წოდებულ ავბედით სასახლეს.

- მოგესალმებით, სამყაროს მპყრობელი სვეტედნიერი სულთნის, რუმის ავღუსტის და ევროპა-აზიის მეფეთა და მთავართა მამის, ბრწყინვალე მურადის წარმომადგენელო - მდაბლად დაუკრა თავი რუმინელ პიპინესკუს რეჯებმა, ვეფხვის, ფოცხვერისა და დათვის ტყავებით მოფენილ დერეფანში შეუძღვა სტუმარს და დარბაზის მორკინული კარის მძიმე ურდულის გახსნას შეუდგა.

სამყაროს მბრძანებლის, „ულუფჩი“ პიპინესკუ აღა, სწავლული კაცის დარად ყურადღებას არ აქცევდა „ვიღაც მესტუმრის“ ჩალიჩს, თავის კანტურით საკუთარ მისიაზე ფიქრობდა და მწვავე სიტყვას ამზადებდა ახალციხის „დაუმორჩილებელი“ ფაშისათვის.

უეცრად დარბაზის სიღრმიდან გამაყრუებელი ყვირილის ხმა ჩაესმა რუმინელს და მან თვალი ურდულთან დაჭიდებულ ფალავანდიშვილს მიაპყრო.

- იგი თავად სჯის ორგულებს აღა, - თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა რეჯებმა და ურდული ჩახსნა.

სულთნის კარზე ტირანიასა და სისხლს ჩვეული პიპინესკუ გულგრილობის ნიღბით აპირებდა „ლომის ხახად“ წოდებულ დარბაზში შებრძანებას, რომ არაერთი მოულოდნელობა, რასაც ზღურბლზე გაწოლილი, ცოცხალი ლომი ერქვა.

პიპინესკუ შედგა, ლომს შეხედა, თავისთვის რაღაც ჩაილაპარაკა და ნაბიჯი გადადგა, რომ ვეება ლომმა სისხლში ამოსვრილი ტორები გაშალა, პიპინესკუსაკენ ისკუპა, რუმინელის თავს ზემოთ კამარა შეჰკრა და ფართო დარბაზის ჩაბნელებულ კუთხეში გაუჩინარდა.

პიპინესკუ საგულედან ამოვარდნილ გულის ფართხალს ყურს უგდებდა, ცდილობდა იატაკზე არ გაშხლართულიყო. ის წყეული მესტუმრეც სადღაც გაქრა, რუმინელის ირგვლივ ბნელოდა და მხოლოდ საიდანღაც მოწეული შუქის მკრთალი სვეტი ანათებდა პიპინესკუს სახესა და აცეცებულ ხელებს.

იქ, სადაც ლომი გაუჩინარდა, ეხლა რაღაც მბზინავი და ბრწყინვალე ამოძრავდა და სტუმრისაკენ გამოემართა. პიპინესკუმ ახალი მოულოდნელობისა თუ გამოცდის მოლოდინში ხელები აღაპყრო და უეცრად მის ირგვლივ ერთდროულად აელვებულ მაშხალებს მოჰკრა თვალი.

დარბაზი უეცრად, ერთბაშად ისე გაბრწყინდა, თითქოს ზარბაზნიდან გაისროლესო. სპილოს ძვლით, სადაფით, ქარვით, ახალციხური აქატითა და ოლთისური გიშრით გაწყობილი, ოქრო-ვერცხლით მორთული კედლები უჩვეულოდ აელვარდა და თვალისმომჭრელ ბრწყინვალებაში, რუმინელმა მისკენ მომავალი, წითელმანტია მოსხმული ახოვანი ფაშა შენიშნა.

ფაშამ სტუმრისათვის განკუთვნილი მისალმება სტამბოლის ეტიკეტის სრული დაცვით წარმოსთქვა და რუმინელს იქვე ატლასის ბალიშებზე მოსვენება შესთავაზა.

შორი გზებითა და უღელტეხილებით მგზავრობისაგან დაღლილმა პიპინესკუმ მისალმებისა და ურთიერთმოკითხვების შემდგომ, ოქროცურვილი ძაფით ნაქარგ ახალციხურ ბალიშებზე ნებიერად მოიკალათა, გაპუტულ წვერზე ხელი ჩამოისვა და მასპინძელი შეათვალიერა.

შუა ასაკში შესული ახალციხის ფაშა ვარდისფერლოყება, თაფლისფერთვალება, ფართო და მაღალშუბლიანი, მხარბეჭიანი აჰმედი, თავის კბილა სულთანზე ბევრად უკეთესად გამოიყურებოდა, რაც მონობაში გაზრდილმა რუმინელმა მისი სახელმწიფოს სისუსტისა და მოშლილობის გარდაუვალ მაჩვენებლად მიიჩნია.

„სულთანს, დე ჰფარავდეს მას ზენაარი, სამასი ულამაზესი ცოლი და ათას-ორასი უმშვენიერესი მხევალი ჰყავს, ეს ახალციხელი კი სულ რაღაც სამოცი ცოლითა და რამდენიმე ათეული მხევლით ცდილობს უზენაესი მბრძანებლის სახის ფერის, მეფური მოთენთილობისა და მორჭმული სიცოცხლის არა თუ მიბაძვას, არამედ გადამეტებას“ - ფიქრობდა პიპინესკუ გაგულისებით და გონებაში მომზადებულ სათქმელს სიცხარეს უმატებდა.

- თქვენს ქალაქს, რომელსაც ჩვენ ახისკა შევარქვით, კარგი მდებარეობა აქვს კავკასიაში, სულთნის მარადიული მმართველობის დასამყარებლად, შემდგომში კი წყეულ სპარსთა დასამორჩლებლად, - დაიწყო რუმინელმა და თვალები მოჭუტა, სიტყვისათვის ფარული აზრის მისანიჭებლად.

- თქვენი თვალები ჭეშმარიტებას ამჩნევენ, - ბრძანა პასუხად ფაშამ და რუმინელის თვალიერებას შეუდგა.

- ქალაქი კარგად გაქვთ გამაგრებული, ჩინებული კოშკები აგიშენებიათ და ფორტიფიკაციის კანონებიც დაგიცავთ, - აგრძელებდა აზრს პიპინესკუ.

- ახალციხის საფაშო ერთთავად კოშკში და რკინაშია ჩასმული და არა თხილის ნაჭუჭში, - ხელები ზე აღაპყრო აჰმედმა.

- ვიცი, ვხედავ, მაგრამ ასეთ ქალაქს, - პიპინესკუმ ხელებით ქალაქისკენ მიუთითა - დიდი და მარადიული სულიერება სჭირდება.

- სულიერებას წიგნებით ვიკაჟებთ, - გაღიმებული აჰმედი რუმინელის დაბრეცილ თვალებში დაფარული აზრის ამოკითხვას შეეცადა.

- სულიერების განტკიცებას წიგნებიც სჭირდება და მშენებლობაც, - ბრძანა რუმინელმა.

- და ურჩების სასტიკად დასჯა, - უეცარ გამძვინვარებას შეწითლებული ღაწვებით ადასტურებდა ათაბაგთა შთამომავალი.

- გეთანხმებით, მაგრამ... - სულთნის წარმომადგენელი აზრებში იქექებოდა.

- ბრწყინვალე სულთნის ყველა ბრძანება სრულდება ჩემს საფაშოში, - კვლავ ღიმილი გადაივლო ტუჩებზე აჰმედმა.

„ჩემს საფაშოშიო?“- ეს გამოთქმა კი არ მოეწონა ძველი საგვარეულოების მტრად ცნობილ რუმინელს, რომელიც ყოველთვის უგვარო და დროებით მმართველ-

მონებს აძლევდა უპირატესობას და არა „ძირძველ ვეფხვებს“ ან „ტიტებს“, რომლებიც აქა-იქ მაინც განაგრძობდნენ შთამომავლობით მმართველობას ოტომანთა ვრცელ, მაგრამ დაშლის პირას მისულ იმპერიაში. „ეს შთამომავლობითი ფაშა, ჯაყელი ანუ ათაბაგი ანუ ჩილდირ-ოღულარი მუდამ თავის ოდინდელ საათაბაგოზე მიგვითითებს და საკუთარი ძალაუფლების ზეწრის გადაჭიმვას ტრაპეზუნტზე და ერზერუმზე აპირებს, ანატოლიასაც ეთამაშება, დიარბექირისა და აგრის მხარეშიც კი მისი ნათესავები პირველობენ, რას მოუტანს ეს იმპერიას? კარგს არაფერს“ - ფიქრებში ჩაიძირა პიპინესკუ.

- ჩემს საფაშოში თავმოყრილი მყავს სარწმუნოების დამცველი მეომარნი, რომლებიც მზად არიან საღვთო ომი წამოიწყონ ოთხივე მიმართულებით - თქვა აჰმედმა და ტაში შემოჰკრა.

რუმინელისათვის უცხო ხელოვნებით მოჭედილი, ოქროთი და ზარნიშით შემკული, ცისფრად მომინანქრებული და ატლასის ფარდებით შემკული კარი გაიხსნა და პიპინესკუს წინ ცხრა მეომარი აღიმართა.

- ეს პირველი, - აჰმედმა რუმინელს მაღალ, შავგვრემან ჭაბუკზე მიუთითა, - ჩემი საუკეთესო ფალავანია, ფალავანდიშვილთა ცნობილი გვარიდან. დანარჩენი რვა გახლავთ დაქირავებული მკვლელნი, რომლებიც ჩემს საფაშოში შორეთიდან მოვიდნენ. ისინი აჰმედის სიკვდილს ლამობდნენ, მაგრამ ჩემი სასიკვდილო მახვილი ერთია და იგი მხოლოდ სულთანს უპყრია ხელთ, - თქვა აჰედმა და პიპინესკუს შეხედა. რუმინელი დუმდა.

- ეხლა კი ასლან ბეგ ფალავანდიშვილი ღირსეული აღა პიპინესკუს წინაშე შეებრძოლება რვა მომხვდურს, რვა მკვლელს და მსტოვარს, თავად პიპინესკუ აღას ხელშია ამ ბრძოლის ბედ-იღბალი და ჩემი ფალავნის ხელში ჩავარდნილი რვა კაცის ბედი, - ბრძანა ფაშამ და თვალმოჭუტულ რუმინელს გადახედა.

- თქვენი ფალავნის ბედი არ განაღვლებთ, რადგანაც იგი მახვილით არის შეიარაღებული, ხოლო ეს ვაჟები უიარაღონი არიან, - თქვა პიპინესკუმ და ფაშას თავისი მელნისფერი დაბრეცილი ტუჩებით შეჰღიმა.

- რეჯებ! - თქვა ფაშამ და დარბაზში შემოსულმა მესტმრეთუხუცესმა პიპინესკუს წინ ქართული სწორი ხმლები, ოსმალური კილიჯები, იატაგანები თუ სპარსული შამშერები დაყარა.

- შეიარაღდით! - უბრძანა გახალისებულმა პიპინესკუმ მის წინ დაჩოქილ რვა კაცს და იარაღის გროვას მათი მიმართულებით მწვანე ქოშის ჭვინტი წაჰკრა.

- შეიარაღდით და იბრძოლეთ ისე, რომ თქვენი ვაჟკაცობით მიიღოთ შეწყალება ან კაცურად მაინც მოკვდეთ, - თქვა ახალციხის ფაშამ და რეჯებს რაღაც ანიშნა.

მანამ სანამ გახარებული მკვლელები იატაგანებს, მახვილებს, კილიჯებსა და შამშერებს არჩევდნენ და თვალებს ასლან ბეგ ფალავანდიშვილის მიმართულებით აკვესებდნენ, უჩვეულოდ აცქმუტებული პიპინესკუ ფაშას მიუბრუნდა და უთხრა: - „ვეჭვობ გამარჯვების შანსი ჰქონდეს თქვენს ფალავანს, მაგრამ იცოდეთ თუ ბრძოლის სასწორი ქართველი ბეგის წინააღმდეგ გადაიხრება, მე შევაჩერებ ბრძოლას“.

მახვილებმა, იატაგანებმა და შამშირებმა ცისარტყელის ფერების შემოხაზვა იწყეს აჰმედისა და პიპინესკუს თვალწინ. მხოლოდ ჰაერის შხუილით კვეთა არ იკმარეს მებრძოლებმა. ფოლადის წკრიალა ხმა, მოძალადოებრივი ძრწოლა, გმინვა, შეძახილი, აქეთ-იქით ხტომა, გაბოროტება, გმირობა და მოწყალება, ერთმანეთს გარდაეჭდო და ერთ მთლიან ბატალურ პანოდ შეიკრა.

ფალავანდიშვილი ლომივით ბრდღვინავდა და ყოველ მხრიდან შემოჯარულ მკვლელებს საერთო მანძილზე იგერიებდა. ცხრავე გულადად იბრძოდა. ასლან ბეგმა ერთი ხმამაღლა დაიღრიალა და მოწინააღმდეგეს ფეხდაფეხ მისდია დარბაზის კედლამდის. წამში კედელთან მიჩეხილის მოჭრილმა თავმა პიპინესკუს წინ გორაობა იწყო. შვიდ კაცად დარჩენილნი ყოველი მხრიდან შემოერტყნენ მათთვის ზეციურ რისხვად მოვლენილ ფალავანდიშვილს. მკვლელნი ოსტატურად უგებდნენ მახეს წრეში მოქცეულ ქართველ ბეგს და ერთდროულად უტევდნენ მას ფლანგებიდან, ფრონტიდან თუ ზურგიდან. კალიასავით ხტოდა და ბრძოლის მიმართულებას ოსტატურად ცვლიდა ფალავანდიშვილი. ზურგს რომ ეგონა ზურგი ვარო, ის უეცრად ფრონტი ხდებოდა, ფრონტს რომ ეგონა წინა ხაზი ვარო და შეტევა მომეთხოვებაო, ისიც უეცრად, მოწინააღმდეგის გარეშე რჩებოდა და იარაღს ჰაერს უქნევდა. ახალციხელი ბეგი ისე უეცრად მოუტრიალდებოდა შეჯგუფულთ რომ ისინი, ერთმანეთი არ დავკოდოთო, საჩქაროდ უკან იხევდნენ და ისევ ფლანგებში და ზურგში დარტყმას იწყებდნენ.

- აი სწორი ტაქტიკა სპილოზე ნადირობისა, რომ იცოდეთ ამგვარად დაამარცხა სციპიონ აფრიკელმა ჰანიბალი - თქვა გამარჯვებაში დარწმუნებულმა პიპინესკუმ და აჰმედ ფაშას სიამაყით შეხედა.

- გგონიათ გაიმარჯვებენ მკვლელნი? - იკითხა ბრძოლის ეშხში შესულმა და თვალებში სისხლჩამდგარმა ფაშამ.

- თქვენი ფალავანი ალყაშემორტყმულია, სამწუხაროა, მაგრამ უნდა აღიაროთ, რომ ამჟამად რიცხოვნება იმარჯვებს გმირობაზე და როცა ასლან ბეგი დაიქანცება, მას უცილობლად მოჰკლავენ ეს ტურები, - იქედნურად ჩაიცინა გმირობის მოძულე რუმინელმა.

- თუ ფალავანდიშვილი დამარცხდება მაშინ მე ამ უცხო თვალს თქვენ დაგითმობთ, - თითიდან შავი ბრილიანტის თვლიანი, ჩორჩანელებისაგან ჯაყელებზე გადმოსული „თვალი სევდიანი“ წაიძრო აჰმედ ფაშამ და

რუმინელს მიაწოდა. პიპინესკუ დაეცქერდა მრუმე ფერებში მოცურავე სტიქიონს, შავი და მღელვარე გარდასახვებისას და გაიბადრა.

- მე არაფერი მაბადია მსგავსი, მაგრამ ჩემი სიტყვა თოფქაფის ბრწყინვალე დარბაზებში დიდი ფასეულობაა. თუ თქვენი ფალავანი გაიმარჯვებს, სიტყვას გაძლევთ, დიდ ვეზირთან, ხუთი წელი თქვენს ქებაში ვიქნები და ყველა ანგარიშში, რასაც კი დავწერ კავკასიაზე, თქვენს დიდ საქმეს მოვიხსენიებ, - აცუნდრუკდა პიპინესკუ და ბრწყინვალე თვალს გზნებით ეამბორა.

- მიღებულია, - ზრდილობიანად თქვა ფაშამ და ალყაშემორტყმულ ფალავანდიშვილს „მესხურიო“ შეუძახა.

ფალავანდიშვილმა ჭექა-ქუხილის ხმით დაიღრიალა და მის გარშემო შეკრულ წრეში, ზურგს უკან მდგომ ჭაბუკს არნახული სისწრაფით გამოეკიდა. ექვსი კაცი დაედევნა ასლან ბეგს. როდესაც სხეულები ერთმანეთს ისე გარდაეჭვდნენ, რომ არაფრის ნათლად გარკვევა აღარ შეიძლებოდა, აჰმედმა რუმინელს გადმოხედა და უთხრა:

- დღეს ჩემი დღეა, გაიმარჯვა გმირობამ და არა რიცხოვნებამ.

- ეგ როგორ, - სისხლი გაეყინა ძარღვში პიპინესკუს.

- ასლან ბეგმა ყველა დახოცა, ალბათ, თვითონ კი სძინავს დაღლილს, -იხუმრა ფაშამ.

- ვერ დავიჯერებ, - ხმა უნებურად აუცახცახდა სულთნის მონას.

- ასლან ბეგ, ადექი ფეხზე, თორემ დამეჩაგრა სტუმარი, - ქართულად შესძახა ფაშამ.



ასლ ან ზეგმა ყველ ა დახ ო ცა - მხატ ვრ ო ბ ა კახ ა ბ ერ ჯ ა ყ ელ ი ს ა (ზ ე თ ი , ტ ი ლ ო)

სულ მთლად სისხლში მოსვრილი ასლან ბეგი ფეხზე წამოიმართა და ტანის დასაბანად გამიშვიო სთხოვა ახალციხის ფაშას.

- მოისვენე აჰმედის მტრების რისხვავ, შენ დღეს დიდი სანაძლეო მომაგებინე, - ბრძანა ფაშამ და პიპინესკუს ალმაცერად გადახედა

- მაინც ვერ გავიგე, როგორ მოახერხა ამ რისხვით სავსე მეომარმა ერთად მოსვრა ამდენი კაცისა, - ბუტბუტებდა პიპინესკუ და არეული თვალებით გასასვლელისკენ მძიმედ მიმავალ ასლან ბეგ ფალავანდიშვილს უმზერდა

- ეგ გვარის იდუმალი ილეთია. საქართველოს ყოველ წარჩინებულს ხმლის, ხანჯლის და სატევრის ხმარების განსაკუთრებული ჯილა აქვს და მას გასაჭირში ჩავარდნილი თუ მოიხმარს. გულს ნუ გაიტეხ. რად განაც ხუთი წელი მესხების მეხოტბე ხარ, ბევრი რამის დანახვაც გმართებს ჩვენსას. ეხლა კი რეჯები ახალციხურად გვიმასპინძლებს - თქვა გამარჯვებისაგან თვალებგაბრწყინებულმა აჰმედმა და სასახლეში მანდოლინის დამათრობელი ჰანგები დაირხა. ფათერაკის შემდგომ სიტკბოებით სავსე ხმებმა, სასახლის ჩინარ თუ უჩინარ კართაგან შემოვარდნილმა ატმის ყვავილივით აფეთქებულმა ქალებმა ბანგში გაახვია რუმინელის მბჟუტავი გონება. სპილოსძვლისფერი ძუძუ-მკერდის, ბარძაყების, დუნდულებისა და გიშრისფერი დალალების მის ირგვლივ რხევამ თვალები აუჭრელა, თავბრუ დაახვია პიპინესკუს და ის მოულოდნელად წითელი ატლასის ბალიშებზე გადაყირავდა.

- წყალი! - შესძახა რეჯებ ფალავანდიშვილმა და სახეგაფითრებულ, გრძნობადაკარგულ რუმინელს მივარდა.

- ღვინო ჩაასხით მაგას პირში! - ბრძანა აჰმედმა და მის წინ მოცეკვავე დოდონას ჩაუკრა თვალი. ხორვატი ქლიავი ფორმის მქონე მკვრივ თეძოებს ფაშას ცხვირწინ უთახთახებდა და აჰმედს ხარბი ღიმილით შეჰყურებდა.

საღამო ხანს როცა, მხევალთა მიერ ნაფერები აჰმედი დოდონას ხორვატიულ სიმღერას ჩაფიქრებული უსმენდა, კარებთან რეჯების ხმა გაისმა. ფაშამ მხევალს გააგრძელეო ანიშნა და თვითონ რეჯებს მიუტრიალდა.

- **საჭურისი ყოფილა,** - მოახსენა გაღიმებულმა მესტუმრემ ფაშას.

- კიდევ რა შეიტყვე რეჯებ? - იკითხა მხევალთა ფერებით დაქანცულმა და ხორვატიული სიმღერით მოთენთილმა აჰმედმა.

- პირში ღვინო რომ ჩამასხით, ის მომიტანეთო მითხრა და ეხლა წრუპავს თურმე ალადასტურს, - ჩაიცინა მესტუმრეთუხუცესმა.

- სხვა რამ ლტოლვა ხომ არ გაუმჟღავნებია? - ცბიერად იკითხა აჰმედმა.

ერთგული რეჯები ბატონის ყურთან დაიხარა და რაღაც უჩურჩულა პატრონს. ფაშამ ბრძანა:

- მანკიერი და მახინჯი ხალხის ხელში ვართ ჩავარდნილი, რეჯებ. სტამბოლის საჭურისები და წყეული თუქსუსები თავად ზიზღის აღმძვრელი მონანი არიან და იმავე დროს მათი ძალაუფლება განუზომელია. კურტუმოს ქნევით, თოფქაქის სასახლეში ეგენი უფრო მეტს მიაღწევენ, ვიდრე ჩვენ ხმლით და ზარბაზნით. მაგათ ხელში ჩავარდნილი ოსმალთა იმპერიის დღეები დათვლილია. მოვა დრო და დავით აღმაშენებლის შთამომავალი შემოჰკრავს პორტას და გადაარჩენს ჯოჯოხეთის მსახურთა ხელში ჩავარდნილ - ღმრთისმშობლის წილხვერდ ქვეყანას.

მეორე დილას ეწვია პიპინესკუ აჰმედ ფაშას. სუსტ გულს და გრძელ უსწორმასწორო გზებს დააბრალა რუმინელმა წუხანდელი გულყრა და ათაბაგს მორჩილი ღიმილით ესაუბრა. კონსტანტინოპოლური სიზვიადე და სტამბოლური იქედნურობა უკვალოდ გამქრალიყო პიპინესკუს დამპალი მსხლისფერი სიფათიდან და იგი იმგვარი მორჩილებით ესაუბრებოდა აჰმედს, თითქოს მისი ყონაღი ყოფილიყო.

რუმინელის სიტყვებიდან იგრძნობოდა, რომ სულთანს ახლად დაპყრობილი მიწათა შემომტკიცების ძველი მეთოდები აღარ მოსწონდა და იგი ახლებურ პოლიტიკას მიმართავდა.

- ახალ მიწებზე მაჰმადის რჯული მარადიულად უნდა გამეფდეს და ამისათვის ახალციხეში დიდი მეჩეთი უნდა აიგოს, - მლიქვნელურად უღიმოდა ქართველს რუმინელი.

- დეე აღსრულდეს ნება ალაჰისა, - პასუხობდა აჰმედ ფაშა და ათაბაგთა სპილოს ძვლის ტახტის უძველეს მართლმადიდებლურ სიმბოლოებს: კრავსა და ჯვრით დამშვენებულ დროშას საჩვენებელი თითით ეალერსებოდა.

იმავე საღამოს პიპინესკუსთან გამოსათხოვებელი თათბირის დროს, ათაბაგთა შთამომავალი სარკმლიდან გაჰყურებდა ახალციხის ტანწერწეტა ეკლესიების გუმბათებს და სულთნის ცბიერ ბრძანებაზე ფიქრობდა.

- რეჯებ ისეთი სასტიკი გზებით ატარე იგი, რომ ჩვენს მხარეში გამომგზავრება კიდევ დიდხანს ვერავინ შესძლოს - უთხრა აჰმედმა ერთგულ მესტუმრეთუხუცესს და მის წინ გადაშლილ არქიტექტურულ საიდუმლოებებზე დაწერილ ზერძნულ ტრაქტატს დაუბრუნდა.

საღამო ახლოვდებოდა, როცა აჰმედმა ასლან ბეგ ფალავანდიშვილი იახლა და ქრისტეან წინაპართა საგვარეულო სამკვალისაკენ, საფარის მონასტრისაკენ გაქუსლა.

„სასოწარკვეთილებაში მყოფ კაცს, წინაპართა უტყვი საფლავები უფრო მეტს ურჩევენ, ვიდრე თანამედროვენი. მაგრამ მიმიღებენ კი პაპანი?“- ფიქრობდა აჰმედ

ფაშა ჯაყელი და ჯანდისფერი გორაკების გასწვრივ მიმავალ დაკლაკნილ გზას მიუყვებოდა. 1749 წლის აგვისტოს პირველი კვირიაკე იწურებოდა. სოფელ ღრელს რომ გაუსწორდა აჰმედ ათაბაგი უნაგირზე გასწორდა, ოსმალური ჩალმა მოიძრო და სუთიძეების სახლის პირველივე მარგილზე შემოაგდო. ასე ჰქონდა წესად, ოთხი საუკუნის წინ გარდაცვლილი ქრისტეანი პაპების სახლს თავშიშველი ეწვეოდა. უჩალმობამ აჰმედის წაბლისფერი თმები, როგორც ლომის ფაფარი საჩინოდ ცნო. მის უკან მიმავალმა ფალავანდიშვილმაც მოიძრო ოსმალური ფორმის მუზარადი და ინასარიძეების ღობის უმაღლეს ჭოკზე გარდაჰკიდა.

„საფარა თავად ისეთ დაფარულ სიბრძნეს წარმოადგენს, რომელსაც უშუალოდ თუ არ მიადგები ზღურბლზე, ისე ვერანაირად შეიცნობ," - გაუელვა აჰმედს გონებაში. ვინ იცის რამდენჯერ იყო იგი საფარის ლავრაში, მაგრამ ყოველი მგზავრობის ჟამს მონასტერი ისე მოულოდნელად გამოჩნდებოდა კლდეთა და გორაკთა ლავგარდენიდან, რომ უგრძნეულად გააშეშებდა აჰმედსა და მის მხლებელთ.

- ერთ აზრს გავურბოდი მუდამ, მაგრამ საფარის სავანეში ეს ერთი აზრი მიტრიალებს მხოლოდ და იგი მესხეთის ოსმალთაგან გამოხსნისაკენ მიბიძგებს ასლან ბეგ - გადაუგდო აზრი მებრძოლ ბეგს ახალციხის ფაშამ.

- ხერთვისში ფალავანდიშვილთა საგვარეულო საძვალეც იგივე სახიფათო აზრს მიჩურჩულებს, პატრონო - მხედრისათვის დამახასიათებელი პირდაპირობით თქვა ასლან ბეგმა.

- ჩემი პაპების-პაპა სარგის ჯაყელი სწორედ აქედან, კიდევ ერთხელ, ას წელს მიტანებული, აუჯანყდა მონღოლებს, რომლებიც ოსმალებზე დიდ მიწებს და ლაშქარს ფლობდნენ. ასევე მისმა მემკვიდრემ ნეტარმა ბექამ, სწორედ საფარიდან დაიწყო გიორგი ბრწყინვალეს აღზრდა და ივერიის სამეფოს გამოხსნა, მე კი მათი სამარცხვინო შთამომავალი შეშინებული მივალ საფარას და ვეკითხები ჩემს თავს - მიმიღებენ კი პაპანი? - შეჰყვირა აჰმედ ფაშამ, როდესაც ფიჭვნარის ტევრში, ვით უჭკნობი ყვავილი იდუმალი მშვენიერებისა, საფარის წმინდა სავანე ამოესვეტა.

ჩამავალი მზის სხივები ყოველი მხრიდან ანათებდა წმინდა საბას მონასტერსა და მარინეს ეკლესიას. სხივები ელაცლიცებოდნენ სარგის ჯაყელის მრისხანე ციხესიმაგრესაც, რომელიც მდუმარედ გადმოჰყურებდა თავს ბერთა სავანეს. სიმაგრეს ჩრდილი ათაბაგთა საზაფხულო უთაღებო სასახლეს - „ორბთა ბჭეს" მეორელ კნაირად „უთაღობო ჯაყელთას" ეთამაშებოდა. იქით შორს, წმინდა საბას მონასტრის სამზერიდან, ურაველის გადამწვარი ფერდობები და მესხური ტერასები მოსჩანდა. სევდიანი სიო ქროდა საქართველოს ამირსპასალართა, მანდატურთუხუცესთა, მეჭურჭლეთუხუცესთა თუ საქართველოს მეფეთა აღზრდით თავმომწონე ათაბაგების და მათი თანამეცხედრეების საფლავებზე.

- პატრონი ათაბაგი მობრძანდება, - დაიძახეს ქვის კოშკების სათოფურებიდან მომზირალმა ბერებმა და საფარის კარიბჭე გაიხსნა.

- ღმრთისმშობლის საფარველქვეშ შემობრძანდი, ათაბაგო, გამზრდელო უფლისწულთა, წინაპრების საუკუნო განსვენებას უმზირე პატრონო ათაბაგო, მეორედ მოსვლის ჟამს, მკვდრეთით აღდგომაზე იფიქრე ათაბაგო! წმინდა საბას სასწაულები იწამე პატრონო ათაბაგო, ღმრთისმშობლის საფარველქვეშ შემობრძანდი პატრონო ათაბაგო - საუკუნეების წინ შემოღებული წესის თანახმად შესძახეს იქ მყოფმა ბერებმა და შემდგომ საბაური ჰიმნი წამოიწყეს.

ფარულად, მამა-პაპათა რჯულის პატივისმცემელი, მაგრამ ამავე დროს მაჰმადიანი აჰმედ ფაშა, ქართულ საგალობელს მოწაფის გულისყურით უსმენდა და სახეზე უსაზღვრო ნაღველი ესახებოდა. ასლან ბეგი ცხენის კისერზე წახრილი, მდუმარედ ელოდა სასულიერო ჰიმნის დასრულებას. საფარელი ბერები კი რწმენით გაჯერებულნი, აღტკინებით მღეროდნენ და ღიმილით სავსე სახეებით ზეცას მისჩერებოდნენ.

- გამარჯვება საფარლებს! - შესძახა აჰმედ ფაშამ და ცხენიდან ჩამოქვეითებული, ბერებს გადაეხვია.

- ღვთისაგან გამარჯვება არ მოგეშალოს, - ერთხმად პასუხობდნენ ბერები ფაშას და მათ თმა-წვერს საფარის ტაფობზე სევდიანად მოსეირნე ქარი ლანძღავდა.

- წინამძღვარი როგორ ბრძანდება? - დაინტერესდა აჰმედი.

- უკეთესად პატრონო, თავის სენაკშია მამა ბასილი - უპასუხა აჰმედს ტანმაღალმა მორჩილმა და იგიც თავჩაღუნული და შუბლშეჭმუხნილი სენაკისაკენ გაემართა.

***

- ქართველთა ათაბაგად მოსულხარ თუ თურქ ფაშად, დამპყრობლად წინაპართა სამკვიდრებელში? - შესძახა ბერის სენაკიდან გამოსულმა ჩია, მაგრამ მკაცრმა მოხუცმა და აჰმედის შესახვედრად გადმოსადგამი ნაბიჯი ჰაერში გააშეშა.

- მეუფეო, ქართველთა ათაბაგად მიგულე, ისე კი არც ფაშაა ურიგო ვაჟკაცი - იცინოდა აჰმედი და მოხუცისაკენ ხელებგაშლილი მიდიოდა.

- იცოდე თურქოპულოს მსგავსად შუბლი შუბლს არ მომადო, მხარზე მემთხვიე ივერიელთა წესია - მკაცრად და ამავე დროს მამაშვილურად

ჩაილაპარაკა მეუფე ბასილმა, რომელსაც უკვე ფაშას უზარმაზარი მკლავები ჰაერში ათამაშებდა და მკერდზე იხუტებდა.

- ხომ მასწავლე ერთხელ, სტამბულიდან ახლად დაბრუნებულს - ერკემალი კი არ ხარ, შუბლი შუბლზე რომ ატაკო, ყოველ შემხვედრსო და ადამის მოდგმის მისალმება, მხარზე ამბორი დამიბრუნე, მის მერე მამასავით მიყვარხარ მეუფეო. თუმცა არ ვარ ქრისტიანი, მაინც მომიწევს შენსკენ გული, იმისათვის რომ გავარკვიო, ოსმალო ფაშა ვარ თუ ქართველთა ათაბაგი!?

- ერთ შესახედად ბექა მანდატურთუხუცესს ჰგავხარ, აჰმედ! სულ მიკვირს როგორი მსგავსებაა შენსა და სამასი წლის წინ მცხოვრებ შენს წინაპარს შორის, რომელმაც თავად მონღოლი დაამარცხა და საქართველოს დავით აღმაშენებლის ტოლი მეფე აჩუქა. იქნებ სულაც ბექა ჯაყელი ხარ, ჩამოსული ზეციურ კიბით, დანგრეულ საქართველოში, რათა ქვეყანას ახალი სასოება მოჰფინო - აჰმედის განიერ მხრებს კოცნიდა საფარის წინამძღვარი და ცრემლებს ვერ იკავებდა

- არა ბექა არა ვარ, აჰმედი ვარ, ამოსული ლომსიიდან. როგორც გინდა ისე განსაჯე მეუფეო, ეხლა ქვეყანას სულ კურთხეული ბექა უფრო სჭირდება თუ მექასა და მედინაში მოლოცვით განთქმული ჰაჯი აჰმედი, ეს უკვე ისტორიას ვკითხოთ, მაგრამ საკამათოდ არ მცალის, შევიდეთ საოსტინგოში და ვიბჭოთ - შუბლშეჭმუხვნით თქვა ახალციხის ბატონმა.

საფარელ ბერთა საფიხვნოს უხვად ამშვენებდნენ საეკლესიო ნივთები, ხატები, ბარძიმები, კედელზე მიყუდებული ძველ საეპისკოპოსოთა საეკლესიო დროშები, ბაგრატიონთა, ჩორჩანელთა, ჯაყელთა საომარი ჯვრები. საერისთავოზად, სადროშოებად დაყოფილი ბარძიმები, ფეშხუმები და რაც მთავარია ქართული წიგნები. აჰმედ ფაშა შეჩერდა დროშების წინ, პარხლის სპერის, კოლას, არტაანის, ართვინის, სპერის, არტანუჯის, ოლთისის, ბანასა და იშხანის, ტაო კლარჯეთის, უდაბნოს, ბასიანის, ჩრდილის ტბის საეკლესიო დროშები შეჰყურებდნენ აჰმედ ფაშას და მათი საფარაში თავმოყრა უკვე განადგურებულ საეპისკოპოსოებს ასახავდა მხოლოდ.

- საეპისკოპოსოები თავიანთ წმინდა საუნჯეს ჩვენსკენ ხიზნავენ, ცარიელდება იშხანი, პარხალი, ოშკი, ბანა და არტანუჯი, დაიცალა ხანძთა და აქ საფარის ამ დარბაზში იკრიბება ქართული მადლი, კეთილი მომავლის მოლოდინში. ველით იმ დღეს, როცა ყოველი ხატი და ბარძიმი, ფეშხუმი და დროშა თავის ადგილს, სავანესა და მონასტერს დაუბრუნდება - თქვა ბასილ წინამძღვარმა და აჰმედ ფაშას მართალი მზერა შუბივით გულში აძგერა.

- რთული დროა, წინამძღვარო, მიტოვებული მონასტრები და მიწები, რომ დავიბრუნოთ, მყარად უნდა შევინარჩუნოთ სამცხე და ჯავახეთი, ახალციხე და ახალქალაქი. მე როგორც გენერალი ოსმალთა არმიისა, ვგრძნობ თუ

როგორ სუსტდება სტამბოლის გავლენა კავკასიაში. საქარავნო გზებზე გაწოლილი ოსმალთა იმპერია მანამ მდიდრდება, სანამ ამ გზებზე სხვა დიდი ურჩხული არ გამოჩნდება. ოსმალებს იმ სიმდიდრის გამოყენების შნოც არ გააჩნიათ რასაც ყოველდღე აურაცხელი რაოდენობით იღებენ არაბეთიდან, აფრიკიდან, ევროპის კოლონიებიდან. ოსმალთა იმპერია გახვრეტილ ვარცლს დაემსგავსა. რაც არ უნდა ასხა წყალი მაინც მწყურვალე დარჩება. ამ დროს ქართველები არ ვართ უხერხემლოდ დარჩენილნი, იცი წინამძღვარო ეს თავად. მას შემდეგ რაც მამაჩემი ისაყ ფაშა, დიარბექირში, ანუ სირიისა და ერაყის საზღვრებთან ფაშად დაჯდა და ცნობილი ისაყ ფაშა-სარაი ააგო, მომიჯნავე ქვეყნებში, მხედველობაში მაქვს ისევ და ისევ ერაყი და სირია ქართველი მონებისაგან შექმნილი რაზმები გავაბატონეთ. ისაყ ფაშას ოცნება - ოსმალეთის იმპერიის მეშვეობით ქართველს მსოფლიო ემართა თითქმის ახდენილია. საჭოჭმანო საკითხი მხოლოდ ერთშია - ეს არის რწმენა. აი მანდ ვაგებთ და ვთათრდებით, როგორც გენერალი პირდაპირ გეუბნები მაგას.

- რწმენის გარეშე მსოფლიოზე ბატონობა, ეს ეშმაკის მიმდევრების, შლეგი და ამპარტავანი მკვლელებისა და ქურდების ბოგინია მხოლოდ აჰმედ ფაშავ. შენ როგორც ვხედავ ისევ ოსმალთა გენერლობა გამძიმებს. მე კი ქართველთა ათაბაგი მეგონე, ვაგლახ რომ მეგონე - წინამძღვარი დაემსგავსა ქანდაკს, მაგრამ მის სახეზე უეცარი ტკივილი გამოისახა და ამ მჭმუნვარე სახის შემყურე აჰმედ ფაშამ გულის არეში სამსჭვალის გარჭობის მსგავსი ტკივილი იგრძნო.

- იმ დღიდან მოყოლებული, რაც ოსმალებმა მესხეთი დაიპყრეს, მესხები ნელ-ნელა გაბატონდნენ ოსმალეთზე, რადგანაც გონიერი გადაწყვეტილება მივიღეთ და ოსმალთა მხედრობა სხვა მიმართულებით მივმართეთ. დღესაც გონიერი გადაწყვეტილებისათვის ვარ შენთან მოსული მამაო.

- რა აქაც მოგვადგნენ ავი ზნისა და უცხო რწმენის მოქადაგენი? - იკითხა წინამძღვარმა და ფაშას თვალებში ჩააცქერდა.

- სულთნის ბრძანებით დიდი მეჩეთი და სასწავლებელი უნდა აიგოს ახალციხის კლდეზე, სარგის სამცხის სპასალარის ციხე-სიმაგრის სამაროვანზე, - ბრძანა ფაშამ და მამა ბასილს მზერით შეუტია.

- ახალციხის კლდეზე, დიდი მეჩეთის აგება სუნიტური მრწამსის გავრცელებაა ფაშავ. თანაც სად, უძველეს ქრისტეანებში, ანდრია პირველწოდებულის მიერ მოქცეულ მესხებში. თუ მეჩეთს ააგებ, მესხებიც კაპადოკიელების მსგავსად აღიგვებიან პირისაგან მიწისა. სასწაულმოქმედი აწყურის ღმრთისმშობლის ხატი ხომ გადაიხვეწა მესხეთიდან, ეხლა მეჩეთიც უნდა დაუდგათ სუნიტებს? რა პირითა და კანონით მიუხვალ დიდ წინაპრებს ფაშავ, რა

სინდისით დასტოვებ შენს ქალაქს და მთელ სამესხეთოს, ქვეყანას უძველეს მოსხთა, მუშკთა, მეშეხსა და თუბალს - პირჯვარს იწერდა მამა ბასილი.

- თუ სულთანი დაიძვრება უთვალავი არმიით, იმ შემთხვევაშიც გადაშენდება ქართული ჯიშის ხერხემალი, მესხთა ქვეყანა. ამის შემდგომ კი დარჩებიან მხოლოდ გრიგორიანნი, რომელთაც ხელშეკრულება დაუდიათ დიდ ხონთქართან ქართველთა ქონების მითვისებისათვის და ფრანგნი, რომელთაც დიდი ფრანგი ხელმწიფე იცავს ევროპიდან - მრისხანედ თქვა ათაბაგთა ნაშიერმა და დოინჯშემოყრილმა შეათვალიერა სენაკის სარკმელიდან გადაშლილი ხედი, მესხური კლდეებისა და ურაველის ხეობა.

წინამძღვარი დუმდა, მამა ბასილს კარგად ესმოდა ეპოქის გასაჭირი. ოსმალთა იმპერიას ქრისტეანთა ცოდვების სასჯელად მიიჩნევდა იმ თავისი წინაპრების მსგავსად, ვინაც ადრეულ საუკუნეებში მოვარდნილი მონღოლთა ურდო ასევე დაგროვილი შეცოდებების გამოსასყიდად მიიჩნია. „რამ გაჰყო მონღოლები და ოსმალო თურქები ერთმანეთისაგან? - ეკითხებოდა წინამძღვარი თავის მოწაფეებს და თავად პასუხობდა - არაფერმა, ერთიც და მეორეც აზიის დიდი უდაბნოს მომთაბარე ტომები არიან. ენაც თითქმის ერთი აქვთ. ოსმალნი, ანუ ოსმანის ჩამომავალი თურქები ისეთივე მომთაბარები არიან, როგორც მათი წინაპარი თურქმენები. თავად განსაჯეთ ოსმალოსათვის სიტყვა „ოთურ“ - ცხენიდან ჩამოხტომასაც ნიშნავს და ცხოვრებასაც. ანუ სადაც ჩამოქვეითდა თურქი ანუ „ოთურ“ ჩაიდინა, იქვე დასახლდა. „ოთურიორუმ“ - ვცხოვრობ, „ოთურიორუმ“- დავჯექი აი მარტივი ფილოსოფია ერისა, რომელიც ყველაფერს შთანთქმით ემუქრება. მაგრამ ამავე დროს კაენისა და აბელის ხვედრზე დაფიქრდა წინამძღვარი. ამაზე წინაც უფიქრია, მაგრამ ჯერ არავისთვის გაუმხელია თავისი საფიქრალი. ეხლა კვლავაც ამოძრავდნენ ტვინში მოხეტიალე აზრები. კაენმა და აბელმა ღმერთს თავიანთი საქმიანობით მოპოვებული დოვლათიდან შესაწირი მიართვეს. ღმერთმა დაგვიფაროს თუ ვცდებით მაგრამ ასე გაგვიგია, რომ მან აბელის შესაწირი შეიწყალა და ამან კაენი გაანაწყენა. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ კაენი მიწათმოქმედი იყო, ხოლო აბელი მონადირე, შემგროვებელი მომთაბარე, მაშინ ბიბლია კიდევ ერთ რამეს გვასწავლის, თუ საფიქრალს გვიჩენს?“ - ფიქრობდა კვლავ წინამძღვარი და უეცრად იმას მიხვდა, რომ აჰმედ ფაშა იმედგაცრუებული სახით უყურებდა. საჭირო იყო სწრაფი ქმედება.

- წავიდეთ შვილო, დიდი ბექა მანდატურთუხიცესის აკლდამაში, მას დავეკითხოთ რჩევა. სწორედ ბექას გაუხსნია ურთულესი კვანძები ჩვენს ისტორიაში, მონღოლები ისე გამოუყენებია ქართული სახელმწიფოს აღდგენაში, როგორც ძირძველი ქართველები. ყაენის ძალისა და მზაკვრობისათვის უჯობნია მის ჭკუასა და გენიას. მას შევევედროთ ღირსეული აზრი მოგვივლინოს ხაფანგიდან რწმენის გამოხსნისათვის -

ამბობდა წინამძღვარი და მიძინების ტაძარში, მიწის სიღრმისაკენ ჩამავალი კიბის საფეხურებზე ჩადიოდა.

ხავსმოდებული ძელქვის კარის ადგილიდან დაძვრის შემდეგ, მიწისა და ხის ფესვების სუნი შეიყნოსა აჰმედ ფაშამ და დროისაგან გაშავებულ-გამწვანებული ქვის მიწისქვეშა ბაქანზე დადგა ფეხი. მცირე შუქი, მესხი ოსტატების მიერ სასინათლო არხებიდან შემოჭრილი, ანათებდა მესხეთის დიდი მთავრის ბექასა და მისი თანამეცხედრის ვახახის სამუდამო განსვენებელს. აქვე მოსჩანდა ბექას ქალიშვილების: მეფე გიორგი ბრწყინვალეს დედის - ნათელას, ტრაპეზუნის დედოფლის - ჯიაჯაყ კომნენოსის და ყირიმის ნახევარკუნძულის დედოფალ ყოფილის - ბიხახანიმ გუზლოფის სარკოფაგები. ტალანის ბნელ ნაწილში სარგის - საბასა და იოანე-ყვარყვარეს საფლავის ქვები მოსჩანდა. ცოტა დაბლა, ბაქანის სიღრმეში, მანუჩარი და მისი ოჯახის წევრები მისცემოდნენ სამუდამო ძილს. აღმოსავლეთის კედელზე ვენეციური სამხედრო კატარღის ცხვირი მიეჭედათ, რომელზედაც ლათინურად ეწერა „ნავ-ყვარყვარე“. აქ იყო თითქმის ყველა მართლმადიდებელი ათაბაგი, გარდა ყვარყვარე მეორისა, რომელიც ვარძიის მონასტერში დაეკრძალათ და მზეჭაბუკისა, ვინც ტრაპიზონის სიახლოვეს მყოფ სავანეში მიებარებინათ მიწას. კედლებზე მისალტული ფარები, თუნდაც უმცირეს შუქს ირეკლავდნენ და ამიტომაც საფლავის სტელებზე არსებული წარწერების გარჩევაც შეიძლებოდა.

მამა ბასილი მესხეთის დიდი მთავრის საფლავის ქვასთან დაჩოქილიყო და ხმამაღლა ლოცულობდა „...ქრისტეს მხედარო ზექავ, შემმუსვრელო აგარიანთა, აღმატებულო ყოველთა შინა საქმეთა, გამარჯვებულო სარდალო, უცხოეთში ქართველთა დამცველო, ეკლესიათა და მონასტერთა მაშენებელო, ქვრივ-ობოლთა შემწევ და გამკითხველო, კანონმდებელო და სჯულმდებელო, უფლისწულ გიორგის აღმზრდელო, თურქთა დამამარცხებელო და მათი საქართველოდან გამყრელო, ოვსთა დამამარცხებელო და ბაყათარ-ოვსის შემპყრობელო, ქართველთა ერთი მეფის ქვეშ გამაერთიანებელო და მშვიდობის დამამკვიდრებელო, მოხედე ქვეყანს შენსას და შეისმინე ჩვენი თხოვნა... “

აჰმედ ფაშამაც ჩაიჩოქა წინამძღვრის გვერდით და თქვა „ - ჰოი პაპავ ჩემო, ძალგულოვანნო, მაპატიე მე უღირს მონას შენსას და მომეც გონი საკაცობრიო და საერო მოღვაწეობისათვის, რათა მომავალმა ჩემმა დაიმკვიდროს ქვეყანა ესე და არ გადაშენდეს ჯიში ქართული სამესხეთოდან, ამიტომაც განმსწავლე დიდო წინაპარო და პაპავ ჩემო...“

აკლდამიდან გამოდიოდნენ ფაშა და წინამძღვარი, მამა ბასილი ცრემლს იწმენდდა და დუმდა. როდესაც აკლდამის ძელქვის კარიბჭეს ერთად ჰკეტავდნენ, წინამძღვარმა იგრძნო რაღაც, თუ გაიხსენა ძველი ცოდნა და ჩურჩულით უთხრა ათაბაგთა ნაშიერს:

- საფარა შვილო, დედა ღმერთისმშობლის საფარველქვეშ მყოფი ადგილია. მის ტაფობზე ვინც განისვენებს ამ მადლით განიმსჭვალება და ღვთიური სიბრძნით აღივსება.

აჰმედმა თვალი მოავლო არემარეს, მზე წითლად ჩადიოდა ურაველის კლდეებში, ცა სიბრძნით ივსებოდა და საჭირო იყო ის იდუმალი თასი, რომელიც ამ სიბრძნით აივსებოდა.

- ამ ღამეს, საფარის ტაფობზე, დედა ღმერთისმშობლის საფარველქვეშ გავათევ და დილას, მზის ამოსვლისას, გეტყვი საბოლოო გადაწყვეტილებას ჩემსას წინამძღვარო - თქვა აჰმედ ფაშამ და მამა ბასილს მხარზე ემაბორა სანუგეშოდ.



მხატვრობა კახაბერ ჯაყელისა (ზეთი, ტილო)

***

ისევე როგორც ლაშქრობისას ტყავებზე, თავქვეშ უნაგირამოდებული ეძინა იმ ღამეს აჰმედ ფაშას. ერთგული ყონაღი, ასლან ბეგ ფალავანდიშვილი პატრონის სიახლოვეს, დაღლილი არწივივით თვლემდა. იასამნისფერ ღრუბლებში მოკამკამე ნესვისფერი მთვარე საფარის კლდის ქიმს, ფაშას სახესა და მის უკან აღმართულ ძველ კოშკს, ჯადოსნურ ფერებში ხვევდა. „სარგისის ციხის“ სახელით წოდებული ძველი ციხე-კოშკის ერთ-ერთ საბრძოლო ბილიკზე ქვასავით უძრავად მლოცველი, თავად წინამძღვარი ბასილი იყო.

ტყის ქათმებმა შეიფართხალეს ალიონზე. მფრინველთა გალობამ, მჭახე და მყვირალა ხმებმა მონასტერს სიმშვიდის საბურველი უთენიას შეჰგლიჯეს და საფარის სავანე განთიადის საერთო ფერხულში ჩააბეს.

თვალებგახელილი იწვა აჰმედი, ჩუმად და უხმოდ უსმენდა ზეციდან წამოსულ სურნელების შეჯახებას მიწიდან ამოსულ ფორიაქთან, ბრძოლასთან და ხმოვანებასთან. ზეცა თავისი უკიდეგანო სივრცეებით ამშვენებდა, აოკებდა მიწას, ხოლო მიწა ბორგავდა და უსაშველოდ ითხოვდა საქმეს, ვიღაცის მიერ ვიღაცის ძლევას, თავგანწირვასა და გარდაცვალებას.

სივრცისა და მიწის შეჯახებისა და ურთიერთგადაკვეთის ადგილას უჩინარ ზეცის კარიბჭესთან იწვა აჰმედი და აქეთ-იქით სფეროსებრი, სამშვინელის მსგავსი, რძისფერი და სხივების დამაოკელები საბურველი მოხვეოდა მას.

ბავშვივით ეღიმებოდა აჰმედს, გული აფეთქებას, ხოლო სული დაოკებას, ამ საბურველში დარჩენას და მასთან ერთად შორს, კლდეებისა და მონასტრების ზევით, უჩინარ გადაფრენას სთხოვდა.

- „...ღვთიური სიბრძნე...“ - ჩაილაპარაკა ვიღაცამ მის სიახლოვეს, თუ ეს სიტყვები თავად წარმოთქვა არავინ იცის, მაგრამ აქ აჰმედ ფაშა წამოდგა და მის გარშემო სფეროსებრი საბურველის მიმქრალ ლანდებს დააკვირდა.

***

- გადაწყვეტილება მიღებულია წინამძღვარო. ჩემი ბრძანებით ლომსიის კლდეზე, სარგისის ციხის სამაროვნის ადგილას აიგება „ღვთიური სიბრძნე“, ანუ ოსმალთა მიერ მეჩეთად გადაკეთებული, მაგრამ დღესაც ქრისტიანობის სიმბოლოდ ცნობილი „აია სოფიას“ მსგავსი, მისი სულისა და მოყვანილობის გადმომცემი მართლმადიდებლური ტაძარი. თუ სულთანი მასზე ბრძანებს

„აია სოფია“ მეჩეთი არ გახლავთო, მაშინ იგი თავადვე დაუპირისპირდება, მისი წინაპრის მიერ, ამ ტაძრის სუნიტურ სალოცავად გამოცხადებას. უკეთუ სულთანი გადაყლაპავს წყენას და ჩემს ნაგებობას მიიღებს, მაშინ იგი ჩაიფიქრებს შურისძიებას, რომლის წარმატებისა თუ წარუმატებლობის შემთხვევაში, ახალციხეს, მესხებს და ივერიის მკვიდრთ სამუდამოდ თვალწინ ექნებათ ძეგლი მართლმადიდებლური ქრისტეანობისა, ლათინურად „სანქტა საპიენსა“ იგივე „ჰაგია სოფია“ ანუ სიბრძე ღვთისა. მე მწამს მამაო, ჩემს მიერ აგებულ ტაძარში ქართულად ილოცებენ ჩემი შთამომავალნი - ამბობდა ანთებული თვალებითა და მტკიცე გამომეტყველებით აჰმედი და მამა ბასილს შეჰყურებდა.

- ქართველობა მოწამეობრივობა და სულის უკვდავებაში საკუთარი ხორცის დარწმუნებაა. ისიც მინდა გითხრა, რომ ამ გადაწყვეტილებით ღირსეულად მიუხვალ წინაპრებს შვილო, - პირჯვარს წერდა აჰმედ ფაშას მამა ბასილი.

- უთუოდ „აია სოფიათი“ ხელში მიუვალ ჩემს წინაპრებს მამაო - იღიმებოდა ახალციხის ფაშა და წინამძღვარს მხარს უკოცნიდა.

***

მომავალ გაზაფხულს ახალციხეში დიდი მშენებლობა დაიწყო. მანამდე თავისუფალი ქალაქის მოქალაქეებმა შეიტყვეს ახალციხეს იტალიელი არქიტექტორი ეწვიაო. კირითხუროთა, ქვისმთლელთა, მიწის მუშათა და სხვათა ბანაკმა უძველესი ქალაქის კედლებში დაიბანაკა.

ფაშა თავად ადევნებდა თვალყურს მესხეთის შუაგულში გრანდიოზული მშენებლობის მსვლელობას. მისსავე ბრძანებით, განსაკუთრებული მანდატურნი იცავდნენ განტოტვილ ხარაჩოებთან მიმოსვლის ბილიკებს და ამიტომაც ცნობისმოყვარე მგზავრს მხოლოდ მუშათა ნაჭორავებით შეეძლო იმის გარკვევა, თუ რა ხდებოდა ახალციხეს თავს.

ქალაქის ქრისტიანნი და ქართველი მაჰმადიანნი პირველ ჟამს გულგატეხილი გაჰყურებდნენ ჭიანჭველის ბუდის მსგავს კერას მშენებლობისას. წელში გატეხილი ძირძველი ახალციხელები თვლიდნენ - „მეჩეთს დაგვადგამს თავს ფაშაო“ და დუმდნენ. ერთ დღეს საოცარი ხმა დაირხა ხალხში - „არქიტექტორმა საკურთხევლის ადგილი მონიშნა და ღამით საფარელი წინამძღვარი მოიყვანა ადგილის დასალოცადო“.

- სად მეჩეთი და სად საკურთხეველი? - კითხულობდნენ ერთმანეთთან ვითომ მატყლის საჩეჩად გადასული მესხი ქალბატონები და მეუღლეებს გაბადრული უბრუნდებოდნენ.

- მგონი რაღაც განიზრახა ფაშამ - თვალს უკრავდნენ ერთმანეთს მეკურტნენი და დაბაღნი ქირქილით.

საფაშოს ყადი - ჰაირედან თავდგირიძე, როგორც ფაშასთან განსაკუთრებით დაახლოვებული პირი, დარბაისლურად დაიარებოდა მშენებლობაზე და არემარეს მრავალნაცადი სარდალივით ათვალიერებდა. მისი სიტყვებით - „ფაშა მთავარი ნაგებობის გვერდით აზიაში ყველაზე დიდ წიგნთსაცავს აგებდა და მოქალაქეებისათვის თეთრ შადრევანსაც კაზმავდა“.

***

ფირუზისფერი მარმარილოს სრუტის სიხლოვეს დაბანაკებულმა ოსმალთა მეჯლისმა რამდენიმე თვე გაუთავებლად იყაყანა და საბოლოოდ იმპერიის განაპირას, ახალციხის საფაშოდ წოდებულ მხარეში ფანატიკოს მუსლიმან-დერვიშთა გაგზავნა დაასკვნა.

პიპინესკუ აღა, სტამბოლის ფაშ-ფაშა ყადის გვერდით, წიწილასავით რომ ჩაცუცქულიყო, ეხლა იმაზე ფიქრობდა, თუ რა ოინს მოუმზადებდა აჰმედ ფაშა და მისი ერთგული ახალციხელი რეჯები წვეროსან და გულუბრყვილო დერვიშებს.

პიპინესკუმ ალეგორიებით უხვად შეზავებული წერილი მისწერა მეჯლისის დამთავრებისთანავე აჰმედს - „რახან მელიას გაუძელი, ეხლა დათვებს ელოდეო“, წერდა ის ათაბაგს და უმატებდა „ხუთი წელი თაფლის ჭამამ თავად მოლაც იმსხვერპლაო“, რაც პიპინესკუს მიერ ახალციხეში წაგებული ნიძლავის დამთავრებას მიანიშნებდა.

პიპინესკუ აღა ცდებოდა. სულთანმა მუსტაფამ, რომელიც დერვიშებს ნაკლებად ენდობოდა, დაგმო მეჯლისის გადაწყვეტილება და თავად გადაწყვიტა კავკასიაში გალაშქრება და ირანის მოკავშირეების საბოლოო განადგურება. ეს კი მის ახალციხეში ჩასვლას და იქაური ამბების მოკითხვასაც ნიშნავდა.

შემდგომ ზაფხულს სარანჩასავით მოედვნენ ოსმალნი მცირე აზიის თემებს. უზარმაზარი, შემზარავი ლაშქრითა და უთვალავი მონით მოიწევდა თავად მბრძანებელი პლაკაციოს ტბის მიმართულებით და ირანისაკენ გაჭრის გზებს ზვერავდა.

ჩრდილის ტბასთან, ოსმალურად „ჩილდირთან“ დასცეს ბანაკი თურქთა. ამოდენა ლაშქარი ჯერაც არვის ენახა მესხთა შორის. დაბნეულიუმზერდნენ ბალკანეთის ციხეთა შემმუსვრელ ზარბაზნებს შავშეთის მთებიდან მომზირალი მესხები. სულთანმა ართვინის, აბოცის, არტანუჯის, შავშეთის, ტაოს საქმეთა განხილვის

შემდგომ ოცდაათი ათასი მეთოფე სიფაი იახლა და ახალციხის მიმართულებით დაიძრა.

ერუშეთის მთასთან სამყაროს მბრძანებელს აჰმედ ფაშა ჯაყელი ეახლა, რომელიც ოსმალთა სულთანმა მრავალი ტკბილი სიტყვით შეამკო და მასთან ერთად წყაროსთავში ქაფქაფა „ხავა“ მიირთვა.

ქალაქში უგრძნეულად შეჭრისა და ყოველივეს აოხრებას მოყვარული ოსმალები, ახალციხეში დარბაისლურად, სამეჯლისო ჰანგებითა და გულის გამყინავი იანჩარული მარშით შევიდნენ. ქალაქი ისე უხვად იყო მორთული ფარნებითა და ფარდაგებით, რომ სულთანმა მოქალაქეებისათვის ოქროს ფულის მიყრა ბრძანა, თავად კი აჰმედთან ერთად დიდი მშენებლობისაკენ გაჭენდა.

ისე თავისუფლად მიჰქროდა სულთანი ამ უცხო ქალაქში, თითქოს სამარადჟამოდ მისი წინაპრების ყოფილიყოს იგი. კავკასიის ფერდობებისათვის არჩეულმა ახალთექურმა ულაყმა სწრაფად აიარა ჟანგისფერი კლდოვანი ბორცვები, სულთანმა მათრახიანი ხელით თვალები მოიჩრდილა, მზერა დაძაბა და გაშეშდა.

ზღვისა და ხმელეთის მბრძანებლის წინ, ახალციხედ წოდებულ პატარა ქალაქში მისი მთავარი მოწინააღმდეგე, ოსმალთა ცოდვა მადლის განკითხველი, ქრისტეანთა დაღვრილ სისხლზე მოღაღადე, დაუმარცხებელი „ღვთიური სიბრძნე“ - აია სოფია იდგა.

ახალციხეში ღვთიური სიბრძე იდგა აია სოფია იდგა - კახაბერ ჯაყელის ფერწერა.

***

გაბოროტებული სულთანი მიზეზს ეძებდა. მან აჰმედ ფაშას იმერთა მეფის სოლომონის დასჯა და იმერეთის აოხრება უბრძანა. ცნობილი იყო, რომ იმერთა მეფე-სოლომონ I ბაგრატიონი, აჰმედ ჯაყელს „მამას“ უწოდებდა და ახალციხის ფაშას დიდ მეგობრად სთვლიდა. თავის მხრივ აჰმედ ფაშაც დიდი სიყვარულით მოიკითხავდა სოლომონ მეფეს, რომლის გამეფებაშიც თავად ლომის წილი ჰქონდა მიღებული. ახალციხის ფაშისა და იმერთა მეფეს შორის ასეთმა თბილმა ურთიერთობამ ოსმალთა იმპერია, როგორც ჩანს გააცოფა. განრისხებული სულთანი სოლომონის თავს ითხოვდა, რადგანაც ამ უკანასკნელმა დასავლეთ საქართველოდან მონათა ვაჭრობას დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა.

„დაიპყარი იმერეთი, გადააგდე შენივე დასმული მეფე სოლომონი, აღადგინე მონათა ბაზარი“ - მოსწერა ფაშას ოსმალეთის იმპერიის დიდმა ვეზირმა და წერილს მალე ლაშქარიც მოაყოლა. აჰმედ ფაშამ ოსმალთა ლაშქარს თავისი პირადი მტერი - ოსმალო კოლა-ფაშა უსარდლა და იმერეთში გააგზავნა, მოკლე გზებით კი ასლან ბეგ ფალავანდიშვილი მიავლინა სოლომონ მეფესთან, საიდუმლო მისიით...

1757 წელს ოსმალთა 30 ათას კაციანი ლაშქარი იმერლებმა ხრესილის მინდორზე შეიტყუეს. იმერელთა 11 ათას კაციანმა ჯარმა 2 საათში მტერს ბოლო მოუღო. კოლას ფაშა და მისი მხლებელნი სოლომონისა და აჰმედ ფაშას მითითებით კლდიდან გადაჰყარეს.

იმერეთი განთავისუფლდა...

***

სულთანი გაცეცხლებული იყო. მან ხრესილთან მარცხი აჰმედ ფაშას დააბრალა და მისი სიკვდილით დასჯა ბრძანა. არსებობს რამდენიმე მოსაზრება იმის შესახებ თუ როგორ დასაჯეს აჰმედ ახალციხელი. პირველი ვერსიის თანახმად მას თავი მოკვეთეს. რადგანაც მესხთა აჯანყების ეშინოდათ, ჯალათებმა დავალება ზუსტად და სწრაფად შეასრულეს. აჰმედ ფაშას თავი სტამბულს გააგზავნეს, ხოლო ტანი მის მიერ აშენებულ „აია სოფიას“ სიახლოვეს საზეიმოდ დაკრძალეს. მეორე ვერსიის თანახმად, სულთანმა აჰმედს, აბრეშუმის ზონარი გამოუგზავნა, რომლითაც იგი უნდა მოეშთოთ. აჰმედ ფაშამ მშვიდად ილოცა, ოჯახს დაემშვიდობა, თავი ჯალათებს მიანდო და სიკვდილის წინ, გულის ბოლო გაბრძოლებამდე იგი „ღვთიურ სიბრძნეს - აია სოფიას“ უმზერდა. ამ ვერსიის თანახმადაც აჰმედ ფაშა რაბათის ერთ-ერთ ბორცვზე დაკრძალეს.

***

ისტორია ახალციხის მიმართ არ იყო გულმოწყალე. 1828 წელს გენერალ პასკევიჩის რუსთა მხედრობამ, ახალციხეს შემოარტყა ალყა. ახალციხელები მტერს არ დანებდნენ. პასკევიჩმა ქალაქის აღების რამდენიმე წარუმატებელი იერიშის შემდგომ, მისთვის ცეცხლგამჩენი ყუმბარების დაშენა ბრძანა. მთელი ქალაქი დაიწვა და დაიფერფლა. გადარჩა მხოლოდ ახალციხის „აია სოფია“, რომლის გუმბათიდან, გენერალმა გრიგოლ ორბელიანმა, ზარბაზნის ოსტატური გასროლით, ნამგალა მთვარე ჩამოაგდო და რუსებს მოუთხრო იმის შესახებ, თუ როგორ გასწირა ათაბაგმა აჰმედმა თავი მართლმადიდებლური ტაძრის ასაშენებლად.

1829 წელს ახალციხის „აია სოფია“ მართლმადიდებლურ ტაძრად გამოცხადდა. ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რუსეთის ჯარში მომსახურე გრიგოლ და ილიკო ორბელიანების მონათხრობმა. იმ პერიოდში აჰმედ ფაშას საფლავიც შემთხვევით აღმოჩენილი იქნა ჯარისკაცების მიერ. საოცარია რომ რუსებმა უდიდესი მოწიწება გამოიჩინეს აჰმედ ჯაყელის საფლავის მიმართ და კვლავ ტრადიციული სტელით შეამკეს იგი.

***

- საიდან იცოდნენ ბაბუ ორბელიანებმა აჰმედ ფაშას ტრაგიკული ბედის ისტორია? - ვეკითხები ნიკოლოზ ჯაყელს ერთხელ.

- მას შემდეგ რაც სულხან ორბელიანმა, თამარ ჯაყელი მოიყვანა ცოლად, მას შემდეგ ჩვენი გვარები განუყოფლები არიან - მპასუხობს ჯარისკაცის ფარაჯაში გახვეული ბაბუა და ჩაის „პრიკუსკით“ სვამს.

- ეგ რომელი სულხანია ბაბუ? - ვეკითხები ბაბუას გაოცებული.

- ეგაა დიდი სულხან-საბა ორბელიანი - პასუხობს ბაბუ გახარებული იმით, რომ როგორც იქნა დამაინტერესა ოჯახის ისტორიებით.

- აჰა, გასაგებია - ვამბობ მე

***

2002 წლის აგვისტოში თავად გახლდით ახალციხეში. ჩვეულებისამებრ, საქართველოს პატრიარქის, მცხეთა - თბილისის მთავარეპისკოპოსის ილია მეორის მიერ რუდუნებითა და დაძაბული შრომით განახლებული საფარის მონასტერი მოვინახულე. დავტკბი იქაურ ბერთა სულისმეტყველებით, მეუღლეს ნინოს და შვილებს, თამარსა და თინათინს საქართველოს ისტორიის მესხური ნოველები ვუამბე.

- წაგვიყვანე რა, მამა აჰმედის აია სოფიაში, - აღტაცებული სახით მომაფრინდა თამარი.

- წავიდეთ ლა, - მიბაძა დაიკოს პატარა თინათინმა.

ქალაქის გალავანში შესული, აჰმედის მონუმენტურმა, იშვიათი პროპორციებითა და ფორმით გამორჩეულმა ტაძარმა მომხიბლა. აღმშენებელივით ძლიერი, იდუმალი და ტრაგიკულია სამხრეთ საქართველოს ისტორიის, მისი წარსულის, აწმყოსა და მომავლის ამსახველი ეს ძეგლი.

იგი მართლაც მძიმე ჟამს მოღვაწე კაცთა ცხოვრების ძეგლია. საქართველოს სხვა უნიკალურ ძეგლთა შორის, აჰმედის თაოსნობით აშენებული აია - სოფია დღესაც გამოცანასავით დგას რელიგიებს და საუკუნეებს შორის არსებულ მონუსხულ სივრცეში. იქნებ გამოვიცნოთ ეს გამოცანა! იქნებ ჩავწვდეთ ბეწვის ხიდზე მიმავალ ბედს ჩვენსას.

რაც შეეხება აჰმედის ტაძრის მომავალ ბედს, ვფიქრობ იგი, როგორც მართლმადიდებლურ ტაძრად ჩაფიქრებული ქმნილება, განმეორება კონსტანტინოპოლის აია სოფიასი, უნდა გადაეცეს ქართულ მართლმადიდებლურ

ეკლესიას. ჩვენ უნდა დავასწროთ იმ დროს როცა კონსტანტინოპოლის აია სოფია თავად დაუბრუნდება საკუთარ მრევლს.

მჯერა მტკიცედ რომ ახალციხის „აია სოფია“ იმ მისტერიის დასაწყისია, რაც კონსტანტინოპოლში უნდა დასრულდეს.

სისხლით დაწერილი ქართული ისტორია ამასვე მოითხოვს.

კახაბერ თენგიზის -ძე ჯაყელი

2018 წელი

საფარის ფრესკა ,გიორგი მაღრაძეს ფოტო.

ჭულ ეს მონასტერი

საფარის მონასტერი

ახალ ციხე - რაბათი



ოქროს ციხე - ათაბაგ ჯაყელთა ხაზინა აქ ინახებოდა

აწყურის ღმრთისმშობლის ხატი - მფარველი სრულიად საქართველისა

აგარის მონასტერი ,მურვან და ბეშქენ ჯაყელების აგებული მე-9 საუკუნეში

საფარის ლავრა

სარგის ათაბაგ ჯაყელის ხელწერა 1180 წელი

ელენე ჯაყელი - სპარსეთის დედოფალი, კასტელის ნახატი მე-17 საუკუნე



უშუალოდ ნიკოლოზ ჯაყელის და მისი ჩამომავლების გენეალოგია


ბაბუა
ნიკოლოზ მიხეილის მე ჯაყელი 1903
მეუღლე შუშანა ბაგრატის ასული ბაკურაძე
მამა
თეწგიზ ჯაყელი
მეუღლ. ზუმრუდი დავითის ასული გაბუნია 1966 წელს შეუღლდნენ
ლამარა ჯაყელი
შვილები
კახაბერ ჯაყელი
დაიბადა 1967 წელს
მეუღლე ნინო მორისის ასული წულაია
შეუღლდნენ 1994 წელს
თამარ ჯაყელი 1995 წელი
თინათინ ჯაყელი 2001 წელი


მესხეთი
და მასთან დაკავშირებული
ალმ. ლაზეთი და ბასიანი
(XIII-XIV საუკუნეთა საზღვარზე)
შავი ზღვა
ბათომი
ხუფათი
ათინა
ტრაპიზონი
საკრავლა
(ოფი)
რიზე
სურმენე
ალმ.
ლაზეთი
ბარბალო
ბიბალონ
ხიბაბ
ბიბალონ
ბერეტელ
ბერეტელ
ბერეტელ